ვარდნა

თხზულებანი
ცხრა ტომად

ტომი მესამე

ჭეობა

ქართლის ცხოვრების ქრონიკები

წიგნი მეორე

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“
გამოცემა დაიწყო 1973 წელს

რედაქტორი:	**დავით ჭელიძე**
ცხრატომეულის რედაქტორი	**ეშხარ კვიტაიშვილი**

დამკაბადონებელი	დალი ჯვარშეიშვილი
ოპერატორი	ლია სულაქველიძე

© ვახტანგ ჭელიძე
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-406-53-9 (ცხრავე ტომი)
ISBN 978-9941-16-101-8 (III ტომი)

წიგნი

II

თავი I

ფასდაუდებელი ღვაწლი ნერსე დიდისა და გრიგოლ ხანძთელისა ანუ დასაწყისი გაერთიანებისა

„სამი მხრით ხმლის ქნევა“ ✦ კელი ფოტლანდიური ლეგენდა ✦ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამბები, ანუ რატომ გაემგზავრა ნერსე ხაზარეთს, ხოლო აშოტი – კლარჯეთს ✦ ეგრის-აფხაზეთის სამთავრო ✦ ქართული ეკლესიის ერთობა ✦ კახეთი. კერეთი.

არაბთა პირველ შემოსევას, როგორც უკვე ითქვა, უცხოელთა განუწყვეტელი თარეში და ხანგრძლივი ბატონობა მოპყვა საქართველოში. ქვეყნის დედაქალაქი და მისი მოსაზღვრე კუთხეები ოთხი საუკუნე უცხოელ დამპყრობთა ხელში იყო. თითქმის ოთხი საუკუნე. ეს ხომ მთელი ისტორიაა!

ოთხასი წელიწადი იმისთვისაც კმარა, რომ ხალხმა ცხოვრების განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს, ახალი შედევრები შექმნას მწერლობაშიც, ხელოვნებაშიც, ყოფითი კულტურის ყველა დარგში... გარკვეული წვლილი შეიტანოს საკაცობრიო ცივილიზაციაში; ამაღლდეს, განვითარდეს, სხვა ხალხებზეც იქონიოს კეთილი გავლენა, კაცობრიობის საერთო ცხოვრებას ტონი მისცეს...

ამის თქმა მით უფრო თამამად შეგვიძლია ხალხზე, რომელსაც უკვე მოუსწრია და გამოუმჟღავნებია დიდი შემოქმედებითი ენერგია, ეროვნული მეობა ჩამოუყალიბებია და აღმავლობის გზაზედ დგას; რომლის დიდ ნიჭსა და გასაოცარ შრომისმოყვარეობას უკვე შეუქმნია საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის შედევრები; რომელსაც უკვე ჯვრის მონასტერი აუგია, უკვე დაუწერია „შუშანიკის წამება“, მსოფლიო მწერლობის შედევრები უთარგმნია, თვითმყოფადი ხელოვნების მრავალი დარგით მთელს მაშინდელ მსოფლიოში გაუთქვამს

სახელი; ასობით სიმღერა შეუქმნია, თეატრის გემოს ჩასწვდომია და საკუთარი თეატრი ჩამოუყალიბებია; მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები გამოუყვანია, ყანები ხელოვნური არხებით დაუსერავს... რომელიც თავისი შესაშური საყოფაცხოვრებო კულტურით ქვეყნად ყველაზე ცივილიზებულ ხალხსაც ტოლს არ დაუდებს...

მეორე მხრივ, ოთხასი გრძელი წელიწადი იმისთვისაც კმარა, რომ რაგინდ დიდი და განვითარებული ხალხი იყოს, დაკნინდეს, დაჩაჩანაკდეს, გადაგვარდეს, ბედს დამორჩილდეს და მონობის უღელი მოირგოს, სულიერად გატყდეს და განადგურდეს, თავისი მეობა დაკარგოს; რაც კი მნიშვნელოვანი წინაპრებს შეუქმნიათ, იმასაც ვერ მოუაროს და ახალი ველარაფერი შექმნას, ისტორიის ფერხულიდან ამოვარდეს, საერთო-საკაცობრიო კულტურის განვითარებას მოწყდეს და სადღაც განზე აღმოჩნდეს — დამცირებული, დაბეჩავებული, რწმენადაკარგული, ნიჭდაჩლუნგებული, მისწრაფებაშეზღუდული, განვითარების წყურვილგამშრალი, მაღალ სულიერ იდეალებს მოკლებული...

ოთხასი წელიწადი მთელი ისტორიაა.

ამ ოთხასი წლის განმავლობაში იყო პერიოდი, როცა განსაკუთრებით გამძაფრდებოდა ხოლმე მდგომარეობა, ერის ბედი ბეწვზე დაეკიდებოდა, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი მთელი სიმწვავით დადგებოდა.

შემოსეული მტრის ბატონობა მუდამ მძიმე და აუტანელია. ვინ იქნება ისეთი გულუბრყვილო, იფიქროს, დამპყრობლის უღელი ზოგჯერ მაინც შემსუბუქდებოდაო. არა. მონობის უღელი მუდამ მძიმეა და არაბი დამპყრობლების უღელიც არასოდეს შემსუბუქებულა. მაგრამ ზოგჯერ განსაკუთრებით სასტიკი გახდებოდა დამპყრობელი, წალეკვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა ჩვენი ხალხი, ფიზიკური მოსპობა და გადაშენება დაემუქრებოდა.

ასეთი ყოვლისმომსპობი ცეცხლის ნიაღვრები პერიოდულად მოვარდებოდა ხოლმე.

საქართველოს ყველა კუთხეს მისწვდა არაბთა სარდალი მურვან ყრუ. ეს მოხდა 735 წელს. ჩვენ ეს უკვე ვიცით. აღმოსავლეთ საქართველოდან დაიწყო და ცეცხლითა და მახვილით მოედო მთელს ქვეყანას — აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ სამხრეთ საქართველოს, მერე დასავლეთს და იქიდან ისევ სამხრეთისკენ შეტრიალდა. თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით სულ გადათელა ქვეყანა. ციხეები და ტაძრები დაანგრია, საცხოვრებელი სახლები

გადაბუგა, ხალხი გაჟლიტა. ლამის ერთიანად მოსპო სიცოცხლე ამ პატარა მიწა-წყალზე. და „ადგილ-ადგილ“ (ეს ქართველი მემატიანის გამოთქმაა) თუკი რამე გადაურჩა მის მახვილს, თუკი აქა-იქ მაინც დარჩა ჩაუმქრალი კერა, იმას საშინელი ჭირი მოუვლინა — თვითონ წავიდა და უკურნებელი სენი დატოვა; ეს სენი მიუსია იმათ, ვინც სასწაულებრივად გადაურჩა გამანადგურებელ ცეცხლს.

გავიხსენოთ, რომ ჯუანშერის ცნობით, მურვან ყრუს აფხაზეთში ლაშქრობის დროს „მოსწყდა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი“... აშკარაა, რაღაც საშინელი სენი დარევია მტრის ლაშქარს. ცოტა ხნის შემდეგ, სწორედ იმ ხანებში, როცა მურვან ყრუს გეემული ლაშქარი აფხაზეთიდან სამხრეთ-საქართველოსკენ მიიქცა, აქაც, ტაო-კლარჯეთშიაც გავრცელდა ეს სენი: სუმბატ დავითის ძის ქრონიკა გადმოგვცემს: „ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედიღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“. ამ ორი ცნობის მიხედვით აშკარაა, რომ „სატლი“ (რა სენსაც უნდა გულისხმობდნენ ამით მემატიანეები) მურვან ყრუს შეუტანია სამხრეთ საქართველოში.

ჰუნების ბელად ატილაზეა ნათქვამი, სადაც ფეხს დადგამს, იმ ადგილას ბალახი არ ამოდისო, მურვან ყრუზეც იგივე შეიძლება ითქვას. შეიძლება კი არადა, აკი ამასვე ამბობს ჩვენი მემატიანე: ისე „განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშვიდობით, ა რ ღ ა რ ა მ ო გ ე ბ უ ლ ი ყ ო კ უ ა ლ ს ა თ ვ ი ს ს ა“.

და მეორე მემატიანის ცნობაც: „და ჩაიარა უღმერთომან მურვან ყრუ ზღვის პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღვის პირისანი, დ ა ო ხ ე რ დ ა უ ვ ა ლ ყ ო ყ ო ე ე ლ ი ქუეყანა ზღვის პირისა!..“

და იქვე: „...ა რ ღ ა რ ა ი პ ო ვ ე ბ ო დ ა ნ ა შ ე ნ ე ბ ი, ა რ ცა ს ა ჭ ა მ ა დ ი კ ა ც თ ა დ ა პ ი რ უ ტ ყ უ თ ა ყ ო ვ ლ ა დ ვ ე...“

ჩვენს მემატიანეებს, მართალია, ძუნწად, მაგრამ ისეთი ექსპრესიულობით შემოუნახავთ ეს ცნობები, როცა კითხულობ, უნებურად გონებაში აცოცხლებ შემზარავ სურათებს.

ბუნებრივია, ასეთი „ცეცხლის ნიაღვრები“ ბევრჯერ მოედებოდა ჩვენს ქვეყანას ოთხასი წლის განმავლობაში — ზოგჯერ ძალიან ფართო რადიუსითა და საშინელი სისასტიკით, ზოგჯერ შედარებით ნაკლები მასშტაბითა და უფრო ნაკლები სიმწვავითაც. ჩვენს მემა-

ტიანეებს აღნუსხული არა აქვთ ყველაფერი. მხოლოდ ზოგიერთი ასეთი დარბევისა და შემუსვრის ამბავს გადმოგვცემენ ისინი. ბევრი დარბევა-აოხრების ცნობა, რასაც ჩვენს მემატიანეებთან ვერა ვნახულობთ, შეგვიძლია მოვიპოვოთ სხვა ქვეყნების იმდროინდელ ისტორიკოსთა წყაროებში — ბიზანტიელ ისტორიკოსებისაში, სომხებისაში, თვითონ არაბებისაში... და ჩვენი თანამედროვე მეცნიერები ამ უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობენ, მთავარი მაინც გამოკრიფონ, რათა საერთო წარმოდგენა შეგვექმნას იმ მრავალრიცხოვანი სასტიკი ბრძოლებისა.

კითხულობ უცხოურ წყაროებში თითოეული ასეთი შემოსევის ამბავს და თითქოს არაფერიო, ისე გადმოგვცემს, ვთქვათ, რომელიმე არაბი ისტორიკოსი თხუთმეტი, ოცი, ოცდათხუთმეტი ათასი ქართველი მეომრის გაჟლეტისა და საქართველოს რომელიმე კუთხის აოხრების ამბავს...

აბუ ჯაფარის ხალიფობის დროსო, აუღელვებლად მოგვითხრობს ერთი არაბი ისტორიკოსი, კახეთის შესამუსრად გაილაშქრა სარდალმა ალ-ჰასან კაჰტაბის-ძემაო. ისეთი მედგარი წინააღმდეგობა დახვედრიათ არაბებს კახეთში, რომ ვერაფერი გაუწყვიათ და სარდალი იძულებული გამხდარა, დამატებითი ჯარი გამოეთხოვა ხალიფისაგან. ხალიფასაც არ დაუყოვნებია, მრავალრიცხოვანი ლაშქარი მოუშველებია გამოცდილი სარდლის ალ-ჰარისის მეთაურობით. არაბი ისტორიკოსის სიტყვით, გამართულა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რამაც თურმე რამდენიმე დღეს გასტანა.

საბოლოოდ გაუტეხიათ ქართველთა გაცილებით მცირერიცხოვანი მხედრობის წინააღმდეგობა.

არაბი ისტორიკოსი აჯამებს ბრძოლის შედეგებს. თექვსმეტი ათასი ქართველი ჯარისკაცი მოუკლავთ ამ ბრძოლაში! დიდძალი ტყვე წამოუყვანიათ და, გამარჯვებულები თბილისისკენ წამოსულან, სადაც, როგორც პირველ წიგნში უკვე ითქვა, მათი მთავარი შტაბი, საამირო იყო.

მაგრამ სანამ თბილისს ჩამოვიდოდნენ, სარდალს ერთბაშად რაღაცამ წამოუარა, დაერივნენ უიარაღო ტყვეებს და ერთიანად გაჟლიტეს, მერე თავისი დიდი ლაშქრიდან რაზმები გამოუყვია და მშვიდობიანი სოფლებისთვის შეუსევია.

ეს გახლავთ ერთი „პატარა" ეპიზოდი, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა, ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანთაგანი, რაც არაბთა ხანგრძლივი ბატონობის

დროს მომხდარა, და რის ამბავსაც ჩვენ არაბი ისტორიკოსის იაკუბის მონათხრობით ვიცნობთ. ჩვენს მემატიანეებს, მრავალი სხვა ასეთი რბევის მსგავსად, გამოტოვებული აქვთ ეს ბრძოლა, ყველას ვერ ჩამოთვლიდნენ, ძნელი იყო.

ყველას აღდგენა და ჩამოთვლა შეუძლებელიც არის.

ყველას, რაღა თქმა უნდა, არც უცხოური წყაროები შემოგვინახავდა...

მაგრამ როცა ვცადე, უცხოური წყაროების დახმარებით, დაახლოებით მაინც აღმენუსხა ის გამანადგურებელი რბევანი, რაც სხვადასხვა დროს ჩვენს ხალხს არაბებისგან განუცდია, საკმაოდ გრძელი სია გამოვიდა. იმაზე გაცილებით დიდი, ვიდრე ვვარაუდობდი. სწორედ ამის გამო აქ არ მომაქვს.

მაგრამ საინტერესო ნუსხა კი არის.

ვცადე ქრონოლოგიურად დამელაგებინა, წლების მიხედვით (ეს წლები ზოგჯერ ზუსტად არის წყაროებში მითითებული, ზოგჯერ მიახლოებით აღადგენ იმ ხალიფისა, ამირისა თუ სარდლის მიხედვით, რომელთაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობა მიუღიათ ცალკეულ რბევასა და ბრძოლაში და რომელთა ცხოვრების თარიღები ცნობილია ისტორიაში).

ნუსხა დიდ ქაღალდზე შევადგინე. გაშლილი ქაღალდის მარჯვენა მხარე, ძირითადი ნაწილი, არაბების წინააღმდეგ ბრძოლებს დაეუთმე, მარცხენა მხარეს კი ის „დამატებითი“ ბრძოლები ჩამოვწერე, რაც ჩვენს ხალხს სხვა შემოსეულ მტრებთან გადაუხდია, ეთქვათ ხაზარებთან, ანდა „მეგობარ“ ბიზანტიელებთან... და მიმართულების მაჩვენებელი ისრით იმავე ხანებში არაბების წინააღმდეგ გადახდილ ბრძოლებთან დავაკავშირე.

ასე, მაგალითად, როცა ნუსხაში აღნიშნული მაქვს ქართლის ერისთავის ნერსეს მიერ გადახდილი ბრძოლა არაბების წინააღმდეგ (აქვე შევნიშნოთ, რომ ეს ომი ქართლის ერისთავმა მოიგო და არაბი სარდალი ბარაბა გააქცია)[1], იქვე ისარი მანიშნებს, გაშლილი ქაღალდის მარცხნივაც გავიხედო, სადაც მიწერია: „ამავე ხანებში ხაზარებს დაურბევიათ სომხეთი და ქართლი და ამ ქვეყნის მთავრები ერთიანად გაუჟლეტიათ“ (ეს არის მეშვიდე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურული. ჯერ მურვან ყრუ არა ჩანს, იგი 40 წლის მერე მოევლინება საქართველოს).

1. ეს ის ცნობილი ნერსე არ გახლავთ, იოანე საბანისძეს რომ პყავს გამოყვანილი თავის მოთხრობაში. ეს ზუსტად ერთი საუკუნის წინანდელი ამბავია,

მეშვიდე საუკუნის მიწურულისთვის ბიზანტიელებს მეტისმეტად შეუვიწროებიათ თავიანთი მეზობელი და „მეგობარი“ ქვეყანა ეგრისი. და როცა ეგრისის მაშინდელი პატრიკიოზი სერგი ბიზანტიელების წინააღმდეგ ვერაფერს გახდა, ძალიან სარისკო გზას დაადგა, უფრო შორეულ მტერთან — არაბებთან — გამართა მოლაპარაკება. ორ უბედურებას შორის, ნაკლები უბედურება არჩია, უფრო შორეულ მტერთან შეკრა კავშირი ახლო მყოფი მტრის წინააღმდეგ, ალბათ იმის იმედით, რომ შორეული მტერი იმდენს ვერ დააზარალებდა (შეგახსენებთ, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ გამოჩენილა მურვან ყრუ და აქაურ ხალხს ჯერ არ გამოუცდია იმ შორეული მტრის მთელი სისასტიკე: ამან იქნებ ერთგვარად მაინც გაამართლოს ეგრისის პატრიკიოზის მეტისმეტად საჩოთირო ნაბიჯი).

იმის გარჩევას ნულარ შევუდგებით, რამდენად სწორი იყო ეგრისის მაშინდელი პატრიკიოზის გადაწყვეტილება. ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩვენს ნუსხაში იმ ადგილას, საცა აღნიშნული მაქვს VIII საუკუნის დასაწყისი და საცა მიწერია: „არაბების ჯარი ციხე-გოჯსა და მახლობელ ციხეებში გამაგრებულა. ისინი დასავლეთ საქართველოს იპყრობენ“... ამ ადგილას, მარცხნით ჩამიწერია: „ბიზანტიის კეისარი, ნაცვლად იმისა, რომ გაერკვეს, რამ ააღელვა ეგრისელები და არაბებთან კავშირის შეკვრა რამ გადააწყვეტინათ, იმის ნაცვლად, რომ მშვიდობიანად და ჭკვიანურად სცადოს თავისივე გაფუჭებული საქმის გამოსწორება, ალანებთან გამართავს მოლაპარაკებას, ცდილობს ჩრდილოეთის პატარა ხალხებთან შეკრას სამხედრო კავშირი და, შურისძიებით გულგავსებულმა, ალანთა ჯარი საქართველოს შემოუსიოს“[1].

ან კიდევ:

VIII საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში (ეს უკვე მურვან ყრუს შემდეგ ხდება) არაბი ისტორიკოსის ბალაძორის ცნობით, არაბების ლაშქარი არაგვის ხეობას შეესია და ააოხრა. ასეთი ჩანაწერი მაქვს ჩემი ნუსხის ძირითად, მარჯვენა მხარეს; მარცხნივ

1. ალანებთან მოსალაპარაკებლად იმპერატორმა იუსტინიანემ ერთი ახალგაზრდა კაცი გაგზავნა და ქვეყნის ფული გაატანა, რათა როგორმე მოესყიდა ალანები და ქართველების წინააღმდეგ აეშხედრებინა. ბიზანტიელი იმპერატორები გაწაფული იყვნენ ამ საქმეში — მეზობელი და მოძმე ერების ერთმანეთისთვის გადაკიდებაში. ჩვენ ამაზე იმიტომ შეეაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ იუსტინიანეს მიერ გაგზავნილ ახალგაზრდა გაქნილ დიპლომატს კიდევ შეეხვედებით: რამდენიმე ხნის შემდეგ იგი თვითონვე გახდება ბიზანტიის სახელმოხვეჭილი იმპერატორი. მისი სახელია ლეონ ისავრი.

კი მიწერია: ამავე ხანებში, 764 წელს ხაზარები შეესევიან ქართლს, დაარბევენ თბილისს, ქართლის სოფლებს, ქვეყანას ააოხრებენ, მოსახლეობას გაჟლეტენ.

ამ შემოსევაზე ჩვენ ზემოთ გექონდა ლაპარაკი. ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ქართველ ქალს შორიდან გაუმიჯნურდა ხაზართა ხაკანი და მერე, უარით გაგულისებულმა, მთელი ქართლის დასასჯელად დიდი ლაშქრით გამოგზავნა უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული სარდალი ბლუჩანი.

როგორც ვხედავთ, სამ ფრონტზე ბრძოლა უხდება იმ დროს ჩვენს ხალხს: შედარებით ახლად გამოჩენილი მრისხანე მტრის არაბების წინააღმდეგ თითქმის განუწყვეტელი ბრძოლები და უკვე შეჩვეული ჭირის — ბიზანტიისა და ხაზარების — პერიოდული, მაგრამ არანაკლებ მრისხანე შემოტევების მოგერიება.

სიმონ ჯანაშიამ ქართველი ხალხის ამ დაძაბულ ბრძოლებს „სამი მხრით ხმლის ქნევა“ უწოდა.

იმ ჩემს ნუსხაში, რომელიც შაეი მელნით მაქვს შედგენილი, ყურადღებას იქცევს მეტი თვალსაჩინოებისთვის წითელი ასოებით გამოყვანილი ერთი სიტყვა, სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე განმეორებული. ერთგან სამჯერ ზედიზედ მეორდება ეს სიტყვა, ერთმანეთზე გადაბმით:

„აჯანყება, აჯანყება, აჯანყება“...

ეს არის მერვე საუკუნის დასაწყისიდან, როცა დამპყრობლის უღელი მეტისმეტად დამძიმდა და მონურ მორჩილებას შეურიგებელმა, თავისუფლების მოყვარე ხალხმა აჯანყებები გაახშირა.

აჯანყებათა სისხლში ჩასახშობად ხალიფა ზედიზედ გზავნის დამსჯელ ექსპედიციებს, სულ ახალ-ახალ ჯარებს, სხვადასხვა სარდლის მეთაურობით. თავის სარდლებსაც ვერ ენდობა და ერთმანეთის მიყოლებით ცვლის სარდლებსა და მმართველებს. პაულე ინგოროყვას გამოუთვლია, რომ მარტო ჰარუნ-არ რაშიდის ხალიფობის დროს, 23 წლის განმავლობაში, 17 მმართველი შეუცვლიათ კავკასიაში.

„ამ საუკუნის (მერვე საუკუნის) ოციან წლებში რამდენჯერმე დალაშქრეს და ააწიოკეს ქართლი“, ეკითხულობ იმ ჩემს ჩანაწერში, „ხალხი მაინც ვერ გატეხეს და ამას მოჰყვა მურვან-იბნ-მუჰამედის (მურვან ყრუს) სასტიკი ლაშქრობა“ 735 წელს, ხალიფა ჰიშამის დროს.

●

დავყურებ ამ გაბმული ბრძოლების გრძელ ნუსხას, გონებაში ვფურცლავ ჩვენი ისტორიის დიდი წიგნის გვერდებს — განუწყვეტელი ბრძოლების წლებს — და მაგონდება ერთი შოტლანდიური ლეგენდა...

ამ პატარა ქვეყანას გაუთავებელი ბრძოლები ჰქონდა თავის არაკეთილად განწყობილ მეზობელთან. დიდხანს გრძელდებოდა ეს ბრძოლები. ინგლისს მტკიცედ გადაეწყვიტა ჩრდილოეთით მოსაზღვრე მეზობლის გადაყლაპვა. ეტყობა, მუდამ ასეთი იყო მცირერიცხოვანი ხალხის ბედი, რომელსაც დაპყრობის ჟინით აგზნებული უფრო დიდი ქვეყანა ესაზღვრება. შოტლანდიელი ხალხი გმირულად იცავდა თავს და მადაგაღვიძებულ მეზობელს საკმაო სიმწარეს აგემებდა. ინგლისი უტევდა, შოტლანდია იგერიებდა. ამოისუნთქავდა თუ არა ინგლისი გართულებული საგარეო ურთიერთობისაგან, დაგეშილი მწევარივით მაშინვე ჩრდილოეთით დაიძრებოდა.

დრო გადიოდა, მეფეები ერთმანეთს ცვლიდნენ, რამდენი რამე იცვლებოდა ქვეყნების ცხოვრებასა და ურთიერთობაშიც, მეზობელი პატარა ხალხის დაპყრობის ჟინი კი უცვლელი რჩებოდა.

დამპყრობელი განსაკუთრებით გააქტიურდა მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში.

ინგლისის არმიამ ზედიზედ შეუტია მეზობელს და, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დამარცხება დამარცხებაზე აგემა. შოტლანდიელები მაინც არ ჰყრიდნენ ფარ-ხმალს. ვერა და ვერ მოხერხდა მათი გატეხა. იჟლიტებოდნენ და მაინც მედგრად ხვდებოდნენ მტერს.

შოტლანდიელ ხალხს ყველა ბრძოლაში წინ უძღოდა გმირი მეფესარდალი რობერტ ბრუსი.

ეს ლეგენდაც მას შეეხება.

ერთ-ერთი შეტევის დროს მტერმა ლამის სულ გაჟლიტა შოტლანდიელები. ცოცხლად დარჩენილი ჯარისკაცები, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, აირივნენ და გაიფანტნენ. რობერტ ბრუსმა იმდენი მოახერხა, რომ გარშემორტყმულ მტრის ლაშქარს დაუსხლტა და უღრან ტყეში თავი შეაფარა ერთ ძველისძველ მიტოვებულ ქოხს.

ჯაჭვის პერანგი არც კი გაუხდია, ისე მიეგდო კუთხეში ქანცგაწყვეტილი, მშიერ-მწყურვალი, სასომიხდილი მეფე. მაგრამ გამწარებულსა და გატანჯულს ძილი არ ეკიდებოდა, გადახდილი სასტიკი ბრძოლის სისხლიანი სურათები ედგა თვალწინ...

ომი წაგებული იყო. უსამართლო ბრძოლაში დამპყრობელმა, ბოლოს და ბოლოს, გატეხა პატარა ხალხის თავგანწირული წინააღმდეგობა და მისი ქვეყანა დაიპყრო. ამას მოჰყვებოდა საშინელი დამცირება, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა, ამაყი მთიელი ხალხის ღირსების შებღალვა, მისი ადათ-ჩვეულებების შეგინება, ცხოვრების წესის დარღვევა, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კანონების ფეხით გათელვა, ოჯახების დამშვევა და გაპარტახება, ჭაბუკების გაყლეტა, ბერიკაცების სიბერის გამწარება, ყმაწვილი ქალების ნამუსის ახდა, ბავშვების გადაგვარება...

ასეთია დაპყრობითი ომის ულმობელი კანონი.

სასოწარკვეთილი ვაჟკაცის აფორიაქებულ გონებას კონკრეტულად გამოკვეთილ სურათებად ეხატებოდა მთელი ეს უბედურება...

ხსნა არსად იყო. ომი წააგეს. არც მას, არც მის ლაშქარს, მთელს ხალხს საცდელი არ დაუკლიათ, გმირულად დაუხვდნენ მტერს. ლაშქრის დიდი ნაწილი გაიყლიტა, დანარჩენი დაიფანტა. რაღა აზრი ჰქონდა ხელახლა ლაშქრის შეგროვებას!..

ასე ფიქრობდა ქოხის კუთხეში მიგდებული დამარცხებული სარდალი-მეფე.

სიძველისაგან ჩამომპალ ისლის სახურავში ჩამავალი მზის სხივებს შემოეჭვრიტა. ერთი ობოლი სხივი ობობას ბუდეს მისწვდომოდა. ობობა ქსელის ერთ კუთხეში მიყუჟულიყო. მეფემ ანგარიშმიუცემლად ასწია ჯერ ისევ ხელში შერჩენილი მახვილი და ობობას ქსელი დაუშალა. გავიდა ცოტა ხანი და შენიშნა, რომ ისევ გაუბამს ქსელი და ისევ კუთხეში მიყუჟულა ობობა. ბრუსმა ახლაც თავისდა უნებურად ასწია მახვილი და კელავ ჩამოუშალა. ხოლო როცა მესამედაც გაბა ობობამ ქსელი, მეფე უკვე დაინტერესდა. წამოჯდა. და ალბათ ახლა გაუელვა იმ ბედნიერმა ფიქრმა. ახლა უკვე აქეთკენ მოიმართა მისი არეული გონება, კიდევ ჩამოშალა ქსელი და გაფაციცებით დაელოდა. შეჰყურებდა, როგორი დაუღლელი მონდომებით ტრიალებდა ობობა... მეოთხედაც გაბა, მეხუთედაც, მეექვსედაც...

ხოლო როცა მეშვიდედაც გაბა ქსელი, მეფეს გაკვირვება აღარ ეტყობოდა, მას უკვე ბედნიერი გადაწყვეტილების სხივი უნათებდა სახეს.

თუკი უსუსური მწერი ზედიზედ შვიდი დამარცხების შემდეგ მაინც გაუტეხელი სულითა და იმედით შეუდგა საქმეს, მე რაღა ღმერთი გამიწყრაო. და მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა ქოხიდან.

გადამწყვეტი ბრძოლა შოტლანდიელმა ხალხმა მოიგო.

ეს იყო ისტორიაში კარგად ცნობილი ბანოკბერნის ბრძოლა.

ეს ლეგენდაა. ლამაზი შოტლანდიური ლეგენდა. მაგრამ მართლაც რომ მომხდარიყო ასეთი რამ, ჩვენ მაინც ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს შემთხვევა უბრალო ბიძგი იყო. დიდი ისტორიული მოვლენები ასე უბრალოდ და შემთხვევით არა ხდება. მთავარი ფაქტორი, რამაც გატანჯულ ხალხს ისევ ააღებინა იარაღი გადამწყვეტი ბრძოლისთვის, ამ ხალხის გაუტეხელი სული იყო. მონობისადმი შეურიგებლობა. თავისუფლების სიყვარული.

მით უფრო მტკიცედ შეგვიძლია ესა ვთქვათ ჩვენს ხალხზე, რომელიც სხვადასხვა მტრის განუწყვეტელი შემოსევის, რბევისა და განადგურების მიუხედავად, არა ტყდებოდა და მტერს მუდამ მედგრად ხვდებოდა. ერთგან უკვე გავიხსენეთ ვახუშტისეული დახასიათება ჩვენი ხალხისა „ზნენი აქვნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის... გარნა თუ სძლია ვინმე მძლავრთაგანი, არა დაემორჩილიან“.

ამით აიხსნება საარაკო შეუპოვრობა, რაც ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიის იმ გრძელ მონაკვეთზე გამოიჩინა.

საარაკო შეუპოვრობა არა მარტო აჯანყებებსა და უთანასწორო ბრძოლებში გამოვლენილი, როცა იარაღშემართული ებრძოდა მასზე გაცილებით მრავალრიცხოვან მრისხანე მტერს, არამედ, და უმთავრესად, შემოქმედებით შრომაში გამოხატული, როცა იგი ათასჯერ დანგრეულსა და მიწასთან გასწორებულს კვლავ აშენებდა, აღადგენდა, ხატავდა, აქანდაკებდა, თხზავდა, ქმნიდა...

ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვნახავთ, რომ სწორედ ამ საშინელი რბევის წლებში, როცა მტერმა თითქოს სულ ჩაკლა სიცოცხლე პატარა ქვეყანაში, ჩვენს გაუტეხელ ხალხს ყანებში ახალი, გაუმჯობესებული იარაღი შეაქვს, ესე იგი, მეურნეობას აუმჯობესებს; ახალი ტაძრების კედლები ამოჰყავს და ხელში ფუნჯმომარჯვებული ამ კედლებზე ისეთ ფრესკებსა ხატავს, რაც მრავალი საუკუნის შემდეგ აღფრთოვანებაში მოიყვანს განათლებულ კაცობრიობას. გამანადგურებელი ნგრევის ხმა ესმის, ნიავს ცეცხლის კვამლი მოაქვს, დარწმუნებული არ არის, რომ ეს მისი ახალი ნაღვაწი გადაურჩება ცეცხლის ნიაღვარს, და მაინც ხატავს, მაინც ქმნის, რადგან კარგად აქვს შეგნებული, რომ ამითაც ამარცხებს მტერს — ამ მაღალი შემოქმედებით თავისივე ხალხს მორალურად ზრდის და ამაღლებს, სულიერ სიმტკიცესა და სიმხნეევს ჰმატებს, მტერს კი მიწასთან ასწორებს.

შოტლანდიური ლეგენდა ალბათ იმანაც გაგვახსენა, რომ ქართველ მწერალს ვასილ ბარნოვს ერთი თავისი რომანის მთავარი გმირიც სწორედ იმგვარადვე იმედმიხდილი ჰყავს დახატული, როგორც უცხოური ლეგენდის პერსონაჟი ვიხილეთ.

ამ ეპიზოდს რომანის დასაწყისშივე ეხვდებით. აქაც რომანის გმირი მეფეა. ქართველთა მეფე. საბედისწერო ბრძოლა გადაუხდია არაბებთან და, უთანასწორო შერკინებაში დამარცხებული და განადგურებული, გამოქცეულა. თან წამოუყვანია ცოლ-შვილი, ახლობლები, იმ სასტიკ ბრძოლაში გადარჩენილი მხედრობის ნაშთი და გეზი უცხოეთისაკენ აუღია, ბიზანტიას უნდა შეაფაროს თავი.

სწორედ ასე იწყება რომანი.

დამარცხებული მეფე საქართველოს სამხრეთში, სადღაც ფარავნის ტბის მიდამოებში თავისთვის მიგდებულა და უცნაურად გაოგნებულს, ფიქრის თავიც კი აღარა აქვს. დანა პირს არ უხსნის. განმარტოებულია. ახლოს არავის იკარებს. ერთგული მსახური შორიდან უთვალთვალებს, ახლოს მისვლას ვერა ბედავს. მეფის ოჯახი — დედოფალი და ორი უფლისწული — ცალკე კარავშია. ვერც დედოფალს გაუბედავს მეუღლესთან შესვლა.

თხრობის საერთო ტონისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების მიხედვით იგრძნობა: პატივმოყვარე დედოფალი გაბრაზებულიც კი უნდა იყოს მეფეზე, რომ მან მტერი ვერა სძლია და ასეთ დღეში ჩააგდო დედოფალიცა და უფლისწულებიც — ურემზე შესვა და უბრალო ხალხთან ერთად, უცხო ქვეყანაში გადასახვეწად დაძრა თავშესაფრის საძებნელად, როგორც ლატაკი და მაწანწალა.

ავტორთან ერთად ჩვენც მივყვებით მეფის არეულ ფიქრთა დენას. მწერალი თანდათან ამზადებს ნიადაგს, რომ იმ მოულოდნელ ბრძოლას, რომელიც მართლაც მოხდა და რომელმაც ქართველთა მეფეს ასევე „მოულოდნელი“ გამარჯვება მოუტანა, რაღაცნაირი საფუძველი მოუმზადოს; როგორც ზემოთ ნაამბობ ლეგენდაში ობობამ უშველა შოტლანდიის მეფეს, ისევე მოუძებნოს რომანის დასაწყისშივე საბოლოოდ გულგატეხილ ჩვენს მეფესაც რაღაც იმპულსი და ბიძგი, ისევე მოაბრუნოს მისი განწირული ფიქრთა დენა და შეუძლებელი შეაძლებინოს...

ეს მისია რომანის ავტორს მეფის ერთგული მსახურისთვის დაუკისრებია, ბრძენი და მამაცი ქართველი ვაჟკაცისთვის...

მაგრამ ჩვენ აქ შევჩერდეთ, ნულარ გავყვებით რომანის მსელელობას. ამ ეპიზოდს ისევ დავუბრუნდებით. ოღონდ ცოტა უფრო სხვა ვითარებაში ვიხილავთ მეფეს.

●

ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდი მერვე საუკუნის მიწურულსა თუ მეცხრე საუკუნის დასაწყისში მოხდა. სახელდობრ რომელ წელს, ამის დადგენა არ ხერხდება. პერსონაჟი რომანისა გახლავთ ქართლის ერისმთავარი აშოტ პირველი, შემდეგში მეფე, ვისაც ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატობაც უბოძა. ზოგი მას მხოლოდ კურაპალატად მოიხსენიებს. ქართველმა ხალხმა მაღალი არაოფიციალური ტიტულიც მიანიჭა — აშოტ დიდი უწოდა.

აშოტ პირველი მოღვაწეობდა მერვე საუკუნის დასასრულსა და მეცხრე საუკუნის დასაწყისში.

ზოგიერთ ისტორიკოსს უფრო ზუსტადაც აქვს განსაზღვრული მისი ზეობის წლები: 786—826. ასე აქვს ეს მოცემული ვახუშტი ბატონიშვილს. ამავე აზრისანი არიან მარი ბროსე, ივანე ჯავახიშვილი და ზოგი სხვა მეცნიერიც.

ჩვენ მოვერიდეთ ამ ტრადიციული განსაზღვრის განმეორებას, რადგან შემდეგი დროის გამოკვლევებში ეს თარიღები საეჭვოდ მიიჩნიეს. განსაკუთრებით გარდაცვალების თარიღი. კორნელი კეკელიძე, მაგალითად, დამაჯერებლად და ლოგიკურად ასაბუთებს, რომ აშოტ პირველის გარდაცვალების თარიღად შეუძლებელია 826 წელი მივიღოთ. ამ მოსაზრებას ზოგი სხვა მკვლევარიც იზიარებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს აშოტის ზეობის წლების განსაზღვრას, მკითხველის ყურადღებას აღარც შევაჩერებდით...

როგორც საისტორიო წყაროებით ირკვევა, აშოტის წინ ქართლის ერისმთავარი ყოფილა ადარნასე, აშოტის მამა; ადარნასეს წინ — სტეფანოზი; სტეფანოზის წინ — ნერსე, იოანე საბანის ძის ცნობილი მოთხრობის „ბოს წამების“ პერსონაჟი...

უფრო შორს ნულარ წავალთ.

ზემოთ ერთგან ითქვა, როგორ ელვის სისწრაფით იცვლებოდნენ არაბთა მმართველები ჩვენს ქვეყანაში. იმავე მიზეზების გამო ქართველ მთავრებსაც ძალიან მალ-მალე ცვლიდნენ (ცვლიდნენო, იმიტომ ვამბობთ, რომ ერისმთავრების დანიშვნასა და გადაყენებას, როგორც

ჩანს, ხალიფები განაგებდნენ) და ალბათ გაგვიძნელდებოდა კიდეც უფრო ღრმად წასელა და წინა ერისმთავრების ქრონოლოგიური რიგის დადგენა.

ეს ამჟამად არცა გვჭირდება.

ამჟამად ჩვენ ორი ერისმთავარი გვაინტერესებს.

თვალსაჩინოებისთვის სქემა მოვხაზოთ. ოღონდ ახლა წაღმა მოვჰყვეთ — ნერსე ერისთავით დავიწყოთ, რომელსაც მეტი სიცხადისთვის, პირობით, ნერსე მეორე ეუწოდოთ.

სქემა დაახლოებით ასეთი იქნება

როგორც ვხედავთ, ჩვენი სქემა, რომელიც სხვადასხვა ისტორიული წყაროს მიხედვით არის შედგენილი, ნერსეთი იწყება და მთავრდება აშოტით.

დროის მიხედვით ეს არის შედარებით პატარა მონაკვეთი, ისტორიული მნიშვნელობით კი იგი მეტად საგულისხმო და საყურადღებოა. პავლე ინგოროყვა ამ პერიოდს ახასიათებს, როგორც „ახალ ხანას", „მოსაბრუნ თარიღს"... და რაკი დროის ამ შედარებით მცირე მონაკვეთს ასეთი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, ჩვენც უფრო დაწვრილებით გავეცნოთ.

სქემაზე გამოსახულ ოთხ ერისთავთაგან ჩვენ განსაკუთრებით ორი განაპირა გვაინტერესებს — ნერსე და აშოტი. სწორედ მათ ხვდათ წილად, განსაკუთრებული როლი ეთამაშათ ერის ცხოვრებაში, ამათ დაეკისრათ ისტორიული მისია.

ამასთან, აშოტის სახელმწიფო მოღვაწეობა წყაროებში უფრო სრულად არის გაშუქებული, მისი საქმიანობა უფრო თვალსაჩინო და გამოკვეთილია, ორი მაღალი ტიტული აქვს მას — „მეფისა“ და „კურაპალატისა“, მოიხსენიება, აგრეთვე, როგორც „აშოტ დიდი“. იმ ეროვნული ღვაწლის მიხედვით, რაც სამშობლოს დასდო, იგი სავსებით იმსახურებს ამ არაოფიციალურ ტიტულს.

ნერსე?

ნერსეზე რისი თქმა შეიძლება?

ვინც დაკვირვებით გაეცნობა ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთს, უსათუოდ ის აზრი დაებადება, რომ ნერსე მეორის მოღვაწეობა ჩრდილშია მოქცეული, არა ჩანს, თითქოს საგანგებოდ არავის მოუცლია მისი ღვაწლის აღსანუსხავად. სამართლიანობა მოითხოვს, გაიფანტოს ის ბურუსი, რაშიაც მისი ღვაწლი გახვეულა და ღირსეულ მამულიშვილს თავისი მიეზღას. ეს იქნებ არც ისე ძნელი აღმოჩნდეს. მთავარია, სიყვარულით მოეკიდო საქმეს და ისტორიული წყაროების მიერ ძუნწად მოწოდებულ ცნობებში მეტი გაბედულებით ჩაიხედო.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში არეულია ამ პერიოდის ქართლის მმართველთა ზეობის წლები და თანმიმდევრობა. ამას თითქმის ყველა მკვლევარი უჩივის. მატიანის ამ მონაკვეთზე წერს კორნელი კეკელიძე — რაღაც ნაგლეჯები ისტორიული გადმოცემისა შემოუნახავს, მაგრამ ერთმანეთშია არეული ყველაფერიო. სხვა მკვლევარებიც მიუთითებენ, რომ ამ ადგილას რაღაც მონაკვეთი უსათუოდ ამოვარდნილია. სხვადასხვა წყაროს ცნობა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

ისტორიულ წყაროებში ნერსე მეორე გაკვრით არის მოხსენიებული, სასხვათაშორისოდ, სხვა უფრო მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით.

„მატიანე ქართლისა“, მაგალითად, გვაუწყებს; „რამეთუ მამა მისი ნერსე (ადარნასეს მამა), ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი და ძმა დემეტრესი, — ესენი გარდაცვალებულ იყვნეს“...

და მორჩა, მეტი არაფერი.

მეორე ისტორიული წყარო, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაც ასევე გაკვრით და სასხვათაშორისოდ გვაუწყებს: „და მერმე [ერისთავობდა] ნერსე და ძენი მისნი ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი“...

და აქაც მეტი არაფერი.

წმინდა საისტორიო წყაროები მეტს არაფერს იუწყებიან.

თუმცა არა. ერთ ძალიან მნიშვნელოვან საისტორიო წყაროშიც არის მოხსენიებული ნერსე ერისთავი. ეს არის „მოქცევაი ქართლისაი". ამ ძეგლის ერთ ვარიანტში ეკითხულობთ „და მერმე [ერისთავობდა] ნერსე დიდი და ძენი მისნი: ფილიპე და სტეფანოზი, ადარნესე და გუარამ... და ძენიეე ადარნესესნი აშოტ და გურგენ"...

ერთი სიტყვით, ასეთ ძუნწ ცნობებს გვაწვდიან წმინდა საისტორიო წყაროები.

მაგრამ ნერსე ერისთავი ანუ ნერსე მეორე მოხსენიებულია აგრეთვე ბელეტრისტიკაში, საყოველთაოდ ცნობილ მოთხრობებში — „აბოს წამებასა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში".

ოლონდ აქაც სხვა მოვლენებთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეს ადგილები ამ მოთხრობებიდან.

„აბოს წამებაში" ნაწარმოების მთავარი გმირი არაბი ჭაბუკი აბო ბაღდადიდან საქართველოში გამოპყვება არაბთა ტყვეობაში ნამყოფ ნერსე ერისთავს და აქ ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიღებს, რისთვისაც მაპმადიანები მას აწამებენ. ამავე მოთხრობაში, ასევე აბოს ამბებთან დაკავშირებით, ნახსენებია, რომ სარკინოზთაგან (არაბთაგან) კელავ ათვალწუნებული ერისთავი ნერსე ჯერ ხაზარეთში გადაიხვეწა თავისი მრავალრიცხოვანი მხლებლებითურთ, ხოლო იქიდან მერე დასავლეთ საქართველოში გადავა.

კიდევ უფრო მწირია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ცნობები. აქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ გრიგოლ ხანძთელი ნერსე ერისთავის ცოლის ძმისწული იყო და იზრდებოდა ნერსეს ოჯახში.

ეს არის და ეს.

ასე კანტიკუნტად ვხედებით ცნობებს ქართლის ერისმთავრის ნერსე მეორის შესახებ. და, როგორც ვნახეთ, ეს ძუნწი ცნობებიც უმთავრესად დაკავშირებულია სხვა მოვლენებთან. საგანგებოდ მასზე დაწერილი არაფერი შემოუნახავს ისტორიას. სავარაუდებელი კია, რომ ასეთი ნაწარმოები არსებობდა. ნაწარმოები, რომელშიაც გადმოცემული იქნებოდა ნერსე ერისთავის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. ალბათ, იყო ასეთი ნაწარმოები და, სხვა მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებთან ერთად, დაიღუპა. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ნერსეს მოღვაწეობის ფართო მასშტაბი და დიდი ეროვნული მნიშვნელობა.

გავიხსენოთ, როგორ ახასიათებს მას „მოქცევაი ქართლისაი".

„და მერმე [ერისთავობდა] ნერსე დ ი დ ი “...

ამავეს იმეორებს მერჩულეც:

„...სახლსა შინა სამეუფოსა დ ი დ ი ს ა ნერსე ერისთავისასა“...

ნერსე დ ი დ ი!

რითი იყო მაინც ნერსე ერისთავი დ ი დ ი?

ის მწირი ცნობები თითქოს ვერ გვიხსნის იმას, რაც ჩვენ გვაინტერესებს. ვერ გვაგებინებს, რატომ უწოდეს ნერსეს „დ ი დ ი“? რა გმირობისთვის? რა განსაკუთრებული დამსახურებისთვის? რა ასეთი ღვაწლი მიუძღვის ერისა და ქვეყნის წინაშე? ისე ხომ ამ წოდებას არავინ მიანიჭებდა! მეფის ტიტული შეიძლება ჰქონდეს ულირსსა და ხალხისთვის უსარგებლო ადამიანს — რამდენი ამისთანა მაგალითი შეგვიძლია დაეასახელოთ.

იმის მაგალითიც ბევრი ვიცით, როცა ოფიციალური ტიტულები არა ხალხის წინაშე დამსახურებისთვის, არამედ გარკვეული დიპლომატიური მოსაზრებით მიუბოძებიათ ქვეყნის მმართველებისთვის. სწორედ იმ პერიოდში ბიზანტიის კეისრებმა რამდენი მეზობელი სახელმწიფოს მმართველს ჩამოურიგეს კურაპალატისა და მაგისტროსის მაღალი წოდება! ალბათ ანგარიშიც გაგვიჭირდება... ამით ისინი საკუთარ საქმეს აკეთებდნენ, ერთგულ ხალხს იმრავლებდნენ, იმ ქვეყნებში არეულობა შეჰქონდათ, თავიანთი დიდი იმპერიის ძლიერებას ამაგრებდნენ.

ამ არაოფიციალურ ტიტულს კი ჭეშმარიტი დამსახურებისა და დიდი მამულიშვილობისათვის ანიჭებდნენ... და ამაში ხალხი არასოდეს ცდება.

ეტყობა, ნერსე ერისთავს აქვს ქვეყნისა და ხალხის წინაშე ასეთი დამსახურება და ჩვენთვის ცნობილი არ არის. სამართლიანობა მოითხოვს, გაიფანტოს ის ბურუსი, რაშიაც მისი ღვაწლი გახვეულა და ღირსეულ მამულიშვილს თავისი მიეზღას.

იქნებ, მოხერხდეს...

ჯერ ვცადოთ სქემაზე გამოსახული ერისთავების ნათესაური ურთიერთობისა და ზეობის თარიღის განსაზღვრა.

როგორც ვნახეთ, სუმბატ დავითის ძის ცნობით, ნერსეს შვილები არიან სტეფანოზი, ადარნასე და ფილიპე, ხოლო ადარნასეს შვილები — აშოტი და გურგენი.

თითქმის ასეთივე ცნობას გვაწვდის „მოქცევაი ქართლისაი“; აქაც ნერსეს ძენი არიან ფილიპე, სტეფანოზი და ადარნასე, და ადარნასეს ძენი — აშოტი და გურგენი.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვითაც, ადარნასეს მამაა ნერსე, ადარნასეს ძმები არიან ფილიპე და სტეფანოზი და ადარნასეს შვილია აშოტი.

ამრიგად, თუ ამ ცნობებს ვირწმუნებთ, გამოდის, რომ ნერსე მამა იყო სტეფანოზისა და ადარნასესი, და პაპა — აშოტისა.

მაგრამ იოანე საბანის ძის მიხედვით, ხაზარეთსა და შემდეგ დასავლეთ საქართველოში ლტოლვილი ნერსეს მაგივრად ხალიფა მაჰდიმ ქართლის ერისთავად დანიშნა ნერსესავე დ ი ს წ უ ლ ი (და არა შვილი) ს ტ ე ფ ა ნ ო ზ ი.

ეს ცნობა ზემომოყვანილ საისტორიო წყაროების ცნობებს არ უთავსდება.

იქნებ, ნერსეს ჰყავდა შვილიც სტეფანოზი და დისწულიც, თავისი შვილის სეხნია?! იქნებ, ორივე სტეფანოზმა იერისმთავრა სხვადასხვა დროს ქართლში, და ეს ქრონოლოგიურად არეულია წყაროებში?!

ძნელი დასაჯერებელია, რომ თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში ორ სტეფანოზს ემეფოს, ამასთან ერთი შვილი ყოფილიყოს ძველი ერისმთავრისა, მეორე — დისშვილი, და ეს მოვლენა საგანგებოდ არ იყოს აღნიშნული რომელიმე საისტორიო წყაროში. უფრო მოსალოდნელი ის არის, რომ ერთ-ერთი წყარო ცდება და ერთმანეთში ურევს შვილსა და დისშვილს.

ამასთან, მხოლოდ იოანე საბანის ძე ამბობს, რომ სტეფანოზი დისშვილი იყო ნერსესი, დანარჩენი წყაროები ამ ვერსიას არ ადასტურებენ. იმ წყაროებში სტეფანოზი შვილად არის მოხსენიებული.

ალბათ სწორედ ამ წყაროებს უნდა ვერწმუნოთ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იოანე საბანისძის ცნობა ცალად არის, ხოლო იმ ფაქტს, რომ სტეფანოზი ნერსეს შვილია, რამდენიმე წყარო იმეორებს.

არა, უმთავრესად იმიტომ უნდა ვერწმუნოთ იმ წყაროებს, რომ იქ სწორედ ეს საკითხია მთავარი, საგანგებოდ ამისთვის დაწერილი, ავტორები საგანგებოდ შთამომავლობითი თანამიმდევრობისა და ქრონოლიგიის ცნობებს გვაწვდიან, სხვას არაფერს. იოანე საბანის ძის მოთხრობაში კი წინა პლანზე სულ სხვა საკითხია წამოწეული და ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა. ამიტომაც, უფრო სავარაუდებელია, სწორედ აქ ვეძიოთ კალმისმიერი ლაფსუსი — ან ავტორისავე მიერ დაშვებული, ან შემდეგი დროის გადამწერებისაგან.

როცა „აბოს წამებას“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

მოცემულ ცნობებს ადარებს ერთმანეთს, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: „გიორგი მერჩულე სცდება მხოლოდ, როდესაც ამბობს, ვითომც ნერსე უშვილო ყოფილიყოს: მას, როგორც აბო თბილელის მარტვილობიდან ჩანს, შვილები ჰყოლია“.

მეცნიერი აღარ დაინტერესებულა გაეშიფრა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ნერსეს შვილები. ალბათ იმიტომაც, რომ ეს ძალიან გარკვევით არის ნათქვამი ზემონახსენებ საისტორიო წყაროებში.

ახლა იმ ერისთავთა ზეობის თარიღსაც გადავხედოთ.

როდის გახდა ნერსე ქართლის ერისთავი, წყაროების მიხედვით ცნობილი არ არის. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი ერისთავი ყოფილა 772 წელს. იოანე საბანისძის ცნობით, სწორედ ამ წელს დაიბარა იგი ხალიფამ ბაღდადში.

არ არის ცნობილი არც ის, ვინ ერისმთავრობდა ქართლში იმ სამ წელიწადს, როცა ნერსე ხალიფას საპყრობილეში იყო, ბაღდადს.

იქნებ, მისი რომელიმე შვილი?

იქნებ, სწორედ ის ფილიპე, რომლის ერისმთავრობის თარიღი და დრო საერთოდ უცნობია, ხოლო წყარო კი თითქოს გვაუწყებს მის ერისმთავრობას („და მერმე [ერისთავობდა] ნერსე და ძენი მისნი ფილიპე“ და ა.შ.). მით უმეტეს, რომ ნერსეს შვილების (შემდგომში ერისთავებად მოსხენებულების) ჩამოთვლის თანამიმდევრობა სწორედ ასეთია: ფილიპე, სტეფანოზი, ადარნასე...

ნერსე ხელმეორედ ერისმთავრობის ტიტულს იღებს 775 წელს და მთელს 5-6 წელიწადს ერისმთავრობს. 780-781 წელს კი კვლავ განურისხდებიან.

და ამ დროს, როგორც ვიცით, იგი ჯერ ხაზარეთში გადაიხვეწება, მერე — დასავლეთ საქართველოში. ხალიფა მაპდი ერისთავობას უბოძებს სტეფანოზს.

გამოხდა ამის შემდეგ ხანი და ნერსე კვლავ შეიწყნარეს, თბილისში დაბრუნების ნება მისცეს, ოღონდ ერისთავობა აღარ დაუბრუნებიათ, ერისთავად ალბათ კვლავ სტეფანოზი რჩება.

რომელ წლამდეა სტეფანოზი ქართლის ერისმთავარი?

ზემოთაც ითქვა, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, 786 წლიდან ქართლის ერისმთავარია აშოტ I. თუ ამ ცნობას ვერწმუნეთ, მაშინ 780 (781) წლიდან ნერსეს ქართლიდან გადახვეწის შემდეგ, რამდენიმე წელიწადს უერისმთავრია სტეფანოზს. როგორც ჩანს, 786 წლამდე.

კორნელი კეკელიძე საეჭვოდ მიიჩნევს ამ თარიღს, თუ „786 წლიდან ერისმთავრობს (ტრადიციით) აშოტი, როდისღა ერისმთავრობდა

სტეფანოზი?“ –კითხულობს იგი და ამდენად საეჭვოდ მიიჩნევს, რომ აშოტი 786 წლიდან ყოფილიყოს ქართლის ერისთავი.

თანაც, სტეფანოზის შემდეგ ერისმთავრად მოხსენიებულია ადარნასე.

ადარნასეს როდისღა უნდა ეერისმთავრა? თითქოს ჩიხში შევდივართო, ამბობს მეცნიერი.

ჯერ სტეფანოზის ზეობის საკითხს მივხედოთ. აქ თითქოს არაფერი უნდა იწვევდეს ეჭვს: სტეფანოზმა იერისმთავრა ნერსეს ხაზარეთსა და აფხაზეთში გამგზავრების შემდეგ — ესე იგი, 780 (თუ 781) წლიდან... ხოლო რაკი აშოტი 786 წლიდან ერისმთავრობს, თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ, რომ სტეფანოზს სწორედ 786 წლამდე უერისმთავრია.

მოკლე ზეობა ჰქონია.

ან კი რა გასაკვირია: არეული დროა, გარედან მტრები უტევენ (და საიდან აღარა!), ქვეყნის შიგნით სისხლიანი ტერორი მძვინვარებს, მომრაველებული მთავრები ერთმანეთს არ ინდობენ და განუწყვეტელი ურთიერთბრძოლა აქვთ, ქვეყნად ცუდი ხალხი მომრაველებულა — ღალატი, დასმენა, ორგულობა და გაუტანლობა ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარა. ძნელია ასეთ პირობებში ქვეყნის მართვა...

იქნებ სტეფანოზიც იმ საშინელი ტერორის მსხვერპლი გახდა! იქნებ მისი ერისმთავრობიდან გადაყენების მიზეზი არც ისე ძნელი დასადგენი იყოს!

როგორც ცნობილია, 786 წლის 6 იანვარს არაბი ჭაბუკი აბო, რომელმაც მაჰმადის რჯული დაგმო და ქრისტიანობა მიიღო, აწამეს და დაწვეს. ეს არ იყო ადამიანის ჩვეულებრივი დასჯა. არაბებმა გადაწყვიტეს, სხვების დასაშინებლად, საგანგებოდ დაესაჯათ რჯულის მოღალატე არაბი, რათა სხვას აღარ აღძვროდა ამნაირი სურვილი, სხვას აღარ გაებედა ღალატი. თავიანთივე თანამემამულეების დაშინებაც უნდოდათ ამით და ქართველებისაც, მაგრამ ვერ მოზომეს, ვერ გაითვალისწინეს, როგორი გამოხმაურება ექნებოდა ერთი უბრალო ჭაბუკის დასჯას და მოტყუვდნენ.

აბოს წამება ფაქტიურად დიდი პოლიტიკური სკანდალი გამოდგა.

თქვენ ალბათ გეხსომებათ, რა მოჰყვა ამას.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ხალხის დაშინება უნდოდათ არაბებს და პირიქით კი გამოუვიდათ.

ხალხმა დაივიწყა შიში, თითქოს უფრო გამამაცდა.

იოანე საბანისძე აკი პირდაპირ წერს:

„მაშინ იწყო ს ი მ რ ა ვ ლ ე მ ა ნ ქალაქისამან ქრისტეანეთამან და გ ა ნ ა გ დ ე ს შ ი შ ი მძლავრთაი მათ და განვიდოდეს ყოველნიეე ადგილსა მას... მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თეისითა, მკელობელნი (ხეიბრები) ვლდომით (ხტომით, სირბილით), ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი ხდომით... რბიოდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ხელითა თეისითა“...

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა — მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, ბავშვი, ხეიბარი თუ ჯანსაღი სულ გამოეფინა; ათეული წლობით დაგუბებულმა ბოლმამ ერთბაშად იფეთქა; ნიაღვარივით მომსკდარი ხალხი ვეღარავინ დააკავა, ვეღარავინ დაუდგა წინ, ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, თავი მოიყარეს აბოს წამების ადგილას, დღევანდელი მეტეხის ტაძრის მიდამოებში, შეეფინენ იმ კლდესა და ფერდობს და აღარც დაშლილან. საღამოსაც იქ იყვნენ. ღამე იქ გაათენეს. არც მომდევნო დღეებში დაშლილან.

თავისი მნიშვნელობით ეს ყოველგვარ აჯანყებაზე უფრო საშიში და საგულისხმო მოვლენა იყო.

აჯანყებას იმ პირობებში შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ვთქვათ, ლოკალური მნიშვნელობის სამხედრო გამარჯვება. ისიც იდეალურ შემთხვევაში! ეს კი დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო, რომლის რეზონანსი გასცდა ვიწრო საზღვრებს და ძალიან შორს გავარდა.

ამ გამარჯვებას სხვა სიკეთეც ჰქონდა. ქართველ ხალხს, რომელიც არაბთა ამდენი ხნის ბატონობის შემდეგ დაიქანცა, წელში გაწყდა და ლამის გამარჯვების რწმენაც შეერყა, რწმენას უნერგავდა, ამხნევებდა, ახალი ბრძოლებისკენ მოუწოდებდა. ეს იყო ერთგვარად იდეოლოგიური ნ ი ა დ ა გ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა, მომავალი დიდი ბრძოლების შესავალი არაბთა ბატონობისგან განთავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის.

აკი არც დააყოვნეს და, თითქოს ყველაფერი წინასწარვე მოუფიქრებიათო, იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულსა და განათლებულ კაცს ამ დიდად მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა დაავალეს.

მხატვრული აღწერა. მეტი ემოციური ზემოქმედებისთვის!

თანაც ხომ ხედავთ, რა კონკრეტული მიზანდასახულობა აქვს ნაწარმოებს! „ნეიტრალური“ აგიოგრაფიული მოთხრობა კი არ არის — მგზნებარე მანიფესტია. მოწოდება მორალური განწმენდისა და გაერთიანებისკენ.

და გაისმა კიდეც იგი, როგორც დიდი მოწოდება, როგორც

დასაწყისი ფართო მასშტაბის განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

არა. ეს ისეთი მასშტაბის პოლიტიკური აქტი იყო, რომ ვერავითარი სამხედრო აჯანყება ვერ შეედრებოდა. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამას არაბი ხელისუფალნი ვერ მიხვდნენ.

გაუგონარი რამ მოხდა: რამდენიმე დღეც კი არ გასულა ამ ამბების შემდეგ და უკვე ლეგენდად მოედო მთელს ქვეყანას. აღფრთოვანებით უამბობდნენ ერთმანეთს, თუ როგორ დაადგა კაშკაშა ვარსკვლავი იმ ადგილს, სადაც ჭაბუკი დაწვეს, როგორ გამოსცა ნათელი მდინარემ იმ ადგილას, სადაც ჭაბუკის „ძუალნი... შთაყარნეს“.

გაიხსენეთ, როგორ აღწერს ამას მწერალი:

„...გამოუტეეებდა ბრწყინვალებასა არა თუ ეითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაი, არამედ ვითარცა საშინელებაი ელვისაი, რომელსა ჰხედვიდეს ყველანი მოქალაქენი, მსაჯულიცა იგი და ყოველი ერი და მკვიდრნი იგი ქრისტეანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხვით მოსრულნი“...

დიდხანს არ დამცხრალა ეს არაბთათვის ყოველად გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი სკანდალი. ექო შორს გაიჭრა და არა მარტო ახლომახლო კუთხეებს, სხვა დაპყრობილ ქვეყნებსაც მისწვდა. თვით არაბთა ჯარის ნაწილებსაც მოედო...

ზემოთ მოტანილი ციტატის ბოლო ორ სიტყვასაც დააკვირდით — „ს ხ ვ ი თ მ ო ს რ უ ლ ნ ი“. ავტორი ჩამოთვლის, ვინ იხილა ის დიდი საკვირველება (იმ ნათლის „ბრწყინვალება... ვითარცა საშინელებაი ელვისაი“): მოქალაქეებმაც (ე. ი. ქალაქის მცხოვრებლებმა), თვით მსაჯულმაც, ვინც ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა აბოს, ყოველმა ერმა და მკვიდრმა (ე. ი. ქართველმა), სარკინოზებმაც (აქ მუდმივად მცხოვრებლებმაც და გარნიზონის ჯარისკაცებმაც) და „მწირნიც სხვით მოსრულნი“ — ე. ი. სულ უცხო ხალხიც მოსულა.

აი, რა მასშტაბი ჰქონია ამ საოცარ მოვლენას.

და ეს ყველაფერი მოხდა ქართლში სტეფანოზის ერისმთავრობის დროს, სტეფანოზისავე სასახლეში შეხიზნული ჭაბუკის გამო, რომელსაც, ამის წინ, თვითონ სტეფანოზმა უთავდება და მფარველობდა არაბთა ამირასგან, როცა იგი ჭაბუკის გადარჯულებას ცდილობდა. წააქეზებდა კიდეც...

ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ სტეფანოზი გადააყენეს ერისმთავრობიდან.

ან იქნებ ისიც მოკლეს!

ეს მოხდებოდა სწორედ 786 წელს.

სტეფანოზი ვინღა შესცვალა — ადარნასემ თუ აშოტმა?

ვახუშტი ბატონიშვილს იქნებ ჰქონდა სხვა რამ წყარო (რაც ახლა აღარა ჩანს), რის მიხედვითაც ეს თარიღი აშოტის გაერისმთავრების თარიღად მიიჩნია.

ადარნასე?

ადარნასეც ხომ მოხსენიებულია, როგორც მთავარი, ხოლო მისი ზეობის დრო კი ვერ დგინდება! ისე ზუსტად გამოიკვეთა ყველა მთავრის ზეობის წლები, რომ ადარნასესთვის „ადგილი" აღარ რჩებოდა.

რითი შეიძლება ავხსნათ ეს?

ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა კი იმას დავუბრუნდეთ, რომ აშოტი ნერსეს შვილიშვილია (ან ძალიან ახლობელი) და იზრდება ნერსე ერისთავის ოჯახში, ნერსეს ხელმძღვანელობით, იმ სულისკვეთებითა და განწყობილებით, რაც ამ ოჯახში სუფევდა.

მაინც რა სულისკვეთება სუფევდა ერისმთავარ ნერსეს ოჯახში და სამეფო კარზე?

●

დიდ სიმართლეს ისე ვერ დაადგენ, თუ მოვლენას შორიდან არ შეხედე, თუ მთლიანობაში არ აღიქვი და არ განიხილე, და ამ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტები ერთმანეთთან არ დააკავშირე, თუ ამ ფაქტების ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შესწავლით დაკმაყოფილდი.

აბა, ისევ მივუბრუნდეთ იმ, ერთი შეხედვით, მწირ ცნობებს, რაც ნერსეს შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს შემოუნახავთ. გავშალოთ ეს ძუნწი ცნობები, ზოგი რამ ვივარაუდოთ. უფრო ცოცხალი სურათის დახატვა ვცადოთ.

მურვან ყრუს მრისხანე ლაშქრობის შემდეგ ოცდაათ წელზე მეტმა განვლო. ერთიანად აოხრებული და განადგურებული საქართველო ჯერ კიდევ არ იყო „მოგებული კუალსა თვისსა", ჯერ ისევ არ გამქრალიყო გულქვა სარდლის მიერ დანთებული ხანძრის ნაღვერდალი, ირგვლივ შიმშილი დათარეშობდა. უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი ჯერ ისევ მოუშუშებელი ჭრილობებისგან

კვნესოდა, „ადგილ-ადგილ“ ჯერ ისევ ისმოდა მრისხანე ლაშქრის მიერ დატოვებული სენისგან გათანგულ ადამიანთა გმინვა...

გატანჯული ხალხი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ ახლა ხაზარების გამანადგურებელი შემოსეულა განიცადეს.

ამ ლაშქრობის რადიუსი უფრო პატარა იყო, სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოს აღარ მისწვდომია, მაგრამ შიდა ქართლი და მისი დედაქალაქი კი ერთიანად დაანგრია და ააოხრა, ჭრილობამოუშუშებელი ხალხი გაჟლიტა...

ნულარ გამოვუდგებით იმ ცალკეულ ბრძოლებსა თუ დარბევებს — ზოგჯერ შედარებით პატარა მასშტაბისას, ზოგჯერ საკმაოდ დიდსა და გამანადგურებელს — რაც პერიოდულად მუდამ ხდებოდა და იმ წლებშიაც ბევრი განიცადა საქართველოს სხვადასხვა კუთხემ...

ქვეყანა თალხით შეიმოსა. სიცოცხლე ჩაკვდა. იმედი გადაიწრიტა. ირგვლივ ყოველგვარ ჭირზე უფრო საშინელმა ჭირმა — სასოწარკვეთილებამ დაისადგურა. ერის ცხოვრებაში ისეთი საბედისწრო ჟამი დადგა, რასაც ზოგჯერ სრული გადაშენება მოჰყვება ხოლმე.

ალბათ სასოწარკვეთილებისა და განწირულების ასეთი ჟამი უძღოდა წინ იმ დიდი ერების საბოლოო გაქრობასა და გადაშენებას, რომლებიც ერთ დროს თავიანთი დიდი კულტურით, ძლიერებით ბრწყინავდნენ, მერე კი ერთიანად ჩაქრნენ, გაცამტვერდნენ, ისტორიას მხოლოდღა წარსული ელვარებით შემორჩნენ...

დიდი ეროვნული პოტენცია და გაუტეხელი სული უნდა ჰქონდეს ხალხს, რომ ამ საშინელ განსაცდელს გაუძლოს. ამ დიდი პოტენციის სხივი ჯერ სადღაც, რომ არ მოელი, ისეთ ადგილას გაიელვებს ხოლმე, როგორც ნიშანი — არ გავმქრალვარო. ისეთ რამეში გამოელინდება, რასაც არც ელი და ვერც წარმოიდგენ.

და ჩვენი ხალხის იმ საშინელი სასოწარკვეთილებისა და უიმედობის უდაბნოში ასეთი ოაზისი ნერსეს ოჯახი გამოდგა. აქ აინთო განმათავისუფლებელი მოძრაობის ლამპარი, აქ ჩაისახა ქვეყნის გაერთიანების იდეა. აქ შემუშავდა და ჩამოყალიბდა ამ დიდი ეროვნული საქმის კონკრეტული ღონისძიებანი.

როგორც უკვე ითქვა, ეს ისტორიული მისია წილად ხვდა ნერსე მეორეს.

მეცნიერები ადამიანის თავის ქალის მიხედვით ნაკვთების მოხაზულობას აღადგენენ; მის ფიზიონომიას, გამომეტყველებას, იერს აცოცხლებენ... ისე განვითარდა მეცნიერება, რომ ნახატზე

აღბეჭდილი სახის ნაკვთების მიხედვით ახლა უკვე ხმის აღდგენასაც ცდილობენ. ბუნებაში არის კანონზომიერება, რაც განზოგადების საშუალებასაც იძლევა...

ჩვენც ვცადოთ: ზოგიერთი შტრიხით თუ დეტალით, რაც ნერსეს შესახებ ვიცით, ამ შესანიშნავი ადამიანის ხასიათი მოვხაზოთ.

ნათელი კაცია, გულღია, გულკეთილი, გულმოწყალე და თანამგრძნობი, ადამიანებთან ურთიერთობაში რბილი და დამთმობი, მაგრამ პრინციპულ საკითხებში მტკიცე და გაუტეხელი, ტკბილმოუბარი და თავის ქვეყანაზე ლამის ფანატიკურად შეყვარებული; ის ბედნიერი მადლი აქვს, რაც ადამიანის გულს ერთბაშად მოიგებს და მისდამი ნდობით განაწყობს; აქვს საოცარი უნარი — თავისი განცდები და განწყობილებანი სხვასაც გადასდოს, და კიდევ ერთი მადლი: თვითონაც ადვილად მიენდობა ადამიანს, და უყვარს ახალგაზრდები. მისი დიდი სიბრძნე აქედან იწყება – ქვეყნის მომავალი ახალგაზრდებს ეკუთვნის და ყველაზე აქტიურად სწორედ მათ უნდა იზრუნონ მომავლისთვის. უაღრესად განათლებული და შორსმჭვრეტელი კაცია. ცოლიც განათლებული და სათნო შეხვდა („კეთილადმსახური", მერჩულეს სიტყვით რომ ვთქვათ).

ამ მშვენიერმა ოჯახმა თანდათანობით შემოიკრიბა განათლებული და ქვეყნის ბედით შეწუხებული ადამიანები... პაველე ინგოროყვას მახვილმა ინტუიციამ ძალიან მარჯვედ შენიშნა: „ნერსე II-ის „კარის სამეუფეო", როგორც ირკვევა, გარს იკრებდა იმდროინდელს ქართულ განათლებულ წრეებს. ასე, ნერსე II-ის წრის მოღვაწეა განთქმული მწერალი იოანე საბანისძე, ქართული ეროვნული იდეოლოგიის ეს უდიდესი ბაირახტარი ადრეულ საშუალო საუკუნეებში".

ნერსემ იშვილა და აღზარდა მომავალში სახელგანთქმული ქართველი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, თავისი ცოლის ძმისწული. ნერსეს ცოლმა თვითონვე აღზარდა ბავშვი („აღზრდილ იყო ხელითა კეთილადმსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისაითა").

რა თქმა უნდა, სხვა აღმზრდელებიცა ჰყავდა სამეფო კარზე. გრიგოლ ხანძთელს დიდი და მრავალმხრივი განათლება მიუღია.

ამას მოთხრობის ავტორი გვაუწყებს: „...მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ხმითა სასწაველი სწავლაი საეკლესიოი, სამოძღუროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა, და მწიგნობრობაიცა ისწავლა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეიცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად"...

რამდენიმე ენის მცოდნეა, „საღმრთონი წიგნნი“ ხომ კარგად შეისწავლა, რადგან სასულიერო სამსახურისთვის ემზადებოდა, ღრმადა და საფუძვლიანად შეუსწავლია აგრეთვე სამოქალაქო მეცნიერებანი — „სიბრძნეიცა ამისა სოფლისა ფილოსოფოსთაი“. შეუსწავლია მჭევრმეტყველებაც („რაჟამს იტყვიან, ბრძნად აღაღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა“).

იმგვარად გადმოგვცემს ამას მოთხრობის ავტორი, რომ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო მიხვდე, გრიგოლს რამდენიმე ერუდირებული და გამოცდილი მასწავლებელი ჰყოლია. უფრო მეტიც — აქ სწავლების მთელი სისტემა იგულისხმება, ერთგვარი სკოლაც ყოფილა სამეფო კარზე.

აქედანვე კარგად ჩანს, როგორი სამეფო კარი ჰქონია ნერსეს.

გრიგოლს მეგობრებიცა ჰყავს, რომელთაც ალბათ აქვე მიუღიათ განათლება — თავისივე დეიდაშვილი საბა (შემდეგში იშხნის „მეორედ მაშენებელი“ და ეპისკოპოსი), თეოდორე („ნეძვისა მაშენებელი და მამაი“), ქრისტეფორე („კვირიკეთისა მაშენებელი და მამაი“).

დააკვირდით ერთ არცთუ უმნიშვნელო დეტალს: ოთხივე მეგობარი მოღვაწეობის ასპარეზად სამხრეთ საქართველოს აირჩევს!..

პირველად ეს ოთხი მეგობარი გაემგზავრება სამხრეთ საქართველოში.

მერე სხვებიც ჩააკითხავენ!

მოთხრობაში გადმოცემულია, როგორ ჩააკითხავს ხანძთელს სამხრეთ საქართველოში სამოღვაწეოდ გამზადებული ახალი ჯგუფი, რომელსაც, ეტყობა, უფრო მოგვიანებით დაუმთავრებია ჩვენს მიერ ნაგულისხმევი სასწავლებელი.

„მას ჯამსა მოვიდეს მამაი ეპიფანე და მღდელი მატოი ქართლით, და დიდი ზენონ სამცხით, — ვკითხულობთ მერჩულეს მოთხრობაში, — რამეთუ ეპიფანე და მატოი პ ი რ ვ ე ლ ვ ე მ ე გ ო ბ ა რ ი ყ ვ ნ ე ს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანძთად“.

როგორც ვხედავთ, ეპიფანე და მატოი თავიდანვე, ძველთაგანვე მეგობრები ყოფილან გრიგოლისა.

მეგობრებიო, ხაზს უსვამს მოთხრობის ავტორი.

მაინც როდიდან? როდიდან ყოფილან გრიგოლის მეგობრები? სად შეხვდნენ ერთმანეთს? სად დამეგობრდნენ? გრიგოლი აკი ნერსეს ოჯახში იზრდებოდა!

სავსებით შესაძლებელია, და ალბათ ასეც უნდა ვიფიქროთ: ამ ახალგაზრდებმაც იქვე მიიღეს განათლება, ნერსეს სამეფო კარზე. თავიდანვე იყვნენ გამზადებულები სამოღვაწეოდ.

ალბათ სხვებიც არიან აქ, სხვა ახალგაზრებიც...

და მერე ისინი ერთ კუთხეში სამოღვაწეოდ გაემგზავრებიან — სამხრეთ საქართველოში, საიდანაც გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს გაერთიანება დაიწყება“!

შემთხვევითია ეს მოვლენა?

ის, რომ მერჩულეს მოთხრობაში არ არის მითითებული, სად მიიღეს ამ ახალგაზრდებმა განათლება, არაფერს ნიშნავს. წიგნი დაწერილია გრიგოლ ხანძთელზე, რომელიც თავისი განათლების, მოწოდებისა და მოღვაწეობის მასშტაბით არა მარტო მეგობრებზე, არამედ საერთოდ თანამედროვეებზე მაღლა დადგა და დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმეების მესვეური შეიქნა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, საგანგებოდ გრიგოლ ხანძთელზე დაწერილ მოთხრობაში იმ ახალგაზრდების განათლების წყაროებს რომ არ მიუთითებს ნაწარმოების ავტორი (სხვათა შორის, მერჩულე ერთგან მოუბოდიშებს კიდეც მკითხველს: ა მ ა თ ზ ე დ ა-წ ე რ ი ლ ე ბ ი თ ა რ ა ვ წ ე რ, მეშინია, მოთხრობა ძალიან არ გამიგრძელდესო). მათი მეგობრობისა და იდეური თანაზიარობის ავტორისეული დახასიათება ამას და ბევრ სხვა რამესაც ისედაც მიგვანიშნებს: „ესე ოთხნი (იგულისხმება გრიგოლ, საბა, თეოდორე და ქრისტეფორე — ესე იგი, სამხრეთ საქართველოში გამგზავრებული პირველი ჯგუფი) შეანაწევრნა სარწმუნოებამან და სამღრთომან სიყუარულმან, შეამტკიცნა ე რ თ ზ რ ა ხ ვ ა დ შ ე კ რ ე ბ უ-ლ ნ ი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“.

ამრიგად, ნერსეს სამეფო კარზე ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებს. აქ ბევრს ფიქრობენ, მსჯელობენ, კამათობენ თავიანთ დღევანდელ ყოფაზე, ხვალინდელ დღეზე, ერის ბედზე, მის მომავალზე.

მაგრამ იქვე ჯაშუშებიც მოახერხებდნენ შეპარვას, საგანგებოდ მიგზავნილი ჯაშუშები, რომელთაც სისტემატურად უნდა ჩააბარონ ანგარიში ამირასა და ხალიფას მოხელეებს, თუ რა ხდება ქართლის ერისმთავრის კარზე, რა განწყობილებაა, რას ლაპარაკობენ, რა გუნებაზე არიან (აქვე შევნიშნავთ — ქართლის ერისთავის რეზიდენცია თბილისშივე იყო, ალბათ არაბთა ამირას რეზიდენციიდან არც თუ ძალიან დაშორებით. ივანე ჯავახიშვილს ეს საყოყმანოდ არ მიაჩნია).

და, ჰა, გახშირდა დასმენები („შესმენითა ბოროტთა კაცთაითა..“)! ქართლის ერისმთავარი საეჭვოდ იქცევა. მის ოჯახში მუდამ

ხალხმრავლობაა. მუდამ საეჭვო საგნებზე საუბრობენ. სულ საქართველო და მისი ბედი აკერიათ პირზე. სულ მონობასა და უცხო შჯულზე მოთქვამენ...

ასეთი იქნებოდა ბრალდება, რის გამოც 772 წელს სასტიკი ხალიფა მანსური ქართლის ერისმთავარ ნერსეს ბაღდადში იბარებს.

მათი დიალოგის მიახლოებითი აღდგენა იქნებ არც ისე ძნელი იყოს. ასეთი დიალოგები ხშირად ჰქონიათ ქართველ მმართველებს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებთან. ჩვენ ერთხელ უკვე მოვისმინეთ ასეთი დიალოგი, როცა სომხეთისა და ალბანელების მმართველებთან ერთად ქართლის მმართველი არშუშა დაიბარეს სპარსეთის სამეფო კარზე და მერე იქვე დაიტოვეს „მძევლად", რადგან მისი საუბარი არ მოეწონათ. ეს მეხუთე საუკუნის დასაწყისში მოხდა.

ხალიფა მკაცრად შეახსენებდა — შენ ერისმთავრობა იმიტომ გიწყალობეთ, ხარაჯა დროზე შეგვიკრიბო და წესიერად გვიგზავნო, თუ საჭირო გახდა, თქვენი მხედრობაც დაგვახმარო და იმ თქვენს მოურჯულებელ ხალხს ურჩიო, ჭკვიანად იყოს, სანამ ძალით არ მოგვირჯულებიაო. საეჭვო შეკრებები და თავისუფალი ლაპარაკი რა თქვენი საქმეაო!..

ერისმთავრის მომხიბლავმა ბუნებამ, ეტყობა, სულაც არ მოხიბლა მრისხანე მბრძანებელი. პირიქით, გააბრაზა და საპყრობილეში ჩააგდო.

და ვინ იცის სადამდე იქნებოდა ქართლის ერისმთავარი საპყრობილეში, რომ სამი წლის შემდეგ ხალიფა არ მომკვდარიყო.

ახალმა ხალიფამ — მანსურის შვილმა მაჰდიმ — ნერსე საპყრობილედან გამოიყვანა, კვლავ დაუბრუნა ერისმთავრობა და სამშობლოში გამოისტუმრა, თავის მხლებლებთან ერთად. ნერსეს საქართველოში გამოჰყვა ბაღდადში გაცნობილი განათლებული და ღირსეული ჭაბუკი აბო. მის თავგადასავალს აქ აღარ მოვყვებით. აქ სხვა რამე უნდა ვთქვათ.

აბოს ქრისტიანად მოქცევა, ანუ ფაქტიურად, გ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ა, ასე უბრალოდ არ მომხდარა. ასეთი ამბები ასე უბრალოდ არა ხდება. აქ ადამიანის მსოფლმხედველობა შეიცვალა, მისი ფსიქიკა, მისი ბუნების მეტამორფოზა მოხდა. აბომ გულწრფელად შეიყვარა ქართველი ხალხი, მისი შრომისმოყვარეობა, მისი თავისუფლებისმოყვარეობა, ვაჟკაცური და რაინდული სული, სიკეთე და სათნოება, მისი ცხოვრების წესი და ხასიათი...

ტიპიური ქართველი კაცი მას თვალწინ ჰყავდა. ყოველგვარ

პირობებში იხილა ეს კაცი — უცხოეთში გადახვეწილი და იმედგადაწყვეტილიც, სიკვდილის საშიშროების წინაშე მდგარიც, საპყრობილეში ჩაგდებული და დამცირებულიც, სამშობლომონატრებულიცა და სამშობლოს სევდაშემოწოლილიც, გახარებულიცა და დაღვრემილიც, მხიარულიცა და გაჯავრებულიც... და ამ კაცს საკუთარი ღირსება არასოდეს დაუკარგავს!

და თავად ღირსეულმა უცხოელმა ჭაბუკმა შეიყვარა იგი. შეიყვარა ის ხალხი, ვისი შვილიც ეს ადამიანი იყო. თბილისში ჩამოსული და ერისთავის სამეფო კარზე მოხვედრილი თვალებს არ უჯერებდა, როცა აქ თავმოყრილი ახალგაზრდები გაიცნო. თავისი ტოლებიც, უფროსებიც, უმცროსებიც... აქ შეხვდებოდა იგი გრიგოლ ხანძთელს! აქვე გაიცნობდა იმ ახალგაზრდებს, ზემოთ რომ ვახსენეთ და ჩამოვთვალეთ... გააკვირვა და აღაფრთოვანა ამ ხალხის ნიჭმა, მრავალმხრივმა განათლებამ, პატიოსნებამ, ვაჟკაცობამ, დიდსულოვნებამ...

დაფიქრდა ახალგაზრდა კაცი. მიხვდა, რომ დამპყრობელი უსამართლოდ და უსინდისოდ ექცეოდა ამ მშრომელსა და ნიჭიერ ხალხს. დაღონდა, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა.

და ნამდვილი მოქცევაც ეს იყო. მაჰმადის რჯული რომ დაგმო და ქრისტიანობა მიიღო, ეს საკუთარი ფორმალური აქტიღაა იმ სულიერი ტანჯვისა და სინდისის ქენჯნის შემდეგ, რაც მან გამოსცადა.

და ეს ყველაფერი მოხდა ნერსეს ოჯახში. ნერსემ შეაყვარა მას უცხო ქვეყანა და უცხო ხალხი. ნერსემ მოხიბლა იგი.

ერთი სიტყვით, არც აბოს მოქცევა და წამება, მთელი თავისი შედეგებით, ყოფილა შემთხვევითი. ასეთი რამ შემთხვევით არა ხდება.

სამწლიანი ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგაც ნერსეს ოჯახში, ქართლის ერისმთავრის სამეფო კარზე, ცხოვრება კვლავ ძველებურად წარიმართა. კვლავ იკრიბებიან, კვლავ ფიქრი, მსჯელობა, კამათი, წუხილი... კვლავ გაცხოველებული მზადება ახალგაზრდებისა...

ნერსე უკვე ხანშიშესული კაცია. შვილიშვილები ჰყავს და ჩვენ უკვე ვიცით, რა სულისკვეთებითა ზრდის მათ. ახალგაზრდების აღზრდა სამეფო კარზე, ისეთ ვითარებაში და ისეთი ადამიანის ხელში, როგორიც ნერსე იყო, ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული მიმართულებით წარმოვიდგინოთ, კონკრეტული მიზანდასახულობით.

მაინც რა მიზანდასახულობით?

ისე მოიკიდეს სარკინოზებმა ფეხი მთელს მსოფლიოში, ყველგან

ისე მტკიცედ დაფუძნდნდენ, რომ მათი დამმარცხებელი ძალა ჯერ არა ჩანდა. მეორე დიდი სახელმწიფო ბიზანტია თვითონვე იდგა მათგან დაპყრობის საშიშროების წინაშე და, ამრიგად, სხვებისთვის, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთისთვის ისეთი დახმარების გაწევა, რომ დამპყრობელთა გაძევებაში მიშველებოდა, იმხანად მოსალოდნელი არ იყო.

სხვა სერიოზული მიზეზებიც ჰქონდა ჩვენს ხალხს, ბიზანტიას არ დაყრდნობოდა და მისთვის სრული ნდობა არ გამოეცხადებინა. გარდა იმისა, რომ მას ისტორიულად ისეთიეე დამპყრობლური ზრახვები ჰქონდა საქართველოს მიმართ, როგორიც სარკინოზებსა და ყველა სხვა დამპყრობს, მისი იმპერატორები ახლაც ძალიან უპიროდ და საეჭვოდ იქცეოდნენ, სიტყვას ძალიან ადვილად ტეხდნენ, გულმავიწყობა დასჩემდათ — შეპირებული დახმარება ყოველთვის აგვიანებდა, და როცა თავის მოკავშირესა და „მეგობარს“ შველა დასჭირდებოდა, სულ მოუცლელი იყო...

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებოდა პატარა ქვეყანას.

ზემოთაც ითქვა, საქართველო პატარ-პატარა სამთავროებად დაქუცმაცდა: მტერი ყოველნაირად ხელს უწყობდა ქვეყნის ამგვარ დაქუცმაცებას და მთავრებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა: ბუნებრივია, რომ პატარა მთავრების ინტერესებიც ასეთივე პატარა და შეზღუდული იყო. ეს ინტერესები მათიეე ყოველდღიურ კეთილდღეობას არა სცილდებოდა და, რაც დრო გადიოდა, ეროვნული შეგნება სულ უფრო ქვეითდებოდა. დადგა საშიშროება ეროვნული მეობის წაშლისა, უცხოელებში აღრევისა („აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა“, ეკითხულობთ იოანე საბანისძის მოთხრობაში).

აღარაფერს ვამბობთ იმ საშინელ ტერორზე, რაც სულ უფრო და უფრო მძვინვარდებოდა და რაც მემატიანეს ძალიან ლაკონიურად აქვს გადმოცემული: „...უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან“. კაცური კაცი გამოჩნდებოდა თუ არა, ხელადვე მოსპობდნენ და გაანადგურებდნენ. რაღა შორს მივდიეართ! ნერსესაც ეს არ მოუვიდა?! გამოჩნდა სამშობლო ქვეყნის ბედზე დაფიქრებული ღირსეული მამულიშვილი და მაშინვე გაიწვიეს, საპყრობილეში უკრეს თავი. ალბათ ხანგრძლივი ტანჯვით სიკვდილს უმზადებდნენ, მაგრამ ბედად თვითონ მოკვდა მტარვალი...

ერთი სიტყვით, ასეთ პირობებში, რაკი უცხოელ დამპყრობთაგან

განთავისუფლების ახლო პერსპექტივა ბუნდოვნადაც არ ისახებოდა და შორეული მომავალიც კი მეტად ჩამუქებული ჩანდა, ქვეყნის მესვეურების მთავარი საზრუნავი ის იყო, ამ გაურკვეველი ბუნდოვანი მომავლის მოლოდინში ეროვნული მეობა შეენარჩუნებინათ.

მაგრამ ეს ძნელი იყო. ქვეყნის ისეთ დაქუცმაცებას როცა გავითვალისწინებთ, თითქმის შეუძლებელიც. საჭირო იყო ამ სამთავროების გაერთიანება, საჭირო იყო მთლიანი საქართველოს აღდგენა.

სათქმელად ადვილია!

სამთავროების გაერთიანებასა და მთლიანი საქართველოს შექმნას ან ის მომრავლებული მთავრები ვის დაანებდნენ, ან მტერი როგორ მოითმენდა. ეს ერთბაშად არ მოხდებოდა და ეს ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული ქვეყნის მესვეურებს.

ჯერ საჭირო იყო მტკიცე საფუძვლის შექმნა, საჭირო იყო ეროვნული შეგნება აემაღლებინათ, ენა შეენარჩუნებინათ, რაც ეროვნული მეობის შენარჩუნების მტკიცე გარანტიაც იქნებოდა და მტერთან ყოველდღიურ ბრძოლებშიაც მოქნილი და ეფექტური იარაღი.

საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ნიადაგს მოუმზადებდა საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანებას.

ჯერ კიდევ აქამდე ათი საუკუნის წინათ საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა ერთიანი საქართველოს ასეთ საფუძვლად და ქვაკუთხედად ენა და მწიგნობრობა დასახა. ეს იყო გონივრული გადაწყვეტილება და ბრძენი ადამიანის შორსმჭვრეტელობამ გაამართლა. ეს მუდამ გაკვეთილად უნდა ჰქონოდათ ქვეყნის მესვეურებს...

და ახლაც, როცა სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვანი მტრისაგან ასეული წლობით ნარბევი ქვეყანა განსაცდელის პირას აღმოჩნდა, როცა იგი დაფლითეს, დააქუცმაცეს და ადვილ სათარეშოდ გაიხადეს, საბოლოოდ მოსპობისა და გადაშენებისაგან მისი ხსნა კვლავ ენითა და მწიგნობრობით უნდა დაეწყოთ.

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, არაბთა მთავარ დარტყმებს აღმოსავლეთი საქართველო იგერიებდაო.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს დასავლეთ საქართველო უკეთეს დღეში ყოფილიყოს. მისი „მშვიდობიანი“ ცხოვრება მოჩვენებითი იყო. იგი „მეგობარი“ მტრის — ბიზანტიის — ალერსიან მარწუხებში აღმოჩნდა. თუ არაბები ჯიქურ უპირისპირდებოდნენ მათთვის მიუღებელ რელიგიურ რწმენას და, ამდენად, მათი მტრობა მუდამ აშკარა იყო, ერთმორწმუნე ბიზანტია ნიღბავდა

ხოლმე თავის უკეთურ ზრახვებს. იდეოლოგიური ცხოვრებისა და ბრძოლის მაშინდელი მთავარი იარაღი — ეკლესია — დასავლეთ საქართველოში მოკლებული იყო ძირითად ეროვნულ ნიშანს — ენას. აქ წირვა-ლოცვა ბერძნულად სრულდებოდა. ამიტომაც აქ თითქოს სრული ნებაყოფლობითი და მშვიდობიანი გზით იდეენებოდა ეროვნული მეობის ეს უპირველესი ნიშანი. ამასთან დაკავშირებით კი ფერხდებოდა მწიგნობრობისა და, ამდენად, ხელოვნების სხვა დარგების განვითარებაც.

ახლა ალბათ ძნელი გასარკვევია, „მეგობარი" ბიზანტიის „ალერსიანი" მარწუხი უფრო გამანადგურებელი იყო თუ ჯიქურ მომდგარი არაბების ალესილი მახვილი. თანაც, მახვილს ჟამიდან ჟამად ბიზანტიაც იშიშვლებდა ხოლმე „მეგობრისა" და მოკავშირის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ კარგა დიდი ხნის მანძილზე ერთ დროს ძლიერსა და აყვავებულ ეგრისის სამეფოში საკუთარ მეფესა და მთავარს ვერა ვხედავთ. ეგრისის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სამთავრო — აფხაზეთი — უფრო დაცული აღმოჩნდა და იქ ამ დროს საკუთარი მთავრები ჰყავთ.

ეგრისი რაღამ დაასუსტა? რამ გატეხა წელში? საკუთარი მმართველობა რამ დააკარგვინა?

იქნებ არც ამის ახსნა იყოს ძნელი, თუ შეეცდებით უფრო ცოცხლად წარმოვიდგინოთ ის რთული ურთიერთობა, რაც მას თავის მეზობელ დიდ სახელმწიფოსთან ჰქონდა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დროის მცირე მონაკვეთზე ეს შედარებით პატარა ტერიტორია ორი ერთმანეთის დაუძინებელი მტრის — არაბებისა და ბერძნების — რამდენიმე სისხლიანი შეტაკების ასპარეზად იქცა.

აქვე უნდა შევნიშნოთ: გარკვეულ პერიოდში ეგრისს ქართლის მთავრები განაგებდნენ. სიმონ ჯანაშია წერს: ჯუანშერის გადმოცემით „VIII ს. დამდეგს ეგრისში ადგილობრივი დინასტია სულ არა ჩანს და მთელი ქვეყანა აფხაზეთის სამთავროს საზღვრამდის ქართლის ერისმთავრებს ეკუთვნის". მაგრამ ისეთ პირობებში, როცა მთავარი იდეოლოგიური იარაღი მტრის ხელში იყო და ქალაქებშიაც მტრის გარნიზონები იდგა, შორი კუთხიდან მოსულ თვისტომ გამგებელს ბევრი ვერაფრის გაკეთება შეეძლო...

ასეთი მდგომარეობა იყო ქვეყნის აღმოსავლეთსა და ქვეყნის დასავლეთში.

ჭეშმარიტ მამულიშვილებს, საღად მოაზროვნე ადამიანებს არ შეიძლებოდა ეს არ დაენახათ და ამაზე არ ეზრუნათ.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, მოქმედება უფრო გაძნელებული იყო. აქ ხმალამოწვდილი იდგა დამპყრობელი და განძრევის საშუალებას არ იძლეოდა. აქ სხვა რამე უნდა ეღონათ, სხვა ხერხი გამოეძებნათ, სხვაგვარად აეხვიათ თვალი მტრისთვის.

დასავლეთში კი უპირველესი ამოცანა იყო, ჯერ მოეშორებინათ „მეგობრის" მეტისმეტად მაგრად შემოჭდობილი მკლავები, მისი გავლენისგან განთავისუფლებულიყვნენ, ქართული ენისთვის თავისი დაკარგული ფუნქცია დაებრუნებინათ, ეკლესიაში მშობლიური ენა დაემკვიდრებინათ და, ამრიგად, მთლიანი საქართველოს ეკლესია შეექმნათ... მერე ყველაფერი გაადვილებული იქნებოდა. ესე იგი, გაადვილებული იქნებოდა ერთიანი საქართველოსთვის ზრუნვა.

სამხრეთი საქართველო?

აქა არა მარტო ეკლესია, ლამის მთლიანად ცხოვრება ჩაკლა მტერმა. აქ თავიდან უნდა აღმოცენებულიყო ენაც, ეკლესიაც, მწიგნობრობაცა და ცხოვრების სუნთქვაც... აქ თითქმის უნუგეშოდ იყო ყველაფერი ჩამკვდარი და განადგურებული.

და საოცარია, რომ პირველი კვირტები ერთიანი, ფესვმაგარი საქართველოს ხისა სწორედ აქ გაიშალა...

მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ახლა კი კვლავ ის უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო იმ ადამიანების ფიქრები, ვისაც ქვეყნის ბედი აწუხებდა. აქეთკენ უნდა მიმართულიყო ქვეყნის მესვეურთა გულისყური. ერის ყოფნა-არყოფნის მწვავედ წამოჭრილი პრობლემა მათ უკარნახებდა, ყოველგვარ კუთხურ, წოდებრივ და პირადულ ზრახვებს მორეოდნენ და უპირველეს ამოცანად ეს დაესახათ.

ჩვენ რომ შეგვაძლებინა იმ ადამიანთა მოსმენა, რომლებიც ნერსეს კარზე იკრიბებოდნენ, უსათუოდ ასეთი იქნებოდა მათი საუბრის თემაცა და მათგანვე წამოჭრილი კონკრეტული საკითხებიც.

ასეთი საუბარი ექნებოდა ნერსეს საქართველოს სხვა კუთხეების მთავრებთანაც, თუკი იგი მათ შეხვდებოდა და თუკი ეს მთავრებიც ერის ღირსეული შვილები აღმოჩნდებოდნენ.

ამას გვაფიქრებინებს არამარტო ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ლოგიკური დასკვნები, არა მარტო ის ანგარიშგასაწევი ვარაუდი, რომ ერის ბედით შეწუხებულ საღად მოაზროვნე ადამიანთა მსჯელობა ალბათ სწორედ ასე წარიმართებოდა, არამედ მომდევნო წლებში მომხდარი ფაქტიური ამბებიც, ქვეყნის ცხოვრებაში დატრიალებული დიდი ძვრები, რაც სტიქიუ-

რად არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რასაც, — ანალიზს თუ გავუკეთებთ, — უსათუოდ წარმართავდა წინასწარ ათასჯერ აწონილ-დაწონილი ბრძნული გეგმა.

აი, ამ სულისკვეთებითა და მიზანსწრაფვით ზრდიდნენ ნერსეს კარზე ახალგაზრდებს.

და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ სამხრეთ საქართველოში ამ დიდი მასშტაბის ეროვნულ საქმეს სათავეში ჩაუდგა სწორედ ნერსეს კარზე აღზრდილი, ამისთვის საგანგებოდ მომზადებული — ცოდნითაც, განათლებითაც, მორალურადაც, ფსიქოლოგიურადაც — გროგოლ ხანძთელი.

აქვე შევნიშნოთ: მთელი ის დიდი მოძრაობა, დიდი სამზადისი საქართველოს გაერთიანებისთვის სწორედ სამხრეთ საქართველოში უნდა დაწყებულიყო. ანუ იმ ადგილას, სადაც ძველთაგანვე ჩქეფდა ქართველი ხალხის ცხოვრება, სადაც ამ ცოტა ხნის წინათაც პყვაოდა ეროვნული კულტურა და მურვან ყრუს ლაშქრობამ და მის შემდეგ გავრცელებულმა სენმა თითქმის სულ მოსპო. აქ „ოდესღაც ცხოვრება სდუღდა, ხელოვნების დიდებული ნაშთები იყო აგებულიო", შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი და გულისხმობს დროს მურვან ყრუს შემოსევამდე. მარტო კლარჯეთში ერთ დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი და საეპისკოპო კათედრა არსებობდა... ახლა ამისი ნიშანწყალიც აღარ დარჩენილიყო. მურვან ყრუს ლაშქარსა და ეპიდემიას ერთიანად გაენადგურებინა ყველაფერი, სიცოცხლე ერთიანად ჩაეკლა... და სტიქიურად ამ ძველი დიდების აღდგენა წარმოუდგენელიც იყო. ამის კელავ გაფურჩქვნასა და აღორძინებას საგულდაგულოდ მოფიქრებული, ათასჯერ აწონ-დაწონილი გეგმა და წარმმართველი ძალა სჭირდებოდა.

არადა, როგორც ითქვა, სწორედ აქ უნდა აღორძინებულიყო ცხოვრება. აქ, სადაც სარკინოზთაგან შედარებით სიშორის წყალობით უფრო მარჯვედ მოახერხებდნენ თავიანთი საქმიანობის გაშლას, ხელისშემშლელი ნაკლები ეყოლებოდათ; სადაც გონიერული დიპლომატიის წარმართვით, ერთმორწმუნე ბიზანტიის სიახლოეესაც გამოიყენებდნენ მაჰმადიანი მტრისგან თავდასაცავად; და სადაც (ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არის) ქართლის ერისმთავართა ახალი დინასტიის სამშობლო კუთხე იყო...

ესეც იმ სავარაუდებელ გეგმაში იქნებოდა ნაგულისხმევი.

და აქ უნდა განვაგრძოთ ზემოთ დაწყებული საუბარი ადარნა-სეზე.

ჩვენ ვიცით, რომ ადარნასე ბაგრატიონი — აშოტის მამა — მერვე საუკუნის მეორე ნახევარში (ძნელია თქმა, ზუსტად რომელ წელს) ქართლიდან თავის სამშობლო კუთხეში — ტაო-კლარჯეთში — წასულა და იქ დამკვიდრებულა. „მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს: „არამედ სიცოცხლესავე ჯუანშერისსა (შეგახსენებთ, რომ ჯუანშერი ადარნასეს სიძეა, მისი ქალიშვილის ლატავრის ქმარი; გარდაიცვალა ჯუანშერი 787 წელს) იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“.

ეტყობა, იმ კუთხის მთავარი გახდა.

სწორედ ამიტომაა საინტერესო მისი ზეობის წლების დადგენა. იქნებ ერთდროულად მთავრობდნენ: ქართლში, ქართლის გულში — ჯერ სტეფანოზი და მერე აშოტი, ხოლო კლარჯეთში — ადარნასე?

დააკვირდით მეორე წყაროს — სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობას: „ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისა“. ისეა ეს წინადადება აგებული, თითქოს თავისთავად გულისხმობს დაუწერელ ფრაზას: ხოლო სამხრეთ საქართველოში ადარნასე მთავრობდაო. „მატიანე ქართლისას“ სიტყვები: „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა გ ა ნ ა დ ი დ ა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა“, თითქოს უფრო უმაგრებს ნიადაგს ჩვენს ვარაუდს: ადარნასეს შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა და გადიდდა აშოტის სამფლობელო და უფლებები...

იქნებ ადარნასეს სამხრეთ საქართველოში წასვლაც არ იყოს შემთხვევითი და იმ ამბებს უკავშირდებოდეს, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ?! იქნებ მას ნიადაგი უნდა მოემზადებინა აშოტისათვის, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ სამხრეთ საქართველოში ჩავიდოდა?!

ჩვენ შეეცადეთ გვეჩვენებინა, რა განათლება მიიღო გრიგოლ ხანძთელმა ქართლის ერისმთავრის კარზე. ამის შემდეგ გასაკვირი არც არის, რომ მთელი ის დიდი მშენებლობა სამხრეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელის საერთო ხელმძღვანელობით ხდებოდა, თანაც წინასწარვე კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

შეცდომაში ნუ შეგვიყვანს მოთხრობის ერთი ეპიზოდი, როცა გრიგოლი სამხრეთ საქართველოში გაპარვას გადაწყვეტს. ამ ეპიზოდის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს იგი შემთხვევით მოხვედრილიყოს სამხრეთ საქართველოში.

ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი პასაჟები თეითონ ნაწარმოების ხასიათითა და იდეური გამიზნულობით არის გაპირობებული.

გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე სამხრეთ საქართველოში ჩასული და ოპიზაში დამკვიდრებული გრიგოლი, ხანძთაშიაც ასევე შემთხვევით მოხვდა. „ვინმე ბერს", სახელად ხუედიოსს, „ნეტარი ჩუენებაი" მოევლინება „არა თუ ძილში, არამედ ცხადად", რომ იმ ადგილას, სადაც შემდეგ ხანძთის მონასტერი აშენდა, ცაში თითქოს ეკლესიის მოხაზულობის ნათელი ღრუბელი გამოხატულიყოს, თანაც დიდი ხნით, და ეს ღრუბელი თითქოს საოცარ სურნელებას აფრქვევდა. ბერს მერე ზეციური ხმაც ჩაესმა — ამ წმინდა ადგილას ეკლესია უნდა ააშენოს ღვთის კაცმა გრიგოლ მღვდელმაო. და როცა „განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისაი, და ფრიად შეუყვარდა წმიდასა გრიგოლს"...

ესე იგი, ხანძთაშიაც შემთხვევით ჩავიდა გრიგოლი და მოიხიბლა („ფრიად შეუყვარდა") იმ ადგილით. ასე შემთხვევით გადაწყდა აქ მონასტრის აგება!

გრიგოლ ხანძთელი ეროვნულ პოლიტიკას წარმართავდა, შეიძლება ხანძთაში მართლაც შემთხვევით მოხვდა, როცა სამონასტრო ადგილების შესარჩევად მოგზაურობდა. მაგრამ არც ის არის შეუძლებელი, რომ ხანძთა და მისი მიდამოები ადრეე ჰყოლოდეს „შეყვარებული", ნერსეს სასახლეშივე, და იქ, ხანძთაში, მონასტრის ადგილიც ადრეე ჰქონოდეს შეგულებული.

რაღა თქმა უნდა, გრიგოლ ხანძთელი დიდი მორწმუნე იყო, ეკლესიის კეთილსინდისიერი მხახური და მთელი თავისი არსებით ამ საქმისთვის შეწირული. მაგრამ, არ უნდა დავიიწყოთ: მისი რელიგიური რწმენა და ქრისტეს სიყვარული შერწყმული იყო

სამშობლოს სიყვარულთან, და ქრისტეს სამსახურიც სამშობლოს სამსახურთან იყო გაიგივებული. ივანე ჯავახიშვილს მარჯვე ტერმინი აქვს შერჩეული ასეთი რანგის მოღვაწისთვის — „ეროვნულ-საეკლესიო“ მოღვაწე. კორნელი კეკელიძე ხაზს უსვამს, რომ გრიგოლ ხანძთელი „მთელ თავის მოღვაწეობაში გვეელინება თავდადებულ და შეგნებულ მომხრედ ეროვნული მთლიანობისა“.

ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ განასხვაევებს წინანდელი დროის ბერებისა და გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მოღვაწეობის ხასიათსა და მიმართულებას. ძალიან საგულისხმოა დიდი მეცნიერის დაკვირვება. აქ მომაქვს მცირე კუპიურებით.

„წინათაც არსებობდნენ საქართველოში მონაზონები; უკვე პროკოპი კესარიელის დროს ქართველებს პალესტინაში ორი, ლაზებისა და იბერთა, უდაბნო ჰქონიათ; მაგრამ ძველ დროს გავრცელებული იყო მარტომყოფელობა და მეუდაბნოება, როდესაც თითოეული ცალ-ცალკე მოღვაწეობდა. სულ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა იმ ძლიერ სამონასტრო მოძრაობას, რომელიც დაიწყო უკვე მერვე საუკუნის დასასრულს და მთელს მეცხრე საუკუნეში და მეათეშიც გაცხოველებული იყო. შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში ამ მოძრაობის მოთავედ და განმახორციელებლად გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი ყოფილა, რომელსაც მრავალი მოწაფე და მიმბაძველი ჰყავდა... ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოსთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა... გასაოცარი მოვლენა კი არის, მაგრამ ნამდვილი ამბავია, რომ სწორედ ეს ქვეყნისგან ლტოლვილნი, ცოდვილი ცხოვრების უარმყოფელნი ბერები „უდაბნოთა ქალაქ მყოფელნი“ იყვნენ, ერისკაცთათვის გზის მაჩვენებელნი და ახალმოშენეთა თავგანწირულნი წინამორბედნი“.

გასაოცარი მოვლენაა, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: ესე იგი, ისეთი მოვლენა, რაც თითქმის არასოდეს მომხდარა და არა ხდება. მართლაც, თვალი რომ გავადევნოთ მეუდაბნოეთა და განდეგილთა ცხოვრებას ყველგან, მთელს ქრისტიანულ სამყაროში, სადამდეც კი ხელი მიგვიწვდება, — ლიტერატურას კი საკმაოდ შემოუნახავს საამისო მასალები — დავრწმუნდებით, რომ ის, რასაც ამ პერიოდში სამხრეთ საქართველოში ვხედავთ, განსხვავდება იმისაგან, რაც იმავე დროს ბიზანტიასა და ევროპის ქვეყნებში ხდებოდა. და ამ „გასაოცარ“ მოვლენას მხოლოდ მაშინ ავხსნით, როცა გავითვალისწინებთ, რომ აქ იგი ეროვნულს უკავშირდებოდა, ეროვნულიდან მომდინარეობდა...

რა თქმა უნდა, ეკლესიის მსახური იყო გრიგოლ ხანძთელი,

მაგრამ ფანატიკოსი და დოგმატიკოსი არ ყოფილა. თავის რელიგიურ რწმენას იგი კარგად უთავსებდა ეროვნული გათავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლის იდეას.

მერჩულეს მოთხრობიდანვე ვიცით რამდენიმე ისეთი ფაქტი, რაც სავსებით გამორიცხავს გრიგოლ ხანძთელის ფანატიკოსობასა და დოგმატიკოსობას და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მისი საეკლესიო სამსახური სამშობლოს სამსახურთან იყო გაიგივებული.

ამდენად და ამ გაგებით, ის ამავე დროს ერის კაცი იყო, დიდი ეროვნული მოღვაწე. მაგრამ ნუ შეეცდებით, მისი სამონასტრო-საეკლესიო მოღვაწეობიდან, რაც ასე სრულად არის მოცემული მერჩულეს მოთხრობაში, ეროვნულის გამოყოფას და ცალკე აღნუსხვას. ეს განუყოფელია. ვიმეორებ, გრიგოლ ხანძთელი მთელი არსებით ეკლესიას ემსახურებოდა, მაგრამ ეს მის შეგნებაშიაც და ობიექტურადაც ერის სამსახური იყო.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება. გრიგოლი გამუდმებით ზრუნავს მომავალი თაობის აღზრდაზე, რომელიც მის საქმეს გააგრძელებს და მასავით ქვეყნის სამსახურში ჩადგება. ამასთან, ამ საკითხს იგი პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს. მოთხრობის ავტორი თითქოს საგანგებოდ უსვამს ხაზს ამას.

მოთხრობაში არის ადგილი, როცა გრიგოლს თავისი მოწაფეები პატარა ბავშვს მოუყვანენ აღსაზრდელად. ეტყობა, დიდად ნიჭიერსა და დიდი იმედების მომცემს. გრიგოლი მონასტერში მიიყვანს ბავშვს (მეორე ასეთსავე ნიჭიერ ბავშვთან ერთად. ბარემ აქვე შევნიშნოთ, რომ შემდეგში ორივე ბავშვი დიდი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწე გახდა: ქართლის კათალიკოსი არსენ დიდი საფარელი და აწყურის ეპისკოპოსი ეფრემი); მონასტერში მიიყვანს, რათა თავიდანვე მტკიცედ განსაზღვრული მიზანდასახულობით აღზარდოს. არა მხოლოდ ერთი მისწრაფებით, როგორც შეიძლებოდა ყველა მონასტერში აღეზარდათ ეს ბავშვები; არა როგორც მხოლოდ სასულიერო პირები, არამედ იმ განხრითაც, რა განხრითაც ერთ დროს თეითონ გრიგოლს ზრდიდნენ. ესე იგი, საერთო ეროვნულ მოღვაწეებად.

აქედან, სხვათა შორის, ის დასკვნაც შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ გრიგოლს გაფრთხილებული ჰყავდა თავისი ერთგული და „ერთზრახვად შეკრებული“ მეგობრები და მოწაფეები: ნიჭიერსა და გამორჩეულ ყმაწვილს თუ შეხვდებოდნენ, მისთვის ეჩვენებინათ და აღსაზრდელად წამოეყვანათ. ისე აბა საიდან მოაფიქრდებოდათ თეოდორესა და ქრისტეფორეს, ექვსი წლის ბავშვი ხანძთელთან

მიეყვანათ. მით უმეტეს, კარგად იცოდნენ, რომ სამონასტრო წესდების მიხედვით, ექვსი წლის ბავშვს მონასტერში ვერავინ მიიღებდა.

რაკი სამონასტრო წესდების მიხედვით პატარა ბავშვების მონასტერში აღზრდა აკრძალული იყო, მონასტრის ბერები საშინლად აღშფოთდნენ („დრტვინვაი იყო მათ შორის"), ბავშვების მოყვანა არ შეიძლებაო.

სამონასტრო წესდება ხომ გრიგოლს იმ ბერებზე ნაკლებად არ ეცოდინებოდა, მაგრამ მას თავისი მიზანი ჰქონდა, თავისი გეგმა, რასაც იგი, ეტყობა, ყოველგვარ სამონასტრო კანონებსა და დოგმებზე მაღლა აყენებდა. ამიტომ ბერების პროტესტს არ შეეპუა, აინუნშიაც არ ჩააგდო, დააშოშმინა ისინი. უთხრა, ამ ერთჯერ დავარღვიოთ წესი, ამის შემდეგ კი თუ ვინმემ გაბედოს ბავშვის მოყვანა მონასტერში, ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს საშინლად დაისაჯოსო („პატიჟებულ იყოს იგი ფრიად დიდებულსა მეორედ მოსვლასა").

და მეორე ფაქტიც, რომ ხანძთელი ბრმად არ მიჰყვებოდა საეკლესიო დოგმებს. ესეც, სხვათა შორის, იმავე არსენთან არის დაკავშირებული.

გავიდა კარგა დიდი ხანი. არსენი გაიზარდა. ფართო, მრავალმხრივი განათლება მიიღო. სპეტაკი ადამიანია, მტკიცე, პრინციპული, ქვეყნის ბედით შეწუხებული და მის საკეთილდღეოდ თავდადებული. ყველაფრით ეტყობა, რომ გრიგოლის ხელმძღვანელობით არის აღზრდილი. გაუმართლა მოძღვარს.

და გრიგოლ ხანძთელი გადაწყვეტს, არსენი ქართლის კათალიკოსად იხილოს.

მაგრამ, ეტყობა, ეს ადვილად არ მოხერხდება, რადგან მისი წინააღმდეგი იქნება გუარამ მამფალი, მტკიცე და შეუპოვარი ადამიანი, რომელიც ყველას შიშის ზარსა სცემს. ქვემოთ უფრო ახლოს გავიცნობთ ჩვენ ამ ისტორიულ პირს.

და რაკი გუარამ მამფალი წინააღმდეგი იქნება, არსენის კათალიკოსად არჩევაც გაძნელდება. ქართლის ეპისკოპოსები არ მისცემენ ხმას, რადგან ქართლის ეპისკოპოსები გუარამის ნებას ვერ გადავლენ, მას ემორჩილებიან, მისი ეშინიათ. ერთი სიტყვით, მომხრეები დააკლდება არსენს.

არადა, გრიგოლ ხანძთელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, თავისი აღზრდილი იხილოს ქართლის კათალიკოსად, რადგან სჯერა მისი, დარწმუნებულია, რომ ღირსეული ეროვნულ-საეკლესიო მოღვაწე იქნება, დახმარებას გაუწევს ხანძთელს დიდ ეროვნულ საქმეებში.

ხანძთელი მოერიდა გუარამ მამფალთან დაპირისპირებას, მოერიდა საქმეში უხეშ ჩარევას და ქართლის ეპისკოპოსებზე თავისი გავლენის ტლანქად გამოყენებას. იფიქრა, იქნებ უამისოდაც მოგვარდეს ყველაფერიო და უფრო ადვილი გამოსავალი იპოვა — მხოლოდ სამცხის ეპისკოპოსებს აარჩევინა არსენი ქართლის კათალიკოსად.

ეს კი წესდების დარღვევა იყო. კათალიკოსის არჩევაში უსათუოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა მთელი ქართლის ეპისკოპოსებს.

იქნებ მაინც მშვიდობიანად ჩაეღო ყველაფერს, გუარამ მამფალი რომ არ გაეცოფებინა ხანძთელის თვითნებობას. საშინლად აღშფოთდა გუარამი. მოთხრობიდან ვგებულობთ, რომ იგი გამწყრალი იყო არსენის მამაზე და ვერ შეურიგდებოდა ამ ოჯახიდან გამოსული ადამიანის კათალიკოსობას. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მარტო ეს განაწყენება არ იქნებოდა მამფალის გაცოფების მიზეზი. ალბათ სხვა რამეც აწუხებდა მსხვილ ფეოდალს. თავისი ანგარიშები ექნებოდა, თავისი ახლო თუ შორი გეგმები, და თავისი კაცი ენდომებოდა კათალიკოსად, რომელიც მერე დაეხმარებოდა, მხარში ამოუდგებოდა...

ქვემოთ ვნახავთ, რომ ასეთი გეგმები ნამდვილად ჰქონდა გუარამ მამფალს და კათალიკოსის მხარდაჭერაც უსათუოდ დასჭირდებოდა.

მაგრამ რაც უნდა პატივმოყვარე ყოფილიყო ჯაკეხი ფეოდალი და რა ექსპანსური ზრახვებიც უნდა ჰქონოდა, ჭკუა მაინც ეყო, რომ ხანძთელთან დაპირისპირებას მორიდებოდა, მიხვდა, რომ ასეთი დაპირისპირება არ გამოადგებოდა. ამიტომ ისე დაიჭირა თავი, თითქოს არა სცოდნოდეს საქმის ნამდვილი არსი და კათალიკოსის უმართებულოდ არჩევის გამო მთელი გულისწყრომა გადაიტანა სამცხელ ეპისკოპოსებსა და არსენისაკე მამაზე — მან აარჩევინა ძალადობით თავისი შვილიო (განა თვითონვე არ იცოდა, რომ მამა ვერას გახდებოდა, უფრო გავლენიანი მფარველი და დამხმარე რომ არა ჰყოლოდა!).

ქართლის ეპისკოპოსებიც აამხედრა.

ეპისკოპოსებს სათავეში ჩაუდგა არსენისაკე თანაშეზრდილი და მეგობარი ეფრემი (ის ეფრემი, რომელიც გრიგოლმა არსენთან ერთად მიიყვანა მონასტერში აღსაზრდელად), ამჟამად უკვე აწყურის ეპისკოპოსი. არსენზე ადრე იმან მიაღწია დაწინაურებას.

ეფრემს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და რაკი მისი გადაბირება მოხერხდა, რაკი ქართლის ეპისკოპოსებიც საშინლად აღშფოთდნენ

და აიმრიზნენ, გუარამმა იფიქრა, საქმე უკვე მოგებულიაო და საეკ-ლესიო კრება მოიწვია. კრებას უნდა გაეუქმებინა არსენის კათა-ლიკოსად არჩევა.

ეს კრება ჯავახეთში მოიწვიეს და საისტორიო ლიტერატურაში ასევე მოიხსენიება — ჯავახეთის საეკლესიო კრება. ეს იყო 850-იან წლებში.

ისე ცოცხლად აქვს ეს კრება აღწერილი მოთხრობის ავტორს, თითქოს ათას ორასი წლის წინათ მომხდარი ამბავი აგერ ახლა ხდებოდეს, შენს თვალწინ, და კრების მთელი მსვლელობა გესმოდეს, თითქოს საკუთარი თვალით ხედავდე იმ დაუოკებელ ენებათაღელვას, რასაც კრების მონაწილენი მოეცვა.

როგორც მოთხრობიდან ვიცით, ამ კრებაზე გრიგოლმა თავისი გაიტანა, იგი არ მოერიდა საეკლესიო წესდების დარღვევას, რადგან დიდად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე წყდებოდა და იცოდა, რომ ამ საქმეს ყველაზე კარგად არსენი გაუძღვებოდა. კათალიკოსზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. გაკეთებაც შეეძლო დიდი საქვეყნო საქმეებისა და გაფუჭებაც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერის ცხოვრებაში ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პერიოდი. დასავლეთ საქართ-ველო ადმინისტრაციულად უკვე გაერთიანებულია ერთ სამეფოდ. მაგრამ ეს ჯერ ნახევარ გამარჯვებასაც არ უდრის, სანამ მთავარი იდეოლოგიური იარაღი ისევ მტერსა აქვს ხელთ, სანამ ეკლესიებში ისევ ბერძნული ენა გაისმის, სანამ ხელდასხმისთვის მაღალი სამღვდლო პირები ისევ უცხოეთში მიემგზავრებიან და სხვა ქვეყნის ეკლესიისგან არიან დამოკიდებული. საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა. საჭიროა დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან ბერძნული ენის განდევნა და ამ ეკლესიის მცხეთისთვის დაქვემდებარება. ესე იგი, ერთიანი ქართული ეკლესიის შექმნა, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს, გაერთიანებლი საქართველოს მტკიცე საძირკველი იქნება.

აი, რა ამოცანა იდგა.

აი, რატომ იყო საჭირო, ქართლის კათალიკოსად საამისოდ აღზრდილი და მომზადებული პირი ყოფილიყო. არა მხოლოდ საეკლესიო დოგმების მცოდნე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მოღვაწე. არა შემთხვევითი პირი, რომელიმე ფეოდალთან დაახლოებული და დაკავშირებული ადამიანი, რომელიც მერე ამ ფეოდალის შეზღუდული ინტერესების დაცვას მოუნდებოდა,

არამედ ღირსეული მამულიშვილი, რომელიც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზნად ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვას დაისახავდა.

ბარემ აქვე შევნიშნოთ: სწორედ არსენის კათალიკოსობის წლებს ემთხვევა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთისადმი დაქვემდებარება, რაც თავისთავად გულისხმობდა ბერძნული ენისგან განთავისულფლებას და ქართულის დამკვიდრებას.

ეს ერთი მხარე.

ამას გარდა, დაძაბული ბრძოლების დროს, რაც უკვე ძალიან დიდი ხანია გრძელდებოდა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის და დროდადრო გამწვავდებოდა, საჭირო იყო ქართლის ეკლესიას სათანადოდ მომზადებული კათალიკოსი ჰყოლოდა, რომელიც ღირსეულად დაიცავდა თავისი სამწყსოსა და თავისი ერის ინტერესებს.

როგორც ვიცით, არსენ კათალიკოსმა მართლაც დაწერა ამ თემაზე ტრაქტატი, და ტრაქტატმა დიდი როლი შეასრულა იმ ბრძოლებში, რაც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „რაკი განხეთქილების შემდგომაც ამ საგანზე სჯა-ბაასი და კამათი არ დამცხრალა, რამდენჯერმე საეკლესიო კრებაც კი იყო მოწვეული... საჭირო იყო ქართველი სამღვდელოება პაექრობისათვის მზადა ყოფილიყო, საბუთებით და ცოდნით აღჭურვილი. ეს დანიშნულება ჰქონდა არსენი კათალიკოზის თხზულებას, რომელშიც საზოგადოდ საგულისხმო ცნობებია შენახული და თვით მოვლენაც თავისებურის თვალსაზრისით არის ახსნილი“.

ყველაფერ ამას რომ გავითვალისწინებთ, უკვე გასაკვირი აღარ იქნება, რატომ არ მოერიდა გრიგოლ ხანძთელი საეკლესიო წესდების დარღვევას და რატომ გააყვანინა კათალიკოსად თავისი მოწაფე, რომელიც ისტორიაში არსენ დიდი საფარელის სახელით არის ცნობილი და რომლის სახელსაც ბევრი ეროვნული საქმე უკავშირდება.

ერთი სიტყვით, სხვა მრავალ ფაქტთან ერთად, ეს ორი მაგალითიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელი თავის საეკლესიო მოღვაწეობაში, უპირველეს ყოვლისა, ერის ინტერესებიდან გამოდიოდა და როცა დარწმუნებული იყო, ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს ვაკეთებო, საეკლესიო დოგმების დარღვევასაც არ ერიდებოდა.

ამიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ამ საკითხზე.

ნერსეს კარზე საგანგებოდ ამზადებდნენ ახალგაზრდებს.

როგორც ითქვა, გრიგოლ ხანძთელი სამხრეთ საქართველოში სამოღვაწეოდ აღზარდეს და მოამზადეს, და მთელი ის დიდი ეროვნული საქმე, რაც მისი ხელმძღვანელობით ამ მხარეში გაკეთდა, წინასწარ იყო მოფიქრებული და დაგეგმილი. აქ იგულისხმება არა ის კონკრეტული საკითხები, რასაც წინასწარ ვერც გაითვალისწინებდნენ, რაც გზადაგზა წამოიჭრებოდა, არამედ ამ დიდი საქმის საერთო მიმართულება, მასშტაბი და პათოსი.

ამრიგად, სამხრეთ საქართველოში კვლავ აღორძინდა სიცოცხლე, დაიწყო ამ მშვენიერი კუთხის „ახლად შენება"...

და ამ დროს ჩვენ იმის მოწმენი ვხდებით, რომ ქართლის ერისმთავრის რეზიდენციაც აქ გადმოინაცვლებს, რათა აქედან უფრო ფართო მასშტაბით დაიწყოს საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა. საგულისხმოა, რომ ქართლის საერისმთავრო რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველთა სამეფოდ, ხოლო ქართლის ერისთავი — „ქართველთა მეფედ" იწოდებიან.

ქვემოთ ვნახავთ, მართლაც როგორ გააფართოებს ეს სამეფო საზღვრებს.

შემთხვევითია ყველაფერი ეს?

ასეთი რამე შემთხვევით არა ხდება ხოლმე.

●

ახლა ისევ უკან დავიხიოთ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყვეთ ამბავს.

გადის დრო და ხალიფა ისევ ურისხდება ნერსეს და ნერსე იძულებულია სამშობლოდან გადაიხვეწოს...

ამას ჩვენ ვგებულობთ იოანე საბანის ძის მოთხრობიდან.

იმავე მოთხრობიდან ვიცით, რომ ნერსემ ჯერ თავისი ოჯახი გახიზნა აფხაზეთში, მერე კი თვითონ თავისი საკმაოდ დიდი ამალით (სამასი კაცით) ხაზარეთში გადავიდა.

ქართლში ხალიფამ ერისმთავრად დასვა სტეფანოზი — დისწული (თუ შვილი?!) ნერსესი; ნერსეს გაუხარდება, რომ „უფლებაი იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან" — ე. ი. ის გაუხარდება, რომ ერისმთავრობა ქართლისა მისივე გვარში დარჩა (ამიტომაც უფრო სარწმუნოა, სტეფანოზი შვილი იყოს ნერსესი!).

ხაზარეთში ნერსე რამდენიმე ხანს დარჩება და მერე იქიდან აფხაზეთში გადავა, თავის ოჯახს შეუერთდება. გაიელის კიდეე ცოტა ხანი და ნერსე აფხაზეთიდან მოციქულებს გამოგზავნის არაბთა მმართველებთან, რათა უფლება მისცენ თავისიეე ოჯახიანად და მხლებლებიანად, უკანეე დაბრუნებისა ისე, რომ გარანტია პქონდეს, ხელს არავინ ახლებს („რაითა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან").

მართლაც დართავენ ნებას და ნერსე თავისი ოჯახითა და მხლებლებით, რომელთა შორის არაბი ჭაბუკი აბოც არის, უკანეე დაბრუნდება თბილისში.

ასე მოკლედ არის გადმოცემული ნერსეს ხაზარეთსა და აფხაზეთში გამგზავრებისა და იქიდან ქართლში დაბრუნების ამბავი. მოთხრობის ავტორისთვის ეს არ იყო მთავარი, მოთხრობის მიზანდასახულობა სულ სხვაა და ეს ფაქტი ამიტომ მოკლედ გადმოგვცა.

მაგრამ ჩვენ აკი გადავწყვიტეთ ნერსეს შესახებ შემორჩენილ მწირ ცნობებს კარგად ჩაეუკვირდეთ, ზოგი რამ სტრიქონსა და სტრიქონს შორის ამოეიკითხოთ, ზოგ ბუნდოვან გარემოებას ლოგიკური ახსნა მივცეთ, და რამდენადაც ეს შესაძლებელია, სურათი გავაცოცხლოთ.

მოთხრობის ამ ადგილს რომ გავაანალიზებთ, თითქოს რაღაც უხერხულობა თუ შეუსაბამობა მოგვეჩვენება.

აბა, კარგად დავაკვირდეთ.

როგორც ითქვა, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგაც ერისთავის სასახლეში ძველებური წესით წარიმართა ცხოვრება. ამჯერად ცოტა უფრო ფრთხილად, მაგრამ მაინც ძველებური წესით.

ეს სავსებით ბუნებრივია. შესანიშნავი ვაჟკაცისა და მამულიშვილის ცხოვრებას რაღა აზრი ექნებოდა, თუ დაშინდებოდა და დამპყრობლის მონა-მორჩილი გახდებოდა, თუ მისთვის ხარაჯის ამკრეფიღა შეიქნებოდა, თუ ისევ არ შემოიკრებდა ღირსეულ მამულიშვილებს, ისევ არ გაუწევდა მხრუნველობას და ხელმძღვანელობას ახალგაზრდებს, ისევ არ იქნებოდა მის ოჯახში გულანთებული ფიქრი, მსჯელობა და კამათი სამშობლოს ბედსა და მომავალზე, თუ ისევ არ იღონებდა რამეს კონკრეტულად და პრაქტიკულად მძიმე დღეში ჩავარდნილი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ისიც ბუნებრივია, რომ ბოროტი ადამიანები კვლავ ძველებურადვე დაიწყებდნენ ნერსეს დასმენას ხალიფასთან. სამწუხაროდ, კეთილ საქმეს ბევრი მტერი ჰყავს.

თუკი ხალიფა მაჰდი ირწმუნებდა ამ დასმენებს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ განრისხებულიყო. მას ორმაგი საფუძველი ჰქონდა ასეთი განრისხებისა: აკი მან გამოუცხადა ნდობა ღალატში შემჩნეულ უცხოელს, გარდაცვლილი მამის ნება-სურვილის წინააღმდეგ წავიდა, თავის ვეზირებს ყური არ ათხოვა, დაპყრობილი ქვეყნის მმართველი, იმ ხალხის მეთაური, რომელიც ურჩობითა და შეუპოვრობით გამოირჩევა, საპყრობილიდან გამოიყვანა და გაათავისუფლა, სამშობლოში გააგზავნა. გაისტუმრა არა როგორც უბრალო მოქალაქე, არამედ როგორც ქვეყნის მმართველი, ერისთავი, თავისივე ნაცვალი იმ დაპყრობილ ქვეყანაში.

ამაზე დიდი ნდობა და პატივისცემა რაღა შეიძლება?!

და რა გასაკვირია, ხალიფა განრისხებულიყოს, თუკი იგი დასმენებს ირწმუნებდა.

დამპყრობი ტირანის თვალსაზრისით, ეს ხომ საშინელი უმადურობა იქნებოდა თავისი დამონებული ქვეშევრდომისა. ამავე დროს ეს იქნებოდა თვითონ ახალგაზრდა ხალიფის პრესტიჟის შელახვა: მან იმდენი უჭკუობა და პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინა, რომ მოღალატეს გამოუცხადა ნდობა; გვირგვინოსანი მამის ნება ფეხით გაქელა და მოღალატე გადამთიელს სცა პატივი... მართლაც რომ უხერხული მდგომარეობა შეიქნა!

ამიტომაც ხალიფა დასმენის ლიტონ სიტყვებს ბრმად არ აჰყვებოდა. კარგად გამოიძიებდა საქმეს. მისი პრესტიჟისთვის, რა თქმა უნდა, ისა სჯობდა, არ დამტკიცებულიყო ბრალდება.

მაგრამ თუკი ერისთავი გაიქცა და გადაიხვეწა?!

ჩვენ არ ვიცით, საბოლოოდ როგორ ჩამოყალიბდა ბრალდება ქართლის ჯიუტი და მოურჯულებელი ერისთავის მიმართ და, ამისდა კვალობაზე, რა სასჯელი ემუქრებოდა მას. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაკი ასეთი ფაცხაფუცხით, დედაბუდიანად, გადაიხვეწა ერისთავი უცხო ქვეყანაში, ბრალდებაც სერიოზული იქნებოდა და მოსალოდნელი სასჯელიც ძალიან მკაცრი.

მაგრამ ერისთავმა დაასწრო და გაიქცა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაცეცხლდებოდა ხალიფა. ზომებს მიიღებდა, რათა იმ უცხო ქვეყანაში მიწვდომოდა. მკელელებს მიუგზავნიდა. იმ ქვეყნის მბრძანებლის კარისკაცებს მოისყიდდა და საწამლავს შეაპარებდა. ეს ერთგვარი რეაბილიტაცია მაინც იქნებოდა ხალიფისა. ასეთი შემთხვევა რამდენი ვიცით სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის ისტორიიდან. ის, რაც უბრალო

მოკვდავს ამორალობად და მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლება, გვირგვინოსანისთვის კანონიერიც არის და მორალურად გამართლებულიც. ხალიფას საქციელი საესებით ბუნებრივი და გამართლებული იქნებოდა.

ასეთი უნდა ყოფილიყო ლოგიკური შედეგი. ერისთავის მეორე ღალატსა და მოულოდნელ გაქცევას ეს უნდა მოპყოლოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა.

მოხდა საწინააღმდეგო რამ.

მოღალატე ერისთავის გაქცევის შემდეგ ხალიფა ერისთავად ნიშნავს მოღალატესაეე შვილსა თუ დისწულს!

ამაზე სასურველი ან იმ მოღალატე ერისთავს რა უნდა ენატრა!

და გაიხარა კიდეც, როგორც მოთხრობის აეტორი გვაუწყებს, როცა სტეფანოზის დანიშვნის ამბავი გაიგო.

გადის ამის შემდეგ მცირე დრო, სულ რაღაც ერთი წელი, და უცხოეთში გადახვეწილ მოღალატეს, რომელმაც გაქცევით დააღწია თავი სასტიკ და სამართლიან სასჯელს, ისევ ნდობას გამოუცხადებს, ისევ შეივრდომებს განრისხებული და გაწბილებული ხალიფა! შეივრდომებს არა როგორც დამცირებულს, ცოდვამონანიებულს და დარცხვენილს!

რა ბრძანებაა! როგორც საყვარელ მეგობარს, ისე მიიღებს, მთელი თავისი ოჯახით, მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით უკანვე დააბრუნებს...

კარგი გასეირნება კი გამოუვიდა მოღალატეს! დაისვენა, თვალს წყალი დაალევინა, გაერთო, გახალისდა, და როცა ცოტათი მოსწყინდა, ხალიფას შეუთვალა — მოედიეარ, შემეგებეო! ხალიფამაც შეუსრულა წადილი. არც ისა სწყენია, რომ ნერსე თავისი ამალით სახალიფოს დაუძინებელ მტერს ხაზარეთის ხაკანს ეწვია. არც ძველი ცოდვები გაუხსენა, არც ახალი, და მეგობრულად მიიღო.

კარგი დამპყრობელი კი ყოფილა!

ან თვითონ ნერსე როგორღა ენდო ასეთი ამბების შემდეგ და როგორ გაბედა სამშობლოში დაბრუნება? თავი თუ გაიმეტა, ოჯახს რაღას ერჩოდა?!

თითქოს ვერავითარ ლოგიკას ვერ უძლებს ეს. მით უფრო დამპყრობელი მტარვალის ლოგიკას.

თითქოს მართლაც უხერხულობა გამოდის, არა?!

უნებურად მიდიხარ ამ დასკვნამდე: ან ნერსე ერისთავი არა ყოფილა მეორედ დევნილი ხალიფასაგან, და იგი თავისი სურ-

ვილით, მშვიდობიანად, სავსებით ნორმალურ ვითარებაში გაემგზავრა ხაზარეთსა და დასავლეთ საქართველოში, მერე კი ასევე მშვიდობიანად დაბრუნდა უკან; ან, თუკი მართლა დევნილი იყო და ხალიფის საშინელ რისხვას გაექცა, ერთ წელიწადში, იმავე ხალიფის მმართველობის დროს, უკან ვეღარ დაბრუნდებოდა ისე მშვიდობიანადა და ოფიციალურად.

ეს ერთი უხერხულობა.

არის მეორე უხერხულობაც.

ქართლის ერისთავმა რომ გაიგო, დიდი საშიშროება ემუქრებოდა, უპირველეს ყოვლისა, ოჯახი გახიზნა. აფხაზეთს გაისტუმრა მაშინვე.

ეს სავსებით ბუნებრივია: აკი ზემოთაც აღვნიშნეთ, არაბებისგან დევნილი ქართლის მოსახლეობა უმთავრესად დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდა, თავისივე ძმებთან პოულობდა მყუდრო თავშესაფარს, დაუყვედრებელ ლუკმას და მშობლიურ ალერსს. მით უმეტეს, რომ „კრძალულ იყო ქუეყანაი იგი შიშისაგან სარკინოზთაისა“ — არაბებს იქამდე ხელი ადვილად ვერ მიუწვდებოდათ, ბიზანტიასთან შეხლას ერიდებოდნენ, რომელიც უშულოდ ესაზღვრებოდა დასავლეთ საქართველოს.

მაგრამ თვითონ ერისთავი რატომღა არ წავიდა ოჯახთან ერთად აფხაზეთს? თავის გადარჩენა თუ უნდოდა, რაღა სხვაგან ეძებდა თავშესაფარს, ოჯახთან ერთად ისიც თავის ძმებს შეხიზნოდა! ხაზარეთში გაქცევა რატომ არჩია?!

ამაზე იქნებ ასეთი პასუხი გაგვიჩნდეს: იმიტომ, რომ ხაზარებთან სამხედრო კავშირის შეკვრა სურდა, ხაკანს ალბათ სამხედრო დახმარება სთხოვაო.

გამოთქმულია კიდეც ასეთი ვარაუდი.

დაუჯერებელი აქ თითქოს არაფერია. მართლაც შეიძლებოდა სამხედრო დახმარებისთვის მიემართა ქართლის ერისმთავარს ხაკანისთვის. თითქოს მართალსა ჰგავს.

ამას, სხვათა შორის, ხალიფაც ასე ივარაუდებდა: რაკი სარკინოზთაგან დევნილმა ერისთავმა ცოლ-შვილი აფხაზეთში გახიზნა და თვითონ არაბების დაუძინებელ მტრებთან, ხაზარებთან გაემგზავრა, ხალიფა, რა თქმა უნდა, იფიქრებდა — ალბათ ჩემს წინააღმდეგ სამხედრო კავშირსა კრავენო. და ამის შემდეგ მით უფრო ალოგიკური და დაუჯერებელია ნერსეს კვლავ შეერდომება.

ამ ვარაუდს მეტი სიფრთხილით სჭირდება აწონ-დაწონა. მარ-

თალია, ხაზარები არაბების მოსისხლე მტრები იყვნენ, და ამდენად, ადვილად დათანხმდებოდნენ არაბების წინააღმდეგ შეკრულ კავშირში მონაწილეობას, მაგრამ არც ქართველებს ახსოვდათ ხაზართაგან სიკეთე. ტყუილად კი არ გვიხატავს იგივე იოანე საბანის ძე ხაზარებს იმავე ადგილას, როცა ნერსეს ხაზარეთში გამგზავრებაზეა ლაპარაკი, ასე შემაძრწუნებლად: ხაზარნი „არიან... კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს“...

ასეთი ხალხის ნდობა და საკუთარ ქვეყანაში შემოყვანა, თუნდაც სხვა მტრის წინააღმდეგ საბრძოველად, სარისკო და ძნელად გასაბედი საქმე იყო. ერთი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მეორე თითქმის ასეთივე მოსისხლე მტრის ლაშქარს უნდა დაეპყრო მთელი ქვეყანა. ეს „მხეცის ბუნების“ „სისხლის მჭამელი“ ლაშქარი საქართველოს რა ხეირს დააყრიდა, თუნდაც „სამხედრო კავშირი“ ჰქონოდა მასთან შეკრული?!

და მაინც, ასეთი სამხედრო კავშირები ისტორიაში ცნობილია — როცა გარკვეულ ვითარებაში, ერთი მტრის წინააღმდეგ ქვეყანა მეორე არაკეთილად განწყობილ ქვეყანასთან შეკრავს კავშირს.

მაგრამ აქ სხვა რამეც უნდა გავითვალისწინოთ.

ნერსესთანა გამოცდილმა კაცმა ისიც კარგად იცოდა, რომ ხაზარებთან ასე სახელდახელოდ შეკრული სამხედრო კავშირით არაბების საბოლოო დამარცხება იმ დროს შეუძლებელი იყო, ხოლო ცალკეულ ბრძოლებში კიდეც რომ მიეღწიათ გამარჯვებისთვის, ეს არაფერს მისცემდა საქართველოს. პირიქით, უარესად გააღიზიანებდა მტერს და ახალი რბევისა და თარეშისთვის გამოიწვევდა. ამას შეიძლებოდა ქვეყნის სრული განადგურება მოჰყოლოდა. და ამას უსათუოდ გაუწევდა ანგარიშს ისეთი გამოცდილი მოღვაწე, როგორიც ნერსე იყო. ეს ორ მძვინვარე ცეცხლთან თამაშს ემგვანებოდა (როგორც ცნობილია, არც მოჰყოლია ნერსეს ხაზარეთში გამგზავრებას რაიმე სამხედრო ღონისძიება!).

და მაინც ხაზარეთში გაიქცა ნერსე თავისი დიდი ამალით.

რატომ?

რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ პირველ უხერხულობასაც და მეორესაც?

აშკარაა, ნერსე უბრალოდ, გასასეირნებლად და სანადიროდ არ გაემგზავრებოდა ხაზარეთში. რაღაც დიდ საქმეზე წავიდოდა. ოღონდ

არა არაბების წინააღმდეგ ლაშქრობის მოსამზადებლად, არამედ რაღაც სხვა საქმეზე... ალბათ უფრო მნიშვნელოვან საქმეზე.

დასკვნის გამოტანა, რომ მოთხრობის ეს ადგილი უხერხულია და ლოგიკურად დაუსაბუთებელი, შედარებით ადვილი საქმეა. ხოლო იმის ვარაუდი, რა მოხდა, როგორ შეიძლებოდა სინამდვილეში მომხდარიყო ყველაფერი, როგორ შეიძლება აუხსნათ ეს იდუმალებით მოცული გამოცანა, ძალიან ძნელია. იმიტომაც, რომ იქნებ ბევრი ასეთი ვარაუდი გაჩნდეს.

ჩვენ მაინც მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას, იქნებ თავისით მიეადგეთ უფრო სარწმუნო დასკვნას; თუ ორივე უხერხულობას ვერ მოვუძებნით ახსნას, იქნებ ერისმთავრის ხაზარეთსა და დასავლეთ საქართველოში გამგზავრების მიზეზი მაინც გამოვიცნოთ.

აბა, თვალი გავადევნოთ ამის მომდევნო მოვლენებს. ვნახოთ, ნერსეს გაქცევასა თუ გამგზავრებას რა მოჰყვა.

ხაზარეთიდან ნერსე აფხაზეთში გადავიდა, სადაც იმ დროს მთავარია ლეონ მეორე, ხ ა ზ ა რ თ ა მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ხ ა-კ ა ნ ი ს უ ა ხ ლ ო ე ს ი ა დ ა მ ი ა ნ ი — შ ვ ი ლ ი შ ვ ი-ლ ი (ქალიშვილის შვილი). რამდენიმე ხანს იქ დაყოფს ნერსე და, როგორც ვიცით, თბილისში ბრუნდება.

ახლა ჩვენც დავუბრუნდეთ ამ ამბის (ანუ ნერსეს მთელი საიდუმლოებით მოცული მოგზაურობის) დასაწყისს.

როგორც ლოგიკური ანალიზიდან ჩანს, ნერსე ერისთავი ქართ-ლიდან სულაც არ გაქცეულა ხალიფას განრისხების შედეგად, და, მით უმეტეს, თავისივე მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს. ასეთი გაქცევის შემდეგ (რა მიზეზითაც უნდა გაქცეულიყო იგი — დასმენების შედეგად ხალიფის განრისხებისა თუ აჯანყების დამარცხების გამო) ძნელად დასაჯერებელია მისი სამშობლოში დაბრუნება სულ რაღაც ერთი წლისა თუ წლინახევრის განმავლობაში, იმავე ხალიფის დროს. როგორც ცნობილია, ხალიფა მაჰდი (ის მაჰდი, რომელიც 775 წელს გახალიფდა და მაშინვე გაათავისუფლა ნერსე ტყვეობისაგან), მხოლოდ 786 წელს შეცვალა თავისმა ძმამ. ნერსე კი თბილისში მობრუნდა 783 წელს და, ეტყობა, კარგი პატივითაც მიიღეს — ისიც, მისი ოჯახიც, მისი ამალაც.

გამოდის, რომ ხალიფას რისხვას არ გაქცევია ნერსე.

მაშ, რა მოხდა?

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე სიბერეში შესულმა ნერსემ

(ამ დროისთვის იგი უკვე კარგა ხნისა ჩანს), სიბერე მოიმიზეზა და გადადგა, ტახტი თავის შვილს — სტეფანოზს — დაუთმო.

დაუჯერებელი აქ არაფერია. ასეთი რამე ბევრჯერ მომხდარა.

და, აჰა, გადადგა ქართლის ერისთავი ნერსე.

მაშ, მოთხრობაში ნახსენები „განრისხებაი ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაი“ მოგონილია? ეს ხომ ლაფსუსად არ შეიძლება მივიჩნიოთ? დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენა მოხდა, როგორ შეიძლებოდა ეს დაემახინჯებინა ისეთ ავტორს, როგორიც იოანე საბანის ძე იყო — დიდად განათლებულსა და განსწავლულს, დახელოვნებულ მწერალს, გამოცდილ მოღვაწეს?!

ეს შეუსაბამობანი როგორღა შეეუთავსოთ ერთმანეთს?

ამის ახსნაც ვცადოთ, ზემოთაც აღვნიშნეთ, მტრები ნერსეს (ან იმ კეთილ საქმეს, რასაც ნერსე ემსახურებოდა) გამოულეველი ჰყავდა. და ეს მტრები არა ცხრებოდნენ, ასმენდნენ და ასმენდნენ მას ხალიფასთან. იმავე მოტივებით, იმავე კონკრეტული ბრალდებებით, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, და ამიტომაც აქ აღარ გავიმეორებთ.

ხალიფაც ამოწმებს ნერსეს — ხან ჯაშუშების საშუალებით, ხან აშკარად, ოფიციალურად. ხალიფა მაჰდი, ეტყობა, პატივისმცემელია ნერსესი, როგორც პიროვნებისა. იქნებ მას თვითონვე ჰქონდა ის ბუნებითი ნიჭი, რამაც ეს ღირსეული კაცი მოაწონა და შეაყვარა, მისი მომხიბვლელი ბუნებით მოიხიბლა.

ამიტომაც გამოიყვანა მან თავის დროზე ქართველი დიდებული საპყრობილიდან და კვლავ ერისთავობა მიუბოძა.

ამიტომაც არ უნდა ხალიფას, ნერსეს მოღალატეობა დაიჯეროს. როგორც უკვე ვთქვით, ეს არც მისი პრესტიჟისთვის იქნება კარგი. და მართლაც, ბრმად არ დაიჯერა „ბოროტთა კაცთა შესმენაი“. პირველად ყურადღებაც არ მიაქცია. რომ აღარ დაცხრნენ, შეამოწმა. მაინც არ დაცხრნენ და კვლავ შეამოწმა, ფარული აგენტებიც გაუგზავნა...

და ალბათ გაურისხდა კიდეც, როცა ზოგი რამ ერისთავის მოქმედებისა მართლაც საეჭვოდ მიიჩნია. მაგრამ ერისთავის გადაყენებამდე და მით უფრო შეპყრობამდე ამჯერად აღარ მისულა საქმე.

ნერსემ დაასწრო და რაკი მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა ტახტის შვილისთვის დათმობა, თავის „მეგობარ“ ხალიფაზე განაწყენების ინსცენირება გაითამაშა, რათა მომავლისთვის მეტი ნდობა დაებეებინა. ეს კაპიტალი მას მალე დასჭირდებოდა. განაწყენდა და მოახსენა: მე მეგონა პატიოსნად გემსახურებოდით შენც, ჩემს ქვე-

ყანას და ხალხსაც, თქვენს ხალხთან და მოხელეებთან ლოიალური დამოკიდებულება მქონდა. ეტყობა, არ გამოდის, ბოროტი ხალხი მომრავლდა, მათ ჩვენი მეგობრობაც შურთ. მაინც დავბერდი, მიჭირს ამოდენა ქვეყნის მართვა, რაღა დროს ჩემი მეფობაა, მალე ჩემი წინაპრები წამიყვანენ...

ეს არც მაჰდის დარჩებოდა საწყენად. ისიც გაბეზრდა ამდენი დასმენით. თანაც სრული ნდობა, რა თქმა უნდა, არც მას ექნებოდა ქართველი მმართველის მიმართ და დათანხმდა.

ხალხმა იცის, რომ ნერსეზე ამდენი დასმენები იგზავნება, რომ ქართველ ერისთავს ფარული აგენტები და ჯაშუშები ჰყავს მიჩენილი, რომ ხალიფა ამდენი დასმენის შემდეგ განრისხებულია ერისთავზე და თავის მხრივ ნერსეც განაწყენებულია ხალიფაზე. ამაზე ლაპარაკობენ, არის მითქმა-მოთქმა, ჩურჩული, ჭორები. ბოროტსა და უსაქმო ხალხს რა გამოლევს! ხალიფა რომ განრისხებულია ნერსეზე, ამ ხმებს დიდი გაზვიადებით თვითონ ის მომრავლებული ბოროტი ენები ავრცელებენ. წვრილ მთავრებს შიშის კანკალი აქვთ დიდი რეფორმის გამო, რასაც ნერსე ამზადებს და რაც მათ ყურმოკვრით გაუგონიათ...

ერთი სიტყვით, ნერსე ხალიფას შეუთანხმდა, ტახტზე სტეფანოზი დასვა და ერისმთავრობის უღელმოხსნილი და დაქანცული თავისი დიდი ამალით მეზობელ ქვეყანას ესტუმრა — გზაზე ინადირებს კიდეც, დაისვენებს, გაერთობა... სჯობს რამდენიმე ხნით აქაურობას გაეცალოს, მანამდე ბოროტი ენებიც დაცხრება... ხალიფასთვისაც ასე უფრო ხელსაყრელია.

შორიდან მართლაც უმიზნო, გასართობ სტუმრობასა ჰგავს ეს გამგზავრება. სინამდვილეში კი დიდი ეროვნული მისია შეასრულა. ისეთი მისია, რასაც უსათუოდ სჭირდებოდა აფხაზეთს ჩასვლა სახელმწიფოს მეთაურისა (სწორედ რომ მეთაურისა! მაგრამ თუ ეს კაცი, ამასთან, არაოფიციალური მეთაური იქნებოდა, მით უკეთესი), საფუძვლიანი მოლაპარაკება, საქმის კარგად აწონ-დაწონა, ყველაფრის გათვალისწინება — აწმყოსიც, მომავლისაც, სხვა ქვეყნების ურთიერთობისაც. ამას დროც ბევრი დასჭირდებოდა.

თანაც არაბებს, რომელთაგან ფარულად და რომელთა წინააღმდეგ ეს საქმე ხდებოდა, ეჭვი არ უნდა აეღოთ. მათ თვალში მართლაც საქვეყნო საქმეებით დაქანცული, და აწ ტვირთმოხსნილი, დროის სატარებლად გამგზავრებული კაცის წასვლას უნდა დამგვანებოდა ეს „გასეირნება“.

სინამდვილეში, როგორც ითქვა, სულ სხვა რამ ხდებოდა.

მაინც რა ხდებოდა?

ჩვენ ვიცით, რომ ნერსეს ხაზარეთსა და აფხაზეთში გამგზავრებას მართლაც მოჰყვა უაღრესად მნიშვნელოვანი აქტი ქვეყნის ცხოვრებაში.

„მატიანე ქართლისაში" ვკითხულობთ:

„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა (ლეონ პირველისა), რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ (მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ესენი არჩილ მეფის შვილები არიან) და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა".

ასე მოკლედ არის გადმოცემული ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი მოვლენა.

გადაუდგა ლეონ მეორე ბიზანტიას და დამოუკიდებლობა მოიპოვა. დაიპყრო აფხაზეთი, დაიპყრო ეგრისი (ეგრისი! ძველი ლაზეთი! ჩვენ ვიცით, რა ტერიტორიას მოიცავს ის), ლიხს მიადგა (ესე იგი, არგვეთიც თავის სამფლობელოში მოაქცია) და მეფის ტიტული მიიღო!

ზოგი თანამედროვე მეცნიერი აქ ამ ვრცელი ტერიტორიის ბრძოლით დაპყრობას გულისხმობს. ოღონდ რა პირობებში მოხდა ეს ბრძოლები, ან უშუალო მიზეზი რა იყო, ან როგორ წარიმართა, ამის განმარტება არა გვაქვს.

მართლაც, „დაიპყრას" რომ გავიგონებთ, უნებურად წარმოგვიდგება საშინელი ბრძოლები, რბევა, ქვეყნის მოოხრება და უცხო, უხეში ძალის მიერ მშვიდობიანი ქვეყნის მონური დამორჩილება.

ყოველთვის ასე არ არის.

ვახტანგ გორგასალს, დაჩის გარდა, ბერძენი ცოლისგან კიდევ ჰყავდა ორი ძე — ლეონ და მირდატ. მამის გარდაცვალების შემდეგ ლეონი მალე მოკვდა. ხოლო მირდატთან დაჩიმ მოლაპარაკება გამართა („ამას მირდატს დაევაჭრა ძმა მისი დაჩი"): ქვეყნები გაცვალეს, რადგან ასე უფრო ხელსაყრელი იყო მათთვის. დასავლეთ საქართველოს ერთი ზოლი, „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა", რომელიც მირდატის დედის, ბერძნის ქალის, მზითევი იყო, დაჩიმ

ირგუნა, „და მისცა ნაცელად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე. დ ა ი პ ყ რ ა მირდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავანითგან და ტასისკარითგან, ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ".

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ძალიან ნათლად ჩანს, არავითარი ისეთი „დაპყრობა", რასაც ჩვენ უნებურად ვგულისხმობთ ხოლმე ამ სიტყვის გაგონებაზე, აქ არ მომხდარა. ძმასთან წინასწარი მოლაპარაკების მიხედვით მირდატმა საკუთარი მშვიდობიანად და წყნარად დაიკავა გარიგების თანახმად მიღებული ტერიტორია.

ასეთივე დაპყრობა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ლაპარაკია ლეონ მეორის მიერ აფხაზეთისა და ეგრისის (ვიდრე ლიხამდე) დაპყრობაზე. წინასწარი მოლაპარაკების მიხედვით ლეონ მეფემ დაიკავა მთელი ეს ტერიტორია და მიიღო ტიტული აფხაზთა მეფისა. აქ მოძმე კუთხის ომითა და სისხლისღვრით დაპყრობა, მისი დარბევა არ იგულისხმება.

ამას მარტო ის მორალური ფაქტორი კი არ გვათქმევინებს, რომ ძმა ძმის წინააღმდეგ მახვილს არ შემართავდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ამბები ფეოდალური ურთიერთობის დროს ხდება, როცა ძმის დანდობა არ იციან და არც მორალური კოდექსით იკრძალება. ჩვენ ქვემოთ ბევრს ვნახავთ ისეთ შემთხვევას, როცა ძმებიც ხშირად გაისვრიან ერთმანეთის სისხლით ხელს და ბიძა-ძმისწულიც. ესე იგი, მარტო ეს „მორალური ფაქტორი კი არ გვაფიქრებინებს, რომ ლეონის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ომითა და ექსპანსიური ჟინით დაპყრობას არ ნიშნავს (თუმცა ამ შემთხვევაში შეგვეძლო ეს ფაქტორიც დაგვესახელებინა, რადგან ამ ორ კუთხეს მაშინაც და შემდგომშიაც ჭეშმარიტად ძმური და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა).

მთავარი, რაც ამ ვარაუდს უმაგრებს საფუძველს, ის არის, რომ არსად, არც ქართულსა და არც უცხო ქვეყნების ისტორიულ წყაროებში ასეთი ბრძოლა თუ გალაშქრება ნახსენები არ არის. იმოდენა ტერიტორიას დაეუფლა ერთბაშად ლეონ მეორე, რომ, ჯერ ერთი, ბრძოლებით მისი დაპყრობა გაუძნელდებოდა, და მეორეც, თუკი მართლაც წამოიწყებდა ომს, ეს ძმათა სისხლისმღვრელი ომი ისტორიულ წყაროებში აისახებოდა.

რაკი არა ჰპოვა არავითარი ასახვა და რაკი ლოგიკური ანალიზითაც ასეთ აქტს არა ჰგავს, მართლაც არ ყოფილა ეს ბრძოლითა და ძალმომრეობით დაპყრობა.

პაელე ინგოროყვა წერს: აქ ლეონის მიერ დასავლეთ საქართვე-

ლოს ბრძოლით დაპყრობა კი არ არის ნაგულისხმევი, „აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან". ესე იგი, მათ ბიზანტიელთა უღელი მოიშორეს, ბიზანტიელები განდევნეს დასავლეთ საქართველოდან, მათ ბატონობას მოუღეს ბოლო. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა მემატიანის სიტყვები: ლეონ „... დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე". გამოდის, რომ მას საკუთარი სამთავროც დაუპყრია, შენიშნავს მკვლევარი. ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე: ეს (ეგრისის სამთავროს შემოერთება) ისეთი სერიოზული აქტია, შენიშნავს ზ. ანჩაბაძე, რომ უნდა ვიფიქროთ, ერთბაშად არ მოხდებოდა, არამედ თანდათანობით მომზადდებოდა ნიადაგი. ამ აზრისაა პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელმაც საგანგებო გამოკვლევა უძღვნა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს.

მართლაც, ეჭვს აღარაფერი იწვევს, რომ ლეონ მეორემ მთელი დასავლეთ საქართველო ნებაყოფლობით დაიკავა.

მაგრამ ეს ხომ ერთი ხელის დაკვრით, სტიქიურად არ მოხდებოდა. ამას უსათუოდ წინ უძღოდა ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა მესვეურების ურთიერთ კონტაქტები, მოლაპარაკება, განსჯა, შეთანხმება, საქმის ათასჯერ გაზომვა და აწონ-დაწონა... ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო წინასწარ მოფიქრებული გეგმისდა შესაბამისად. ათასჯერ აწონ-დაწონისა და განსჯის შემდეგ. ყველაფრის გათვალისწინებით — საშინაო საქმეებისა და მდგომარეობისაც და საგარეოსიც, აწმყოსი და მომავლისაც. ამავე მოძმე კუთხეებისა და მთლიანი საქართველოს საკეთილდღეოდ.

აქ სადავო არაფერია.

კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ მემატიანის სიტყვებს: „...ლეონ... დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა, რ ა მ ე თ უ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა".

ეს სიტყვები ორნაირად შეიძლება გავიგოთ:

თუ იმას ვირწმუნებთ, რომ ეგრისის შეერთება აფხაზეთთან იარაღითა და ძალმომრეობით მოხდა,

1. მაშინ ლეონმა ი ს ა რ გ ე ბ ლ ა იოვანეს გარდაცვალებით (ეტყობა იგი უძეოდ გადაეგო), ჯუანშერის სიბერით (ისიც ალბათ უმემკვიდროა), დაძრა თავისი ლაშქარი და იარაღით დაიპყრო მთელი

დასავლეთი საქართველო...

მაგრამ აკი ითქვა, და ეს ყველაფრით მტკიცდება, საეჭვოდ აღარაფის აქვს, რომ ეგრისის შეერთება ნებაყოფლობით და მშვიდობიანად მოხდა; თუკი ამ ფაქტს ვირწმუნებთ (და საფუძველი არა გვაქვს, არ ვირწმუნოთ),

2. მაშინ მემატიანის ზემოთ მოტანილი სიტყვების ქვეტექსტი ძალიან აშკარად გამოჩნდება; მაშინ ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვა „რამეთუც“ სულ სხვაგვარად აჟღერდება. თითქოს პირდაპირ გვეუბნება მემატიანე, რომ ამ საქმეზე — ეგრისის აფხაზეთთან შეერთებაზე, ანუ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაზე — ბევრი უფიქრიათ და შეთანხმებულან, შეთანხმებიან მოხუც ჯუანშერს, იქნებ თავის დროზე იოვანესაც: უმთავროდ დარჩენილი ქვეყანა მეზობელ სამთავროს შეუერთეს იმ არსებითი მიზეზებისა და მიზნების გამო, რაზეც ზემოთ ითქვა.

ასეთი დასკვნის შემდეგ უნებურად ისმება კითხვა: ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საქმის თაოსანი, ბიძგის მიმცემი, დამჩქარებელი?.. რაკი შეთანხმება იყო, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორებიც იქნებოდნენ! თავისით ხომ არ გაკეთდებოდა ასეთი საქმე?!.. ობიექტურად როგორადაც მომზადებული უნდა ყოფილიყო ნიადაგი, ასეთ დიდ საქმეს თაოსანი მაინც ხომ სჭირდებოდა?!

ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მემატიანის მიერ ისე მოკლედ გადმოცემული ამბავი ლეონ მეორის მიერ დასავლეთ საქართველოს დაკავებისა თითქმის მაშინვე მოჰყვა ნერსეს მოგზაურობას ხაზარეთსა და აფხაზეთში!

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ასეთი დიდი აქტი (ლეონ მეორის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება) ხაზარებთან შეუთანხმებლად ვერ მოხდებოდა. ხაზარებს თავიანთ გავლენის სფეროდ მიაჩნდათ საქართველო.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ხაზართა ხაკანის მეორე შვილიშვილი, მეორე ქალიშვილის შვილი, სწორედ ამ დროს ბიზანტიის იმპერატორია! გვირგვინოსანი დეიდაშვილები — აფხაზთა მთავარი და ბიზანტიის იმპერატორი — სეხნიები არიან: ლეონ II აფხაზთა მთავარი და ბიზანტიის იმპერატორი ლეონ IV ხაზარი!

მკითხველს ისიც უნდა შევახსენო, რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ დროისთვის ეგრისს საკუთარი მთავრები არა ჰყოლია, ქართლის მთავრები განაგებდნენ. მემატიანის მიერ ნახსენები იოვანე და ჯუანშერი ქართლის მეფის არჩილის შვილები იყვნენ. ამასთან:

იოვანე ამ დროს გარდაცვლილია, ჯერ კიდევ ცოცხალია ღრმად მოხუცი ჯუანშერი, რომელიც უძეოდ გადაეგო (787 წელს), ხოლო ეს ჯუანშერი სიძე იყო ნერსესი — აშოტის დის ლატავრის ქმარი!

ასე რომ, ქართლის ერისთავს მორალური უფლებაც ჰქონდა, იურიდიულიც, აქტიურად ჩარეულიყო დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების საქმეში.

ხოლო ეს ერთ-ერთი მთავარი რგოლი, მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო იმ დიდი ეროვნული იდეისა, რაც ნერსეს კარზე ყალიბ-დებოდა, რაზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

●

ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა დიდი სამეფო, რომელიც ისტორიულ ლიტერატურაში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელით არის ცნობილი.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მთლიანი საქართველოს შექმნის გზაზე.

სახელდობრ რომელ წელს მოხდა აფხაზთა მთავრის მიერ ეგრისის სამთავროს შეერთება, დაზუსტებული არ არის. მკვლევარებს სხვადასხვა მოსაზრება აქვთ ამაზე, მაგრამ მათი ვარაუდები დიდად არ შორდება ერთმანეთს. ზუსტი თარიღის დადგენა იქნებ შეუძლებელიც იყოს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს მოხდა მერვე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისშივე.

უფრო გადაჭრით იმის თქმა შეიძლება, რომ ეს უშუალოდ მოჰყვა ხაზარეთ-აფხაზეთში ნერსეს მოგზაურობას.

იქნებ ახლა მაინც ავხსნათ ნერსე ერისთავის ამ დიდი მისიის საიდუმლო!

და ისევ იმ კითხვას უნდა დავუბრუნდეთ:

შეიძლებოდა შემთხვევით მომხდარიყო ყველაფერი ეს?

●

ეს ამბები ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. ცალკეულ მოვლე-ნებსა და ფაქტებს ჩვენ ვიცნობთ იმ მწირი ცნობებით, რაც ძნელბედობაგამოვლილ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავს. ამიტომ

სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს იქნებ მეტისმეტად თამამი მოეჩვენოს ჩვენი ვარაუდი, როცა მაშინდელი ადამიანების ფიქრებისა და საზრუნავის კონკრეტულად ჩამოყალიბებასაც კი ვცდილობთ. მაგრამ სკეპტიკოსის სიჯიუტეს თუ მოვიშორებთ და კარგად დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ასეთი დაეჭვების საფუძველი არ არსებობს.

თანაც, უსამართლოდ მივიწყებული მამულიშვილების აჩრდილები გვაკალდებულებენ, უფრო გაბედულად ჩავიხედოთ ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში და მათი მოღვაწეობის ამბავი წავიკითხოთ. გავშიფროთ ის, რაც ეჭვს არ იწვევს და უსათუოდ იგულისხმება. რისი ვარაუდის უფლებასაც ლოგიკური ანალიზი გვაძლევს.

საბედნიეროდ, ბევრი ვიცით ჩვენს ისტორიაში დიდი მამულიშვილური შემართების, მაღალი ზნეობისა და საერთო ეროვნული ინტერესებისადმი ვიწრო-პირადული ინტერესების დამორჩილების ფაქტები.

ნერსე ერისთავი ასეთი მამულიშვილია.

●

ეგრის-აფხაზეთის ერთ დიდ სამთავროდ ჩამოყალიბება და დამოუკიდებლობის მოპოვება, რასაც მალევე მოჰყვა საბერძნეთის ეკლესიისგან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფა, ჩვენ ბიზანტიის იმპერიის დასუსტებას დავუკავშირეთ. სწორედ ასე გადმოგვცემს ქართველი მემატიანე. მისი სიტყვებიც რამდენჯერმე გავიხსენეთ — „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნიო“...

ალბათ საინტერესო იქნება, ცოტა უფრო გაშალოთ ეს საკითხი.

სხვა დროსაც გვახსოვს ბიზანტიის იმპერია დიდი ომებისგან დასუსტებული, ზოგჯერ სასტიკად დამარცხებულიც...

საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთში ჰეგემონობაზე ჯერ რომის იმპერიას და მერე ბიზანტიას განუწყვეტლივ ეცილებოდნენ, განსაკუთრებით სპარსეთი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო მათ შორის გაჩაღებული; ხან ერთი იმძლავრებდა, ხან — მეორე.

როცა არაბები გამოჩნდნენ პორიზონტზე და სპარსეთი დაეცა, ასეთივე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა არაბებსა და ბერძნებს შორის. ხან ერთისკენ იხრებოდა ბედის სასწორი, ხან — მეორისკენ.

ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

მაგრამ საბერძნეთი[1] მაინც მუდამ იცლიდა, რათა თავისად დაგულებულ ქვეყანაში „წესრიგი“ ჰქონოდა და დიდი პოლიტიკური თავისუფლება არ მიეცა. პირიქით, არაბებთან ურთიერთობის გამწვავების დროს მეტი გაფაციცებითაც „ზრუნავდა“ ჩვენი ქვეყნისთვის, მეტ სიფრთხილეს იჩენდა.

მერვე საუკუნის დასაწყისში, სანამ საიმპერატორო ტახტზე ლეონ ისაური ავიდოდა (სწორედ ის ცბიერი ახალგაზრდა, რომელიც იმპერატორობამდე რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ კავკასიის მთებში ვიხილეთ, დიდძალი ფულითა და ვერაგული ზრახვებით აღჭურვილი, საგანგებო მისიით გამოგზავნილი, რათა როგორმე ალანები მოესყიდა და მეზობელი ქართველებისთვის მიესია), ბიზანტიის იმპერია განადგურების პირას იყო; არავის ეგონა, თუ გადაურჩებოდა იმ დროისათვის სამხედრო ძლიერების ზენიტში ასულ არაბეთს.

მაჰმადიანთა სამყარო ასეთი მრისხანე და ძლევამოსილი არასოდეს ყოფილაო, ამ პერიოდზე წერენ ისტორიკოსები... სწორედ ამ ხანებში ხდება არაბების ძლევამოსილი სვლა დასავლეთისკენ და პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა... ამავე ხანებში მთელი წელიწადი ჰქონდა შემორტყმული ალყა კონსტანტინოპოლს, და იმპერიის დიდებული დედაქალაქის მცხოვრებნი დღე დღეზე ელოდნენ გარდაუვალ მოსპობას (ეს იყო 717 წელს. მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება, რომ არაბების არმიას სარდლობდა გამოცდილი მხედართმთავარი მასლამა. ქართველებმაც კარგად გაიცნეს ეს სარდალი; კონსტანტინოპოლის ზემოაღნიშნული ოპერაციიდან რამდენიმე წლის შემდეგ მან საქართველო მოითარეშა და ყველგან გულქვაობისა და საშინელი სისასტიკის კვალი დატოვა)...

და იმპერიისთვის ასეთ მძიმე დღეებშიაც ბიზანტიის მმართველთა „მზრუნველობა“ არ მოჰკლებია ჩვენს ქვეყანას. ეს მძიმე დღეები სულ მალე, — ლეონ ისაურის ზეობის წლებში, — ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა და ბედნიერების წლებმა შეცვალა.

ახლა უკვე ბერძნების არმია გახდა მტრის რისხვა...

მაგრამ სხვათა ქვეყანაზე ბეგემონობისთვის მებრძოლ დამპყრობთა ბედი ძალიან მერყეევი და ცვალებადია. მერვე საუკუნის დასასრულისთვის, — ანუ იმ პერიოდისთვის, რომელზეც ახლა

1. „საბერძნეთი“ და „ბიზანტია“ აქ ერთი ცნებაა; ეს უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, წიგნში ხშირად შეეხვედებით ორივე სიტყვას, რაც ფაქტიურად ერთ ცნებას გამოხატავს.

ელაპარაკობთ, — მდგომარეობა კელავ შეიცვალა. ბიზანტიის იმპერიას ისევ განრისხებია ომის ღმერთი, და თუ ცოტა ხნის წინ მოწინააღმდეგე ჰყავდა დაჯაბნილი, ახლა თვითონვე დაცემულა, მისი სამხედრო ძალა და ავტორიტეტი ისე დაქვეითებულა, რომ იძულებულია ხარკი უხადოს არა მარტო ძლიერ სახელმწიფოს, არამედ შედარებით პატარა ქვეყნებსა და სახანოებსაც კი ...

ერთი სიტყვით, ამ დროისათვის იმპერიის საგარეო მდგომარეობა მართლაც არასახარბიელო იყო.

მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა: თუკი სხვა დროს, ზოგჯერ უფრო დიდი გასაჭირის დროსაც, ახერხებდა ბიზანტია, თავისუფლება არ მიეცა „მეგობარი" პატარა ქვეყნისთვის, ახლა რაღა მოხდა? რა ასეთი მოუცლელობისა თუ უყურადღებობის სენი შეეყარა, რომ იქვე, ყურის ძირში, მხედველობიდან გამორჩა დიდი სამთავროს ჩამოყალიბებაც (რომელმაც მალე დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა თავი), ეკლესიის გამოყოფაც?.. ეს ყველაფერი ხომ მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო? ამით ხომ მას ეცლებოდა ძალა! საყრდენი ეცლებოდა! ასეთი რა საგანგებო მდგომარეობა შეიქნა, ასე როგორ დაბრმავდნენ იმპერიის ახალი მმართველები?!

მდგომარეობა მართლაც საგანგებო იყო.

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, როცა ბიზანტიის იმპერია უკიდურესი განსაცდელის წლებშიაც კი იცლიდა მეზობელი პატარა ქვეყნისთვის, ახლა საგარეო მდგომარეობის გართულებას დიდი შინაგანი არეულობაც დაერთო. იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ვიტყვით — საგარეო მდგომარეობის გაუარესებასაც იმ საშინაო არევ-დარევამ შეუწყო ხელი.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „სწორედ მერვე საუკუნეში ბიზანტია დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლითა და შ ი ნ ა უ რ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ო უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ი ს ა და გამწვავებული ბრძოლისა გამო ხატების თაყვანისმცემლებსა და უარმყოფელთა შორის".

შინაური ბრძოლები! თანაც, საეკლესიო ბრძოლები!

საგულისხმოა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „საქართველოს ეკლესიის დასავლეთ-აღმოსავლეთი ნაწილების დაახლოება შესაძლებელია VIII—IX-ს. მომხდარიყოს, იმ დროს, როდესაც საბერძნეთის სამღვდელმთავრო საყდრები ხატისმებრძოლ პატრიარქებს ეპყრათ და როდესაც მცხეთაში მოდიოდნენ ხელდასხმისათვის ისეთი შორეული ქვეყნებიდანაც, როგორიც იყო გუთეთი".

იმიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება. რაკი იმპერია საეკლესიო ბრძოლებს „დაუძლურებია“ და ჩვენი ეკლესიის გამოყოფაც ამასთან არის დაკავშირებული, ბუნებრივია, ბევრი საგულისხმო საკითხი გამოჩნდება, რაც ჩვენს ქვეყანასაც შეეხო, და მკითხველს უსათუოდ დაინტერესებს.

უცნაური სახელწოდება კი აქვს, არა, ამ საეკლესიო ბრძოლას? ხატების თაყვანისმცემელთა და უარმყოფელთა ბრძოლა![1]

კარგად რომ გაჩხრეკ და გასინჯავ, ისტორიაში კარგად ცნობილ ბევრ სხვა რელიგიურ ბრძოლათა მსგავსად, ესეც პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს უკავშირდება. ერთი შეხედვით, ძალიან მარტივი და დღევანდელი ადამიანებისთვის ღიმილის მომგვრელი საკითხია, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო დინასტიური ბრძოლა გამოიწვია, კარის ინტრიგები გააჩაღა და ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანულ ეკლესიებში იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულების, წმინდანების, აგრეთვე სახარების სხვადასხვა ამბავთა ამსახველი ხატები შემოიღეს, — ესე იგი, III—IV საუკუნეების შემდეგ, — კარგა ხანი გაეიდა და საეკლესიო მოღვაწეების ერთმა ჯგუფმა საეჭვოდ დასახა ხატები ეკლესიებსა და ტაძრებში. ამ ხალხს — ხატის მოწინააღმდეგეებს — ხატისმებრძოლები შეარქვეს. ისინი დაუპირისპირდნენ იმათ, ვინც საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევდა ეკლესიებში ხატების გამოფენას. ხატების მომხრეებს ხატისთაყვანისმცემლები უწოდეს.

თქვენ ქრისტიანობას ბღალავთო, — ასეთი ბრალდება წაუყენეს ხატისმებრძოლებმა ხატისთაყვანისმცემლებს, — ხატების თაყვანისცემა ხომ იგივე კერპთაყვანისმცემლობაა! ურჯულოები დაგვცინებენო. ებრაელები და არაბები მართლაც დასცინოდნენ ქრისტიანებს — ნახატებს და შეშას ეამბორებითო (ჯვარს გულისხმობდნენ), მრავალ ღმერთსა სცემთ თაყვანსო — ბოლოს და ბოლოს, ვინ არის გამოსახული ხატებზე? — კითხულობდნენ ხატისმებრძოლები, — თუ თვითონ ღმერთია, ეს წმინდა სახარებას ეწინააღმდეგება, რადგან ჩვენ ხომ ვიცით, რომ ღმერთი აუწერელი და შეუცნობელი სულიაო. ასე

1. „უარმყოფელებს“ ზოგჯერ „ხატისმებრძოლებსაც“ ეძახდნენ. რუსულად иконопочитатели და иконоборцы, ხოლო მთელს ამ ბრძოლას иконоборческое движение-ს უწოდებენ. ხშირად შეეხედებით ამ გამოთქმას სპეციალურ ლიტერატურაში. „ქართლის ცხოვრებაში“ ეკითხულობთ: „...მას ჟამსა საბერძნეთისა კერძონნი ხატთა ბრძოლისა წვალებასა დაეპყრნეს“.

რომ, ხატი ღმერთის გამოსახულება კი არ არის, ეს იგივე კერპიაო და, ამდენად, თქვენც კერპთაყვანისმცემლები ხართო.

ხატისთაყვანისმცემელთა არგუმენტი ძალიან უბრალო და მარტივი იყო: ეს ტრადიციით გადმოდის და უნდა დავიცვათო. უზენაესის გამოსახულებას რომ ვცემთ თაყვანს, ეს თვითონ მამაღმერთის თაყვანისცემაა. ხატების წყალობით ადამიანი უფრო ადვილად უახლოვდება ღმერთსაო. ღმერთი ხომ ხორცშესხმულ ქრისტედ გამოეცხადა ადამიანებს; ასევე, ხატის ჭვრეტით, ადამიანი ღვთის ძალასა და მადლს გრძნობს და განიცდისო...

თავდაპირველად ბრძოლა ისეთი დაძაბული არა ყოფილა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ეს ორი მოწინააღმდეგე ბანაკი სულ უფრო და უფრო ყალიბდებოდა, სულ უფრო და უფრო გამოიკვეთა მათი თეორიები, არგუმენტები... და ბრძოლაც დაიძაბა და გამწვავდა.

განსაკუთრებით გააფთრებული გახდა ბრძოლა მას შემდეგ, როცა კონსტანტინოპოლის ერთ დიდ ტაძარში ხატისმებრძოლებმა ქრისტეს გამოსახულება ჩამოხსნეს და განადგურება მოინდომეს. პირველი სისხლიანი შეტაკებაც ამას მოჰყვა. ხატისთაყვანისმცემელი ფანატიკოსები მისცვივდნენ ხატისმებრძოლებს, რომელთაც ისინი ერეტიკოსებს ეძახდნენ და იქვე აკუწეს.

ასე რომ, ერთი შეხედვით თითქოს ღიმილისმომგვრელი დავა ფაქტიურად გააფთრებული ბრძოლებისა და სისხლისღვრის საფუძველი გახდა.

აქვე მეტად საგულისხმო საკითხიც უნდა შევახსენოთ მკითხველს. იმ ქვეყნებში, სადაც ხატისმებრძოლებმა იმძლავრეს, კარგა დიდიხნით შეფერხდა ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარება, როგორიცაა კედლის მონუმენტური მხატვრობა. საქართველოში კი, რაკი იგი ხატის თაყვანისმცემელი დარჩა, კიდევ უფრო განვითარდა ეს დარგი.

მალე ამ დიდ დავაში სახელმწიფო მოღვაწეები ჩაებნენ და ამან კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა, იმპერატორი ლეონ ისაური ხატისმებრძოლთა მხარდამჭერი გამოდგა.

და არა პასიური თანამგრძნობი, არამედ აქტიური მებრძოლიც. როგორც ვარაუდობენ, ქრისტეს ხატის ჩამოხსნა და განადგურების ცდაც იმპერატორის წაქეზებით მოხდა, რადგან კათალიკოსი ხატისთაყვანისმცემელი იყო და, რომის ეკლესიის მხარდაჭერით, — რომელიც აგრეთვე ბოლომდე ხატის ერთგული დარჩა, — ცდილობდა, ძლიერი კოალიცია შეექმნა ხატისმებრძოლთა წინააღმდეგ.

იმპერატორმა ახლაც რადიკალურ ზომებს მიმართა — კათალიკოსი გადააყენა და ხატისმებრძოლი სამღვდელო პირით შესცვალა, ამას კი მალევე მოჰყვა ოფიციალური აკრძალვა ხატებისა.

ჩვენ რომ ამ საეკლესიო ბრძოლასთან დაკავშირებით შევნიშნეთ, პოლიტიკური მხარეც აქვსო, შეგვიძლია უფრო დავაკონკრეტოთ ეს.

სხვა საკითხებთან ერთად, ბიზანტიის იმპერატორისთვის იმიტომაც იყო ხელსაყრელი ხატისმებრძოლთა გამარჯვება, რომ თუკი გაბატონებულ ხატისთაყვანისმცემლობას დაამარცხებდნენ, ამით თავისთავად შეირყეოდა უკვე გაბატონებული ძლიერი საეკ-ლესიო იერარქია, ხოლო ახალ ძალას, რომელიც იმპერატორისავე წაქეზებითა და მხარდაჭერით მოქმედებდა, იგი უფრო ადვილად დაიმორჩილებდა. ამას გარდა, პერიფერიების დიდებულებზე დაყრდნობით, — რომლებიც თავიდანვე ხატისმებრძოლთა მხარეზე აღმოჩნდნენ და ამით დედაქალაქის დიდებულებს დაუპირისპირდნენ, — იმპერატორი უფრო ადვილად მოახერხებდა კონსტანტინოპოლის მეტისმეტად გაძლიერებული და გათავხედებული დიდგვაროვნების მოთოკვას, რომელთაც თავი დამოუკიდებლად წარმოედგინათ და იმპერატორის მიმართაც გამომწვევად იქცეოდნენ (იგულისხმება, რომ დედაქალაქის დიდებულები თაყვანისმცემელთა ბანაკში იყვნენ).

ეკონომიკური თვალსაზრისით როცა განვიხილავთ საკითხს, მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ, თუკი ხატისმებრძოლები გამარჯვებას მიაღწევდნენ და ეკლესიებში ხატებს ჩამოხსნიდნენ, სახელმწიფო ხაზინა ერთბაშად გამდიდრდებოდა იმ ძვირადღირებული თვლებითა და ოქროთი, რითაც ხატები იყო შემკული. თავიანთი გაღარიბებული სალაროს შესავსებად ბიზანტიის იმპერატორებს დიდი ხანია თვალი ეჭირათ საეკლესიო განძეულობაზე... და ახლა ხელსაყრელი დრო დაუდგათ, კანონით მიეღოთ ეს სიმდიდრე.

როგორც ვხედავთ, მთლად უანგარო ვერ იქნებოდა იმპერატორი ლეონ ისაური (ხოლო უფრო მოგვიანებით მისი მემკვიდრეები), როცა ამ რელიგიურ დავაში ჩაება...

თითქმის ერთი საუკუნე ქრისტიანული სამყარო ამ გააფთრებულმა ბრძოლებმა შესძრა. ბრძოლის არავითარ ხერხს არ ერიდებოდნენ, ოღონდ კი მოწინააღმდეგისთვის სახელი გაეტეხათ.

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების თით-ქმის ყველა ეკლესია ხატისმებრძოლთა ბანაკში აღმოჩნდა და მთელს აღმოსავლეთში თითქმის ერთადერთი გამონაკლისი საქართველო

დარჩა, რომელსაც არასოდეს დაუგმია ხატისთაყვანისმცემლობა. პირიქით, მის ერთგულ დამცველად გამოდიოდა.

და, აი მივადექით კიდეც საკითხს, რაც ჩვენთვის ახლა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ის ფაქტი, რომ ბიზანტიაში სამკვდრო-სასიცოცხლო საეკლესიო ბრძოლა ჰქონდათ, ერთის მხრივ, ძალიან შეუშლიდა ხელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, სხვისი ქვეყნის საეკლესიო საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო; მეორეს მხრივ, კიდევ უფრო დააჩქარებდა ბიზანტიის ეკლესიისგან, — სადაც ამ დროს ხატის-მებრძოლთა ტერორი მძვინვარებდა, — დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამიჯვნას, რადგან აქ ძველებურადვე ერთგულნი იყვნენ ხატისთაყვანისმცემლობისა; საქმე გაადვილებული ექნებოდა მცხეთის კლესიასაც, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, ამ დროისათვის აქტიურად მოქმედებდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შემოერთებისთვის, და ეგრის-აფხაზეთის მმართველებსაც, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ ორი ქართული ეკლესიის გაერთიანებით. ახლა უკვე დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან რომელიმე მღვდელმთავარი ხელდასხმისათვის ბიზანტიაში ველარ წავიდოდა, რადგან იქ ხატისმებრძოლები დახვდებოდნენ, ხოლო თვითონ ხატისთაყვანისმცემელი იყო, ბუნებრივია, იგი მცხეთაში უნდა წასულიყო და იქ კურთხებულიყო.

არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან, სხვა ქვეყნებიდანაც კი მცხეთაში ჩამოდიოდნენ ხელდასხმისათვის ხატისთაყვანისმცემელი მღვდელმთავრები. ჩვენი მემატიანე მოგვითხრობს, რომ გუთელი ეპისკოპოსი იოანე ხელდასხმისათვის მცხეთას ჩამოვიდა და აქ ეკურთხა, ქართულ ეკლესიაში; რადგან ხატისთაყვანისცემელი იყო და საბერძნეთში იმჟამად ვერ ეკურთხებოდა.

ზოგი მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავს ერთ გარემოებას: საქართველოს დასავლეთ-აღმოსავლეთ მხარეთა ეკლესიების გაერთიანების საქმეში ალბათ გარკვეული როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ აფხაზეთის სამთავროს მიერ ეგრისის შეერთების შემდეგ მთელი არგვეთის მხარე ადმინისტრაციულად ეგრის-აფხაზეთის ახლად ჩამოყალიბებულ სამთავროში აღმოჩნდა, საეკლესიო გავლენის თვალსაზრისით კი არგვეთის სამრევლო კვლავ მცხეთას ემორჩილებოდა. როგორც ვიცით, არგვეთი ამის წინ ქართლის სამთავროს უკიდურესი დასავლეთი ნაწილი იყო და, ბუნებრივია, ეკლესიაც მცხეთის სამწყსოს ეკუთნოდა. ახლა

ადმინისტრაციულად შეიცვალა მისი მდგომარეობა, მაგრამ ეკლესია ისევ მცხეთას ეკუთვნოდა, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე იყო. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მომენტია.

და ამ დროიდანვე შეინიშნება ერთი საგულისხმო ამბავი.

საქართველოს ეკლესიის ბიზანტიისგან ჩამოშორება და მცხეთის სამწყსოში შესვლა ერთი მხარეა. როგორც კი ამას მიაღწევდნენ ქართული ეკლესიების გაერთიანების მესვეურნი, ბუნებრივია, არანაკლებ ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას წააწყდებოდნენ: საჭირო იყო ამ ახალ ქართულ ეკლესიაში ბერძნული გავლენის დაძლევა. ეს კი იოლი საქმე როდი იქნებოდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი ღვთისმსახურება, მთელი საეკლესიო რიტუალები დასავლეთ საქართველოს ეკლესიებში ბერძნულად სრულდებოდა, დილას ბერძნული „მამაოჩვენოს“ ბუტბუტით“ წამოდგებოდა აქაური ქართველი და საღამოს ბერძნულივე ლოცვით დაწვებოდა დასაძინებლად, მთელი საეკლესიო „შტატი“ ბერძნული იყო... ტაძარში, სადაც განახლებული ეკლესიის მრევლი შევიდოდა წირვის მოსასმენად, თითქოს კვლავ ბერძნული გუგუნი იდგა და ბერძნული სიტყვები ისმოდა. ეს იყო ფსიქოლოგიური მხარე — ასეთი გუგუნი დიდხანს ვერ გაეცლებოდა იმ საყდრების თაღებსა და გუმბათებს, ბერძნულ წირვა-ლოცვას შეჩვეულ ადამიანთა სმენას...

და ამ დროს ჩვენ ვხედავთ გაშლილ საეკლესიო მშენებლობას, რაც ახალი სამეფოს, უშუალოდ მეფის თაოსნობითა და მონაწილეობით ხდება. თანაც, საყურადღებო ის არის, რომ ძველ კათედრებსა შლიან და ახალს სულ სხვა ადგილას აშენებენ და ამკვიდრებენ. ეს ხომ გაცილებით უფრო ძნელი იყო — ძველის მოშლა და მოტიტვლებულ ადგილზე აშენება ახლისა! და მაინც აკეთებდნენ ამას, რადგან ამით უფრო ადვილად ამოიშლებოდა ხალხის ფსიქიკიდან ბერძნული ეკლესიის გავლენა, უფრო ადვილად დააკავშირებდნენ ბერძნულ „მამაოჩვენოს“ და ქართულს უფრო ადვილად შეაჩვევდნენ; ყოველივე ამით კი დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა. ესეც მნიშვნელოვანწილად ამზადებდა ნიადაგს მომავალი დიდი გაერთიანებისთვის. ნიკო ბერძენიშვილს ჩამოთვლილი აქვს, როგორ თანდათანობით იშლებოდა, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ვთქვათ რომელიმე გუდაყვისა თუ ფოთის კათედრები და როგორ აშენებდნენ ახლებს — ჭყონდიდს, ბედიას...

და ისევ გრიგოლ ხანძთელი უნდა გავიხსენოთ.

განა შემთხვევითია ის ამბავი, რომ სწორედ ამ პერიოდში

ტაოკლარჯელი ბერები — ეს „ამქვეყნიური ცხოვრებიდან გამდგარი მეუდაბნოენი“ — დასავლეთ საქართველოში მისვლა-მოსვლას გაახშირებენ?! შემთხვევით მოხდა, რომ გრიგოლ ხანძთელის უერთგულესი მოწაფენი და უახლოესი მეგობრები თეოდორე და ქრისტეფორე ერთბაშად აფხაზეთში აღმოჩნდნენ?.. სამეფო კარზე! თვითონ აფხაზთა მეფესთან საქმიან საუბარში გართულნი!

რა საქმიანი საუბარი ექნებოდათ, ამას წინასწარ გვაცნობებს გიორგი მერჩულე: „აქუნდა გულსა მათსა საღმრთოი შური მონასტრისა შენებისაიო“. ესე იგი, ეკლესიის შენების ჟინს წამოუვლია ჩვენი ნაცნობი ბერებისთვის და წასულან, გაპარულან („ფარულად წარვიდეს“)...

და სად წასულან?

დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის სამეფოში!..

ტაძრების შენების ჟინმა რომ მოუარათ, ეს ერთი მხარეა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც აფხაზეთის სამეფოში გასწიეს?..

იქნებ საგანგებოდ მიწვეულებიც იყვნენ!

ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ისინი გეზს აიღებენ დედაქალაქისკენ, სატახტო ქალაქისკენ, ქუთაისის სამეფო კარზე მივლენ, და შინიდან ფაცხა-ფუცხით გაპარულ ბერებს — ტყეღრეებში ხეტიალით გატანჯულებს, დაღლილ-დაქანცულებს, მშიერ-მწყურვალებს, ტანსაცმელჩამოხეულ-ჩამოგლეჯილებს და ალბათ ფეხშიშველებს, — პირდაპირ მეფესთან შეუძღვებიან; აფხაზეთის მეფე დემეტრე მეორესთან აქვთ აუდიენცია.

მართლაც საგანგებოდ მიწვეულებს არა ჰგვანან?

თანაც, კარგად დააკვირდით: „მონასტრების შენების შურით“ (ჟინით) გულგავსებული თეოდორე და ქრისტეფორე მარტონი კი არ „გაიპარებიან“, არამედ თან „ძმანიცა ვინმე წარიყვანეს!“ ხედავთ, რა ხდება? დიდი ჯგუფი მიდის, მთელი ექსპედიცია! საგანგებოდ მომზადებული და აღჭურვილები მიდიან.

და როგორა გგონიათ, ის „ძმანიცა ვინმე“ ვინ უნდა იყვნენ? მოგზაურობისა და უცხო ქვეყნების ხილვის ჟინით აგზნებული ცნობისმოყვარე ხალხი?

რა სათქმელია! მშენებლები არიან — ხუროები, ქვითხუროები, კალატოზები...

აი, რა მოძრაობაა, რა მისვლა-მოსვლა, როგორ თანდათან უბრუნდება თავის კალაპოტს საერთო ქართული კულტურის განვითარება, როგორ თანდათან მზადდება ნიადაგი მთლიანი საქართველოს შექმნისთვის.

ამის შემდეგ აღარ უნდა გეიკვირდეს, თუ საიდან გაჩნდა ოპიზელი ოსტატის სახელი მარტვილის ტაძარზე! ან რატომ ჰგავს დრანდის ტაძარი დიდებულ ჯვარს! რატომ ვნახულობთ მსგავსებას იმავე მარტვილის ქანდაკებასა და წარწერებსა და კუმურდოს ქანდაკებასა და წარწერებს შორის.

წარწერა მარტვილის ტაძრის ქვაზე ფრანგ მეცნიერს დიუბუა დე მონპერეს უნახავს გასული საუკუნის მიწურულში, და კიდეე კარგი, რომ ჩაუწერია და ჩვენთვის შემოუნახავს.

„ქრისტე, შეიწყალე მიქელ გალატოზი ოპიზარი“...

საუკუნეების სიღრმიდან გვაწვდიდა ხმას ოპიზელი ოსტატი. და დიდხანს ისმოდა ეს ქვაზე ამეტყველებული და ქვით შემონახული ხმა. მერე ერთბაშად გაქრა ქვაცა და ხმაც. აღარ არის! ისევე როგორც ბევრი სხვა, მეტყველი ფაქტი ჩვენი დიდებული ისტორიისა... იმის გამო, რომ კარგად ვერ მოვუარეთ, სამუდამოდ დაიკარგა და წყვდიადმა შთანთქა.

ექვთიმე თაყაიშვილს მარტვილის ქრისტეს ქანდაკებამ და „გამობერვილმა“ წარწერებმა კუმურდოს ქანდაკება და წარწერები მოაგონა.

გიორგი ჩუბინაშვილი საგანგებოდ განიხილავს დრანდის ტაძრისა და ჯვრის მსგავსებას. და თუმცა ეს ცოტა უფრო წინა დროისაა, მაინც საგულისხმოა. ზემოთ ერთგან შევნიშნეთ; სწორედ ასეთი გაცხოველებული კულტურული ურთიერთობანი უმზადებდა ნიადაგს იმ დიდ პოლიტიკურ აქტს, რასაც ჩვენი ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ, რაღა თქმა უნდა, სულ უფრო ვითარდებოდა ეს ურთიერთობა ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა შორის.

ისევ ჩვენს ბერებს დავუბრუნდეთ. „მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ-სცა და ადგილსა კეთილსა დაამკვიდრნა“... განაგრძობს თხრობას გიორგი მერჩულე.

მეფე ღირსეულად დახვედრია მშენებლებს, კარგად გამასპინძლებია, მათ დასაბინავებლად და „კეთილ ადგილზე“ მოსაწყობადაც თვითონვე უზრუნვია. აშკარაა, საგანგებოდ მიუწვევიათ ჩვენი ბერებიცა და მშენებელთა მთელი ჯგუფიც. მოილაპარაკეს. ტაძრის პროექტი ერთად გასინჯეს. ყველაფერი აწონ-დაწონეს...

გავა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი — სულ მცირე დრო — და გრიგოლ ხანძთელსაც დასავლეთ საქართველოში ვხედავთ. თავის მოწაფეებს ჩაკითხავს.

საინტერესოა, რომ მარტო არც ის ჩასულა, ისიც სხვებთან ერთად ჩავიდა: „თან წარიყვანა ოთხნი ძმანი“...

და გრიგოლიც დემეტრე მეფეს ესტუმრება!..

შეარჩევენ მონასტრის ადგილს და „უწოდა სახელი მისი უბეი“ (ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს უნდა იყოს უბისა, ზემო იმერეთში).

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავიხსენოთ მერჩულეს მოთხრობიდან.

თეოდორე და ქრისტეფორე რომ „გაიპარნენ“ ხანძთიდან ქუთაისში, მათ ახლდათ ვინმე ილარიონი, რომელსაც თან წაეღო „კეთილნი წიგნნი“. საეკლესიო წიგნები წაუღია! ქართული წიგნები!

გრიგოლსაც აღმოაჩნდა საკუთარი წიგნები და ეს წიგნები იქ დატოვა („დაევუტევნა მონასტერსა მას“).

ეს უმნიშვნელო დეტალი როდია.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ახალ ქართულ ეკლესიას უსათუოდ სჭირდება ქართული წიგნები და ვინ უნდა მიაწოდოს ეს წიგნები, თუ არა გრიგოლ ხანძთელმა.

ზოგი მკვლევარის აზრით, ილარიონი გრიგოლ ხანძთელს ჩამოუყვანია ბიზანტიიდან. ეს სავსებით შესაძლებელია. და თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ იქნებ ისიც ვივარაუდოთ, რომ ხანძთელმა ეს ბერი საგანგებოდ ჩამოიყვანა, რათა შემდეგ აქ გამოეგზავნა. ხოლო საიდან გაჩნდა ქართველი ბერი (ილარიონი) ბიზანტიაში, ან ქართული წიგნები საიდან აღმოაჩნდა, ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ერთ ფაქტზეც უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

ბერების ხანძთიდან აფხაზეთის სამეფოში გაპარვის ამბავი ისე უცნაურად ჟღერს, არც კი გინდა დაიჯერო. ჩვენ რომ გრიგოლ ხანძთელს ვიცნობთ და ისიც ვიცით, რა ურთიერთობა ჰქონდა მას თავის მოწაფეებთან, კერძოდ თეოდორესა და ქრისტეფორესთან, ძნელი დასაჯერებელია, ამ ბერებს გაპარვა გაებედოთ, გრიგოლისთვის ეკადრებინოთ ეს! ისიც როგორ — მთელი ჯგუფის თანხლებით! პირდაპირ რომ არ გვეუბნებოდეს ავტორი, გაიპარნენო („ფარულად წარვიდეს“) და მოთხრობიდანვე არ ვგებულობდეთ, რომ მერე გრიგოლიც მათ საძებრად არის ჩასული, მთელი ეს ეპიზოდი — აფხაზეთში ჩასვლა და მონასტრების შენება — თითქოს მიგვანიშნებს, რომ გრიგოლთან შეთანხმებით, მისი თაოსნობით და მისი უშუალო მონაწილეობით ხდება ყველაფერი; თითქოს ბერების წასვლამდე ჰქონდათ მოლაპარაკება აფხაზეთის მეფესა და გრიგოლს და ბერები მერე ამ მოლაპარაკების საფუძველზე წავიდნენ. აბა, ისე, ან მეფესთან მისვლას როგორ გაბედავდნენ ბერები, ან სასახლეში შესვლას როგორ მოახერხებდნენ და მეფეც როგორ მიიღებდა?!

იმდენად სარწმუნოა ამ საქმეებში გრიგოლის მონაწილეობა, რომ უნებურად ფიქრობ, განგებ ხომ არ დასჭირდა ავტორს გაპარვის მოგონებაო.

გიორგი მერჩულე სიტყვის ოსტატია. ზემოთ რამდენჯერმე ახსენა და ახლა, ემოციური ზეგავლენის ძალა რომ არ დაკარგვოდა თავისსავე მწერლურ ხერხს, ამჯერად პირდაპირ აღარ გვითხრა, თეოდორეს და ქრისტეფორეს (ან, ვთქვათ, გრიგოლს) ღმერთი გამოეცხადა და უბრძანა, დასავლეთ საქართველოში წადით, მონასტრები ააშენეთო (გაიხსენეთ, როგორ გამოეცხადა ღმერთი ხუედიოსს და როგორ უბრძანა, გრიგოლ მღვდელმა ხანძთაში მონასტერი ააშენოსო! ზემოთაც შევნიშნეთ, ამნაირი ხასიათის ნაწარმოებში ეს სულაც არ არის გასაკვირი); პირდაპირ არ გვითხრა ეს (განმეორებას მოერიდა), მაგრამ ისე კი მიგვანიშნა; როცა იგი წერს „აქუნდა გულსა მათსა საღმრთოი შური მონასტრის შენებისაო", ამ ფრაზაში თითქოს ნაგულისხმევია, რომ ღმერთი გამოცხადებია ამ ბერებს და ღმერთს შთაუგონებია დასავლეთ საქართველოში წასვლა მონასტრების ასაშენებლად. და რაკი პირდაპირ არ გვითხრა, ის გაპარვის ეპიზოდიც ამიტომ მოიგონა. ასე გინდა იფიქრო, იმდენად დაუჯერებელია ბერების გაპარვის ამბავი და ისე არ ეგუება ეს ამ ეპიზოდის სხვა მნიშვნელოვან დეტალებს.

მაგრამ ახლა ამისი ძიება ფუჭი და უსაფუძვლოა, რადგან ავტორი პირდაპირ წერს, ფარულად წავიდნენო, რა უფლება გვაქვს, არ დავიჯეროთ!..

და ჩვენც აქ იმიტომ კი არ ვახსენებთ, თითქოს ამ ვარაუდის დამტკიცებას ვცდილობდეთ, არამედ იმიტომ, რომ უფრო ღრმა მნიშვნელობა მივცეთ გრიგოლისა და მისი მოწაფეების აფხაზეთის სამეფოში ჩასვლას. რადგან ყველაფერი იმის გათვალისწინების შემდეგ, რაც წყაროებს ჩვენამდე მოუტანია და რაც ისტორიაში კარგად ცნობილი მოვლენების მიხედვით თავისთავად იგულისხმება, ამას მართლაც ღრმა ეროვნული მნიშვნელობა ეძლევა.

●

ამგვარად, დასავლეთ საქართველოში დიდი სამთავრო ჩამოყალიბდა.

ეს სამთავრო ჩამოშორდა ბიზანტიის იმპერიას და მალე დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა. ამიერიდან ეგრის-აფხაზეთის მთავრები მეფეებად იწოდებიან.

მეფეებისაკენ მხარდაჭერით დასავლეთ საქართველოს ეკლესია ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის საპატრიარქოს შეუერთდა. ბუნებრივია, ამის შემდეგ საქართველოს ეკლესიებიდან განიდევნა ბერძნული ენა და ქართული ენა გაბატონდა. ესეც ხელს უწყობს ერთიანი ქართული კულტურის განვითარების ძველ კალაპოტში მოქცევას, რაც მთლიანი საქართველოს შექმნის წინასაფეხურია.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: ბიზანტიის იმპერია, რომელსაც დასავლეთ საქართველო მუდამ თავის არაოფიციალურ ვასალად ჰყავდა დაგულებული, როგორ ურიგდება ყველაფერ ამას? ვთქვათ, გარკვეულ პერიოდში, გაცხარებული შინა ბრძოლების დროს, როცა გარედანაც მრისხანე მტერი უტევდა, ამისათვის ვერ მოიცალა. მერე? საბოლოოდ შეურიგდა ამას?

არა, რაღა თქმა უნდა, არ შერიგებია.

ბერძნულიენ წყაროებით ირკვევა, რომ ბიზანტიის იმპერია ცდილობს, კვლავ მოიპოვოს ძველი გავლენა დასავლეთ საქართველოზე. იმავე მიზეზებით, — რის გამოც იგი საუკუნეების განმავლობაში გაფაციცებით ცდილობდა, მეზობელი პატარა ქვეყანა თავის გავლენის სფეროში ჰყოლოდა მოქცეული და ამისათვის ყოველგვარ ხერხს მიმართავდა — ძალმომრეობასაც, დიპლომატიასაც, მუქარასაც, მოფერებასაც, დაქრთამვასაც და ყველაფერს, ყველა საკადრისსა თუ უკადრის ხერხებს, — ეს მიზეზები ახლაც აიძულებდნენ მას, როგორმე კვლავ აღედგინა ძველი უფლებები.

მაგრამ უკვე გვიანღა იყო. დამპყრობლის მდგომარეობა ახლა უფრო გართულდა, მისი ზრახვები ისე ადვილი შესასრულებელი აღარ აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველო უკვე აღარ იყო ეგრისისა და აფხაზეთის დაქუცმაცებული და დასუსტებული სამთავროები, ეს უკვე საკმაოდ ძლიერი სამეფო გახდა. და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. თანაც, ბიზანტიას უკვე გამოცლილი ჰქონდა ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური იარაღი — ეკლესია და ეკლესიაში გაბატონებული საკუთარი ენა.

ქართულ წყაროებს არ შემოუნახავს ამისი ცნობები. ბერძნული წყაროებით ვგებულობთ, რომ უკვე მეცხრე საუკუნის პირველსავე მეოთხედიდან ბიზანტიამ რამდენჯერმე გაილაშქრა დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ — თვითონვე იწვნია დამარცხების სიმწარე.

თეოფილეს მეფობის დროსო, გადმოგვცემს ერთი ბერძნული წყარო (ესე იგი, ეს მომხდარა 829-842 წლებში), აფხაზეთში გაიგზა-

ვნა დიდძალი ლაშქარი და ისე დამარცხდნენ იქ, რომ შინ ცოტაღა დაბრუნდაო... ერთ-ერთი ლაშქრობის დროს სარდალს ხომალდიც დამსხვრევია, ჯარის ერთი ნაწილი იქ დაღუპვია, მეორე ნაწილი ნაპირზე გაუნადგურებიათ დამხედურებს — კოლხებს. ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით სიმონ ყაუჩიშვილი გადმოგვცემს, რომ ამავე სარდალს მეორედაც გაულაშქრია აფხაზეთზე და ამჯერადაც მარცხი უგემნია: 40.000 ჯარისკაცი მოუკლეს თურმე ამ ბრძოლაში. ეს ამბავი 843-844 წლებით თარიღდება...

მაგრამ სულ ხომ ვერ აიღებდა ბიზანტია ხელს საქართველოზე? ეს მარტო საქართველოს დაკარგვა კი არ იქნებოდა, არამედ აღმოსავლეთში მისი გავლენისა და, საერთოდ, მისი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების შერყევას მოასწავებდა... ამიტომ ვერ დათმობდა იგი საქართველოს. თუ ვასალად ვერ გაიხდიდა ამ „პატარა" ქვეყანას, „მეგობრად" მაინც უნდა დაეგულებინა. მერე კი... მერე, დროთა ვითარებაში, უფრო გაადვილებული იქნებოდა მეგობრის ისევ ვასალად ქცევა...

ერთი სიტყვით, რაკი ძალმომრეობით ვერაფერს გახდა, პოლიტიკა შეცვალა, დაიშაქრა, დაითაფლა, დაქრთამვით სცადა თავისი ზრახვების შესრულება. ქართველი მეფეებისა და მთავრებისთვის მაღალი საკარისკაცო ტიტულების გზავნა გაახშირა — ხან რა ტიტულს უბოძებდა და ხან რას. ეს, რაღა თქმა უნდა, ქართველი ფეოდალების პატივმოყვარეობასაც მალამოდ ეცხებოდა.

დიდხანს გრძელდებოდა ასე.

ოღონდ ბიზანტიის იმპერატორები იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ, თავს მაინც არ უყადრებდნენ „მეგობარ" გვირგვინოსნებს — მეფის ტიტულებს მაინც არ უგზავნიდნენ, აგრძნობინებდნენ, ჩვენი ტოლი არა ხარ, ძალიანაც თავს ნუ გაგივაო... მუდამ აგრძნობინებდნენ თავიანთ სიუზერენობას და ხელიდან არ უშვებდნენ არავითარ ასე თუ ისე მნიშვნელოვან მომენტს, ცოტა რამ მაინც წაეგლიჯათ თავისი „მეგობრისთვის", ცოტა-ცოტათი აღედგინათ ძველი უფლებები და სიუზერენულ-ვასალური ურთიერთობანი.

ბიზანტიის საეკლესიო ხელისუფლება? ის კი შეურიგდა საქართველოს ეკლესიის დაკარგვას?

აქ უკვე ქართული წყაროებიც საკმაოდ მოგვეპოვება.

ბიზანტიის ეკლესიაც მუდამ იმის ცდაშია, როგორმე დაიბრუნოს დაკარგული უფლებები, კვლავ გაავრცელოს თავისი გავლენა საქართველოს ეკლესიაზე, კვლავ გააბატონოს საქართველოს ეკ-

ლესიაში ბერძნული ენა. ესეც საერთო-ბიზანტიური პოლიტიკის, დამპყრობლური პოლიტიკის განუყრელი ნაწილია.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიისგან ჩამოშორება და იბერიის ეკლესიასთან შეერთება, როგორც ჩანს, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. ბერძნულ ეკლესიას ამ დროს საქართველოსთვის არ ეცალა, თავისი გასაჭირი ადგა, შინა ბრძოლებში იყო გართული, ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, ერთმანეთის სისხლს ანთხევდნენ, და ასეთი დასანანი მოვლენა გამოეპარათ; რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა დაკარგეს დასავლეთ საქართველოს ეკლესია.

ხოლო როცა ცოტათი მოიცალეს, იცოცხლე, შემოირტყეს თავში ხელი, მაგრამ უკვე გვიან იყო. საქართველოს ეკლესიას კარგი პატრონი აღმოაჩნდა და ძლივს მოპოვებულ ნანატრ დამოუკიდებლობას ასე ადვილად აღარ დათმობდნენ.

დიდხანს ვერ მოინელა ბერძნულმა ეკლესიამ ეს დანაკლისი.

ცოტა უფრო ქვემოთ ერთ საინტერესო ისტორიულ ამბავს მოგითხრობთ, რომელიც დაკავშირებულია მეთერთმეტე საუკუნის დიდ ქართველ მწიგნობარსა და საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელთან და კარგად გვიჩვენებს, როგორ მწარედ განიცდიდა ბერძნული ეკლესია ქართული ეკლესიის დაკარგვას და როგორ იყო მუდამ იმის ცდაში, კვლავ თავისი გავლენის სფეროში მოექცია მეზობელი პატარა ქვეყანა, კვლავ წაერთმია მისთვის დამოუკიდებლობა... სხვა თვალსაზრისითაც არის საინტერესო ეს ისტორიული ამბავი. იგი გვიცოცხლებს მეზობელ დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობის სურათს, კარგად გვიჩვენებს, რა ქედმაღლურად და დიდმპყრობელურად უჭირავს თავი ბიზანტიას მეზობელი ქვეყნისა და ხალხის მიმართ...

მაგრამ ეს უფრო გვიანდელი ამბავია, მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებისა. ჩვენ კი იმას ვყვებოდით, როგორ ჩამოყალიბდა ეგრისაფხაზეთის სამთავრო მერვე საუკუნის დასასრულს. ისიცა ვთქვით, რომ ამ სამთავრომ მალე დამოუკიდებლობაც მოიპოვა და სამეფოდ იქცა. სამეფოს ცენტრი უფრო აღმოსავლეთით გადაიტანეს — ეგრისაფხაზეთის დედაქალაქი ქუთაისი გახდა.

ეს ყველაფერი ლეონ მეორის დროს მოხდა.

ლეონი გარდაიცვალა 798 წელს.

ლეონის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე თეოდოსი.

და, აი, ისევ თუ მოვიშველიებთ ჩვენს ყოელისმხილველ მანქანას

და მისი მხედველობის არეში ქუთაისის სამეფო სასახლეს მოვაქცევთ, დავინახავთ, რომ სასახლის წინ დიდი მხედრობა შეკრებილა.

დილაა.

ჯერ მზე არ ამოსულა.

მხედრობა მეფის გამობრძანებას ელოდება.

სანამ მეფე გამოვიდოდეს, ჩვენ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გადავინაცვლოთ და ჩვენი ისტორიის ერთი პერიოდი მოვიხილოთ, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ზემოთ მოთხრობილ ამბებს.

●

რაკი ნერსე ერისთავზე დავიწყეთ საუბარი, მოვლენათა მსვლელობას მივყევით, საუბრის ძაფი აღარ გავწყვიტეთ და უნებურად წინ გავიჭერით — ეგრის-აფხაზეთის სამთავროს შექმნის ამბავსაც მოვყევით.

ეგრის-აფხაზეთი ერთ-ერთი დიდი სამთავროა იმ ოთხ სამთავროთაგან, რომელთა ჩამოყალიბება უშუალოდ წინ უძღვის საქართველოს გაერთიანებას და რომელთაც მყარი ნიადაგი მოუმზადეს მთლიანი საქართველოს შექმნას.

ასეთი აზრია მიღებული და დაკანონებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

პერიოდი, რომელიც წინ უძღვის საქართველოს გაერთიანებას, ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ცალკეულ მეცნიერულ შრომებში ასეა დასათაურებული — „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში“. და იქვეა ჩამოთვლილი ეს სამთავროები: კახეთისა, ჰერეთისა, ეგრის-აფხაზეთისა, ტაო-კლარჯეთისა.

სამთავროები ჩამოთვლილია თითქმის მათი ჩამოყალიბების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ამ ქრონოლოგიით, ეგრის-აფხაზეთის სამთავრო მესამეა, და იმიტომაც მოვიბოდიშეთ მკითხველის წინაშე: რაკი კახეთისა და ჰერეთის სამთავროები უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ჯერ იმათზე უნდა გვესაუბრა.

თითქმისაო, ვთქვით, რადგან სამთავროების ჩამოყალიბების ზუსტი თარიღის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. დღემდე გამოვლენილ ისტორიულ წყაროებს ასეთი ზუსტი მინიშნებანი

არ შემოუნახავთ. მიახლოებით თუ განსაზღვრავ. ხოლო როცა მიახლოებით განსაზღვრავ, თითქმის ერთდროულად გამოდის ამ სამთავროების შექმნა — მერვე საუკუნის ბოლო მეოთხედში.

და თუ მაინც კახეთის სამთავროთი იწყებენ, უმთავრესად იმიტომ, რომ აქ უფრო ადრე დაიწყო თვით პროცესი ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბებისა.

თქვენ ალბათ გაგიკვირდათ, რომ იმ ჩვენს სიაში — ზემოთ რომ სამთავროები ჩამოვთვალეთ — საქართველოს ყველა კუთხეა დასახელებული და ქვეყნის გული კი — არა. ქართლი არ არის მოხსენიებული! თუმცა კახეთიც, ჰერეთიც, ტაო-კლარჯეთიცა და ეგრის-აფხაზეთის სამთავროს აღმოსავლეთი მხარეც, როგორც ვიცით, ერთ დროს ქართლის შემადგენლობაში შედიოდნენ.

მაგრამ ეს იყო წინათ, ქართლის ძლიერების ხანაში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ იყო და სპარსმა დამპყრობლებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და სასტიკი რეჟიმი შემოიღეს. მერე არაბი დამპყრობლების მთელი სიმძიმე და სისასტიკე უმთავრესად სწორედ ქართლს დაატყდა.

ახლაც, მერვე საუკუნის მიწურულშიაც, მტერმა ქართლში ერის მთავრობა მოსპო და საშინელი ტერორი დაატრიალა, ქვეყანა დაქუცმაცდა და დაიფლითა, ყველა თავისთვის მიიწევდა, დამპყრობელი ყოველნაირად აქეზებდა და ხელს უწყობდა ქვეყნის დაქუცმაცებას. „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“ — მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს დაერიენენო, მემატიანე გადმოგვცემს.

დამპყრობელსაც მეტი რა უნდოდა, ამაზე სასურველს რას ინატრებდა! საერთო ეროვნული ინტერესები თანდათან იშლებოდა და მის ადგილს იჭერდა ახალგამოჩეკილ მთავართა პირადი ინტერესები, მათივე სამფლობელოებივით პატარა და შეზღუდული...

მემატიანე ზემოთ მოყვანილი სიტყვებით გადმოგვცემს ქართლის ამ მდგომარეობას.

ჩვენ ისიც ვიცით, როგორი ასახვა პოვა სწორედ ამ პერიოდმა მხატვრულ ლიტერატურაში. გავიხსენოთ იოანე საბანის ძის მოთხრობა. ეს ერთი და იგივე პერიოდია.

ქართლში კვლავ მაგრად უდგას ფეხი მტერს, თუმცა სახალიფოს ძლიერება საერთოდ შერყეულია. ასეთ ვითარებაში მტერი უფრო სასტიკი და ულმობელი გახდა, და მთელი ეს სისასტიკე ქვეყნის გულს — ქართლს დაატყდა.

ამიტომაც ვერ ვხედავთ იმ სიაში დიდი სამთავროების გვერდით ქართლს.

აბა, რუკაზე მოვძებნოთ ეს სამთავროები.

ხომ ხედავთ, განაპირა კუთხეებში ჩამოყალიბებულა დიდი ქართული სამთავროები. ესე იგი, იმ კუთხეებში, სადაც დამპყრობელს ხელი ადვილად ვერ მიუწვდება. სადაც ხალხს მოქმედების მეტი თავისუფლება აქვს.

ეს არის ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ არა ქვეყნის გულში, არამედ განაპირა კუთხეებში ჩამოყალიბდა დიდი ქართული ფეოდალური სამთავროები, რაც ფაქტიურად მთლიანი საქართველოს შექმნის წინა საფეხური იყო. ადვილი მისახვედრია, რომ დამპყრობლები დიდი სამთავროების შექმნას ვერ მოითმენდნენ და ყოველნაირად ხელს შეუშლიდნენ.

არის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რამაც ამ სამთავროების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

ამ პერიოდისთვის პერეთიცა და კახეთიც, — ანუ ის კუთხეები, სადაც პირველი დიდი სამთავროების შექმნას ვარაუდობენ — ეკონომიკურად მოლონიერებულია.

ეკონომიკურ გაძლიერებას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ აქ ასე თუ ისე მოახერხეს უფრო აერიდებინათ თავი დამპყრობლის მძიმე უღლისთვის. საერთოდ, ეს ორი საკითხი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთმანეთზე გავლენას ახდენს. რაკი დამპყრობლის უღელს თავს აღწევს, შრომისმოყვარე ხალხი მეურნეობის უკეთ წარმართვასა და განვითარებასაც უფრო ახერხებს. ხოლო ეკონომიკური გაძლიერება და მოლონიერება თავისთავად ნიადაგს უმზადებს თავისუფლების მოპოვებას, მის შემდგომ გაღრმავებასა და ტერიტორიული საზღვრების გაფართოებასაც.

ამ კუთხეებში ძალიან ხშირად ვხვდებით, — უფრო ხშირად, ვიდრე სხვა კუთხეებში, — ამავე პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებს და ესეც გვაძლევს უფლებას, უყოყმანოდ ვთქვათ, რომ ამ დროისთვის კახეთიცა და პერეთიც ეკონომიკურად მომძლავრებულა.

უბრალო ჩამოთვლაც კი იმდროინდელი არქიტექტურული ძეგლებისა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თავისი სიმრავლით გააკვირვებს ადამიანს. ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, საცხოვრებელი სახლები... შემორჩენილია ამავე პერიოდის ფეოდალთა სასახლეების ნიმუშები, რომლებიც მაღალ ყოფითსა და სულიერ კულტურაზე

მეტყველებენ. ეს სასახლეები რომ შეისწავლა ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერმა გიორგი ჩუბინაშვილმა, აღფრთოვანებულმა შენიშნა — ეს მაღალმხატვრული შემოქმედება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ თვითმყოფადობით, ორიგინალობით და ტრადიციის ერთგულებით გამოირჩევაო.

ტრადიციის ერთგულებით!

ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ძნელსა და არახელსაყრელ პირობებშიაც გრძელდება მრავალდარგოვანი და მრავალფეროვანი დიდი ქართული კულტურის განვითარება, რომლის ფესვები, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძალიან ღრმად მიდის, და კაცობრიობის მიერ განვლილი ათასწლეულების წყვდიადში იკარგება.

ძველი წერილობითი წყაროების და მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით ვგებულობთ აგრეთვე, რომ სწორედ ამ პერიოდში, საქართველოს ამ კუთხეებში ფართოდ მისდევენ მევენახეობას, მარცვლეულის მოყვანას, მეცხოველეობას... საინტერესოა თვით ძველი არაბი ისტორიკოსების ჩანაწერები: ცალკეული ბრძოლების შემდეგ არაბებს აქაური მოსახლეობისგან წაუყვანიათ ათასობით ცხენი, მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი...

კახეთის სამთავროო, რამდენჯერმე ვახსენეთ, მაგრამ მკითხველს თავიდანვე უნდა განვუმარტოთ: იმდროინდელი კახეთის სამთავრო ზუსტად დღევანდელი კახეთის რაიონებს კი არ გულისხმობს. ძველ რუკაზე რომ დახედავ, თითქოს უკვე გრძნობ, საზღვრებში როგორ ვერ ეტევა და ბორგავს, ლამის გაგლიჯოს სასაზღვრო ხაზების არტახები. აგერ, დასავლეთით, მუხრანს მოსდგომია და მოზიდული მშვილდივით დაჭიმულა, რათა აისხლიტოს და უფრო შორს გაიჭრას.

აღმოსავლეთი საზღვარი ცოტათი დასავლეთისკენ არის გადაწეული, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთით მეორე ფეოდალური სამთავრო ჰერეთი ესაზღვრება და იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რასაც შემდეგ კახეთი შეიერთებს, მეცხრე საუკუნის დამდეგისთვის ჰერეთის სამთავროს უჭირავს.

სამხრეთითაც კარგა მაგრად შეუვიწროებია მას ძველი ქართლის საერისმთავრო, რომელიც იმ დროისთვის თბილისის ამირას ეკუთვნის (ჯერ კიდევ მერვე საუკუნის დასაწყისისთვის თუ ლამის მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა თბილისის საამირო, ამავე საუკუნის დასასრულისთვის დახეთ როგორ შეუვიწროებიათ!) — თბილისსა და რუსთავს გამომწვევად

ჩაუვლის გვერდზე, მხარს გაპკრავს, და, რაც უფრო სამხრეთისკენ ეშვება, ურემში შებმულ ბაძია ხარივით, ცდილობს კიდევ უფრო დასავლეთით მიჭყლიტოს საამირო; ლორესაკენ გაუწევია, მაგრამ ლორემდე ვეღარ აღწევს, — ეტყობა, აქ წინააღმდეგობას შეხვდა, — ისევ აღმოსავლეთისკენ მიიქცევა; სამხრეთით კი კარგა შორს ჩამოწეულა, გოგჩის ანუ გელაქუნის ტბას ებჯინება. ერთხანს ასე მიჰყვება ტბის ხაზს და ისევ ჩრდილოეთისკენ შემოიქცევა. უფრო მოგვიანო დროის რუკას თუ შევადგენთ, ბოდბე, ჭერემი, თელავი, ალავერდი მას უჭირავს (ადრე კი ზოგი ამ ქალაქთაგან პერეთის სამთავროში შედიოდა). ზედ ველისციხეზე გადის საზღვარი; ვეჟინი, ნეკრესი და ხორნაბუჯი ჰერეთის საზღვრებში მოქცეულა...

ჩრდილოეთით უფრო თამამად გაჭრილა და კავკასიონის მარად თოვლიან მიუვალ მთებს მიბჯენია...

გაჭრილაო, ვთქვით..

კი არ გაჭრილა, სწორედ აქ, ჩრდილოეთში დაწყებულა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება. აქედანვე თანდათან გააფართოვა მან თავისი საზღვრები.

დედაქალაქს ნუ დავარქმევთ: პირველი პუნქტი, სადაც ეს სამთავრო ჩაისახა და საიდანაც მერე გაფართოება დაიწყო, დღევანდელი ყაზბეგი ყოფილა.

ესეც ახლავე შევნიშნოთ: მაშინდელი ჩვენი და უცხოური წყაროები „კახელებად“ კი არ მოიხსენიებენ საქართველოს იმ კუთხის შვილებს, ვინც აქ ესახლა და ვინაც საარაკო გმირობით ებრძოდა უცხოელ დამპყრობს. წანარებად არიან ისინი მოხსენიებული.

ჩვენ რომ ზემოთ გაკვრით ვახსენეთ უცხოელი მემატიანის ცნობა — აჯანყებული მოსახლეობის დასამორჩილებლად როგორ გაილაშქრა ამ მხარეში არაბმა სარდალმა ჰასან კაპტაბის ძემ, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა, დამატებითი ჯარი მოსთხოვა ხალიფას და იმანაც მოაშველა 20.000-იანი ლაშქარი გამოცდილი სარდლის ალპარისის მეთაურობითო, ეს კახეთში გალაშქრებას შეეხება, მაგრამ კახეთად კი არ არის მოხსენიებული არაბი მემატიანის ცნობაში, არამედ წანარეთად.

წანარებად ანუ სანარებად მოიხსენიებიან ის ძველი კახელები.

და ეს გულადი და დაუმორჩილებელი წანარები, რომლებიც ხშირად მოვლენიან რისხვად არაბ დამპყრობლებს, მთიელები ყოფილან. სწორედ წანარებს შეუსრულებიათ ყველაზე დიდი როლი კახეთის სამთავროს შექმნა-ჩამოყალიბებაში.

უზუსტობა ნუ გეგონებათ: ზემოთ ნახსენები ბრძოლა მერვე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოხდა, ჩვენ კი ამ სამთავროს ჩამოყალიბების თარიღად საუკუნის მიწურული დავასახელეთ.

●

საქმე ის არის, რომ ზემოთ ნახსენები ფეოდალური სამთავროები ერთი ხელის დაკვრით არ შექმნილა, თანდათანობით ყალიბდებოდა, დამპყრობლებთან ბრძოლებში მაგრდებოდა, ძალას იკრებდა, ფართოვდებოდა, ახალ-ახალ ტერიტორიას იმატებდა და იმტკიცებდა.

მარტო დამპყრობელთან კი არ ჰქონიათ ბრძოლები: სამეფოს დაშლის შემდეგ მომრავლებული წვრილი სამთავროები ერთმანეთშიაც იბრძოდნენ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ჰქონდათ.

ჯერ დაქუცმაცდნენ, ყველა თავისკენ მიიწევდა, ყველა დამოუკიდებლობასა და თავისუფალი მოქმედების შენარჩუნებას ცდილობდა, ანუ თავისუფალი პარპაშისა — ეს სიტყვა უფრო მიესადაგება იმას, რასაც ისინი ესწრაფოდნენ და აკეთებდნენ...

და თანდათანობით იმ წვრილ მთავართა ურთიერთბრძოლები გაჩაღდა. ზემოთ ნახსენები ოთხი დიდი სამთავროს ჩამოყალიბებასა და გამოკვეთას წინ უძღოდა გააფთრებული ბრძოლები ცალკეულ წვრილ მთავართა შორის. ბრძოლები მამულის შემომატებისთვის, გაფართოებისთვის, გავლენის მოპოვებისთვის, ჰეგემონობისთვის...

...თანდათანობით ეცოტავა ის მამული, რაც სამეფოს დაფლეთა-დაქუცმაცების დროს იგდო ხელთ; იფიქრა: მეტიც შეიძლებოდა მქონოდა, ცოტა უფრო ყოჩაღად რომ მოექცეულიყავიო. საკუთარ თავს დააბრალა. სინანული წამოერია, ბედის სამდურავი გაახშირა. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა: ზოგს მეტი მოესწრო, მეტის შოვნა, მეტის დაუფლება; ზოგი მასავით იყო; ზოგს უფრო ნაკლებიცა ჰქონდა...

და მეზობელი მთავრის მამულს დაადგა თვალი. მოეწონა, თავის მამულთან შეერთებული წარმოიდგინა და სინანულით შენიშნა: ესეც რომ მისი ყოფილიყო (არადა, ნამდვილად შეიძლებოდა მისი ყოფილიყო — ყოველ შემთხვევაში, მას ასე მოეჩვენა!), გაცილებით უკეთესი იქნებოდა — მეტი ზვარი ექნებოდა, მეტი სახნავ-სათესი, მეტი ცხვარი და ძროხა, მეტი ცხენი, მეტი მუშა-საქონელი და მუშახელი, მეტი მეომარი...

და რაკიღა ასე წარიმართა მისი ფიქრი და ზრახვა, ველარ

მოისვენა, ძილი გაუტყდა, მოსვენება დაკარგა....

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მაცთუნებლად ულიმოდა მეზობელი ფეოდალის მიწა-წყალი: მისი მიწები უფრო ნოყიერი ჩანდა, მისი ზვარი – უფრო ვრცელი და ბარაქიანი, ყურძენიც კი უფრო ღუოდა იქა, მზეც მეტი ხვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისივე ზვრის მოსაზღვრე იყო და ერთნაირი მდებარეობა ჰქონდათ; ცხენებიც უფრო ფეხმარდები ჰყავდა, ხარებიც უფრო ქედღონიერი, ლეწვის დროს კალოსპირულიც უფრო ხალისიანად ჟღერდა მის კალოზე...

ერთი სიტყვით, სულ უფრო მაცდუნებლად ულიმოდა მეზობლის მიწა-წყალი და სულ უფრო და უფრო უსამართლოდ ეჩვენებოდა, რომ თავად არ იყო მისი მფლობელი...

...ჯერ რაღაცაზე გული მოიყვანა, შარი მოსდო და წაეჩხუბა (შარს რა გამოლევსო, იქნებ ეს გამოთქმაც იმდროინდელი იყოს!), შეუტია, ერთი-ორი სოფელი წაართვა. დააცადა, აბა თუ შემრჩებაო. რაკი შერჩა და დიდი წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია, კიდევ შეუტია, კიდევ გამოძებნა შარი... და კიდეე უფრო ღრმად შეიჭრა მეზობლის ტერიტორიაზე. ამჯერად სისხლიც ბლომად დაიღვარა, დიდი მსხვერპლიც იყო, მაგრამ რაღაი გაიმარჯვა და საწადელს ეწია, მსხვერპლს უკვე აღარ დაგიდევდათ... ბოლოს სულ გადაყლაპა მეზობელი მთავარი თავის ზვრიანად და სახნავ-სათესიანად, მუშა-ხელიანად და მეომრებიანად... და ამ გამარჯვებით არა მარტო გამდიდრდა, გაძლიერდა კიდეც: ეკონომიკურადაც მოღონიერდა, სამხედრო ძლიერებაც შეემატა, გუნება-განწყობილებაც გამოუკეთდა, უფრო თავდაჯერებული გახდა, საკუთარ თვალში ამაღლდა, უფრო გაამაყდა, გაიბღინძა, სიარული და ლაპარაკი დაამძიმა, ღიმილი დააძვირა, გამკაცრდა, უსამართლობა და უზნეობა გაამრავლა...

და თქვენ გგონიათ, ამით დაკმაყოფილდა?!

ახლა უკვე უფრო ძლიერ მეზობელს (ან თავისივე მოსაზღვრეს ან უფრო შორებელს) დაუპირისპირდა... ახლა იმ მთავრის მიწა-წყალი მოეწონა, იმის ცხვარსა და ნახირს დაადგა თვალი, იმის ზვრებსა და სახნავ-სათესს, იმის ტყეებს, იმის მუშა-ხელსა და მხედრობას... ამჯერადაც მოეძალა სინანული – ამისი მფლობელი რატომ მე არ უნდა ვიყოო (ან არადა, ხომ შეიძლებოდა, მე ვყოფილიყავიო!), რითი ვარ იმაზე ნაკლებიო?! სად არის სამართალიო?!. ისევ გახშირდა ბედის სამდურავი...

მაგრამ ამ მთავრის დამარცხება ისე ადვილი აღარ იყო, ეს

გაცილებით უფრო ძლიერი და ღონიერი გახლდათ, მოკავშირეებიც ჰყავდა ამას – ზოგი თავისივე ტოლი მთავარი, ზოგი უფრო პატარა და დაკნინებული; მთავარი ეთქმოდა, თორემ ფაქტიურად ისიც მონა იყო იმ დიდი ფეოდალისა, რასაც უნდოდა, იმას გააკეთებინებდა ის მფარველი თუ პატრონი. საერთაშორისო ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ის დიდი ფეოდალი სიუზერენი იყო, ხოლო მისი მონა-მორჩილი პატარა მთავარი – ვასალი.

ერთი სიტყვით, ძლიერი მეტოქე ჩანდა ეს ახალი ფეოდალი და ადვილად ვერ დაამარცხებდა. ის კი არადა, მგონი თვითონ იმ ძლიერ ფეოდალს ეჭირა ამ ჩვენი ფეოდალის მამულზე თვალი... წართმევას ვიღა დაეძებდა, თუ ესეც არ გაძლიერდებოდა, თუ ესეც მალე არ გაიჩენდა მოკავშირესა და ქვეშევრდომს, ცუდად წაუვიდოდა საქმე...

და დატრიალდა ეს ჩვენი მთავარი, ამანაც შეკრა კავშირი ვიღაც სხვა მთავართან, ვისთანაც უფრო ადვილად მოახერხა საერთო ენის გამოძებნა... თავისივე ტოლი მოკავშირის გარდა, ამანაც გაიჩინა საკუთარი ვასალები – უფრო სუსტი მთავრები, რომელთაც დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლოთ, უსათუოდ უნდა შეფარებოდნენ სხვის ფრთასა და კალთას.

ასე გაჩნდა მთელი დაჯგუფებები. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, სულ უფრო და უფრო დაიძაბა მათ შორის წინააღმდეგობა, სულ უფრო და უფრო გაღრმავდა შუღლი და მტრობა... ასეთია ფეოდალური ურთიერთობის კანონი ყველგან – ყველა ხალხსა და ყველა ქვეყანაში...

საინტერესოა ერთი დეტალი წმინდა საენათმეცნიერო ხასიათისა, რაც კარგად მიგვანიშნებს საერთოდ ფეოდალური ურთიერთობის ბუნებაზე. სიტყვა „ფეოდალი“ ჩვენს ენაში, როგორც ყველასთვის ცნობილია, სხვა ენებიდან არის შემოსული, და ფუძე ამ სიტყვისა „ფეოდ“ (სხვადასხვა ევროპულ ენაში – ფეუდ, ფეოდ, ფეოდუმ...), რისგანაც შემდეგ წარმოებულია ცნებები და სიტყვები „ფეოდალი“, „ფეოდალიზმი“ და სხვა, პირველადი მნიშვნელობით „საკუთრებას“, „მფლობელობას“ ნიშნავდა, და ახლაც ამას ნიშნავს. მაგრამ დროთა ვითარებაში, ზოგიერთ ევროპულ ენაში მას გაუჩნდა (და ჩვენც სწორედ ამაზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება) ახალი მნიშვნელობაც – „მტრობა“, „შუღლი“, „ღვარძლი“, „ურთიერთ ავი ზრახვები“... ახლა ამ ცნებასაც გამოხატავს ზოგიერთ ენაში ეს სიტყვა... მკითხველისთვის ალბათ გასაგებია, როგორ გაფართოვდა და გართულდა ამ სიტყვით გამოხატული ცნებები.

სწორედ ეს არის ფეოდალიზმის ბუნება და სოციალური არსი. ამ მტრობამ დანდობა და სიბრალული არ იცის, მყარად შესისხლხორცებული ბოროტი და ხარბი ზრახვების დავიწყება არ იცის, გარჩევა არ იცის... სწორედ განურჩეველობა და განუკითხაობაა მისთვის დამახასიათებელი: ძმას ძმის წინააღმდეგ შეამართვინებს მახვილს, ბიძას – ძმისწულის წინააღმდეგ, შვილს – მამის წინააღმდეგ...

მახვილს შეამართვინებსო! კეთილშობილური გამოთქმა გამოგვიეიდა – ფარდას მოფარებულს, ზურგში ვერაგულად ჩააცემინებს დანას...

საგულისხმო ის არის, რომ ამ სოციალურ ურთიერთობას ზოგადი კანონები აქვს და ყველა ქვეყნის ფეოდალი ერთმანეთსა ჰგავს – ვერაგობით, ცბიერებით, გულქვაობით, სიხარბით, გაუტანლობით, კარჩაკეტილობით (სხვადასხვა ქვეყანაში, გარკვეული ფაქტორების გავლენით, ნაწილობრივ იქნებ თავისებური განვითარება პოვოს ამ სოციალურმა ურთიერთობამ – ეს სულ სხვა საკითხია და ამაზე საგანგებოდ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას)...

მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდ პოვა ასახვა ფეოდალურმა ურთიერთობამ. მარტო უოლტერ სკოტისა და უილიამ შექსპირის გადაკითხვა კმარა, რომ ძალიან ცოცხალი და შთამბეჭდავი წარმოდგენა შეგექმნათ ამ ურთიერთობაზე, განსაკუთრებით შექსპირისა, რომელიც შეუფერადებლად, მძაფრად, მწვავედ, თითქმის გაშიშვლებულად, სოციალური სიმახვილით გვიხატავს ფეოდალიზმის ნამდვილ სახესა და ბუნებას... ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, ქართულ მატიანეებსა და ქრონიკებში მიძინებული რამდენი საინტერესო და მძაფრი სიუჟეტი ელის ქართველი მწერლის კალამს და როგორი სასურველი სისრულით შეიძლება გაცოცხლდეს ეს გრძელი და მკაცრი ეპოქა.

●

როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო, მისი საზღვრები, როგორც ვნახეთ, კარგა ვრცლად გაიჭიმა. კახეთის სამთავროში მოექცა საკუთრივ კახეთი, კუხეთი და გარდაბანი.

როგორც ითქვა, ყაზბეგი ყოფილა პირველი ცენტრი ამ სამთავროსი.

ეს იყო წანარების სამკვიდრო ადგილი.

იმისდა კვალობაზე, თუ როგორ ფართოვდებოდა ახალი ფეოდალური სამთავრო და როგორ მოიწევდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ანუ მთიდან ბარისკენ, იცვლებოდა აგრეთვე სამთავროს ცენტრიც.

ამასთან დაკავშირებით ერთი დამახასიათებელი მოვლენაც.

სამთავროს ცენტრის გადაადგილებას რომ გაადვილო თვალი და სხვას არაფერს მიხედო, გაოცებული დარჩები მისი მოძრაობის სისწრაფით. მთავარი კი ის არის, რომ ეს მოძრაობა ძალიან ცოცხლად და შთამბეჭდავად გვიხატავს კახეთის ფეოდალური — და საერთოდ ფეოდალური — სამთავროს ხასიათსა და ბუნებას, მის საოცარ დაუდგრომლობას, გაფართოებისა და ახალი ტერიტორიების შემოერთებისკენ სწრაფვას, სიხარბეს, მიწით გაუმაძღრობას, გულმოუყირჭობას...

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა რამესაც გვაჩვენებს ეს. გვაჩვენებს იმას, ოუ როგორ გასჭირვებია შორიდან მოსულ დამპყრობელს, როგორ თანდათან ვიწროვდება თბილისის ამირას საზღვრები და როგორ თანდათანობით უახლოვდება ბარს — ქვეყნის გულს — ჯერ ქვეყნის უფრო მოფარებულ ადგილას, ქვეყნის განაპირას ჩამოყალიბებული ახალი სამთავრო.

ყაზბეგიდან ჯერ, ეტყობა, უჯარმაში გადაინაცვლა სამთავროს ცენტრმა. უჯარმა ხომ საგულდაგულოდ ნაგები ციხე-ქალაქი იყო და ახალი სამთავროს ცენტრობას კი არა, დიდი სახელმწიფო დედაქალაქობასაც კარგად შეიფერებდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, დიდხანს არც აქ ყოფილა სამთავროს ცენტრი.

გარკვეული დროის შემდეგ თიანეთისკენ გადაუნაცვლია.

ივრის ხეობაში იმდენი ციხე-სიმაგრის ნანგრევებსა და საერთოდ ძველი დიდებისა და ძლიერების ნიშანს შეხვედები, ეჭვი არ არის, ეს კუთხე თავის დროზე მჭიდროდ იყო დასახლებული. უნდა ვიფიქროთ, ეკონომიკურადაც ძლიერი იქნებოდა. ამიტომ არც გასაკვირია, რომ სამთავროს ცენტრად თიანეთი აირჩიეს. კახეთის მთავართა რეზიდენციად მეცნიერები ბოდოჯის სასახლეს ვარაუდობენ. ეს თიანეთის მახლობლად უნდა ვიგულისხმოთ. ვარაუდობენ ცხრაკარას, რომლის ნანგრევები თიანეთიდან ორიოდე კილომეტრზე არის.

როგორც ვნახეთ, თავიანთი დედაქალაქის მიმართ დიდი ერთგულებით ვერ დაიტრაბახებენ უძველესი კახეთის ანუ წანარიის მთავ-

რები. ამ ქალაქზეც მალე აცრუებიათ გული. ცუდად მობალახე ხარიეით აუღერიათ თავი და აღმოსავლეთისკენ შექცეულან. უვლიათ, უვლიათ, და ამჯერად მართლაც ძვირფასი მარგალიტისთვის მიუგნიათ — მთელი ამ კუთხის თვალი, მშვენიერი თელავი აურჩევიათ...

და მართლაც ისეთი ჯადო აღმოსჩენია ამ ტურფა ქალაქს, რომ მისთვის ვეღარ უღალატიათ, სამუდამოდ აქ დამკვიდრებულან.

კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ: მთიდან როგორ მოიწევს ბარისკენ სამთავროს ცენტრი. ეს მრავალმხრივ საინტერესოა. როგორც ითქვა, სამთავროს თანდათანობით გაძლიერებასაც მოასწავებს — თანდათან ფართოვდება, სულ უფრო და უფრო ნაკლები შიში აქვთ დამპყრობლისა!..

მაგრამ სამთავროს ცენტრის თელავში გადმოტანას უფრო მოგვიანებით ვარაუდობენ, როცა კახეთმა ჰერეთიც შეიერთა და კახეთ-ჰერეთის სამთავროდ იქცა. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „თურდოს-ხევის სამხრით არის თელავი, რომელიც ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს“...

კვირიკე მეთერთმეტე საუკუნეში ცხოვრობდა. მერვე საუკუნის დასასრულსა და მეცხრეს დასაწყისში კი, ანუ იმ პერიოდში, რომლის ამბებსაც ახლა მოგითხრობთ, კახეთის მთავარია გრიგოლი. 787-827 — ასე ვარაუდობენ მისი ზეობის წლებს, ასე აქვს ეს მოცემული ვახუშტი ბატონიშვილს.

მთავარიო, ეთქვით და აქვე განმარტებაა საჭირო, რადგან კახეთის მთავარს პირობით თუ ვუწოდებთ ამ სახელს, თორემ ისე სულ სხვა ტიტული ჰქონიათ.

კახეთის ისტორიის ამ მონაკვეთს რომ ეცნობი, თვალში მოგხვდება ერთი უცნაური ტერმინი — ქორეპისკოპოსი.

ასე უწოდებენ კახეთის სამთავროს მმართველს ანუ მთავარს.

მარტო კახეთის მთავარს აქვს ასეთი ტიტული.

ვიცით, რომ ეპისკოპოსი სასულიერო პირია, საეკლესიო მოღვაწე, და ახლა, როცა სამოქალაქო-ადმინისტრაციული თანამდებობის სახელწოდებად შეგვხვდა, ბუნებრივია, გაგვიკვირდა. გვეჩოთირა. გაკვირვება კიდევ უფრო დიდი იქნება, როცა ამ სახელწოდების სინონიმად მეორე სიტყვასაც შევხვდებით — ქორიკოზს.

„ქართლის ცხოვრება“ ქორეპისკოპოსს უწოდებს კახეთის მთავარს, ვახუშტი ბატონიშვილს, ეტყობა, კალმის ლაფსუსად მიუღია ეს და თვითონ ყველგან ქორეპისკოპოსის ნაცვლად ქორიკოზსა

წერს. ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს სამართლიანად მიაჩნია ეს გასწორება: „ცხადია, რომ ქორეპისკოპოსი „ქართლის ცხოვრებაში“ შეცდომით არის ხმარებული“, — წერს დიმიტრი ბაქრაძე და იქვე მიუთითებს საბა ორბელიანზე, რომელსაც გადამწერის შეცდომად მიაჩნია ეს; ქორიკოზი უნდა იყოს და გადამწერს შეცდომა მოსვლია, ქორეპისკოპოსი დაუწერიაო. ქორეპისკოპოსი, საბასვე განმარტებით, უსამწყსო ეპისკოპოსსა ნიშნავს. ქორიკოზი კი — ქვეყნის ისეთ მმართველს, რომელსაც მეფის ტიტულის სახელდება ვერ გაუბედავს („ქორიკოზი — მონაცვლე მეფისა, რომელ ვერ იკადროს მეფედ სახელისდება“...).

თანამედროვე მეცნიერთაგან ზოგი იზიარებს ვახუშტისა და დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებას, რაც, თავისთავად, საბას განმარტებას ემყარება, ზოგს მიაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სწორად არის ტიტული დაწერილი და გადამწერებს არავითარი შეცდომა არ მოსვლიათ. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს საგანგებო გამოკვლევებს ამ საკითხზე. ჩვენთვის ამჟამად ეს საინტერესო არ არის.

ჩვენ იმაზე შევჩერდით, რომ კახეთის მთავრის — ანუ ქორეპისკოპოსის — გრიგოლის ზეობის თარიღად მიღებულია 787-827 წლები.

ამ თარიღმა თქვენ ალბათ უნებურად ერთი სხვა მთავრის ზეობის წლებიც მოგაგონათ.

დიახ, აშოტ დიდსა და კახეთის მთავარ (ქორეპისკოპოს) გრიგოლს ერთ დროს უცხოვრიათ. მათი ზეობის წლები თითქმის თანხვდება ერთმანეთს.

ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ორი ისტორიული პირი ბრძოლის ველზეც შეხვდა ერთმანეთს, როგორც მოსისხლე მტერი...

მაგრამ ჯერ ჰერეთის სამთავროს გადავავლოთ თვალი...

ვარაუდობენ, რომ ჰერეთის სამთავროც მერვე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, ესე იგი, კახეთის სამთავროს პარალელურად; ისტორიას ძუნწი ცნობები შემოუნახავს, მაგრამ მაინც გადაჭრით შეიძლება ვთქვათ: კახეთის სამთავროსთან განუწყვეტელ ბრძოლაშიაც. ზემოთაც შევნიშნეთ: ვინ იცის, ალბათ რამდენჯერ გა-

დაიწია საზღვრის ხაზმა — ვეჟინი, ჭერემი, ველისციხე, ნეკრესი და ხორნაბუჯი ალბათ ხან ერთი სამთავროს ფარგლებში იყო, ხან მეორისაში.

რაკიღა ფეოდალური საზოგადოების ხასიათს გავეცანით, აღარ უნდა გაგვიკვირდეს მათ შორის განუწყვეტელი შუღლი და მტრობა.

ჰერები ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია. ეს ჩვენ ტრადიციული გადმოცემითაც ვიცით. ლეონტი მროველი რომ თარგამოსის შვილებს ჩამოთვლის „ქართლის ცხოვრების" დასაწყისში, ერთ-ერთ ძმად აქ ჰეროსია დასახელებული.

და თუმცა „ქართლის ცხოვრების" შესავალი ნაწილი ზღაპრულად მიაჩნიათ, მასში მაინც არის ჭეშმარიტების ანარეკლი, და, ამდენად, საჭიროა მეტი ნდობითაც მოვექცეთ. კერძოდ, გადმოცემის ამ ზღაპრულ ნაწილში კარგად არის მინიშნებული ჰერების ნათესაური სიახლოვე საქართველოს სხვა კუთხის შვილებთან.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც ასეა მიღებული და დადგენილი: ჰერების კულტურულ-ეთნიკურ შერწყმასა და ქართლთან ჰერეთის ტერიტორიულ შეერთებას ძველი წელთაღრიცხვის წინარე საუკუნეებით განსაზღვრავენ. „ჰერების შერწყმა ქართლ-კახელებთან ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს დაიწყო და მრავალი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა", წერს პროფესორი თენგიზ პაპუაშვილი ჰერეთის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში. „განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ეს პროცესი, — განაგრძობს გამოკვლევის ავტორი, — ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) ადრეკლასობრივი სახელმწიფო".

თქვენ ალბათ ხედებით, რომ აქ ფარნავაზის ეპოქაა ნაგულისხმევი.

და იქვე: „ჰერეთის კახეთთან შერწყმის პროცესი უფრო იმ გარემოებამ დააჩქარა, რომ ჰერული ტომები, ეთნიკური თვალსაზრისით, ძალზე ახლოს იდგნენ აღმოსავლურ ქართულ ტომებთან — ქართებთან და კახებთან".

გიორგი მელიქიშვილის აზრითაც, ჰერეთი უკვე ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ქართლის სახელმწიფოში შედის.

„ჰერეთი ჯერ ქართლის სამეფოს ვასალური ქვეყანა იყო, — ვკითხულობთ მარიამ ლორთქიფანიძის გამოკვლევაში, — ... მერე კი „უშუალოდ შეუერთდა ქართლის სამეფოს".

შეგვიძლია უფრო შორსაც წავიდეთ: უძველესი დროის მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე მტკიცდება, რომ ტომები, რომელთაც ჰერეთის ტერიტორიაზე უცხოვრიათ, უშუალოდ მონაწილეობდნენ ქართული კულტურის შექმნაში. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II—I ათასწლეულის მიჯნაზე ამ ადგილებში გავრცელებული მატერიალური კულტურა განუყოფელად უკავშირდება ქართლის მატერიალურ კულტურას.

ძველი ჰერეთის საზღვრების დადგენა უფრო გაგვიძნელდება, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებისა, რადგან ეს საზღვრები ცვალებადი იყო ხოლმე. მიახლოებით კი ასე შეგვიძლია განვსაზღვროთ: იგი უშუალოდ ეკერის კახეთის სამთავროს და ჩვენთვის უკვე ცნობილი აღმოსავლეთ-სამხრეთი საზღვარი ამ სამთავროისა, ჰერეთის სამთავროს ჩამოყალიბების პერიოდში მაინც, ჰერეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს. აქედან იგი იშლება აღმოსავლეთისკენ უფრო, ვიდრე სამხრეთისკენ. უფრო ადვილი დასადგენია ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები, რამდენადაც ისინი ბუნებრივ ზღუდეებს წარმოადგენენ: ჩრდილოეთით ჰერეთის სამთავროც, მსგავსად კახეთისა, კავკასიონის მთებს ებჯინება, ხოლო სამხრეთით — მდინარე მტკვარს, და მტკვრის დინებას მიჰყვება აღმოსავლეთისკენ („ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ“... გვაუწყებს ლეონტი მროველი).

ასევე ძუნწად, მაგრამ უფრო გამოკვეთილად ეხვდებით ცნობებს ჰერეთის შესახებ უფრო მოგვიანო დროის წყაროებში.

ჯუანშერის გადმოცემით ვიცით, მაგალითად, რომ ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში ჰერეთი ვახტანგ გორგასალის დიდი სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო.

გავიხსენოთ ის პერიოდი, როცა ვახტანგს სპარსეთის მეფე გაიწვევს ინდოეთს სალაშქროდ.

სალაშქროდ გამგზავრების წინ მეფე თავის ხუთი წლის მემკვიდრეს — დაჩის გვირგვინს დაადგამს და შვიდ წარჩინებულს დაუტოვებს.

ამ შვიდ წარჩინებულთაგან ერთ-ერთი — სხვათა შორის, მემატიანის ჩამოთვლის თანმიმდევრობის მიხედვით, რიცხვით მესამე (იქნებ ესეც არ იყოს შემთხვევითი) — ჰერეთის ერისთავია.

ვახტანგ გორგასალის სახელს ჰერეთში ფართო საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა უკავშირდება. ვახტანგმა რომ დიდი

საეკლესიო რეფორმა მოახდინა და საბერძნეთიდან კათალიკოსი და ეპისკოპოსები მოიწვია, რამდენიმე ეპისკოპოსი ჰერეთს განაწესა.

რამდენიმე ეპისკოპოსი! იმ მოწვეულ თორმეტთაგან!..

საგულისხმოა ერთი დეტალიც ჯუანშერის მოწოდებული ცნობიდან, ვახტანგის მიერ მოწვეულ ეპისკოპოსთაგან ერთ-ერთის ჭერემს გამწესების შესახებ. ეს ჭერემი — მაშინდელი ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, ვახტანგის აშენებული ყოფილა:

„დასუა... ერთი (ეპისკოპოსი) ჭერემს, მისსავე (ესე იგი, ვახტანგისავე) აშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა“...

დააკვირდით: ქალაქიც საკმაოდ დიდი ყოფილა, ხშირშრეველიანი, რაკი ამ ქალაქის თაეშიაც და ბოლოშიაც ეკლესია ააშენა!

საგულისხმოა ისიც, რომ გორგასალი თავის პირმშოს სწორედ ამ მხარეს უანდერძებს: „ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი“... (ნეკრესიც, ჭერემიცა და მთელი კამბეჩოვანიც მაშინდელ ჰერეთში შედიოდა).

კიდევ ერთი ცნობა, სადაც ვახტანგ გორგასალის განსაკუთრებული ყურადღება ჩანს ამ მხარის მიმართ.

უფრო მოგვიანებით, მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ არჩილ მეფე რომ ეგრისიდან გადმოვა და „კახეთად“ მოვა, წუქეთს (ჰერეთში) დამკვიდრდება და, თავისი დიდი წინაპრის მსგავსად, იგიც მშენებლობას მიჰყოფს ხელს: „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი (ამ ადგილს ჩვენი მეცნიერები თანამედროვე კახის მიდამოებში გულისხმობენ, ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაშია), და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთად მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი“...

ესე იგი, თავის დროზე წუქეთი ვახტანგ გორგასალს, ეტყობა, ქვეყნის ერთგული ხალხისთვის მიუბოძებია და ახლა, არჩილის დროს, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში, მემატიანის ცნობის მიხედვით, იმ მთავართა ერთ-ერთი შთამომავალი განაგებდა; არჩილმა მასვე დაუტოვა — „არა ინება წაღებად წუქეთი“.

წუქეთი ჰერეთის განაპირა ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეა.

კითხულობ მემატიანის ძუნწ ცნობებს და ერთხელ კიდევ აღფრთოვანებაში მოჰყავხარ შესანიშნავი ქართველი მოღვაწის ვახტანგ გორგასალის სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას.

ჰერეთი ხომ ქვეყნის განაპირა კუთხე იყო და აქ ციხე-სიმა-

გრეების აგება ბუნებრივადაც ჩაითვლებოდა, მას დიდი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა არა სჭირდებოდა, ყველა ჭკვათამყოფელი გამგებელი ქვეყნისა ასე მოიქცეოდა. პირველი დარტყმა საქართველოს დაუძინებელი მტრის სპარსეთისა — აღმოსავლეთიდან წამოვიდოდა იგი თუ სამხრეთიდან — ამ კუთხეს უნდა ეგემნა. ამას ცოტად თუ ბევრად გამოცდილი მმართველი ქვეყნისა უსათუოდ გაითვალისწინებდა, და ვახტანგის სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობაზე რომ ვლაპარაკობთ, ციხესიმაგრეების მშენებლობას კი არ ვგულისხმობთ.

გორგასალის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ციხე-სიმაგრეების გვერდით — და უფრო ფართო მასშტაბითაც — მან აქ კულტურის კერები შექმნა.

დროთა ვითარებაში ეს კულტურის კერები უფრო მედგრად დახვდებოდა მტერს — ეროვნული თვითშეგნება ყოველგვარ ციხე-სიმაგრეზე მტკიცე და მედგარი დამცველი იქნებოდა; თანაც, ამ განაპირა კუთხეში მოსალოდნელი იყო არა მარტო ხმალშემართული მტრის ლაშქრის შემოჭრა, არამედ უცხო იდეოლოგიის შემოტანაც, რაც სწორედ ეროვნული მეობის შენარჩუნებას დაემუქრებოდა და რასაც ვერავითარი სიმაგრეები ვერ აღუდგებოდა; მას სწორედ კულტურის კერები უნდა გამკლავებოდა. ვიმეორებთ, ისიც საგულისხმოა, რომ ეს კუთხე ვახტანგმა უფლისწულს უბოძა და ამით კიდევ უფრო გაესვა ხაზი ამ მხარისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

როცა კულტურის კერებზე ვლაპარაკობთ, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს კანტიკუნტად, აქა-იქ ეულად ჩაედგათ თითო ეკლესია და ამით მორჩენილიყვნენ საქმეს.

არა, აქ ფართო მასშტაბის გაცხოველებული კულტურული მშენებლობა და საქმიანობა უნდა ვიგულისხმოთ.

სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით, გორგასალისავე დროს აქ რამდენიმე საეპისკოპოსო იყო — კაწარეთისა, ჭერმისა, ბოდბესი, ხორნაბუჯისა, გიშისა... მომდევნო საუკუნეებში გრძელდებოდა ვახტანგის დიდი მასშტაბით დაწყებული მოღვაწეობა. ასე მაგალითად, აქ ნახსენები არ არის ჩვენთვის უკვე ცნობილი ნეკრესის საეპისკოპოსო, სადაც ასურელ მამათა ერთ-ერთი წარმომადგენელი აბიბოსი მოღვაწეობდა. აქვე უნდა ვახსენოთ დავით გარეჯელის დიდი კულტურული მოღვაწეობა. გარეჯაც მაშინდელი ჰერეთის ტერიტორიაზე იყო.

ჩვენი ისტორიკოსები ასახელებენ სხვა საეპისკოპოსოებსაც, ანუ ქართული კულტურის ცენტრებს — რამდენადაც იმ დროს სწორედ ასეთ საეკლესიო ცენტრებში მიმდინარეობდა გაცხოველებული კულტურული საქმიანობა.

სხვათა შორის, დიდი ხანი არც კი გასულა ვახტანგ გორგასალის შემდეგ, რომ ჰერეთში საეკლესიო ბრძოლები დაიწყო.

ისევ საეკლესიო ბრძოლები!

ეს ბრძოლები განსაკუთრებით გამწვავდა მეშვიდე საუკუნიდან და ლამის სამი საუკუნე გაგრძელდა, მეტნაკლები სიმწვავით. ეს იყო ძველი ბრძოლის გაგრძელება სომხურ-ქართულ ეკლესიებს შორის და ჩვენ აქ იმიტომ ვახსენებთ, რომ იგი ხშირად რელიგიურ სფეროს სცილდებოდა და ეროვნულ-პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა.

ბრძოლა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, თითქმის სამ საუკუნეს გაგრძელდა, ზოგჯერ ისე გამძვინვარდებოდა, რომ მოწინააღმდეგეები არაფერს ერიდებოდნენ — არც დაქრთამვას, არც სისხლისღვრასა და თვით უმაღლეს სამღვდლო პირთა წამებას. საინტერესო ცნობას გვაწვდის არსენ კათალიკოსი საფარელი. ჩვენ ვიცნობთ ამ არსენს — გრიგოლ ხანძთელის აღზრდილს.

არსენ კათალიკოსი ასეთ ამბავს აგვიწერს. მეშვიდე საუკუნის დასაწყისში კათალიკოს აბრამის შემდეგ სომეხთა საკათალიკოსო ტახტზე კომიტოსი ადის. თავისი წინაპრისგან განსხვავებით, რომელიც ქალკედონიტთა სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და აშკარა გააფთრებით გამოდიოდა დიოფიზიტების წინააღმდეგ, კომიტოსმა ბრძოლის სხვა ხერხს მიმართა. ეს კათალიკოსი დიდი სიმდიდრის პატრონი ყოფილა — „რომელი იყო მდიდარ და მოხარკე სამოსელთა და სახედართა ზედა, რომელიცა თუალთაგან პატიოსანთა ბივრილთა შეამკობდა თავსა კუერთხისასა“. როგორც ითქვა, ამ მდიდარმა კათალიკოსმა გადაწყვიტა აშკარა ბრძოლაზე ხელი აეღო (ეტყობა, ამ ბრძოლამ სასურველი შედეგი არ მისცა) და სხვა გზას დასდგომოდა: ჰერეთის მაშინდელი კათალიკოსის დაქრთამვა მოუნდომებია.

და შეუსრულებია კიდეც თავისი განზრახვა.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ანდაზა ამბობს. ახლა სამოთხეშიაც შეუღწევია, რადგან, უნდა ვიფიქროთ, ასეთ მაღალ სამღვდლო პირებს თავი სამოთხეში ეგულებოდათ. ამ კომიტოსმაო, არსენ საფარელი განაგრძობს, „უფროის ყოველთასა შესძინა ცილობასა ქალკიდონისასა (ესე იგი, ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწევია, მეტი ვნება მიუყენებია ასეთი გზით მოწინააღმდეგისთვის), და მისცა

შვიდი საეპისკოპოსო ხელთა ქუეშე ჰერთა კათალიკოზისასა და შეიერთა იგი და შეჩუენებად სცა კრება ქალკიდონისაი".

როგორც ვნახეთ, დაუქრთამავს, მოუსყიდია.

არსებობს ცნობა იმის შესახებაც, რომ სხვა ვითარებაში მაღალი სამღვდლო პირის საჯარო წამებასაც არ ერიდებიან: ჯაჭვით დააბამენ კათალიკოსს და ისე გვემენ.

ასეთი სიმწვავით ხასიათდება ე.წ. საეკლესიო-რელიგიური ბრძოლები, რომელთაც ყოველთვის სულ სხვა პოლიტიკური სარჩული აქვთ ხოლმე. პირველ წიგნში ჩვენ ვნახეთ, რა სისხლის ნიაღვრები დააყენა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ თავისი ღმერთის სახელით.

ახლაც ასე ხდებოდა. როგორც ვნახეთ, მოწინააღმდეგენი არაფერს ერიდებოდნენ, არავითარ ღონისძიებას არ თაკილობდნენ. ბრძოლის სიმწვავეს აქაც იგივე მიზეზები განაპირობებდა: სარწმუნოებრივი უთანხმოების მიღმა აქაც ეროვნულ-პოლიტიკური დაპირისპირება იმალებოდა.

მასალების მეტისმეტი სიმწირის გამო ძნელი ხდება აღადგინო იმ სამთავროების მმართველთა ურთიერთობანი, მოღვაწეობა, საქმიანობა, ის სიკეთე თუ ვნება, რაც ხალხისა და ქვეყნისთვის მოუტანიათ... თუნდაც ის კონკრეტული ბრძოლები თუ სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რაც მათ სახელთან არის დაკავშირებული... ძველი ორიგინალური თუ უცხო წყაროების შეჯერება-შედარებისა და ანალიზის წყალობით უფრო ადვილად მოხერხდა ამ მთავართა ზეობის თანმიმდევრობისა და თარიღების დადგენა: ჩვენს მეცნიერებს სასურველი სიზუსტით მოუხერხებიათ ამ თარიღების დადგენა და ახლა, ისტორიის სახელმძღვანელოებისა და სპეციალური გამოკვლევების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია სქემა მოვხაზოთ, სია შევადგინოთ ამ სამთავროების მმართველთა ზეობისა...

საკმაოდ გრძელი გამოვიდა ეს სიები და აქ არ მოვიტანეთ. ამჟამად ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის, განსაკუთრებულს არაფერს გვეტყვის, არაფერზე მიგვანიშნებს. ზოგიერთი მთავრის ზეობას, რომელთა სახელს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები უკავშირდება, თანდათანობით მოვიხსენიებთ, თავ-თავის ადგილას.

მაგალითად, საუკუნოვანი ბრძოლების შემდეგ ჰერეთში ანტიქალკედონიტებზე ქალკედონიტების საბოლოო გამარჯვება მოხდა ჰერეთის მთავრის იშხანიკისა და მისი დედის დინარ დედოფლის

დროს... დინარი ადრე დაქვრივებულა და ქმრის — ადარნასე პატრიკის — გარდაცვალების შემდეგ იგი კარგა ხანს თავის შვილთან, იშხანიკთან ერთად მართავდა პერეთს... ენერგიული და ჭკვიანი ქალი ჩანს. ასე მოიხსენიებენ მას ისტორიული წყაროები.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ შევნიშნოთ, რომ დინარ დედოფალი კლარჯელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნის... აშოტ დიდის შთამომავალია...

აშოტისაო, ვამბობთ, რადგან ეს დინასტია აშოტისგან იწყება.

ასე წერენ. ასეა მიღებული. თუმცა ალბათ ამასაც განმარტება სჭირდება.

აშოტს ჩვენ უკვე ვიცნობთ. ზემოთ ვიხილეთ იგი, არაბთაგან დამარცხებული და თავისი სამთავროდან ლტოლვილი...

როგორც ვნახეთ, გეზი ბიზანტიისკენ აუღია და ცოლ-შვილთან ერთად მიემგზავრება.

კარგა გრძელი გზა — ქართლიდან ფარავნის ტბამდე — სწრაფად უვლია, მტრისგან დევნილს, და ახლა, როცა გადაწყვიტა, სამშვიდობოს გამოვედი, მტერი აქ ვეღარ მომწვდებაო, დაღლილი და გატანჯული ვაჟკაცი თავის კარავში განმარტოვდა, მძიმე ფიქრს მიეცა...

თავი II

დასაწყისი ბაგრატიონების დინასტიისა

ტაო-კლარჯეთი ✦ აშოტ დიდი კურაპალატი ✦ ლაშქრობანი „ქართლსა ზედა“ ✦ აშოტ კურაპალატი ამირა საპაკი და გარეშწარი დიაკონი. ერთი სევდიანი ეპიზოდი აშოტის ცხოვრებიდან ✦ აშოტ კურაპალატს ღალატით მოკლავენ

ოპიზის ტაძრის ბარელიეფს შემოუნახავს აშოტ დიდის გამოსახულება და ჩვენ საშუალება გვაქვს ამ შესანიშნავი ვაჟკაცის გარეგნობაც ვიხილოთ — თვალი შევავლოთ მის ფართო მხარბეჭს, გრძელ ხელებს, რომელთაც ოპიზისავე ტაძრის მოდელი უპყრიათ, შუბლზე გადმომჯდარ ხშირ, სწორად ჩამოვარცხნილ თმას, ზომიერად ჩამოშვებულ ასევე ხშირ წვერს, ალალი და დიდსულოვანი ადამიანის სქელ ტუჩებს, ზრუნვით დაღარულ შუბლს და ფართოდ გაღებულ დიდრონ თვალებს...

ეს თვალები მტკიცე ნებისყოფის ადამიანის ლმობიერებასაც ასხივებს, სიბრძნესაც, სათნოებასაც, სიკეთესაც, ამქვეყნიური ვნებებით ტკბობის ჟინსაც, თითქოს რაღაც გაფრთხილებასაც შთამომაელების მიმართ, რომელთაც ისინი საუკუნეების სიღრმიდან გამოსცქერიან, და, — იქნებ მხოლოდ იმათთვის, ვინც უკვე იცის ამ კაცის ცხოვრების ზოგი დეტალი, — საყვედურსაც... გაკვირვების გრძნობასთან უცნაურად შერწყმულ საყვედურსაც (ამ ბარელიეფის ფოტო შეტანილია „ქრონიკების“ პირველ წიგნში).

ამ ბარელიეფს, — და მთელ ტაძარსაც, — მეცხრე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლო წლებით ათარიღებენ.

თუ აშოტის გარდაცვალების თარიღის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს ვირწმუნებთ, ამის შემდეგ დიდხანს აღარც კი უცოცხლია ბარელიეფზე გამოსახულ ადამიანს...

ყურადღებას იპყრობს ის, რომ მარტო საკუთარი თავის გამოსახვას არ დასჯერებია ქართველთა მეფე — უცნაური მეზობლობა მოუსურვებია: კიდევ ორ გამოსახულებას ეხედავთ მისივე დაკვეთით ამოჭრილ ბარელიეფზე.

და საყურადღებოც სწორედ ის არის, თუ ვისთან გადაუწყვეტია მეზობლობა ქართველ გვირგვინოსანს!.. იესო ქრისტესთან და ბიბლიის პერსონაჟ დავით მეფესთან!..

როგორც მოსალოდნელია, თავზე შარაეანდდადგმული ქრისტე შუაში ზის, ტახტზე, აშოტი და დავით წინასწარმეტყველი აქეთ-იქით დგანან. ქრისტეს მარცხენა ხელში სახარება უჭირავს, მარჯვენა ხელი კი აშოტისკენ გადმოუწევია და ოპიზის საყდრის მოდელზე უდევს: ალბათ იმის ნიშნად, რომ მაცხოვარი უწონებს ქართველ მეფეს ამ ქველმოქმედებას და თან აკურთხებს კიდეც დიდებულ ტაძარს.

რას უნდა მივაწეროთ ასეთი უცნაური მეზობლობა?

აშოტის მეტისმეტ ამბიციას?

რაკი ბიბლიის ლეგენდარულ პერსონაჟსა და თვით მაცხოვარს დაუმეზობლდა, ამით იქნებ საკუთარი თავის კიდევ უფრო განდიდება მოუნდა ქართველ მეფეს და ის კი დაივიწყა, რომ, რაგინდ ძლევამოსილად წარმოიდგინოს თავი, მაინც მოკვდავია, განკითხვის დღეს ისიც თავისივე ქვეშევრდომებთან ერთად უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე!..

თუ მის განსაკუთრებულ ღვთისმოსაობას უნდა მივაწეროთ?!

იქნებ მოახლოებული სიკვდილის ცელის შრიალმა დააშინა და გადააწყვეტინა, თავისი ღვთისმოსაობა საქვეყნოდ და საშვილიშვილოდ აღებეჭდა — საკუთარი ქვეშევრდომებისთვისაც ეჩვენებინა ეს და ზეცის ბინადართათვისაც შეეხსენებინა?!

ქვეყნის გვირგვინოსნისთვის არც ერთი გრძნობაა უცხო და არც მეორე. დიდი ამბიციით აგზნებული მეფეც ბევრი იცის ისტორიამ და მოახლოებული სიკვდილის შიშით ღვთისმოსავად ქცეულიც... გასაკვირი სულაც არ არის, აშოტ კურაპალატიც მოეცვა ამ მიწიერ გრძნობებს, მით უმეტეს, რომ მას ღვთის შიში და რიდი მუდამ ჰქონდა.

მაგრამ ასეც რომ წარვმართოთ ჩვენი ფიქრი და ვარაუდი, ქართველი მეფის ჩანაფიქრს მაინც ვერ ამოვიცნობთ, ბარელიეფზე გამოსახულ უცნაურ მეზობლობას მაინც ვერ ავხსნით. მაცხოვრის შიში და სიყვარული, ვთქვათ, გასაგებია, მაგრამ ბიბლიის ლეგენდარული მეფე? ეს რაღას მიგვანიშნებს? მისი მეზობლობა რაღად დასჭირდა ჩვენს მეფეს?

სწორედ ბიბლიის ლეგენდარული მეფე დაეხმარა მეცნიერებს ამ ბარელიეფის ქარაგმის ამოხსნაში...

არსებობს ძველი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან, იერუსალიმიდან ოდესღაც წამოსულები და საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრებულები... და როგორც მეათე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, ქართველ ბაგრატიონებს თავი მოჰქონდათ ამ შორეული ნათესაობით!

თავი მოჰქონდათ იმიტომ, რომ ჯერ ერთი დავითი ღვთაების მიერ იყო მეფედ დადგენილი და ცხებული! რაღა გასაკვირია, რომ ესახელებოდათ თვით ღმერთის მიერ ნაკურთხი მეფის შთამომავლობა. საამაყოდ მარტო ესეც ეყოფოდათ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

ამ ნათესაობიდან სხვა რამეა უფრო საამაყო და თავმოსაწონი.

საქმე ის არის, რომ დავითისავე ნათესავი ყოფილა იესო ქრისტეც! ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მეუღლე იოსები დავით წინასწარმეტყველის შორეული შთამომავალი იყო... რაკი ბაგრატიონები იმ ლეგენდარული მეფე დავითის ნათესავები ყოფილან და იმავე დავითის შთამომავალია იესო ქრისტე, გამოდის, რომ ქართველი გვირგვინოსნები თვით მაცხოვარსაც ნათესავად მოხვდებიან!

ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავები ყოფილან!..

ამაზე საამაყო სხვა რა უნდა ყოფილიყო? და ამაყობდნენ კიდეც ქართველი ბაგრატიონები.

ეტყობა, ისე საქვეყნოდ და ისეთი რიხით ამაყობდნენ, რომ უცხოელ ისტორიკოსსაც ყურადღება მიუქცევია და საგანგებოდ აღნიშნავს თავის ცნობილ თხზულებაში (მხედველობაში მაქვს ბიზანტიის იმპერატორისა და მწიგნობარის კონსტანტინე პორფიროგენეტის De administrando imperio). ამიტომაც არის, რომ ბაგრატიონების სამეფო გერბზე ქრისტეს კვართი და ებრაელთა ლეგენდარული მეფის დავითის ქნარი და შურდულია გამოსახული (ამ შურდულით მოკლა დავითმა გოლიათი). ბაგრატიონების გერბზე გამოსახულია აგრეთვე ხმალი, სასწორი და სამეფო გვირგვინი, „დანდობილი ორ ლომზე". ზედვე აწერდნენ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდარსა შინა".

აი, რატომ ვხედავთ ოპიზის ტაძრის ბარელიეფზე აშოტ ბაგრატიონს, იესო ქრისტესა და დავით წინასწარმეტყველთან ერთად! არა

სენტიმენტალური გრძნობებით აშლილმა ფანტაზიამ გადააწყვეტინა ქართველთა მეფეს ასეთი უცნაურად დაკავშირებული კრებულის გამოკვეთა ქვაში, არამედ კონკრეტულმა, ძალიან საღმარეალისტურმა მიზნებმა.

ქართველი მეფე საჯაროდ აცხადებს, რომ იგი ქრისტეს ნათესავია, ქრისტეს კურთხევითა და ნებასურვილით არის ქვეყნის ბატონ-პატრონი, და ტყუილუბრალოდ თავს ნურავინ შეიწუხებს, ნურავინ შეეცილება მას ამაში!.. ნურც თეისტომი ფეოდალები და ნურც სხვა ქვეყნების გვირგვინოსნები!..

ასეთი განცხადება უსათუოდ საჭირო იყო მაშინ — უკვე მიმდინარე, და, განსაკუთრებით, მოსალოდნელი დიდი ბრძოლების დროს მთლიანი საქართველოს სამეფო პეგემონობისთვის: თუკი ქრისტესთან ნათესაობის ამ ვერსიას კარგად დაამკვიდრებდა საკუთარი და მეზობელი ხალხების შეგნებაში ახალი სამეფო გვარი, მაშინ მათი დინასტია დღეგრძელი და სვებედნიერი აღმოჩნდებოდა. მიტომაც ასე თავგამოდებით იღვწოდნენ მის გასავრცელებლად.

ამის შემდეგ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ ზემოთ მოყვანილი თქმულება სწორედ იმ ხანებში, ესე იგი აშოტის ზეობის დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო და გავრცელებულიყო.

აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ასეთი „გამომგონებლობით" მარტო ბაგრატიონთა სამეფო სახლი ვერ დაიკვეხნის: მრავალი სამეფო სახლი ჩვენი მეზობელი და ჩვენგან ძალიან დაშორებული ქვეყნებისა ასევე თავგამოდებით ცდილობდა ღვთაების შთამომავლებად და ახლობლად დაესახა თავი და ამით ძალა და ავტორიტეტი გაემაგრებინა როგორც საკუთარი ქვეშევრდომების, ისე გარე ქვეყნების თვალში.

ასეთია მარჯვედ გამოგონილი და ჩამოყალიბებული თქმულება ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ.

სინამდვილეში?

სინამდვილეში როგორია საქმის ვითარება?

ცნობილია, რომ ბაგრატიონების უძველესი სამყოფელი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობდა, ისტორიაში კარგად ცნობილ სპერის რაიონში, ანუ დაახლოებით იმ მიდამოებში, სადაც ამჟამად თურქეთის ქალაქი ისპირი მდებარეობს.

ეს ტერიტორია უშუალოდ ეკეროდა ბიზანტიის სახელმწიფოს, და დამპყრობელი ქვეყნის ფსიქოლოგიას თუ გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თვალი მუდამ მასზე ეჭირათ მეზობელი და „მეგობარი" ქვეყნის იმპერატორებს...

ზოგჯერ, ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე წლებში, დასძრაედა ხოლმე თავის ჯარს მეზობელი და ამ მოზრდილ ტერიტორიას საქართველოს „ჩამოაჭრიდა“, საზღვარს გაასწორებდა და „შეალამაზებდა“. და იმიტომაც ვკითხულობთ ჩვენს მატიანეში ასეთ სიტყვებს: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: ს პ ე რ ი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი“...

კ უ ა ლ ა დ წარიღოო, შეგვახსენებს მემატიანე! ხშირად წამოუელიდა ხოლმე მეზობელს ასეთი ენინი. საბაბს რა გამოლეედა: დამპყრობლის ლოგიკა, — როგორც ზემოთ მრავალჯერ ვნახეთ და ქვემოთაც ხშირად მოგველის ნახვა, — ძალიან მარტივი და უცნაურია...

ზემოთ მოტანილი სიტყვები, კერძოდ, განეკუთვნება თავისი სისასტიკით ცნობილ ჰერაკლეს იმპერატორობის წლებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მაშინ ბიზანტიის იმპერატორმა ხაზარებთან შეკრა სამხედრო კავშირი, დიდი ბრძოლებისა და ქართველთა შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ თბილისი აიღო და დაანგრია, ეკლესიებში რელიგიური ბრძოლების მოტივით სისხლის რუები დააყენა, ქვეყანა გაძარცვა, თან გაიყოლა („წარიხუნა“) „მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი“ და, ის იყო, უკან გაბრუნებულმა სპერიცა და კლარჯეთის ბოლოც „წარიღო“... [1]

ერთი სიტყვით, ბაგრატიონები სპერის მკვიდრნი იყვნენ, წარმოშობით ქართველები. ისინი უხსოვარი დროიდანვე მთავრები ყოფილან ამ მხარისა. ხან უფრო ფართოდ გაიჭიმებოდა აღმოსავლეთისკენ მათი სამთავროს საზღვრები, ხან შეეიწროვდებოდა, საგარეო და საშინაო მდგომარეობისდა შესაბამისად. ასე რომ, ბაგრატიონთა სამფლობელო ძველთაგანვე ყოფილა მთელი სამხრეთი ჩვენი ქვეყნისა — კლარჯეთი, ჯავახეთი, სამცხე...

ამ დინასტიის დასასრულის ზუსტი თარიღის დადგენა უფრო ადვილია, მისი დასაწყისის განსაზღვრაა ძნელი.

როცა ვამბობთ, აშოტ კურაპალატია ამ დინასტიის დამწყებიო, ეს განსაზღვრა პირობითია. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ბაგრა-

---

1. ეს „ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი“ (ლურსმნები, რითაც ქრისტე ძელს მიაჭედეს), გადმოცემით პირველმა ქართველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა სთხოვა კონსტანტინე იმპერატორს და იმანაც გამოგზავნა. შემდეგი დროის ბიზანტიელმა იმპერატორმა კი, როგორც ეხედავთ, ვაჟკაცური დიდსულოვნება ვერ გამოიჩინა და უკანვე წაიღო თავისიანი წინაპრის ნაბოძები.

ტიონების დინასტია უფრო შორიდან იწყება. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით, ბაგრატიონების დინასტია იწყება მეექვსე საუკუნის მიწურულიდან, გვარამ კურაპალატის დროიდან.

ჩვენს მკითხველს ახსოვს ალბათ ეს გვარამი, რომელიც მეექვსე საუკუნის მიწურულში მართავდა ქვეყანას და რომლის სახელთანაც დაკავშირებულია თბილისში სიონის ტაძრის მშენებლობის დაწყება, მცხეთის ჯვრის დიდებული ტაძრის აშენება, მრავალი ციხე-სიმაგრის მშენებლობა... სწორედ ამ გვარამის შვილი იყო სტეფანოზი, მამისგან განსხვავებით, დიდი ურწმუნო და გოროზი ერის მთავარი, რომელმაც „მეფობის სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან“...

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით, სწორედ ამ გვარამით იწყება ბაგრატიონთა დინასტია. დიდი ხნის უმეფობის შემდეგ ქართლის ერისთავებმა საბერძნეთის იმპერატორს მიმართეს თხოვნით — მეფე შეგვირჩიეო, და იმპერატორმაც ეს გვარამი გამოუგზავნა.

გავიხსენოთ მემატიანის სიტყვები: „ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი“...

როგორც ვხედავთ, ორი დიდი სამეფოს დინასტიის სისხლი ჰქონია გვარამს. ამდენად, იგი ხოსროიანთა ბოლო და ბაგრატიონთა პირველი წარმომადგენელია.

აქვე გავიხსენოთ ვასილ ბარნოვის სიტყვები. ქართველი მწერალი გონებამახვილურად შენიშნავს: ბიზანტიელებმა სწორედ ხოსროიანების დასაპირისპირებლად დაიახლოვეს და დააწინაურეს ბაგრატიონები, რადგან ხოსროიანები ტრადიციულად სპარსეთისკენ იხრებოდნენ, ბაგრატიონები კი მათი ერთგულები იყვნენო.

თვალი გავადევნოთ გვარამის მემკვიდრეობას დედის მხრით. გვარამი ვახტან გორგასალის შვილიშვილი ყოფილა (გავიხსენოთ, რომ ვახტანგი ხოსროიანი იყო). ვახტან გორგასალს ხომ ბერძენი ცოლისგან ვაჟიც ჰყავდა და ქალიც, რომელთაც მერე სამხრეთ საქართველოს განსაზღვრული ნაწილი მიებოძათ. ვახტანგ გორგასალის ქალი ბერძენი ცოლისაგან, ანუ მირდატის დაი შეურთავს სპერის მთავარს ბაგრატიონს. მათ ეყოლათ შვილი გვარამი (აი, საიდან არის იგი დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი), რომელსაც ბიზანტიის კეისარმა კურაპალატობა უბოძა და ქართლის მმართველად გამოგზავნა ქართლისავე ერისთავების თხოვნით.

მაგრამ იმ დიდი არეულობის დროს, როცა სპარსელებმა

საქართველოში მეფობა გააუქმეს, გვარამ კურაპალატმა, ეტყობა, მეფის სახელი ვერ დაიმკვიდრა (გავიხსენოთ, რას გადმოგვცემს მემატიანე გვარამის მემკვიდრე სტეფანოზზე: მეფობის სახელი ვერ იკადრა (ვერ გაბედა) სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან...) და რაკი მეფობა ვერ დაიმკვიდრა, ხოლო სამეფო დინასტიის დასაწყისი სწორედ მეფისგან იწყება, ტრადიციულად ბაგრატიონთა დინასტიის პირველ წარმომადგენლად გვარამს კი არ მიიჩნევენ, არამედ აშოტ დიდს, რომელიც წყაროების მიხედვით, ქართლში ხანგრძლივი უმეფობის შემდეგ პირველ ქართველ მეფედ გვეველინება. ფაქტიური მდგომარეობით კი ბაგრატიონების დინასტია სწორედ გვარამიდან — ანუ 575 წლიდან მომდინარეობს.

აი, როგორ შეგვიძლია მიახლოებით მოვხაზოთ მემკვიდრეობითი სქემა ქართლის პირველი ბაგრატიონი მმართველიდან დაწყებული აშოტამდე: გვარამი — სტეფანოზი — ადარნასე — სტეფანოზი — გვარამი — ვარაზ-ბაკური — ნერსე — (ჩვენი ნაცნობი ნერსე დიდი!) – სტეფანოზი — ადარნასე (ძმა სტეფანოზისა) — აშოტი (ძე ადარნასესი)...

როცა ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, ადარნასე თავის სამშობლოში გაემგზავრაო, უკვე გასაგებია: იგი ბაგრატიონი იყო და გარკვეული და გასაგები მიზეზების გამო (რისი ვარაუდიც ძალიან ადვილია) თავის მამაპაპისეულ სამყოფელში — სამხრეთ საქართველოში — წავიდა.

და ახლა ჩვენ მის შვილსაც ვხედავთ იქითკენ მიმავალს — აშოტ კურაპალატს ანუ აშოტ დიდს, აშოტ ბაგრატიონს!

●

„ქართლის ცხოვრებაში“ ძალიან შეკუმშულად არის გადმოცემული ისტორიული ფაქტები, ქარაგმები, ქვეტექსტები, ბევრი ნაგულისხმევი რამ, რაც პირდაპირ არ არის ნათქვამი, ჩვენ თვითონ უნდა გავხსნათ, რა თქმა უნდა, სხვა დამატებითი უცხოური თუ ორიგინალური წყაროების მოშველიებით. ის პერიოდი კი, რაც უშუალოდ აშოტის მეფობას უძღვის წინ, არა მარტო შეკუმშული, არამედ დაკარგულიც კი უნდა იყოს (ეს ზემოთაც ითქვა). ალბათ ამითვე აიხსნება, რომ ნერსე ერისთავზე სხვა მოვლენებთან დაკავშირებულ გარკვეულ ცნობებს იმდროინდელი ბელეტრისტული ძეგლები გვაწვდის, საისტორიო წყაროებში კი დუმილია...

ამითვე უნდა აიხსნას, რომ ქართლის ერისმთავრის აშოტის სამხრეთ საქართველოში გამგზავრების ამბავი ბუნდოვანია და უსათუოდ გაშიფვრას მოითხოვს.

სწორედ ამ ბუნდოვანების გამო ზოგიერთ საისტორიო გამოკვლევასა და ბელეტრისტულ ნაწარმოებში გატარებულია აზრი, რომ ქართლის ერისმთავარ აშოტს დიდხანს სდევნიდნენ და ავიწროებდნენ არაბები (ეს სავსებით დასაჯერებელია!), ბოლო ბრძოლაში იგი სასტიკად დაამარცხეს და აშოტმა გაქცევით უშველა თავს, თან წაიყვანა ცოლ-შვილი და უცხოეთში გადაიხვეწა! საბერძნეთში გაემგზავრა!

ესე იგი, აშოტის წასვლა ტაო-კლარჯეთში შემთხვევით მოხდა, გაუთვალისწინებლად, სტიქიურად... აშოტს რომ იმ ბოლო დამარცხების სიმწარე არ ეგემნა, იქნებ არც გადაეწყვიტა წასვლა, თბილისშივე დარჩენილიყო და ისეთივე დაძაბული და რთული ურთიერთობა ჰქონოდა არაბ მმართველებთან, როგორიც მის წინაპრებს ჰქონდათ...

ეს ურთიერთობა ჩვენთვის ადვილი წარმოსადგენი და აღსადგენია.

ხოლო შემდეგ ასეთივე მოულოდნელი გამარჯვება რომ არა რგებოდა სადღაც ფარავნის მიდამოებში, იქნებ საბოლოოდ გულგატეხილს, სულაც მიეტოვებინა სამშობლო და თავისი ოჯახით ბიზანტიის იმპერატორის კარს შეფარებოდა: ჯერ თვითონ ჩამდგარიყო იმპერატორის სამხედრო სამსახურში და მერე მისი ვაჟები გადაგვარებულიყვნენ, საკუთარი ხალხისა და ქვეყნისთვის დასაზოგი ჭკუა და ენერგია სხვისთვის მოეხმარებინათ. ასეთი ფაქტები ჩვენ ხომ აშოტის წინადროინდელი პერიოდებიდანაც ვიცით, როცა შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცები გამოჩენილ ბერძენ მხედართმთავრებად და მეომრებად გვევლინებიან (სწორედ ასე ვკითხულობთ ერთ ბელეტრისტულ ნაწარმოებში, რომელიც იმ პერიოდის ამბებს გადმოგვცემს. აქ აშოტის სიტყვებია გადმოცემული, ასე ალაპარაკებს მწერალი: იმდენი სიმდიდრე კიდევ დარჩა ჩემს ოჯახს, რომ საცხოვრებლად გვეყოს, ეს სიმდიდრე თან წამოვიღეთ, გადავალ ბიზანტიაში და უშიშრად დავაბინავებ ცოლ-შვილს. მეც იქ დავრჩები — ჩემი სამსახური და ღვაწლი კარგად ახსოვს იმპერატორსო)...

აი, ის ადგილიც სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, რომელიც ასეთი ვარაუდების საფუძველს იძლევა: „მაშინ გაძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო

წინააღდგომად მათდა აშოტ და იელტოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა პყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩვილნი... და ერი თვისი მცირედ პყვა თანა... დედაწულითურთ და შვილითურთ. მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან, და გარდაპხდეს განსუენებად კიდესა მის ტბისასა. ჭამეს რა პური, და მცირედ მიერულა. და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევა მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი. წარმოვიდეს მუნით და მოიწივნეს ხევსა შავშეთისასა".

ცოცხლად დაუხატავს ქრონიკის ავტორს ლტოლვილი ხალხი! არაბებისგან დევნილი მეფის ოჯახი და მცირე ამალა!..

ოღონდ ამ ცნობებთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი იწვევს გაკვირვებას: მეფის დევნილმა, დამაშვრალ-გაწამებულმა მცირერიცხოვანმა ამალამ როგორა სძლია წინა გამარჯვებებით ფრთაშესხმულსა და გაამაყებულ დიდ ლაშქარს მტრისას?!. ისიც გავითვალიწინოთ, რომ ლტოლვილთა ჯგუფში იყვნენ ჩვილი ბავშვებიც, მოხუცებიც, ქალებიც... ესენი ხომ ხელისშემშლელები იქნებოდნენ ბრძოლის დროს?!

და მაინც გაიმარჯვეს!

„მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი!.."

როგორ? რანაირად?

ქართველ მეომრებს ხშირად მოუხდენიათ სასწაული, ხშირად უძლეეიათ რიცხვით მათზე ბევრჯერ აღმატებული მტრის ლაშქარი...

და ამას უკვე მიჩვეული ვართ, ჩვენს ისტორიას რომ ვფურცლავთ...

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ძნელი დასაჯერებელია ერთი მუჭა მეომრებისგან, რა გააფთრებითაც უნდა იბრძოდნენ ისინი, კალიასავით მოვარდნილი ურიცხვი ჯარის დამარცხება.

ცოტა სხვანირად ხომ არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმე?

ქართლის ერისმთავარმა აშოტმა ხომ არ გაიტყუა მტრის დიდი ლაშქარი და ჯავახეთის მთებში, მარჯვე ადგილას ქართველთა წინასწარ ჩასაფრებული მხედრობა ხომ არ დაახვედრა?! ერთი სიტყვით, ეს გადამწყვეტი ბრძოლა ქართველთათვის კი არა, არაბთათვის ხომ არ ყოფილა მოულოდნელი?!

მაგრამ ეს გადაკვრითაც არ არის ნახსენები ძველ წყაროებში და ჩვენც მეტისმეტი სიფრთხილით ვვარაუდობთ.

უფრო თამამად სხვა რამე შეგვიძლია ვიუარაუდოთ.

ქართლის ერისმთავრის რეზიდენციის გადატანა ტაო-კლარჯეთში წინასწარ საგულდაგულოდ მოფიქრებული აქტია და იმ დიდი გეგმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

დიდი საერისმთავროს რეზიდენციის გადატანას წინ უსწრებდა აშოტის მამის — ადარნასეს — გადასახლება სამხრეთში და იქ ნიადაგის მოშზადება ახალი დიდი სამთავროს ჩამოსაყალიბებლად. როგორც უკვე მინიშნებით ითქვა, ამავე დიდ საქმეს ემსახურებოდა, ამ დიდი საქმის პრელუდიასავით იყო გახურებული სამონასტრო მშენებლობა არაბთა წინა დიდი და ულმობელი ლაშქრობისა და საშინელი სენისგან გაქერანებულ მხარეში...

ამრიგად, ყველაფრით აშკარად ჩანს, რომ აშოტ დიდის — ანუ ქართლის სამთავროს — გადასელა სამხრეთ საქართველოში წინასწარ კარგად მოფიქრებული, ყოველნაირად აწონ-დაწონილი, უდიდესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გეგმის ერთ-ერთი საფეხურია.

თბილისიდან არტანუჯში ჩასული აშოტი გაციებულ კერაზე არ მისულა. მას იქ თბილი კერა დახვდა.

რაღა თქმა უნდა, აშოტის ჩასვლის შემდეგ კიდევ უფრო ჩქარი ტემპით გაიშალა ახალი სამთავროს, კერძოდ ამ სამთავროს ცენტრის — არტანუჯის მშენებლობა.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართლის ერისმთავარი პირდაპირ თავისი დიდი წინაპრის — ვახტანგ გორგასალის მიერ აშენებულ ციხეში მივიდა. სუმბატ დავითის ძე შეგვახსენებს: „იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“...

იბერიის ახალ დედაქალაქად არტანუჯის შერჩევა შემთხვევით არ მომხდარაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ეს ციხე-ქალაქი ძალიან მოხერხებულ ადგილას გააშენა თავის დროზე ვახტანგ გორგასალმა. უკვე ითქვა და ახლა შეგახსენებთ: ბიზანტიაში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ გორგასალმა დაიბრუნა წინათ მიტაცებული მიწა-წყალი: „...საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა“.

და როცა კვლავ შემოერთებული ტერიტორია დაიარა ვახტანგმა ციხე-სიმაგრისთვის მარჯვე ადგილის შესარჩევად, მისი მახვილი

და შორსმჭვრეტელი თვალი იმ ადგილზე შეჩერდა, სადაც შემდეგ არტანუჯის ციხე-სიმაგრე აშენდა. ძუძუმტე არტავაზი ამ მხარის ერისთავად დაადგინა და უბრძანა დიდი ციხე-სიმაგრე აეგო. თან მომავალი ციხე-სიმაგრის დანიშნულებაც კონკრეტულად ჩამოაყალიბა:

„უკეთუ განძლიერდნენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“.

ხედავთ, დიდი მამულიშვილის სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას! რამდენი ხნის შემდეგ გამოადგა ეს მის შორეულ მემკვიდრეს!..

მაგრამ გორგასალის ღვაწლი, თუნდაც ამ კონკრეტულ საქმეში, ცალმხრივი იქნებოდა, მარტო ციხე-სიმაგრით რომ დაკმაყოფილებულიყო. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ საქართველოს მეორე სასაზღვრო მხარეში ციხე-სიმაგრეებთან ერთად, და უფრო დიდი მასშტაბითაც, ვახტანგ გორგასალმა მონასტრები ააგო — კულტურის კერები შექმნა. აქაც არტავაზს მარტო ციხე-სიმაგრის აშენება კი არ უბრძანა — მონასტრის აგებაც დაავალა, „ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“.

და, მართლაც, აქ მას შემდეგ ქართული კულტურა აყვავდა და გაიფურჩქნა.

მერე, როგორც ვიცით, მურვან ყრუს გამანადგურებელმა ლაშქრობამ ყველაფერი მოსპო. და ახლა, აგერ, ისევ აღორძინდა. პირველ რიგში აღორძინდა სამეფო ქალაქი არტანუჯი...[1]

●

ქალაქს თითქმის ოთხივე მხრივ მთები ერტყა და ეს ბუნებრივი ზღუდე მის დაცვასაც აადვილებდა. „და მზღვრის არტანუჯს: აღმოსავლით მთანი ყალნუ-ქვაყრილისა და გარდავლენან გზანი მათ ზედა კოლა-არტანს; სამხრით ფანასკერტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყალნუს მთიდამ დასავლეთად, ვიდრე ჭოროხამდე; დასავლით მთა მცირე არტანუჯსა და ჭოროხს შორისი, და თვით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოთ კლდე შავშეთსა და არტანუჯს შო-

1. აი, როგორა ხსნის „არტანუჯის“ ეტიმოლოგიას აკადემიკოსი აკაკი შანიძე: „არტანუჯი“ — არტაანიშეუჯიდან წარმოდგებაო, ვარაუდობს მეცნიერი. „არტაანიშეუჯი“ ჭანური გამოთქმაა და არტანის ყურს ნიშნავსო. ეს ტერიტორია ხომ ისტორიულად ჭანებისა იყო.

რისი“... ასე აგვიწერს არტანუჯის საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილი.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქს დიდი მთის მდინარე ჩამოუდიოდა და ამ მდინარეს შიგ ქალაქშიაც და გარეუბნებშიაც მთის მომცრო ნაკადულები ერთვოდა, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა ლამაზი მდებარეობა ჰქონია ახალი სამთაეროს დედაქალაქს. ვახუშტის აღწერიდან ისიც ჩანს, რომ არტანუჯი თითქმის მთელი საქართველოს გულშია მოქცეული.

ვახუშტი განსაკუთრებით აღნიშნავს ამ ლამაზი ქალაქის ჰაეის სიჯანსაღეს: „ჰაეით მშვენი, კეთილი, ზამთარ თბილი და დიდთოვლიანი, ზაფხული არა ეგოდენ ცხელი.... ტყიანი ფრიად და მცირეველოვანი“.... უხვხილიანიც ყოფილა ქალაქის გარეუბნები: „...ვენახიანი, ხილიანი... მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათა ადგილებთა“... ამასთან: „პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი“... თუმცა ეს ისედაც იგულისხმება, რაკი „ფრიად ტყიანი“ და უხვმდინარიანი ყოფილა.

ზემოთ რომ ქალაქში გამავალი დიდი მდინარის შენაკადები ვახსენეთ, ამ პატარა მდინარეებზე დაბები ყოფილა გაშენებული. ამასაც საგანგებოდ შენიშნავს ვახუშტი. „ხოლო ამ არტანუჯი მდინარეთა მოერთვიან სხვანიცა მდინარენი, და მათ ზედა შენებულ არიან დაბნები“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქალაქი არტანუჯი დიდ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და თავადაც დიდი სავაჭრო ცენტრი იყო. ლევან ჭილაშვილს თავის წიგნში, რომელიც საგანგებოდ ფეოდალური საქართველოს ქალაქებს მიეძღვნება, მოხაზული აქვს სქემა: თბილისიდან გასული სავაჭრო ქარავანი როგორ გაიელის სამშვილდეს — ფარავნას — ახალქალაქს — არტაანს და არტანუჯში ჩავა...

ფანტაზიას თუ მოვიშველიებთ, თვალსაჩინოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა გაცხოველებული ვაჭრობა იქნებოდა ამ მდიდარსა და მჩქეფარე ქალაქში... გზებზე — ფუნდუკები, ქარავასლები... აქლემების ქარავნები, ათასი ჯურის ხალხი...

აქედან უკვე სავაჭრო გზა ბიზანტიისკენ მიემართება. ასე რომ, არტანუჯი ერთ-ერთი მთავარი საკვანძო პუნქტია, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანას აკავშირებს ბიზანტიასთან. აქვე მოგვაქვს კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვები: „არტანუჯი ძალიან კარგად არის გამაგრებული და დედა-

ქალაქის საკადრისი რაბატიცა აქვს[1]. აქ განუწყვეტლივ შემოაქვთ ტრაპეზუნის, იბერიის, აბაზგიის (იგულისხმება მთელი აფხაზეთის სამეფო), სომხეთისა და სირიის ყოველი კუთხის საქონელი, და დიდი ვაჭრობაა გაჩაღებული"...

როცა ამ დიდი, ლამაზი ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებას გონების თვალით წარმოიდგენ, უნებურად მოგინდება უშუალოდ იხილო ეს ადგილი, ბევრი ისტორიული ფაქტი, რაც მასთან არის დაკავშირებული და ჩვენ სხვადასხვა წყაროდან ვიცით, ცხადად და თვალნათლივ წარმოიდგინო.

ჩვენ მოკლებული ვართ ამ სიამოვნებას. იმ მიუვალ ადგილას, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა, უძველეს ქალაქს მარადიული ძილით სძინავს.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკა გვაუწყებს, აშოტმა აქ პეტრე-პავლეს ეკლესია ააშენაო. ჟამთა ქარტეხილებმა დიდი ხანია გააცამტვერეს ეს ეკლესია. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში დიმიტრი ბაქრაძეს მოუნახულებია ეს ადგილები, უნახავს ეკლესიის ნანგრევები და მისი ნაამბობიდან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ქვების სიდიდის მიხედვით, რა გრანდიოზული ყოფილა თვით ეკლესია.

სუმბატის გადმოცემით, ეკლესია „ციხესა მას შინა იყო" აშენებული. და ახლა, ამისდა მიხედვით, შეგვიძლია თვით ციხის სიდიდე წარმოვიდგინოთ, როცა ეკლესიის გრანდიოზულობაზე ელაპარაკობთ.

მეცხრე საუკუნის დასაწყისში ამ დიდი ციხე-სიმაგრის კოშკზე კვლავ ამაყად აფრიალდა იბერიის განახლებული სამეფოს დროშა...

ქალაქის მდებარეობა რომ ავწერეთ, დიდი მდინარე მოვიხსენიეთ.

შემორჩენილია ამ მდინარეზე გადებული ძველებური ქართული ხიდის — არტანუჯის ხიდის — ჩანახატი, როგორც ძველი მჩქეფარე ცხოვრების სევდიანი მოწმე, რომელიც წიგნის ფურცლიდან შემოგვცქერის და მდიდარი ფანტაზიის ადამიანს უნებურად აფიქრებინებს, რამდენჯერ გაუელია ამ ხიდზე შინ გამარჯვებით დაბრუნებულ აშოტის მხედრობას... რამდენი ჩვენთვის ცნობილი ადამიანის ტერფი შეხებია ხიდის ქვაფენილს. ეს ძველი ხიდი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ჩაუხატავთ და როცა გახუნებულ

1. როგორც ვარაუდობენ, „რაბატი" უნდა ნიშნავდეს გამაგრებულ ადგილს, სადაც თავმოყრილია საჯარო სახლები, ადმინისტრაციული დაწესებულებები...

ქაღალდზე ხიდის გამოსახულებას დასცქერი, განცვიფრებული და აღფრთოვანებული ხარ შენი ხალხის დიდი კულტურითა და სამშენებლო ხელოვნებით: როგორ გაუძლო ამ თხელი ქვებით ნაგებმა ხიდმა მკაცრი საუკუნეების გამოცდას?!

სურათის ჩახატვის დროს წყალი მდინარეში დაკლებული ყოფილა. გარკვევით მოჩანს ცადაწვდენილ მთებს შორის მოქცეული მდინარის კალაპოტი, ხშირი რიყე, დიდრონი ქვებით მოფენილი ნაპირები მდინარისა. მდინარე ახლა, სურათზე, ვიწრო ზოლად მოედინება, წყნარად და მშვიდობიანად. მხატვარს კარგად გადმოუცია ეს განწყობილება და თუმცა ნახატი თეთრ ქაღალდზე შავი მელნით არის მოხაზული, თითქოს აშკარად ხედავ მომწვანოდ დაფერილ ლაჟვარდოვან ტალღებს, თითქოს წყნარი ხმაურიც გესმის დაქანებულ კალაპოტში ვიწრო ზოლად მორაკრაკე მდინარისა, რომელიც მომაღლოდ შემართული ხიდის თაღქვეშ მიედინება...

და სწორედ ხიდის სიმაღლე მიგვანიშნებს, რომ მთის პატარა მდინარის ძალა ასე არ იზომება. ამ წყნარ მდინარეს გაცოფებაც სცოდნია, რისხვად მოვარდნა...

და ამ დროს იგი გრგვინავდა, ხმაურით იკლებდა მთებით შემოზღუდულ ქალაქს და დიდრონ მღვრიე ზვირთებს ძალუმად მოაგორებდა, წალეკვით ემუქრებოდა მთელ ქალაქსა და ბრტყელი, თხელი ქვით თითქოს სუსტად ნაგებ მაღალ ხიდს, რომელმაც, ვინ იცის, რა ზვირთთა ცემასა და საუკუნეების ყოველისდამარღვეველ ქროლვას გაუძლო!

●

ზუსტი თარიღი აშოტის თბილისიდან არტანუჯში გადასვლისა და იქ დამკვიდრებისა, ანუ ტაო-კლარჯეთის დიდი სამთავროს ჩამოყალიბებისა, არ ვიცით. მიახლოებით თუ ვიტყვით, რომ ეს მოხდა მეცხრე საუკუნის პირველ მეოთხედში. იქნებ 813 წლისთვის, როგორც ამას პავლე ინგოროყვა ვარაუდობს, ან იქნებ ოდნავ უფრო გვიან. დაბეჯითებით ვერ იტყვი.

უფრო დაბეჯითებით იმის თქმა შეიძლება, რომ გადასახლდა თუ არა აშოტი სამხრეთ საქართველოში, კახეთის მთავარმა გრიგოლმა დრო იხელთა, მაშინვე დაძრა თავისი მხედრობა, და კარგა დიდი ტერიტორია ქართლისა — მთელი ქსნის ხეობა და ამ ხეობის დასავლეთით მდებარე კუთხეც, ალბათ სამხრეთ-საქართველოს

მისადგომებამდე — დაიპყრო (კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კახეთის სამთავროს საზღვარი არაგვამდე აღწევდა. ასე რომ, თავისი საზღვრებიდან ქსნის ხეობამდე დიდი მანძილის გაელა არ დასჭირდებოდა გრიგოლის მხედრობას).

ეტყობა, ქართლზე დიდი ხანია თვალი ეჭირა კახეთის ქორეპისკოპოსს. გარდა იმისა, რომ ვრცელი და ბარაქიანი ქართლის ვაკე, მცხეთიდან დაწყებული ტაშისკარამდე, მის ბეღელს დოვლათს შეპმატებდა და გაამდიდრებდა, ქართლის ხელში ჩაგდება დიდი პოლიტიკური გამარჯვებაც იქნებოდა და, — მთავარიც სწორედ ეს არის, — მის საერთო პოლიტიკურ ძლიერებასა და ავტორიტეტს განამტკიცებდა. ამის შემდეგ უკვე ადვილი გახდებოდა მთელს საქართველოში ჰეგემონობის მოპოვება.

ეს მარტო კახეთის მთავარს კი არა ჰქონდა შეგნებული. ჩამოყალიბდა თუ არა მსხვილი ფეოდალური სამთავროები, ყოველი ცალკეული სამთავროსა და მთავრის უპირველესი საზრუნავი ეს გახდა — ქართლის დაპყრობა და ამით მთელს ქვეყანაში ჰეგემონობის მოპოვება. „ქართლი ქვეყნის შუაგული იყო, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — და თითოეული მთავრისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი იმას შერჩენოდა“.

ამიტომაც გახშირდა ბრძოლები ქართლისთვის, გალაშქრება „ქართლსა ზედა“.

ამრიგად, კახეთის ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა არ დააყოვნა და აშოტის წასვლისთანავე დაიპყრო მეზობლისა და მოძმის ტერიტორია. მარჯვე შემთხვევას უცდიდა, და, აჰა, ამაზე ხელსაყრელ დროს ვერც ინატრებდა! ახალ ადგილას ჩასული აშოტი მაშინვე ვერ მოახერხებდა გრიგოლის მიერ მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნებას; გარკვეული დრო იყო საჭირო, მანამ აშოტი თავის ახალ სამფლობელოში დამკვიდრდებოდა და სულს მოითქვამდა; კახეთის მთავარი კი ამასობაში კარგად მოასწრებდა შემოერთებულ ტერიტორიაზე გამაგრებას და მერე მისი წართმევა გაძნელდებოდა. სწორედ ამის იმედი ჰქონდა გრიგოლს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კახეთის მთავარი მარტო საკუთარ მხედრობასა და ძლიერებას როდი ეყრდნობოდა. მის ასეთ გაბედულ მოქმედებას სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორიც განაპირობებდა. ძლიერი მოკავშირე ჰყავდა....

გაგიკვირდებათ! ეს მოკავშირე — თბილისის ამირა იყო!..

მართლაც გასაკვირია: ქართველი მთავარი თავისივე მოძმე

ქართული სამთავროს წინააღმდეგ კავშირსა კრავს საერთო მტერთან — მთელი საქართველოს მტერთან, დამპყრობელთან — თბილისის ამირასთან!..

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ხდება ფეოდალური ურთიერთობის დროს, როცა ძმისა და მეგობრის დანდობა არ იციან...

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირი კახეთის ქორეპისკოპოსსა და ამირას შორის ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იყო.

თბილისის ამირა, როგორც უკვე ითქვა, სახალიფოს გადაუდგა და თავი დამოუკიდებლად წარმოიდგინა, რაც დრო გადიოდა, სახალიფოსთან უთანხმოების უფსკრული სულ იზრდებოდა და ფართოვდებოდა; და იმ დამსჯელი ექსპედიციების მოსაგერიებლად, რასაც ასევე სულ უფრო ხშირად გზავნიდა ხალიფა, თბილისელ ამირას ძლიერი ადგილობრივი მოკავშირე სჭირდებოდა. სწორედ ისეთი, როგორიც კახეთის ქორეპისკოპოსი იყო.

მეორე მხრივ, კახეთის ქორეპისკოპოსსაც თავისი სამთავროს საზღვრების გაფართოებისა და მთელს საქართველოში პრივილეგიური მდგომარეობისთვის, ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა, თანაც ისეთი მოკავშირე, რომელსაც თავად არ ექნებოდა იმ ეროვნული ჰეგემონობის პრეტენზია, რაც მასვე ჰქონდა. ასეთი მოკავშირე ჯობდა ახლოს ჰყოლოდა და შორს არ ეძებნა.

სწორედ ამირა იყო ასეთი მოკავშირე! გარკვეულ პერიოდში, თავიანთი გარკვეული მიზნების მისაღწევად მათ შეეძლოთ საერთო ენა გამოენახათ და ძლიერი სამხედრო კავშირიც შეეკრათ.

რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, ამ მოკავშირეთა ინტერესებიც დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ბევრ რამეში ვერ მორიგდებოდნენ, ტერიტორიული დავა მათ შორისაც გარდაუვალი იყო... ამას თავისთავად გულისხმობს ფეოდალურ ურთიერთობათა ხასიათი. მაგრამ დრომდე უსათუოდ სჭირდებოდათ ამგვარი კავშირი და იძულებული ხდებოდნენ ასე შეეკოწიწებინათ თავიანთი მეგობრობა. იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ვიტყვით, როგორმე მოეთმინათ ეს მეგობრობა.

როგორც უკვე ითქვა, ეს კავშირი მათ, უპირველეს ყოვლისა, ხალიფის სულ უფრო და უფრო გახშირებული დამსჯელი ექსპედიციების მოსაგერიებლად სჭირდებოდათ.

მაგრამ არა მარტო ამისთვის.

ეს შეკავშირება მათ სჭირდებოდათ აშოტის წინააღმდეგაც.

ავიდა თუ არა აშოტი ქართლის ერისმთავრის ტახტზე, მაშინვე აშკარა გახდა ამ ახალგაზრდა კაცის საოცარი ენერგიულობაც, სამხედრო ნიჭიცა და ურყევი გადაწყვეტილებაც — გაეფართოებინა და განემტკიცებინა ქართლის სამთავრო. გათავხედებულ თბილისის ამირას თვითონვე ჰქონდა განზრახული საამიროს ტერიტორიის გაფართოება, და ახალგაზრდა ერისმთავრის გამომწვევმა მოქმედებამ ალბათ შეაფიქრიანა. ბუნებრივია, იგი კახეთის მთავართან ტრადიციული „მეგობრობის" გაღრმავებას მოინდომებდა და მაშინვე შეეცდებოდა ეს „მეგობრობა" კონკრეტულ სამხედრო კავშირად ჩამოეყალიბებინა, ამჯერად უკვე ქართლის ერისმთავრის წინააღმდეგ. აი, ამას მოჰყვებოდა არაბებისგან აშოტის დევნა-შევიწროება, რასაც ისტორიული წყაროები მიგვანიშნებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის ამირასა და კახეთის მთავარს გონებაში განაწილებულიც ექნებოდათ ქართლის მიწა-წყალი...

ასე რომ, კახეთის ქორეპისკოპოსის მიერ ქართლის ტერიტორიის დაპყრობა მოულოდნელი არ იქნებოდა აშოტისთვის. მაგრამ, ბუნებრივია, იგი მაშინვე ვერ მოახერხებდა ამ ტერიტორიის დაბრუნებას. ჯერ კარგად უნდა დამკვიდრებულიყო ახალ ადგილზე, მოღონიერებულიყო, ზურგი გაემაგრებინა.

და, აი, იწყება აშოტის ენერგიული და დაუცხრომელი მოქმედება მთელი სამხრეთ-საქართველოს მიწა-წყლის შემომტკიცებისთვის, მთელი იმ მხარის აღორძინებისა და განახლებისთვის. მკვდარი სოფლები და ქალაქები გააცოცხლა, ხალხი ჩაასახლა. ახალი სოფლები ააშენა. ზოგი სოფელი იყიდა (ეს ალბათ დასაწყისში, მანამ მოღონიერდებოდა, იმ აზნაურთა და წვრილ მთავართა გულის მოსაგებად, რომლებიც ხალისით არ შეხვდნენ ახალ მმართველს: ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია)... სწორედ ასე გადმოგვცემს სუმბატ დავითის ძე: „...სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოხერი (მტრისგან აოხრებული) აღაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა"...

საბოლოოდ ამ ენერგიული ბრძოლით იგი მართლაც დაეუფლა მთელს სამხრეთ საქართველოს. მის სამთავროში შედის ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, ნიგალი, სპერი, ტაო, არტაანი.. მთელი ტაო-კლარჯეთის ხელისუფალი გახდა.

ტაო-კლარჯეთის ხელისუფალი!.. მაგრამ მას, ქართლის ერისმთავარს, ტაო-კლარჯეთის ხელისუფლება, რაღა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილებდა. ტაო-კლარჯეთის შემომტკიცება და დაუფლება

საჭირკველი იყო იმ უფრო დიდი სახელმწიფოებრივი შენობისა, რომლის აგებაც ახალგაზრდა ენერგიულმა პოლიტიკოსმა დაისახა მიზნად. მეორე საფეხური იქნებოდა გრიგოლ კახელის მიერ წართმეული მიწა-წყლის დაბრუნება; მერე — ქართლის სხვა კუთხეების შემომტკიცება, რაც უფრო ადრე მიითვისა თბილისის ამირამ; მერე — უცხოელი დამპყრობლის თანდათანობით შევიწროება და განდევნა და საბოლოოდ...

ჯერ ალბათ პირველი ეტაპიც არ ექნებოდა შესრულებული თავისი დიდი გეგმისა, ჯერ ალბათ მთლიანად არ ექნებოდა შემომტკიცებული სამხრეთ საქართველოს ყველა კუთხე, რომ თავისი ლაშქარი კახეთის მთავრის მიერ მიტაცებული ტერიტორიის დასახსნელად დაძრა ტაო-კლარჯეთის მბრძანებელმა.

გაბედული და რისკიანი კაცი იყო აშოტი, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ არ შეიძლებოდა საქმე სარისკოდ და საალალბედოდ გაეხადა. სიფრთხილე იყო საჭირო, ათასჯერ მოფიქრება და აწონ-დაწონა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ ბრძოლაზე. საქმე შეეხებოდა არა მხოლოდ წართმეული ტერიტორიის დაბრუნებას, არამედ საერთო პოლიტიკურ და სამხედრო ავტორიტეტსაც. საქმე შეეხებოდა აშოტის ავტორიტეტს სხვა სამთავროებისა და მეზობელი სახელმწიფოების თვალში, მისივე ქვეშევრდომების თვალში. აშოტმა კარგად იცოდა, რომ შეტაკება მოუხდებოდა არა მარტო გრიგოლის ლაშქართან, არამედ ამირასთანაც. თან ისიც უნდა გავითვალიწინოთ, რომ კახეთის ქორეპისკოპოსის ლაშქარში მთიელთა რაზმებიც იყო — ბრძოლებში ნაცადი, გამობრძმედილი, შეუპოვარი მეომრები. ასევე გვაუწყებს ამას „მატიანე ქართლისა“: „გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან“.

აშოტმა გაითვალისწინა ეს და მანაც გაიჩინა მოკავშირე.

ტაო-კლარჯეთის ერისმთავარი ეგრის-აფხაზეთის მეფეს შეუ-კავშირდა, თეოდოსს, ლეონ მეორის შვილს. ეს თეოდოსი აშოტის სიძე ყოფილა და, რაღა თქმა უნდა, უფრო ადვილად მოხერხდებოდა საერთო ენის მონახვა მოყვრებს შორის.

მაგრამ მარტო ნათესაური გრძნობებით ნუ ავხსნით ამ კავშირსა და კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ ბრძოლაში ეგრის-აფხაზეთის ლაშქრის მონაწილეობას. ეგრის-აფხაზეთის მეფეს თავისი ანგარიშებიც ჰქონდა. გრიგოლ ქორეპისკოპოსმა რომ ქართლის დიდი ტერიტორია დაიპყრო, ამით კახეთის სამთავროს სამფლობელო ძალიან ფართოდ განიერცო და გაიჭიმა, კახეთის

ძლიერება განმტკიცდა. ესე იგი, საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი სამთავრო გაჩნდა, რომელიც ეგრის-აფხაზეთის სამეფოსაც დაუპირისპირდა. ამ გაძლიერებულ სამთავროს, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, კიდევ უფრო განვრცობა-გაფართოების ჟინი წამოუვლიდა და ლიხს გადალახავდა. თავისი მოქმედების საფუძვლიანობის დასაბუთებითა და მიზეზის ახსნით, რა თქმა უნდა, დიდად არ შეიწუხებდა თავს, მაგრამ, ისე კი, საკმაოდ საფუძვლიანი საბაბიც ჰქონდა: კახეთის ქორეპისკოპოსი ხომ ამჟამად ქართლსაც ფლობდა, ქართლის მმართველიცა და „მზრუნველიც“ იყო. ამიტომ ქართლის „ინტერესების დასაცავად“ მას დამშვიდებული სინდისით შეეძლო არგვეთის შემოერთებაც მოეთხოვა, რადგან არც თუ ისე დიდი ხნის წინათ არგვეთი ქართლს ეკუთვნოდა (ეს ისე, სხვათა შორის, თორემ ამნაირი დასაბუთებით სულაც არ აიტკივებდა თავს გაამაყებული ფეოდალი).

მისი უფრო შორეული გეგმების ამოცნობას თუ მოვინდომებთ, მერე ალბათ არგვეთის დასავლეთისკენაც გაუწევდა გული, ზღვასთან მიახლოება მოუნდებოდა...

ასეთია ბუნება ფეოდალური ურთიერთობისა და ეს მარტო შორიდან კი არა ჩანს ასე აშკარად, მარტო ჩვენ კი არ ვხედავთ ასე ცხადად, მეფე თეოდოსისთვისაც ნათელი და გასაგები იყო. გასაგები იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს გულის — ქართლის — დაუფლების გაუმხელელი სურვილი მასაც სწვავდა.

ამრიგად, ჩვენ რომ წინა თავში ქუთაისის სასახლესთან მხედრობა ვიხილეთ, სწორედ გრიგოლ ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გასალაშქრებლად იყო ის მხედრობა შეკრებილი. „მატიანე ქართლისა“ გვაცნობებს: „...გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან“...

მემატიანე არას ამბობს, რამდენი მეომარი იყო ამ მხედრობაში, ან რა შემადგენლობისა იყო იგი. ჩვენ თვითონ უნდა ვიგულისხმოთ. ეგრის-აფხაზეთის სამეფო ჯერ ისევ ლეონ მეორემ დაყო — აფხაზეთის, ცხუმის, ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის, ვაკე იმერეთის სამთავროებად. ასეთი სახელები მიიღო დროთა ვითარებაში ამ სამთავროებმა. თითოეულ სამთავროს თავისი ერისთავი ჰყავდა. როცა დიდი ლაშქრის შეგროვება იყო საჭირო, მეფე ერისთავს შეატყობინებდა და მხედრობას შეყრიდა.

ახლაც თეოდოსის მხედრობაში ჩვენა ვხედავთ ცალკეულ რაზმებს მეგრელებისას, აფხაზებისას, გურულებისას, რაჭველებისას... ჩაცმუ-

ლობაზეც გაარჩევ მათ, მეტყველებაზეც... ჩამოქვეითებულან და მეფეს ელოდებიან.

მეფე ხატთან დაჩოქილა, პირჯვარს ისახავს, ღვთისმშობელს ავედრებს სალაშქროდ გამზადებულ მხედრობასა და მთელს თავის ქვეყანას, მტერზე გამარჯვებასა სთხოვს... მერე დედოფალს ეამბორება, გამოეთხოვება. დედოფალი პირჯვარს გამოსახავს, შეემუდარება, ფრთხილად იყოს, გვირგვინოსან მეუღლეს სევდიან თვალებს უსიცოცხლოდ მიაპყრობს. უშვილო ცოლ-ქმრის ცხორებას, თუნდა გვირგვინოსანი ოჯახი იყოს, რაღაცნაირი დუნე სევდა ახლავს ხოლმე. უშვილოა ეგრის-აფხაზეთის მეფე, ღმერთმა შვილის სიხარული არ აღირსა. უმემკვიდროდ უნდა გადაეგოს. სამეფო ტახტი თავისსავე უმცროს ძმას — დემეტრეს უნდა გადაულოცოს, რომელიც ახლაც აგერ უცდის ეზოში.

როგორც ითქვა, დაწერილებითი ცნობები ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავს. როგორ წარიმართა ტაო-კლარჯეთისა და ეგრის-აფხაზეთის შეერთებული მხედრობის ბრძოლა გრიგოლ ქორეპისკოპოსისა და თბილისის ამირას ლაშქართან, ცნობილი არ არის.

ჩვენ მხოლოდ შედეგი ვიცით ამ ბრძოლისა.

აშოტი და თეოდოსი წინასწარ იქნებოდნენ შეთანხმებულნი: დათქმულ დღესა და დათქმულ საათს აშოტის მხედრობა ერთი მხრიდან შეუტევდა კახეთის სასაზღვრო ჯარს, თეოდოსის მხედრობა — მეორე მხრიდან. უფრო მოსალოდნელია, რომ აშოტი ტაშის კარს მოადგებოდა, თავისივე ძველ სამფლობელოს, სადაც ახლა კახეთის ქორეპისკოპოსს გაძლიერებული სასაზღვრო რაზმები ეყოლებოდა; თეოდოსის მხედრობა ალბათ ლიხს გადაიელიდა და, ამგვარად რკალში მოაქცევდნენ გრიგოლის ლაშქარს. სანამ გრიგოლი მაშველ ძალებს მიიღებდა თბილისის ამირასა და მთიულეთის ერისთავებისგან, სასაზღვრო ჯარი ბრძოლებით ნელ-ნელა დაიხევდა უკან.

გენერალური ბრძოლა ქსნის მისადგომებთან მოხდა და აშოტ — თეოდოსის შეერთებულმა მხედრობამ სძლია: „შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“.

ასე გადმოგვცემს ბრძოლის შედეგს „მატიანე ქართლისა“. ამასვე იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილი. „მოსრნეს სპანი მისნიო (გრიგოლისა), ვახუშტი დასძენს.

როგორც ვხედავთ, აშოტს გაუმარჯვია. ეს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ

საკვირველი ის არის, თუკი აშოტმა გაიმარჯვა, რატომ მთლიანად არ დაიბრუნა თავისი ტერიტორია? ჩვენ ხომ ვიცით, კახეთის საზღვარი არაგვამდე იყო. მაშ, ქსანსა და არაგვს შორის მოქცეული საკმაოდ დიდი ტერიტორია, მუხრანის ნაყოფიერი და მდიდარი ველის მნიშვნელოვანი ნაწილი, რატომღა დაუთმო გამარჯვებულმა აშოტმა კახეთის მთავარს?! ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლის ეს ნაწილი ადრე, აშოტამდე ჰქონდა მიტაცებული კახეთის სამთავროს, და ჩვენ რომ ზემოთ, აშოტის ტაო-კლარჯეთში გადასვლის შემდეგ, გრიგოლის გამოლაშქრება და ქართლის მიწა-წყლის დაპყრობა ვახსენეთ, ეს მხოლოდ ქსნის დასავლეთ მხარეს შეეხებოდა?!

ანდა, იქნება ასე დაზავდნენ მებრძოლი მხარეები: ზავის მიხედვით, გამარჯვებული ამჯერად იმ ტერიტორიით დაკმაყოფილდა, ქსანი დასახეს საზღვრად?!

ამის გარკვევა ახლა ძნელია. ალბათ შეუძლებელიც.

მნიშვნელოვანი სულ სხვა რამ არის.

აშოტი საბოლოოდ ამით არ დაკმაყოფილებულა. მან თანდათანობით დაიბრუნა მთელი ქართლი. „მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“, გვაუწყებს მეორე ისტორიული წყარო, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, „კუალად ეუფლა ქუეყანათა, ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“.

დ ი დ ი დ ი დ ე ბ ა ბ რ ძ ო ლ ა თ ა შ ი ნ ა ო! ესე იგი, მრავალი ბრძოლა გადაუხდია, და მუდამ წარმატებითა და დიდებით! ძალიან შეუვიწროვებია და გაუმწარებია თბილისის ამირა!

გიორგი მერჩულეც ადასტურებს სუმბატის ამ ცნობებს — აშოტმა დაიპყრა მრავალნი ქვეყანანიო, წერს. და ქვემოთ მოყვანილ სიტყვებსაც მერჩულეს მოთხრობაში ეკითხულობთ: „მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაითმე მოგელოდი, აღმოსავლითმე ანუ დასავლით, ჩრდილოითმე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით (ბრძოლით) ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ“.

ასე მიმართავს გრიგოლ ხანძთელი ტაო-კლარჯეთის მეფეს, როცა ქართველი ბერი უცხოეთში მოგზაურობიდან დაბრუნდება და, საქართველოს საზღვრებში შემოსული, მეფის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს გაიგებს...

მაგრამ წინ ნუ გავიჭრებით.

პავლე ინგოროყვას თავის წიგნში მოაქვს ძველი სომეხი ისტო-

რიკოსის ცნობა: 820 წლისთვის აშოტს უკვე ეპყრა ტერიტორია კლარჯეთიდან მოყოლებული თბილისამდე, აგრეთვე ქართლის მთიანი მხარეო.

მარტო ამითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ძალა და გავლენა ჰქონია აშოტს, რა შიშის ზარი ყოფილა მტრისთვის. გამარჯვება გახდა მისი თანამგზავრი. ზედიზედ იმარჯვებდა. სამეფოს ტერიტორიას აფართოებდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სახალიფო ამ დროისათვის თავად დასუსტებულია, მისი სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება შერყეულია.

მაშ, ასე. უკვე 820 წლისთვის აშოტის ვრცელ სამფლობელოში შედის სამხრეთი საქართველო მთლიანად და თითქმის მთელი საკუთრივ ქართლი (იმ ტერიტორიის გამოკლებით, რაც თბილისის ამირას ეპყრა). წყაროების მიხედვით აშკარაა, რომ აშოტს მ ე ფ ე ს უწოდებენ. ეს დავას სულაც არ იწვევს. ვერ შეთანხმებულან მხოლოდ იმაში, თუ რომელი წლიდან, რა დროიდან იწოდება აშოტი მ ე ფ ე დ.

აშოტ პირველის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან მოახერხა ამ ვრცელი და პოლიტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის — საკუთრივ ქართლისა[1] და სამხრეთ-საქართველოს შეკავშირება-გაერთიანება, სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ეს კი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მყარი ნიადაგის მომზადებას ნიშნავდა მომავალი გაერთიანებისთვის.

და აქვე ერთი საკითხი. როცა აშოტ პირველის სამეფოს ტ ა ო-კ ლ ა რ ჯ ე თ ს ვუწოდებთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სახელწოდება პირობითია. თავის დროზე იქნებ იმიტომ შეარქვეს, რომ ცენტრი ამ სამეფოსი კლარჯეთში იყო და აქედანვე ხდებოდა მისი განერცობა და გაფართოება (ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მემატიანის ცნობა: დაიპყრო კ ლ ა რ ჯ ე თ ი დ ა ნ, ვიდრე ქსნამდეო...), მერე კი ტრადიციულად ასე დამკვიდრდა... ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, რა თქმა უნდა, ეს სახელწოდება ზუსტი არ არის, რადგან ჩვენ უკვე ვიცით: ამ სამეფოს საზღვრებში, გარდა საკუთრივ ტაო-კლარჯეთისა, შედიოდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი; მისი აღმოსავლეთი საზღვარი თბილისსაც კი სცილდებოდა და ბარდავამდე აღწევდა... ასე რომ, სინამდვილეში, ეს არის ქ ა რ-

1. იგულისხმება ქართლი იმ ტერიტორიის გამოკლებით, რაც თბილისის ამირას ეპყრა.

თ ლ ი ს სამეფო. პაველ ინგოროყვას აზრით, უფრო სწორი იქნება, „ქართლთა სამეფოს“ თუ ვუწოდებთ.

მაინც როდის შეიძლებოდა მეფის ტიტული მიეღო აშოტს? ალბათ მას შემდეგ, რაც სამხრეთ–საქართველო შემოიმტკიცა და ქართლის მიწა-წყალიც თითქმის მთლიანად დაიბრუნა. ხოლო რაკი ამას 820-იანი წლებიდან ვარაუდობენ, ალბათ მეფის ტიტულსაც ამავე ხანებში მიიღებდა.

მკითხველისთვის ალბათ აშკარაა და უფრო დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, რომ აშოტ პირველის მოღვაწეობა მარტო სამხედრო გამარჯვებებითა და ქართლის სამეფოს აღდგენით არ ამოიწურება, მას თავისი წვლილი მიუძღვის იმ დიდ კულტურულ მშენებლობაში, რაც ისე გაცხოველებით მიმდინარეობდა სამხრეთ საქართველოში. ეს რომ ასე არ იყოს, აშოტის მოღვაწეობა ცალმხრივი იქნებოდა და ისეთ ღრმა კვალს ველარ დატოვებდა ერის ისტორიაში. უამისოდ იქნებ დიდი ავტორიტეტიც ვერ მოეპოვებინა და, ამდენად, იმ დიდი სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვებებისთვისაც ვერ მიეღწია.

●

გიორგი მერჩულეს მოთხრობაში ხშირად ვხვდებით აშოტს და საშუალება გვეძლევა ცოცხლად წარმოვიდგინოთ ამ ადამიანის ბუნება, ხასიათი... მისი რთული მოღვაწეობაცა და მთელი მაშინდელი ცხოვრებაც.

ამჯერად მოთხრობის ერთი ადგილი მინდა გავახსენო მკითხველს. ეს ეპიზოდი ბევრი რამით არის საგულისხმო და საინტერესო. თუნდაც იმით, რომ კარგად გვიჩვენებს, რა რთული და ძნელი იყო ჩვენი იმ დროინდელი მოღვაწეების ცხოვრება და მუშაობა. ამიტომაც ღირს გახსენება. მაგრამ ახლა ჩვენ სხვა რამე გვაინტერესებს: ზოგიერთ გამოკვლევაში აშოტის სახე და ხასიათი სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი, იმისგან სავსებით განსხვავებულად, ვიდრე ამის საფუძველს მოთხრობის ეს მონაკვეთი გვაძლევს...

ანჩის ეპისკოპოსი მიიცვალა. ახალი ეპისკოპოსის შერჩევა იყო საჭირო. მაგრამ ერთი ულირსი და უკეთური დიაკონი თურმე დადარაჯებული იყო, როდის მოკვდებოდა ეპისკოპოსი. მაშინვე ამირა საპაკთან გაქანდა და „მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან“ (ამ გარეწარის სახელი

ცქირი იყო) — ამირასა სთხოვა, აშოტთან გამიკეთე საქმე, რათა თავისი გაელენა გამოიყენოს და ანჩის ეპისკოპოსი გაეხდეო.

ეს უკეთური დიაკონი თურმე საპაკის აღზრდილი იყო და იმიტომაც მიმართავს თხოვნით. კარგი ღვთისმოსავი კი იქნებოდა ფანატიკოსი მაპმადიანის აღზრდილი ქრისტიანი მღვდელ-მოძღვარი! საოცარია, არა? სწორედ ასეთი გაკვირვებით შენიშნავს სიმონ ჯანაშია: „დიაკონი, მაპმადიანი მოხელის გაზრდილი! დამახასიათებელია". იმ უკეთური კაცის თავგამოდება ნუ გაგიკვირდებათ — თანამედროვე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს ჩვეულებრივი კარიერიზმი იყო: იმ კუთხის მღვდლებსა და ეპისკოპოსებს სულ ანჩელი ეპისკოპოსი აკურთხებდა ხოლმე („ვინაითგან აღეშენნეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი, მღდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან იკურთხევიან"). კარიერისტის ჭიაც ამ თვისებისაა — სულ იმას ცდილობს, ბევრი ვინმე იყოს მასზე დამოკიდებული, თან შემოსავალიც კარგი ექნებოდა... იმიტომაც გამწარებით ცდილობდა ანჩის ეკლესიის დაჭერას.

ამირა საპაკმა მართლაც სთხოვა აშოტს, ჩემი ახლობელი კაცია და უარს ნუ ეტყვიო. აშოტმაც გამოიყენა თავისი ავტორიტეტი, ხათრი ველარ გაუტეხეს და ასე „მძლავრებით დაიპყრა ანჩი" ცქირმა.

ამ კაცის უკეთურობა ალბათ ადრევე იცოდნენ, მაგრამ ასეთი გარეწარი თუ იქნებოდა, ეს აღარ ეგონათ და იმიტომაც დაუთმეს აშოტს. მაგრამ ცუდკაცობა მაინც არ მოიშალა ცქირმა. პირიქით, ეპისკოპოსი რომ გახდა, სულ აამტუტა იქაურობა, „კუალად შესძინა ძვირი ძვირსა მისსა ზედა მრავალი", გვამცნობს მოთხრობის ავტორი, და ჩამოთვლაც კი უმძიმს, ისეთი სიგლახე ჩაუდენია: ამ ცუდკაცობის „მოხსენებაი ამას წიგნსა შინა არა ჯერ-არს შთაწერად ყოველიო". ეუხერხულება კონკრეტულად ჩამოთვლა. გადაპკიდა ხალხი ერთმანეთს, დამბეზღებლები და დამსმენები გაამრავლა, შური და მტრობა ჩამოაგდო... ერთი სიტყვით, ააფორიაქა იქაურობა, შეაწუხა ხალხი.

ბევრჯერ მოუწოდა გრიგოლ ხანძთელმა წესიერებისკენ („რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაი"), მაგრამ რას გახდებოდა — კუზიანს საფლავი გაასწორებსო, უკეთური კაცი როგორ მოიშლიდა თავის უკეთურობას. სულ აიწყვიტა და თავს გავიდა. მოისყიდა ვიღაც სულმდაბალი უქნარა კაცი, ცოტაოდენ ფეტვსა და რამდენიმე თხას შეპირდა და გრიგოლ ხანძთელის მოკვლა დაავალა.

გრიგოლ ხანძთელს რომ დაუპირისპირდა ეს უკეთური კაცი, სულაც არ არის გასაკვირი. გრძნობდა, რომ ხანძთელი ვერ შეურიგდებოდა მის ბოროტებასა და ანგარებას. თანაც, ცქირი ალბათ ამირას ჯაშუშიც იყო და იქნებ იმედიც ჰქონდა, რომ ასეთი ეროვნული მოღვაწისა და გავლენიანი ადამიანის თავიდან მოშორებისთვის მადლობას და ჯილდოს დაიმსახურებდა. დაქირავებულმა გარეწარმა მშვილდი აიღო (მოთხრობის ავტორი შენიშნავს, კარგი მოისარი იყოო, იმიტომაც შეარჩია ცქირმა) და ხანძთის ტყეში ჩასაფრდა, იცოდა, აქ უნდა გამოეცალო ხანძთელს.

მაგრამ ეს სულმდაბალი კაცი, ბედზე, ლაჩარიც გამოდგა. გრიგოლი რომ დაინახა გზაზე მომავალი, ერთბაშად დაფრთხა, მოეჩვენა, თავზე ნათლის სვეტი ადგასო, ხელი აუკანკალდა, მოზიდული მშვილდი გაუვარდა და თვითონაც იქვე დაეცა გონდაკარგული — გრიგოლ ხანძთელისავე მოსასულიერებელი შეიქნა.

ცქირი, ეტყობა დარწმუნებული იყო, რომ დაქირავებული გარეწარი ხანძთელს უსათუოდ მოკლავდა. მდაბალი ადამიანის სულწასულობით ელოდა ამ ცნობას. და მით უფრო წრესგადასული იყო მისი გაცოფება, როცა ნამდვილი ამბავი შეიტყო. „უფროისღა აღბორგნა და შესძინა სიბრმეი სიბრმესა ზედაო“, ვკითხულობთ მოთხრობაში.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გადაეკიდა გრიგოლს, მოსვენება აღარ მისცა, „მრავალი ბოროტი შეამთხვია მამასა გრიგოლს და მის ჟამისა წმიდათა მამათა და სხუათაცა მორწმუნეთა ერის-კაცთა“...

იძულებული გახდნენ აშოტისთვის მოეხსენებინათ.

აშოტი აღშფოთდა და უბრძანა — მცხეთის კათალიკოსს მისწერეთო.

კათალიკოსის დავალებით, შეიკრიბნენ ეპისკოპოსები და „მეუდაბნოენი მამანი“, სასტიკად გაჰკიცხეს უკეთური ეპისკოპოსი და გააძევეს, თავიდან მოიშორეს, როგორც „ასოი დამპალი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, გარეწარი მაშინვე თავის მფარველთან გაიქცა — „წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თვისისავე“...

და ისევ ჩარიეს საქმეში აშოტი; ამას კი ის მოჰყვა, რომ ცქირმა „კუალად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი“...

ამრიგად, უსამართლობამ გაიმარჯვა, კვლავ ულირსი კაცი გახდა ანჩის ეპისკოპოსი. და ამჯერადაც აშოტმა შეუწყო მას ხელი, თუმცა თავისივე სურვილის წინააღმდეგ.

ეს თითქოს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აშოტი დაშინებული ჰყოლია თბილისის ამირას! ზოგს მართლაც ასე მიაჩნია — საპაკს ისე დაბეჩავებული ჰყოლია აშოტი, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ ანჩის საეპისკოპოსო კათედრიდან არასასურველი კანდიდატიც ვერ მოუშორებიაო.

ლოგიკური დასკვნა თითქოს მართლაც ასეთია.

მაგრამ ჩვენ რომ ასე „დაბეჩავებულად" არ ვიცნობთ აშოტს! პირიქით, მთელი მისი მოღვაწეობიდან საოცარი შეუპოვრობა, ენერგიულობა, გაბედულება და სიმამაცე გამოსჭვივის.

მაშ, როგორ აუხსნათ ეს შეუსაბამო მოქმედება?

იქნებ არა დამონებული ადამიანის შიშმა, არამედ სულ სხვა გარემოებამ გაატეხინა აშოტს სიტყვა და გადაწყვეტილება შეაცვლევინა. აშოტი რომ ასე დაშინებულ-დაბეჩავებული ჰყოლოდა ამირას, მაშინ თავისი სამთავროს ამნაირად გაფართოებასა და ძლიერი სამეფოს შექმნასაც ვერ მოახერხებდა! აშოტის სამეფოს გაფართოება და გაძლიერება ხომ, ბოლოს და ბოლოს, ამირას საწინააღმდეგოდ ხდებოდა, რამდენადმე ალბათ მისივე ტერიტორიის ხარჯზეც! მაშ, როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ამირას მიერ დაბეჩავებული კაცისგან ამირასავე საწინააღმდეგოდ ასეთი გაბედული და ენერგიული მოქმედება?!

იქნებ ცოტა უფრო სხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ საქმე! როცა აშოტ პირველზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავიიწყოთ მისი მოღვაწეობის რთული ხასიათი.

საპაკ ისმაილის ძე, როგორც ირკვევა, 830-იანი წლებიდან გამხდარა თბილისის ამირა. ამ დროისათვის აშოტს უკვე შემოერთებული აქვს ქართლის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (უნდა ვიგულისხმოთ, წინა ამირასთან განუწყვეტლივ ბრძოლებში); უკვე გადახდილი აქვს ომი კახეთის მთავარ გრიგოლთან, რომელსაც, როგორც ერთგული მოკავშირე, მხარში ედგა მაშინდელი ამირა თბილისისა... ერთი სიტყვით, როცა თბილისში ახალი ამირა დაჯდა, აშოტს შესრულებული ჰქონდა თავისი დიდი ამოცანის ძირითადი ნაწილი. ახლა მას უნდა გაემაგრებინა სამეფო, თანამიმდევრულად გაეტარებინა თავისი პოლიტიკა და, ხალიფას დამსჯელი ექსპედიციების მოლოდინში, რაც დროდადრო ყოვლისდამანგრეველი ქარიშხალივით გადაუვლიდა ხოლმე ჩვენს ქვეყანას, პოტენციური მოკავშირე შეეგულებინა.

თითქოს საოცარია, მაგრამ ისე დატრიალდა საქმე, რომ ხალიფას

დამსჯელი ექსპედიციები პირველად, და უფრო მეტი გაცოფებითაც, თვისივე მოხელეს — თბილისის ამირას შეუტევდა ხოლმე, რისხვად დაატყდებოდა თავს. ეს იმიტომ, რომ რაც დრო გადიოდა, თბილისის ამირა სულ უფრო და უფრო დამოუკიდებლად გრძნობდა თავს და გამომწვევად იქცეოდა, ხალიფას არ ეპუებოდა, ადგილობრივ მოსახლეობაში აკრეფილ გადასახადს სახალიფოში არ აგზავნიდა...

სახალიფოსა და თბილისის ამირას შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებამ საერთოდ დაძაბა და გაართულა მდგომარეობა (თუმცა ეს ერთგვარად საქმეს უადვილებდა ქართველებს). უკვე ძნელი გასარკვევი გახდა, ვინ მტერი იყო და ვინ მოყვარე, ან ვინ ვისა მტრობდა. თბილისის ამირა, — როგორც ქვეყნის დამპყრობელი და ხალხის მიწა-წყლისა და დოვლათის მიმტაცებელი, — რაღა თქმა უნდა, მტერი იყო მთელი საქართველოსი, და, ამდენად, მისი ცალ-ცალკე სამთავროებისა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სახალიფოს გადაუდგა და ხალიფა მტრად მოიკიდა, თბილისის ამირა იძულებული გახდა, დახმარება აქვე ეძებნა. აქვე შეეკოწიწებინა სამხედრო კავშირი რომელიმე მთავართან, სახალიფოსა და საქართველოს სხვა სამთავროების წინააღმდეგ.

ქსანზე გამართულ ომში რომ თბილისის ამირაც გამოდიოდა კახელ ქორეპისკოპოსთან ერთად აშოტის წინააღმდეგ, ეს შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. ეს გახლავთ სწორედ ის შეკოწიწებული სამხედრო კავშირი. მაშინ აშოტმა დაამარცხა ამირა-გრიგოლის შეერთებული მხედრობა. ამას მოჰყვა სხვა ბრძოლებიც და გამარჯვებებიც აშოტისა ამირას წინააღმდეგ: აშოტი ხომ სულ უფრო და უფრო აფართოებდა სამეფოს ტერიტორიას, თანდათანობით იბრუნებდა ქართლის მიტაცებულ მიწა-წყალს, თანდათან ავიწროებდა ამირას!

820 წლისთვის, როგორც ვნახეთ, აშოტს კარგა შორს გადაუწევია ქართლის საზღვარი და გარდაბანს მისდგომია.

გამოხდა მცირე ხანი და 830 წელს თბილისის ამირად ჩვენს ნაცნობ საჰაკ ისმაილის ძეს ვხედავთ.

აშოტი, რაღა თქმა უნდა, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, რა პოლიტიკას გაატარებს ახალი ამირა — შეურიგდება თავის დაპატარავებულ სამფლობელოს, რაც წინა მმართველმა უანდერძა, თუ გაიწ-გამოიწევს, კვლავ გაფართოებას მოინდომებს, ქართლის მეფის წინააღმდეგ დაძრავს ლაშქარს?

ბრძოლასა და სისხლის ღვრას საჰაკი, რაღა თქმა უნდა, არ მოერიდება, ამას დიდი ვარაუდები და გამოცნობა არა სჭირდება.

მაგრამ ახლა, როცა ხალიფა ზედიზედ აგზავნის დამსჯელ რაზმებს, გაბედავს კი საპაკი ძლიერი მეზობლის გადაკიდებას?

თუ მოერიდება და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამკვიდრებას არჩევს?

აშოტისთვისაც ჯერჯერობით ასე ჯობს, ეს უფრო ხელსაყრელია. ჯერ კარგად უნდა გამაგრდეს, სახალიფოს დიდი ლაშქრების მოსალოდნელი თავდასხმებიც მოიგერიოს...

და ასეთ ვითარებაში საპაკი მას თავის კაცს უგზავნის — სულ „პატარა რამესა" სთხოვს; ანჩის ეპისკოპოსი გარდაიცვალა და მის მაგივრად თავისივე გაზრდილ დიაკონს უგზავნის. ეს ხომ ახალი ამირას კეთილმეზობლური ჟესტია; იქნებ საგანგებოდაც მოგონილი, რათა თავისი ზრახვები პირდაპირ არ გაამჟღავნოს და შეფარვით ანიშნოს ქართლის მეფეს.

ასე მიიღებდა ამას ჭკვიანი მეფე.

იქნებ ჯაშუშადაც უნდა შეაპაროს ის კაცი საამიროს ცბიერმა მმართველმა. ესეც ექნებოდა გათვალისწინებული აშოტს... მაგრამ არ შეიმჩნია და მიიღო: ახალი ამირას კეთილმეზობლურად გამოწვდილ ხელს „მეგობრულადვე" შეაგება ხელი...

მერე, როგორც ვნახეთ, სულ აამტუტა უკეთურმა ეპისკოპოსმა ყველაფერი, ხალხს სიცოცხლე გაუმწარა.

და ის-იყო აშოტს მიმართეს მოთმინებადაკარგულებმა — გვიშველე, ეს გარეწარი მოგვაშორეო. თან ისეთი კონკრეტული ფაქტებიც უთხრეს, რომ მეფეც აღშფოთდა, და ბრძანა; მცხეთის კათალიკოსს შეუთანხმეთ და მოიშორეთო.

მაგრამ ჭირის მოშორება განა ასე ადვილია. ისევ თავის მფარველს მიაშურა გარეწარმა, და საპაკმაც ისევ აშოტს მიმართა ამ პატარა თხოვნით..

რა უნდა ექნა აშოტს? იმ დაძაბულ ვითარებაში ერთი გარეწრის გამო ძლიერი მეზობელი ქვეყანა გადაეკიდებინა? გონივრული იქნებოდა ესა?..

თამარ ლომოური სამართლიანად შენიშნავს, აშოტის ასეთი დათმობა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევიო.

რთული იყო მაშინდელი ცხოვრება, რთული მეფობა შეხვდა აშოტს და როცა ცალკეულ დეტალებს განვიხილავთ, ეს უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ.

ასე რომ, არა დაბეჩავებული ადამიანის შიშმა, არამედ სულ სხვა გარემოებამ აიძულა აშოტი, უკეთურ ცქირს დახმარებოდა.

ამით დავამთავროთ კიდეც აშოტზე საუბარი.

თავისი დღით სიკვდილი არც აშოტს არგუნა ბედმა.

ჯანღონით სავსე ვაჟკაცს მოესწრაფა სიცოცხლე.

ეს ასე მოხდა...

მაგრამ ჯერ ერთი სევდიანი ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ მისი პირადი ცხოვრებისა. ეს ეპიზოდი მოთხრობილი აქვს გიორგი მერჩულეს.

●

არ ვიცით, როდის ან რა ვითარებაში მოხდა ეს: აშოტს ქალი შეუყვარდა. უკვე ცოლშვილიანი იყო, როცა იმ ქალს შეხვდა და შეიყვარა. ეს არ ყოფილა უბრალო მოწონება, ან ჩვეულებრივი გატაცება. ეს იყო მგზნებარე, და იქნებ საბედისწეროც, სიყვარული, რომელმაც სიფრთხილე და თავისი მდგომარეობა დაავიწყა ვაჟკაცს და ქალი სასახლეში მიაყვანინა. მეჭურჭლედ დანიშნა, ანუ სამეფო განძეულობა ჩააბარა (მეჭურჭლე ძველად განძეულობის მცველს ერქვა).

ვასილ ბარნოვი თავის შესანიშნავ რომანში საინტერესოდ და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ხსნის მეფის სიყვარულის ამბავს. ოჯახური სითბო აკლდა საქვეყნო საქმეებით დატვირთულსა და გაწამებულ ვაჟკაცს. დედოფალი ძალიან ცივი და პატივმოყვარე ქალი იყო, ნამდვილ მეგობრობას ვერ უწევდა სახელოვან მეფეს...

მაგრამ ეს ბარნოვის რომანის მიხედვით...

მერჩულეს მოკლედ გადმოცემულ ამბავში კი ამ ქალს ჩვენ სასახლეში ვხედავთ, მეჭურჭლედ. ეს არის და ეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეფის სიყვარულის ამბავი გახმაურდა. სამეფო კარზე ჭორები ძალიან ადვილად და სწრაფად ვრცელდება ხოლმე. და რაკი სამეფო კარზე გავრცელდება, მალევე მთელ ქვეყანას მოედება.

ეს ამბავიც გახმაურდა, ყველას სალაპარაკო გახდა. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა საქმე, ჩვეულებრივი დინებით რომ წასულიყო. მაგრამ მეფის ყოველი მოქმედება და საქციელი ხომ ზნეობრივი მაგალითია ქვეშევრდომთათვის; მით უმეტეს, იმისთანა მეფისა, როგორიც აშოტი იყო — ყველასათვის საყვარელი, მზრუნველი, ქვეყნისა და ხალხის მოამაგე, სამშობლოსათვის თავგანწირული... ასეთი მეფის ცხოვრებისეულ მაგალითს დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა და ჩვეულებრივი დინებით ამ ამბავს არ მიუშვებდნენ. საქმე ზნეობას შეეხებოდა. ზნეობას კი, ჩვენ ვიცით, ამ მხარეში, და მთელს ქვეყანაშიაც, ცერბერივით ედგა ერთგული დარაჯი — სპეტაკი, მრისხანე, შეუპოვარი, არდამთმობი, ხალხის ზნეობრივი სიწმინდისთვის თავდადებული, სამშობლო ქვეყნის სიყვარულით გულანთებული...

და, ჩვენს საუკუნეთამხილველ მანქანას თუ მოვიმარჯვებთ, დავინახავთ შატბერდიდან არტანუჯისკენ მიმავალ უცნაურ მხედართა პატარა ჯგუფს. სახედრებზე ამხედრებულან და მიჩაქჩაქებენ. მოხუცი წინ მიდის და ორი უფრო ახალგაზრდა ცოტა მოშორებით მიჰყვება. სდუმან. ხმას ვერც გააგონებენ ერთმანეთს: გაზაფხულის ლანქერი გრგვინვით მოდის, ვეებერთელა ლოდებს მოაგორებს, კალაპოტი გაურღვევია და კლდოვან ნაპირებს ეხეთქება, მთელი ხეობა მის გრგვინვას გაუვსია. გაზაფხულის მაცდურ სითბოს გამოუტყუებია პირველი კვირტები და არემარე ნორჩი სიმწვანით შემოსილა. აქა-იქ ნუშისა და ტყემლის შეთეთრებულ ხეებსაც გაარჩევ; თეთრი თვალები შეუღიათ და ასევე გაქვავებულან, აღარ გადაპენტილან — პირველ მაცდურ სითბოს მალევე მოჰყვა ვერაგი სუსხი და ასე ოდნავ თვალშეღებული დატოვა.

ახლაც სუსხავს. დღე იწურება. მზე სქელ ღრუბლებს მოჰფარებია. დროდადრო წამოწინწკლავს და ისევ შედგება. შიგადაშიგ თეთრ ფანტელებსაც გამოურევს...

მხედრები მდუმარედ უახლოვდებიან არტანუჯს. თანაბარი ჩაქჩაქით გადაიარეს ჩვენი ნაცნობი არტანუჯის ხიდი და ფერდობს შეუყვნენ — გეზი სასახლისკენ აიღეს.

მოხუცის დაღარულ შუბლსა და სახეზე მტკიცე, შეუვალ გადაწყვეტილებასთან ერთად სინანულისა და ჭმუნვის ჩრდილსაც ვხედავთ. ეს უკიდურესი ნაბიჯი იყო და არ უნდოდა ამ ნაბიჯის გადადგმა გრიგოლ ხანძთელს. უყვარდა აშოტი, პატივსა სცემდა, მის ღვაწლს აფასებდა... და არ უნდოდა გული ეტკენინებინა. რამდენჯერ შეუთვალა, გაუშვი სიძვის ქალიო და მეფემაც აღუთქვა, „დედაკაცისა მის წარგზავნაი“, მაგრამ ვერ შეძლო, ვერ განუტევა, „რამეთუ დაემონა გულისთქუმასა“.

არ იმჩნევდა გრიგოლ ხანძთელი მღელვარებას, მაგრამ ნამდვილად ღელავდა, ციხე-სიმაგრეს რომ მიადგა. ჭიშკართან შედგა და მაშინვე მხლებლები მიეახლნენ, სახედრიდან ჩამოხდომა უშველეს. მეფე შორს ბრძანდებოდა წასული და სასახლე თითქოს

დაცარიელებულიყო. იმიტომაც შეარჩია ეს დრო გრიგოლმა — „პოვა ჟამი მარჯუეი, ოდესცა კურაპალატი შორს იყო“. ხანძთელმა გამოგებებულ მსახურს უბრძანა, მეჭურჭლე დედაკაცი მოიყვანეო. ყმაწვილი ქალი სიხარულით თვალებგაბრწყინებული მიეახლა გრიგოლს: ცოდვიანი იყო და წმიდა კაცის დალოცვა ცოდვას შემიმსუბუქებსო, იფიქრა.

მოხუცს ერთბაშად აღტაცებისა და სიბრალულის სირბილე გადაეფინა სახეზე — შეეცოდა ეს მშვენიერი ყმაწვილი ქალი; სიხარულსა და სიცოცხლეს ასხივებდა, თავად სიხარული იყო.

მაგრამ ეს ერთი წამით. ხელადვე მოეგო გონს, ხელადვე იაზრა, რომ სატანას საგანგებოდ შეერჩია — მშვენიერი, უცოდველი ქალიშვილის არსებაში ჩასახლებულიყო. ხანძთელმა მიახლოების ნება არ მისცა ქალს, ხელით ანიშნა, მოშორებით შეჩერდიო. საჭმელი გამოგვიტანეო, უბრძანა, და აქვე, დაბლა მოგვასვენეო. ქალმა სასახლეში შეიპატიჟა, მაგრამ გრიგოლმა მკვახედ უთხრა უარი.

დანაყრდნენ და დაბლა სადგომში მოისვენეს, ფიცრის მაგარ საწოლებზე.

ხოლო „ვითარცა განთენა, კუალად მიუვლინა კაცი, რაითა მივიდეს ხილვად მისა“.

და ქალიც გახარებული ჩამოვიდა, იფიქრა, ახლა მაინც ვეღირსები წმიდა კაცის დალოცვასაო, მხევლებიც ჩამოჰყვნენ.

გრიგოლმა ამჯერადაც შეაჩერა და შორს დასვა („ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაი“). მხლებლებსაც ანიშნა, თქვენც გამშორდითო. ქალის მხლებლებიც იქით გადგნენ.

და ახლა კი ტანმა უაზრა ქალს. გაფითრდა, ხელები ჩამოეშვა. უღონოდ ჩაიკეცა.

თითქოს წამით ისევ გადაურბინა სახეზე გრიგოლს სიბრალულის სხივმა.

მეჭურჭლე ქალის მხევლები ერთმანეთს მიჰკროდნენ, შიშითა თრთოდნენ, თანაგრძნობის ცრემლი სცვიოდათ, შორიდან შეჰყურებდნენ თავიანთ მშვენიერ ქალბატონს, გული მისაშველებლად მიუწევდათ, მაგრამ ღვთის მაღალ შიშს თითქოს ფეხები მოეკვეთა მათთვის...

გრიგოლის მხლებელი ახალგაზრდა ბერები მონუსხულებივით შეჰყურებდნენ ცხადში მოვლენილ სატანას, რომელსაც ძლიერი

ხელმწიფის ცთუნება მოეხერხებინა; უკვირდათ, უწმინდურმა სულმა მშვენიერ სხეულში როგორ დაიბუდაო. მალ-მალე გადაისახავდნენ პირჯვარს.

წამით ისევ გადაურბინა გრიგოლს თანაგრძნობისა და სიბრალულის სხივმა, ჩაფიქრდა... მერე თავი შეარხია, თითქოს ეს დაუპატიჟებელი გრძნობა უნდა მოიშოროსო, და მის წინ დაჩოქილ უბედურ ქალს, რომელსაც თვალები ცრემლით ავსებოდა, მკაცრად შეხედა...

მაგრამ ასევე მკაცრად კი ვერ უთხრა, გატეხილი ხმით მიმართა:

„ე, საწყალობელო! რაისათვის შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა“... ამ ცოდვას დაუმონებიხარ შენ და სხვაც გინდა აცთუნო, ეშმაკეულ ხაფანგად დაგებიხარ დიდ ხელმწიფეს...

და სათქმელი აღარ დაუმთავრებია გრიგოლს...

ქალს ერთბაშად წასკდა თვალებზე მომდგარი ცრემლები. გული ამოესკვნა. დიდხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება. ძირს ჩამხობილიყო და ქვითინებდა. გული რომ მოილბო ტირილით, თავი წამოსწია, განწირული ადამიანის გაბედულება მოიკრიბა და მდგომარეობისთვის შეუფერებელი სიმტკიცით მიმართა... გრიგოლს კი არა — სივრცეს, სივრცეს გაუშტერა თვალი:

„წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალი ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და აწ არაი უწყი, თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“.

თითქოს ამ სიტყვებს არ ელოდაო, ხანძთელი ერთბაშად დაიბნა, ქალის ხმამ შეაკრთო, თითქოს მიხვდა, რომ ამ ქალის სხეულში სატანა არ იყო დაბუდებული, იქნებ ეჭვის პირველმა ბზარმაც გაუარა მისი რწმენის შეუვალ ციხეს... სხვა პასუხი ჰქონდა გამზადებული და უცებ ვერ მოახერხა ხმის გაღება, სიტყვები ვერ შეარჩია. თავს ძალა დაატანა და ისევ გაბზარული ხმით მიმართა:

„შვილო ჩემო... იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა, და მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რაითა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს“.

მე მომენდეო, უთხრა, მე გითავდებებ ღმერთთან და იგი შეგინდობსო.

ქალმა კელავ განწირული ადამიანის სიმტკიცით მიუგო გრიგოლს, თითქოს პასუხი წინასწარ მოუმზადებიაო:

„წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაი იზრუნე“.

თითქოს ვიღაც სხვა ლაპარაკობსო, ქალის გულიდან არ ამოსულა ეს სიტყვები.

ახლა კი მიუახლოვდა წმიდა ბერი, და თითქოს მუხლებმაც პირველად უმტყუნეს — ნაბიჯი, პირველად თავის სიცოცხლეში, მტკიცე აღარა ჰქონდა — მიუახლოვდა და ჯვარი გადასახა. „აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა“...

ქალი უკვე ვეღარაფერს გრძნობდა.

გრიგოლი დაიხარა, წაღების შესაკრავი თასმა („თვისთა ხამლთა საბელი“) მოიძრო, ერთმანეთს გადააბა და ქალს გაუწოდა, წელზე შემოირტყიო.

ქალი წამოდგა, ისე გაიშვირა გაშეშებული ხელი, ვერცა გრძნობდა, რას აკეთებდა, ბერს საბელი გამოართვა...

მაგრამ მაშინვე დაუვარდა.

დაიხარა და ვერ დასწვდა. ისევ ჩაიკეცა. ხანძთელმა მხევლებს ანიშნა, საბელი შემოარტყითო. მხევლები კრძალვით მიუახლოვდნენ ქალბატონს, წამოაყენეს და საბელი წელზე შემოარტყეს.

გრიგოლმა მხევლებს ანიშნა, სასახლეში შედითო, და ქალს მიმართა:

„შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორებაი სულისა შენისაი, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიაის წინაშე მიგიყვანებ შენ“.

დედათა სავანეში უპირებდნენ წაყვანას, მთელს იმ მხარეში სიმკაცრით განთქმულ ფებრონიასთან.

მაგრამ ქალს ეს არ გაუგონია. საერთოდ, აღარაფერი ესმოდა. ისლა დაინახა, თითქოს ბურუსში, როგორ გაიშვირა ბერმა ხელი ჭიშკრისკენ. და ანგარიშმიუცემლად მიჰყვა ამ ნიშანს, ისე გავიდა ჭიშკრიდან, თითქოს უხილავი ძაფები მიათრევენო; და თვითონაც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევსო. ბერმა წინ გაიგდო საბელშემორტყმული სასახლის მეჭურჭლე და თვითონ უკან მიჰყვა. სახედარზე შეჯდომა არ ინება, ფეხით მიჰყვა ქალს.

ჩაიარეს ფერდობი, გავიდნენ ხიდზე... და თითქოს მდინარის ღრიალმა გამოაფხიზლაო, ახლაღა მოიხედა ქალმა, მომაღლოდ გადმომდგარ ციხესიმაგრეს მოავლო თვალი. წუთით შედგა. თვალი გაუშტერდა...

ნეტა თუ ხედავდა ახლა იგი იმას, რასაც გაოგნებული მისშტერებოდა — თხელი ნისლის ლეჩაქშემოხვეულ პეტრე-პავლეს

ტაძრის გუმბათს, ციხის ქონგურებზე ჩამოკიდებულ რძისფერი ნისლის ფთილებს, მორუხო ცის ტატნობის ფონზე ოდნავ მოქანავე სამეფო დროშას?!.

თუ ცარიელ სივრცეში მხოლოდ აშოტის ალერსიანად მოღიმარე სახე ელანდებოდა?!

ისევ მოჰკრა თვალი ბერის ხელს, რომელიც გრძლად გაჭიმული გზისკენ მიანიშნებდა, ნელა მობრუნდა და წავიდა.

●

ამ დროს კურაპალატი შორს იყო, ხანძთელის ცხოვრების მემატიანე გადმოგვცემს. ჩვენ არ ვიცით, სად იყო იგი წასული — მორიგ ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ, მოსალოდნელი ომების წინ საზღვრების გასამაგრებლად და დასაზვერად თუ მშვიდობიან დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე... იქნებ სულაც სანადიროდ იყო, ან მოყვრებში დროს გასატარებლად!..

არც ის ვიცით, როდის დაბრუნდა შინ ქართლის მეფე...

მაგრამ, როცა დაბრუნდა...

„ხოლო რაჟამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა“..

შეწუხდა ვაჟკაცი. დაღონდა...

და აღარც დაუხანებია. მოახტა ცხენს და ერთგული მხლებლების მცირე ჯგუფთან ერთად მერესკენ გაეშურა, დედათა მონასტერში (დედათა მონასტერი მერეში იყო, არტანუჯის ჩრდილოეთით).

დაღამებული იყო, მონასტრის ჭიშკარს რომ მიადგა მეფე.

ფებრონიამ დიდხანს ალოდინა ქვეყნის მბრძანებელი, რათა კარგად მიეხვედრებინა, რომ ეს წმიდა ადგილი, სადაც ახლა მეფე მობრძანდა, სულ სხვა სამყარო იყო და მის სამფლობელოში არ შედიოდა, სხვა მბრძანებელი ჰყავდა, არაამქვეყნიური მეუფე.

სენაკები ჩაბნელებული იყო. მხოლოდ ღვთისმშობლის ეკლესიიდან გამოკრთოდა მკრთალი შუქი, და იქიდანვე მოისმოდა წყვეტილი მწყობრი ბუტბუტი, რასაც დროდადრო ღვთის სადიდებელი საგალობელი ცვლიდა.

როდის-როდის გამოვიდა ფებრონია, მეფეს ღირსეულად მიეგება და ეკლესიაში შეიყვანა სალოცავად. ლოცვას რომ მორჩნენ, მონასტრის ჩაბნელებულ ეზოში გამოვიდნენ.

მეფე ღელავდა. ვერა და ვერ მოეხერხებინა თავისი სათქმელის თქმა, თუმცა წინასწარვე ჰქონდა მოფიქრებული, გონებაში აწონილ-დაწონილი. ჭიშკარს მოადგნენ, და თუ ახლავე არ იტყოდა მეფე თავის ძნელ სათქმელს, ეს მასიური კარი დაიხშობოდა და სამუდამოდ დააშორებდა საყვარელ ადამიანს.

ერთბაშად მოიკრიბა მეფემ გაბედულება:

„უწყი-მეა, დედაო. რაისათვის მოვედ აწ?..“

და გაუკვირდა, როცა თავისივე წარმოთქმული სიტყვები ჩაესმა ყურში. საკუთარი ხმაც ეუცხოვა და სიტყვებიც. სხვა ჰქონდა მოფიქრებული საუბრის დასაწყებად და სულ სხვა რამე კი თქვა.

ფებრონია სავსებით დამშვიდებული იყო და ასევე დამშვიდებით უპასუხა:

„უფალმან იცის, რაისათვის ჰბრძანე აქა“...

აშოტი ერთხანს სდუმდა. მისი ყურადღება სენაკებიდან გამომკრთალ სუსტ ათინათს შთაენთქა. ტაძრიდან გამოსული მონაზენები ნელ-ნელა იბუდებდნენ თავიანთ სენაკებში. წყვდიადში გახვეული ეზო თითქოს ციცინათელებმა გაავსეს. შიშისმომგვრელი მდუმარება გაიფანტა. აშოტის გაფაციცებულ სმენას ვიწრო სარკმლებიდან გამოჭრილი ბუტბუტი სწვდებოდა. სხვა დროსაც მოუსმენია მეფეს ეს ბუტბუტი და ყოველთვის ისე აღუქვამს, როგორც სინდისდამშვიდებულ ადამიანთაგან ერთი გრძნობით წარმოთქმული, გულის სიღრმიდან დაძრული და ცად ერთ ხმად აელენილი ღაღადისი, ადამიანის მოდგმის სამადლობელი მაღალი შემოქმედის სადიდებლად...

ახლა კი — პირველად თავის სიცოცხლეში — ვაჟკაცის ყური თითქოს არჩევდა და განასხვავებდა ვიწრო სარკმლიდან გამოსულ ხმებს, სენაკებში გამომწყვდეულ ადამიანთა განცდებს.

სხვადასხვა იყო ეს განცდები, საერთო მხოლოდ ისა ჰქონდათ, რომ ყველას თან ახლდა ადამიანური სევდა...

ეს სევდა თითქოს იმ ადამიანის მონოტონურ ბუტბუტსაც დაჰკრავდა, ვისაც უკვე მიეღწია უმაღლესი ნეტარებისთვის — ყოველგვარი ადამიანური ვნებათაღელვანი და განცდანი დაეთრგუნა, საკუთარი სული ეხსნა და ახლა, სასოებით, მთელი კაცთა მოდგმის ხსნასა სთხოვდა ღმერთს;

სევდა გარეოდა იმ ადამიანის დამცხრალ კვნესასაც, რომელიც ის-იყო დამორჩილებოდა ბედს და მტანჯველი სულიერი ტკივილები კი არ გაყუჩებოდა — დაჩლუნგებოდა მხოლოდ;

სევდა ახლდა იმ მღვრიე ბუტბუტსაც, რომლითაც აფორიაქებული

სული მძიმე ცოდვების მიტევებას ითხოვდა;

სევდა შერწყმოდა აბორგებული გულიდან აღმომხდარ პროტესტსაც, რომელსაც უმძიმდა უსამართლოდ დაკარგული ბედნიერების გამოგლოვა და ცოდვას ამრავლებდა, რაკიღა მორჩილი მონანიების ნაცვლად იმასა ცდილობდა გაერკვია, ვინ წარსტაცა ადამიანს უფლება, ამ მშვენიერ ქვეყანაზე საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს და ბედნიერებით დატკბეს...

მეფის ყურს პირველად ახლა სწვდებოდა სტერეოსკოპული სხვადასხვაობით, სხვათა სმენისთვის თითქოს ერთ საგალობლად შენივთებული ღაღადისი... ჩაბნელებულ სივრცეში ტალღებად მორიალე ხმებიდან ცდილობდა ის ხმა გამოერჩია, რომელიც მის შეკუმშულ გულს შვებად მოელამუნებოდა.

„ნეტა რომელ სენაკში?“...

მაგრამ ფიქრი არ დაუმთავრებია მეფეს, მოაგონდა, რომ ჯერ სენაკში, ასე თავისუფლად არ იქნებოდა მძიმე ცოდვებით დამძიმებული სული. ჯერ ალბათ ბნელ ჯურღმულში ჩააგდეს, სხეულის ხანგრძლივი გვემა და ძნელი სულიერი განწმენდა ელოდა.

და მთელი სხეული ასტკივდა მეფეს, უსიამოვნოდ გააჟრჟოლა...

„უფალმან იცის რაისათვის“...

იმავე მშვიდი ტონით შეახსენა ფებრონიამ, აგრძნობინა, რომ უკვე დადგა დრო, ერის მბრძანებელი თავის გზას დასდგომოდა და ხელი აღარ შეეშალა ამ ღვთისმოსავი ხალხისთვის, ზეციურ მეუფესთან გაებათ სხვათა ყურისთვის შეუგრძნობელი და მიუწვდომელი საუბარი.

ალბათ სიბნელეც დაეხმარა მეფეს, რომ ასეთი სიცრუე ეთქვა:

„ამის მიზეზისათვის იქმნა მოსლვაი ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წამოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი“...

იგრძნო, რომ ძალიან უხერხული ტყუილი გამოუვიდა, მაგრამ შეჩერებაც აღარ შეიძლებოდა. ღრმად ამოისუნთა და განაგრძო:

„აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

სიმწრის ოფლი დაასხა, სანამ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა. პირველად ალბათ მაშინ იგრძნო მწარე სინანული — რატომ მეფედ გაჩნდა და არა უბრალო ჯარისკაცად...

ჭიშკართან იდგნენ, და მეფის მახვილმა თვალმა სიბნელეშიაც

კარგად გაარჩია, გალავნის გარეთ თითქოს ერთ მუშტად შეკრული და ერთ ადგილზე გაქვავებული მხლებლების ჯგუფი. უბრალო ნიშანი იყო საჭირო, რომ მრავალ ბრძოლაში ნაწრთობ და მეფისთვის თავგანწირულ ვაჟკაცებს მთელი მონასტერი ქვა-ქვა დაერღვიათ... ქვესკნელშიაც რომ ჰყოლოდა ამ მონაზონს გადამალული მისი სულის ძვირფასი საუნჯე, იქიდან ამოეყვანათ... და მერე უკვე მდიდრულ სასახლესა და მრისხანე ციხე-სიმაგრეს აღარ დაგიდევდათ, სადმე ღარიბ ქოხშიაც სვებედნიერი და ნეტარი მეფე იქნებოდა, თავისივე თავის მეუფე და მბრძანებელი... მეფის ბუნდოვან ფიქრს ასევე ბუნდოვანი შიში შერწყმოდა, ვაითუ თავს ვერ მოვერიოო.

ღამის სიბნელეში მუშტადშეკრული მხედრების ჯგუფს ნეტარი ფებრონიაც შეპყურებდა და საოცარი ის იყო, რომ მანაც გაიფიქრა, მეფის მსგავსად: უბრალო ნიშანიღა იყო საჭირო — მეფისთვის თავგანწირული ვაჟკაცები ქვა-ქვა დაარღვევდნენ მონასტერს, ქვესკნელიდან ამოიყვანდნენ მეფის სულის ძვირფას საუნჯეს... მაგრამ ის მეორე ფიქრი აღარ შეპარვია ფებრონიას გულში: თანამოსაუბრეზე კარგად მან იცოდა, რომ მეფე თავს მოერეოდა. ამიტომაც მტკიცედ და გამომწვევადაც კი თქვა:

„მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა“.

ფიქრში გართულ მეფეს აღარ გაპკვირვებია მონაზვნის მკვახედ წარმოთქმული სიტყვები.

აშოტს შერცხვა და ვითარცა ძლეული დადუმდაო, გადმოგვცემს ხანძთელის მემატიანე: ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლიესო.

სირცხვილმა კი არა — იმის მწარე შეგრძნებამ დაადუმა, რომ ძლევამოსილი მეფე ამ გულქვა მონაზონთან უძლური აღმოჩნდა. იძულებული გახდა — გაცოფება, ბოღმა, ბრაზი და, რაც განსაკუთრებით მწარე იყო, თავისი ნაზი სიყვარული დაეთრგუნა... და, გამწარებულს, — თითქოს მძიმე ფიქრების გაგრძელებაო, — ესღა აღმოხდა:

„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“...

სიკვდილი ინატრა მეფემ.

არ ვიცით, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლა ქართლის მეფემ ამ სევდიანი ეპიზოდის შემდეგ... როდის გარდაიცვალა... რამდენი წლისა გარდაიცვალა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, როგორ მოკვდა იგი.

ეს ასე მოხდა... ასე გადმოგვცემს სუმბატ დავითის ძე.

არაბთა ერთ-ერთი თავდასხმის მოლოდინში აშოტი ლაშქრის შეგროვების თადარიგს შეუდგა („განვიდა, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა"). ეტყობა, სულ მალე მტრის დიდი ლაშქრის თავდასხმას ელოდა, რაკიღა თავად გადაწყვიტა მეფემ ცალკეული კუთხეების ჩამოვლა და მხედრობის შეგროვება. „მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე (სახელდობრ რა ადგილზეა ლაპარაკი, ჩვენ ეს არ ვიცით, არ ასახელებს მემატიანე) და განავლინა ლაშქრის მაწუეველნი"...

და ვიდრე ლაშქარს შეკრებდა, მეფეს თავს დაესხა მოსყიდული მეომრების ჯგუფი.

პირველი შეტაკების დროს, ეტყობა, გადარჩა მეფე, რომელსაც მცირე ამალა ახლდა. რაკი შეატყვეს, გაცლა სჯობსო, ცხენები მოატრიალეს და ნიგალისკენ აიღეს გეზი. ალბათ თავისი ციხე-ქალაქიდან ჩრდილოეთით იყო მეფე წასული და ნიგალს უფრო მალე მივიდოდა, არტანუჯი იქიდან მოშორებით იყო. ან იქნებ იმის იმედითაც, რომ ნიგალში უკვე შეკრებილი ეგულებოდა ლაშქრის ნაწილი.

ზამთარი იყო (იანვრის მიწურული), გზები თოვლს ჩაეჩუმქრა, ცხენები თოვლში იფლობოდნენ და სვლა ჭირდა.

სანამ ნიგალში ჩააღწევდნენ, კარგა ხანი გავიდა.

როგორც იქნა, ჩავიდნენ ნიგალს, თითქოს თავი დააღწიეს განსაცდელს, სამშვიდობოს მოხვდნენ.

და სწორედ აქ დატრიალდა ტრაგედია.

აშოტი ახლაღა მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება და საშინელი ღალატი მოეშზადებინათ.

ეგონა, მკვლელები უკან მოიტოვა — და აქ კი დახვდნენ.

ერთგული ხალხი დახვდებოდა ეგონა და მოღალატეები დახვდნენ.

სწორედ მათ შემართეს მახვილი მეფის წინააღმდეგ, ვისგან დაცვის იმედით აქეთკენ გამოეშურა („და წარმოემართნეს მოსლვად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს კლვად მისსა").

შეთქმულება კარგად იყო მომზადებული: აშოტს მხედართა ჰატარა ჯგუფი ახლდა („არა ჰყვა მას ერი თვისი, თვინიერ მცირედთასა.

ვერ წინააღუდგებოდა იგი მათ"), შეთქმულები კი ბევრნი იყვნენ. საითაც არ მიტრიალდა მეფე, ყველგან შემართული მახვილი შეხვდა. ერთგული მხლებლები, ეტყობა, ამასობაში დაუხოცეს, როცა ისინი მოღალატეთა ალყად შემორტყმულ მეომრებს იგერიებდნენ. ხსნა არსად ჩანდა...

იქვე ეკლესია იყო.

გადმოხდა მეფე ცხენიდან და ეკლესიაში შევარდა. ალბათ იმის იმედითაც, რომ ეკლესიაში ხელს არ ახლებდნენ.

ტრაგედია სწორედ ეკლესიაში დატრიალდა. წამოეწივნენ მდევრები მეფეს და საკურთხეველზე, ზედ საკურთხეველზე მოკლეს...

კი არ მოკლეს — დაკლეს!..

დაკლესო, მემატიანე გადმოგვცემს; დაკლეს ვითარცა ცხოვარიო და საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა შეისვარაო; მისი დათხეული სისხლი დღესაც საჩინო არისო...

მეორე მემატიანე უფრო გამოკვეთით უსვამს ამას ხაზს:

„და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების, ვითარცა ახალი".

როგორც ვიცით, ეს ტრაგედია მეცხრე საუკუნის დასაწყისში დატრიალდა, ზემოთ მოტანილი სიტყვები კი მეთერთმეტე საუკუნის მემატიანეს ეკუთვნის!

მეთერთმეტე საუკუნეშიაც სცხებია ორასამდე წლის წინათ დანთხეული სისხლი საკურთხეველს!

არ გადარეცხეს სისხლი. ზედვე დატოვეს. როგორც სამარცხვინო ლაქა, რომელიც ყოველ შეხედვაზე შეაძრწუნებდა ადამიანს. როგორც გაფრთხილება. როგორც ზნეობრივი გაკვეთილი, რომელიც ყველას შეახსენებდა, რომ სამშობლოსთვის თავდადებულ მოღვაწეს, ხალხის კეთილდღეობისთვის თავგანწირულსა და თავდადებულს, ერის გადარჩენისა და გაერთიანებისთვის დაუცხრომელ მებრძოლს ასე არ შეიძლება მოექცე...

მემატიანე შემდეგ მოგვითხრობს, როგორ გავარდა ხალხში აშოტის მუხანათურად მოკვლის ხმა. როგორ დაიძრა დოლისყანაში შეკრებილი ლაშქარი, როგორ წამოეწივნენ შეთქმულებს ჭოროხის ნაპირას და „მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთა ერთი მათგანი".

სისხლი გახდა საჭირო, რომ გამოფხიზლებულიყვნენ.

აშოტი არტანუჯში წაასვენეს და თავისივე აშენებულ ეკლესიაში დაკრძალეს. დიდის ამბით დაიტირეს. უკანასკნელი ვალი

მოიხადეს. ქვეყნის კეთილდღეობისთვის დაუცხრომელი მოღვაწე, მუხლჩაუდრეკლად, ქარქაშში ხმალჩაუგებლად მებრძოლი დამაშვრალი ვაჟკაცი, რომელსაც სიცოცხლეში მოსვენება არ ღირსებია, სამუდამო განსასვენებლად მიწას მიაბარეს. თითქოს სიკვდილი იყოს აუცილებელი, რათა ღვაწლმოსილი ადამიანის მიმართ მადლიერება გამოიჩინო და საკადრისად დააფასო!

ვინ მოკლა ქართლის მეფე აშოტ დიდი კურაპალატი?

იქვე, სადაც ეს ამბებია მოთხრობილი, მემატიანე კონკრეტულად გვისახელებს მკვლელებსაც: „მოიკლა... აშოტ ხელითა ოროზ-მოროზის ძეთათაო“.

თითქოს კონკრეტულად გადმოგვცემს, მაგრამ ჩვენთვის დღეს არაფრის მთქმელია ეს სახელები. ვინ იყვნენ „ოროზ-მოროზნი?“, შეთქმულება ვინ მოამზადა? ან როგორ მზადდებოდა შეთქმულება?

ვინც უნდა ყოფილიყვნენ აშოტის მკვლელები, რასაკვირველია, არაბთაგან იყვნენ მოსყიდულნი და მოგზავნილიო, შენიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი.

შემდეგი დროის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აშოტი დაძაბული კლასობრივი ბრძოლების მსხვერპლი გახდა. იგი ფეოდალებმა მოკლეს, თავისივე ქვეშევრდომებმა.

ეს ვარაუდები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, ერთმანეთს ავსებენ. სწორედ ეს ფეოდალები მოისყიდეს არაბებმა. აშოტის მოკვლის შემდეგ მომხდარი მოვლენები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ არაბების ეს ლაშქრობა კარგად იყო მომზადებული და ორგანიზებული. მათ იცოდნენ, რომ აშოტის პოლიტიკას — ქვეყნის გაერთიანებასა და მძლავრი სახელმწიფოს შექმნას — ბევრი მტერი ჰყავდა ქვეყნის შიგნითვე. ესენი იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები, წვრილი მთავრები და აზნაურები, რომელთაც არა საერთო-ეროვნული, არამედ საკუთარი, ვიწრო-პირადული ინტერესები ამოძრავებდათ. მათ სულაც არ აძლევდათ ხელს გაერთიანებული ქვეყნის არტახებში ყოფნა და მეფის ქვეშევრდომობა. პატარა სამთავროებად დაქუცმაცებულ-დაფლეთილი ქვეყანა ერჩივნათ, მეტი თავისუფლება ექნებოდათ, თავაშვებული მოქმედების მეტი სარბიელი, ავკაცობის მეტი უფლება, გამდიდრების მეტი საშუალება. ასეთია ფეოდალური ურთიერთობის ხასიათი, მისი სოციალური არსი. იგი დამახასიათებელია საერთოდ ფეოდალიზმისთვის, ყველა ქვეყნის ფეოდალებისთვის და გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც ჩვენი ქვეყანა ყოფილა.

თავი III

რას მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძის ქრონიკა

ბულა თურქის შემოსევა ✦ შეუპოვარი გუარამ მამფალი ✦ ჯავახეთის კრება. სისხლიანი ბრძოლები აშოტ კურაპალატის შთამომავალთა შორის ✦ „ქართველთა მეფე“ ადარნასე, აშოტ კისპასი – ბრძოლა არტანუჯისთვის ✦ ბანა და ტბეთი ✦ არაბთა კიდევ ერთი შემოსევა 914 წელს და გობრონის გმირობა ✦ ისევ შინა ბრძოლები ✦ აფხაზთა მეფე გიორგი მეორე საკუთარ შვილსა კლავს ✦ გაჭიანურებული ბრძოლები ეგრის-აფხაზეთის მეფეებისა და კახეთის მეფე კვირიკე მეორეს შორის.

ვისაც სურს თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს ფეოდალურ ურთიერთობათა ცოცხალი სურათი, მისთვის საინტერესო იქნება ჩახედოს სქემას, რომელსაც სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით ადგენენ ხოლმე. ეს არის სქემა იმ ბაგრატიონთა შთამომავლობის შტოისა, რომელთაც მეცხრე-მეათე საუკუნეებში უცხოვრიათ.

სანამ ასეთ სქემას შეადგენდა, ივანე ჯავახიშვილმა დაუფარავი გაკვირვებით შენიშნა — სუმბატ დავითის ძის ქრონიკა საგვარეულო მატიანის საკუთარი სახელების, თანამდებობათა და ქრონიკების თავბრუდამსხმელი თაიგულიაო... მკითხველს თვალი უჭრელდება ამდენი სახელებითა და თარიღებით... ვინ როდის დაიბადა, როდის მიიღო ესა თუ ის პატივი და ხელისუფლება, რამდენი შვილი ჰყავდა და რა ერქვა თითოეულ მათგანსო...

თითქმის ამასვე იმეორებს კორნელი კეკელიძე: ეს ქრონიკა თავბრუდამხვევი ციფრებითა და სახელებით არის დამძიმებულიო.

სქემაზე თითქოს უფრო მკაფიოდ და გარკვევით გამოისახა ყველაფერი — სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში მოხსენიებულ

ადამიანთა მემკვიდრეობითი თანმიმდევრობა, ნათესაური ურთიერთობანი, საზოგადოებრივი მდგომარეობა...

და მაინც გიჭირთ გარკვევა, ისეა ყველაფერი ერთმანეთში გადახლართული... იმდენი ერთნაირი სახელი დახვავებულა აქ ადამიანებისა, რომელთაც თითქმის ერთსა და იმავე დროს უცხოვრიათ!.. იმდენი აშოტი, სუმბატი, ადარნასე, ბაგრატი, დავითი... დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ერთმანეთში არ აგერიოს... [1]

აგერ, დასაწყისშივე: აშოტ დიდის სამი შვილიშვილი პაპის სეხნიები ყოფილან და ერთ დროს უცხოვრიათ... ქვემოთაც — ესე იგი, მომდევნო თაობებშიაც — ხშირად ხვდებით ამ სახელს. კიდევ კარგი, ზოგისთვის აშოტ კუხი შეურქმევიათ, ზოგისთვის — აშოტ კისკასი, აშოტ კეკელაი... მართალია, ეს სამი აშოტი სხვადასხვა თაობისანი ყოფილან, მაგრამ უამზედმეტსახელებოდ გარჩევა მაინც გაგიჭირდებათ...

ახლა სუმბატი!

თავშივე ერთი სუმბატი არტანუჯელად მოიხსენიება... ესეც შვილიშვილია აშოტ დიდისა, ერთ-ერთი აშოტის — აშოტ კეკელაის — ძმა.

---

1. უკვე მერამდენედ ვახსენეთ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა და მკითხველისთვის ჯერ არ გვითქვამს, რას წარმოადგენს იგი.

„ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს ესათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძმამ დავითისამან“. ასეთია სრული სათაური იმ ქრონიკისა, რომელსაც „დედანში უჭირავს 13 ფურცელი ნახევართაბახიანი ქაღალდისა მოსხო და მოლამაზო მრგვალი მხედრულის ხელით ნაწერი“. ეს სიტყვები ექვთიმე თაყაიშვილის „სამი ქრონიკიდან“ არის ამოწერილი — მან შეისწავლა პირველად ეს ძეგლი. ქრონიკა შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში.

ამრიგად, სათაურიდანაც ჩანს, ქრონიკა ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიაა — იწყება ბაგრატიონთა წარმოშობით და მეთერთმეტე საუკუნემდე მოდის. სუმბატ დავითის ძე — ავტორი ქრონიკისა — მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწეა, როგორც ვარაუდობენ, თვითონვე ბაგრატიონი, და მას უკისრია თავისი გვარის ისტორიის შედგენა; ძნელი დასადგენია, საკუთარი ინიციატივით თუ ვინმეს დავალებით. ავტორს გამოუყენებია სხვა წყაროები, უპირველეს ყოვლისა, „მოქცევაი ქართლისაი“, და ქრონიკის ლაკონიურობა და შეკუმშულობაც ამით აიხსნება. ბოლო ამბები კი, რისი მომსწრე თვით ავტორი ყოფილა, უფრო ვრცლად არის გადმოცემული. ამ შეკუმშულობის მიუხედავად, ქრონიკას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეცნიერები. „არსად სხვაგან, სხვა ქართულ ძველ დროის რომელიმე საისტორიო წყაროში ამდენი ქრონოლოგიური ცნობები არ მოიპოვება. ამ მხრივ მას სწორი არა ჰყავს“, წერს იოანე ჯავახიშვილი.

აგერ, მეორე სუმბათიც იმ სუმბათ არტანუჯელის ძმისწული. ესეც არტანუჯელია.

ქვემოთაც აგერ, ისევ სუმბატი და ისევ არტანუჯელი. ეს უკვე იმ პირველი სუმბატ არტანუჯელის შვილიშვილია....

და უფრო ქვემოთ, სულ ქვემოთ, კიდევ ერთი სუმბატი — ესეც არტანუჯელი! ეს უკვე ზემოთნახსენებ შვილიშვილ სუმბატ არტანუჯელის შვილიშვილია... თუმცა ამ სუმბატს კიდევ აქვს ერთი განმასხვავებელი — კლარჯიც ყოფილა. არტანუჯელიც და კლარჯიც!..

აქვე სხვა დეტალიც მოგხედებათ თვალში. კიდევ ერთი პირობითი ნიშანი გვაუწყებს, რომ ეს სუმბატ კლარჯი — იგივე სუმბატ არტანუჯელი — საპყრობილეში მომკვდარა...

საპყრობილეშივე მომკვდარა მისი ძმაც — გურგენ კლარჯი...

პირობითი ნიშანი ვახსენეთ. ამ სქემაზე გამოსახულ ისტორიულ პირებს სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც ამკობენ — ზოგს პაწაწინა ბურთული თუ წრე, ზოგს — ასევე პაწაწინა სამკუთხედი, ზოგს – კვადრატი... ეს ნიშნები გვაუწყებენ, რომ ზოგნი მაგისტროსები ყოფილან, ზოგნი კურაპალატნი (ჩვენ უკვე ვიცით; ამ წოდებებს ბიზანტიის კეისარი ურიგებდა თავის ერთგულ ხალხს), ზოგიც მამფალი...

ეს ბოლო წოდება კი გეუცხოვათ! „მამფალი“ თითქოს ქართულადა ჟღერს, ქართულ სიტყვასა ჰგავს... ქართული უნდა იყოს.

ასეც არის.

მაგრამ რა აზრს გამოხატავს?

დაბეჯითებით ვერ ამბობენ, რა აზრს გამოხატავს. სხვადასხვაგვარად განმარტავენ. დიმიტრი ბაქრაძე შენიშნავს, სიტყვა „მამფალი“ „მეფიდან“ არის ნაწარმოებიო: რაკი მეფობას ვერ ეღირსნენ, დაუოკებელი პატივმოყვარეობა იმით დაიკმაყოფილეს, რომ „მამფალი“ უწოდეს თავს, ფონეტიკურად მიამსგავსეს ქვეყნის დიდ მბრძანებელს თავიანთი ახალი სახელი და ამით თითქოს ცოტათი ამაღლდნენ!

ეს მხოლოდ ვარაუდია. ზოგი არ იზიარებს ამ ვარაუდს, სხვაგვარად ხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას: „მამა-უფალსა“ ნიშნავსო. ეს თითქოს უფრო ჰგავს სინამდვილეს. მაგრამ ზემოთ მოტანილი ვარაუდი იმით არის საინტერესოც, რომ სქემაზე გამოსახული ხალხის ამბიციურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ამ ხალხის ხასიათს გვიჩვენეს; საერთოდ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და

ურთიერთობის ხასიათს. ამ ხალხის დაუოკებელ პატივმოყვარეობას, ამბიციებს...

ზემოთ რომ პაწაწინა წრეებითა და სამკუთხედებით ნაგულისხმევი წოდებები ვახსენეთ, კურაპალატისა და მაგისტროსის წოდებები (ასეთ წრეებსა და სამკუთხედებს ბევრს შენიშნავთ სქემაზე — უხვად ურიგებიათ ბიზანტიის იმპერატორებს), როგორა გგონიათ, ამ წოდებებს ისე ღებულობდნენ? მშვიდობიანად და თავის შეუწუხებლად? არც კი ელოდნენ, ისე მიართმევდა ბიზანტიის იმპერატორი? [1]

რა ბრძანებაა! თავს იკლავდნენ! გულს ასკდებოდნენ. ერთმანეთს არ ინდობდნენ. სისხლს ანთხევდნენ. თავიანთივე სისხლს — ძმისა და ძმისშვილის სისხლს. ესენი ხომ ერთი კაცის შთამომავლები არიან, აშოტ დიდის შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... სქემაზე გამოსახული მთელი ეს დიდი შტო აშოტ კურაპალატიდან მოდის. მას ვხედავთ სქემის თავში... და მერე თანდათანობით იშლება და იტოტება შთამომაელობის ხე.

ერთი კაცის შთამომავლები არიან, მაგრამ დანდობა არ იციან ერთმანეთისა. ყველაფერი ეწირება განდიდების ჟინსა და სურვილს, რამაც ზომა არ იცის, რასაც საზღვარი არა აქვს. დაუოკებელ პატივმოყვარეობას ეწირება ყველაფერი.

ქაღალდის პატარა ფურცელზე გამოსახულ სქემას რომ დასცქერი და თითქოს უწყინარ, არაფრისმთქმელ სახელებს კითხულობ, იქვე უნდა იგულისხმო, რომ თითოეული ამ სახელის პატრონი — ფეოდალია, ფეოდალის მოუსვენარი გული უბორგავს მკერდში, ფეოდალის ხარბი და ამღვრეული თვალებით იყურება, სულ იმის

1. ბიზანტიის იმპერატორებს კი რაღად სჭირდებოდათ ამ ტიტულების უხვად ძლევა? მეზობელი სახელმწიფოს მმართველთა და მთავართა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოსდიოდათ ეს? ან ერთგულების წილ მადლიერების გრძნობის გამოსახატად? იქნებ ასეთი შემთხვევებიც იყო. მაგრამ უმთავრესად სულ სხვა მიზანი და დანიშნულება ჰქონდა ამ წყალობასავით ბოძებულ ტიტულებს. ბიზანტიის იმპერატორები მარჯვედ იყენებდნენ ამ ტიტულებს, თავიანთი ძველისძველი პოლიტიკის თანმიმდევრულად გასატარებლად. მეზობელი და მოსაზღვრე სახელმწიფოს გაძლიერებასა და შეკავშირებას უშლიდნენ ამით ხელს. მოძმეთა შორის შუღლს თესავდნენ და აღვივებდნენ. როგორც კი შენიშნავდნენ, იმ დიდი შთამომაელობითი შტოს რომელიმე რგოლში შეკავშირდნენ, და საშიშროება შეიქმნა, მრისხანე ძალად არ იქცენონ, მაშინვე გაგზავნიდნენ თავიანთ რწმუნებულს და დიდი საზეიმო რიტუალების დაცვით ერთ-ერთ მთავარს რომელიმე საკარისკაცო ტიტულს უბოძებდნენ — ამას აამაღლებდნენ, სხვებს კი შურით გულზე გახეთქავდნენ და ძმათა შორის განხეთქილებას ჩამოაგდებდნენ. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს ამისთანა ფაქტებს.

ცდაშია, სხვისი ტერიტორია შემოიერთოს და თავისი გააფართოოს, მეზობელს დამოუკიდებლობა წაართვას და ვასალად გაიხადოს, დაამციროს, გაქელოს... ფეოდალის დაუცხრომელი ენება წარმართავს მის მოქმედებას.... თავისი ამბიციური მიზნის მისაღწევად არაფერს არ ითაკილებს და არ მოერიდება, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ძნელსა და ხიფათიან გზაზე ძმას არ დაინდობს, სისხლის მორევს დააყენებს...

ზემოთ რომ ვთქვით, ეს სქემა ცოცხალ წარმოდგენას შეგვიქმნის ფეოდალურ ურთიერთობათა შესახებო, რაღა თქმა უნდა, იმასაც ვგულისხმობდით, რომ ასეთი წარმოდგენის შესაქმნელად სხვა ისტორიული წყაროები და საბუთებიც უნდა მოვიშველიოთ და აღვადგინოთ კონკრეტულ ფაქტებში გამოვლენილი ურთიერთობანი სქემაზე მოცემულ ცალკეულ პირთა შორის.

●

ამ სქემის გაშიფვრა ძალიან დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს. ჩვენ სქემის ზოგიერთ მონაკვეთს მივაქციოთ ყურადღება. ჯერ დასაწყისი, სულ ზემოთა ნაწილი გადმოვიტანოთ ქაღალდზე.



როგორც ვხედავთ, სამი მემკვიდრე დარჩენია აშოტს — ადარნერსე, ბაგრატი და გუარამი. შვილიშვილი, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტი ჰყავდა, იმ დიდ სქემაზე რვა შვილიშვილია მითითებული. ჩვენ აქ არ გადმოვიტანეთ. მხოლოდ სამი შვილიშვილი გადმოვიტანეთ, რადგან ის ტრაგედია, რომელიც ქვემოთ უნდა გიამბოთ, სწორედ ამათ შორის დატრიალდა...

ქრონიკაში ვკითხულობთ, რომ მოკლეს თუ არა აშოტი, სამეფოს უდიდესი ნაწილი მაშინვე წაართვეს არაბებმა უწლოვან მემკვიდრეებს („რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისთა, წარულეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითა"). თუ „შინა ქვეყანად" ტაო-კლარჯეთის იმ კუთხეს ვიგულისხმებთ, სადაც მეფის ოჯახი აღმოჩნდა გამომწყედეული, მაშინ გამოდის, რომ არაბებს მთელი „გარეთ ქვეყანა" — ესე იგი, საკუთრივ ქართლი და ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი წაულიათ. ეტყობა, მართლაც საგულდაგულოდ მომზადებულიყო მტერი, კარგად დაუზვერავს და გაურკვევია ყველაფერი; მერე ადგილობრივი ფეოდალები მოისყიდეს, მეფე მოაკვლევინეს და იმავე ფეოდალების დახმარებით ამოდენა ტერიტორია წაართვეს.

სანამ სრულწლოვანები გახდებოდნენ, ძმები არტანუჯის ციხეში იზრდებოდნენ, და მორჩილად იხდიდნენ ხარკს. მაგრამ ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვითა და სხვადასხვა ისტორიული ფაქტის ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. ზემოთ ნახსენებ ცნობას რომ გადმოგვცემს მემატიანე, იქვე დასძენს: „ხოლო რაჟამს სრულ ასაკ იქმნეს იგინი, კუალადცა მოსცა ღმერთმან მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა".

მემატიანე მარტო აშოტის მემკვიდრეების დავაჟკაცებას უკავშირებს არაბთაგან ცოტა ხნის წინათ წართმეული მიწა-წყლის უკანვე დაბრუნებას. ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ და დავსძინოთ, რომ თვითონ არაბების მდგომარეობა იყო ამ დროს შერყეული, წინააღმდეგობა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ცალკეულ საამიროებს — ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თბილისის საამიროს — შორის სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. დაპყრობილი ხალხები სარგებლობდნენ მტრის შინაგანი დაძაბულობით და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. აშოტის მემკვიდრეებმაც ბევრჯერ მარჯვედ გამოიყენეს არაბთა შინაგანი წინააღმდეგობა.

როგორც უკვე ითქვა, სამი მემკვიდრე დარჩა აშოტს და საკვირველი კი არის, რომ მამის ტახტზე უფროსი ვაჟიშვილი — ადარნერსე — კი არ ავიდა, არამედ შუათანა. აშოტის შემდეგ ბაგრატს ეხედავთ ჩვენ ტაო-კლარჯეთის კურაპალატადა და მეფედ.

გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, ბაგრატი ძმებში გამოირჩეოდა ჭკუითა და სიქველით და ძმებისვე სურვილით მოხდა, რომ ტახტზე სწორედ ის ავიდაო. თუმცა იქვე დასძენს — აგრეთვე „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაითაო"...

როგორც ვიცით, აშოტის სიკვდილის შემდეგ განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა: უწლოვანი შვილები დარჩა მეფეს და რაკი ტახტზე შვილებს არავინ შეეცილა, რაკი კანონიერი მემკვიდრის დავაჟკაცებას დაუცადეს, თან ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობასაც თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ სამეფო კარზე მოუთმენლად ელოდნენ, როდის მოელებოდა ბოლო ქვეყნის უმეფობასა და უპატრონობას, როდის დავაჟკაცდებოდა ტახტის კანონიერი მემკვიდრე (ადარნერსე), როდის მიაღწევდა იგი სრულწლოვანებას...

მაგრამ რა მოხდა? დავაჟკაცდა უფროსი ძმა — ტახტის კანონიერი მემკვიდრე — და თითქოს სულაც არ ეჩქარებათო, ახლა მეორე შვილის დავაჟკაცებას დაელოდნენ, ამით მემკვიდრეობითი წესიც დაირღვა და უმეფობაც კიდევ უფრო გაგრძელდა. აი, ეს იწვევს გაკვირვებას.

რატომ მოხდა ასე? რატომ წაერთვა მემკვიდრეობის უფლება ადარნერსეს? ისედაც რთულსა და დაძაბულ საერთაშორისო სიტუაციაში რატომ გაახანგრძლივეს უმეფობის არასასურველი პერიოდი, რატომ დატოვეს კიდევ რამდენიმე ხნით ტახტი და ქვეყანა უპატრონოდ? ეს კითხვები წამოიჭრება უნებურად და ეს იწვევს გაკვირვებას.

მაგრამ იმ ერთ ფრაზას თუ დავაკვირდებით — „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაითაო" — იქნებ უფრო ადვილად ავხსნათ ყველაფერი. სწორედ ეს მომენტი ჩანს ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ფაქტის ასახსნელად, თუ რატომ საშუალო ძმა ავიდა ტახტზე. ჩანს, საბერძნეთის იმპერატორი ყოფილა დაინტერესებული, რომ სწორედ ბაგრატი ასულიყო მამის ტახტზე და არა ადარნერსე. ალბათ უფრო სასურველი კანდიდატურა იყო მისთვის ბაგრატი. უფრო იცნობდნენ, უფრო ენდობოდნენ, ბიზანტიის ორიენტაციის გამტარებლად მიაჩნდათ... ვინ იცის, იქნებ სწორედ ბიზანტიის სამეფო კარზე იზრდებოდა ბაგრატი; იქნებ იმპერატორისავე ნათლული იყო (აშოტი ხომ დაახლოებული იყო ბიზანტიის იმპერატორთან!)...

ამ ფაქტს ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, როგორი რთული იყო მაშინ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება და რამდენი რამ არის გასათვალისწინებელი, როცა იმ შორეულ დღეთა გაცოცხლებას მოვინდომებთ...

ასე იყო თუ ისე, მამის ტახტზე ავიდა არა ადარნერსე, არამედ ბაგრატი.

ეს ერთი უცნაურობა თუ თავისებურება, რაც ბაგრატის გამეფებასთან არის დაკავშირებული.

მეორე თავისებურება ის არის, რომ ძმები — ადარნერსე და გუარამი მეფის ჩვეულებრივ ვასალებად კი არ გვევლინებიან, არამედ ერთგვარ თანამმართველებად. პაელე ინგოროყვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ასე განსაზღვრავს მაშინდელი ქართლის სახელმწიფოს სამეფო პოლიტიკურ ორგანიზაციას:

„სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე-კურაპალატი ბაგრატი.

ხოლო მისი თანამმართველნი ადარნერსე და გუარამი იყვნენ მმართველებად:

პირველი (ადარნერსე) იყო მმართველად კლარჯეთისა;

მეორე (გვარამი) იყო მმართველად ქვემო ქართლისა (ტაშირისა, თრიალეთით და აშოცით) და აღმოსავლეთ-მესხეთისა (ჯავახეთ არტაანისა)“...

ასეთი განსაზღვრის საშუალებასა და საფუძველს გიორგი მერჩულესეული დახასიათება გვაძლევს. მერჩულე გადმოგვცემს, რომ ძმებს სასურველი ურთიერთობა ჰქონიათ ერთმანეთში, შეხმატკბილებულად უმოღვაწიათ (განხეთქილება და ფეოდალური ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სამკვდრო-სასიცოცხლო შუღლი მომდევნო თაობებში იწყება).

ის მწირი ცნობებიც კი, რაც ჩვენამდე მოღწეულა, საშუალებას გვაძლევს, სასურველი სიცხადითა და ცოცხლად წარმოვიდგინოთ ამ ისტორიული პირების სახელმწიფოებრივი მოღვაწეობაცა და ადამიანური თვისებებიც.

ადარნერსე უფერული ფიგურაა და არავითარი განსაკუთრებული თვისებით არ გამოირჩევა, საინტერესონი არიან მომდევნო ძმები — ბაგრატი და გუარამი.

ბაგრატი მართლაც ჭკვიანი პოლიტიკოსი და დიპლომატი გამოდგა. როგორც ვნახეთ, ძალიან არასახარბიელო მემკვიდრეობა მიიღო მან. მამის მოკვლის შემდეგ, ფაქტიურად, არტანუჯში გამოკეტილი აღმოჩნდა. მთელი ქართლი და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი მტერს ჰქონდა წაღებული. როცა უფლისწული ტახტზე ავიდა, ადვილად წარმოსადგენია იმ ფეოდალთა გამომწვევი მოქმედება, რომელთაც მამა მოუკლეს ბაგრატს, ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მმართველის წინააღმდეგ შემართეს მახვილი... ბაგრატს წართმეული მიწა-წყლის დაბრუნებისა და მამისეული დიდი პოლიტიკური უფლებებისა და გავლენის კვლავ მოსაპოვებლად მარტო თბილისელი ამირას წინაა-

ლმდეგ კი არ ელოდა მეტად ძნელი ბრძოლა, არამედ ამ თავგასული ფეოდალების ასალაგმადაც, რომლებიც, ბუნებრივია, ბაგრატის ტახტზე ასვლისთანავე განამტკიცებდნენ კავშირს ამირასთან...

ასეთ ვითარებაში ქვეყნის ახალგაზრდა მმართველმა აირჩია ყველაზე უფრო რთული გზა, რაც დაკავშირებული იყო უდიდეს რისკთან. მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი კარგად ჰქონდა მოფიქრებული ახალგაზრდა კურაპალატს და გაუმართლა კიდეც. იმიტომაც მოახერხა, ძალიან მოკლე დროში, მიტაცებული ტერიტორიის კვლავ შემოერთება და მამისეული ძალაუფლების აღდგენა.

ბაგრატი კარგად მიხვდა, რომ ვერავითარი შინაგანი ძალით ვერ მოახერხებდა ადგილობრივ ფეოდალთა და ამირას კოალიციის დამარცხებას. და, აი, ახალგაზრდა მმართველი ცდილობს სახალიოსა და თბილისის ამირას ურთიერთწინააღმდეგობა გამოიყენოს, კავშირს ამყარებს სახალიფოს დიდ დამსჯელ ექსპედიციასთან, რომელიც იმხანად ხშირად ეწვეოდა ხოლმე საქართველოს. არაბების წინააღმდეგ არაბებთანვე ჰკრავს კავშირს.

ძალიან რისკიანი ჩანს ეს გზა, მაგრამ იმ ვითარებაში, ეტყობა, ერთადერთი ხსნა იყო.

ბაგრატმა კარგად გაითვალისწინა, რომ ასეთი კავშირი ხალიფას საგანგებოდ გამოგზავნილი სარდლისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა. დროც ხელსაყრელი შეარჩია ასეთი კავშირის დასამყარებლად.

ისტორიაში კარგად არის ცნობილი, რომ 10-12 წლის განმავლობაში, ჯერ 829 წელს, და მერე ზედიზედ 840-42 წლებში სამჯერ ეწვია საქართველოს დიდი დამსჯელი ექსპედიცია ხალიდ იაზიდის ძის სარდლობით. ექსპედიციის მიზანი იყო, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ურჩი მოსახლეობის — ქართველების — დარბევაც და, ამასთან, ალაგმვა თბილისის თავგასული ამირასი, რომელიც აღარ ეპუებოდა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ისე გათამამდა, რომ მოსახლეობაში აკრეფილ ხარკსაც კი აღარ აგზავნიდა ხალიფასთან.

ექსპედიციამ მაინცდამაინც დიდი წარმატებით ვერ შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა — ვერც ამირა ალაგმა და ვერც ადგილობრივი მოსახლეობა დააშინა. ხალიდ იაზიდის ძის პირველი ლაშქრობის შემდეგ, მართალია, შეცვალეს თბილისის ამირა, ახალი კაცი დანიშნეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ახალი ამირა — ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი საპაკი — კიდევ უფრო ურჩი და თავნება გამოდგა, კიდევ უფრო გამომწვევად იქცეოდა და მეტად

საეჭვო კავშირსა კრავდა ადგილობრივ მოსახლეობასთან — კერძოდ, კახელებთან, კახეთის მთავართან. ამიტომ იყო რომ 840-42 წლებში ზედიზედ ორჯერ შემოესია საქართველოს თავისი ლაშქრით ხალიდი. ეს იყო ზემოთ ნახსენები სამი შემოსევიდან მისი მეორე და მესამე ლაშქრობა. ამჯერადაც თითქმის უშედეგოდ. ხოლო მესამე ლაშქრობა (მესამედ განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჯარი ჩამოუყვანია სარდალს) საბედისწეროც გამოდგა არაბი სარდლისთვის. იგი მოკლეს სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთსო, ზოგადად გვამცნობს ქართველი მემატიანე. სომეხი ისტორიკოსი უფრო აკონკრეტებს — სოფელ ხოზაბირაშიო. აშკარაა, ხიზაბავრა უნდა იყოს, ასპინძის მახლობლად. ხიზაბავრაში მოუკლავთ არაბი სარდალი).

დიდ დამსჯელ ლაშქარს მაშინვე დაუნიშნეს ახალი სარდალი, მოკლული ხალიდისავე შვილი მოპმედი, ანუ მოპამედი, როგორც ამას ზოგიერთი ვარიანტი გადმოგვცემს.

და სწორედ ამ მოპმედის მოკავშირედა ვხედავთ ბაგრატს.

რა კონკრეტულ ვითარებაში მოხდა ასეთი კავშირის დამყარება, რა დიპლომატიური მოლაპარაკება უძღოდა წინ, ცნობილი არ არის. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა მაპმადიანი სარდალი სიამოვნებით დათანხმდებოდა ბაგრატის შეთავაზებულ მოკავშირეობას. მამის სიკვდილმა იგი დაარწმუნა, რომ ამ უცხო ქვეყანაში მას უსათუოდ სჭირდებოდა ადგილობრივი მოკავშირე, მით უმეტეს, ისეთი ცბიერი და ურჩი ამირას წინააღმდეგ ბრძოლების დროს, როგორიც თბილისის მაშინდელი ამირა იყო. ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამხედრო დახმარებისა და მოკავშირეობისთვის ბაგრატს ქართლის წართმეული ტერიტორიის დაბრუნებას შეპპირდებოდნენ. სარდალი და თვით სახალიფო ამით არაფერს კარგავდნენ: ქართველი მთავრის ხელში იქნებოდა ეს ტერიტორია თუ ურჩი ამირას ხელში, მათთვის სულერთი იყო. პირიქით, ასეთ პირობებში ალბათ ერჩივნათ კიდეც ქართველი მთავარი. მიტომაც შეპპირდნენ წართმეული მიწა-წყლის დაბრუნებას, და, როგორც უკვე ვიცით, ეს პირობა შეასრულეს.

პავლე ინგოროყვას ვარაუდით, ამ დროისთვის, ესე იგი, 842 წლისთვის, როცა ბაგრატი არაბ სარდალს მოპმედს „მოერთო", წართმეული ტერიტორიის ერთი ნაწილის დაბრუნება უკვე მოესწრო ქვეყნის ახალგაზრდა მმართველს; კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებისა, მესხეთის მხარეებისა. ამჟამად მან დაიბრუნა შიდა ქართლი.

გადამწყვეტი ბრძოლა უფლისციხის გათავისუფლებისთვის მომხდარა.

აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება:

იმ ვითარებაში ქართველებს არ შეიძლებოდა ეფიქრათ ქვეყნის დედაქალაქის გათავისუფლებაზე. თბილისის დათმობა იმას მოასწავებდა, რომ არაბებს სულ აღმოეკვეთათ ფეხი საქართველოდან და, საერთოდ, მთელი ამიერკავკასიიდან, ეს კი ჯერჯერობით არ მოხერხდებოდა. ამისი პერსპექტივა არა ჩანდა. ზემოთ ნახსენები დამსჯელი ექსპედიციები სახალიფოსი თბილისის ამირას მხოლოდ იმიტომ ებრძოდნენ, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ურჩობისთვის დაესაჯათ გამდგარი და თავგასული მოხელე, ჩამოეგდოთ და ახალი დაენიშნათ, მათი მორჩილი და გამგონე, მათთვის ხარკის შემგროველელი, მათი პოლიტიკის გამტარებელი.

ამდენად, როცა ჩვენ ელაპარაკობთ არაბ სარდლებთან ბაგრატ ქართველთა კურაპალატის მოკავშირეობაზე თბილისის ამირას წინააღმდეგ, ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს არაბთაგან თბილისის გათავისუფლებისა და ჩვენი ძველი დედაქალაქის დაბრუნების იმედი ჰქონოდეს ქართველ მმართველს. არა, მან, რაღა თქმა უნდა, იცოდა, რომ თუნდაც დაემარცხებინათ ძველი ამირა, იქ უსათუოდ ახალი ამირა დაჯდებოდა. ქართველ მმართველს მხოლოდ მამის დროს მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნების იმედი უნდა ჰქონოდა და ამისთვის უნდა ებრძოლა.

ხოლო ასეთ ვითარებაში, როცა დედაქალაქის გათავისუფლების შორეული პერსპექტივაც კი ჯერჯერობით არ ისახებოდა, ძალიან დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იბერიის უძველესი და განთქმული ქალაქის უფლისციხის გათავისუფლებას. არტანუჯი მაინც შორს იყო საკუთრივ ქართლიდან. ხოლო მას, ვისაც ქართლის მმართველობა სურდა, საკუთრივ ქართლში უნდა ჰქონოდა ძლიერი დასაყრდენი.

უფლისციხის გათავისუფლებას უფრო ფართო მნიშვნელობაც ჰქონდა. უკვე აშკარად იგრძნობოდა გაძლიერებული ქართული სამთავროების — ეგრის-აფხაზეთისა და კახეთის — ლტოლვა ქართლისაკენ, მოსალოდნელი „ბრძოლები ქართლსა ზედა“...

ზემოთ ერთხელ ვთქვით, ვისაც საქართველოსა და მთელს კავკასიაში ჰეგემონობა მოუნდებოდა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს გულს — ქართლს — უნდა დაუფლებოდა. ეს ყველას კარგად ჰქონდა შეგნებული. და, ვიმეორებთ, ამ ვითარებაში, როცა თბილისის გათავისუფლება ჯერჯერობით მიუღწეველი იყო, უდიდესი

პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა ენიჭებოდა უფლისციხის აღებას და უფლისციხეში გამაგრებას.

ქართლის ახალგაზრდა მმართველის პოლიტიკის სისწორე და შორსმჭვრეტელობა სწორედ ის იყო, რომ მან თავიდანვე გაითვალისწინა ეს.

ახალდანიშნულ არაბ სარდალს ბაგრატმა უფლისციხის გათავისუფლება მოსთხოვა. და მართლაც, გენერალური ბრძოლა უფლისციხის მისადგომებთან მოხდა. აქ შეება ბაგრატისა და მოჰამედის შეერთებული მხედრობა თბილისის ამირას, რომელსაც ამჯერადაც კახეთის მთავარი ეხმარებოდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ უბრალო მოკავშირეობის გარდა, კახეთის მთავარს ამჟამად თავისი ძალიან გამოკვეთილი მიზნები ჰქონდა.

„მატიანე ქართლისა“ ასე აგვიწერს ამ ბრძოლას:

„გამოვიდა საპაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეხს. ხოლო მოჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე. და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საპაკისა; შებნეს რეხს და იყო ბრძოლა მათ შორის“...

როგორც ვხედავთ, ბაგრატსა და მოჰამედს დაუსწრიათ და მანამ საპაკი თბილისიდან მაშველ ჯარს მიიყვანდა, გაუტეხიათ უფლისციხის გარნიზონის წინააღმდეგობა, აუღიათ ციხე-ქალაქი. დაგვიანებულ საპაკს შემოუვლია და კახეთის მაშველი მხედრობის მოლოდინში რეხს დაბანაკებულა, გორის ჩრდილოეთით.

რაკი ბაგრატ-მოჰამედის შეერთებულმა მხედრობამ უფლისციხის აღება და შიგ გამაგრება მოასწრო, მათი საქმე, რაღა თქმა უნდა, გაადვილებული იყო. ეტყობა, ფიცხელი და შეუპოვარი ბრძოლა ჰქონდათ, და დიდხანსაც გაგრძელდა ეს ბრძოლა... მაგრამ საპაკი ველარაფერს გახდა, უფლისციხე ბაგრატს დარჩა.

მართალია, მემატიანე იქვე შენიშნავს, „არცა იგინი გაიქცეს და არც იგინი, ვიდრემდის გაიყარნესო“... ესე იგი, ვერც ერთი მხარე ვერ იძლია, ბრძოლის ბედი ასევე გადაუწყვეტელი დარჩაო. მაგრამ ეს ალბათ შეეხება არა უფლისციხის ბედს, არამედ საპაკის საბოლოოდ დამარცხებას და განდევნას.

ეს მართლაც ვერ მოუხერხებიათ. ზავი შეუკრავთ. საპაკი ისევ დარჩა თბილისის ამირად. მაგრამ ბაგრატმა თავისი საქმე გააკეთა: მან დაიბრუნა უფლისციხე და მთელი ქართლი.

ხალიფა, რაღა თქმა უნდა, დაუსჯელს არ დატოვებდა თავგასულ ამირას, რომელიც ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდის შემდეგ, უნდა

ვიგულისხმოთ, კიდეე უფრო გათავხედდებოდა. სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება ალბათ ელოდა ხელსაყრელ დროს ურჩი მოხელის ასალაგმად.

და, აი, ხალიფა მუთავაქილის მიერ სომხეთის დიდი აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნილი სარდალი ბუღა თურქი, „ზღვის ვეშაპად" წოდებული, მას შემდეგ, რაც იგი სომხეთს დაარბევს, თბილისსაც მოადგება. ამჯერად თბილისის ამირას დასასჯელად და საქართველოს მხარეების დასარბევად. ეს მოხდა 853 წლის აგვისტოში.

ქართველი მემატიანე მოკლედ გადმოგვცემს ამ ლაშქრობის ამბავს: „მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილებდა ამირა საკ: მოკლა საკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი".

უფრო მეტი ცნობები შემოუნახავთ თვითონ არაბ და სომეხ მწერლებს. ამ წყაროების მიხედვით ასეთი სურათი ცოცხლდება.

853 წლის აგვისტოს დასაწყისში, სომხეთში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ, ბუღა თბილისს მოადგა თავისი დიდი ლაშქრით. ჯარი ორად გაპყო, გამოცდილი სარდლები ჩაუყენა სათაეში და სხვადასხვა მხრიდან შეუსია ქალაქს. თვითონ, მცირე რაზმით, თბილისის აღმოსავლეთით გორაკზე ავიდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მსვლელობას.

მრისხანე მხედართმთავარმა რომ ნახა, ზღუდეშემოვლებულ ქალაქში კარგად გამაგრებული ამირა ძნელი დასამარცხებელი იყო, უკიდურეს ზომებს მიმართა.

ვახტანგისა და მისი მემკვიდრის მიერ ქალაქისთვის შემოვლებული ქვითკირის დიდი ზღუდე წინა პერიოდის ბრძოლების დროს დანგრეულიყო და მომდევნო დროის მმართველებს თავდაცვითი ზღუდეები ხისა აეშენებინათ. სახლებიც ქალაქში უმთავრესად ხისა იყო. ამას ხელადვე მიაქცია ყურადღება გამოცდილმა და სასტიკმა მხედართმთავარმა და გადაწყვიტა თბილისისთვის ხანძარი გაეჩინა. ეს არც გასჭირვებია: ცეცხლმტყორცნი ისრები შორიდან დააშენინა ქალაქის ზღუდეებისა და სახლებისთვის.

მწველი ზაფხული იდგა. მზე ისედაც ცეცხლს უკიდებდა ხის მსუბუქ სახლებს. მისწვდა თუ არა ცეცხლოვანი ისარი კვარიევით გამომშრალ ფიჭვის ფიცრებს, ხელადვე აბრიალდა. და დაიძრა ულმობელი ცეცხლის ტალღები, მთელ ქალაქს მოედო, ყველა უბანსა და ქუჩაში შეიხედა, ყველა სახლს მისწვდა მისი მწველი და ყოვლისმომსპობი სუნთქვა.

ბრძოლა წაგებული იყო.

რაც არ უნდა ურჩი და ჯიუტი ყოფილიყო თბილისის ამირა, ამაში ადვილად დარწმუნდებოდა. წამოიხურა თავზე სიასამურის მოსასხამი და შვილთან ერთად სამხრეთის კარისკენ გაიქცა, იმედი პქონდა, რომ აქედან უფრო ადვილად მოახერხებდა გაპარვას სამშვილდისკენ (ცოლი და ოჯახის წევრები, ადრევე გაიყვანა სამშვიდობოს).

სიასამურწამოსხმული გაიქცა, მაგრამ მაინც იცნეს და გაქაჩეს.

საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთექვსმეტე რომ მიიპარებოდა აჯანყებული პარიზიდან, გადმოცემის მიხედვით, გრძელმა ცხვირმა გასცა. ცხვირით იცნეს და მაშინვე გადმოაბრძანეს ეტლიდან თითქოსდა ქალაქგარეთ სასეირნოდ გამგზავრებული უბრალო მოქალაქე. „ესეც შენი გასეირნებაო", აღმოხდა თურმე მეფეს.

საპაკის „გასეირნება" გაცილებით უფრო ძველი დროის ამბავია და არ შემორჩენილა ცნობა, მას რა სიტყვები აღმოხდა შეპყრობის შემდეგ. ან ისიც ცხვირით იცნეს თუ არა. მაგრამ ისე არც ამირას ცნობა გასძნელებიათ — მეტისმეტად შეუხედავი და მახინჯი კაცი იყო თურმე და ხელადვე იცნეს. ჩია ტანის მოხუცი იყო, მსუქანი და დიდთავა, თმას მუქი ბასმით იღებავდაო, არაბი ისტორიკოსი ტაბარი გადმოგვცემს.

დატყვევებული ამირა შვილთან ერთად ბულას მიჰგვარეს.

თბილისი კი ამ დროს იფერფლებოდა. არაბი ისტორიკოსების ცნობით, ორმოცდაათი ათასი კაცი დაიღუპა იმ დღეს! უნდა ვიფიქროთ, ცოტა ვინმე თუ გადაურჩებოდა მძვინვარე ხანძარს. ისიც ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი გახდებოდა ქალაქის აღდგენა და იქ კვლავ სიცოცხლის დამკვიდრება.

როგორც უკვე ითქვა, ეს მოხდა 853 წლის 5 აგვისტოს. ეს ნაღვლიანი ცნობა ატენის სიონის ძველისძველმა წარწერამ შემოგვინახა:

„თთოვიესა აგოვისტოსსა ე-სა (ხუთსა), დღესა შაბათსა ქორონიკონსა ო-გსა (ე. ი. 853 წელს): ისმაიტელთა წელსა სლ-თსა ტფილისი დაწოვია ბოვიღა და შეიპყრა ამირაი საპაკ და მოკლა: და მასვე თთოვიესა აგოვისტოსსა კ-ვსა (ოცდაექვსსა) დღესა შაბათსვე ზირაქ შეიპყრა კახაი და ძეი მისი „თარხოვიჯი".

ასეთია ქრონიკის სიმშრალით გადმოცემული (და იქნებ სწორედ ამ სიმშრალის გამო სულისშემძვრელი) ცნობ ., რომელიც ატენის კედელზე წაუწერია ოსტატს, როცა დედაქალაქის აოხრების ამბავი გაიგო.

იქნებ მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იყოს თვითონ ურჩი ამირას ბედიც.

ამ უშნო კაცს სილამაზით შემკული ცოლი ჰყოლოდა, საბირის მფლობელის ქალიშვილი. ქალმა ერთგულება გამოიჩინა და ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული, ქმრისა და შვილის გამოსახსნელად, თავისი ფეხით მიადგა ბუღას.

ისტორიკოსები არას ამბობენ, საჩუქრებმა მოხიბლა თუ არა მრისხანე მხედართმთავარი, ქალის სილამაზით კი ნამდვილად მოხიბლულა. და ამანვე დააჩქარა ალბათ ისედაც განწირული საპაკის სიკვდილი. ტლანქ მეომარს ბევრი აღარ უფიქრია: რაკი ამ ლამაზი ქალის შერთვა გადაწყვიტა, მის ქმარს ხელადვე მოჰკვეთა თავი...

ბუღამ გადამწვარ თბილისში ახალი ამირა დასვა.

მაგრამ ბრძოლაში მარტო საპაკი კი არ დამარცხებულა — როგორც ვნახეთ, მტერმა თბილისი გადაწვა, თავისი ორმოცდაათი ათასი მცხოვრებლით. და, რაღა თქმა უნდა, გვეჩოთირება ამ საშინელებაში ქართველი მმართველის მონაწილეობა, მისი მეტად საჭოჭმანო მოქმედება. ჩვენ მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ, იმის განსჯას კი, რამდენად სწორი იყო ბაგრატის მოქმედება, ვერ შეეუდგებით, თუნდაც მასალების სიმწირის გამო.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ამ ბრძოლაში საპაკის მოკავშირედ აფხაზთა მეფეს თეოდოსსა ვხედავთ. იქნებ იმიტომ, რომ ტაო-კლარჯეთის მთავრის გაძლიერება ეგრის-აფხაზეთის მეფეს ცოტა არ იყოს აშფოთებს. იქნებ ამიტომაც საგანგებოდ შენიშნავს მემატიანე, რომ ბუღამ თეოდოსის წინააღმდეგ თავის სპასალარს ბაგრატიც გაატანა: „...ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა (როცა თეოდოსის გამოლაშქრების ამბავი გაიგო), წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა“...

ამჯერადაც გამარჯვება ბაგრატსა ხვდა.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ძმები — ადარნერსე და გუარამი — თანამმართველებად ჰყავდა ბაგრატს. ადარნერსეს კლარჯეთის მხარე ერგო, ხოლო გუარამს — თრიალეთი. ისიც ითქვა, რომ ადარნერსეზე განსაკუთრებული ცნობა არ შემოუნახავს ისტორიულ წყაროებს. ეტყობა, იგი არაფრით გამოირჩეოდა.

გუარამი კი მეტად საინტერესო და კოლორიტული ფიგურაა. შექსპირის პერსონაჟებს მოგაგონებს. და გასაკვირია, რომ ჩვენი მწერლობა ჯერ ამ ისტორიული პიროვნებით არ დაინტერესებულა. შექსპირი ვახსენეთ. ერთ ისტორიულ ქრონიკაში შექსპირს გამო-

ყვანილი ჰყავს ახალგაზრდა ფეოდალი, მეფე ჰენრი მეხუთის დაუძინებელი მტერი ჰენრი ჰოტსპური — ფიცხი, შეუპოვარი, ენებადაუოკებელი ვაჟკაცი, რომელმაც დათმობა და უკანდახევა არ იცის. უნებურად ეს პერსონაჟი გაგონდება, როცა გუარამსა და მის შვილზე ფიქრობ. თუმცა შექსპირის გმირისგან განსხვავებით, გუარამმა უფრო მეტიც იცოცხლა და მეტი საქვეყნო საქმეებიც გააკეთა. იმ ინგლისელ ფეოდალზეც გაცილებით უფრო განათლებული კაცი იყო. მაგრამ ერთის მხრივ იმდენად თვალში საცემია გუარამის სიფიცხე, შეუპოვრობა და ენებადაუოკებლობა და, მეორე მხრივ, ისე ცოცხლად აქვს დახატული თავისი გმირის ხასიათის ეს თვისებები ინგლისელ მწერალს, რომ უნებურად გინდა ერთმანეთს შეადარო ეს ორი ისტორიული პირი, რომელთაგან ერთს — გუარამს — გაცილებით უფრო ადრე უცხოვრია, იმ პერიოდში, რომელსაც ისტორიკოსები ადრეფეოდალურ ხანას უწოდებენ, ხოლო მეორეს — ჰოტსპურს — გვიან, ფეოდალიზმის აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანაში, საქართველოდან ძალიან დაშორებით. მაგრამ ორივენი ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის შვილები არიან, და საინტერესო ის არის, რომ, ეროვნული განსხვავებულობის მიუხედავად, მაინც როგორ საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. და ჩვენც იმიტომ გაგვახსენდა ინგლისელი ფიცხი ფეოდალი, რომლის ცოცხალი სახე დიდ მწერალს შემოუნახავს, რათა მიგვენიშნებინა, სოციალურ ფორმაციასაც როგორი თავისებური „გენები“ აქვს.

როცა ძმების თანამმართველობაზე ვლაპარაკობთ, თავისთავად იგულისხმება, რომ ისინი ერთ სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ. გუარამიც თავგამოდებით იღვწის მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისთვის, მთლიანი ქართლის აღდგენისთვის. და საკმაო ტერიტორიასაც იპყრობს. „ხოლო გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი,“ გადმოგვცემს მემატიანე. ძმებსაც უწილადებს ამ დაპყრობილ ტერიტორიას — „განუყენა ქუეყანანი ძმათა თვისთა ადარნასეს და ბაგრატს“.

მაგრამ გუარამისთვის უცხოა ის მოქნილი და ფრთხილი პოლიტიკა, რითაც მისი უფროსი ძმის ბაგრატის მთელი მოღვაწეობა გამოირჩევა. გუარამის ხმალს ქარქაში არ უნახავს — იგი გამუდმებით ებრძვის მტერს, ყველგან და ყოველგვარ პირობებში. ზავი და კომპრომისები არ იცის — ან იმარჯვებს, ან მარცხდება: „ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა“.

სამი შვილი ჰყავდა აშოტს და მამის რთული ხასიათი თითქოს

გაინაწილეს მათ. აშოტი შეუპოვარი კაცი იყო, მამაცი მეომარი, მტკიცე, შეურყეველი და გაუტეხელი... მაგრამ როცა ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა, მოქნილი პოლიტიკის გატარებაც შეეძლო; ვნახეთ კიდეც, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას თბილისის ამირა საჰაკთან... მისი ხასიათის ეს მხარე თითქოს ბაგრატს გამოჰყვა. გუარამი საოცარი სიმტკიცითა და შეუპოვრობით ჰგავდა მამას... ადარნერსეზე ბევრი ცნობა არ შემოუნახავს წყაროებს, მაგრამ მერჩულეს მოთხრობას როცა გავიხსენებთ, უფროსი შვილის ბიოგრაფია თითქოს სამიჯნურო გატაცებით დამსგავსებია მამისას... და იმითაც, რომ მის პირად ცხოვრებაშიაც ეკლესია ჩაერია.

როგორც ითქვა, გუარამი განუწყვეტლივ ებრძვის თბილისის ამირას, და ებრძვის ამირას მტერსაც, ამირას დასასჯელად გამოგზავნილ სარდლებს.... რადგან მისთვის ისიც და ესეც დამპყრობია, ორივე მტერია, ხოლო ერთ-ერთ მტერთან დროებით დაზავება და მისი გამოყენება მეორე მტრის წინააღმდეგ გუარამს არა სწამს!

ებრძვის საჰაკს და ამავე დროს ებრძვის საჰაკის დასასჯელად მოსულ ბუღას.

გუარამმა სომეხ ერისთავთან შეკრა კავშირი (უკვე ითქვა, იმის წინათ რა მხეცურად გაუსწორდა დამპყრობელი თავისუფლებისთვის მებრძოლ სომეხ ხალხს, და გასაგებია, რომ ასევე თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველი მთავარი ადვილად გამონახავდა საერთო ენას მეზობელ ხალხთან). მთიულებს შეუთვალეს, გზები შეჰკარით და თბილისის აოხრების შემდეგ მთისკენ დაძრული ბუღას ლაშქარი არ გაატაროთო. და კარგი დღეც აყარეს მრისხანე სარდალს!

აქვე გავიხსენოთ სომეხი მემატიანის თომა არწრუნის ცნობა (აქ შემოკლებით მოგვაქვს, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია უფრო დაწვრილებით გაეცნოს ელენე ცაგარეიშვილის თარგმანში, რომელსაც მთარგმნელისავე გამოკვლევაც ერთვის).

როგორც ვნახეთ, თბილისის აოხრების შემდეგ გამარჯვებით ფრთაშესხმული ბუღა კახეთისკენ დაიძრა.

მაგრამ უკვე გზის დასაწყისშივე ისეთ წინააღმდეგობას და უსიამოვნებას წააწყდა, რომ გამოცდილი სარდალი მალე დარწმუნდა — გაუჭირდებოდა, იოლად ვერ მიაღწევდა საწადელს და თითქოს დიდსულოვნება გამოიჩინა, მშვიდობიანი წერილი გაუგზავნა კახელებს (წანარებს), მაგას ნუ იზამთო, შეუთავალა, ხალიფის მორჩილებას ნუ დაარღვევთო, გული მოიბრუნეთ და ჩვენც პატივით მიგიღებთო.

ნუ დავივიწყებთ, რომ წანარებს ამ დროს გუარამი მეთაურობს.

პასუხის ღირსიც არ გახადეს მრისხანე სარდალი. მოციქულები გალანძღეს და კინწისკვრით გამოაგდეს, სასტიკადაც სცემესო, სომეხი მემატიანე გადმოგვცემს. „თვითონ კი მთებში გადავიდნენ... და განემზადნენ საბრძოლველად... დაიკავეს და ჩაკეტეს ციხე-საცავები და ხეობის გასასვლელები... მაშინ სარდალმა ბულამ უბრძანა თავის ჯარებს, საბრძოლველად გასულიყვნენ... ბულას ჯარები 19-ჯერ და უფრო მეტჯერაც შეებრძოლნენ წანარებს. დამარცხდნენ, ამოწყდნენ და შემცირდნენ სამეფო ჯარები წანართა ჯართაგან და გამობრუნდნენ სირცხვილეულნი, გაწბილებულნი, აბუჩად აგდებულნი და ძლიერ დამტვრეულნი“.

გამობრუნდნენო, ასე გადმოგვცემს სომეხი მემატიანე, მაგრამ ამასაც სჭირდება დაზუსტება: იქით ცხენებით წაბრძანდნენ, გამობრუნება კი (ვინც გადარჩა, რაღა თქმა უნდა) ფეხით მოუხდათ.

სანამ მთებში ბრძოლები იყო გაჩაღებული, თოვლი ჩამოყარა. ცხენები დაიმშნენ. მერე მთაში სადღაც იელს წააწყდნენ და მიაძღნენ ეს დამშეული პირუტყვები. ამას უკვე ქართველი მემატიანე გადმოგვცემს. იელმა იმსხვერპლა ცხენები – ერთიანად გაწყდა („დაიხოცა ფრიად“)...

არაბების ცხენებს აშკარად არა სწყალობდათ ბედი. ჯერ იყო და, მურვან ყრუს დაუხრჩო ჩვენმა ცხენისწყალმა ათიათასობით ცხენი. ახლა კი მეორე მრისხანე სარდლის მხედრობა ჩავარდა ამნაირ დღეში.

ერთი სიტყვით, ვეღარ შეაღწიეს კახეთში, დამარცხდნენ, მთიელებმა გაიმარჯვეს – „მოსცა ღმერთმან ძლევა და მოკუდა ურიცხვი ერი სარკინოზთა“ (ესეც ჩვენი მემატიანის სიტყვებია).

მტრის შიშის ზარი გახდა გუარამი. გრიგალივით დაპქროდა მთელს ქვეყანაში, რისხვად მოევლინებოდა ხოლმე დამპყრობლებს.

ზემოთ მოთხრობილი ბრძოლების შემდეგ გავიდა მცირე ხანი და ერთი მეტად კურიოზული ამბავი მოხდა.

თბილისის ამირად ვიღაც გაბულოცი დანიშნეს, „საპაკის მონათაგანიო“ — მემატიანე გადმოგვცემს. ეტყობა, დიდი გაბღენძილი ვინმე ყოფილა ეს გაბულოცი, ცხვირი მაღლა პქონდა აბზეკილი, ბუზს არ იკარებდა. მემატიანის სიტყვები — „განდიდებულ იყო გაბულოციო“, მარტო „გაძლიერების“ მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ ამ ახალი ამირას ადამიანური თვისებების

დასახასიათებლადაც უნდა ვიგულისხმოთ ალბათ. გაფხორილი და გაბერილი დადიოდა, გამომწვევად იქცეოდა.

ეტყობა, ძალიან გაულიზიანებია გუარამი ამპარტავან ამირას: ერთ მშვენიერ დღეს, თავისი ერთგული მხლებლებით, — რომლებიც განუყრელად თან ახლდნენ ხოლმე ბრძოლებში თრიალეთის მამაც მამფალს — გუარამი თავს დაესხა გაბღენძილ ამირას და გაიტაცა.

თბილისის ამირა გაიტაცა!..

ესეც არ აკმარა — ცხენზე გადაჰკიდა და კონსტანტინოპოლში წააბრძანა — ბიზანტიის იმპერატორს მიართვა ეს უცნაური ძღვენი. საქვეყნოდ მოსჭრა თავი.

●

ზემოთ რომ ვთქვით სინანულით გუარამ მამფალზე, ჩვენი მწერლობა ამ მეტად კოლორიტული ისტორიული პიროვნებით ჯერ არ დაინტერესებულაო, ამას დაზუსტება სჭირდება. ლაპარაკია მომდევნო დროის ლიტერატურაზე. მერჩულეს კი თავის მოთხრობაში, მართალია, ეპიზოდურად, მაგრამ ძალიან ცოცხლად ჰყავს გუარამი დახატული.

ერთ ეპიზოდში გუარამ მამფალი უპირისპირდება მისი დროის დიდ მოღვაწეს, მტკიცე და ძლიერ ადამიანს, ვისთან დაპირისპირებას თავის დროზე თრიალეთის მამაცი მბრძანებლის მამა — ქართლის მეფე და კურაპალატი აშოტ დიდიც კი მოერიდა...

გუარამმა, ეტყობა, არ გაითვალისწინა ეს და მაინც დაუპირისპირდა. ეს ეპიზოდი თვალსაჩინო სურათს გვაძლევს მაშინდელი სასულიერო და საერო ცხოვრების ურთიერთობისას და ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ. თანაც, აქ კარგად არის ნაჩვენები თრიალეთის მამფალის ბუნების კიდევ ერთი მხარე.

გუარამ მამფალმა ჯავახეთის საეკლესიო კრება მოიწვია. ზემოთ ჩვენ გაკვრით ვახსენეთ ეს კრება — საქმე ეხება არსენის კათალიკოსად არჩევას.

ჩვენ რამდენჯერმე თრიალეთის მბრძანებლად და მმართველად ვახსენეთ გუარამი. ასე გადმოგვცემენ ისტორიული წყაროები, ასე იყო ფაქტიურად. მაგრამ ჯავახი ფეოდალის ამბიცია უფრო დიდი გამოდგა: რაკი თანამმართველად ითვლებოდა, ეტყობა, საერთო ქართლის საქმეებში ჩარევასაც არ ერიდებოდა. ამიტომ უკმაყოფილო

დარჩა, როცა მცხეთის ახალი კათალიკოსი აირჩიეს და მას კი არაფერი ჰკითხეს.

აქ თავმოყვარეობის შელახვა კი არ იქნებოდა მთავარი. თუმცა ესეც უნდა ვიგულისხმოთ. მთავარი სხვა რამე იყო. გუარამ მამფალს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა არსენის მამასთან — მირეანთან — („მირეანისთვის გულძვირად იყოო", მერჩულე შეგვახსენებს), და მისთვის სასურველი არ იყო, ამ ოჯახიდან გამოსული კაცი კათალიკოსად ეხილა. თან, გუარამს ალბათ თავისი კაციც ჰყავდა საკათალიკოსოდ, რომელიც მერე მასვე გამოადგებოდა.

რაკი ახალი კათალიკოსის არჩევა საეკლესიო წესდების დარღვევით მოხდა (შეგახსენებთ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ სამცხის ეპისკოპოსებმა, ქართლის ეპისკოპოსები არ მონაწილეობდნენ), გუარამ მამფალმა ამით ისარგებლა და სამართლიანობის აღსადგენად მოიწვია საეკლესიო კრება ჯავახეთში.

გუარამმა, რა თქმა უნდა, იცოდა, ვისი თაოსნობითა და ხელშეწყობით მოხდა ახალი კათალიკოსის არჩევა, ამიტომ ამ შეუპოვარმა კაცმა, რომელსაც ყველაფერში ჯიქურ მიხდომა უყვარდა, ახლა სიფრთხილე გამოიჩინა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ამ საქმეში ხანძთელის მონაწილეობა არცა სცოდნოდეს — სამცხელ ეპისკოპოსებსა და არსენის მამას ატეხდა რისხვას. მან აარჩევინა ძალადობით შვილიო. განა თვითონვე არ იცოდა, რომ მამა ვერაფერს გახდებოდა, უფრო გავლენიანი მფარველი და დამხმარე რომ არა ჰყოლოდა.

დიდი სიფრთხილით მოამზადა გუარამმა კრება. წინასწარ ქართლის ეპისკოპოსებიც აამხედრა. წინასწარვე გადაიბირა გავლენიანი სასულიერო პირი, ხანძთელისავე აღზრდილი ეფრემი, რომელიც იმჟამად უკვე აწყურის ეპისკოპოსი იყო.

სწორედ ეს ეფრემი ჩაუდგა სათავეში ქართლის განაწყენებულ ეპისკოპოსებს. ეფრემს უკვე საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა და რაკი მისი გადაბირება მოხერხდა, რაკი ქართლის ეპისკოპოსებიც აღშფოთდნენ და აიმრიზნენ, გუარამი გულდამშვიდებული იყო.

და აი, გაიხსნა საეკლესიო კრება. ეს მოხდა მეცხრე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, ალბათ ბუღა თურქის შემოსევის შემდეგ და რაკი ეს კრება ჯავახეთში მოიწვიეს, საისტორიო ლიტერატურაში ასევე მოიხსენიება — ჯავახეთის საეკლესიო კრება.

გრიგოლ ხანძთელმა დაიგვიანა კრებაზე.

იქნებ განგებაც დაიგვიანა — მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად,

რათა იმ დღეს, იმ რთულ ბრძოლაში, რაც კრებაზე უსათუოდ გაჩაღდებოდა, უეჭველი გამარჯვებისთვის მიეღწია. კლარჯეთიდან სხვებიც არ გამოცხადებულან. მაგრამ თავისი ხალხი კანტიკუნტად მაინც ჰყავდა ხანძთელს, რომლებიც, თუ საჭირო შეიქნებოდა, წინასწარი დარიგების მიხედვით მოიქცეოდნენ.

როცა ნახეს, ხანძთელი არ მოდისო, მოწინააღმდეგე მხარემ გაიხარა.

გაიხსნა კრება, ილაპარაკა გუარამ მამფალმა, ილაპარაკეს სხვებმაც. სასტიკად დაგმეს საეკლესიო წესდების დამახინჯება და საქმე იქითკენ იხრებოდა, რომ უნდა გაეუქმებინათ არსენის კათალიკოსობა.

გუარამ მამფალი და მისი მომხრეები გულში უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას.

მაგრამ აკი ითქვა, ხანძთელს აქ თავისი ხალხი ჰყავდაო. წამოდგა ერუშელი ეპისკოპოსი და განაცხადა — საქმის გადაწყვეტას ნუ ვეშურებით, ჯერ ჩვენი ეკლესიის ვარსკვლავი არ მოსულა, როცა მოვა, მაშინ გადავწყვიტოთო („ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაი, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაი ყოველთაი“).

ვისა გულისხმობო, ჰკითხეს ერუშელ ეპისკოპოსს.

როგორ თუ ვის, გრიგოლს ვგულისხმობ, ხანძთის და შატბერდის მაშენებელსო, მიუგო ერუშელმა.

ერთმა ეპისკოპოსმა მაღალი რანგის სასულიერო პირისთვის შესაფერი სიდინჯე ვერ გამოიჩინა და გესლიანად ჩაიქირქილა — აჰ, გრიგოლია ვარსკვლავიო?!

ვერ მოზომა, ხალხს გავაცინებო, იფიქრა და მოტყუედა. რაკი თითქმის მთელი კრებული გრიგოლის კანდიდატის წინააღმდეგ გამოდიოდა, იფიქრა, ეს ჩემი ოხუნჯობა მოეწონებათო. ამჩატდა. მთავარი ადამიანის ხასიათია, თორემ წოდება და ეპისკოპოსობა რას უშველის!

ერთი სიტყვით, მოტყუედა, და კრებამ ერთხმად გააჩუმა ამჩატებული ეპისკოპოსი...

და ამ დროს გამოჩნდა კიდეც სახედარზე ამხედრებული გრიგოლი, რომელსაც თავზე ზეციური შარავანდი ედგა.

ხანძთელმა მაშინვე აუღო ალღო მდგომარეობას. მიხვდა, რომ ოპოზიციაში ყველაზე აქტიური ეფრემი იყო. ეფრემს გაელენაც დიდი ჰქონდა სხვებზე. და ახლა ამ ეპისკოპოსის გაჩუმებას თუ მოახერხებდა, საქმეს ადვილად შემოაბრუნებდა.

ამიტომ მისელისთანავე გვერდზე გაიხმო თავისი ნამოწაფარი ეპისკოპოსი და რაკი ასეთი ახლობელი იყო, დიპლომატიური შესავალი აღარ დასჭირვებია, პირდაპირ უთხრა. დააფიცა: გაფიცებ მაგ შენს საეკლესიო ხარისხს, არსენს ხელს ნუ შეუშლიო.

ზუსტად ამ სიტყვებით უთხრა: „ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის!“

ეფრემს, ეტყობა, აქამდე ბევრი ებრძოლა არსენის კათალიკოსობის წინააღმდეგ და ახლა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. დიდი პატივისცემის მიუხედავად, პირველად მაინც უარი შეპკადრა თავის მოძღვარს: წმიდაო მამაო, ვერ ვიზამ მაგას, წესების დარღვევას მხარს ვერ დავუჭერო.

გრიგოლს გაუკვირდა და გაბრაზდა კიდეც. ძალიან საინტერესოა მისი სიტყვები და ტონი ამ სიტყვებისა: შენ რომ ახლა მხარი არ დამიჭირო, მორჩა, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდაო. კატეგორიულად უთხრა („უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ მყავ, ვითა არა შენი მოძღუარ ვარ!“).

ამაზე მძაფრი და კატეგორიული რამის თქმა საერთოდ წარმოუდგენელია. და ასევე მიიღო კიდეც ეფრემმა. გაშრა, გაოგნდა, ცრემლები მოადგა, ენა დაება, მაგრამ სხვა გზა აღარა ჰქონდა და გატყდა: „ფიცხელ არს ბრძანებაი ესე განმკუეთელ უფროის მახვილისა. აწ ნებაი შენი იყავნ“...

ამგვარად, ოპოზიციას მთავარი ძალა ჩამოაცალა ხანძთელმა და ეს მოსელისთანავე მოხდა. ელვის სისწრაფით. გონს ვერც კი მოეგნენ. ხოლო როცა გონს მოეგნენ, გუარამ მამფალი მოწიწებით მიეახლა გრიგოლს და „მოიკითხნა სიმდაბლით“.

კრება გაგრძელდა. ჯავახეთის მბრძანებელმა ცოტა უკან დაიხია და გრიგოლის გასაგონად ისევ განმარტა საკითხის არსი. კარგა ცხარედაც ილაპარაკა („აუგისა სიტყუანი განამრავლნა“). გადაწყვიტა თავიდანვე მოეჭრა სათქმელი ხანძთელისთვის.

მერე ოპოზიციის წევრებს გადახედა. მათგან მოელოდა მხარდაჭერას.

ერთს შეხედა, მეორეს, მესამეს... მაგრამ ყველა თვალს არიდებდა. შიშით ჩუმ-ჩუმად გახედავდნენ ხოლმე გრიგოლს („თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს“); ეტყობა, გრიგოლიც ცდილობდა, მეტი მზერა დაეჭირა.

ბოლოს ეფრემს მიმართა, შენი აზრი მოგვახსენეო.

გუარამ მამფალი იმედს არა კარგავდა. როცა ნახა, ოპოზიციის

წევრები დაფრთხნენ და დაიბნენ, ასეთ დაძაბულ ვითარებაში ეფრემის სიტყვას დიდი ზემოქმედების ძალა ექნებოდა. ეფრემი კი, — გუარამ მამფალმა ეს კარგად იცოდა, — წესდების დარღვევის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა. ახლა ეფრემს უნდა გაემხნევებინა დამფრთხალი ეპისკოპოსები და საქმე შემოეტრიალებინა.

მაგრამ ეფრემმა მოლოდინი გაუმტყუნა. თუმცა არც თავი ჩაუგდია უხერხულ მდგომარეობაში: აშკარად მაინც არ დაუჭერია მხარი არსენისთვის. კარგი გამოსავალი იპოვა — სადაც მამა გრიგოლი ბრძანდება, მე იქ სიტყვის თქმას როგორ გავბედავო, უპასუხა („სადა მამაი გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად“).

ამან ყველაფერი გადაწყვიტა. ეფრემს თითქოს აქტიურად არ დაუჭერია მხარი გრიგოლისთვის, საკუთარი ღირსების შებღალვას მოერიდა, მაგრამ ყველასთვის აშკარა გახდა, რომ იგი თავისდაუნებურად ჩამოშორდა (ჩამოაშორეს) ოპოზიციას.

გაწბილებული გუარამი იძულებული გახდა, გრიგოლისთვის მიეცა სიტყვა.

ხანძთელი დინჯად წამოდგა და ყველას ერთბაშად მოუჭრა სათქმელი. მისგან არსენის დაცვას, რაღა თქმა უნდა, ყველა მოელოდა, და მათ შორის, გუარამ მამფალიც, მაგრამ ასეთი არგუმენტი თუ ექნებოდა გრიგოლს, ეს არავის ეგონა: ღმერთის ნებით არის არსენი კათალიკოსიო (ღმერთი გამოგვეცხადა და ასე ბრძანაო), ვინც მხარს არ დაუჭერს და მასზე ძვირს იტყვის, საბოლოოდ შერცხვენილი და წაწყმედილი იქნებაო. დინჯად და აუღელვებლად განაცხადა მან.

მაგრამ მამფალი ისე იყო აღშფოთებული და გაბრაზებული, რომ მაინც არ გატყდა და დიდი უტაქტობაც გამოიჩინა. შური მოერიაო, სიბრძნე გულისწადილმა დასძლიაო, მოთხრობის ავტორი გადმოგვცემს. დაჯერებაც კი ძნელია, ისეთი რამე ჰკადრა ყველასგან პატივცემულ ღრმად მოხუც მოძღვარს: დიდი ხანია არ მეხილა მამა გრიგოლი და თურმე მართალი ყოფილა, რასაც ამბობდნენ; აგერ, ჩემი თვალით ვხედავ, ბრძენთაგან მიუწვდომელი სიბრძნე სიბერეს დაუჩრდილავსო... ასეთი რამე ჰკადრა მოხუცს, 80-85 წლის კაცს... და მერე ვის — გრიგოლ ხანძთელს!..

თავს ველარ მოერია გახელებული ერისკაცი, ველარ გაითვალისწინა, რომ ამით უფრო აფუჭებდა საქმეს.

გრიგოლმა თავი შეიკავა და დინჯად უპასუხა: ეპისკოპოსთა და წინამძღვართა ამნაირ შეკრებას სხვა დროსაც დასწრებიან მეფენი, მაგრამ ჭკუის სწავლებას კი არ მოჰყოლიან, ისე კი

არ გაკადნიერებულან, რომ სხვისთვის დაეწყოთ შჯულის მოძღვრების განმარტება, არამედ ყურს უგდებდნენ და სხვებისგან სწავლობდნენო.

მამფალს რომ ზედმეტი გაგულისებისგან გონება დაბნელებული არა ჰქონოდა, უნდა მიმხვდარიყო, რომ საქმე წაგებული იყო და უკან დაეხია. მაგრამ ეტყობა, ისე იყო მოწადინებული, თავისი კაცი გაეყვანა, რომ ალღო ვეღარ აუღო მდგომარეობას, მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და კიდევ ერთხელ მიმართა ოპოზიციას: გადამწყვეტი ხმა თქვენ გეკუთვნით, თქვენ რას იტყვითო?

რაღას იტყოდნენ?! რა ნახეს, გრიგოლი ასე იყო მოწადინებული, ვეღარაფერი გაბედეს. ესღა უთხრეს გუარამ მამფალს — გრიგოლი ღვთის ნებით და სახელით ლაპარაკობს, წელან ყველამ აშკარად დავინახეთ: რომ მოდიოდა, თავზე ზეცის ნათელი ადგაო!

ეს ისეთი არგუმენტი გამოდგა, რომ გაცოფებული მამფალიც კი ერთბაშად გონს მოიყვანა.

და აქ გამოჩნდა მისი ბუნების მეორე მხარე. ამ შეუპოვარ კაცს, როცა საჭირო გახდა, უკან დახევის უნარიც აღმოაჩნდა. ხელადვე აუღო ალღო მდგომარეობას, მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა, და თუ ამ მარცხს ბრძნულად არ შეეგუებოდა, მერე მისივე ავტორიტეტისთვის იქნებოდა საზიანო. ღვთის მოშიში გამოდგა ეს მამაცი და ამაყი ფეოდალი — გაქანდა, ფეხებში შეუვარდა „ნეტარსა გრიგოლს", პატიება სთხოვა.

მერე, როცა ემოციები დაცხრა და დაძაბული სიტუაცია განიმუტა, მამფალი წმიდა თეოლოგიური და ფილოსოფიური საკითხებით დაინტერესდა. თითქოს რაც აქამდე მოხდა კრებაზე, ის საესებით შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი ამბავი იყო... შინ მიიპატიჟა ხანძთელიც, კრების სხვა მონაწილენიც. სუფრა გაუშალა, ღვინო შესვა, თანდათანობით დამშვიდდა, გამხიარულდა და თეორიულ-თეოლოგიურ საკითხებზე გაუმართა საუბარი გრიგოლ ხანძთელს, წელანდელი კრება და წყენა დავიწყებას მისცა, თითქოს სწორედ ამ საუბრისთვის მოეწვიოს საეკლესიო კრება.

ნამდვილი ერის კაცი იყო გუარამ მამფალი, თავისი დროის შვილი, შეუპოვარი და დაუცხრომელი მებრძოლი, სიცოცხლით აღსავსე, მოუსვენარი, საოცარი ენერგიის პატრონი... ხან აქ გავარდებოდა, ხან იქ... მეხის სისწრაფით და მქუხარებით დაჰქროდა ხოლმე ქართლის ველებზე და მტერს ყველგან რისხვად დაატყდებოდა.

და როცა მემატიანის ერთ ფრაზას კითხულობ, გაკვირვებული რჩები, თვალებს არ გინდა დაუჯერო.

„მას ჟამსა მონაზონ იქმნა გუარამ“...

ბერად აღკვეცილა! ამქვეყნიურ ბობოქარ ცხოვრებას გაქცევია და მყუდრო სავანე აურჩევია.

რა მოხდა? რატომ განუდგა ეს მშფოთვარე კაცი აქტიურ ცხოვრებას? რა მოხდა ასეთი მის ცხოვრებაში, ხასიათის ამგვარი მეტამორფოზა რამ გამოიწვია?

ამ ხნისა და მდგომარეობის კაცის ბერად შედგომა კი არ გვიკვირს — ასეთი რამე იმ დროს ხდებოდა ხოლმე. გუარამის ხასიათი რომ ვიცით, მისი ბერად აღკვეცაა გასაკვირი.

აბა, კიდეე გადავავლოთ თვალი ჩვენამდე მოღწეულ ძუნწ ცნობებს.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს კიდეე ერთი უცნაური ცნობა:

„შეიპყრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“.

არგვეთის მთავარი ლიპარიტ ბაღვაში (ორბელიანი) თრიალეთში გადმოსულა და თრიალეთის ქედის გადასასვლელზე, ძალიან მარჯვე ადგილას, ჯავახეთ-ქართლის გზაზე დიდი ციხე-სიმაგრე აუგია. და რაკი აქ კლდეში იყო კარი გაჭრილი, სახელიც ასეთი მიუღია იმ ციხესაცა და იმ ადგილსაც — კლდეკარი. მთელს იმ საერისთავოსაც შემდეგ კლდეკარის საერისთავო ეწოდა.

ბაღვაში რომ არგვეთიდან (კაცხიდან) თრიალეთში გადმოვიდა, აქ უჩვეულო არაფერია. ასეთი რამე ხდებოდა ხოლმე და ეს ფაქტი თავისთავად გაკვირვებას არ გამოიწვევდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მიწა-წყალი, რომელიც ლიპარიტ ბაღვაშს „შეუპყრია“, — ესე იგი, ქუეყანანი თრიალეთისანი, — გუარამ მამფალის სამფლობელო იყო, ისეთი კაცის სამფლობელო, რომლის შიშით, ჩვენი ძველი ზღაპრებისა არ იყოს, დედამიწაზე ჭიანჭველას ვერ გაეჭაჭანებინა და ცაში ფრინველს.

თანაც, მოკრძალებით კი არ ჩამოსახლებულა ეს სხვა კუთხის მთავარი, ზარ-ზეიმით გადმოსულა და იმ დროისთვის ერთ-ერთი დიდი ციხესიმაგრე აუგია...

და კიდეე ერთი საკვირველება: ამ გადამთიელს აქაური დიდი მამფალისა და მბრძანებლის ვასალობა კი არ მოუსურვებია, არამედ თითქოს საგანგებოდ უნდა გააღიზიანოს და გააცოფოსო, თავის სიუზერანად სხვა აურჩევია, სხვა მიწა-წყლის მფლობელი — „იპატრონა დავით ბაგრატის ძეო". იმის ნაცვლად, რომ გუარამ მამფალი აერჩია პატრონად და მფარველად, მისი ძმისშვილის ვასალი გახდა (სხვათა შორის, ეს დავითი გრიგოლ ხანძთელის ნათლული იყო)!

რა მოხდა? ან ბაღვაშმა როგორ გაბედა ასეთი რამე, ან გუარამ მამფალმა როგორ მოუთმინა?

იქნებ დავითმა უმტრო ბიძას, გაფართოება მოუნდა, ბიძის მიწა-წყლის შემოერთება განიზრახა (საბოლოოდ იქნებ უფრო დიდი მიზნებიც ჰქონდა — უფრო დიდ გაფართოებასა და განდიდებას ლამობდა!) და ბაღვაში მიუჩინა, სხვისი ხელით მოინდომა ამის გაკეთება.

მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით ამ კითხვებს გადაჭრილ პასუხს ვერ გასცემ.

მაგრამ მოვლენათა მსვლელობას მივყვეთ.

გუარამს ორი ვაჟი ჰყავდა, ოღონდ ამ დროისთვის ერთი ალბათ უკვე გარდაცვლილი იყო. დარჩა ერთი ვაჟი — ნასრი. მამასავით ფიცხი, შეუპოვარი, შფოთიანი, დაუდგრომელი...

ოღონდ მამისა არ გამოჰყოლია უნარი, საჭიროების დროს თავშეკავებისა...

ეტყობა, ნასრიმ სწორედ ბიძაშვილს დააბრალა არგვეთელ ლიპარიტ ბაღვაშის თავხედობა და დავითს გადაემტერა. ასე რომ, ორი ბიძაშვილი — ორი ახალგაზრდა ფეოდალი — ერთმანეთს გადაეკიდა. შემზადდა ნიადაგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის, აშოტის შთამომავლობაში პირველი „ძმათა სისხლის" დანთხევისთვის.

სულ მალე ორი მტრული ბანაკი ჩამოყალიბდა: ერთ მხარეს — დავითი, ლიპარიტ ბაღვაში და სომეხთა მთავარი, რომელთანაც საერთო ენა გამონახა დავითმა; ხოლო მეორე მხარეს — ნასრი, მეორე ბიძის — ადარნასეს — შვილი გურგენი და აფხაზთა მეფე, რომელიც ნასრის სიძე იყო, დის ქმარი.

რა წინა ბრძოლები უძღოდა ტრაგედიას, ძმათა შორის რომ

დატრიალდა, ჩვენ არ ვიცით. ისე კი წინასწარი ბრძოლები უსათუოდ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ერთ დღეს ნასრმა გაიტყუა ბიძაშვილი დავითი და ვერაგულად მოკლა. „მას ჟამსა, ვითარცა მოიტყუა ნასრა ძემან გუარამისმან დავით ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი", გადმოგვცემს ერთი მემატიანე.

მეორე მემატიანის ცნობაც ადასტურებს ამ ფაქტს:

„და მოიკლა იგი (დავითი) ხელითა მამის ძმისწულისა თვისისა ნასრა გუარამის ძისითა"..

თითქოს გესმის, როგორ სხაპასხუპით გადმოგვცემს ამ ცნობას მემატიანე და დაფიქრებასაც აღარ გაცლის, სანამ შენ ამაზე კიდევ უფრო საშინელ რამეს გაიფიქრებდე, ეშურება იქვე დასძინოს: „ხოლო გუარამ მამფალი, მამის ძმა მისი, მამა ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისათა..."

თითქოს გრძნობს, რომ თქვენ ყური გექნებათ მოკრული ასეთი საშინელი ჭორისთვის და იმიტომ ეშურება, როგორმე გადაგარწმუნოთ. თორემ როდის ყოფილა, რომ ვინმეს კაცი მოეკლას და იქვე მტკიცებას მოჰყოლოდნენ — მკვლელის მამას წილი არ უდევს ამ მკვლელობაშიო. ეტყობა, გავრცელდა ასეთი საშინელი ჭორი (თავაც დააკვირდით, როგორა ცდილობს, ჩაგიბეჭდოს თავში: გ უ ა რ ა მ მ ა მ ფ ა ლ ი... მ ა მ ი ს ძ მ ა მ ი ს ი... მ ა მ ა ნ ა ს რ ე ს ი ... უბრალო იყოო).

ამნაირი ცოდვა არც გვინდა ვიფიქროთ ისეთ ვაჟკაცზე, როგორიც გუარამი იყო. მაგრამ ფაქტია, რომ ხალხში ხმა გავარდა და სვეებედნიერ კაცს სიბერე ჩაამწარეს.

ამას ისიც დაერთო, რომ შვილიც გადაიხვეწა (ნასრს მაშინვე დაედევნენ და ძლივს გაასწრო კონსტანტინოპოლში), დარჩა გამწარებული ბერიკაცი მარტოდმარტო....

და ალბათ ამ დროს გადაწყვიტა მან ბერად აღკვეცა. შვილის მწარე ცოდვების მონანიება მოინდომა, კაენის ცოდვის გამოსყიდვა...

თუმცა დიდხანს აღარ დასცალდა. დავითი ნასრმა 881 წელს მოკლა. ამავე წელს გადაიხვეწა იგი ბიზანტიაში. გუარამი კი გარდაიცვალა 882 წელს და დაკრძალეს მამამისის აშენებულ ტაძარში, ოპიზის ტაძარში.

მოკლული დავითის ნაცვლად, ტახტზე ავიდა მისი შვილი ადარნასე.

ამრიგად, ნასრი ბიზანტიაშია. აქ იგი ხელსაყრელ შემთხვევას უცდის, რათა სამშობლოში დაბრუნდეს და თავისი მიწა-წყალი დაიბრუნოს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც უპატრონოდ დარჩენილი, ბიძაშვილებმა გაინაწილეს...

ბიზანტიაშია ამ დროს კიდევ ერთი ჩვენებური კაცი, ისიც ნასრივით დევნილი, და ისიც სულმოუთქმელად მომლოდინე, როდის გაუღიმებს ბედი, და როდის მოახერხებს თავისი უფლებების აღდგენას. ოღონდ ამ ყმაწვილი კაცის წოდება ცოტა უფრო მაღალია. უფლისწულია ეს ჭაბუკი, აფხაზეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე...

უფლისწულის სახელია ბაგრატი, იგი შვილია დემეტრე მეფისა, იმ დემეტრესი, რომელსაც ერთხელ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები ესტუმრნენ ქუთაისში. ჩვენ უკვე გავიხსენეთ, რა პირობებში მოხდა ეს.

დემეტრე რომ გარდაიცვალა, უწლოვანი შვილები დარჩა და ტახტზე დემეტრეს ძმა გიორგი ავიდა. დიდხანს არ დასცალდა მეფობა გიორგის, მალე დაიღუპა, და რაკი თვითონ უშვილო იყო, წესით ტახტი უნდა გადასცემოდა მის ძმისშვილებს. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა.

ორი შვილი დარჩა დემეტრეს. უფროსი, გიორგისავე სიცოცხლეში, ქართლში დამკვიდრდა ერისთავად, ეტყობა, ასე არჩია ბიძამ: ტახტზე რომ არ შესცილებოდა, მოშორებით წაიყვანა, ქართლის ერისთავობა მიუბოძა, ტინენი ყოფილა მისი სახელი, მაგრამ უფრო ხშირად ჩიხის ერისთავად მოიხსენიებენ. უმცროსი შვილის სახელია ბაგრატი.

ბიძის გარდაცვალების შემდეგ, ან ერთი ძმა უნდა ასულიყო ტახტზე ან მეორე — ან ჩიხის ერისთავი, ან ბაგრატი.

ყველა ასე მოელოდა.

მაგრამ გიორგის ცოლმა მაზლიშვილებისთვის ვერ გაიმეტა ტახტი, შეთქმულება მოაწყო: დაუკავშირდა მთავარს, სახელად ივანეს, და აი, რა მოიმოქმედეს: რაკი უფროსი ძმა ქართლში იყო და სისხლის სუნი ქუთაისის სასახლემდე ძნელად ჩააღწევდა, ჩიხის ერისთავი მოაკვლევინა დედოფალმა: უმცროსი მაზლისწული კი იქვე ჰყავდა და სისხლის დაღვრას მოერიდა; შეაბოჭინა და ზღვაში „შთააგდესო“, მემატიანე გადმოგვცემს („ე ც რ უ ა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა და შთააგდეს ბაგრატ ზღუასაო“, გადმოგვცემს „მატიანე

ქართლისა", და ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი ასე განმარტავს ამას: შეუჩნდა ქერეკი დედოფალი ივანე შაელიანს და ბაგრატი ზღვაში ჩააგდესო).

შებოჭილი, უმწეო ჭაბუკი ალბათ ნავით ღრმად შეაცურეს ზღვაში; თვითონ არ გაისვარეს სისხლით ხელი, თევზებსა და ფრინველებს მიანდეს ეს საქმე. მაგრამ პატარა ბაგრატს, ეტყობა, მეგობრებიც აღმოაჩნდა. ისინი შორიდან აღევნებდნენ თვალს შეთქმულთა მოქმედებას; ზღვაში ბედის ანაბარად მიგდებული ნავი გაიტაცეს და კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს.

სამეფო ტახტზე ვხედავთ შეთქმულ მთავარს ივანეს. ამ ივანემ თავის შვილს ადარნასეს ცოლად შერთო გუარამ მამფალის ქალიშვილი. მერე, ეტყობა მალევე მოკვდა მამა და ტახტზე ადარნასე ავიდა. ისტორიაში ივანეცა და ადარნასეც შაელიანების მეტსახელით არიან ცნობილი.

ბიზანტიაში ჩასულ ნასრს იქ ბაგრატი დახვდა. ბუნებრივია, რომ ერთი კუთხიდან ჩასული ორი ერთ ბედში მყოფი ახალგაზრდა კაცი მალე გამონახავდა საერთო ენას. მართლაც, დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს, მომავლის გეგმები დააწყვეს... ბაგრატმა თრიალეთის ახალგაზრდა ფეოდალს აღუთქვა — როგორც კი დავიბრუნებ ტახტს, შენც მოგეშველები და შენს მიწა-წყალს დაგაბრუნებინებო...

ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერა იქნებოდა საჭირო. ქართველ წარჩინებულებს პატივისცემით ექცეოდნენ ბიზანტიის სამეფო კარზე. ისტორიას არ შემოუნახავს ცნობები, რა მოლაპარაკება ჰქონდათ აფხაზეთის დევნილ უფლისწულსა და თრიალეთის დევნილ მბრძანებელს ბიზანტიის გავლენიან პირებთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი დაახლოებული იქნებოდნენ ბიზანტიის ახალგაზრდა უფლისწულთან ლეონთან, შემდგომში იმპერატორ ლეონ მეექვსესთან.

იქნებ სწორედ ამ ლეონის საშუალებით აპირებდნენ იმპერატორისგან სამხედრო დახმარების გამოთხოვას. იქნებ შეთანხმებულიც იყვნენ...

მაგრამ ამ დროს ბიზანტიის იმპერატორ ბასილს (ბასილ პირველს) უბედურება შეემთხვა: ნადირობისას ირემმა რქაზე წამოიგო. იმპერატორი დაიღუპა.

ტახტზე უფლისწული ავიდა.

ამან, რაღა თქმა უნდა, დააჩქარა ბაგრატისთვის სამხედრო დახმარების მიცემის საქმე.

დიდი ხანი არ გასულა ლეონის ტახტზე ასვლიდან და ბიზანტიის ლაშქარი გემებით გამოემართა საქართველოსკენ: ბაგრატმა მაშველი რაზმით შეუტია უზურპატორ ადარნასეს, მოკლა იგი და ტახტზე ავიდა.

საინტერესოა ერთი ფაქტი: ეგრის-აფხაზეთის ახალმა მეფემ ცოლად შეირთო უზურპატორ ადარნასეს ქვრივი, დედოფალი, ნასრის და!

რაკი ამათი მეგობრობა დამოყვრებით განმტკიცდა, ბაგრატმა აღარ დააყოვნა, მისცა კარგა დიდი ლაშქარი ცოლისძმას და სამხრეთ საქართველოში გამოისტუმრა.

ეტყობა, იჩქარეს, კარგად ვერ მოზომეს ყველაფერი, მოწინააღმდეგის ძალა სათანადოდ ვერ შეაფასეს.

მართალია, დიდი ლაშქრით შეიჭრა ნასრი სამხრეთ საქართველოში, გზადაგზა მომხრეებიც გაიჩინა, ოსების ჯარიც მისი მოკავშირე იყო, ბაყათარის მეთაურობით... პირველ ხანებში წარმატებასაც მიაღწია — დაიპყრო სამცხის სამი ციხე: ოძრხე, ჯვარის ციხე და ლომსიანთა...

მაგრამ თავდასხმის მოულოდნელობით მოპოვებული უპირატესობა დიდხანს აღარ გაპყვათ. ადარნასე მეფემ — შეგახსენებთ, რომ ეს ნასრის მიერ მოკლული დავითის შვილია — მალე შეკრიბა ლაშქარი: სომხების მაშველი ჯარი, გურგენ კურაპალატის მხედრობა... საბედისწერო შეტაკება მტკვრის პირას მოხდა, სადღაც ასპინძის მახლობლად. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ადარნასეს მხედრობამ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე: ნასრიც, ბაყათარიცა და აფხაზთა ჯარის სარდალიც ბრძოლაში მოკლეს (გაქცეულ ნასრს ასპინძაში წამოეწიენენ და იქ მოკლეს).

ეს მოხდა 888 წელს.

●

888 წლიდან უკვე ოფიციალურად იწოდება ადარნასე „ქართველთა მეფედ". ასევეა იგი მოხსენებული ზემოთ ნახსენებ სქემაში, რომელიც ბაგრატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით შეუდგენიათ.

ამრიგად, აშოტის შთამომავლობის ერთი შტო ამოწყდა.

მაგრამ ძმათა შორის დატრიალებული ტრაგედია ამით არ დამთავრებულა.

ნასრის მოკვლის შემდეგ გამარჯვებულებს უკვე დამშვიდებულად შეეძლოთ გაეყოთ გუარამ მამფალის მიწა-წყალი.

ზემოთ ითქვა, რომ ნასრის წინააღმდეგ საბოლოო ბრძოლაში ადარნასეს გურგენ კურაპალატიც შველოდა (როგორც ჩვენს სქემაზე ხედავთ, ეს გურგენიც ნასრის ბიძაშვილია, გუარამ მამფალის ძმისშვილი). მაგრამ, ეტყობა, ამ ბრძოლაში თავისი დამსახურება გააზვიადა გურგენმა, გადაწყვიტა, თავისუფალი მოქმედების მეტი უფლებაც მოვიპოვეო, აიყარა თავისი მამულიდან (ამ მამულის გაყოფაზე ისედაც დიდი დავა და შუღლი ჰქონდა თავის ძმისწულ ბაგრატთან), და შავშეთსა და არტაანში გადასახლდა.

მეფეს, ეტყობა, არ ეჭაშნიკა კალმახელი ფეოდალის კადნიერება, რაღა თქმა უნდა, არც ის მოეწონებოდა, რომ მამულების შემომატებისა და გაფართოების დიდი მისწრაფება აღმოაჩნდა მას, და გუშინდელი მოკავშირე და თანამებრძოლი გასწირა. ხელად გამონახა საერთო ენა გურგენის მტერთან — გურგენისავე ძმისწულ ბაგრატ არტანუჯელთან; შეებნენ ერთმანეთს აქეთ ადარნასე და ბაგრატი, იქით — გურგენი. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. გურგენი დაიჭრა, დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს. მაგრამ ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა, წამოეწივნენ, შეიპყრეს და დიდხანს აღარც უცოცხლია...

დაპყურებ სქემას და აგერ კიდევ ერთი ეპიზოდი გამოიკვეთება იმ შფოთიანი და ბობოქარი ცხოვრებისა. თუმცა აქ ძმათა სისხლის დანთხევამდე არ მისულა საქმე.

ამჟამად ცოტა ქვემოთ უნდა ჩავყვეთ სქემას. ეს ეპიზოდი მომდევნო თაობის ცხოვრებიდან არის აღებული. მოთხრობილი აქვს იგი ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე პორფიროგენეტს.

მკითხველი ალბათ ისედაც მოელის, რომ მომრავლებულ და სიხარბემორეულ შთამომავალთა ინტერესები, ადრე თუ გვიან, იმ ჩვენს ნაცნობ მშვენიერ ქალაქ არტანუჯთანაც მოიყრის თავს და იქაც მოხდება მათი ამბიციების, მათი დაუოკებელი ენებებისა და მისწრაფებების შეჯახება.

წინა ეპიზოდში მოხსენიებული ბაგრატ არტანუჯელი რომ წაეკიდა ბიძას — გურგენს — და ადარნასე ქართველთა მეფეს მიემხრო, ეს ეტყობა, არტანუჯის გამოც ყოფილა. არტანუჯს მაშინ გურგენი ფლობდა. და რაკი არტანუჯის მაშინდელი მფლობელი გურგენი

ბრძოლის დროს მოკლეს, ხოლო ამ ბრძოლაში ბაგრატი ადარნასე ქართველთა მეფის მხარეზე გამოდიოდა, ეტყობა მან, ბაგრატმა, ადვილად მოახერხა არტანუჯის ხელში ჩაგდება.

მოკვდა ბაგრატი და არტანუჯი მის ერთ-ერთ შვილს გურგენს დარჩა.

ეს გურგენიც მალე მოკვდა, უძეოდ გადაეგო, და არტანუჯის ციხე-ქალაქის პატრონი ბაგრატის მეორე შვილი აშოტი გახდა.

ეს არის აშოტ კისკასი, ჩვენ იგი ერთხელ უკვე ვახსენეთ.

ჩვენი ეპიზოდიც სწორედ ამ აშოტ კისკასს შეეხება.

თავისდა ჭირად, აშოტ კისკასმა ქალიშვილი მიათხოვა გურგენ მაგისტროსს[1], როგორცა ჩანს, იმ გურგენის შვილიშვილს, რომელსაც აშოტ კისკასის მამა ბაგრატი მტრობდა და სწორედ ამ მტრობის შედეგად ბრძოლაში მოკლეს.

ძნელი სათქმელია, სიძეს შთამომავლობით გადმოეცა სეხნია-პაპის დიდი სიყვარული არტანუჯის მიმართ, თუ თვითონ დამოუკიდებლად მოიხიბლა მშვენიერი ქალაქით. ფაქტი ის არის, რომ, დამოყვრებისთანავე, სიმამრს წაართვა არტანუჯი და სანაცვლოდ მისცა ველისციხე და აჭარის წყლის მომიჯნავე მამულები...

მერე ეს სიძე — გურგენიც მოკვდა, ესეც უშვილოდ გადაეგო, და არტანუჯი დარჩა მის ქვრივს, აშოტ კისკასის ქალიშვილს. სულაც არ არის გასაკვირი, რომ იმ ვითარებაში მარტოხელა ქალს ამოდენა ციხე-ქალაქს არავინ დაუტოვებდა. მართლაც, კონსტანტინე პორფიროგენეტისავე თქმით, მივიდნენ მასთან (განგებ ვერიდები იმის ჩამოთვლას, სახელდობრ ვინ მიეიდა, რათა უფრო არ დაიხლართოს ერთნაირი სახელების ისედაც ძნელი გასაგები ლაბირინთი) და მოურიდებლად უთხრეს: შენ დედაკაცი ხარ, ამხელა ციხე-ქალაქს ვერ მოუვლიო.

და წაართვეს.

სხვა მიწა-წყალიც წაართვეს.

არტანუჯი არგუნეს აშოტ კისკასისავე ბიძაშვილს სუმბატს. იქნებ იმ მარტივი და საკვლევით „გასამართლებელი“ მიზეზითაც, რომ მისი მიწა-წყალი ამ ქალაქს ესაზღვრებოდა.

სიძეზე კი იყო აშოტ კისკასი გულნატკენი, მაგრამ სიძე რომ

---

1 ხედავთ, რამდენი ერთნაირი სახელები — ერთსა და იმავე პერიოდში! მართლაც რა თავბრუდამხვევი კორიანტელია! დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ ერთმანეთში არ აგერიოს. ჩვენ ვცდილობთ, ეპიზოდის გადმოცემის დროს გავამარტივოთ სიუჟეტი და ამბავში ზედმეტი პირების შემოყვანას მოვერიდოთ.

მოკვდა, დაქვრივებულ ქალიშვილზე ისევ მოუბრუნდა გული, და ახლა უსამართლობით ძალიან განაწყენებული დარჩა — ეს როგორ გამიბედეს, ქალიშვილი ასე როგორ დამიჩაგრესო.

გადაწყვიტა, შური ეძია.

მაგრამ რაკი არც ძალა ეყო და არც ფანტაზია, შურისძიების უფრო ღირსეული ხერხები გამოეძებნა, მეტად უკადრისსა და ეროვნული თვალსაზრისით მოღალატურ გზას დაადგა: ღვარძლით გულგავსებულმა ბიზანტიის კეისარს შეუთვალა — მოდი, არტანუჯი ჩაიბარეო!

ჯერ ვახტანგ გორგასალმა და მერე აშოტ კისკასისავე პაპის პაპამ აშოტ დიდმა სწორედ იმიტომ ააშენეს და მერე გაამაგრეს ეს ციხე-ქალაქი, რომ ქვეყანა ბიზანტიელებისგან დაეცვათ. ახლა კი მათი ბედოვლათი შთამომავალი დიდებულ ქალაქს საჩუქრად უძღვნის იმავე ბიზანტიას!

თითქოს სამახსოვრო ნივთი იყოს!

თანაც, საგულისხმოა, რა გულმხურვალედ აბარებს ვიღაც ბერს, რომელსაც საქართველოში გზად გაუვლია. კონსტანტინე პორფიროგენეტს პირდაპირ მოჰყავს აშოტ კისკასის სიტყვები:

გაფიცებ ღმერთსა და პატიოსან ჯვარსაო, — ბერს უთხრა თურმე, — ჩახვალ თუ არა კონსტანტინოპოლში, იმპერატორს ეახლო და უთხრა, ახლავე გამოგზავნოს ვინმე, ჩემი ციხე-ქალაქი ჩაიბაროსო.

იმის შეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არტანუჯის ციხე-ქალაქს სტრატეგიულადაც, პოლიტიკურადაც, ეკონომიურადაც, ალბათ აღარ დაგეჭირდება. ისღა გაიხსენოთ, რომ, როცა ჩვენ ზემოთ, ერთგან, არტანუჯის ციხე-ქალაქის კონსტანტინე პორფიროგენეტისეული დახასიათება მოვიტანეთ, ის სიტყვები სწორედ ამ ჩვენს ეპიზოდთან დაკავშირებით აქვს გამოთქმული ბიზანტიის იმპერატორს.

მოისმინა თუ არა აშოტ კისკასის დანაბარები ბიზანტიის მაშინდელმა იმპერატორმა რომანოზმა, სიხარულით ცას ეწია; ამაზე კარგი ან რა უნდა ენატრა და ან რა გაეკეთებინა! ხელადვე აფრინა კაცი თვისივე მოხელესთან, რომელიც იმხანად სწორედ საქართველოში ჰყავდა გაგზავნილი სახელმწიფოებრივი დავალებებით და შეუთვალა: მიატოვე ყველა საქმე, აშოტ კისკასთან გაქანდი და არტანუჯი ჩაიბარე, თან ყოველი შემთხვევისათვის მამაცი და სანდო ხალხი იახლეო.

მართლაც, ხელად შეაგროვა იმპერატორის რწმუნებულმა სამასი რჩეული მეომარი და არტანუჯისკენ გაეშურა.

სამასი ჯარისკაცისგან შემდგარი რაზმი ცოტა როდია. თანაც, შენს ქვეყანაში შემოსულ თავით ფეხამდე შეიარაღებულ ამდენ უცხოელ ჯარისკაცს რომ შეხედავ, გაშურებით მიმავალს, უსათუოდ ეჭვს აღგიძრავს და დაგაფიქრებს. სანამ არტანუჯს მიაღწევდა, ბერძენთა რაზმს უნდა გაევლო ქართველთა მეფე ადარნასე მეორის მიწა-წყალი. ადარნასე მეორე ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო და ქართველთა სამეფო ტახტზე ახლა მისი შვილი დავითი იჯდა. ეს მეორე განშტოებაა აშოტ დიდის შთამომავლობითი ხისა. მართალია, ეს განშტოება უკვე ჩამოცილებულია არტანუჯს, მაგრამ შეუძლებელია, ამ ქალაქის ბედი არ აწუხებდეთ.

არტანუჯის მიმართულებით სწრაფად მიმავალი უცხოელი ჯარისკაცები რომ იხილეს ქართველმა გუშაგებმა, შეაჩერეს და რაზმის წინამძღოლი მეფეს მიპგვარეს. დავით მეფემ იმპერატორის რწმუნებულსა ჰკითხა: საით მიდიხართ, რა საქმეზე, ამდენი ჯარისკაცი რა ამბავიაო?

იმპერატორის მოხელეს წინასწარვე ჰქონდა მოფიქრებული პასუხი და ამიტომ ეს კითხვა მისთვის მოულოდნელი არა ყოფილა. არ დაბნეულა. მაშინვე მოახსენა წინასწარ მოფიქრებული პასუხი.

და მეფესაც რაღა უნდა ექნა — გზა მისცა. თუმცა დაეჭვებული ალბათ მაინც დარჩა.

ამრიგად, მივიდა ბიზანტიელი მოხელე იმპერატორის სახელით აშოტ კისკასთან და მოახსენა, ციხის ჩასაბარებლად მოვედიო. ეს ხალხიც ციხეში ჩასაყენებლად ჩამოვიყვანეო.

საყურადღებო დეტალს გადმოგვცემს კონსტანტინე პორფიროგენეტი: იმპერატორის რწმუნებულს თან „აღმოაჩნდა“ ბიზანტიის დროშა. გამოართვა ეს დროშა ბედოვლათმა ქართველმა ფეოდალმა, ხელად ტარი გამოუძებნა, დროშა შემოახვია და იმპერატორის რწმუნებულს დაუბრუნდა: აჰა, იმ ქონგურზე აიტანე, ჩვენი დროშა ჩამოხსენი და ეს ააფრიალე, დე, ყველამ გაიგოს, რომ დღეიდან ეს ციხე-ქალაქი ბიზანტიის კეისრის საკუთრებაა.

იმპერატორის რწმუნებულს ცოტა ეჭვი თუ შიში მაინც ჰქონდა ალბათ გულში, სანამ არტანუჯში ჩავიდოდა: ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო, ქართველთაგან ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სიმაგრის ასე უომრად და მშვიდობიანად ჩაბარება. მაგრამ ახლა, შურისძიების ჟინით გონებადაბნელებული კაცის სახე რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა, სასწრაფოდ გამოსტაცა დროშა ქართველ ფეოდალს, ფაცხაფუცხით აძერა ქონგურზე და

ბიზანტიის იმპერიის ალამი ააფრიალა, თან ადიდა ბიზანტიის იმპერატორები, როგორც წესი და რიგიაო, გადმოგვცემს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

რამდენ ხანს იფრიალა ბიზანტიის დროშამ არტანუჯის თავზე, ამისი ზუსტად დადგენა ახლა შეუძლებელია. ეტყობა, არც მაინცდამაინც დიდხანს. ამ აღმაშფოთებელ გამცემლურ და მოღალატურ აქტს შეუპოვარი წინააღმდეგობა დახვდა. იმპერატორის რწმუნებულმა ის კი მოასწრო, რომ თავის დიდ მბრძანებელს სასიხარულო მოხსენება გაუგზავნა, დაწვრილებით აუწერა, როგორ და რა კონკრეტულ ვითარებაში ჩაიბარა ქართველების განთქმული ციხე-ქალაქი, როგორ ააფრიალა ციხის უმაღლეს ქონგურზე ბიზანტიის დროშა და ახლაც როგორ ამაყად ფრიალებს... ისიც მისწერა: მართალია, სამასი რჩეული ჯარისკაცი ჩავაყენე ციხეში, მაგრამ საჭირო იქნება კიდევ მომაშველოთ სამხედრო ძალა, რადგან აქ ძალიან დაძაბული მდგომარეობა შეიქნაო...

იმპერატორი მოუთმენლად ელოდა ამ ბარათს და ძალიანაც გაიხარა, როცა დიდი ხნის ნანატრი საქმის ასე სასიკეთოდ დასრულების ამბავი გაიგო.

მაგრამ დამხმარე სამხედრო ძალის გაგზავნა აღარ დასჭირდა, რადგან თავისი მოხელის სასიხარულო ბარათს თითქმის მაშინვე მიჰყვა საკმაოდ მკვახე და კატეგორიული ტონით დაწერილი მეორე ბარათი.

ეს ბარათი უკვე ქართველებისგან იყო.

ამოტ დიდის შთამომაველების მეორე განშტოების წარმომადგენლებმა რომ გაიგეს არტანუჯის ამბავი, პირს კატა ეცათ, საშინლად შეწუხდნენ და აღშფოთდნენ: ეს ხომ მთელი საქართველოს გაყიდვას ნიშნავდა! დასხდნენ მაშინვე ადარნასე ქართველთა მეფის შვილები და მუქარის წერილი დაწერეს: არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამ აღმაშფოთებელ საქმეში თქვენი ხელი ურევია (უკან დასახევი გზა დაუტოვეს იმპერატორს), თუ ახლავე არ უბრძანებთ თქვენს მოხელეს, დროშა ჩამოხსნას და ჯარიც დაუყოვნებლივ გაიყვანოს, თქვენთან მეგობრულ კავშირსა ვწყვეტთ და სარკინოზებს შევუკავშირდებით; შეერთებული ძალით დავიბრუნებთ არტანუჯს, და ამასაც არ დაეჯერდებით, თქვენს ტერიტორიაზეც შემოვიჭრებითო.

ეს ბარათი რომ წაიკითხა რომანოზ იმპერატორმა და ქართველი მთავრების ელჩებსაც მოუსმინა, გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა და გულიც მოიყვანა, ეს როგორ მოხდაო, შესძახა. მაგ ტუტუცს ვერ უყურებ, ეს რა ჩაუდენიაო (თავის მოხელეზე თქვა, რაღა თქმა

უნდა!), მეგობრები და კეთილი მეზობლები უნდა გადამკიდოსო! ელჩებს მოუბოდიშა, დაჯდა მაშინვე და ორი წერილი დაწერა: ერთით ქართველ მთავრებს სიყვარულს ეფიცებოდა — რა ბრძანებაა, ეს როგორ დაიჯერეთ, ჩემს ტუტუც მოხელეს რაღაც სისულელე ჩაუდენია, მაგის საკადრისს მიიღებსო. თანაც, დიდი სიყვარულის დასადასტურებლად ადარნასეს ერთ-ერთ შვილს აშოტს (ეს სხვა აშოტია. აშოტ კისკასში არ აგერიოთ!) კურაპალატობა უბოძა.

დაქრთამა, გააყუჩა!..

მეორე წერილით თავისივე მოხელეს უჯავრდებოდა იმპერატორი (ლანძღვა-გინებითა და მუქარით სავსე ბარათი გაუგზავნაო, ასე გადმოგვცემს კონსტანტინე პორფიროგენეტი), ეს როგორ გაბედეო, წერდა, ახლავე დასცალე ციხე და სასწრაფოდ წამოიყვანე ის შენი ჯარიო!

რაღა უნდა ეთქვა საბრალო მოხელეს! პირში ჩალაგამოვლებული გამობრუნდა. აქეთ ქართველმა მთავრებმაც გალანძღეს და გამოთათხეს!..

●

არა მგონია, ქართველ მთავრებს მაშინაც კი დაეჯერებინოთ ბიზანტიის იმპერატორის „გულწრფელი სინანულის" სიტყვები...

მერე კი, დიდი ხნის შემდეგ იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის მონათხრობის წყალობით, ყველასთვის აშკარა გახდა მთელი სინამდვილე: რომანოზ იმპერატორის ცბიერებაცა და, საერთოდ, ბიზანტიის განსაკუთრებული დაინტერესებაც თავისი მეზობლით. კონსტანტინე პორფიროგენეტი დაუფარავად გადმოგვცემს საქმის მთელ შინაარსს: ჯერ როგორ დაავალა იმპერატორმა თავის მოხელეს არტანუჯის აღება და მერე როგორ ურცხვად გაურისხდა — ეს რა გიქნიაო?

ოღონდ სამართლიანობა მოითხოვს აქვე შევნიშნოთ: კონსტანტინე პორფიროგენეტს ის კი არ უფიქრია, მის ჩანაწერებს როდესმე ვინმე და მათ შორის ქართველთა შორეული შთამომავლები თუ წაიკითხავდნენ და მთელს ქვეყანასაც მოპფენდნენ.

რამდენი სიფრთხილე მართებს ადამიანს, როცა საქმე შთამომავლობასა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობას ეხება. აი, რა წინდაუხედაობა გამოუვიდა კონსტანტინე პორფიროგენე-

ტსაც, მის წინაპარ რომანოზ იმპერატორსაც და ქართველ ფეოდალ აშოტ კისკასსაც (თუმცა, რაღა თქმა უნდა, ქართველი ფეოდალის მიმართ ეს სიტყვა მეტისმეტად რბილია).

კონსტანტინე პორფიროგენეტს ეს ჩანაწერები მხოლოდ ერთი ადამიანის წასაკითხად ჰქონდა გათვალისწინებული და სულაც არ ეგონა, ოდესმე ისტორიის წყვდიადში მოქცეული მოვლენების აღსადგენად და შუქის მოსაფენად თუ გამოიყენებდნენ. ეს ერთადერთი ადამიანი თავისივე შვილი იყო, მისი მემკვიდრე, ბიზანტიის მომავალი იმპერატორი...

მამა ტახტის მემკვიდრეს აცნობდა იმპერიის მეზობლებს, მოსაზღვრე ქვეყნებსა და ხალხებს, კონკრეტული მაგალითებით უხასიათებდა ამ ხალხებს, მათ სუსტსა და ძლიერ მხარეებს გააცნობდა... პირდაპირ მიმართავდა: კარგად შეისწავლე, ვინ რაში შეიძლება გამოადგეს ბიზანტიას, რა ავნოს, ან რა სიკეთე მოუტანოს, მათ უზომო სიხარბესა და დაუკმაყოფილებელ მისწრაფებებს დააკვირდი. ამ ჩანაწერებსა და ჩემს გამოცდილებებსაც იმიტომ გიტოვებ შენ, ჩემს საყვარელ მემკვიდრეს, რათა კარგად გაგაცნო ის ხალხები, ვისთანაც ჩვენს სახელმწიფოს ურთიერთობა ჰქონია, რათა კარგად აწონ-დაწონო მათი ღირსება-ნაკლი, თვითონვე მიხვდე, როგორი ურთიერთობა ჯობს მათთან, როგორ დაიპყრო და მოათვინიერო ისინი...

და რაკი შვილთან გულახდილი საუბარია, მით უფრო სარწმუნო და დასაჯერებელია ამ ჩანაწერებში მოცემული ფაქტები.

ამის შემდეგ უკვე ისიც გასაგებია, რატომ აგვიწერს ქართულ ციხე-ქალაქ არტანუჯს ისეთი აღტაცებით ბიზანტიელი იმპერატორი...

ამ ეპიზოდში კარგად ჩანს, როგორ ადევნებდა თვალყურს ბიზანტიის იმპერია ჩვენს ქვეყანას, რა გაფაციცებითა და დაგეშილი მწევარის მზადყოფნით ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა თავისი პატარა მეზობელი და „მეგობარი“ გადაეყლაპა.

●

მკითხველის ყურადღება ალბათ ერთმა ფრაზამ მიიპყრო წინა თავში: აშოტ დიდის შთამომავლობის ერთი განშტოება არტანუჯს უკვე ჩამოცილებული იყო.

ძნელი დასადგენია, ზუსტად რა კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა შეუშზადა ამას ნიადაგი, მაგრამ ჩვენამდე მოღწეუ-

ლი წყაროები აშკარად მეტყველებენ, რომ უკვე მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთ საქართველოში ორი ძირითადი მმართველობის შტო გამოიკვეთა: ერთი უფრო ჩრდილოეთით, მეორე კი — სამხრეთით, ანუ კლარჯეთის შტო და ტაოს შტო. კლარჯეთის ცენტრად არტანუჯი დარჩა, ტაოს ცენტრად კი ბანა იქცა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო ფაქტი. აშოტ დიდის შვილთაგან გუარამის შტო ხომ სულ ამოწყდა, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ. დარჩა ორი შტო — ადარნასესი და ბაგრატისა. და საინტერესო სწორედ ის არის, რომ კლარჯეთის სამთავრო სახლს ადარნასეს შთამომავლები განაგებენ და ისინი, შესაბამისად, კლარჯებად ან არტანუჯელებად (ან არადა, კლარჯ-არტანუჯელებად) იწოდებიან, ხოლო ტაოს შტოში ბაგრატის შთამომავლებს ვხედავთ, და ალბათ იმიტომ, რომ ბაგრატს თავის დროზე უპირატესობა მიეცა ძმათა შორის, ახლაც უპირატესობა ამ შტოსა აქვს, ქვეყნის ოფიციალური გამგებელი ამ შტოდან არის, სწორედ ამ შტოს უმაღლეს წარმომადგენელს ეწოდა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველი „მეფე ქართველთა“ ადარნასე იყო, ძმათა შინა ბრძოლებში მოკლული დავითის შვილი. „და დასუეს ქართველთა მეფედ ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა. ხოლო ამან ადარნასე მეფობასა შინა მისსა აღაშენა ბანა, ხელითა კვირიკე ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“, გვაუწყებს „მატიანე ქართლისა“.

როგორც ვხედავთ, ადარნასეს დროს უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებულა ქართველთა სამეფო და მის ცენტრად ბანა ქცეულა. ახალ სატახტო ქალაქთან, რაღა თქმა უნდა, საეპისკოპოსოც დაარსდა და პირველი „ქართველთა მეფე“ ტაძარს უშენებს ახალ საეპისკოპოსოს.

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ქართველთა მეფის რეზიდენცია თუ ქალაქი. არც ნანგრევები შემონახულა ამ რეზიდენციისა, არც წერილობითი აღწერილობა. არადა, საინტერესო კი იქნებოდა.

საინტერესო იქნებოდა არა იმდენად მაშინდელ ჩვენს სამშენებლო სახუროთმოძღვრო ხელოვნებაზე წარმოდგენის შესავსებად — ამ სფეროში ჩვენი ხალხის საარაკოდ მაღალი კულტურის ბევრი ნიმუში შემონახულა და, ამდენად, საკმაოდ სრული წარმოდგენა გვაქვს. საინტერესო იქნებოდა სულ სხვა თვალსაზრისით: უპირველეს ყოვლისა, იმის გასათვალისწინებლად, იმის წარმოდგენის შესავსებად, თუ რა მასშტაბის გეგმები და პერსპექტივები ჰქონდა ქართველთა მეფეს...

ისევე როგორც, ვთქვათ, უფლისციხე გვიქმნის საკმაოდ ნათელ წარმოდგენას მისი მშენებელი ხალხის ძალიან ფართო და შორს გამიზნულ პერსპექტივებზე...

საქმე ის არის, რომ ისტორიას ძუნწი ცნობები შემოუნახავს ჩვენი ხალხის ცხოვრების ამ პერიოდზეც, და ყოველი კონკრეტული ფაქტი თუ საგანი, რაც კი ამ მხრივ ჩვენს წარმოდგენას შეავსებს, საყურადღებო და საგულისხმოა.

ერთი სიტყვით, წარმოდგენა არა გვაქვს მეფის რეზიდენციაზე. სამაგიეროდ, საკმაო ცნობები მოგვეპოვება იმ ტაძარზე, რომელიც ადარნასე მეორეს აუშენებია. და ამის მიხედვითაც კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა მასშტაბის გეგმები ჰქონია ქართველთა პირველ მეფეს.

ძალიან გვიანი დროისაა ის წერილობითი აღწერილობანი და შთაბეჭდილებანი, რაც ბანას დიდებული ტაძრის შესახებ გვაქვს. უკვე საკმაოდ შელახული უნახავს იგი ამ შთაბეჭდილებათა პირველ ავტორს მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში; პატარა სოფლის მოშორებით, უდაბურ ადგილას მდგარი ნანგრევები ძველი დიდებისა — თორმეტი მკაცრი საუკუნის მოწმე, ჩამონგრეული, შებილწული, შეურაცხოფილი, მრავალჭირნახული და ჭირგამოვლილი, და მაინც ამაყი დიდებით გამომზირალი ჩვენი დიდებული ბანა. ბევრი ავისმსურნე სტუმრებია მას იმ გრძელი საუკუნეების განმავლობაში, ბევრი მტრობითა და ღვარძლით გაჟღენთილი გულის პატრონი, ბევრი ავი თვალი მოხვედრია მის მკვიდრად აზიდულ კედლებსა და ცაში ამაყად აჭრილ გუმბათს... და კეთილმოსურნე მეგობრის თვალს უკვე შელანძღულ-შეურაცხყოფილი დახვედრია.

ქვემოთ მოტანილ შთაბეჭდილებათაგან ყველაზე ადრინდელი 1843 წლით თარიღდება და იგი უცხოელ ავტორს ეკუთვნის.

35 წლის შემდეგ კვლავ უნახავს ბანა კეთილმოსურნე თვალს, და ეს უკვე მეორე შთაბეჭდილებაა.

ესეც უცხოელისა.

კიდევ რამდენიმე წელი და უკვე ქართველი მეცნიერები ეწვევიან მას, მოსიყვარულე შვილის გულისტკივილით შემოუვლიან ამდენი ხნის უპატრონოდ მიტოვებულს, თრთოლვით შეახებენ ხელს, მიუალერსებენ...

და მრავლისმეტყველი ფოტოსურათებიც, რაც ტაძრის გრანიოზულობასა და ჩვენი ხალხის მაღალ კულტურასა და შემოქმედებითს გენიაზე მიგვანიშნებენ, ამ დროისაა.

სამწუხაროა, რომ იმ პირველ მნახველს ვერ აღუბეჭდავს

ფოტოფირზე ბანა – იმისი მარტო შთაბეჭდილება და ზოგადი აღწერილობა გვაქვს. სამწუხაროო, იმიტომ ვამბობთ, რომ მომდევნო ოცდაათიოდე წელიწადში ეს უძველესი ჭირგამოვლილი ძეგლი ძალიან შეცვლილა და დაზარალებულა. რაც თორმეტმა მკაცრმა საუკუნემ ვერ დააკლო, იმ მომდევნო ოცდაათიოდე წელიწადში დასტყდომია თავს.

აქვე მომაქვს ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე წერილობითი აღწერილობა და შთაბეჭდილება, ოღონდ არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ჯერ ქართველ მეცნიერს მოვუსმინოთ.

Банский храм составил бы украшение любой европейской столицы, печать грандиозности, красоты и изящества Баны не утратились и в руинах... Все это свидетельствует о былом великолепии, красоте и изяществе Баны.

ეს სიტყვები ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც პირველად 1902 წელს მოინახულა ნანგრევები. ამ დროს უკვე ძალიან შელახული იყო ტაძარი. ზემოთ ნახსენები ფოტოებიც ამდროინდელია (ერთგან სინანულით შენიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი, ნეტა იმ ოცდაათი წლის წინათ მოხერხებულიყო ტაძრის ფოტოფირზე აღბეჭდვაო). ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობა და შთაბეჭდილებანი რუსულ კრებულში გამოქვეყნდა 1909 წელს, ამიტომაც არის დაწერილი რუსულად.

იმავე კრებულშია დაბეჭდილი გერმანელი მეცნიერის შთაბეჭდილებაც. როგორც ითქვა, ეს უფრო ძველია, 1843 წლისა.

Это, без сомнения, самое красивое и самое великолепное из всего того, что я видел в этом роде на всем Востоке, исключая Константинополя. Все здание казалось снаружи как бы в форме громадного купола, поперечный диаметр которого равнялся почти высоте купола.

და მეორე დღიურის ნაწყვეტიც, დაწერილი უკვე სხვა უცხოელი მოგზაურის მიერ 1879 წელს.

23 июня 1879 г. Пенякский храм[1]. Свод провалился, наружная облицовка стен ободрана. Ахмед-бег говорит, что над входом была надпись, но жители взяли камень на постройку... колонны в храме повалены... Один из пенякских жителей рассказал, что свод обрушился года 4 тому назад после дождя. По его же словам, пол был выстлан камнем, гладким как стекло...

1. ბანის ტაძარი სოფელ ფანაქის (ფენიაკის) მეზობლად მდებარეობს, პატარა მდინარის ნაპირას.

პირველი ღლიურის დაწერიდან მეორე ღლიურის დაწერამდე, იმ 35 წლის განმავლობაში ძველი ტაძარი დიდი ბრძოლების მოწმე და უშულო მონაწილე გახდა. რაც შფოთიან საუკუნეებს გადაურჩა, სწორედ ახლა, რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაინგრა და განადგურდა. ეს უძველესი დიდებული ტაძარი თავდასაცავ ზღუდედ გამოიყენეს ჩვენმა „მფარველმა ქრისტიანმა ძმებმა“.

ქართველმა მეცნიერებმა, როგორც უკვე ითქვა, უფრო მოგვიანებით იხილეს ტაძრის ნანგრევები, როცა წარწერებიანი ქვები გაზიდული იყო, ფრესკები – ჩამოშლილი, გუმბათი — ჩამონგრეული, დამახინჯებული და თავდასაცავად ახალ კოშკებ დაშენებული.

აი, 1881 წლის ჩანაწერიც, რომელიც ქართველ მეცნიერს დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის:

Церковь эта обезображена пристройкой двух башен и надстройкою кругом на самом корпусе, образовавшем галлерею с бойницами. Видно при напоре турок она обращена была в крепость и турки при осаде разорили ее. Она, как видно, выдержала сильный и продолжительный огонь. Купол совершенно сбит; стены тоже сильно пострадали. Ни надписи, ни фрески уже не оказывается...

ვინ იცის, რამდენი საიდუმლო გაიყოლა თან იმ წარწერებიანმა ქვებმა, გომურის ასაშენებლად რომ გაზიდეს...

არ გაგიკვირდეთ, რომ ეს ქვები საგანგებოდ მოეპაროთ ქართული წარწერის გაქრობის დაუოკებელი სურვილით.

ახლა კლარჯეთისკენაც გაეიხედოთ.

ქვეყნის ცენტრმა რომ ტაოში გადაინაცვლა და ქართველთა მეფის ტახტი ბანაში დაიდგა, ეს იმას კი არ ნიშნავს, კლარჯელ მთავრებს ფარ-ხმალი დაეყაროთ. არა. რა სათქმელია! კლარჯელი მთავრები იხტიბარს არ იტეხენ და თუ ადარნასემ ბანა ააშენა და ახალი საეპისკოპოსო დააარსა, არც არტანუჯის გამგებელი აშოტ კუხი ჩამორჩა, და კეთილშობილური გაჯიბრებითა თუ ბოროტი ქიშპობა-შურით — როგორც გენებოთ, ისე მონათლეთ — თითქმის იმავე ხანებში ტბეთის დიდებული ტაძარი ააშენა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქვეყანამ მოიგო მხოლოდ, რადგან კიდევ ერთი დიდებული კერა შეიქმნა ქართული კულტურისა; აქაური მოღვაწეები — მტბევრები — შესანიშნავ ქართველ მწერლებად მოგვევლინენ.

ზემოთ ბანას დიდებული ტაძრის დასახასიათებლად რამდენიმე მოგზაურის შთაბეჭდილებები გავიხსენეთ. რაკი სიტყვამ მოიტანა,

ტბეთის ტაძრის დასახასიათებლადაც გავიხსენოთ ერთი მოგზაურის სიტყვები:

Тбетская церковь могла бы составить украшение даже Рима, так хорош ее общий вид, изящны ее детали.

რაკი ისტორიას მწირი ცნობები შემოუნახავს და იძულებული ვართ, პატარა მინიშნებებითაც კი ვიეარაუდოთ ბევრი რამ, რათა ასე თუ ისე სრული წარმოდგენა შეგვექმნას იმდროინდელ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე, ინტერესმოკლებული არ იქნება, ერთ არც თუ უმნიშვნელო ფაქტს მივაქციოთ ყურადღება.

ადარნასე მეორე 888 წლიდან იწოდება „ქართველთა მეფედ". მთელი მანამდელი ისტორიის მანძილზე პირველად ვხვდებით ამ წოდებას. მანამდე ჩვენ ვიცოდით მეფე იბერთა ანუ იბერიისა, მეფე კოლხეთისა, მეფე ლაზიკისა, აფხაზეთისა და ეგრის-აფხაზეთისა, ჰერეთისა, კახეთისა, თვითონ ტაო-კლარჯეთისა (სულ ერთია, ოფიციალური იყო ეს წოდება თუ არა), ქართველთა მეფე კი პირველად ამ დროიდან გვხვდება.

ქართველთა მეფე! და არა მეფე ქართლისა!

რას უნდა მივაწეროთ ასეთი წოდების შემოღება და დამკვიდრება? ქართველი ხომ საერთო სახელია ქართლელისაც, კახელისაც, კოლხისაც?! „ქართველთა მეფე" პრელუდიასავით ხომ არ არის „სრულიად საქართველოს მეფისა?" ასე ხომ არ უნდა მივინიშნოთ? ეს ქვეტექსტი ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ? რაკი ქართველთა მეფის წოდება მიიღო, ეს თავისი გეგმებისა და პერსპექტივების საჯარო განცხადებას ხომ არ ნიშნავდა? ერთგვარ გამოწვევადაც ხომ არ გაისმა?!. ამით უფრო მძაფრად და გამომწვევად ხომ არ დაუპირისპირდა ეგრის-აფხაზეთის მეფეს, რომელიც აგრეთვე მთელს ქვეყანაში ჰეგემონობის მოპოვებისკენ მიისწრაფოდა?!.

სამწუხაროდ, ასე განებივრებულები არა ვართ — ასე გაშლილსა და დაწერილებით ცნობებს ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები არ გვაწვდიან. ამ შემთხვევაშიაც მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. კერძოდ, ადარნასე მეორეზე ძალიან მწირი ცნობები შემოუნახავს ქართულ წყაროებს. ჩვენი ისტორიკოსები ამ მწირ ცნობებს სომხური წყაროებით ავსებენ. სომხურ ისტორიულ წყაროებშიაც ჰპოვა ასახვა ქართველთა მეფის ცხოვრებამ და საქმიანობამ. საქმე ის არის, რომ ქართველთა მეფე ადარნასე სომეხთა მეფის მოკავშირედ გვეელინება, და მისი საქმიანობა მეზობელი ხალხის ისტორიასთანაც არის დაკავშირებული.

891 წელს გარდაიცვალა სომხეთის მეფე, და, აჰა, ქართველთა მეფე ადარნასე სომხეთში მიემგზავრება, რათა სამძიმარი უთხრას უფლისწულ სუმბატს.

შორიდან მართლაც ასე ჩანს — თითქოს მართლაც მისასამძიმრებლად წავიდა; სინამდვილეში კი სულ სხვა მიზანი უნდა ჰქონდეს მის გამგზავრებას, უბრალო სამძიმარზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი: ქართველმა მეფემ მხარი უნდა დაუჭიროს და ხელი შეუწყოს სომხეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს.

უფლისწულს მეტოქე გამოუჩნდა — თავისივე ბიძა აბასი. ძმისწულისთვის ტახტის წართმევა განუზრახავს აბასს... და ქართველი გვირგვინოსანიც თავისი მცირე ამალით სწორედ იმიტომ მიეშურება სომხეთისკენ, რათა მეზობელი და მეგობარი ქვეყნის გვირგვინოსნის შვილს, სომხეთის ახალგაზრდა უფლისწულს გასაჭირის დროს მხარში ამოუდგეს.

იმავე სომხური წყაროს მიხედვით, ადარნასე გზად ქალაქ კარში შეიელის, სწორედ ამ აბასთან — უფლისწულის ბიძასთან.

გასაკვირი აქ თითქოს არაფერია: შორი გზა აქვს გასავლელი ქართველ მეფეს და მეზობელ წარჩინებულთან, გარდაცვლილი მეფის ძმასთან შეიარა, შეისვენა, დანაყრდა, ცხენიც დაასვენა. გარდაცვლილი მეფის ძმასაც მიუსამძიმრა.

არც ის არის გასაკვირი, რომ, როგორც ასეთ ვითარებაში ხდება ხოლმე, დაყოვნდა კიდეც, იმაზე მეტი შეაგვიანდა, ვიდრე გათვალისწინებული ჰქონდა: მეფეს ხომ მეფური დახვედრა უნდოდა, და ეს უცებ ვერ მოხერხდა. მასპინძელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, გვირგვინოსანი სტუმრისთვის ღირსეული დახვედრის საშუალება მიეცეს... და ცოტათი რომ შეყოვნდა სტუმარი, გასაკვირი სულაც არ არის.

პირველად მართლაც არ გაჰკვირვებიათ ქართველთა მეფე ადარნასესა და მის მხლებლებს... არც ჩვენ გაგვკვირვებია, ჩვენი საუკუნეთა მხილველი მანქანის საშუალებით რომ შევეყურებთ ჯერ გაჭიანურებულ საშხადისს და მერე ასევე გაჭიანურებულ სადილს...

გაკვირვება ჩვენ თანდათანობით მოგვიცავს... სტუმარი მეფეცა და მისი მხლებლებიც თანდათანობით შეცბუნდებიან...

სტუმარი წასვლას ეშურება, მასპინძელი ცდილობს გაახანგრძლივოს სუფრა.

ცოტა ხანს კიდევ... მაინც დროზე ჩახვალ, მზე ჯერ შუბის ტარზე დგას (არადა, მზე რამდენი ხანია გადაიხარა!), ბევრს აღარ დაგაყოვნებთ, ერთხელ კიდევ მოვიხსენიოთ ჩემი უდროოდ გარდაცვლილი ძმის სული... სტუმრისავე სიტყვებით ინუგეშებს თავს მასპინძელი — რა ვქნათ, ღმერთმა ასე ინება, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...

და უკვე შეწუხებული და ცოტა არ იყოს გაბეზრებული სტუმარიც მერამდენედ იმეორებს: რა ვქნათ, ღმერთმა ასე ინება, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...

ყველაფერს საზღვარი აქვს და მით უფრო გვირგვინოსნის მოთმინებას. ამათი მოთმინების ფიალა უფრო ჩქარა ივსება ხოლმე...

და ჩვენ ვხედავთ, როგორ თანდათან მოერია გაგულისება მეფეს, როგორ თანდათან დაარღვია მასპინძლის ჩვეული თავაზიანი პატიჟის წესი და რიგი. საბოლოოდ გაბეზრებული მეფე რომ წამოდგა წასასვლელად, მასპინძელი ისე გაკადნიერდა, რომ ჩამოქაჩვაც კი ჰკადრა... და მეფის მხლებლებმა უნებურად წაიღეს ხელი ხანჯლისკენ, ერთმანეთს გადახედეს — რა ვქნათ, არ შევიმჩნიოთ შემთვრალი მასპინძლის თავხედობა თუ ვიწყინოთო?!.

რა გასაკვირია, რომ მეფე თავის მხლებლებზე ადრე მიხვდა ყველაფერს: სიმთვრალე და მასპინძლის ჩვეულებრივი ახირება აქ არაფერ შუაში იყო, აბასს თავისი საზრუნავი ჰქონდა, თავისი ანგარიშები. და როცა ქართველთა მეფემ აშკარად შეატყო ეს, თავის მხლებლებს ანიშნა, ცხენები გამოიყვანეთო.

ამის შემდეგ უკვე ხელჩართულ ბრძოლას დაემსგავსა თავაზიანობას გადაცილებული პატიჟი მასპინძლისა....

მეფემ იმარჯვა, მოახტა ცხენს და ასე ჯიქურ, სტუმარ-მასპინძლის ადათის ასე უცნაური დარღვევით, გამოუთხოვებლად და მადლობის უთქმელად გამოვარდა ეზოდან...

ქართველთა მეფის ეჭვები დადასტურდა: აშკარა გახდა, რომ აბასი ნამდვილად აპირებდა უფლისწულისთვის ტახტის წართმევას (იქნებ იმიტომაც შეუხვია ადარნასემ აბასთან... რათა ნამდვილად დარწმუნებულიყო თავისი ეჭვების საფუძვლიანობაში!)

ამრიგად, ჩავიდა თუ არა ქართველთა მეფე, სომეხ უფლისწულს მიუსამძიმარა და მაშინვე თალხები გაახდევინა. მეფის სამოსელი ჩააცვა, მეფედ კურთხევა დააჩქარებინა...

უკან რომ გამობრუნდა, ამჯერად, რალა თქმა უნდა, არ აპირებდა აბასთან გამოვლას — რა კარგი მასპინძლობა ახსოვდა! მაგრამ აბასს

ჩასაფრებული ჰყავდა თავისი ხალხი: სტაცეს ხელი ქართველთა მეფეს და აბასს მიჰგვარეს. აბასმა შეიპყრო და გამოკეტა.

ეს რომ სომხეთის ახალგაზრდა მეფემ გაიგო, შეწუხდა, ბიძას საკუთარი შვილი გაუგზავნა მძევლად და მეგობარი და მოკავშირე ქართველი მეფე გამოისყიდა.

სომეხთა მეფის სუმბატისა და ადარნასე ქართველთა მეფის მეგობრობასაც გარკვეული მიზანი ჰქონდაო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს.

მოვლენათა მსვლელობა ააშკარავებს ამ კავშირის საფუძველს.

აბა, ქართულ წყაროებში ჩავიხედოთ.

„მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი“... გვაუწყებს „მატიანე ქართლისა“.

ეს მომხდარა 904 წელს.

ჩვენთვის უკვე გასაგებია გაძლიერებული ქართველი მთავრების ლტოლვა ქართლისაკენ, ქვეყნის და მთელი კავკასიის გულის დასაპყრობად. ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი. აფხაზთა მეფემ, ეტყობა, თავი მოღონიერებულად ჩათვალა და აჰა, ქუთაისიდან „დაიპყრა ქართლი“. სხვა მთავრებს დაასწრო. ეს, რაღა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნოდ დარჩებოდა ადარნასე მეორეს, რომელსაც თვითონვე ჰქონდა პრეტენზიები ქვეყნის ჰეგემონობაზე, და რომელმაც აკი ქართველთა მეფის წოდებაც დაიმკვიდრა.

აი, აქ დასჭირდა ადარნასეს სომეხი მეფის მოკავშირეობა.

თუმცა ეს გამოთქმა იქნებ მთლად ზუსტი არ იყოს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ურთიერთ მოკავშირეობა დასჭირდათო. რადგან სომხეთის მეფეს თავისი ინტერესები ჰქონდა, მასაც ეჭირა თვალი ქართლზე. იმდროინდელ სომეხ ისტორიკოსს თუ ვერწმუნეთ, კონსტანტინეს წინააღმდეგ შეერთებული ძალით ბრძოლაში, რაც აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას მალევე მოჰყვა, სწორედ ადარნასე ეხმარებოდა სომეხთა მეფეს.

ქართველი მემატიანეც უსვამს ხაზს ქართლის დაპყრობის გამო სომეხთა მეფის გაგულისებას: როცა კონსტანტინეს მიერ ქართლის დაპყრობის ამბავს გადმოგვცემს, იქვე დასძენს ჩვენი მემატიანე: [ამის გამო] „და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა... და წარიღეს ციხე ხერხითა“ (აქ იმ მნიშვნელოვან ფაქტსაც დავაკვირდეთ, რომ ქართლისთვის ბრძოლა იმ პერიოდში სწორედ უფლისციხის გარშემო ხდება).

კონსტანტინემ რომ შეატყო, ადარნასე-სუმბატის შეერთებულ მხედრობასთან ვერაფერს გახდებოდა, მოწინააღმდეგეებს დაზავება სთხოვა.

გაიმართა კიდეც საზავო მოლაპარაკება. მაგრამ მოლაპარაკების დროს სტაცეს ხელი კონსტანტინეს (სომეხი ისტორიკოსი გადმოგვცემს, ეს ადარნასეს ბრძანებით მოხდაო) და ტყვე მეფე სომხეთში გაგზავნეს...

გვირგვინოსანთა ასეთი კავშირები მუდამ ცვალებადი და მერყეევია ხოლმე. ამის შემდეგ, ეტყობა, დიდი ხანი აღარ გასულა, და ისეთი რამ მოხდა, რამაც ერთმანეთს გადაპკიდა სომხეთის მეფე სუმბატი და ადარნასე.

სუმბატმა თავის ტყვესთან საერთო ენა გამონახა და ერთგვარი სეპარატული მოლაპარაკება წამოიწყო. შეთანხმდენენ, შეკავშირდნენ, ქართველი მემატიანის ცნობით, დამოყვრდნენ კიდეც („კეთილად იმზახნეს სუმბატ და კოსტანტი, — სუმბატმა თავისი ქალი მიათხოვა აფხაზთა მეფეს), და ეს გუშინდელი ტყვე — დღეს უკვე სიძე — დიდის პატივით გამოისტუმრა სომეხთა მეფემ, წართმეული უფლისციხეც დაუბრუნა.

ეს რომ ადარნასე ქართველთა მეფემ გაიგო, საშინლად აღშფოთდა, და ამ დღიდან მათი მეგობრული და საქმიანი კავშირიც დაირღვა. სომეხი მემატიანის ცნობით, ახლა იგი შურისძიებაზე ფიქრობდა.

●

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მეზობელი ქვეყნების მმართველთა ურთიერთობა ან უფლისციხის უკანვე დაბრუნების შემდეგ კონსტანტინეს ექსპანსიური მისწრაფებანი საით გაიშლებოდა, რომ ამ დროს სახალიფოს დამსჯელი ექსპედიციის კიდევ ერთი დიდი ტალღა არ დაძრულიყო.

ამჯერადაც პირველად სომხეთს დაეძგერა ეს ტალღა.

სომეხი ხალხი მედგრად ეკვეთა მტერს, მაგრამ ისეთი მრავალრიცხოვანი იყო მტრის ლაშქარი და ისე ძლიერი მათი ძგერების პირველი ტალღა, რომ ვერ გაუძლო.

სომხეთის შემდეგ არაბთა დიდი ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა.

ეს მოხდა 914 წელს და ისტორიაში კარგად არის ცნობილი აბულ-

კასიმის შემოსევის სახელით. აბულ-კასიმი სარდალი იყო არაბთა იმ მრავალრიცხოვანი ლაშქრისა.

ქართველი მემატიანე ასე გადმოგვცემს ამას:

„ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი, სახელით აბულ-კასიმ, ძე აბუ-საჯისი, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმნსა სპითა დიდითა და ურიცხვით, რომელთა არა იტევდა ქუეყანა. რამეთუ მოვიდა პირველად სომხითს, და მოსრა ყოველი სომხითი, სივნეთი, ვაეძორი და ასფურაგანი. და სუმბატ სომეხთა მეფემან ვერ დაიდგნა ზარისა მისისაგან, და წარმოვიდა მუნით მეოტობით და მიმართა მთათა აფხაზეთისათა, და მუნ იყოფოდა“.

აფხაზეთში გაქცევამ ვერ უშველა სუმბატს — წამოეწივნენ, შეიპყრეს და სომხეთში გააგზავნეს. იქ თავი მოკვეთეს და მოჭრილი თავი ჩამოჰკიდეს. სომხეთის შემდეგ, როგორც ითქვა, საქართველოს მოადგა აბულ-კასიმი.

მოვიდა თბილისში, დაარბია კახეთი, აიღო ბოჭორმა და უჯარმა...

კახეთის ქორეპისკოპოსი მაშინ კვირიკე იყო. კვირიკემ წინასწარვე იცოდა, რა დამანგრეველი ძალა მოდიოდა მისი ქვეყნის ასაოხრებლად. ისიც შეგნებული ჰქონდა, რომ თავისი მხედრობით ამ ძალას წინ ვერ აღუდგებოდა. ამიტომ აიღო თუ არა უჯარმა მტერმა და ბოჭორმას მიადგა, კახეთის ქორეპისკოპოსი არაბ სარდალს მიეახლა და მორჩილება მოახსენა.

ვინ გამოგაგზავნაო? — თითქოს ასე უკითხავს არაბ სარდალს, ასე გადმოგვემს მემატიანე („ვინ გაწვია აქა მოსვლა?“).

დედაჩემმაო, მიუგო ქორეპისკოპოსმა.

„არა ვატკინო გული ერთისა შემხედვარსა“, — თითქოს ასე უპასუხა აბულ-კასიმმა (სცოდნია, რომ კვირიკე დედისერთა იყო), მემატიანის სიტყვებით, მოსწონებია კიდეც ჭაბუკი მთავარი და თავისუფლება უბოძებია, მაგრამ რაკიღა ბოჭორმაში ფეხი შედგმული ჰქონდა, ეს ციხე მაინც აუღია.

არაბ სარდალს ქართლსა და სამხრეთ-საქართველოში ეჩქარებოდა და რაკი კახეთის მთავარმა მორჩილება გამოუცხადა, გაეშურა კიდეც ქართლისკენ. კახეთი ამჯერად დიდ დარბევას გადაურჩა.

ქართლში რომ გაიგეს არაბთა ასეთი დიდი ლაშქრის შემოსევის ამბავი, სასწრაფოდ მოარღვიეს უფლისციხის ზღუდეები, რათა სრული აოხრებისგან გადაერჩინათ ქალაქი.

აბულ-კასიმმა ერთიანად მოაოხრა ქართლი და აქედან სამხრეთ საქართველოსკენ გასწია. მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი. მიადგა

თმოგვის ციხეს, დიდხანს უტრიალა, მაგრამ ვერაფერს გახდა, „აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს (ყველის ციხეს მიადგა), მოადგა გარე და უწყო ბრძოლად“.

ყველის ციხის ბრძოლა და იქ დატრიალებული ამბები დაწერილებით აქვს გადმოცემული ტბეთის ეპისკოპოსს სტეფანე მტბევარს თავის მოთხრობაში, რომელიც აშოტ კუხის დაკვეთით დაუწერია. და რაკი თანამედროვის დაწერილია ეს მოთხრობა, მით უფრო დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

თმოგვის ციხესთან პირში ჩალაგამოვლებული და გაგულისებული არაბი სარდალი უფრო მეტის გააფთრებითა და მეტის სიფრთხილითაც ეკვეთა ყველის ციხეს. საგულდაგულოდ დაიბანაკეს ციხის ირგვლივ: „მოადგეს ციხესა მას ყუელისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ხუთისა სოფლისა საზღვართა და-ოდენ-ეტინეს იწროებითა“, ვკითხულობთ მტბევარის მოთხრობაში.

ეს ხუთი სოფლის სიგრძეზე თოვლივით გადათეთრებული კარვები თოკებით ყოფილა ერთმანეთზე გადაბმული. მარტო ამისი ხილვაც კი შიშის მომგვრელი უნდა ყოფილიყო ციხეში გამაგრებული ერთი მუჭა ქართველი მეომრებისთვის. ახლა საბრძოლო იარაღები! ქვის სატყორცნებიც კი მოუტანიათ ციხის კედლებისთვის ლოდების საშენად.

„და ესრეთ განემზადნეს ბრძოლად ფილეკავნებითა მრავლითა, და სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართაი შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა, რომელსა აქუნდა ასეული ტვირთი აქლემისაი ისარი ოდენ და ეგრეთვე ჰოროლი“.

ასი აქლემის სატვირთავი ისარი და შუბი ჰქონიათ! 28 დღე — თითქმის მთელი ერთი თვე — ჰქონდა ციხეს შემორტყმული ალყა, ოცდარვა დღეს გრძელდებოდა შეუპოვარი იერიში, მაგრამ ციხე არა ტყდებოდა. ახლომახლო სოფლებში იჭერდნენ ხოლმე მშვიდობიან ხალხს, ციხის წინ მოჰყავდათ და აქ აწამებდნენ, აქვე ხოცავდნენ ციხის მცველთა დასანახად! რაკი ბრძოლაში ვერ გატეხეს და იარაღით ვერაფერს გახდნენ, გადაწყვიტეს ამით გაეტეხათ.

დამფრთხალი ხალხი ახლომახლო სოფლებიდან მეზობელ კუთხეებში გადაიხვეწა: „ურიცხუნი იგი ერნი... აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყვნეს, რომელნი, ვითარცა მკალნი, მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანვილოვანსა ქუეყანისასა“.

ოცდარვა დღე სათქმელად არის ადვილი, თორემ ალყაშემორტყმული, შიმშილითა და წყურვილით გასავათებული მეომრე-

ბისთვის, რომელთაც ყოველდღიურად თვალწინ მხეცურად უწამებენ ახლობლებს, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავენ, როგორ ერთმანეთის მიყოლებით ქრება სიცოცხლისა და არსებობის უპირველესი ნიშანი – სახლებიდან ცისკენ საამურად ასვეტილი კვამლი – ახლომახლო სოფლებში... ასეთ ვითარებაში ოცდარვა დღე მთელი საუკუნეა.

და როცა, ბოლოს, მეცხოვნეთა წინააღმდეგობა შეწყდა, ციხეში 133 კაცი აღმოჩნდა — გაწამებული, გატანჯული, დამშეული და უძილობით თვალში სინათლედაშრეტილი...

...და აქვე ერთი საგულისხმო დეტალი: სტეფანე მტბევარი გადმოგვცემს, როგორ გამოჰყავდათ ციხიდან ეს დატანჯული, მაგრამ სულიერად გაუტეხელი ადამიანები. და ამ დროს მათ შორის მყოფნი „ჩინებულნი იგი აზნაურნი... ადარნასე მეფემან გამოიხსნა“.

დაერივნენ გამხეცებული მოალყენი ერთი მუჭა მებრძოლებს და შეუბრალებლად გაჟლიტეს — „რომელნიმე მახვილითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩხუეპდეს და დასჭრიდეს, ხორცთა მათთა დანებითა განაპებდეს, და ღვიძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა პირითა გაეტაცა“.

მეთაური ამ მეომრებისა ყმაწვილი კაცი გამოდგა, მამულისათვის თავდადებული ქართველი ბიჭი — სახელად გობრონი. წარუდგინეს ეს ჭაბუკი აბულ-კასიმს. დაიწყო ჩვეულებრივი დიალოგი. დაახლოებით ისეთივე, როგორიც ერთ დროს მურვან ყრუსა და არგვეთელ ძმებს შორის გაიმართა.

კარგი ვაჟკაცი ხარ და შენი მოკვლა მენანებაო, არაბმა სარდალმა უთხრა, დაგმე შენი რჯული და შვილივით შეგიყვარებ – დიდ ლაშქარს ჩაგაბარებ, ჩემი მარჯვენა ხელი იქნები, პატივსა და დიდებას არ მოგაკლებ, იქნები „შენ ვითარცა ერთი რჩეულთა ჩემთაგანი, საყვარელ იყო ჩემ წინაშე და პატივცემულ ყოველთა ამათგან ლაშქართა“.

მკითხველი ალბათ ელის, რომ ჭაბუკი გობრონი ყელს ამაყად მოიღერებს, წარბებს აიზიდავს და მტერს ზიზღით გადახედავს – როგორ მიბედავო, ეტყვის, შენც შემირცხვენიხარ და შენი რჯულიც, თუ მკლავთ, ბარემ მომკალითო...

ბევრი გვახსოვს ასეთი ეპიზოდები მსოფლიო აგიოგრაფიული ლიტერატურიდან და იმიტომაც ვთქვით, მკითხველი ალბათ გობრონისგანაც ამასვე მოელისო.

არა. გობრონიც ნამდვილი „მიწიერი“ გმირი აღმოჩნდა და მისი მეხოტბე მტბევარიც – ასევე „მიწიერი“ მწერალი.

ნუო, შეეეედრა, მაგას ნუ დამავალებ, ჩემს რჯულსა და ქეეყანას ნუ დამაგმობინებ... ვერ დავგმობო...

მაშინ აბულ-კასიმმა მონებს უბრძანა, წაიყვანეთ და გაჟლეტილი და ასო-ასოდ აკუწული თავისივე თანამემამულეები აჩვენეთო.

გობრონის გმირობაც აქედან იწყება.

წაიყვანეს.

და მართლაც საშინელი სანახაობა გადაეშალა ჭაბუკს თვალწინ, სულისშემძვრელი სურათი.

უკანვე რომ მიიყვანეს, სარდალმა ჰკითხა – რა ქენი, „რაი გამოირჩიე თავისა შენისაო“.

და ისეთივე მშვიდი, მაგრამ მტკიცე პასუხი მიიღო.

ახლა ასეთი ბრძანება გასცა სარდალმა: რაკი მკედრებმა ვერ იმოქმედა, ახლა წაიყვანეთ და ცოცხლად აჩვენეთ ჟლეტისა და წამების სურათიო.

„და კუალად წარიყვანეს ნეტარი გობრონ, დაადგინეს შორის დაშთომილთა მათ მოყუასთა და ურიდად შეერინეს მათ მახვილითა. და ცემასა მას მათსა უწყალოდ სისხლი მათი ეპკურებოდა მას და რომლისამე გუამი დავარდის მის წინაშე და რომლისამე გუამი შეგორდის ქუეშე ფერხთა მისთა. და ესრეთ აღესრულნეს წამებანი მათ ყოველთანი, საშინელებითა ვერ შეაძრწუნეს გული მისი“.

არაბმა სარდალმა ალბათ იფიქრა – გულქვა კაცი ყოფილა, რაკი თანამემამულეების საშინელმა წამებამ ვერ გატეხა; თავიდანვე უნდა მივმხედარიყავი... თავად აწამეთო, მონებს უბრძანა, ოღონდ თანდათანობით, რომ ცოცხალი გავტეხოთო.

თავისი საქმე კარგად იცოდა მტერმა: ათასობით მოკლულსა და ასო-ასოდ აკუწულ ადამიანს ეს ერთი ჭაბუკი მიემატებოდა თუ არა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, სათვალავი ხომ ამით არ გაიზრდებოდა. მთავარი იყო, სულიერად გაეტეხა ეს ჯიუტი ბიჭი, ქედი მოეხრევინებინა. ამ დაუმორჩილებელი ხალხისთვისაც კარგი მაგალითი იქნებოდა ესა და თავისი საკუთარი ლაშქრის დასანახადაც საჭირო იყო.

თავი დაახრევინეს ახალგაზრდა მეომარს და „სცეს მახვილითა ორგზის ოდენ“. დასჭრეს, მაგრამ სასიკვდილოდ არა. დააცადეს, აბა რას იზამსო.

გობრონმა თავისივე ჭრილობაში ამოავლო ხელი და შუბლზე საკუთარი სისხლით ჯვარი გამოისახა. სარდლის წინაშე რომ მიიყვანეს, „ბრწყინავდა პირი მისი და შუბლი მისი ელვარედ“.

როცა საბოლოოდ დარწმუნდა აბულ-კასიმი, რომ ახალგაზრდა ქართველ მამულიშვილს ვერ გატეხდა, თავი მოაკვეთინა.

ეს მოხდა 914 წლის 17 ნოემბერს.

სახალიფოს დამსჯელი ექსპედიციის ამ ერთმა დიდმა ტალღამაც გადაიარა.

●

გამოხდა ხანი, ქვეყანამ ბოლო დარბევის ჭრილობები მოიშუშა...

და კონსტანტინე მეფე ისევ აბორგდა, ისევ მოუნდა აღმოსავლეთისკენ გალაშქრება. კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსმა უხმოო, მემატიანე გადმოგვცემს (ეს ის კვირიკეა, აბულ-კასიმმა რომ შეიწყნარა), მაგრამ რაკი გალაშქრებისა და მეზობელი სამთავროს დარბევის შემდეგ ნადაელიდან უფრო დიდი ნაწილი ეგრისაფხაზეთის მეფეს ერგო, ალბათ უნდა ეივარაუდოთ, რომ კონსტანტინე მეფე თვითონვე შეუთვლიდა და გაიხდიდა მოკავშირედ კახთა ქორეპისკოპოსს.

ამჯერად კახეთისა და დასავლეთ საქართველოს შეერთებულმა ლაშქარმა ჰერეთზე გაილაშქრა. პირველად ვეჟინის ციხეს მიადგნენ და ალყაში მოაქციეს. ზემოთა მხრიდან („ზედათ-კერძო") კონსტანტინეს მხედრობა მოადგა, ქვემოდან — კვირიკე. ბრძოლით აიღეს ციხე და ამ დროს ჰერეთის მთავარი ადარნასეც მოვიდა.

ჩვენ ვიცნობთ ამ ადარნასეს, ადარნასე პატრიკს, დინარ დედოფლის ქმარს.

ადარნასე იძულებული გახდა, არახელსაყრელ ზავზე დათანხმებულიყო: „მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვირიკეს ორჭობი"... (ზემოთაც შევნიშნეთ, მეტი წილი აფხაზთა მეფეს ერგო).

სხვათა შორის, მემატიანის ცნობას ადასტურებს აგრეთვე წარწერაც ერედვის წმიდა გიორგის ეკლესიისა, რომელიც სწორედ იმ ხანებშია აგებული:

„...ხელმწიფობასა ღმრთივ დამყარებულისა წმინდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფეი გააქცია და მუნით მშუიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრ ბრეძას გადაჰხთა. მეორედ კუალად ავიდა, ვეჯინის ციხე დალეწა".

კონსტანტინემ რომ ალავერდს ილოცა, ეს ცნობა „მატიანე

ქართლისასაც“ შემოუნახავს და ამისთვის იქნებ არც მიგვექცია ყურადღება. რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სად ილოცა მეფემ! აქ საგულისხმოა ერთი ფრაზა, რის შესახებაც „მატიანე ქართლისა“ არაფერს ამბობს: კონსტანტინეს მეორედაც დასჭირვებია ჰერეთს წასვლა და ვეჯინის ციხის „დალეწვა“.

აფხაზთა მეფე კონსტანტინე რომ გარდაიცვალა, ორი შვილი დარჩა — სხვადასხვა ცოლისგან. და როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ახლაც დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა ტახტისთვის.

ისტორიამ ბევრი იცის ასეთი დინასტიური ხასიათის ბრძოლები ყველა ქვეყანაში. გაჩნდებიან ხოლმე დაჯგუფებები, ბრძოლა თანდათან იძაბება, მწვავდება, სისხლიც იღვრება და ხშირად დიდხანსაც გასტანს. ახლაც კარგა ხანს გაგრძელდა ბრძოლა და, ეტყობა, უსისხლოდ ვერც აქ დამთავრდა საქმე. ერთი წლის დაძაბული ბრძოლის შემდეგ კონსტანტინეს უმცროსი ვაჟი მოკვდა (მოკლესო, მოსე ჯანაშვილი წერს) და ტახტი დარჩა უფროსს — გიორგის.

გიორგი მეორე გამეფდა 922 წელს.

ქართველი მემატიანე ქებით მოიხსენიებს ამ გიორგის: „იყო სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა... მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ!“...

დიდებული ჭყონდიდის ტაძარი და საეპისკოპოსო კათედრა, რომელზეც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, გიორგის დაუარსებია!

მარტო ეს ეყოფოდა სახელად.

გიორგისავე სახელს უკავშირდება ალანების მოქცევა ქრისტიანებად და ამით ჩრდილო კავკასიის ხალხთა უფრო დაახლოება საქართველოსთან.

ერთი წელი გავიდა დასავლეთ საქართველოში გიორგი მეორის გამეფების შემდეგ და 923 წელს გარდაიცვალა ქართველთა მეფე ადარნასე მეორე. სამხრეთ საქართველოში სამეფო ტახტზე ადარნასეს შვილი დავითი ავიდა[1]. მაგრამ ქართველთა მეფე ამ დროისთვის ისეთი ძლიერი აღარა ჩანს და ქართლისთვის ვეღარც იცლის. უმთავრესად სამხრეთ საქართველოში „მოქმედებდა... და ქართლის საქმეებს ყურადღებას ვერ აქცევდაო“, მოსე ჯანაშვილი წერს.

1. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ადარნასეს შემდეგ ქართველთა მეფის ტახტზე სუმბატი ადის, ადარნასეს მეორე შვილი, მაგრამ იშხნის ტაძრის ცნობილ წარწერაში ადარნასეს შემდეგ ქართველთა მეფედ დავითი მოიხსენიება, და რამდენადაც წარწერა იმავე ხანებშია შესრულებული, ეს ცნობა უფრო სარწმუნო ჩანს.

შინაგანმა შუღლმა და განხეთქილებებმა შთანთქა მათი ყურადღება და ენერგია.

„ამიერითგან საქართველოში უპირატესობა და მეთაურობა აფხაზთა მეფეების ხელთ იყო", შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

არის ერთი გარემოება, რის გამოც ტაო-კლარჯეთის მმართველნი ამ პერიოდში ქართლისთვის ისე აქტიურად ველარ იცლიდნენ. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ქართლის მმართველად გიორგი მეორემ თავისი შვილი კონსტანტინე (პაპის სეხნია) დაადგინა.

●

ქართლის ახალგაზრდა გამგებელს, ეტყობა, ვერ გამოპყვა მამის ჭკუა და სიდინჯე: ქართლისა და მესხეთის დიდებულებმა გადაიბირეს; რაღა მამაშენს ემორჩილებიო, უთხრეს, ამხელა ქვეყნის მბრძანებელი ხარ, ჩვენც აგერ მხარში ამოგიდგებით, ვიღა მოგვერევა, ვიღა დაგვამარცხებს, გადაუდექი და თავი ქართლის მეფედ გამოაცხადე, მერე დასავლეთ საქართველოსაც შემოიერთებ და გახდები მორჭმული და ძლევამოსილი მეფე, იმპერატორიც კი ხმას ველარ გაგცემსო.

ძალიან დიდი იყო ცთუნება. მოტყუვდა ქართლის ახალგაზრდა გამგებელი. აზნაურებმა მოატყუეს. ველარ მიხვდა, რომ ქართლის აზნაურები მისი კეთილდღეობისთვის არა ზრუნავდნენ. იმათ თავისი საკუთარი საზრუნავი ჰქონდათ, თავისი მუცლის გვრემა. იგრძნეს, რომ გიორგი მეფე ძალიან განდიდდა, გაძლიერდა, დღეს თუ ხვალ ქართლშიაც უფრო მაგრად გაიდგამდა ფეხს და აზნაურების თვითნებობას ალაგმავდა, თავისუფალი პარპაშის საშულებას მოუსპობდა.

აი, რა აწუხებდა მათ.

პირიქით რომ მომხდარიყო — ახალგაზრდა უფლისწული რომ მოსჩვენებოდათ უფრო განდიდებულ-გაძლიერებული და ამ აზნაურების ალაგმვის შემძლებელი, ერთი წუთითაც არ დაფიქრდებოდნენ და მამას ამოუდგებოდნენ მხარში, მასთან კავშირს მოინდომებდნენ, შვილის წინააღმდეგ წააქეზებდენ... უფლისწული მოტყუვდა. ცბიერ აზნაურებს დაუჯერა. თავად მოუნდა განდიდება...

სამი წელი მიიწურა, რაც მამამ ქართლი ჩააბარა და უკვე გაამპარტავნება და თვითნებობა შეატყო შვილს.

უფრო მეტი თავნებობის დრო და საშუალება აღარ მისცა გიორგიმ. როგორც კი გაიგო ღალატის ამბავი, ქუთაისიდან დაიძრა და უფლისციხეს მოადგა.

ქართლის გამგებელის რეზიდენცია ხომ უფლისციხე იყო.

კონსტანტინეს უკვე მოესწრო და კარგად გაემაგრებინა ციხე — მას „ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი" შეელოდნენ. გიორგი მეფეს ტაოელნი და კახეთის ქორეპისკოპოსი მიეშველნენ.

რამდენიმე დღე ამაოდ უტევდნენ ციხეს გიორგი და მისი მომხრეები. ვერაფერს გახდნენ. უფლისციხე ძნელი ასაღები იყო. დიდი სამხედრო ძალა სჭირდებოდა. რაც მთავარია, დიდი დრო. მხედრობა ცოტა როდი ახლდა გიორგის. ტაოელნი და კახელნიც ხომ მიეშველნენ; რა არ იღონეს, რამდენი არ უტრიალეს, მაგრამ ციხის აღება მაინც ვერ მოახერხეს. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. „ზოგსა დღესა შეიბნიან ცხენითა და ზოგსა დღესა ქუეითნი".

საინტერესო დეტალია: რაკიღა მხედრობის ჯიქურ მიხდომითა და ისრების დაშენით, თუნდაც ფილაკვანებით ვერაფერს გახდნენ (შორიდან ნატყორცნი ისრები და ქვები ამ ბუმბერაზ კლდეში გამოკვეთილ ქალაქს რას დააკლებდა!), მეორე დღეს, გამთენიისას, ქვეითი რაზმი დაუყვა მტკვარს.

ეცადოთ ამ ეპიზოდის გაცოცხლება: მდინარეზე ფთილებად მოფანტული ნისლის სიმსუბუქით მიპყვებოდა ნაპირს დილის ნისლისფრადვე შენიღბული მარჯვე ბიჭებისგან შემდგარი რაზმი. გარდა ხანჯლებისა, სხვა არავითარი იარაღი არა სხმიათ. იმ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, სადაც ციხე-ქალაქიდან გამომავალი საიდუმლო გვირაბის ყელი ეგულებოდათ, წინამძღოლი, ჭაღარაშერთული კაცი, რომელიც შორიახლო მიუძღოდა რაზმს, მიწას განერთხო, და თვალისდახამხამებაში ყველამ მას მიბაძა. ერთხანს ასე მიცოცავდნენ. მერე წინამძღოლმა ხელი ფერდის ქვეშ შეაცურა და ქარქაშიდან ფრთხილად ამოაძრო ხანჯალი, ხელში მოიმარჯვა... და წამსვე დილის სიმყუდროეეში მდინარის თანაბარ ხმაურს ქარქაშიდან ხანჯლის ძრობის ოდნავ გაგრძელებული შრიალი შეერთო. წინამძღოლი მარცხენა იდაყვს დაეყრდნო, ოდნავ წამოიწია. ეს იმის ნიშანი იყო, რომ გვირაბის ყელს მიადგნენ. რაზმი გაინაბა... ხოლო როცა მეწინავე ჯგუფი ერთ მუშტად შეიკრა და, თითქოს ერთბაშად ურჩხულის ხახამ შთანქაო, გვირაბის ჩაბნელებულ ყელში გაუჩინარდა, მათ ასეთივე შემართული ხანჯლები შემოხვდათ... ხელად დამთავრდა ყველაფერი

— ცალკეული განწირული შეძახილები ყრუდ გამოიჭრა გვირაბიდან და დილის ნიავმა გაიტაცა.

ქვეითი მეომრების დიდი რაზმი უფრო მოშორებით მიპყვებოდა მეწინავე ჯგუფს, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს წინმიმავალი ამხანაგების მოძრაობას. ისინი რომ გვირაბის ყელში გაუჩინარდნენ, ეს უკვე შეტევის დაწყების ნიშანი იყო: შუბები შემართეს და გაქანდნენ. მაგრამ სისხლით მორწყული შესასვლელი გვირაბისა ჩახერგილი დახვდათ. გონს მოსვლა ვერც მოასწრეს, რომ ზემოდან, ციხის კალთიდან, სულ სხვადასხვა მხრიდან ისრების სეტყვა წამოვიდა...

მაგრამ შეეწყვიტოთ, ნუღარ გავაგრძელებთ. აქ ძმათა სისხლი იღვრება და მისი გახსენება ათი-თერთმეტი საუკუნის შემდეგაც კი ძნელია...

„მრავალთა დღეთ“ ამაო ბრძოლის შემდეგ, რაკი ველარაფერს გახდა, გიორგიმ ციხიდან გამოტყუება გადაწყვიტა შვილისა. თვითონ, თავისი მხედრებით, განერიდა ციხეს, ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს აპატია შვილს და იქაურობას გაეცალა, წავიდა.

სინამდვილეში, მხედრობა გაგზავნა დიდი ხმაურითა და აურზაურით, თვითონ კი მცირე ამალის თანხლებით იქვე დაიმალა — ალბათ მტკვრის გამოღმა, ქვაბურელში.

შვილს ხალხი მიუგზავნა — თანმხლები აზნაურები.

ამათ უთხრეს:

გამოდი, ბედმა გაგიღიმა, მამაშენი მთელი თავისი ამალითა და დარჩეული მხედრობით ტაოსკენ გაემგზავრა. სასახლე ცარიელია. მანამ მამაშენი ქუთაისში დაბრუნდებოდეს, შენ დაასწარი, ჩვენც გვიახლე და გვიმსახურე, გამაგრდი სასახლეში და მერე რაღას დაგაკლებსო „...შენ დაჯედ მეფედ და მამაშენი დარჩეს გარეგნით“.

ამჯერადაც დიდი იყო ცთუნება. ამჯერადაც ძნელი დასათრგუნი გამოდგა ქართლის ახალგაზრდა გამგებლის ამბიცია. მეორედ მოტყუვდა. თავისი მომხრე აზნაურები ბევრს უშლიდნენ, სიმართლეს ვერ დავუკარგავთ, მაგრამ ამბიციით გონებადაბნელებულმა უფლისწულმა არ ისმინა და მალე სანანებელი გაუხდა ეს.

დაღამებას დაუცადა. როცა კარგად ჩამობნელდა, ციხიდან გამოძვრა, გამოიარა საიდუმლო გვირაბი და მდინარის პირას გამოვიდა. მტკვარი ხომ იქვეა, უფლისციხესთან. ტივი წინასწარ ჰქონდა გამზადებული მდინარეზე. შედგა ტივზე და გამოსცურა.

ახლა მეფის მხლებლებმა იჩქარეს. ტივიდან გადმოსვლა არ აცალეს, მისცვივდნენ. „ვერღარა დაითმინეს და მიეტევნეს შეპ-

ყრობად“. ტივიდან გადმოსელა რომ ეცლიათ და ხმელეთზე გამოსულისთვის ჩაეელოთ ხელი, სადღა წაუვიდოდათ, მაგრამ სიბნელეში დაიბნენ და ტივს ნაპირზე მიდგომა აღარ აცალეს.

უფლისწულს პატარა ეჭვი მაინც ჰქონდა გულში. წინასწარ ჰყავდა მეტიევე გაფრთხილებული. როგორც კი იგრძნო საშიშროება, ტიეი უკანვე გაატრიალებინა, ისე რომ მომხდურებმა ფეხი ვეღარ დაიმაგრეს ზედ, სველ მორებზე დაუცურდათ და ტივზე მდგომებმა ადვილად მოიცილეს.

კონსტანტინემ ციხეში შებრუნება გადაწყვიტა. მაგრამ სიბნელეში ტივის დამორჩილება ძნელი გახდა, წყალმა ქვევით გაცურა.

მეფე გიორგი გამოცდილი მებრძოლი იყო და ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა. შვილი რას მოატყუებდა! მარდ ცხენებზე ამხედრებული მდევრების ჯგუფი წინასწარვე გამზადებული ჰყავდა. გადასცურეს ხელად მტკვარი და ციხის მისასვლელები შეპკრეს, ციხეში შესასვლელი გზა მოუჭრეს უფლისწულს.

ამის შემდეგ ძნელი აღარ იყო ციხიდან გამოტყუებული უფლისწულის შეპყრობა. როცა კარგად გათენდა, ახლომახლო ადგილები დაძებნეს და ბედუკულმართი უფლისწული კლდეში დამალული იპოვეს. უფლისციხის მისადგომები და შემოგარენი ხომ სულ კლდოვანია. სწორედ კლდის ნაპრალში წააწყდა მეფის ერთ-ერთი ჯარისკაცი. შეიპყრეს და გიორგის მიპგვარეს.

საშინელი გამოდგა მეფის მსჯავრი: ჯერ თვალები ამოუშანთეს უფლისწულს, მერე დაასაჭურისეს...

და ამდენს ვეღარც გაუძლო. ხელში შემოაკვდათ.

თითქოს ახლაღა გამოფხიზლდაო, დანარჩენების მიმართ ლმობიერება გამოიჩინა მეფემ — უფლისწულის მხარდამჭერი ადგილობრივი აზნაურები და ტბელნი ციხიდან გამოიყვანა და „განუტევნა მშვიდობით...“

ასეთი ტრაგედია დატრიალდა უფლისციხის მისადგომებთან, მტკვრის პირას.

მკაცრი საუკუნეები იყო!

ქართლს უპატრონოდ ხომ აღარ დააგდებდა და ხომ არ დაკარგავდა გიორგი აფხაზთა მეფე. მეორე შვილი — ლეონი — გადმოიყვანა და ის დასვა ახლა ქართლის გამგებლად. თავისი სამფლობელოს გაზრდისა და გაფართოების მისწრაფებანი არც ამის შემდეგ შენელებია. პირიქით, უფრო ფართო მასშტაბის გაბედული მოქმედება დაიწყო.

ტაო-კლარჯეთის ანუ ქართველთა მეფე, როგორც უკვე ითქვა, ქართლისთვის ველარ იცლიდა, და რაკი მისი შიში აღარა ჰქონია, ქართლში ახლა უფრო მტკიცედა გრძნობდა თავს აფხაზთა მეფე. კახეთის მთავარსღა თუ შეეძლო მეტოქეობა გაეწია. მისი მოკავშირე ფადლა ქორეპისკოპოსი ამასობაში გარდაიცვალა და ტახტზე ფადლას შვილი კვირიკე ავიდა, პირველი კვირიკეს შვილიშვილი და სეხნია. „მატიანე ქართლისა" გვაუწყებს: გარდაბნელი აზნაურები გადაუდნენ კვირიკე მეორეს და გიორგი მეფესთან გამართეს მოლაპარაკებაო (მოსე ჯანაშვილი უფრო აკონკრეტებს ამ მოლაპარაკების შინაარსს — ქვეშევრდომობა აღუთქვეს, მეფედ მიიწვიესო).

ადვილი შესაძლებელია, ამისი ინიციატივა თვითონ გიორგისგან მოდიოდეს; რადგან ქართლში განმტკიცების შემდეგ მისთვის სწორედ კახეთი იყო მნიშვნელოვანი.

ასე იყო თუ ისე, გარდაბნელები გადაუდგნენ კვირიკე მეორეს...

და ჩვენ კახეთში ვხედავთ გიორგი აფხაზთა მეფეს, რომელმაც „მოსწუა და ასწყვიდა" იქაურობა, და მალევე გამობრუნდა.

ეს იყო პირველ სადაზვერვო და დასაშინებელ გალაშქრებასავით — ერთი გაიჯირითა, გადაქელა და უკანვე შემოიქცა; რათა უფრო დიდი სამხედრო ძალისთვის მოეყარა თავი და მეორედ უკვე უფრო საფუძვლიანად გაელაშქრა; და ამის შემდეგ კახეთშიაც ისე მტკიცედ დამკვიდრებულიყო, როგორც უკვე ქართლში გრძნობდა თავს.

ამიტომაც, როცა უკან შემოიქცა, ქუთაისში კი აღარ დაბრუნებულა, ატენში დაბინავდა, უფლისციხის მახლობლად, სადაც მისი შვილი ლეონი იდგა. შვილს უნდა მოეგროვებინა მისთვის დიდი მხედრობა კახეთში ხელმეორედ გასალაშქრებლად.

კვირიკე მეორეს აშკარად არა სწყალობდა ბედი: დაჯდა თუ არა მამის ტახტზე, ამ ძლიერმა და მადაგახსნილმა მეფემ — გიორგიმ — დაადგა თვალი. ახლაც, პირველი შემოსევისა და ქვეყნის ნაწილობრივი აოხრების შემდეგ, მიხვდა, რომ კიდევ უფრო

დამანგრეველი შემოსევა ელოდა, და აღარ დაუცადა ამას, თვითონვე ეახლა გიორგისა და ლეონს და მორჩილება გამოუცხადა. გულში, ეტყობა, სხვა რამე ედო. ალბათ მოლაპარაკება ექნებოდა ქართლელ ფეოდალებთან, რომელთაც, როგორც უკვე ითქვა, ძილს უფრთხობდა და მოსვენებას უკარგავდა აფხაზეთის მეფის ასეთი გაძლიერება.

ამნაირი მოლაპარაკება რომ ნამდვილად ექნებოდა კვირიკე ქორეპისკოპოსს და რაღაც კონტრშეტევას რომ ამზადებდა, იქიდანაც ჩანს, რომ მორჩილების მოსახსენებლად თავისი ფეხით მოსულ ქორეპისკოპოსს სტაცეს ხელი აფხაზეთისა და ქართლის გამგებლებმა და დაატყვევეს. ლეონმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ გამგზავრებულიყო კახეთს და ქორეპისკოპოსის სახლობაც შეეპყრო. მაგრამ ქართლის აზნაურებმა წინასწარვე აცნობეს მოსალოდნელი განსაცდელი კვირიკეს ოჯახს და გახიზნეს.

ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებდა ეგრის-აფხაზეთის მეფე, რომ ამ დროს კვირიკეს ძმა — შურტა — არა ხლებოდა მას და ნებაყოფლობით, უბრძოლველად არ გადაეცა კახეთის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი უჯარმა (შემდეგ კახეთის რამდენიმე ქალაქს კიდევ „დაეუფლა“ გიორგი მეფე). იქნებ შურტას მონათელა ძმისა და ქვეყნის მოღალატედ ცოდვაც იყოს: რაკი დარწმუნდა, საშველი არ იყო, ქვეყნის განადგურებას იქნებ ნებაყოფლობით დამორჩილება ამჯობინა!..

ასეა თუ ისე, ეგრის-აფხაზეთის მეფე კახეთშიც შეიჭრა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მტკიცედ დამკვიდრებას. ქვეყანა არეული იყო, მშვიდობა ვერ დამყარდა. მართალია, კვირიკემ მიმართა მეფეს, ოღონდ ნუ მომკლავ, ცოცხალი დამარჩინე და კახეთი შენი იყოსო („დაულოცა კახეთი გიორგი მეფესაო“, მემატიანე გვაუწყებს), მაგრამ ჯერჯერობით ეს ფუჭი სიტყვები იყო და გიორგი მეფე თვითონვე თუ არ განიმტკიცებდა თავის მბრძანებლობას კახეთში, ასეთი „გადალოცვა“ ბევრს არაფერს ნიშნავდა. ამჟამად ლეონმა მამაზე მეტი სიფრთხილე გამოიჩინა, არ აპირებდა კახეთის ქორეპისკოპოსის გაშვებას, მაგრამ მამამ არ უსმინა და გაუშვეს. ოღონდ მძეელად მაინც დაიტოვეს კვირიკეს შვილი.

ვინ იცის, თავიდან რას ფიქრობდა კვირიკე, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სიტყვა გატეხა, ქართლის აზნაურების შთაგონებით (კიდევ აზნაურები! ხედავთ, როგორ გამწარდნენ, ვერაფრით ვერ ეგუებიან ერთი მეფის გაძლიერებას, რასაც საბოლოოდ საქართველოს ცალკეული კუთხეების შეერთება და ერთიანი სახელმწიფოს შექმნა უნდა

მოჰყვეს. ამას გრძნობენ, და სწორედ იმიტომ არიან გამწარებულნი!) და მათივე სამხედრო დახმარებით „დაუწყეს ბრძოლად ციხეთა“ და მალე სულ დაიბრუნეს („მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი“).

საბოლოოდ, კელავ დაეუფლა კვირიკე თავის სამეფოს.

ასე რომ, უსაფუძვლო არა ყოფილა ლეონის შიში.

მით უფრო დიდი იყო სინანული და წუხილი გიორგისა, რომ შვილს არ უსმინა და წინდაუხედაობა გამოიჩინა, კვირიკე ტყვეობისგან გაათავისუფლა.

ეს მოხდა ზამთრის პირს. ლიხის გადასასვლელზე დიდი თოვლი ჩამოყარა, გზები შეიკრა და მხედრობის შეგროვებას ახლა აზრი არა ჰქონდა. თანაც, გიორგის, ეტყობა, ავადმყოფობა შეეჩვია. გაზაფხულამდე დაიცადეს, და, როცა გაზაფხულდა, მხოლოდ მაშინ გაგზავნა მეფემ ლაშქარი. რაკი თვითონ ავად იყო, „წინამძღურად უჩინა“ ლეონი.

გაგულისებული ლეონი შეიჭრა კახეთში და რბევა დაიწყო...

მაგრამ ამ დროს შინიდან სამწუხარო ამბავი მოუვიდა — გიორგი მეფე გარდაცვლილიყო.

დაღონდა უფლისწული. ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარა ჰქონდა. კვირიკე მეფე მოიხმო და თითო ცხენოსნის თანხლებით ბაზალეთის ტბის პირას შეხვდნენ ერთმანეთს, ჯერ არ გაუმჟღავნებია ლეონს მამის სიკვდილი. დაზავებაზე დაუწყო მოლაპარაკება. ქალიშვილს მოგცემ რძლადო, ესეც აღუთქვა, და მოყვრობით კიდევ უფრო განუმტკიცა საფუძველი ურთიერთკავშირს. კვირიკე გახარებული დარჩა საქმის ასე კეთილად დასრულებით.

შორიდან მაცქერალი თვალისთვის საინტერესო და ძალიან უცნაური სანახაობა კი იქნებოდა ეს მოლაპარაკება; მხედრობისგან განაპირებული მეფეები მძიმედ დაატარებენ სადაეემიშეებულ ცხენებს ტბის გასწვრივ, საქმიან საუბარში არიან გართული, დროდადრო ლაგამს მოქაჩავენ და შედგებიან, თვალს თვალში გაუყრიან ერთმანეთს, მერე ისევ მიუშვებენ ლაგამს... და, ბოლოს ერთი მაგთანი ერთბაშად მოსწევს სადავეს — ეს კახეთის მეფეა — უზანგს არც კი დაეყრდნობა, ისე ჩამოფრინდება ცხენიდან და თანამოსაუბრესთან მივარდება, თვალებგაბრწყინებული ახედავს, და მერე მდაბლად დაუხრის თავს...

სწორედ ასე გადმოგვცემს მემატიანე: ქალიშვილს მოგცემ რძლადაო, ლეონმა უთხრა კახეთის მეფეს, „და ვითარცა ესმა ესე

კვირიკესა, გარდახდა ცხენისაგან, და თაყუანისცემითა მისცა მადლი, და განიხარა ზავი და სიყუარული, და უფროს პირი მზახობისა".

მოლაპარაკების შემდეგ ლეონი სწრაფად გამობრუნდა, პირდაპირ ქუთაისში ჩავიდა და მეფედ ეკურთხა (მემატიანე ქებით მოიხსენიებს მის მოღვაწეობას). შეპირებისამებრ, მართლაც მიათხოვა თავისი ასული ცოლად კვირიკეს შვილს.

ჯერ ახალი ასული იყო ტახტზე ლეონი და, ბუნებრივია, ამისთვის ვერ მოიცლიდა, მაგრამ ადრე თუ გვიან ისევ უნდა დაბრუნებოდა იგი კახეთის საქმეს, თუმცა ქორეპისკოპოსი ახლა დამოყვრებული ჰყავდა...

მაგრამ ამასობაში ისეთი რამე მოხდა, რამაც ლეონს გაუადვილა ზავის დარღვევა.

უცებ ლეონის ქალიშვილი, კვირიკეს რძალი, გარდაიცვალა.

აფხაზეთის მეფეს ამის შემდეგ ბევრი აღარ უყოყმანია — შეკრიბა დიდი ლაშქარი და კახეთისკენ გაემართა, არა იმისთვის, რომ ერთად გამოეგლოვათ შვილი და რძალი... არამედ მოყვრის დასარბევად... „ჩადგა არაგვის პირას", დაარბია მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი...

მაგრამ აღარ დასცალდა: ერთბაშად რაღაც სენი შეეყარა და ბოლო მოუღო.

ეს იყო 967 წელს.

●

ლეონს ვაჟიშვილი არ დარჩენია. მისი სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტს დაეუფლა ძმა — დემეტრე. მემატიანის ცნობით, კიდევ ორი ძმა ჰყოლია ლეონს, თეოდოსი და ბაგრატი, მაგრამ მამას ორივენი ბავშვობაშივე ბიზანტიას გაუგზავნია და იქ იზრდებოდნენ, რათა ძმებს ერთმანეთში ტახტისთვის ჩხუბი არ მოსვლოდათ.

იმ ერთი ძმის — ბაგრატისა — არაფერი ისმის. თეოდოსი კი, დემეტრეს ტახტზე ასვლისთანვე წააქეზეს — რატომ ის უნდა იყოს მეფე და არა შენ, რითი ხარ ვითომ მასზე ნაკლები, ასე უბრძოლველად როგორ უნდა დათმო ტახტიო.

უფლისწულის გაგულისებასაც რომ ბევრი რამე უნდოდა! მაშინვე გამოემართა სამშობლოსაკენ. გზად სამხრეთ საქართველოზე გამოიარა და აქ შეჩერდა — მოლაპარაკება გამართა აქაურ მთავრებთან. მხედრობასა სთხოვდა ძმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

მთავრები, რაღა თქმა უნდა, ხალისით დაეთანხმებოდნენ, რადგან ეგრის-აფხაზეთის მეფის გაძლიერება მათ ძილსა და მოსვენებას უკრთობდა, და ძმებს შორის შუღლი, რასაც სამეფოს ძლიერების დასუსტება მოჰყვებოდა, მათთვის დიახაც ხელსაყრელი იყო.

მანამ თეოდოსი ლაშქარს შეაგროვებდა, აფხაზთა მეფემ ყველაფერი გაიგო და დაასწრო – თვითონვე გამოგზავნა თავისი ლაშქარი სამხრეთ საქართველოში. მოულოდნელად დაესხნენ თეოდოსის, და მანაც გაქცევით უშველა თავს.

მაგრამ უკანვე, ბიზანტიაში, კი არ გაბრუნებულა, ქართლისკენ გასწია. ალბათ იმის იმედით, რომ იქ ქართლის აზნაურებს დაიხმარდა. იცოდა აქაური აზნაურების განწყობილება.

ქართლს ჩასული თეოდოსი ძამის მთავარს შეეკედლა.

დემეტრემ გადაწყვიტა, სული არ მოეთქმევინებინა ტახტის მაძიებელი ძმისთვის. ახლა ქართლში გაგზავნა ლაშქარი. მიადგნენ ძამის ციხეს და მთელი სამი თვე „ჰბრძოდეს". ბოლოს და ბოლოს, გაუჭირდათ (თუ გაბეზრდნენ) ციხეში მყოფთ. შემოუთვალეს: მოგცემთ თეოდოსის, ოღონდ იმ პირობით, რომ არაფერი ავნოთო.

პირობის მიცემაზე ადვილი რა იყო! კიო, აღუთქვეს, ხელსაც არ დავაკარებთო.

მართლაც, გამოუშვეს ციხიდან დევნილი ტახტის მაძიებელი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ქუთაისში მაინც ვერ წაიყვანეს, როგორღაც კვლავ სამხრეთ საქართველოში აღმოჩნდა. იყო ერთხანს იქ, და მერე, ეტყობა, კახეთს გაუწია გულმა, იქით წასვლა ამჯობინა...

იქით ალბათ უფრო მეტ პერსპექტივას ხედავდა. საკუთარ ბუდეს მოწყვეტილი მუდამ ასე დაფარფატებს ხოლმე; მყარი ნიადაგის პოვნა ძნელია.

დემეტრე შორიდან ადევნებდა თვალს ძმის მოქმედებასა და მოგზაურობას. კახეთს მისი წასვლა არ ეჭაშნიკა. ადგა და კვირიკე ქორეპისკოპოსს შეუთვალა: სანამ ჩემი ძმა შენთან არის, ეჭვი და ჩვენ შორის ბრძოლა არ მოისპობა; მე გამომიგზავნე აქ — არაფერს ვავნებ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით ძმები, ერთად ვმართავთ ქვეყანას, ისევე ვიქნებით ერთმანეთში, როგორც მე და ლეონი ვიყავითო.

კახეთის მთავარმა ფიცით ჩააბარა გვირგვინოსან ძმას შეხიზნული ტახტის მაძიებელი.

რამდენიმე ხანს მართლაც მშვიდობიანად ჰყავდა დემეტრეს თავისი ძმა სასახლეში, მერე კი სხვებმა წააქეზეს თუ თავისით წამოუარა, ერთბაშად პირობაც დაივიწყა, ფიციც, ძმობაც... სტაცა

ხელი თეოდოსის და თვალები შანთით ამოუწვა.

ამან ყველანი აღაშფოთა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, გაგულისებულმა დიდებულებმა მოინდომეს ტახტის წართმევა დემეტრესთვის და კიდევ ერთი ძმის, „ჩალა-მეფეს“ წოდებულის, მეფედ კურთხევა (იქნებ სწორედ ის ბაგრატი იგულისხმება, მემატიანე რომ გაკვრით მოიხსენიებდა — მეფემ ბავშვობაშიეე ბიზანტიას გაგზავნა თეოდოსისთან ერთადო). მაგრამ თავისი განზრახვა ვერ შეასრულეს დიდებულებმა. დემეტრე ძლიერი კაცი იყო და ვერ გაუბედეს.

გაუბედურებული და თვალდათხრილი კაცი რაღა საშიში იყო, და დემეტრემაც თითქოს მოისვენა.

მაგრამ ეს ქვეყანა ვის შერჩენია, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფეს დემეტრე მეორეს შერჩენოდა. ერთ მშვენიერ დღეს (ეტყობა, იმაზე ადრე, ვიდრე თვითონ მოელოდა ან სხვები ვარაუდობდნენ) ისიც მოკვდა. გვარის გამგრძელებელი, თეოდოსის მეტი, აღარავინ დარჩა. მოილაპარაკეს დიდებულებმა და გადაწყვიტეს, ტახტზე უსინათლო თეოდოსი აეყვანათ. გულში გაიხარეს კიდეც — თავის ნებაზე იქნებოდნენ, რასაც უნდოდათ, იმას გააკეთებინებდნენ ბრმა მეფეს.

ასეც მოხდა. „ქვეყანა აიშალა და წესიერება შეირყა... უსინათლო თეოდოსის მეფობა ქვეყანას კეთილს არას უქადდა“, წერს ივანე ჯავახიშვილი.

ერთი სიტყვით, საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანებას ისევ შეეშალა ხელი, ეგრის-აფხაზეთის მეფეთა ენერგიული და შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს კუთხეების დაპყრობისთვის, რაც ობიექტურად (გარკვეული თვალსაზრისით) მთლიანი საქართველოს შექმნის საფუძველი იყო, უშედეგოდ დამთავრდა.

ახლა უკვე სამეფო კარზე არეულობაა: დიდებულები სარგებლობენ უსინათლო მეფის უმწეობით და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ივანე ჯავახიშვილის გამოთქმისა არ იყოს, ყველა იმას ცდილობდა, თავის სათამაშოდ გაიხადოს მეფე. რაკი თვით სამეფოში ასეთი ვითარება შეიქნა, უკვე აღარა ჩანს ახლო პერსპექტივა, რომ ეს სამეფო კელავ მოგვეველინოს ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მოთავედ...

ბოლო ხანებში, როგორც ვნახეთ, ეგრის-აფხაზეთი უმთავრესად კახეთის სამთავროს უპირისპირდებოდა — ყველაზე აქტიური და საშიში მოწინააღმდეგე სწორედ კახეთი გახდა. ბუნებრივია, რომ შექმნილი მდგომარეობითა და მოწინააღმდეგის დასუსტებით ამჯე-

რად სწორედ კახეთის მეფე ისარგებლებდა. ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა და ახლა იგი ცდიდა საქართველოს ცალკეული კუთხეების „შემოერთებას“. პირველ ყოვლისა, მოსალოდნელი იყო, რომ „ქართლსა ზედა“ გაილაშქრებდა...

მართლაც, კახეთის ქორეპისკოპოსმა არ დააყოვნა და თავისი ლაშქარი ქართლისკენ დაძრა. რა თქმა უნდა, ამჯერადაც უფლისციხის მიმართულებით.

ჩვენ არ ვიცით, რამდენი მეომრისგან შედგებოდა ეს ლაშქარი, რა ძალას წარმოადგენდა, ჰქონდა თუ არა უეჭველი გამარჯვების იმედი. ასეთი ცნობა ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავს, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ კახეთის ლაშქარი უფლისციხისკენ დაიძრა. გადამწყვეტი ბრძოლა უფლისციხესთან უნდა მომხდარიყო.

სანამ ეს ლაშქარი უფლისციხეს მიადგებოდეს, ჩვენ ტაო-კლარჯეთს მივხედოთ. კარგა ხანია ტაო-კლარჯეთი აღარ მოგვინახულებია. ტაო-კლარჯეთში რა ხდება ამ დროს? მართლა განზე გადგა? შინა ბრძოლებმა და ურთიერთშუღლმა ისე შთანთქა, რომ სრულიად საქართველოს საქმეებში აქტიურ ჩარევას აღარ აპირებს?

თავი IV

დავით კურაპალატი – დასაწყისი ახალი ხანისა

ტაო-კლარჯეთი ✦ ივანე მარუშისძის გეგმა ✦ დავით კურაპალატს ქართლში მიეყავს ჯაბუკი ბაგრატი ✦ სამოქალაქო ომი ბიზანტიაში. თორნიკე ერისთავი ამარცხებს ბარდა სკლიაროსს ✦ ბაგრატ მესამე სიმტკიცეს ამჟღავნებს ✦ დავით კურაპალატს კეისარი შემოსწყრა

მართლა განზე გადგა ტაო-კლარჯეთი? თავის საზღვრებში ჩაიკეტა და ქართლის ბედი აღარ აინტერესებს?

რა ბრძანებაა!

დროებით რომ მოადუნა ყურადღება, ამას ალბათ თავისი გამართლება აქვს, ან მართლაც შინ ჰქონდათ ისეთი შუღლი ერთი წინაპრის ძალიან მომრავლებულ შთამომავლებს, რომ გარე საქმეებისთვის ერთხანს ვეღარ მოიცალეს; ან გარკვეული დროის განმავლობაში ისეთი ძლიერი მმართველი აღარ გამოსჩენიათ, ვინც წინაპართაგან დაწყებულ საქმეს გააგრძელებდა; ან არა და უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გამოჩნდა, სხვა კუთხეებმა მეტი ყურადღება მოითხოვეს!..

ნაწილობრივ აქ ჩამოთვლილმა სამივე ფაქტორმა იქონია გავლენა და ამის გამო ტაო-კლარჯეთი გარკვეულ პერიოდში მართლაც ვერ ახერხებს ქართლით აქტიურ დაინტერესებას, ანუ, — მოვლენებისთვის ზუსტი სახელის შერქმევას თუ არ მოვერიდებით — ბრძოლას „ქართლსა ზედა“.

თანმიმდევრობით თუ მიეყვებით ამ სამ საკითხს და ჯერ ერთი წინაპრის შთამომავალთა შორის შუღლზე თუ ჩამოვაგდებთ სიტყვას, ამ შუღლის თვალსაჩინო მაგალითად იქნებ ზემოთ უკვე მოთხრობილი ამბის გახსენებაც კი საკმარისი გამოდგეს. აქა ეგულისხმობ

არტანუჯის ციხე-ქალაქის ამბავს, როცა იგი ერთმა შურითა და ბოღმით გულგავსებულმა ფეოდალმა, თავისივე ახლობლების გამოჯიბრებით, საჩუქრად მიართვა ბიზანტიის იმპერატორს, თქვენ გახსოვთ ეს ამბავი და აღარ გავიმეორებ.

რასაც კაცი საკუთარ თავს გაუკეთებს, მტერი ვერ უზამს იმდენს. ეს გულუხვი და ხელგაშლილი ფეოდალი აშოტ კისკასი გახლდათ, და ასეთი სამარცხვინო „ღვაწლითა" და სახელით შემორჩა იგი ისტორიას.

ეს მოხდა დაახლოებით იმ ხანებში, როცა ადარნასე ქართველთა მეფე გარდაიცვალა.

ადარნასე 923 წელს მოკვდა.

ვინ შეცვალა იგი? მას შემდეგ ვინ ავიდა ქართველთა მეფის ტახტზე?

ჩვენ ხომ სარწმუნო ქრონიკა გვაქვს, სადაც სწორედ ასეთი ცნობებია გადმოცემული...

ჩავცქერით ამ ქრონიკას, დავყურებთ ქრონიკის საფუძველზე შედგენილ სქემას და ჩვენს თვალწინ კვლავ სახელებისა და თარიღების „თავბრუდამხვევი" კორიანტელი დგება.

თვალსაჩინოებისთვის ამ დიდი სქემიდან ერთი მონაკვეთი გადმოვიტანოთ.



სქემაზე გამოსახული ისტორიული პირები ძმები არიან, ადარნასე ქართველთა მეფის შვილები. მეფის ტიტული მამის შემდეგ დავითმა მიიღო 923 წელს და იმეფა 937 წლამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ მეფობა გადადის ძმაზე — ბაგრატზე; ამ ბაგრატს მაგისტროსის წოდებაცა ჰქონია. სქემაზე გამოხატული აშოტი იმ მუქარის წერილის ერთ-ერთი ავტორია, რომელიც არტანუჯის ციხე-ქალაქის ამბებთან დაკავშირებით ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნეს. და წერილის პასუხად, სწორედ ამ აშოტს დაუჩქარა რომანოზ იმპერატორმა კურაპალატის მაღალი საკარისკაცო წოდების მინიჭება, რათა გაგულისებული და გავლენიანი ქართველი ფეოდალის გული მოეგო და დაეშოშმინებია. რაც შეეხება მეორე აშოტს, აშოტ კისკასს, იმ „გულუხვ და ხელგაშლილ" კაცს, რომელმაც ბიზანტიის კეისარს

არტანუჯი უწყალობა, ბუნებრივია, სქემის ამ მონაკვეთზე ვერა ეხედავთ — იგი ხომ აშოტ დიდის შთამომავალთა მეორე შტოს წარმომადგენელია, კლარჯელ-არტანუჯელთა შტოისა.

რვა წელიწადს უმეფია ბაგრატს, 945 წელს იგი გარდაცვლილა.

ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ვინ დაიდგა ქართველთა მეფის გვირგვინი? დაეყურებთ სახელებისა და თარიღების ამ ლაბირინთს, ვეძებთ, ვეძებთ... მაგრამ ამაოდ. ვერა ეპოულობთ. დროის დინებიდან თითქოს ამოვარდნილა მთელი 13 წელი!..

ვინ იყო ქართველთა მეფე ამ 13 წლის განმავლობაში? საღ გაქრა მისი სახელი? რა მოხდა? ნუთუ ქრონიკიდან შემთხვევით ამოვარდა ის ერთი ფრაზა, რაც ამ ცნობას შემოგვინახავდა?! მეთერთმეტე საუკუნეში შედგენილმა ქრონიკამ რამდენი დრო გამოიარა, რამდენი გადამწერის ხელში გაიარა... იქნებ რომელიმე გადამწერს მართლაც შემთხვევით გამორჩა ის ერთი ფრაზა?! ეს სულაც არ არის გასაკვირი.

მაგრამ ჩვენ ხომ იმ დროის მეორე შესანიშნავი ქრონიკაცა გვაქვს — უფრო ხორცშესხმული, უფრო ფართო და სანდო, რომელსაც ცალკეულ ისტორიულ პირთა დახასიათებებიც შემოუნახავს! გიორგი მერჩულე ამ პერიოდის მმართველებს მეფეებს არ უწოდებს, მთავრებად მოიხსენიებს. მთელი 13 წელიწადი უმეფოდ დარჩენილა ტაო-კლარჯეთი, მთავრების ამარა. და ცამეტი წლის შემდეგ კი ისევ გამოსჩენია პატრონი ტახტს.

რა მოხდა? რატომ არავინ ისურვა მეფობა იმ ცამეტ წელიწადს?

მართლა არავინ ისურვა?

თუ სხვა რამე მოხდა, სხვა მიზეზი აქვს ამ უმეფობას?!

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ბიზანტიის სამეფო კარის ინტრიგებით უნდა იყოს გამოწვეული.

ბიზანტიის სამეფო კარის ინტრიგებით!

ჩვენც ამიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ამ მოვლენაზე, რათა კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, რა რთული ურთიერთობა ჰქონიათ ჩვენი ქვეყნის მმართველებს ბიზანტიასთან, რამდენი სიფრთხილე მართებს ადამიანს, როცა ამ ურთიერთობას არკვევს.

მართლაც გასაკვირია; სულ ცოტა ხნის წინ ქართველმა მთავრებმა მუქარის წერილი ჰკადრეს იმპერატორს და მანაც ხელადვე დაიხია უკან, ბოდიშიც კი მოიხადა, თავისი დანაშაული მოხელეს გადააბრალა და საპატიო წოდებათა მინიჭებით სცადა განაწყენებული ქართველი მთავრების გულის მოგება.

და გასაკვირი სწორედ ის არის, რომ ამის შემდეგ დიდხანს არ გაუელია და იმპერატორი უკვე უხეშად ერევა მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში, კანონიერ მემკვიდრეს სამეფო ტახტზე ასვლის ნებას არ აძლევს!

რთული იყო ეს ურთიერთობა, საერთოდ დრო იყო რთული და ცვალებადი... ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის მიზეზების ახსნას, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ასეთი ვარაუდები გამოთქმულია და ქვემოთ გაკვრით ვახსენებთ.

ახლა კი ლაბირინთის იმ გაწყვეტილ ძაფს გავადევნოთ თვალი.

როგორც ითქვა, ცამეტ წელს გაგრძელებულა უმეფობა და 958 წელს კვლავ გამოსჩენია პატრონი ქართველთა მეფის ტახტს.

ოღონდ ტახტის ახალი პატრონი შვილი კი არ არის ბოლო მეფისა, არამედ ძმისწულია ბაგრატისა, სქემაზე გამოსახული სუმბატის შვილი, ესეც ბაგრატი, ბაგრატ ერისთავთერისთავი. და იქნებ იმიტომაც, რომ შთამომავლობას ერთმანეთში არ არეოდა ორი სეხნია მეფე — ბიძა-ძმისწული — ამ ბაგრატისთვის მეტსახელად რეგვენი შეურქმევიათ. თანამედროვე ქართულით ამ სიტყვას მაინცდამაინც საამაყო და თავმოსაწონებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ძველი ქართულით „ახალგაზრდის“ ცნებას გამოხატავდა.

ახლა, მეტი სიცხადისთვის, ზემო სქემაზე გამოსახულ ოთხ ძმათაგან ორი გამოვყოთ და ისინი და მათი მემკვიდრეები ცალკე სქემაზე გამოვსახოთ.



მკითხველის ყურადღებას აქ გამოსახულ ორ ისტორიულ პირზე მივაქცევთ — დანარჩენთა მოღვაწეობის დაწვრილებით აღნუსხვას არ მოვყვებით, რადგან ამ ორმა ადამიანმა დიდი ისტორიული მისია შეასრულა.

ეს ორი ისტორიული პირი გახლავთ დავით ერისთავთერისთავი, ანუ დავით დიდი, იგივე კურაპალატი აღმოსავლეთისა, და ბაგრატ მესამე, შვილიშვილი ზემოთ ნახსენები ბაგრატ რეგვენისა. სქემაზე ცხადად ჩანს (თუმცა ისედაც იგულისხმებოდა), რომ ეს ორი ადამიანი ახლო ნათესავები ყოფილან. ოღონდ დავითი ბაგრატზე უფროსია, წინა თაობას ეკუთვნის.

ჩვენც დავითით დავიწყოთ.

●

აქამდე წყაროთა მეტისმეტ სიმწირეს ვუჩიოდით ხოლმე, როცა დროის ცალკეულ მონაკვეთს და ცალკეულ ისტორიულ პირთა ცხოვრება-მოღვაწეობას განვიხილავდით. დავით კურაპალატზე შედარებით მეტი ცნობები შემოუნახავს ისტორიას.

„...იყო პირველად ღმრთის-მოყუარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი მშვიდი და ძვირ-უხსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყუარე და ფიჩოსანთ-მოყუარე[1], ყოველთათვის კეთილის-მყოფელი და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“, ვკითხულობთ „მატიანე ქართლისაში“. და მემატიანე იქვე წერს: „ესე დავით კურაპალატი უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოსთა“.

ახლა ვახუშტი ბატონიშვილს მოეუსმინოთ: „არამედ იყო დავით ყოვლითა სიკეთითა სრული, საღმრთო- სამხედროთი. ამას ეპყრა ბასიანი, ტაო და მიმდგომნი მისნი“.

თქვენ ალბათ გაგიკვირდათ, როცა ყოვლისა აღმოსავლეთის კურაპალატად მოვიხსენიეთ დავითი. სწორედ ასე გადმოგვცემს ერთი ძველი წყარო...

არსებობს ერთი საინტერესო ხელნაწერი 977 წლისა, ესე იგი, დაწერილი დავით კურაპალატის სიცოცხლეშივე. ამ ხელნაწერის სახელწოდებაა „სამოთხე“. ხელნაწერს ადგილ-ადგილ მიწერილი ჰქონია სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები. მოგვაქვს ერთი ასეთი

1 „ფიჩოსანი“ ბერს ნიშნავს.

მინაწერი: „მე იოვანე თორნიკ ყოფილმან (ალბათ გენიშნათ, რომელ თორნიკეზეა ლაპარაკი. ქვემოთ უფრო ახლოს გაგეცნობით მას) და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზ-ვაჩე, ძეთა სულ-კურთხეულისა ჩორდვანელისა, მოვიგეთ წმიდა ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმინდათა მამათა მიერ „სამოთხე"... სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა და ყ ო ვ ლ ი ს ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა კ ურ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ა თ ვ ი ს"...

აღმოსავლეთის კურაპალატი! ასეთი წოდება პირველად გვხვდება. ეს ადვილი ასახსნელია: მაგისტროსის წოდება უკვე ჰქონდა დავითს, მაგრამ იმისთვის, რომ ერთხელ, განსაცდელის ჟამს, ბიზანტიის იმპერატორს დიდი დახმარება აღმოუჩინა (ფაქტიურად, იხსნა კიდეც), გადაწყვიტეს უფრო მაღალი საპატიო წოდება მიენიჭებინათ. მაგისტროსზე მაღალი კურაპალატის წოდება იყო. წოდებების დარიგებაზე ისეთი გულუხვი გახლდნენ ბიზანტიის იმპერატორები, რომ ამ განზრახვის შესრულება თითქოს ამჯერადაც არ უნდა გასჭირვებოდათ. მაგრამ ახლა ცოტა უფრო სხვაგვარი მდგომარეობა შეიქნა: ერთი კურაპალატი უკვე იყო ამ დროს ტაოკლარჯეთში! მისივე სიცოცხლეში მეორეს ველარ უბოძებდნენ. არა და, თავიანთი მადლიერება უსათუოდ უნდა გამოეხატათ ქართველი მეფის მიმართ. არა იმის გამო, რომ ამ მაღალი ადამიანური გრძნობის ერთგულებას ვერ უღალატებდნენ, არამედ იმიტომ, რომ ძლიერი და გავლენიანი ქართველი მეფის დახმარება ხვალაც დასჭირდებოდათ, და არ შეიძლებოდა დღეს გული დაეწყვიტათ მისთვის!..

რა უნდა ექნათ?

იმპერატორის მოხელეები ასეთ ვითარებაში იშვიათად თუ დაიბნეოდნენ, არც ახლა გასჭირვებიათ გამოსავლის პოვნა, აიღეს და ყოვლისა აღმოსავლეთის კურაპალატობა უბოძეს! არც წესი და რიგი დაურღვევიათ და თავიანთი მადლიერებაც კიდევ უფრო დიდი პატივით გამოხატეს. დავითიც, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი და გახარებული დარჩებოდა.

ბიზანტიის იმპერატორმა რომ თავისი მადლიერება გამოხატა და მაღალი ტიტული მიუბოძა დავითს, ეს ერთი მხარეა. ამ ამბავში მთავარი ისაა – და ჩვენც იმიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება – რომ იმპერატორს საფუძველი ჰქონდა ასეთი წოდება მიენიჭებინა ქართველი მმართველისთვის, აღმოსავლეთის კურაპალატობა ებოძებინა: როგორც ვახუშტის მონათხრობით ჩანს, დავითს, გარკვეულ

პერიოდში გაუფართოებია თავისი სამფლობელოს საზღვრები, შორს გაჭრილა — სამხრეთ-აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-დასავლეთითაც...

ამას რომ ვამბობთ, გაკვირვება შეიძლება გამოიწვიოს ერთმა რამემ: ასეთი მაღალი წოდების პატრონი და ასეთი დიდებასრული კაცი ქართველთა მეფედ არ მოიხსენიება — ქართველთა მეფე სხვა ყოფილა მისი მოღვაწეობის პერიოდში...

ქართველთა მეფე სხვა იყო, მაგრამ ყველაზე გავლენიანი პირი მაინც ის გახლდათ მთელს ქვეყანაში!

მოსე ჯანაშვილი წერს:

„დავითის დროს ჯერ ისევ იყვნენ ბევრი მეფეები, კურაპალატები, მთავრები და მეფეთ-მეფეებიც, მაგრამ მხოლოდ სახელით, ნამდვილად კი კურაპალატიცა და მეფეთ-მეფეც იყო მხოლოდ ეს დავით დიდი“...

აქ იქნებ გადაჭარბებულად იყოს ნაგულისხმევი დავითის პარალელურად მოღვაწე მეფეების, კურაპალატებისა და მეფეთ-მეფეების რიცხვი; ხოლო ის, რომ დავითი მათზე უფრო გავლენიანი და ძლიერი მმართველი იყო, ეჭვს არ იწვევს.

ალბათ იკითხავთ: ტაო-კლარჯეთში ჩვენ ერთი მეფე ვიცით, რომელიც ქართველთა მეფედ იწოდებოდა. თუკი დავითის დროს ქართველთა მეფე სხვა იყო და დავითი მაინც მეფედ იწოდებოდა, ეს როგორ აეხსნათ?

როცა დავითის მოღვაწეობის პერიოდს მიმოვიხილავთ, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთი ადმინისტრაციული დასახელება — ტაოს სამეფო (აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ იყო ამიერ-ტაო და იმიერ-ტაო. და ეს იმიერ-ტაო იყო ქვეყნის უკიდურესი სამხრეთი).

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომში ეკითხულობთ: „ქართველთა სამეფოში არსებული რეალური ვითარება, რაც ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლების ფაქტიურ დამოუკიდებლობაში ელინდება, შესაძლებელს ქმნის ამ სამეფოს შიგნით დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, ტაოს სამეფოს ჩამოყალიბებას... X საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ პოლიტიკური ერთეულის სათავეში იდგა მეფე დავით III ბაგრატიონი“...

ამრიგად, დავითი ტაოს მეფე იყო, და მიუხედავად იმისა, რომ მის დროს და მის პარალელურად ქართველთა მეფეც მოღვაწეობდა და ქართველთა კურაპალატიც, იგი მთელს ქვეყანაში ყველაზე გავლენიანად ითვლებოდა.

ტაო იმ დროისთვის ჩვენი ქვეყნის უკიდურესი სამხრეთ პროვინცია იყო და უშუალოდ ესაზღვრებოდა დასავლეთით ბიზანტიის იმპერიას, ხოლო აღმოსავლეთით — მაჰმადიანურ საამიროებს, დავით კურაპალატი მუდამ იმის ზრუნვაში იყო, მომიჯნავე ტერიტორია მაჰმადიანებისგან გაეთავისუფლებინა და შემოეერთებინა, „საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ „აღმოსავლეთის“ ეს ტერიტორიები („ზემონი ქუეყანანი“)... ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული, ქართველი ტომებით იყვნენ დასახლებული“, წერს პავლე ინგოროყვა.

იმპერატორმა რომ აღმოსავლეთის კურაპალატობა უბოძა, ეს დავითის საერთო ავტორიტეტითაც აიხსნება. ტერიტორია რომ შემოიერთა („ზემღონი ქუეყანანი“), ეს ერთი მხარეა, მას გავლენაც დიდი ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებსა და ხალხებში. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი სომეხი მემატიანის სტეფანოს ტარონელის (დავითისავე თანამედროვის) სიტყვები, როცა იგი ქებითა და მადლიერებით მოიხსენიებს ქართველ მეფეს: „დიდი კურაპალატი დავითი იყო მშვიდი და ლმობიერი კაცი, რითაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა. მან დაამყარა მშვიდობა და აღმშენებლობას მიჰყო ხელი მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. შეწყვიტა ომები ყველა მხარეში, გაიმარჯვა მეზობელ ხალხებზე და ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა“.

ასეთივე დიდებით მოიხსენიებენ მას სხვა სომეხი მემატიანეებიც.

ერთი ნაწილი მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიისა, რომლის გათავისუფლებასაც დავითი ცდილობდა, წარსულში სომხეთის მიწა-წყალი იყო, და სომეხი მემატიანისეული აღფრთოვანებული შეფასება ქართველთა მეფისა, ზემოთ რომ მოვიტანეთ, ალბათ ამითაც აიხსნება. ამითვე აიხსნება ისიც, რომ დავითის მოკავშირედ ზოგჯერ სომხეთის მეფესაც ვხედავთ.

სომეხი მემატიანე დაწვრილებით მოგვითხრობს, მაგალითად, როგორ გაათავისუფლა დავით კურაპალატმა ქალაქი მანასკერტი, განდევნა იქიდან მაჰმადიანები და შიგ ქართველები და სომხები დაასახლა...

ჩვენ აქ მაგალითისთვის ერთი ქალაქი ვახსენეთ, რომელიც დავით კურაპალატმა გაათავისუფლა მაჰმადიანთაგან.

ბევრი ასეთი ბრძოლა გადაუხდია დავით მეფეს, ბევრჯერ დაუმარცხებია მაპმადიანები და მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორია გაუთავისუფლებია, ტაოს სამეფო სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ამის შესაბამისად მაპმადიანები ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციებს კარგავდნენ. სწორედ ამით აიხსნება მისი დიდი გავლენა და ავტორიტეტი, და არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიაც.

ალბათ ამითვე უნდა ავხსნათ ის ერთი შეხედვით უცნაური ფაქტორი, რომ გარკვეულ პერიოდში ტაო-კლარჯეთმა ქართლისთვის ვერ მოიცალა. დავითის მთელი ყურადღება, როგორც ვნახეთ, სამხრეთისკენ იყო მიპყრობილი — ტაოს სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვრების გასაფართოებლად, ამ მხარეებში შემოჭრილი მაპმადიანების წინააღმდეგ საბრძოლველად...

ალბათ შემთხვევით არ მომხდარა, არც უბრალო მოვლენა ყოფილა, როცა თავის დროზე სამეფოს ცენტი არტანუჯიდან ბანაში — ანუ ჩრდილოეთიდან უფრო სამხრეთით გადაიტანეს. ამას ღრმა საფუძველი და შორს გამიზნული პერსპექტიეა ჰქონდა, სამეფოს ცენტრის სამხრეთით გადატანა საზღვართან მიახლოებას ნიშნავდა, ანუ იმ მიწა-წყალთან მიახლოებას, რაც იმჟამად არაბებს ეპყრათ და ისე კი, ისტორიულად, ქართველ მთავრებს თავისად მიაჩნდათ.

ეს ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქვეყნის ცენტრი გადაიტანეს..

ახლა კი ჭკვიანი პოლიტიკოსი დავით კურაპალატი უკვე ხედავდა სახალიფოს აღსასრულის მოახლოებას და თანდათანობით ამზადებდა ნიადაგს, რათა მთელს იმ მხარეში ჰეგემონობა მოეპოვებინა. ამით იგი ბიზანტიასაც უპირისპირდებოდა და ეცილებოდა, თუმცა ეს დაპირისპირება ჯერჯერობით აშკარა და გაცხადებული არა ყოფილა. ჯერჯერობით დავით კურაპალატი პატარა ბრძოლებით კმაყოფილდებოდა, მოსაზღვრე ტერიტორიებზე შემოჭრილი მაპმადიანების წინააღმდეგ ეპიზოდური გალაშქრებებით, ცალკეული ქალაქებისა და სოფლების გათავისუფლებით.

დავით კურაპალატის სამეფო უფრო და უფრო იზრდებოდა.

ერთი ქართული წყაროს მიხედვით, „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შეილნი მძევლად ითხოვნა მისგან“... ზოგი მკვლევარი „ზემო ქუეყანათა“ დავით კურაპალატისთვის ბოძებას უფრო მოგვიანო დროს უკავშირებს, ბიზანტიაში გამწვავებული სამოქალაქო ომის ხანას, როცა ქართველი მეფის დახმარებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა და

ბიზანტიის იმპერატორს გამარჯვება მოუტანა (ჩვენ ამას ქვემოთ ვნახავთ). სინამდვილეში „ზემო ქუეყნების“ გადაცემა უფრო ადრე მოხდა. ელენე ცაგარეიშვილი თავის ერთ გამოკვლევაში, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად ასაბუთებს ამას.

საქმე ის არის, რომ დავით კურაპალატს იმაზე ადრეც გაუწევია სამხედრო დახმარება ბიზანტიის ხელისუფლებისთვის და სანაცვლოდ თავისი ქვეყნის მოსაზღვრე მიწა-წყალი მიუღია, სწორედ ის „ზემონი ქუეყანანი“. 964-65 წლებში ბიზანტიას ბრძოლები ჰქონია კილიკიისა და ჩრდილო სირიის ტერიტორიაზე და ამ ბრძოლებში ბერძნების ჯართან ერთად ქართველების ლაშქარსაც მიუღია მონაწილეობა, მაშინდელ იმპერატორ ნიკიფორეს დახმარებია.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში, ასეთი პერსპექტივების წინ დავით კურაპალატს მთელი სამხედრო ძალა სამხრეთით ეყოლებოდა კონცენტრირებული და ჩრდილოეთისთვის — ქართლისთვის — ვერ მოიცლიდა.

ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ქართლი სამუდამოდ დაეთმოს!

რა საოქმელია!..

ქართლი დავით კურაპალატს მაინც თავისად ჰყავდა დაგულებული, იმის შემოერთებას ყოველთვის მოასწრებდა. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი სამხედრო ძალის დაძვრას ვერ ახერხებდა ჩრდილოეთისკენ, თორემ ისე, რა თქმა უნდა, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ჩრდილოეთის ამბებს და სისტემატური კონტაქტიც ჰქონდა გარკვეულ წრეებთან...

ესეც ვარაუდია. თუ ამის შემდეგ მომხდარ ფაქტებს გავითვალისწინებთ, დაჯერება ამ ვარაუდისა ძნელი აღარ იქნება.

●

ტაოს მეფეს შორეული სტუმრების მოსვლა მოახსენეს. მეფეს თვითონვე მოეკრა თვალი ორი მხედრისთვის, რომლებიც ალაყაფის კართანვე ჩამოხდნენ ბედაურებიდან, გაოფლილი ცხენები გუშაგს მიანდეს და თითქოს გაუბედავად შემოდგეს ფეხი ეზოში. მოკრძალებაც ეტყობოდა მათ ნაბიჯს და შორი გზაგამოვლილი მხედრის დამახასიათებელი ბორძიკიც, როცა, ცხენიდან ჩამომხდარს, ახალფეხადგმული ბავშვივით უჭირს ნაბიჯის გადადგმა, თითქოს სიარულს ახლაღა ეჩვევაო. თავად გამოცდილი მხედარი, რაღა

თქმა უნდა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მხედრებს შორი გზა ჰქონდათ გამოვლილი. იქნებ ჩაცმულობითაც შეიცნო მათი სადაურობა...

ან იქნებ ელოდა კიდეც ამ სტუმრებს...

დავით მეფეს არ გაუმჟღავნებია, მართლა შეიცნო თუ არა სტუმრები. ოქროთი შეჭედილ ყდაში ჩასმული წიგნი, რომელსაც იგი მღერით კითხულობდა, მაგიდაზე დადო, წამოდგა, ისევ სარკმელთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. სტუმრები აღარ ჩანდნენ. ჯერ დაისვენონ, ასაუზმეთო, ბრძანა მეფემ და კვლავ საკარცხულში ჩაჯდა.

●

ქართლიდან იყვნენ სტუმრები, უფლისციხიდან. „ძლიერსა და ერმრავალ მთავარს ივანე მარუშისძეს გამოეგზავნა. დავითი პირადად იცნობდა მარუშის ძეს, პატივსა სცემდა როგორც პატიოსან ვაჟკაცსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს. მისი დანაბარები დიდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეს შეეხებოდა.

მოისმინა მეფემ და ისე მიიღო, თითქოს ყველაფერი, სიტყვა-სიტყვით უკვე მოესმინოს რამდენიმე საათის წინ – არც გაკვირვება დასტყობია სახეზე, არც კმაყოფილება, არც წყენა თუ გახარება, არც იმისი რაიმე ნიშანი, მარუშის ძის დანაბარებს დაეფიქრებინოს და საზრუნავი გაეჩინოს მისთვის, ეს იყო, რომ, როცა ყველაფერი მოისმინა, კიდევ ერთხელ შეათვალიერა მოციქულები, ამჯერად უფრო საგულდაგულოდ, გაიღიმა და წამოდგა.

გზას რამდენი დრო მოუნდითო, ამ მოციქულთაგან უფროსს მიმართა, ჭაღარაშერთულ მაღალ ვაჟკაცს.

მოციქულმა, სანამ უპასუხებდა, უნებურად სარკმელში გაიხედა, დასავლეთისკენ გადახრილ მზეს გახედა.

წუხელ შუაღამისას წამოსულები ის-იყო ჩამოვიდნენ, გზაში არსად შეჩერებულან...

მარჯვედ გივლიათო, შეუქო მეფემ სიმარდე. კარგი დასვენება და გამოძინება გეკუთვნით კიდეც და გჭირდებათ კიდევაც.

სტუმრებმა მორჩილად დახარეს თავი და ოთახიდან გავიდნენ.

თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მეფესაც სჭირდებოდა დრო მოფიქრებისა და თავის ხალხთან მოთათბირებისთვის.

საქმე კი მართლაც დიდი და სერიოზული იყო.

მემატიანეს მოკლედ აქვს ეს გადმოცემული:

„მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა. და იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა; აწვია, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თვით, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“...

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორ უახლოვდებოდა კახეთის ლაშქარი უფლისციხეს. კახეთის მთავარმა რომ ნახა ეგრის-აფხაზეთის სამეფო კარზე შფოთი და არეულობა, იფიქრა, უსინათლო მეფე ქართლისთვის ველარ მოიცლისო, გადაწყვიტა მარჯვედ გამოეყენებინა ხელსაყრელი მდგომარეობა და სანამ სხვა დაასწრებდა, თვითონვე აეღო ქართლი.

ყველა გონიერი ადამიანი მიხვდებოდა, რომ ეს იყო ახალი და გაუთავებელი ბრძოლების დასაწყისი. კახეთის ქორეპისკოპოსს იმისი ძალა და საფუძველი არა ჰქონდა, მტკიცედ აეღო ხელისუფლება და საბოლოოდ დამკვიდრებულიყო. ქვეყანა დიდხანს ველარ დამშვიდდებოდა, ძმათა სისხლის ღვრას ბოლო აღარ ექნებოდა და კელავ დიდი ხნით გადაიწევდა ერის მოწინავე შვილების სანუკვარი ოცნება — საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანება და მთლიანი სახელმწიფოს შექმნა.

და მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდი იყო, — ხოლო ფეოდალური ურთიერთობისთვის ასეთი „აშლილობა“ და ძმათა სისხლის ღვრა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, — მაინც გამოჩნდა ხალხი, რომლებიც შეზღუდულ პირად ინტერესებს მოერივნენ და საერთო ეროვნული უფრო მაღლა დააყენეს. „მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ აღმოჩნდა შეგნებული ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ამ წრის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი სულის ჩამდგმელი და წადიერებათა თავგამოდებული განმახორციელებელი იოანე მარუშის ძე ყოფილა“.

მარუშის ძის გეგმა გონიერული და კარგად მოფიქრებული იყო. ამ გეგმის მიხედვით, ქვეყნის გაერთიანებას და მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებას პრაქტიკულად განსახორციელებელი პერსპექტივა ჰქონდა, მყარი საძირკველი ედებოდა.

აბა, ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ეს გეგმა.

იმ მმართველთა შორის, ვინც იმ დროს საქართველოს სხვადასხვა

კუთხეებს განაგებდა, დავითი ყველაზე ძლიერი, გავლენიანი, ჭკვიანი და ზნეობრივად სპეტაკი იყო. მას ანგარიშს უწევდნენ საბერძნეთის, არაბეთისა და სომხეთის მმართველები. ჩვენ წელან არ გვითქვამს და ახლა უნდა შევნიშნოთ: სქემაზე გამოხატული მეორე ისტორიული პირი, ეისზეც მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ — ბაგრატი — დავითმა იშვილა, რადგან მას შვილი არა ჰყოლია. ასე რომ, ბაგრატი ორი სამეფოს ტახტის მემკვიდრე იყო: ქართველთა მეფის ტახტისა, რომელიც მას პაპისა და მამისგან (ბაგრატ რეგვენისა და გურგენისგან) გადაეცემოდა და ტაოს სამეფო ტახტისა (გაძლიერებული ტაოს სამეფო ტახტისა), რომელიც მასვე ელოდა, როგორც დავითის შვილობილსა და ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს.

როგორც ვხედავთ, დიდი მემკვიდრეობა და სვებედნიერი მეფობა ელოდა ახალგაზრდა უფლისწულს.

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ.

ბაგრატს უფლება ჰქონდა კიდევ ერთ ტახტზე განეცხადებინა მემკვიდრეობის პრეტენზია და მიელო კიდეც, თუკი ყველაფერი მისთვის სასიკეთოდ დამთავრდებოდა: იგი დედის მხრით შვილიშვილი გახლდათ აფხაზთა მეფის გიორგისა, ანუ აფხაზეთის ახლანდელი უსინათლო და უმემკვიდრო მეფის თეოდოსის დისწული იყო. ამრიგად, ბაგრატი საქართველოს ყველა კუთხესა და სამეფოსთან იყო დაკავშირებული სამემკვიდრეო ძაფებით, გარდა კახეთ-ჰერეთისა.

ამას რომ გავითვალიწინებთ, იქნებ ისიც გვენიშნოს, რატომ მაინცდამაინც ბაგრატი აირჩია შვილობილად დავითმა იმ მრავალრიცხოვან ბიძაშვილთაგან, ვინც მას გარს ეხვია...

როგორც ვხედავთ, მარუშის ძის გეგმა მართლაც გონივრულად იყო მოფიქრებული, მტკიცე საფუძველი და პერსპექტივა ჰქონდა.

ასეთ პერსპექტივებზე ალბათ დავითიც ფიქრობდა: აკი ვთქვით, იქნებ შემთხვევითი არ იყო, რომ მან სწორედ ბაგრატი იშვილაო. დავითს იქნებ მარუშის ძესთანაც კი ჰქონდა წინასწარი საუბარი ამ საგანზე — ზოგადი, ფრთხილი საუბარი, არაკონკრეტული... როგორც ნიადაგის მოსინჯვა შორეული, მტკიცედ ჩამოუყალიბებელი გეგმისთვის. ამიტომაც, დავითისთვის იქნებ მოულოდნელი არც იყო ივანე მარუშის ძის დანაბარების მოსმენა. ყოველ შემთხვევაში, ეს, რაც მან ახლა მოისმინა, დაახლოებით ემთხვეოდა მის გეგმებსაც.

მოულოდნელი აქ მხოლოდ ის იქნებოდა, რომ საახლაოდ, სადღეისოდ მოუმზადებელი იყო. ბაგრატი „ჯერეთ ასაკითა თვისითა

უსრულ იყო“ — უწლოვანი გახლდათ უფლისწული. მაგრამ რაკი საკითხი ობიექტურად მომწიფდა და, აგერ, ხელსაყრელი დრო დადგა, საქმის გადადება და იმის ლოდინი, თუ როდის გახდებოდა უფლისწული სრულწლოვანი, შეცდომა იქნებოდა. ასეთი მარჯვე და ხელსაყრელი დრო მეტად იქნებ აღარც დამდგარიყო

არა. საქმის გადადება არ შეიძლებოდა, ასე გადაწყვიტა დავითმა, ასეთივე აზრი გამოითქვა სამეფო საბჭოზე, რომელსაც სასწრაფოდ მოეთათბირა მეფე. გადაწყდა, რომ ტაოს მეფე თავად გაემგზავრებოდა დიდი ლაშქრით ქართლში. თან იახლებდა ჭაბუკ უფლისწულსა და უფლისწულის მამას — გურგენსაც.

ასე შეუთვალა ტაოს მეფემ ქართლის ერისთავ ივანე მარუშისძეს და სწორედ ეს დანაბარები მიჰქონდა იმ ორ მხედარს, რომლებიც ჩვენ პირველი წიგნის დასასრულს უფლისციხის მახლობლად ვიხილეთ, შუაღამისას...

მთვარე იგვიანებს, ცა უთვალავი ვარსკვლავით მოჭედილა და სიბნელეს შეჩვეული თვალი გზას ვარსკვლავების მქრალ სინათლეზე კარგად არჩევს...

უცებ ერთმა მხედარმა ცხენი შეაყენა და ხელის სწრაფი მოძრაობით მეორეც შეაჩერა. ცისკენ გაიშვირა ხელი...

და ვარსკვლავების იმ მირიადებში ხომლი დაინახეს — ვარსკვლავების პატარა კრებული. თითქოს მკაფიოდ გამოყოფდა სხვა ვარსკვლავებს და მაცთური ციმციმით იცქირებოდა ზეციდან. ასეთი მოკაშკაშე ხომლი ჯერ არ ენახათ. თითქოს ულიმოდა ჩვენს მგზავრებს, რაღაც გასახარელ საიდუმლოს ეუბნებოდა...

ეს ჩვენ პირველ წიგნშიაც წავიკითხეთ, ოღონდ მაშინ მხედრების ვინაობა არ ვიცოდით.

●

დავითმა წინასწარ გაიგო, რომ კახეთის ქორეპისკოპოსს უკვე აეღო უფლისციხე; ამიტომ ტაოს მეფე თავისი დიდი ლაშქრით ქვახვრელში დაბანაკდა — იმედი ჰქონდა, რომ ამოდენა ლაშქარს როცა იხილავდა ქორეპისკოპოსი, ციხეს დაცლიდა, უბრძოლველად აიშლებოდა და უკანვე გაემგზავრებოდა.

და მართლაც მოხდა ეს საოცრება: ჯერ ტაოს ლაშქარს ხეირიანად არც კი დაებანაკა, რომ ქორეპისკოპოსმა ციხე-ქალაქი დაცალა და პირი აღმოსავლეთისკენ ქნა.

შიშით სუნთქვაშეკრულმა მოსახლეობამ თავისუფლად ამოისუნთქა, ძმათა სისხლი აღარ დაიღვრებოდა, ყველაფერი მშვიდობიანად დაგვირგვინდა.

იშვიათად, რომ მსგავს სიტუაციაში ასე ბედნიერად დატრიალდეს საქმე.

მემატიანე გადმოგვცემს, როგორ მიეგება ქართლის ერისთავი ივანე მარუშისძე ტაოს მეფეს, „აღიღო მისგან უფლისციხე, და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს“...

დავითმა თავი მოუყარა ქართლის აზნაურებს, გამოიყვანა მათ წინაშე ჭაბუკი ბაგრატი და გამოაცხადა:

„ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა („მკვიდრი“ ამ კონტექსტში „მემკვიდრეს“ ნიშნავს), შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“.

საჭიროდ არ ჩათვალა, ბევრ ახსნა-განმარტებას მოპყოლოდა. ყველას აგრძნობინა, რომ ამიერიდან ქართლს, და მთელს ქვეყანასაც, ნამდვილი პატრონი მოეელინა, რომ თვითონ მხარში ედგა თავის გაზრდილს და ურჩობასა და ორგულობას არავისგან მოითმენდა. ისიც ბრძანა, რომ სანამ უფლისწული სრულწლოვანი გახდებოდა, თანაგამგებლად მამა ეყოლებოდა, გურგენი...

იცოდა, რომ ამ აშლილობისა და ქვეყნის გამგებელთა ხშირი მონაცვლეობის დროს ქართლის აზნაურები თავნებობას მიეჩვევნენ, ყველა თავთავისკენ მიიწევდა და, რა თქმა უნდა, სასიამოვნოდ არ დარჩებოდათ ძლიერი მეფის ბატონობა, ამიტომ დავითი რამდენიმე დღეს დარჩა, ცალკეული კუთხეები მოიარა, ზოგიერთ მსხვილ აზნაურს ესტუმრა კიდეც, ისევ და ისევ შთააგონა, რომ ბაგრატს თვითონ ედგა მხარში, ზოგის მოთვინიერება ტკბილი სიტყვით სცადა, ზოგს მუქარაც აგრძნობინა, „დაყენა დღენი მცირენნი და წარვიდა ტაოს“. თავისი ლაშქარიც, რაღა თქმა უნდა, თან წაიყვანა.

ეს მოხდა 975 (თუ 976) წელს.

მაგრამ ქვეყნის გაერთიანებისთვის გადადგმულ ამ პირველ ნაბიჯს მშვიდობა და სიწყნარე ერთბაშად არ მოპყოლია. ქუთაისში კვლავ ბაგრატის ბრმა ბიძა იჯდა ტახტზე და იქ სრული ქაოსი სუფევდა; როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „განირყუნა ქუეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან განწესებული“.

სანამ უსინათლო მეფეს არ მოიშორებდნენ, ქვეყანას რა დაამშვიდებდა! აქეთ ქართლის აზნაურებიც აბორგდნენ. მალე დაიეიწყეს დავითის გაფრთხილება, და ჭაბუკ მეფესა და მის „თანაგამგებელ“ გურგენს აშკარა მუქარა დაუწყეს.

ბაგრატი ჯერ ისევ უწლოვანი იყო, გურგენმა კი საკმაო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. ქართლის აზნაურებმა ნელ-ნელა დაიწყეს მოქმედება, ფრთხილად, შეპარვით, დააცადეს — აბა თუ შეგვრჩებაო. და რაკიღა „შერჩათ“, რაკი მაშინვე არ დაისაჯნენ, სულ აიშვეს და აიწყვიტეს. საიდუმლო მოლაპარაკება გამართეს ნაქურდეველებთანა და საბოტარელებთან; დაუკავშირდნენ კახეთის ქორეპისკოპოსს (კახთა მეფის ბატონობა უფრო ხელსაყრელი იყო მათთვის — მეტი თავისუფლება და დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება მიეცემოდათ), გამოუძღვნენ კახეთის ლაშქარს და უფლისციხეს მოაყენეს. ჭაბუკი მეფე, მისი თანაგამგებელი გურგენი და დედოფალი გურანდუხტი (დედა ბაგრატისა, აფხაზთა მეფის ასული) შეიპყრეს და კახეთში წაიყვანეს.

დავითმა რომ გაიგო ეს, ძალიან შეწუხდა და გაბრაზდა, სასწრაფოდ შეკრიბა დიდი ლაშქარი და „მოვიდა თრიალეთს, შთასვლად კახეთად“. თრიალეთში დაბანაკებულა შეტევის წინ. ალბათ ახლაც დრო მისცა კახეთის ქორეპისკოპოსს, გონს მოგებულიყო, უსისხლოდ დამთავრებულიყო ყველაფერი.

კახეთის ქორეპისკოპოსმა რომ ამოდენა ლაშქარი იხილა, ამჯერადაც აარიდა თავი ბრძოლას, დავითს მოციქული მიუგზავნა, დავზავდეთო. მართლაც დაზავდნენ. ტყვეები (ბაგრატი, გურანდუხტი და გურგენი) გაათავისუფლეს და ქართლი თავისი უფლისციხით კვლავ ბაგრატს დაუბრუნეს.

მაგრამ სანამ გაგრძელდებოდა ეს მშვიდობა, ძნელი სათქმელი იყო. გურგენი ვერ გამოდგა მტკიცე „თანაგამგებელი“; დავითს კი თავისი საქმეები ჰქონდა და უფლისციხეში ვერ დარჩებოდა. აშკარა იყო, რომ სანამ ეგრის-აფხაზეთში უსინათლო თეოდოსი იჯდა ტახტზე, ქვეყანა ვერ დამშვიდდებოდა. საჭირო იყო ბაგრატი ქუთაისშიაც დაუფლებოდა ტახტს და მაშინ ქართლშიაც განმტკიცებული ექნებოდა პოზიცია, ქართლის აზნაურები ვეღარ გაუბედავდნენ ორგულობას, კახეთის ქორეპისკოპოსიც უფრო თავშეკავებული გახდებოდა.

ამ ცალკეულ შეხლა-შემოხლასა და გაურკვევლობაში სამი წელი მიიწურა, ბაგრატი თანდათანობით დავაჟკაცდა და უკვე დადგა დრო უსინათლო ბიძის ტახტიც ჩაებარებინა.

ამჯერადაც ივანე მარუშისძემ ითავა საქმე. მოლაპარაკება გამართა ეგრის-აფხაზეთის დიდებულებთან, შეადგინეს დელეგაცია და კელავ დავით კურაპალატს მიმართეს. დავითმა სიფრთხილე იხმარა და წინასწარ მძევლები გამოითხოვა (ალბათ იმ დიდებულთაგან, ვისიც უფრო შიში ჰქონდა).

ჩაიყვანეს ბაგრატი ქუთაისში და აფხაზეთის მეფედაც აკურთხეს. ბრმა ბიძა კი ახალგაზრდა მეფემ თავის მამობილთან გაგზავნა. ასე ამჯობინაო, მემატიანე გადმოგვცემს. რაღა თქმა უნდა, ასე ჯობდა, რათა ორგულსა და თავნება ფეოდალებს დასაყრდენი აღარა ჰქონოდათ და ახალი ინტრიგების საშუალება მოშლოდათ.

ამ ამბებს რომ გადმოგვცემს მემატიანე, იქვე ქებით მოიხსენიებს ახალგაზრდა მეფის ჭკუასა და სიქველეს, მისივე პაპას – გიორგი აფხაზთა მეფესა და მამობილს -– დავით კურაპალატს ადარებს. ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ბაგრატ მესამის მოღვაწეობაზე, ახლა კი კვლავ ჩვენი ქვეყნის სამხრეთით მიემართოთ მზერა და ის ისტორიული მოვლენები მიმოვიხილოთ, რაც უშუალოდ მოჰყვა ზემოთ მოთხრობილ ამბებს. ქართველმა მხედრობამ ბიზანტიაში ამ დროს დიდი ომი გადაიხადა, რასაც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება მოჰყვა.

●

ალბათ ყველას წაგიკითხავთ აკაკი წერეთლის ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი". ეს ნაწარმოები სწორედ იმ ბრძოლას აგვიწერს, რაც ახლა უნდა მოგითხროთ.

ბიზანტიის სამეფო კარზე დიდი არეულობაა. კარის ინტრიგები უფრო და უფრო მწვავდება. აწყობენ შეთქმულებებს. მზადდება დიდი სამოქალაქო ომი. იმპერატორები ზედიზედ იცვლებიან. ორი ბოლო იმპერატორი მოკლეს. ერთი მათგანი სწორედ 976 წელს მოწამლეს, დაახლოებით იმ დროს, როცა ტაოს მეფე დავითმა თავისი შვილობილი უფლისციხეს წაიყვანა და იქ გაამეფა.

ბიზანტიის ტახტის მემკვიდრეებად დარჩნენ წინა იმპერატორის შვილები — ბასილი და კონსტანტინე — რომელთაც, უწლოვანობის გამო, არ შეეძლოთ ქვეყნის მართვა, და იმპერიას განაგებდნენ დედოფალი თეოფანო და პარაკიმენონი (ანუ მესაწოლეთუხუცესი –საჭურისი) ბასილი.

სწორედ ამ დროს იფეთქა სამოქალაქო ომმა. იგი დაიწყო იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში და, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ფართოვდებოდა. სამეფო კარს დაუპირისპირდა ამ მხარის სარდალი, მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი ბარდა სკლიაროსი და ქვეყანა აჯანყების ალში გახვია. ზედიზედ დაიპყრო აღმოსავლეთის ქალაქები, თითქმის მთელი აღმოსავლეთის პროვინციები მის ხელში მოექცა, „იმპერია ორ ნაწილად გახიაო", მოხდენილად გადმოგვცემს ფაქტიურ მდგომარეობას ამ ამბების მომსწრე სომეხი ისტორიკოსი (აქ სომეხი მემატიანის სიტყვები მოსე ჯანაშვილის თარგმანით მოგვაქვს), „შევიდა ბითინამდე და 4 წლის განმავლობაში სისხლით შეღება მთელი მხარე, მის წინააღმდეგ იბრძოდა მხედრობა ბიზანტიისა, თრაკიისა და მაკედონიისა, მაგრამ ეს ჯარიც დაამარცხა ბარდამ, ამის შემდეგ ომიანობა მოედო მთელს საბერძნეთს: სოფელი ებრძოდა სოფელს, ქალაქი — ქალაქს. სისხლი იღვროდა ყველგან"...

ამ სამოქალაქო ომის მთელი სიმწვავე და დრამატიზმი იგრძნობა ჩვენამდე მოღწეულ ერთ ძველ ქართულ ხელნაწერშიც: „დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმბოს, საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობლისასა ლავრასა შინა სახელით კრანიას, მეფობასა ბასილისსა და კონსტანტინესსა, პატრიაქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა (ე. ი. იმ დროს, როცა განდგა) ვარდა სკლეროსისა, – ვკითხულობთ მინაწერში (ამოწერილია თ. ჟორდანიას ქრონიკებიდან) – ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოხრებასა გლახაკთასა და აწყუედასა (გაჟლეტა, მოსპობა) ჭაბუკთასა უწყალოდ, ურთიერთას მახვილითა ძმაი ძმასა ზედა და მამაი შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა (ეს მაშინ მოხდაო), ამას რაი წიგნსა ვწერდი. ხოლო თუ ძლევაი ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა, თვინიერ (გარდა) უფლისა. ყოველნივე ურთიერთარს ეკუეთებოდეს სიტყვით და საქმით; მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს"[1] ...

რა ცოცხლად დაუხატავს ქართველ მწერალს ბიზანტიის სამოქალაქო ომის სურათი! ქვეყანა შეძრწუნებულია, ძმა ძმას არ ინდობს, მამა — შვილს. იმპერიის განებივრებული დედაქალაქი გაურკვეველი მომავლის მოლოდინში განაბულა, ქუჩებში სიცოცხლე ჩამკვდარა, კონსტანტინოპოლი გაქვავებულ ქალაქს დამსგავსებია. უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ბერებიც შორიდან შეპყურებენ

1. ეს არის მინაწერი „იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების" წიგნში, რომელიც წმ. ექვთიმეს უთარგმნია.

ქვეყნის უცნაურ ტორტმანს და ვერ მიმხვდარან, ღმერთი რას ინებებს — კიდევ დიდხანს გაარძელებს ამ საშინელ სატანჯველს, რათა ხალხს კარგად დაანახოს, რა მძიმე ცოდვებით აუვსიათ ისედაც ცოდვილი ქვეყანა, თუ მალე მოუღებს ბოლოს ამ განსაცდელს... ან ვის დარჩება გამარჯვება...

ასეთი განწყობილებით იწერებოდა ზემოთ მოტანილი სტრიქონები...

ხელნაწერს თარიღად ადევს 978 წელი. სწორედ ამ წელს აიღო სკლიაროსმა ქალაქი ნიკეა და ამით თითქმის გადაწყვიტა კიდეც ომის ბედი: ახლა უკვე დროის საქმე იყო — სკლიაროსი კონსტანტინოპოლისკენ დაიძრებოდა და სიმტკიცედაკარგულ დედაქალაქს ადვილად აიღებდა.

ამ ბრძოლების ისტორიას ბევრი წყარო გადმოგვცემს — ბერძნული, სომხური, და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ქართული...

ჩვენ უკვე გავეცანით ერთ ქართულ წყაროს, სადაც ექსპრესიულად არის გადმოცემული მთელი დრამატიზმი იმ სამოქალქო ომისა. მეორე ქართული წყარო (იგი დიდი მწიგნობრის გიორგი მთაწმინდელის თხზულებას წარმოადგენს) ხატოვნად გადმოგვცემს ბიზანტიის სამეფო კარის მდგომარეობას: „მას ჟამსა იქმნა განდგომილებაი სკლიაროსისაი და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი (აქ ტახტის ორი მცირეწლოვანი მემკვიდრე იგულისხმება) და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა“.

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. ამ საშინელ სასოწარკვეთილებაში მყოფთ ძლევამოსილი ქართველი მეფე დავით კურაპალატი გაახსენდათ და გულში ერთბაშად იმედი ჩაესახათ — თუ გვიშველის, მხოლოდ ის გვიშველისო. „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არსო“, ასე გადმოგვცემს სასოწარკვეთილი ადამიანების სიტყვებს გიორგი მთაწმინდელი.

გასაჭირის დროს რომ ქართველი მეფე გაახსენდათ სასოწარკვეთილ ბერძენ დიდებულებს, ეს გასაკვირი სულაც არ არის. ქართველები იმ დროს ბევრნი იყვნენ ბიზანტიის სახელმწიფოს მაღალ თანამდებობებზე — ჩვენს ისტორიკოსებს გერმანელი მეცნიერის გელცერის სიტყვები მოჰყავთ: მეათე საუკუნეში ქართველები და სომხები „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს

ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ-რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“... მეათე საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“.

მაგრამ ქართველ მეფესთან ხმის მიწვდენა არ გინდოდა?! ტაოსკენ მიმავალი გზები სკლიაროსს გადაეჭრა. ძეხორციელი ვერ გააღწევდა — აჯანყებული სკლიაროსის გუშაგები შეიპყრობდნენ და ან მოსპობდნენ (თუ საეჭვოდ მიიჩნევდნენ), ან უკანვე დააბრუნებდნენ. ბედზე ქართველი ბერები გაახსენდათ, რომლებიც ათონის ივერიელთა ლავრაში ეგულებოდათ. ბერს არავინ დააკავებდა, თუკი მოახერხებდნენ მოციქულად ბერის გაგზავნას. სასწრაფოდ აფრინეს კაცი ქართველ ბერებთან და წიგნი მისწერეს:

„ულმრთოი სკლიაროსი გაგუადგა და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაითა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა (ყოველ მიზეზს გარეშეო, დღეს რომ იტყვიან ხოლმე კატეგორიული ტონით) იოანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“. და გიორგი მთაწმინდელი იქვე დასძენს: „და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი (მუდარა) ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა“.

ამითაც ჩანს, როგორ გასჭირვებიათ სამეფო კარზე.

არც ის არის გასაკვირი, რომ სწორედ თორნიკე მოიხმეს საიმპერატორო კარზე; ცნობილი ქართველი მეომარი თორნიკე ახლახანს შემდგარიყო ბერად, მამაცი და ყოჩაღი კაცი იყო, ბრძოლებში გამოცდილი (ყოფილი სპასალარი), განათლებული და მარჯვე (ეტყობა, ბერძენი პარაკიმენონი შორიდან ადევნებდა თვალს ქართველ სპასალარს და კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი ადამიანური თვისებები). იმიტომაც ზოგადად კი არ მისწერეს, ვინმე ბერი გამოგვიგზავნეო — იოანე-თორნიკე დაუსახელეს (ერობაში თორნიკე ერქვა, ბერად რომ აღიკვეცა — იოანე დაირქვა).

მაგრამ თორნიკეს დათანხმება ძნელი გამოდგა: ძლივს ბერად შედგომას ველირსე, ცხოვრებისეულ ცოდვათა მოსანანიებლად მოვსულვარ, მეფეებთან რაღა მესაქმება, შფოთს შემყრიან, თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთო. ძალიან თავგამოდებით იხვეწებოდა, ნუ მაიძულებთ წასვლასო. მაგრამ მონასტრის წინამძღვრის არგუმენტი შეუვალი აღმოჩნდა. ახლა რომ უარი ვკადროთ დედოფალს და არ

დავემორჩილოთ, „დიდ რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედაო“.

სასახლეში, ეტყობა, სულმოუთქმელად ელოდნენ თორნიკეს. შედგა თუ არა ფეხი ეზოში, „მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალი ზეაღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისუეს“.

ისე იყვნენ გამწარებულ-დაფეთებულები და ისეთი სასოებით ელოდნენ ქართველი ბერისგან ხსნას, რომ ასეთი პატივით მიღებაც არ აკმარეს: დედოფალმა უფლისწულებს უბრძანა, წმინდა ბერის წინაშე დაიჩოქეთო და თვითონ თორნიკეს მიმართა: „წმიდაო მამაო, რაიცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა“. აღუთქვა, რასაც კი გვეტყვი, ყველაფერს შეგისრულებთ, ოღონდ დავით კურაპალატთან მიგვეგზავნე და ჩვენი გაჭირვების ამბავი შეატყობინე, სთხოვე, უღმრთო სკლიაროსისაგან გვიხსნასო.

ძალიან მიმძიმსო, ქართველმა ბერმა უპასუხა, ჩემთა ცოდვათა-თვის ჩავიცვი ეს ბერის ფიჩვი, მაგრამ რა ვქნა, თქვენს წმიდა მეფობას ურჩობა როგორ ვკადროო. გახარებულმა დედოფალმა თეოფანომ თავად იკისრა ქართველი ბერის ცოდვების სიმძიმე — მე მომკითხოს ღმერთმა შენი ცოდვებიო (თითქოს საკუთარი ცოდვები არ ეყოფოდა დედოფალს. ცოდვიანი ქალი იყო — აეხორცი და ვერაგი: ხმა გაუვ-რცელეს, ქმრის მოკვლაშიც ერიაო), ოღონდ კი ეს ობლები შეიბრალე და იხსენიო.

სასახლეში გამომწყედეული ბიზანტიელი დედოფლისა და უფლისწულების სიბრალული ისე არ აუჩვილებდა გულს დავით კურაპალატს, რომ მათ გამო თორმეტი ათასი ქართველი მეომარი — და მთელი ქვეყანაც — საალალბედოდ გაეხადა. ეს დედოფალმა და მისმა მრჩეველმაც კარგად იცოდნენ და ამიტომ ბერს ისიც დაუბარეს, რითი მიუზღავდნენ სამაგიეროს ქართველ მეფეს.

ეტყობა, ბიზანტიის სამეფო კარზე კარგად იყვნენ მიმხვდარნი ქართველი მეფის გეგმებს, და სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, გარკვეული ტერიტორიების მიცემა აღუთქვეს. ეს ტერიტორია იყო: კარინის მხარე, ანუ თანამედროვე არზრუმი; ციხე ხალტოი-არიჯი და მასთან მდებარე კლისურა; სამხრეთი ბასიანი; ჩორმაირის თემი; ციხე სევუკი თავისი თემით მდინარე არაქსის სათავეებთან; ჰარქისა და აპაპუნის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში... ერთი სიტყვით, საკმაოდ ვრცელი და ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტერიტორია.

მაგრამ ალბათ მარტო ამის გამო არ დათანხმებულა დავით კურაპალატი — მარტო ამ მიწა-წყალს არ დახარბებია, როცა სამხედრო დახმარებას შეპირდა. აქ სხვა ფაქტორიც მოქმედებდა.

აქ ალბათ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, და დავით კურაპალატსაც ამან გადააწყვეტინა უმთავრესად ბერძნებისთვის სამხედრო დახმარების გაწევა, რომ თუ სკლიაროსი გაიმარჯვებდა და ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა, საშიშროება დაემუქრებოდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ და ტრადიციით განმტკიცებულ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობასაც. ალბათ ასეთი საშიშროების კონკრეტული მინიშნებანი ჰქონდა კიდეც დავით კურაპალატს და ჩვენ ახლა არ ვიცით, მხოლოდღა ვარაუდი თუ შეგვიძლია. თავისთავად იგულისხმება: ბარდა სკლიაროსი, რომელსაც უკვე სომხეთის ტერიტორიაზე დამკვიდრება მოესწრო, ქართველთა მეფის ქვეყანასაც ემუქრებოდა. ასეთი ვარაუდის საფუძველი არის.

ალბათ ამიტომაც დათანხმდა უყოყმანოდ დავით კურაპალატი ბიზანტიისთვის სამხედრო დახმარებაზე და მოციქულსავე დაავალა მაშველი ლაშქრის სარდლობა.

უცნაური კია; ბერად შემდგ არ მოხუცს, რომელიც უკვე განდგომია ამქვეყნიურ ყოფას, სამშობლოდან სადღაც შორს გადახვეწილა, რათა უფრო ადვილად გაეწყვიტა კავშირი მიწიერ ცხოვრებასთან, უფრო ადვილად დაევიწყებინა ახალგაზრდობაში, სპასალარობის დროს დაღვრილი სისხლი, მთელი არსებით მისცემოდა ქვეყნიურ ცოდვათა მონანიებას, ღვთის სამსახურს, შთენილი დღენი მარხულობასა და გულმხურვალე ლოცვაში გაეტარებინა... ასეთ კაცს ჯარის სარდლობას აკისრებენ და ფიცხელ ომში გზავნიან! გამოდგება ასეთი კაცი მეომრად და სარდლად? კვლავ სისხლის საღვრელად შემართავს ხმალს და სულს ახალ ცოდვებით დაიმძიმებს? მოახერხებს ამას?!.

ასე სცადა თორნიკემ დაესაბუთებინა უარი. რაღა დროს ჩემი ომიაო, შეჰკადრა მეფეს, რამდენი ახალგაზრდა სარდალი გყავს — ჭკვიანი და მამაცი... თავი კიდეე უფრო დავიმძიმო ცოდვებით...

მეფემ ხელი ასწია და გააწყვეტინა.

ეცნაურა მოხუც სპასალარს თანშეზრდილი მეფის ჟესტი. მიხვდა, რომ ველარაფერს გახდებოდა და დადუმდა.

იმასაც მიხვდა ბრძენი მოხუცი, რატომ მაინცადამაინც ის შეარჩია მეფემ სარდლად.

ამ შემთხვევაში სამხედრო ხელოვნების ცოდნა და გამოცდილება

კი არ იყო მთავარი. გამოცდილი სარდლები სხვაცა პყავდა მეფეს — ახალგაზრდული ენერგიით სავსე და ომმოუყირჭებელი...

სხვა საფუძველი ჰქონდა მეფის არჩევანს.

უყვარდა ჯარს მოხუცი სპასალარი. მამად მიაჩნდა... მისი გულისთვის სიცოცხლეს არად ჩააგდებდნენ, სიკვდილს თვალს გაუსწორებდნენ, ცეცხლში ჩავარდებოდნენ... მის ყოველ დავალებას უყოყმანოდ შეასრულებდნენ...

საკუთარ მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერს რომ ებრძეის და თავს იცავს, ჯარს წაქეზება და აგზნება აღარ სჭირდება — გულზე მოდებული ცეცხლი აანთებს, მშობლიური მიწის მღელვარე სუნთქვა შეასხამს ფრთებს და შეუძლებელს შეაძლებინებს... როცა სხვას ეხმარები...

ერთი სიტყვით, აღარ გაუვიდა უარი თორნიკეს: მეფემ ბერის სამოსი გაახდევინა, ჯაჭვის პერანგი ჩააცვა და სარდლობა ჩააბარა, გაატანა თორმეტი ათასი დარჩეული მეომარი და გაუშვა.

ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. „ქართველთ მხედრობამ თორნიკესა და მთავართ-მთავრის ჯოჯიკის სარდლობით დაიპყრო ქვეყნები, რომელიც ეჭირა ბარდას, თვით ეს ბარდაც დაამარცხეს და განდევნეს ბაღდადისაკენ“. ეს სომეხი მემატიანის სიტყვებია.

დაწერილებითი აღწერა საომარი მოქმედებისა ისტორიას არ შემოუნახავს. წყაროები ზოგადად გადმოგვცემენ, ქართველმა მეომრებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და ბიზანტიის სამეფო კარი განსაცდელისგან იხსნესო.

ეკლესიის კედელში მოქცეულ ერთ ძველ ქვას იმისი ცნობაც შემოუნახავს, თუ სად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, სად დაამარცხეს ქართველმა მეომრებმა ბარდა სკლიაროსი. ეს წარწერა ზემოთ ნახსენები ბრძოლისა და გამარჯვების ხნისაა, იმ გამარჯვების პირველი სიხარულის მოწმე.

„სახელითა ღვთისათა და წმიდისა ღვთისმშობლისა მეოხებითა მე ივანე, ძემან სულაისამან, აღვაშენე წმიდაი ეგუტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი. დაეით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა, და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვაველინნა. სკლიაროსი გავაქციეთ მას ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი“...

პირველად მარი ბროსეს გადმოულია ეს წარწერა ზარზმის

მონასტრიდან. როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის მითითებული სახელწოდება სოფლისაც და მთელი იმ კუთხისაც. ზედიზედ მოოვებულ გამარჯვებათა შემდეგ, კონსტანტინოპოლზე გენერალური შეტევის წინ აქა სდგმია ტახტი აჯანყებულ ბარდა სკლიაროსს. აქ დაესხა თორნიკე ერისთავის ლაშქარი და აქ დაამარცხა.

მაგრამ ზარზმის წარწერაში კიდევ ერთი რამეა ჩვენთვის საინტერესო და იმიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

წმიდა ეგუტერი ავაშენეო, გადმოგვცემს ვინმე ივანე სულაისძე. ეს კაცი ამავე დროს ბრძოლის მონაწილეც ყოფილა. აკი თვითონვე ამბობს — დავით კურაპალატმა ჩვენ ყველანი ლაშქარს წარგვავლინაო... ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ივანე – ეგუტერის ამშენებელი და ლაშქარს წარვლენილი? ეტყობა, წარჩინებული პირი იყო, რაკიღა ეკლესიაც აუშენებია და ბრძოლაშიაც მეფის პირადი განკარგულებით წასულა. თან იმასაც დააკვირდით, როგორი რიხით ამბობს — გავაქციეთო!.. უბრალოდ კი არ გადმოგვცემს, დავამარცხეთო. ერთგვარი სიამაყითა და ზეიადობითაც კი გვაუწყებს — გ ა ვ ა ქ ც ი ე თ ო!.. ამაზეც ეტყობა, რომ წარწერის ავტორს იმ ბრძოლებსა და ბრწყინვალე გამარჯვებაში უბრალო მეომარზე გაცილებით უფრო დიდი წვლილი მიუძღვის...

ვინ შეიძლება მაინც, ამ წარწერის ავტორი იყოს?

იქნებ ვინმე ცნობილი ისტორიული პირი, რომელსაც ჩვენ სხვა წყაროებითაც ვიცნობთ?

იქნებ სწორედ ის ივანე, რომელსაც ერისკაცობაში თორნიკე ერქვა და ეს სახელი ბერად აღკვეცის შემდეგ დაირქვა?!.

ექვთიმე თაყაიშვილმა სწორედ ასე ივარაუდა და სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს მისი მოსაზრება.

თორნიკე ერისთავი უნდა იყოს ამ ეგუტერის ამშენებელი და წარწერის ავტორი. მეფის ბრძანებას დაემორჩილა, ბერის სამოსი გაიხადა და საომარი ჯაჭვი ჩაიცვა, ხელში მახვილი აიღო... ჯერ ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიება ვერ მოასწრო, რომ სული ახალი ცოდვებით დაიმძიმა...

იმიტომაც დაეშურა, და, გათავდა თუ არა ომი, თავისივე მშობლიურ კუთხეში (ესეც ვივარაუდოთ, რომ იგი ამ კუთხიდან იყო) ეგუტერი ააშენა, დიდი ღვთიური საქმე გააკეთა — კიდევ ერთი წმიდა სახლი შემატა ქვეყანას. ამით უნებლიე „შეცოდებანი“ გამოისყიდა, თეოფანო დედოფალს აღარ დაენდო და თვითონვე სცადა საკუთარ ცოდვათა სიმძიმის შემსუბუქება, წმინდა სახლი აღაშენა და ქვაზე ის

წარწერა ამოაკვეთინა; თითქოს უშუალოდ უზენაესთან გააბა საუბარი, მას აცნობა საქმის ნამდვილი არსი: წმიდათა მეფეთა ვუშველეთო, საგანგებოდ შენიშნავს; ეს ისეთ კონტექსტშია მოქცეული, თავისთავად იგულისხმება, რომ ასევე წმიდა საქმეს ემსახურებოდა ეს ბრძოლა, ერთადერთი ჭეშმარიტი რჯულის დაცვასა და ამ რჯულისთვის თავის დადებას.

ერთი სიტყვით, მორჩა თუ არა ომს, ჯაჭვის პერანგი კვლავ გაიხადა და წმიდა სახლი აღაშენა. და არა მარტო ეს ეკლესია! ომში მოპოვებული დიდძალი ნადავლი და ის საჩუქრები, რაც გამარჯვების შემდეგ ბიზანტიის დედოფალმა უბოძა, მთლიანად ივერიელთა ტაძარს გადასცა ათონში და იქაც დიდ სამონასტრო მშენებლობას მოახმარა. ამჯერად უკვე საბოლოოდ ჩაიცვა ბერის სამოსი და მისი მომდევნო დროინდელი მოღვაწეობაც ბრძოლის ველებზე და გადახდილი ომების ანალებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმ საღვთო თუ საერო წიგნებსა და ფოლიანტებში, რაც იმხანად ქართველთა მონასტრებში იქმნებოდა, და რომელთაგან ბევრი დაიკარგა, მხოლოდ ერთმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე.

აქვე ერთი დეტალი უნდა გავიხსენოთ თორნიკე ერისთავის სამონასტრო ცხოვრებიდან. ეს იმითაც არის საინტერესო, რომ, ჯერ ერთი, თვითონ ბერად შემდგარი მოხუცი სპასალარის ხასიათს გვიხატავს; და მეორე: მაშინდელ მონასტრულ ცხოვრებაზე ჩვენს წარმოდგენას კონკრეტული ფაქტებით ავსებს, ფანტაზიას სივრცეს აძლევს, რათა ამ ცხოვრების ცალკეული სურათები ფერწერული სიცხადითა და შთამბეჭდაობით აღვიქვათ.

რატომ გადაწყვიტა მოხუცმა კაცმა ბერად შედგომა, ამისი კონკრეტული მიზეზი ცნობილი არ არის. თუმცა გასაკვირიც არაფერია — იმ დროს ეს, ასეთი კაცისთვისაც კი, დიდად გასაკვირი არ იყო. ვიცით ის, რომ ამქვეყნიური ცოდვების მონანიებასა და გამოსყიდვას დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ძველი განთქმული მეომარი; ღმერთს პატიებას შესთხოვდა, მხურვალედ ლოცულობდა, მარხვას არ ტეხდა, დღისით მონასტრის ვენახსა და ბაღში ტრიალებდა — მიწას ჩიჩქნიდა, ღამით კი ხელნაწერებს ჩაპკირკიტებდა, მონასტრის რეჟიმს კეთილსინდისიერად იცავდა...

მაგრამ ძველ სახელოვან ცხოვრებასა და მოგონებებთან კავშირის გაწყვეტა, ეტყობა, მაინც ვერ მოახერხა, ქვეცნობიერად ეამაყებოდა გადახდილი გმირული ბრძოლები...

შუადღემდე მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ ბერები, ხოლო

როცა შუბისტარზე ასული მზე ამათი ვენახისა და მტილის თაეზე დაეკიდებოდა, როცა დღის დიდი მანათობელი ქვეყნად გაფანტულ სხივებს წამოკრეფდა და თავს მოუყრიდა, რათა მხოლოდ ამათი ვენახისა და მტილისთვის დაემიზნებინა, როცა მიწა თონედ იქცეოდა და სუნთქვა აღარ შეიძლებოდა, ჩრდილს შეაფარებდნენ თავს.

ამ დროს შემოისხამდა ხოლმე გვერდში ბერებს ყოფილი სპასალარი და უამბობდა თავსგადახდილ ამბებს, მძიმე ბრძოლების ეპიზოდებს, შეტევაზე ყიჟინით გადასვლასა და მტრის ოტებას, ციხის ალყით აღებას და ტყვედ წაყვანილი ძვირფასი ადამიანების გამოსხნას, თავისივე მოგონილ სამხედრო ეშმაკობას... ზოგჯერ ალბათ ბერი კაცულადაც წაუტრაბახებდა... ხან ცრემლს აღვრევინებდა მსმენელებს, ხან გააცინებდა, და ამ გარემოსთვის უჩვეულო ხარხარი ერთბაშად მოვარდნილ ტალღასავით გადაურბენდა მონასტრის გარემოს, თითქოს შეძრავდა იქაურობას... ტკბილმოუბარი კაცი იყო, საინტერესო მთხრობელი. მოსაყოლიც, გაგიხარიათ, ბევრი ჰქონდა — რა გამოულევდა, იმდენი რამე გადახდომოდა თავს! მსმენელებიც (ამქვეყნიური ცხოვრებიდან ნაადრევად გამდგარი პირტიტველა ჭაბუკებიცა და სიცოცხლემოყირჭებული თუ ცხოვრებაზე გულაცრუებული ჭაღარაშერეული ბერებიც) ყურადღებიანი და ამბებს დანატრებულები გამოდგნენ. აენთებოდათ ხოლმე ერთფეროვანი მონასტრული ცხოვრებით ჩამქრალი თვალები და ამ დროს თითქოს ცხადად ხედავდნენ ხელჩართულ ბრძოლას, ტაიჭთა ძგერებას, კოშკის სარკმელთან მომდგარი, ბრძოლის გულისფანცქალით მოთვალთვალე მშვენიერი ქალწულის ჩრდილს, ყურში ჩაესმოდათ მხედარდაკარგული ცხენის გულისშემძვრელი ჭიხვინი, დაჭრილთა ვაჟკაცურად შეკავებული გმინვა, სეტყვად წამოსული ისრების მძაფრი ზუზუნი...

...ისე გადაიხრებოდა მზე, შუადღის ხვატი ისე განელდებოდა, რომ ვერც კი შეამჩნევედნენ: მთხრობელი გატაცებით ყვებოდა და მსმენელები სულგანაბული უსმენდნენ, ვერა გრძნობდნენ, რომ ამით მონასტრის რეჟიმს არღვევედნენ და უნებურად სცოდავდნენ.

წინამძღვარი შორიდან შეჰყურებდა ამას და წუხდა, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა, ეშინოდა, გული არ დაეწყვიტოო; იმედი ჰქონდა — გულს იჯერებს, გადაუვლის და თვითონვე მიანებებს თავსო... ბოლოს და ბოლოს, ამბებიც ხომ გამოელევაო. მაგრამ დრო გადიოდა, მთხრობელს ამბები არ ელეოდა და მსმენელთა თვალებიც ზედმეტად გაცისკროვნებული ეჩვენებოდა მოხუც წინამძღვარს.

ბოლოს, რაკიღა სხვა საშველი აღარ იყო, წინამძღვარმა ცალკე გაიხმო მოხუცი სპასალარი და მორიდებით უთხრა: საყვარელო ძმაო, არ მინდა გული დაგწყვიტო, მაგრამ ამის შემდეგ ძველი ამბების მოყოლა რომ მოგინდეს, გაბრიელს უამბე, სხვას ნურავის მოუყვებიო.

ეს გაბრიელი საოცარი კაცი იყო – გაქვავებული სახე ჰქონდა, ერთს არ გაიღიმებდა, ერთს არ გახსნიდა შუბლს, „და პირსა მისსა მსოფლიო სიტყუაი (ე. ი. საერისკაცო, ამქვეყნიური) არ გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოი და სულიერი“.

ეს რომ გაიგონა მოხუცმა სპასალარმა, ერთბაშად მიხვდა თავის უნებურ დანაშაულს, ცრემლი მოერია, წინამძღვრის ფერხთით მუხლებზე დავარდა და გულმხურვალედ უთხრა: წმინდაო, ღმერთშემოსილო მამაო, რატომ აქამდე არ მამხილე და არ მითხარი?

წინამძღვარმა წამოაყენა მოხუცი, მოუალერსა და უთხრა:

„უფალმან შეგინდვენ, გარნა აწ ხოლო ეკრძალე!“ (რაც მოხდა, მოხდა — ღმერთი გაპატიებს, ოღონდ მეტს ნუღარ იზამო).

ამის შეხსენება აღარც უნდოდა ბერად შემდგარ სპასალარს. გულში ჩაიმარხა თავისი ამქვეყნიური მოგონებანი და „ესრეთ ესე ვითარსა ამას სულიერსა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თვისნი და ღმრთისა მივიდა“.

ასე წარიმართა თორნიკე ერისთავის ცხოვრება ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლების შემდეგ[1].

დიდი გამარჯვებით ფრთაშესხმულმა და კიდევ უფრო გაძლიერებულმა დავით კურაპალატმა კი ამქვეყნიური საქმეები განაგრძო. ამ გამარჯვების შემდეგ ერთი-ორად გაიზარდა მისი ავტორიტეტი მთელს აღმოსავლეთში.

---

1. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ცნობა ამის შესახებ, რომ თორნიკეს საჭურველს – როგორც ძვირფას რელიკვიას — დიდხანს ინახავდნენ ივერთა მონასტრის ბერები. „მონასტრისა მის საგანძურსა... ძეს თორნიკის საჭურველნი: ზუჩი, ჯაჭვნი და აბჯარი და ხრმალი, რაჟამს იგი მონაზონებასა შინა შეიმოსნა და შებმა უყო სპარსთა და განიოტნა იგინი“. ამას წერს ტიმოთე გაბაშვილი, რომელსაც დიდი ხნის შემდეგ უნახავს ეს ძვირფასი ნივთები. ამასვე იმეორებს ბერძენი ავტორიც: „ქართველთა (მონასტრის) ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება ამ უმამაცესი მებრძოლის თორნიკეს ჯაჭვის პერანგის შესაკრავი და მისი თათრული ისარი, ნაწილობრივ შეჭყლეტილი“...

„რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო თორნიკეს სახელისადმი და ხსოვნისადმი მოწიწება, რომ საუკუნეთა მანძილზე გამოეტარებინათ მოგონება მის ნახმარ ჯაჭვის პერანგზე და საბრძოლო იარაღებზე“, წერს სიმონ ყაუხჩიშვილი, რომლის გამოკვლევიდანაც ამოვიღეთ ზემოთ მოტანილი ცნობა.

მისი გულისყური კვლავ სამხრეთისკენ არის მიქცეული, კვლავ იმის ცდაშია, მაპმადიანთაგან გაათავისუფლოს იმიერ ტაოს მოსაზღვრე კუთხეები და თავის სამეფოს შეუერთოს.

●

ბიზანტიაში კვლავ დაძაბულია მდგომარეობაა. ბარდა სკლიაროსის დამარცხებამ, ეტყობა, მაინც ვერ შექმნა წყნარი ატმოსფერო და მყარი საფუძველი მშვიდობისთვის, ცა კვლავ მუქდება, საავდრო ღრუბლებით იტვირთება, ნიადაგი მზადდება ახალი სამოქალაქო ომისთვის. როდის იფეთქებს ეს ომი, კაცმა არ იცის...

და ქართველი მეფე გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მეზობელ დიდ სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს. ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, იგი ვერ იცლის და ვერ ახერხებს, მეტი ყურადღება დაუთმოს თავისი შვილობილის საქმეებს.

ქართლის აზნაურებსაც ეს უნდათ! ერთხანს კი ფრთხილობდნენ ისინი, აშკარა თავნებობას ვერა ბედავდნენ, უცდიდნენ — აბა, რა მოხდებაო... და რაკი ისეთი არაფერი მომხდარა, რაკი დავით კურაპალატს, — რომლის განსაკუთრებული შიშიც ჰქონდათ, — მეტად აღარ მოუცლია ქართლისთვის და აქეთ არც კი მოუხედავს, რაკი ჭაბუკი მეფე ბაგრატიც ქუთაისში გამოიკეტა და ქართლი თითქოს დავიწყა კიდეც, ქართლელი ფეოდალები თანდათანობით გათამამდნენ, გურანდუხტ დედოფალს, რომელიც უფლისციხეში ჰყავდა დატოვებული ბაგრატს, სულ აღარ ეპუებოდნენ და ყოველი მათგანი „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“. იმედი ჰქონდათ, რომ ყველაფერი შერჩებოდათ. ჭაბუკი მეფე ვერ გამოდგა მტკიცე და გონიერი...

ასე იფიქრეს მათ, რაკიღა ბაგრატმა ძალიან დაიგვიანა და ქართლი გურანდუხტის ანაბარა დააგდო. გამოცდილება რომ არ ჰქონდა ჭაბუკ მეფეს, ეს ყველასთვის აშკარა იყო, მაგრამ საკმაო ჭკუაც არ აღმოაჩნდა... და არც მონდომება ქვეყნის მართვისა.

ასე დაასკვნეს ქართლის აზნაურებმა და ძალიანაც გაიხარეს, თავს გავიდნენ, აღარაფერს ეპუებოდნენ...

მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი იყო. ჭაბუკი მეფე ჭკვიანიც გამოდგა და ენერგიულიც. ჯერ დასავლეთ საქართველოში უნდა დაემყარებინა წესრიგი და მერე მიეხედა ქართლისთვის. აკი ითქვა, უსინათლო თეოდოსის დროს სულ აიწეწა ყველაფერი, ძაღლი

პატრონს ველარა ცნობდა, იქაური აზნაურებიც თავის ნებაზე იყვნენ მიშვებულები, „თითოეულად განაგებდეს საქმეთა თვისთა“... სანამ იმ აზნაურებს არ მოთოკავდა, ქართლში ისე ვერ გადმოვიდოდა მეფე: ჯერ ერთ კუთხეში უნდა დაემყარებინა წესრიგი.

„აფხაზეთშიაც და ქართლშიაც ბაგრატი წესრიგის დამყარებას შეუდგა“, — წერს ივანე ჯავახიშვილი.

ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. თუ არეულ ქვეყანაში წესრიგსა და დისციპლინას არ დაამყარებდა, ისე შეუძლებელი იყო იმ დიდი გეგმების განხორციელება, რაც მან თავიდანვე განიზრახა, საერთოდ ქვეყნის მართვა და ნორმალური ცხოვრება იყო შეუძლებელი.

და აი, როცა დასავლეთ საქართველოში მორჩა საქმეს, როცა იქაური აზნაურები მოთოკა და ქედი მოახრევინა, ჭაბუკმა მეფემ გადაწყვიტა ქართლისთვის მიეხედა, უფლისციხეში გადასულიყო, „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“.

ქართლის აზნაურებმა რომ გაიგეს, მეფე უფლისციხეში მოდისო, ვერაფრად ეპიტნავათ. მოილაპარაკეს ერთმანეთში და გადაწყვიტეს, გზაშივე დახვედროდნენ, უფლისციხემდე არც მიეშვათ, დაეშინებინათ და დაემორჩილებინათ. ვაჟა-ფშაველას ერთი მშვენიერი მოთხრობისა არ იყოს, შორიდან ძალინ ფახიფუხობდნენ, მაგარ-მაგარს გაიძახოდნენ, მაგას ის ხომ არა ვგონივართო, ასე და ასე ვიზამთო, კუდით ქვას ვასროლინებთო, ოღონდ, შენი ჭირიმე, ჩვენ ნუ მოვშლით ამ ჩვენს კავშირსა და ძალასაო, მაგ ღლაპმა რა უნდა დაგვაკლოსო... თვითონვე იკეთებდნენ გულს. ცოცხლად წარმოიდგინეს, რა ღღეში ჩააგდებდნენ ახალგაზრდა გვირგვინოსანს და მომავალ უეჭველ გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ, გულიანად ხითხითებდნენ.

მეფის წინაალმდეგ შეთქმულ აზნაურებს ქავთარ ტბელი მეთაურობდა.

მართლაც გზაში დაუხვდნენ ახალგაზრდა მეფეს, ლიხი რომ გადმოიარა და უფლისციხისკენ გამოემართა, წინ გადაუდგნენ.

ახალგაზრდა მეფე გულადი მეომარიც აღმოჩნდა: ხელადვე აუღო ალღო მდგომარეობას, მიხვდა, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებოდნენ, იშიშვლა ხმალი, „აღუზახნა სპათა თვისთა“ — თავის ამალას შესძახა, კუდით ქვა ვასროლინოთ ამ ვაჟბატონებსაო — და პირველი თვითონვე მიეჭრა.

დიდგულა აზნაურების მამაცობა საპნის ბუშტივით გასკდა, დაფრთხნენ, დაშინდნენ და დაიფანტნენ — ზოგი სად გადაიხვეწა და ზოგი სად. ზოგი შეიპყრო მეფემ და თან წაიყოლა უფლისციხეში.

მოყვარე და კეთილისმსურველი ვერ გაუკეთებდა ისეთ საქმეს

მეფეს, რაც ამათ გაუკეთეს. ერთბაშად მოედო ქართლს შეთქმულთა სამარცხვინო დამარცხებისა დ ახალგაზრდა მეფის გულადობის ამბავი. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, გაუადვილდებოდა ურჩი ქვეშევრდომების მოდრეკა და დამორჩილება. მიხვდა, რომ დედოფლის უფლისციხეში ყოფნა უფრო აფუჭებდა საქმეს — ისეთი განწყობილება იქმნებოდა, თითქოს ის ყოფილიყოს ქვეყნის სრულუფლებიანი გამგებელი, ხოლო რაკი დედოფალს ქვეყნის მმართველისთვის აუცილებელი სიმტკიცე და შეუპოვრობა არ აღმოაჩნდა, ურჩობასაც უბედავდნენ. მეფემ მოაგვარა აქაური საქმეები, ქართლშიაც წესრიგი დაამყარა და რამდენიმე ხნის შემდეგ უკანვე გაბრუნდა, ქუთაისში; დედა თან გაიყოლა და ამითაც აგრძნობინა ურჩ აზნაურებს, რომ ქვეყნის გაძღოლას თვითონვე აპირებდა.

მთლიანად ქართლი მაინც ვერ დაიმორჩილა ბაგრატმა. სამხრეთი ნაწილი — ატენის ციხე, მანგლის-ხევი და სკვირეთი (სკორეთი), მთელი თრიალეთი... ანუ მტკვარგაღმა მხარე სომხეთის საზღვრამდე, კლდეკარის ძლიერსა და გაელენიან ერისთავს რატის ეპყრა. ფორმალურად ეს ერისთავიც ბაგრატის ქვეშევრდომი იყო, მაგრამ განზე გამდგარიყო, მეფეს არ მორჩილებდა, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. ოღონდ ეს არის, რომ სხვა დიდებულებზე მეტი ჭკუა გამოიჩინა და ბაგრატის წინააღმდეგ შეთქმულებაში არ გარეულა. იმიტომაც გადაურჩა იმჯერად მეფის რისხვას.

ახალგაზრდა მეფე, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა, რომ კლდეკარის ერისთავი განზე იყო გამდგარი; იქნებ გამაღიზიანებლადა და გამომწვევად არ იქცეოდა, ჯერჯერობით თითქოს აქტიურ მტრობას არ ამჟღავნებდა, მაგრამ რაკი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა ცდილობდა, მაინც ურჩი იყო...

მაგრამ აკი ითქვა, ძლიერი და გაელენიანი კაცი გახლდათ კლდეკარის ერისთავი, და ბაგრატი რისკს მოერიდა. ამაშიაც გამომჟღავნდა ახალგაზრდა მეფის ჭკუა და სიდინჯე. აჩქარებით იქნებ საალალბედოდ გაეხადა საქმე და ყველაფერი გაეფუჭებინა. ამიტომ ხელი არ ახლო, ისე გაბრუნდა ქუთაისში, რომ მისი დამორჩილება არც კი უცდია. ხელსაყრელ დროს დაელოდა — როცა უფრო მოღონიერდებოდა და თავის პოზიციებსაც განამტკიცებდა. ნუ დაგავიწდებათ: რატი ორბელიანი ჩვეულებრივი წერილი აზნაური კი არ ყოფილა, რომელთა რიცხვი იმ დროსაც საკმაოდ ბევრი იყო ქართლში: კლდეკარის მბრძანებელი ძლიერი ფეოდალი გახლდათ, სამხედრო ძლიერებით ზოგიერთ მეფესაც არ დაუდებდა

ტოლს. ორბელიანებს 12.000 მხედრის გამოყვანა შეეძლოთ. ეს დიდი და მრისხანე ძალა იყო იმ დროში. მეფეს უსათუოდ უნდა გაეწია ანგარიში, თორემ შეიძლებოდა, ცუდად დატრიალებულიყო საქმე. ამიტომაც დაელოდა ხელსაყრელ დროს.

ეს დროც მალე დადგა. მეფემ გადაწყვიტა, დიდი ლაშქრით მოულოდნელად დასხმოდა თავს კლდეკარის ერისთავს და ერთბაშად დაეყრეევინებინა ფარ-ხმალი. სისხლიც ნაკლები დაიღვრებოდა ასე და უეჭველი გამარჯვების გარანტიაც ექნებოდა.

მეფის მტრებს არ ეძინათ. სანამ ბაგრატი ლაშქარს შეკრებდა, ესენი ხელად დავით კურაპალატთან მივარდნენ და ამბავი მიუტანეს — შენს შვილობილს შენი მოკვლა განუზრახავს, აღარ დაუცადა მემკვიდრეობის კანონიერად მიღებას და დიდ ლაშქარს აგროვებს, რათა ახლავე წაგართვას ტახტი და ქვეყანაო.

ბუნებრივია, თვითონ რატი ორბელიანიც შეუწყობდა ხელს ასეთი ხმების გავრცელებას.

ეს მოხდა 988 წელს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დავითის ყურადღება ამ დროს სამხ-რეთისკენ იყო მიპყრობილი. მაგრამ ეს რომ გაიგო, ეტყობა, რაღაც ენიშნა, ალბათ სხვა საფუძველიც ჰქონდა, შვილობილის ორგუ-ლობაში ეჭვი შეეტანა, თორემ ასეთი გამოცდილი და ჭკვიანი კაცი ჭორებს არ ირწმუნებდა; თვითონაც ხომ იცოდა, რომ ბაგრატს, — და იმ საქმეს, რაც მან წამოიწყო, — ბევრი მტერი ჰყავდა. ასეა თუ ისე, დავითი მაშინვე შეუდგა საომარ სამზადისს.

და ერთბაშად სამხედრო დაჯგუფებები ჩამოყალიბდა.

დავით კურაპალატმა სასწრაფოდ აფრინა კაცი სომხეთში და სომხების მეფე სუმბატს შეუთვალა, ასე და ასეა საქმე, ლაშქარი მომაშველეო.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ წინა ბრძოლებში სომხეთის მეფე დავითის მოკავშირედ გამოდიოდა. ახლა მით უფრო უშველიდა, რადგან ბაგრატის გაძლიერება სომეხ მეფეს სულაც არ ეპიტნავებოდა, თვი-თონვე ეჭირა თვალი ქართლისკენ. ახლაც ალბათ იფიქრა, ვინ იცის, როგორ დატრიალდება საქმეო და არ დააყოვნა, საჩქაროდ მიაშველა ჯარი.

ქართველ მემატიანეს უწერია, დავითმა „უხმო ყოველთა მეფეთა სომხითისათაო“. სომხეთის სხვა კუთხეებს ხომ სხვა მეფეები ჰყავდა: ეტყობა, ისინიც მოუხმია დავითს. ამ ამბების მომსწრე სომეხი მემატიანე სტეფანოს ტარონელი აზუსტებს და გვაუწყებს, სუმბატს

თავისი ძმა გაგიკიც ახლდა და აგრეთვე კარის მეფე აბასიო.

როგორც ეხედავთ, დიდი ლაშქარი შეუგროვებია დავით კურაპალატს. აქედანვე ჩანს, რომ მძიმე ომს ელოდა. დაუძრავს მთელი ეს შეერთებული ლაშქარი („რომელთა არა იყო რიცხვი") დავით კურაპალატს და ჯავახეთს მისულა, დლიეს დაბანაკებულა.

სამხედრო დაჯგუფებებიო, ზემოთა ვთქვით. ერთი მხარე უკვე ვიხილეთ: დავით კურაპალატი თავისი ლაშქრითა და სომეხ მეფეთა შეერთებული მხედრობით ჯავახეთში დგას, შეტევის დაწყებას ელოდება.

ახალგაზრდა ბაგრატის მხარეზე ხომ თავისთავად დიდი ძალა უნდა ვიგულისხმოთ — დასავლეთ საქართველოსი და ქართლის შეერთებული მხედრობა. ბაგრატის მხარეზე აღმოჩნდა აგრეთვე მამამისი – გურგენი, რომელმაც გამოიყვანა თავისი ლაშქარი და „თავსა შაუშეთისასა" დაბანაკდა.

ალბათ შენიშნეთ კიდეც, ხაზგასმით ვთქვით: ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ბაგრატის მხარეზეო. საქმე ის არის, რომ იმავე ხანებში სხვა ბაგრატიც იყო, სხვა მეფე ბაგრატი, ბაგრატ რეგვენად წოდებული. ალბათ ისიც გახსოვთ, რომ ეს ბაგრატ რეგვენი — ჭაბუკი მეფე ბაგრატის, ბაგრატ მესამის პაპა იყო. და იმ მოხუც ბაგრატ რეგვენს, რაღა თქმა უნდა, თავისი ლაშქარი ჰყავდა.

და როგორა გგონიათ, რომელ სამხედრო დაჯგუფებაში აღმოჩნდა ბაგრატ რეგვენი?

გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ დაძაბულ ვითარებაში მოხუცი კაცი შვილიშვილსა და შვილს გადაუდგა და დავითის კოალიციას მიემხრო.

რატომ, არ იკითხავთ?

შეეშინდა თურმე: ამ დახლართულ ბრძოლებში ვაი თუ ჩემმა შვილმა გურგენმა ტახტი წამართვასო („ეშინოდა ძისა თვისისა გურგენისგან წაღებასა მეფობისასა")!

იმიტომაც ვთქვით, ნამდვილი ფეოდალური ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სამხედრო დაჯგუფებები გაჩნდაო.

ამრიგად, ომის მოლოდინში, დავით კურაპალატის შეერთებული მხედრობა ჯავახეთში დგას, დლიეს, გურგენის ლაშქარი – შავშეთში, ბაგრატ მესამეს კი, ეტყობა, თრიალეთში, კარუშეთს უდგას ჯარი; გურგენმა და მისმა შვილმა გადაწყვიტეს სხვადასხვა მხრიდან შემოუტიონ დავითის შეერთებულ ლაშქარს.

მაგრამ დავითმა მოწინააღმდეგის შეტევას აღარ დაუცადა.

იფიქრა, ჯერ გურგენს ჩამოვიცილებო; გაგზავნა ლაშქრის ერთი ნაწილი, „შებნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა“ და ადვილად სძლიეს. გურგენი გაიქცა და წეფთის ციხეს შეაფარა თავი.

ეს იყო ერთგვარი შესავალი იმ დიდი, სისხლისმღვრელი ომისა, რაც ძმათა შორის უნდა გამართულიყო, სადმე თრიალეთ-ჯავახეთის მიდამოებში.

ეტყობა, ორივე მხარე ემზადებოდა ამ დიდი ბრძოლისთვის, მაგრამ არც ერთი არ ჩქარობდა. მზვერავები საგულდაგულოდ ათვალიერებდნენ მოწინააღმდეგის ბანაკს, ამოწმებდნენ, ანგარიშობდნენ, ვარაუდობდნენ, ჯარის განწყობილებას არკვევდნენ, იმის გაგებას ცდილობდნენ, თუ როდის აპირებდა მოპირისპირე მხარე შეტევაზე გადასვლას...

და ამ დროს მოულოდნელად, დღისით, მზისით, ჩვენ ვხედავთ, როგორ გამოეყო ერთი აბჯარახსნილი მხედარი კარუშეთში დაბანაკებულ ლაშქარს და ლაგამმიშვებული ცხენი მძიმე ნაბიჯით ღლიეისკენ დაძრა. მას შორიახლო იმგვარადვე აბჯარასხნილი მეორე მხედარი მიჰყვა. ეს იყო და ეს. ორად ორი უიარაღო ადამიანი გამოეყო იმ დიდ ლაშქარს და გეზი პირდაპირ მოწინააღმდეგის ბანაკისკენ აიღო.

პირველი მხედარი თვითონ ახალგაზრდა მეფე ბაგრატი იყო, ხოლო მეორე — მისი მხლებელი.

დავით კურაპალატი ჭკვიანი კაცი გახლდათ, უკვე ღრმად მოხუცი, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული. თითქოს ელოდა ამ უცნაურ სტუმრობასაო, თვითონვე გამოეგება შვილობილს, რომელიც უკვე ჩამომხტარიყო ცხენიდან, სადაევ მხლებლისთვის მიეგდო და დინჯი, ღირსეული ნაბიჯით უახლოვდებოდა მამობილის ლაშქარს.

მამობილ-შვილობილმა სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

გაუგებრობა მოხდაო, ბაგრატმა უთხრა, მე ეს ლაშქარი კლდეკარის ერისთავის დასამორჩილებლად შევკრიბე, სხვა არაფერი განზრახვა არა მქონიაო.

ძნელი სათქმელია, ნამდვილად ასე იყო, თუ არა (თუმცა მემატიანე პირდაპირ ამბობს: ბაგრატმა რომ გაიგო, ამოდენა ლაშქრით მოვიდა მისი მამობილი, და ძალით ვერაფერს გახდებოდა, ასე ამჯობინაო), ან დაიჯერა თუ არა დავითმა შვილობილის სიტყვები. იქნებ არც დაიჯერა. მაგრამ ისიც გონიერულად მოიქცა, შეიფერა, თითქოს

ეჭვი სულაც არ შეპარვოდეს შვილობილის გულწრფელობაში: ვხედავ, მართალი ყოფილხარო, ბაგრატს უთხრა, მითხრეს, თითქოს ჩემს მოსაკლავად იყავი გამოსული, მაგრამ, მადლობა ღმერთს, უდანაშაულო ყოფილხარ, აწ „მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“.

რატის დამორჩილება ხომ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საქართველოს გასაერთიანებლად, და, დავით კურაპალატს, თავად ამ დიდი ეროვნული საქმის მესვეურსა და საძირკვლის ჩამდებს, რა თქმა უნდა, გაუხარდებოდა საქმის ამგვარად დაბოლოება.

აქ საინტერესოა ერთი დეტალი: დავითის ნებართვა რომ მიიღო, ბაგრატი პირდაპირ კი არ მიეჭრა კლდეკარის ერისთავს, თუმცა საომრად გამზადებული და ბრძოლისთვის ფსიქოლოგიურად განწყობილი დიდი ლაშქარი იქვე ჰყავდა, და ახლა უკვე მამობილის ლაშქრის იმედიც ჰქონდა, თუკი სამხედრო დახმარება დასჭირდებოდა.

არა. უკანვე გაბრუნდა, ლაშქარი დაშალა და ქუთაისში გაემგზავრა. ეს იმიტომ, რომ გადაწყვიტა, კლდეკარის ერისთავს მოულოდნელად დასხმოდა თავსაო. მემატიანე გადმოგვცემს.

ამას განსაკუთრებით უსვამს ხაზს მემატიანე.

უეცარ მიხდომას ალბათ ის აზრი ჰქონდა, რომ ერთბაშად დაიპყრობდა და ნაკლები სისხლი დაიღვრებოდა, თორემ საეჭვოა, ისეთ ვითარებაში, იმოდენა ლაშქრის პატრონს კიდევ სათუოდ ჰქონოდეს კლდეკარის ერისთავის დამორჩილება.

არის მეორე გარემოებაც. მაშინვე რომ გაელაშქრა კლდეკარზე და რატი ერისთავის მიწა-წყალი დავითის შეერთებული მხედრობის დახმარებით დაეპყრო, დავით კურაპალატის მოკავშირეებს იქნებ თავისი წილი მოეთხოვათ იმ დაპყრობილი ტერიტორიიდან. შეიძლება სწორედ ამას მოერიდა ახალგაზრდა მეფე და კლდეკარზე გალაშრება იმიტომ გადადო. ასეთი ვარაუდის საფუძველი არსებობს. სომეხი მემატიანის გადმოცემით, ახლაც კი, როცა არავითარი ბრძოლა არ მომხდარა და ფაქტიურად არაფრით არ დახმარებია დავით კურაპალატს, სომეხთა მეფემ „დახმარების“ სამაგიერო თურმე მაინც მოითხოვა, და დავითმაც თავის შვილობილს ერთი ციხე (საკურეთი) მიაცემინა სუმბატისთვის (სუმბატი რომ გარდაიცვალა, ქართველებმა უკანვე დაიბრუნეს ეს ციხე).

ასე იყო თუ ისე, ამჯერად მშვიდობიანად დამთავრდა ყველაფერი, დავით კურაპალატი ტაოსკენ გატრიალდა, სომეხთა შეერთებული

მხედრობა სომხეთში დაბრუნდა და ბაგრატ მესამეც, როგორცა ვთქვით, ქუთაისში გაემგზავრა. კლდეკარის ერისთავი კვლავ თავის სამფლობელოში დარჩა – ალბათ კიდევ უფრო გაბღენძილი და გაამაყებული.

მაგრამ დიდხანს აღარ გაგრძელებულა კლდეკარის ერისთავის თავისუფალი პარპაში. ბაგრატმა მარჯვე დრო შეურჩია და, როცა ზამთარი მოიწია, ანუ ის დრო დადგა, როცა განზე გამდგარ ერისთავს თავდასხმის შიში თითქოს არ უნდა ჰქონოდა, დიდი ლაშქრით მიადგა კლდეკარს.

ისე მოულოდნელი იყო ეს, რომ რატი ბაღვაში დაიბნა, ხელის განძრევაც ვერ მოასწრო, მაშინვე მორჩილება გამოუცხადა მეფეს.

მორჩილების ნიშნად შვილი — ლიპარიტი — გამოუყვანა და მძეულად ჩააბარა, ციხე გადასცა და თვითონ თავის ძველ მამულში გაემგზავრა, არგვეთს.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ რატი ბაღვაშის წინაპარი არგვეთიდან გადმოვიდა თრიალეთში, გუარამ მამფალის დროს.

როგორც ითქვა, კლდეკარის შემომტკიცებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს გასაერთიანებლად. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბაგრატ მესამის მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო.

●

იმავე 989 წელს, როცა ბაგრატ მესამემ კლდეკარის ერისთავი დაიმორჩილა, მთელი თრიალეთის მხარე შემოიმტკიცა, და, ამრიგად, მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა, მისმა მამობილმა დავით კურაპალატმა ბიზანტიაში დიდი მარცხის სიმწარე იგემა.

ცოტა ხნით უკან მივიხედოთ და გავიხსენოთ, როგორ დაამარცხა ბიზანტიის სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსი ქართველთა ლაშქარმა. შეგახსენებთ, რომ სკლიაროსი მაშინ გაიქცა და ბაღდადს გადაიხვეწა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახალგაზრდა იმპერატორ ბასილ მეორეს, რომელიც ამასობაში დავაჟკაცდა და სახელი გაითქვა როგორც ენერგიულმა და დინჯმა მმართველმა, ბევრი სხვა საზრუნავი გაუჩნდა; 987 წელს ისევე წამოჰყო თავი სკლიაროსმა და იმით გათამამებულმა, რომ ბიზანტიის არმია ცოტა ხნის წინათ

სასტიკად დაამარცხეს ბულგარელებმა, ერთხელ კიდევ სცადა ბედი, კვლავ შემოვიდა ბიზანტიის ტერიტორიაზე.

იმპერატორმა ბასილმა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლების სარდლობა ბარდა ფოკას დააკისრა. ეს ის ფოკაა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, დავით კურაპალატთან მეგობრობდა (იგი თავისი ლაშქრით სკლიაროსის წინააღმდეგ იბრძოდა, 976 წელს, თორნიკე ერისთავთან ერთად).

ამჯერად ფოკასაც წასძლია სულმა, მანაც მოინდომა ტახტის დაუფლება — ბასილს გადაუდგა და თავი იმპერატორად გამოაცხადა.

მდგომარეობა დაიძაბა. იქით სკლიაროსი მოიწევს ბიზანტიის ტახტის ხელში ჩასაგდებად, აქეთ დიდად ავტორიტეტულმა მაღალი თანამდებობის პირმა, ვისაც ბასილმა სკლიაროსის განადგურება დააკისრა, თვითონ გამოაცხადა თავი იმპერატორად!..

ამაზე ვამბობდით ზემოთ — ბიზანტიაში კვლავ დიდი შინა ომი მზადდებოდაო.

ფოკას აჯანყებამ ფართო მასშტაბი მიიღო — ძალიან ბევრი თანამგრძნობი და აქტიური მომხრე გამოუჩნდა, თანაც მაღალ წრეებში. სკლიაროსმა რომ ნახა, ფოკას ვერ გაუმკლავდებოდა, მისი იმპერატორობა აღიარა და დახმარება აღუთქვა (თუმცა გულში რა ედო, ვინ იცის). ფოკამ სიამოვნებით მიიღო მეორე უზურპატორის შეთავაზებული დახმარება და შეეპირდა, სამაგიეროდ პალესტინას, სირიას და მესოპოტამიას მოგცემო.

ახლა ვნახოთ, რამდენად გულწრფელი იყო უზურპატორთა ურთიერთსიყვარული და რამდენად პატიოსანი — ერთმანეთისთვის მიცემული სიტყვა.

დიდი ხანი არ გასულა მათი შეთანხმების შემდეგ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სტაცა სკლიაროსს ხელი ფოკამ და დილეგში ჩააგდო. ამის შემდეგ ფოკამ სკლიაროსის ლაშქარიც შეიერთა და მისი სამხედრო ძალა კიდევ უფრო მრისხანე გახდა...

ბიზანტიის ამბები იმიტომ გავიხსენეთ, რომ ქართველი მეფე დავით კურაპალატიც აღმოჩნდა იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მოკავშირე.

დავით კურაპალატზე ვთქვით, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი იყოო — ახლა რატომ გამოიდო თავი და სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში რატომ ჩაერია, ბიზანტიის შინა ომში რატომ ჩაება, რად გაიხადა საქმე სარისკოდა და საალალბედოდ?!

საქმე ის არის, რომ „ზემონი ქუეყანანი“, რაც ქართველმა მეფემ განსაცდელში ჩავარდნილი უწლოვანი უფლისწულების დახმარების წილ მიიღო, დროებითი საჩუქარი გამოდგა. მაშინ ბუნდოვნად ითქვა, მერე კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ესმებოდა ამას ხაზი: დავითის გარდაცვალების შემდეგ ამ „ქუეყნებს“ უკანვე წაიღებდნენ, ქართველი მეფის მემკვიდრეებს აღარ დაუტოვებდნენ. ეტყობა, ხშირად შეახსენებდნენ ამას ქართველ მეფეს, და აყვედრიდნენ კიდეც. დავითი ამითი, რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილო იქნებოდა. იგი დიდი და მყარი სამეფოს შექმნაზე ოცნებობდა და დროებით ნაწყალობევი ქვეყნები, ბუნებრივია, არ დააკმაყოფილებდა.

იმიტომაც დაეთანხმა ფოკას, როცა მან დახმარება სთხოვა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიის სამხედრო ძალა თითქმის მთლიანად აჯანყებული ფოკას ხელში აღმოჩნდა და მის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. მან მთელი მცირე აზია დაიპყრო და დაიმორჩილა...

ქართველი მეფის გეგმები ფართო იყო — აჯანყებულ ფოკასთან კავშირით იგი თავისი ქვეყნის კიდევ უფრო გაფართოებასა და ახალი ტერიტორიების შემოერთებაზე ოცნებობდა და ამ ოცნების ასრულებას თითქმის აღარაფერი ეღობებოდა... ამასთან, ფოკა თუ გაიმარჯვებდა, დავითს მეტი გარანტია ექნებოდა, რომ იმ დროებით ბოძებულ მიწა-წყალს საბოლოოდ დაინარჩუნებდა.

უზურპატორი სულ ახალ და ახალ გამარჯვებას ზეიმობდა, ბიზანტიის დედაქალაქი ლამის ბლოკადაში მოექცა და უეჭველი განადგურება ელოდა...

გადამწყვეტ ბრძოლაშიაც გამარჯვება ფოკას მხარეზე იყო. ომის ბედი უკვე გარკვეული ეგონათ. კიდევ ცოტა და ბარდა ფოკა საბოლოო გამარჯვებას იზეიმებდა.

და რომ უფრო დაეჩქარებინა ეს სანატრელი წუთი, გადაწყვიტა, იმპერატორი ბასილი მოეკლა, რომელიც იქვე იყო ბრძოლის ველზე. ეს იქნებოდა ომის დამთარების ბოლო აკორდიც და იმის უტყუარი გარანტიაც, რომ ფოკა ტახტის ერთადერთი მფლობელი, დიდი იმპერიის მბრძანებელი გახდებოდა.

ფოკამ იმპერატორისკენ გააქანა ცხენი...

მაგრამ ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა.

მანამ იმპერატორს წამოეწეოდა, უზურპატორმა ცხენი გვერდზე შეატრიალა, ჩამოხტა, მიწაზე გაწვა და სულიც ამოხდა.

ხმა გავრცელდა, თითქოს მისი ფარეში მოესყიდოთ და უზურპატორისთვის ბრძოლის წინ შხამი შეეპარებინოთ...

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რა დღეში აღმოჩნდებოდა დავით კურაპალატი.

არ გაუმართლა ქართველ მეფეს. თითქოს ყველაფერი მისთვის სასიკეთოდ უნდა დამთავრებულიყო და ფოკას უეცარმა სიკვდილმა ერთბაშად შეატრიალა საქმე. რისიღა იმედი უნდა ჰქონოდა გაგულისებული იმპერატორისგან?

არაბი ისტორიკოსის ცნობით, იმპერატორს ქართველი მეფის სიკვდილით დასჯაც გადაუწყვეტია, მაგრამ მერე გადაუფიქრებია. დავითმა თურმე პატიება სთხოვა და აღუთქვა, თქვენგან ბოძებული მიწა-წყალი თქვენვე დაგრჩეთ, მე რომ მოვკვდებიო. კაცმა რომ თქვას, ამას რაღა დავით კურაპალატის ფიცი და დასტური სჭირდებოდა?!

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ მარცხის შემდეგ დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპერატორს თითქოს აღუთქვა, არა მარტო თქვენგან ბოძებულ ტერიტორიას, მთელ ჩემს სამეფოს თქვენ დაგიტოვებთ, მე მაინც უმემკვიდრო ვარო.

ეს არ უნდა იყოს მართალი, და აი, რატომ.

დავით კურაპალატს ამის შემდეგაც არ დაუყრია ფარ-ხმალი — ძველებური ენერგიულობითა და შეუპოვრობით განაგრძობდა თავისი სამეფოს გაფართოებას, ახალი კუთხეების შემოერთებას. უკვე ძალიან მოხუცი იყო, მაგრამ მაინც არ ისვენებდა, მაინც იბრძოდა, ახალ-ახალ კუთხეებს უმატებდა თავის სამეფოს. ზემოთ რომ ქალაქ მანასკერტის აღების ამბავი ვახსენეთ, ეს სწორედ იმ ხანებში მოხდა, იმ მარცხის შემდეგ. სხვა ქალაქებისთვის ბრძოლების ისტორიაც შემოუნახავთ წყაროებს. ყველაზე ვერ შეეჩერდებით – ძალიან შორს წაგვიყვანს. სიკვდილის დღემდე არ დამცხრალა დავით კურაპალატი... დადარაჯებული იყო და როგორც კი მარჯვე შემთხვევა მიეცემოდა, სამხრეთით მოსაზღვრე ამირებს დაესხმოდა, ქალაქებსა და სოფლებს „გამოჰგლეჯდა ხოლმე“. ეს ბოლო ორი სიტყვა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და კარგად გადმოგვცემს დავით კურაპალატის მაშინდელ განწყობილებას: როგორ გაფაციცებით ცდილობს, მაჰმადიანი დამპყრობლებისგან გაათავისუფლოს მოსაზღვრე მიწა-წყალი და შემოიერთოს; სწორედ რომ გამოგლიჯოს დამპყრობელს და თავისი სამეფოს საზღვრები უფრო იქით გადასწიოს, შორს გაიჭრას!

როგორც ითქვა, სწორედ ამ ხანებში აიღო დიდი ქალაქი მანასკერტი. ერთი ამირა რომ გარდაიცვალა და მისი ადგილი მეორემ,

მისიევ დისწულმა დაიკავა, ქართველმა მეფემ ალყა შემოარტყა მანასკერტს. ეტყობა კარგა ხანს ჰყავდა მოქცეული ალყაში. ბოლოს კი ქალაქის დამცველ მაპმადიანთა წინააღმდეგობა გატეხა დავით კურაპალატმა, მაპმადიანები განდევნა და ქალაქში ქართველები და სომხები ჩაასახლა.

მანასკერტი ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქი იყო პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც, სტრატეგიულადაც... ქართველი მეფე აქ მტკიცე ბაზას იქმნიდა შემდგომი ბრძოლებისთვის (მიტომაც არ დაახანა და ქართველი და სომეხი მოსახლეობა ჩაასახლა; ქართველებითა და სომხებით ააესოო, ივანე ჯავახიშვილი წერს). მაპმადიანი დამპყრობლები გვიან მოვიდნენ გონს, გვიან მიხვდნენ, რომ ამ ქალაქის დაკარგვა არ შეიძლებოდა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უკანვე უნდა დავიბრუნოთო, თქვეს. და ძალიან უსუსურ ხერხს მიმართეს ქალაქის დასაბრუნებლად: მოციქულები მიუგზავნეს ქართველ მეფეს — ახლავე დაგვიცალე ქალაქი, თორემ იცოდე, გამოვილაშქრებთო.

დაშინება მოუნდომეს!

რა სიტყვებით უპასუხა ელჩებს კურაპალატმა, ეს არ ვიცით, გულში კი მაინც გაიფიქრებდა — რაღა დასაბრუნებლად იხდიდით საქმეს, დაპყრობილი გქონდათ ეს ქალაქი და, თუკი ასე გულით გინდოდათ და ძალაც შეგწევდათ, მაშინ დაგეცვათო.

უარი შეუთვალა.

მართლაც დაიძრა მაპმადიანი ამირების შეერთებული მხედრობა. ქართველ მეფეს ადრევე დაეჭირა თადარიგი: ბაგრატ მეორისა და სომეხი მეფეების მაშველი ძალები თანა ჰყავდა. ძნელი სათქმელია, რას ელოდა ამირების კოალიცია, ისე გულიანად რომ მოდიოდა, მაგრამ ქართველ-სომეხთა შეერთებულ ლაშქარს რომ მოუახლოვდნენ, ეტყობა, შეფიქრიანდნენ და უბრძოლველადვე გაბრუნდნენ, პირში ჩალაგამოვლებულები.

როგორც ვარაუდობენ, ეს 990 წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.

მანასკერტის დაკარგვა ხომ თავისთავად დიდი მარცხი და ზარალი იყო მაპმადიანებისთვის, ახლა ამ „გალაშქრებამ" სულ გაუფუჭათ საქმე: ქართველები კიდევ უფრო გაამხნევა, საკუთარ მეომრებს კი რწმენა დაუკარგა. დავით კურაპალატსაც ეს უნდოდა — კიდევ უფრო გაიწია სამხრეთით. ახალი ტერიტორიები შემოიერთა.

მაპმადიანმა ამირებმა გადაწყვიტეს, რომ მეტი „დათმობა" უკვე

აღარ შეიძლებოდა — მოილაპარაკეს ერთმანეთში, მეორედ შეადგინეს სამხედრო კოალიცია და 100.000-იანი ლაშქრით (100.000-იანითო, ასე გადმოგვცემს სომეხი მემატიანე) ტაოსკენ გამოემართნენ. მაჰმადიანთა შეერთებულ მხედრობას ამჯერადაც ატრაპატაკანის ამირა მამლანი სარდლობდა, ის იყო კოალიციის სული და გული.

ეს მოხდა 998 წელს. ესე იგი, იმ პირველი ფუჭი ლაშქრობის შემდეგ მთელ რვა წელს გაუვლია, თუკი პირველ შეერთებულ „ლაშქრობას“ 990 წლით დავათარიღებთ.

რვა წელი ისტორიაში დროის ძალიან მცირე მონაკვეთია, ერთი გაელვებაც კი არ არის. რვა წელიწადი ადამიანის ცხოვრებაში საკმაოდ დიდი დროა, მით უმეტეს, როცა ეს ადამიანი თავისი ცხოვრების მწვერვალიდან თავდაღმა დაშვებულა... არ გვინდა მამლანისა და მისი მოკავშირე ამირების მამაცობაში ეჭვი შეგვეპაროს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სწორედ ეს ფაქტი ჰქონდათ გათვალისწინებული იმათ, როცა მხოლოდ რვა წლის შემდეგ შეიგნეს მანასკერტის დაკარგვის მთელი სერიოზულობა და გაბრაზება-გაგულისების უფლებაც ახლაღა მისცეს თავს.

მაჰმადიანების რისხვა — დავით კურაპალატი — ჯერ 990 წელსაც მოხუცებული იყო და ახლა მით უმეტეს, მაგრად მორეოდა სიბერე. მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრის წინააღმდეგ იგი ვერ წაუძღვებოდა თავის მხედრობას! იქნებ ამიტომ ითმინეს ამდენი მამლანმა და მისმა მოკავშირეებმა.

მაგრამ დავით კურაპალატის ქვეყანაში ჭკვიან სარდალსა და გულად მეომარს რა გამოლევდა! ჯარის წინამძღოლობა მეფემ ამჯერად სპასალარ გაბრიელ ოჩოპინტრეს ძეს დააკალა. ჯარი მოაშველეს სომხეთის მეფეებმაც და ქართველმა მეფემ გურგენმა. გურგენ მეფის გამოგზავნილ მხედრობას სარდლობდა ფერსი ანუ ფერისი, შესანიშნავი ვაჟკაცი, ცნობილი მთავართ-მთავრის ჯოჯიკის ძე. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ეს ჯოჯიკი თან ახლდა თორნიკე ერისთავს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ომში. როგორც ვხედავთ, მამაცა და შვილიც დავით კურაპალატის ერთგული ჯარისკაცები ყოფილან. ფერსი ჯოჯიკის ძეს კიდევ შევხვდებით ქვემოთ, ცოტა უფრო განსხვავებულ ვითარებაში — მის ტრაგიკულ ბედს გავეცნობით. მაგრამ ეს უფრო მოგვიანო დროის ამბავია. ახლა კი ამ მამაცმა მეომარმა მტერზე საერთო გამარჯვება გაინაწილა.

ასიათასიანი ლაშქრით გამოემართა მტერიო, სომეხი მემატიანის

სიტყვები მოვიტანეთ ზემოთ. ქართველებისა და სომხების მხედრობა, რა შედარებაა – გაცილებით ნაკლები იყო. ისე რომ, გაბრიელ ოჩოპინტრეს ძე და მაშველ მხედრობათა სარდლები, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ – ამოდენა ლაშქარს ჩვენ რას დავაკლებთო... გაბრიელ ოჩოპინტრეს ძემ ხერხი იხმარა — ისე მოაჩვენა მაპმადიანებს, თითქოს ჯერ არ აპირებდნენ ბრძოლის დაწყებას, მერე კი ერთბაშად დაესხა თავს, შეუტია და გააქცია. უკან დაედევნენ გაქცეულ მამლანს და კარგა ხანსაც სდიეს, მერე ნადავლი წამოიღეს და გამობრუნდნენ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით უსახელებიათ თავი მესხ ძმებს გამრეკელებს.

ერთი სიტყვით, ბიზანტიის კეისართან განცდილი მარცხის შემდეგ დავით კურაპალატმა, როგორც ვნახეთ, კიდევ ბევრი ბრძოლა გადაიხადა, და წარმატებითაც. და თუკი მთელი მისი სამეფოს ბედი გადაწყვეტილი იყო, თუკი მაინც ბიზანტიას უნდა შეერთებოდა, ასე რატომ გამოიდებდა თავს?! თუკი ხვალ-ზეგ მაინც უნდა წაერთმიათ მისი მემკვიდრეებისთვის, კიდევ უფრო გაფართოებისა და ახალი ტერიტორიების შემოერთებისთვის რატომღა იწვალებდა, ასე რატომ გამოიდებდა თავს?! ხალხს ტყუილუბრალოდ რად გაჟლეტდა?! ეტყობა, ის ვერსია უნდა იყოს სარწმუნო, რომლის მიხედვითაც იმპერატორი ბასილი მისგანვე ნაბოძები კუთხეების წართმევით დაემუქრა და საბოლოოდ მხოლოდ ამ კუთხეების ბიზანტიისთვის უკანვე დაბრუნებაზე შეთანხმდნენ.

თავი V

ათასწლეულთა მიჯნაზე

ბაგრატ მესამისმოღვაწეობა ✦ ქვეყნის ცალკეული კუთხეების შეკავშირება და ერთიანი საქართველოს შექმნა ✦ მეთერთმეტე საუკუნიდან ერთიანი ქვეყნისცნებისაღსანიშნავად ახალი ტერმინი შემოდის – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

გარდაიცვალა დავით კურაპალატი 1001 წლის გაზაფხულზე — როცა ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეული ის იყო დამთავრდა და მეორე ათასწლეული იწყებოდა. უკვე ღრმად მოხუცებული იყო ღვაწლმოსილი მეფე, და არ გინდა დაიჯერო ერთი სომხური წყაროს ცნობა, თითქოს 31 მარტს, აღდგომა დღეს საწამლავი შეეპარებინოთ მისთვის. ალბათ არც არის მართალი. ქართველი მემატიანე ამაზე არას ამბობს. მარი ბროსე რომ გადმოგვცემს მისი ცხოვრების ამბავს, თითქოს ერთბაშად შეკრთაო, ასე ამთავრებს თხრობას: ჩვენ ვერ ვირწმუნებთ ამ დაუჯერებელ ამბავს და ამიტომ გამეორებაც არა ღირსო...

როგორც უკვე ითქვა, დავით კურაპალატზე საკმაო ცნობები შემოუნახავს ისტორიას, ქართველი და უცხოელი მემატიანეები თითქმის სრულ წარმოდგენას გვიქმნიან ქართველი მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. თითქმის სასურველი სისრულით გვიხატავენ მის პორტრეტს. ზემოთ ჩვენ უკვე გაეცანით რამდენიმე დახასიათებას. ალბათ გახსოვთ, როგორი ქებით მოიხსენიებს სომეხი მემატიანე სტეფანოს ტარონელი, როგორ საგანგებოდ აღნიშნავს მის მშვიდობისმოყვარეობას: დააწყნარა ომები ყველა ქვეყანაში, მშვიდობა დაამყარა და აღმშენებლობას მიჰყო ხელიო...

აგერ, მეორე სომეხი მემატიანისეული დახასიათებაც: „...კაცი ძლიერი, ქვეყნის მშენებელი, გულუხვი და ღატაკთა მოყვარე, მან

ჭეშმარიტად დაამყარა მშვიდობა“, ეს სიტყვებიც ძველი დროის მემატიანეს ეკუთვნის — არისტაკეს ლასტივერტეცს...

თანამედროვე მეცნიერსაც მოვუსმინოთ — აი, რასა წერს ივანე ჯავახიშვილი: „იგი სახელგანთქმული იყო ყველგან, როგორც შინ, საქართველოში, ისე გარეთ — სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებით და მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით“...

ამდენი იომა კაცმა, მაგრამ ომისმოყვარული, როგორც მისივე თანამედროვე მემატიანე გადმოგვცემს, არა ყოფილა. პირიქით, მშვიდობისმოყვარე იყო, ომები დააწყნარაო. და როცა მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ვკინძავთ, უნებურად ჩვენს ყურადღებას ერთი მოვლენა იქცევს, ერთი საგულისხმო დეტალი.

დავითმა რომ შვილობილი ბაგრატი უფლისციხეს წაიყვანა, რათა მისთვის ქართლის სამეფო ჩაებარებინა, ქვახერელს დაბანაკდა თავისი დიდი ლაშქრით. გეხსომებათ, რომ უფლისციხეში მაშინ კახეთის ქორეპისკოპოსი იდგა ჯარით, ისიც მტკიცე გადაწყვეტილებით მოვიდა, რათა ქართლს დაუფლებოდა. იმიტომაც მოიყვანა ამოდენა ლაშქარი დავით კურაპალატმა, მაგრამ ერთბაშად კი არ შეუტია, ქვახერელს დაბანაკდა.

ამრიგად, ამ პატარა ტერიტორიაზე, უფლისციხის ირგვლივ, მტკვრის გაღმა-გამოღმა უცებ ქართველთა ორი დიდი მხედრობა დაუპირისპირდა ერთმანეთს.

აქ ძმათა სისხლი უნდა დაიღვაროს, ასევე შევნიშნეთ კიდეც ზემოთ.

მაგრამ მოხდა საკვირველება. აიყარა კახეთის ჯარი და უკანვე გაბრუნდა, უომრად, სისხლის დაუღვრელად.

ეს ერთი.

მეორე: დავით კურაპალატთან მისი შვილობილი ბაგრატი დაასმინეს — შენს წინააღმდეგ დიდი ლაშქარი მოპყავსო, გადაუწყვეტია მოგკლას და შენი სამეფო დაიპყროსო. დავითმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი მხედრობა, მეზობელი ქვეყნების მეფენიც მოიშველია და ჯავახეთისკენ გამოეშურა, სადაც ბაგრატის ლაშქარი იდგა. უნდა ვიფიქროთ, რომ დავითი გაცოფებული იქნებოდა — ასეთი უმადურობა აღზრდილისაგან ძნელი მოსათმენია; ბუნებრივია, საგანგებოდ დასჯის იგი შვილობილს, რომელსაც მოსაკლავადაც კი გაუმეტებია აღმზრდელი. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რა სასტიკად გაუსწორდა გვირგვინოსანი მამა ღვიძლ შვილს, როცა ორგულობა და ღალატი შენიშნა. ამრიგად, გამოეშურა თავისი დიდი ლაშქრით დავით კურაპალატი, მოვიდა ჯავახეთს, სადაც შვილობილი იდგა

და მოწინააღმდეგის მახლობლად დაბანაკდა. მაშინვე კი არ შეუტია, მიუხედავად იმისა, რომ ჯარი გაცილებით მეტი ჰყავდა და ადვილად დაამარცხებდა. მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს: დავითს ურიცხვი ჯარი ჰყავდაო („არა იყო რიცხვი"), და ეს მოწინააღმდეგემაც იგრძნო — კარგად რომ დაზვერა დავითის ლაშქარი, მიხვდა, ვერ გაუმკლავდებოდა. და ასეთ პირობებში დავით კურაპალატმა — ბრძოლებში ნაწრთობმა და გამოცდილმა სარდალმა — ერთბაშად კი არ შეუტია: მოვიდა და დაბანაკდა; იცდის, გეგონება — მოწინააღმდეგეს ჯარის შეკრებასა და გაძლიერებას აცლისო. ერთბაშად რომ შეეტია, ხელად დაამარცხებდა. მაგრამ არა, დაბანაკება არჩია.

და აქაც, ამ პატარა ტერიტორიაზე, დგას ერთმანეთის პირისპირ ქართველთა ორი ლაშქარი. თავიანთი ბანაკებიდან ისინი ერთმანეთს ხედავენ კიდეც.

აქაც ძმათა სისხლი უნდა დაიღვაროს. ეს თითქოს გარდაუვალია...

და უცებ ჩვენ იმის მოწმე ვხდებით, როგორი მამაშვილური სიყვარულით გადაეხვევიან ერთმანეთს ამ ორი მრისხანე ლაშქრის სარდლები. აქაც უომრად დამთავრდა ყველაფერი, ძმათა სისხლის დაულვრელად.

ამის წინ კი, როცა კახთა ქორეპისკოპოსი გურანდუხტს, გურგენს და ჯერ კიდევ უწლოვან ბაგრატს გაიტაცებს და ქართლს დაეუფლება (იმ პირველ ლაშქრობაში არ აურიოთ — ეს მეორედ გამოილაშქრა კახეთის მთავარმა), დავითი გაიგებს ამას, შეკრებს ლაშქარს და მაშინვე გამოემართება კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ. ახლა უფრო მეტი მიზეზი და საფუძველი აქვს გაგულისებისა ტაოს მბრძანებელს: მეორედ გაბედა ასეთი თავხედობა კახეთის მთავარმა; თანაც ახლა ქვეყნის დაუფლება კი არ იკმარა, დავითის შვილობილიც ყაჩაღურად გაიტაცა, ქართლის გვირგვინოსანი, რომელიც თვითონ დავითმა აკურთხა და საგანგებოდ გააფრთხილა ქართლის აზნაურები: ეს არის ამიერიდან თქვენი მბრძანებელი, ამას უნდა დაემორჩილოთ ყველანი, მეც ამისი მოურავი და თანაშემწე ვარო... ქართლის აზნაურებს უთხრა ეს, მაგრამ სხვების გასაგონადაც იყო თქმული. როგორც ვნახეთ, ეს ყურად არ იღო კახეთის ქორეპისკოპოსმა. იმიტომაც გაცოფდა დავითი („დაუმძიმდა ფრიად"), შეკრიბა დიდი ლაშქარი და კახეთისკენ გამოემართა („შთასელად კახეთად")...

ახლა კი თითქოს ნამდვილად გარდაუვალია ძმათა სისხლის ღვრა.

ამაში ეჭვი აღარავის ეპარება — არც იმ საომრად აღჭურვილ ჯარისკაცებს, რომლებიც ტაოს მხრიდან გაჩქარებით მოემართებიან კახეთისკენ, და არც კახეთის ქორეპისკოპოსსა და მის მხედრობას, რომელთაც უკვე გაუგიათ ტაოდან ლაშქრის დაძვრის ამბავი...

მაგრამ ამჯერადაც არ დაღვრილა ძმათა სისხლი. ერთხელ უკვე მოვყევით, და აღარ გავიმეორებთ, როგორ კეთილად დამთავრდა ეს ეპიზოდი...

დავით კურაპალატის ცხოვრებას რომ ეცნობი და ამ ეპიზოდებს კითხულობ, უნებურად აღგეძვრის კითხვა — ნუთუ ყველაფერი თავისით მოხდა, შემთხვევით, დავითისგან დამოუკიდებლად? იქნებ სამართლიანობა მოითხოვს, ესეც საგანგებოდ აღინიშნოს, რათა დავით კურაპალატის პორტრეტს კიდევ ერთი შტრიხი შეემატოს?!

დავით კურაპალატზე ჩვენს წარმოდგენას სხვადასხვა ადგილას გაბნეული წარწერები და ფრაზებიც ავსებენ.

წარწერები მშენებლობებზე (ერთი ასეთი წარწერა ჩვენ ზემოთ გავიხსენეთ)...

წარწერები სხვადასხვა ნივთებსა თუ საგნებზე...

„ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი“, ვკითხულობთ დავითის დროს მოჭრილ ფულზე, და თვითონ ის ფაქტიც, რომ ფულზე მისი სახელია ამოკვეთილი, ბევრს გვეუბნება...

„ქრისტე, ადიდე დღეგრძელობით დავით კურაპალატი, ამინ“, ვკითხულობთ დავითისეულ ჯვარზე...

მინაწერები უძველეს ხელნაწერებზე (იმის მსგავსი, რაც ზემოთაც ვნახეთ, 977 წლის ხელნაწერზე)...

ასეთი ფრაზები ბლომად არის — სხვადასხვა ადგილას გაბნეული. ყველას ვერ ჩამოვთვლით.

მაგრამ უსათუოდ უნდა გავიხსენოთ ერთი პატარა ეპიზოდი, რომელსაც გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში ვხვდებით და რომელიც მთელი სისრულითა და სიდიადით წარმოგვიდგენს დავით კურაპალატს, მის სწორ პოლიტიკაზე მიგვანიშნებს.

დავით კურაპალატს ექვთიმე მთაწმინდელის წიგნები მიართვეს...

„მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რაი, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“. და ზედაის-ზედა მოუწერნ, რაითა თარგმნიდეს და წარსცემდეს“.

კარგად დააკვირდით ამ პატარა ეპიზოდს.

გამოჩნდა თუ არა ნიჭიერი ახალგაზრდა მწიგნობარი, მაშინვე დავითს წარუდგინეს, რადგან იცოდნენ ქართველი მეფის მწიგნობრობისადმი განსაკუთრებული ინტერესი, მწერლობის სიყვარული... ალბათ გაფრთხილებულებიც იყვნენ, ნიჭიერი კაცი რომ გამოჩნდეს, გამაცანითო.

დავითი უბრალო მოყვარული კი არ არის მწიგნობრობისა, ღრმა მცოდნეცაა და ამიტომ მის შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არც ესაა მთავარი. მთავარი სხვა რამ არის. იგი პირველხარისხოვან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აძლევს მწიგნობრობას და საერთოდ კულტურას. ამიტომ, როგორც კი ნახა ეს წიგნები და მიხვდა, რა ნიჭიერი კაცი იყო მათი ავტორი თუ მთარგმნელი, სიხარულით აღივსო და ღმერთს მადლი შესწირა — ახალი ოქროპირი მოგვიელინეო.

მარტო მოწონებითა და გახარებით არ დამთავრებულა საქმე. აკი ითქვა, დავითი ამას უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდაო, და აი, როგორც ქვეყნის ჭეშმარიტ მმართველს შეეფერსი, იგი დავალებას აძლევს — ახალი წიგნები თარგმნეო. თანაც, დააკვირდით: ერთჯერ თქმით კი არ დაკმაყოფილდა, სასხვათაშორისოდ კი არ დაავალა – რამდენჯერმე მისწერა და შეუთვალა („ზედაის-ზედ მოუწერნ"). გიორგი მთაწმინდელი არ ამბობს, მაგრამ იქნებ კონკრეტულადაც კი დაუსახელა სათარგმნი წიგნები.

და ამას უშუალოდ მოსდევს გიორგი მთაწმინდელის სიტყვები: „და იგი სანატრელი შეუსუენებლად თარგმნინ და რაითურთით (სულაც, სრულებით) არა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა" (დასვენება არ იცოდაო). ცოტა ქვემოთ უფრო გაშლის ამ აზრს: „არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოელადვე (მუდამ) იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროისნი (უმეტესი) წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან..." თავი გადასდო, ღამეებს ათენებდა და თარგმნიდა... გადაჭრით იმისი თქმა, დავით კურაპალატის დავალებისა და გამხნევების შემდეგ მოხდა ესაო, ძნელია, მაგრამ ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა: როცა იცოდა, მისი შრომის ფასი ესმოდათ, მის ღვაწლს აფასებდნენ და პატივსა სცემდნენ, რაღა გასაკვირია, მეტი ხალისითა და მეტი პასუხისმგებლობის შეგრძნებითაც ემუშავა...

ცალმხრივი იქნებოდა დავით კურაპალატის ღვაწლი და დამსახურება მშრომელი ხალხის წინაშე, რომ იმ პოლიტიკურ-სამხედრო მოღვაწეობას, რაც საკმაო სისრულით აღუნუსხავთ

მემატიანეებს, ეს მეორე მხარე არ ავსებდეს და არ ამშვენებდეს. არა უბრალოდ იმის გამო, რომ ეს მეორე მხარე ცხოვრების სამკაული და დამამშვენებელია, არამედ იმიტომ, რომ — და ეს თვითონვე ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული, — ხალხის მაღალი კულტურა მტკიცე საძირკველი უნდა გამხდარიყო გაერთიანებული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისა.

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ დავით კურაპალატის სახელს უკავშირდება ქართული კულტურის დიდი კერების შექმნა... არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ ხანებში გახშირდა უცხოეთში ქართველი ახალგაზრდების გზავნა სასწავლებლად და იქაც, უცხოეთშიაც, ქართული კულტურის კერების ჩამოყალიბება.

მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

●

ახლა კი მოვიშველიოთ ჩვენი საუკუნეთამხილველი მანქანა, ზღაპრულ ხალიჩაზე შევდგეთ და მაღლა ავიჭრათ. რაკი ჩვენი ბოლო საუბარი სამხრეთ საქართველოს შეეხებოდა, ისტორიულ ტაოკლარჯეთს მოვექცეთ თავზე, ოღონდ იმ სიმაღლეზე ავიდეთ, რომ მთელი ეს კუთხე მხედველობის არეში მოვახვედროთ.

მაშ ასე, ორი ათასწლეულის მიჯნაზე ვდგავართ; ახალი წელთაღრიცხვით (ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ, ქრისტეს დაბადების შემდეგ) პირველი ათასწლეული მიიწურა და მეორე დაიწყო. ეს არა მარტო ერთი ხალხის, მთელი კაცობრიობის ისტორიაში ისეთი ზღვარია, უნებურად მოგინდება, თვალი გადაავლო განვლილ ათას წელს — წელიწადის დროთა ათასჯერ მონაცვლეობას, ათას თიბათვეს, ათას მკათათვეს, ათას წიფობისთვესა და რთველს, სახნისისა და თოხის ათასჯერ გამოპირვას, კალოს ათასჯერ გამართვას; კვერის ათასჯერ გამზეურებას და მოკოხვას, ათას მამითადს, აგუნასა და ოდოიას ათასჯერ დაგუგუნებას, ათასი გაზაფხულის მოსვლას, ტყემლისა და ნუშის ათასჯერ თეთრად აფეთქებას, ახალი წლის ათასჯერ მობრძანებას, გულში ათასი იმედის ჩასახვას და მერე ხან დიდ სიხარულს ამ იმედის შესრულებისა, ხანაც იმედის გაცრუების მწარე სევდას, ზოგჯერ მწარე სინანულსაც...

მოდიან და მიდიან ამ ათას წელიწადში თაობები, მოაქვთ ქვეყნად გაჩენის უხინჯო სიხარული, ქმნიან, აშენებენ, ალამაზებენ,

ცხოვრებას ლაზათსა და ხალისს ჰმატებენ, უყვართ, სძულთ, ეამაყებათ, ერცხვინებათ, მიწყივ იბრძვიან... იბრძვიან... ამარცხებენ, მარცხდებიან... ებრძვიან მტერსა და მომხვდურს, ებრძვიან საკუთარ თავს, გულში აბორგებულ გრძნობებს ებრძვიან, სიტყვას ებრძვიან, ბგერებს ებრძვიან, ქვას ებრძვიან, მიწას ებრძვიან, სწორი აზრის დადგენისთვის იბრძვიან, ტრადიციების, ხასიათის, ეროვნული მეობის ჩამოყალიბებისთვის იბრძვიან...

მოდიან და მიდიან თაობები.

მოდიან, და თქვენ სიხარულით გეღიმებათ, როცა თაობათა ცვლას ადევნებთ თვალს:

როგორა ჰგვანან ერთმანეთს ეს თაობები თავისუფლების, შრომის, შენების სიყვარულითა და ხალისით, ახლის შექმნის სიყვარულით, პატიოსნებით, ტრადიციების ერთგულებით, ცხოვრების სიხარულით, სილაღით, მოყვასის სიყვარულით, სიკეთით...

გეღიმებთ, როცა ხედავთ და გესმით,

როგორა ჰგავს ერთმანეთს: ეს ათასჯერ დაგუგუნებული აგუნა — აგუნა გადმოიარე, ჩვენს ეზოში ყურძენიო... ჩვენს ეზოში ყურძენიო... ჩვენს ეზოში ყურძენიო... ყ-უ-რ-ძ-ე-ნ-ი-ო.... ყ-უ-რ-ძ-ე-ნ-ი-ო...

როგორა ჰგავს ერთმანეთს: შეგვიანებული ურმის ჭრიალი და კოფოზე ჩამომჯდარი ჩაფიქრებული დამაშვრალი კაცის ჩუმი ღიღინი, როგორც გაბმული კვნესა-სიხარული-ოცნება-ლოცვა-ვედრება-საყვედური: შენ ჩემო შაეო კამეჩო... შენ ჩემო შაეო კამეჩო... შ-ა-ვ-ო კ-ა-მ-ე-ჩ-ო... კ-ა-მ-ე-ჩ-ო...

როგორა ჰგავს ერთმანეთს: ფერდობზე შეფენილი საქონელი და იქვე პატარა ბიჭუნები, კენჭით შემოხაზულ წრეში ჩამდგარნი — ეს წრე მათი სახლკარია... მათი ოჯახია... მათი სინდისი და ნამუსია... მათი სამშობლოა... ჩამდგარან წრეში და აღარ იციან, რომელი მტერი მოიგერიონ: აგერ მტერი, იქითაც მტერი, ეგერ იქაც, იქაც... არ იციან, საიდან მოუხდებიან, არ იციან, როგორ მოიგერიონ და მაინც იგერიებენ, ასი თვალი და ყური გამოუბამთ. სამნილა ჩარჩენილან წრეში და სამჯერაც მეტ მომხდურს იგერიებენ, გადალაპარაკების დრო აღარა აქვთ, მხარში უდგანან ერთმანეთს და მხრითა გრძნობენ, როგორ განაწილდნენ, ვინ საით ეკვეთოს მომხდურს, ვინ საით მოიგერიოს, როდის გაიშალონ, როდის შეკაშირდნენ... თამაშია, მაგრამ თამაშს არა ჰგავს, სერიოზულები ჩანან ეს პატარა ბიჭები, კოპებშეკრულები, გაფაციცებულები, შემართულები... შეძახილებიც ისეთი, სწორედ ისეთი, როგორც ეგერ იმ ბრძოლაში...

მაგრამ იქით ნულარ გაეიხედაეთ, გვეყო იმის ყურება...

როგორ ერთმანეთსა ჰგავს: დედის შაკალთასმოფარებული გოგონას ცნობისმოყვარე გამოხედვა, და ხმადაბოხებული, ნაადრევად დაკაცებული ბიჭუნას შეგებება ჭიშკარში შემოსულ სტუმართან: მოგვიხვეელ მშვიდობით, საქონელი როგორა გყავს? მოგვიხვეელ მშვიდობით, საქონელი როგორა გყავს?.. საქონელი როგორა გყავს?... საქონელი როგორა გყავს?... ს-ა-ქ-ო-ნ-ე-ლ-ი რ-ო-გ-ო-რ-ა გ-ყ-ა-ვ-ს?...

როგორ ერთმანეთსა ჰგავს: ახალაშენებული ტაძრის ირგელიე დინჯად მოტრიალე კაფანდარა ყმაწვილი; მძიმედ უელის ირგელიე ტაძარს, შედგება, ჩაფიქრდება, და ღრმად ჩამჯდარი თვალებით თითქოს უყურებს და არც უყურებს, ვერ გასცლია, ვერ მოშორებია, ჩუმ-ჩუმად აპარებს მზერას, ვერ გაუგებ, მოსწონს თუ არა და თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკებს ხოლმე: შენ ქვა სთქვი, თორემა... ცოტა უფრო მაღლა რომ დაეჭირა!.. ვერხვი რომ აიჭრება ცაში... განა, მე კი ვერ ავაშენებ!.. და ძილშიაც ჩურჩულით იმეორებს: განა მე კი ვერ ავაშენებ!.. დედას ესმის და ეღიმება — იცის, მიმხვდარია (მამამისის შვილიაო, გულში ფიქრობს. ან არადა: ასე როგორ გამოემგვანა პაპამისსო!..)

როგორ ერთმანეთსა ჰგავს: დედულეთში სტუმრად ჩასული ბიჭუნა მეზობლის ბაღს აუელ-ჩაუელის, აღარ შორდება, ერთი ატმის ხისთვის თვალი ვერ მოუშორებია — რა პატარაა და რამდენი დაუსხამს! თანაც რამოდენები... ნეტა გემოც თუ კარგი აქვს?! საოცარი კაცია (პაპის მეზობელზე ამბობს) — საიდან მოიტანს ხოლმე?! რას დაამყნა? როგორ გაახარა? რას დაამყნა, როგორ გაახარა! როგორ გაახარა!.. რ-ო-გ-ო-რ გ-ა-ა-ხ-ა-რ-ა!..

როგორ ერთმანეთსა ჰგავს: ეგერ ახოს თაეში საჩრდილობლად გაშვებულ მუხის ძირას ჩამომჯდარი სამი ახალგაზრდა გლეხი კაცი, შუადღის სიცხისთვის თავი შეუფარებიათ, პურსა ჭამენ. ერთი მათგანი ფრთხილად შეანჯღრევს დოქს, — სინჯავს, რამდენი ჩარჩაო, და მეორეს უსმენს: ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენი ხარების ქედებს... ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენი ხარების ქედებს... ჩვენი ხ-ა-რ-ე-ბ-ი-ს ქ-ე-დ-ე-ბ-ს... ხ-ა-რ-ე-ბ-ი-ს ქ-ე-დ-ე-ბ-ს.

როგორ ერთმანეთსა ჰგავს: ეგერ სოფლის ბოლოს ორღობეში შემოსული ორი შუახნის კაცი, წვერულვაშში ჭაღარა გარევიათ, გადაუხვევიათ ერთმანეთისთვის ხელი და მოდიან. ცოტათი კი ეშლებათ ფეხი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ხელგადახვეულები არიან,

ერთმანეთზე ძვირფასი და სასურველი არავინა ჰყავთ — იქნებ ასე არც გიპასუხონ, თქვენ რომ ჰკითხოთ, მაგრამ გულში უსათუოდ ასე ფიქრობენ. ახლა მოყვრებში ყოფილან და ბრუნდებიან, იმიტომაც არიან მხიარულად, რაკიღა ერთმანეთი ასე უყვართ, ველარ მოუზომავთ და ცოტა უფრო ხმამაღლა გამოსდით: ჩემო ნათ-ლიდედაო... ჩემო ნათლიდედაო... ჩ-ე-მ-ო ნ-ა-თ-ლ-ი-დ-ე-დ-ა-ო... სიმღერა უფრო აახლოებთ ერთმანეთთან და იმიტომ მღერიან... ემღერებათ და იმიტომაც მღერიან... სიამოვნებთ და იმიტომაც მღერიან... სოფელს ესმის და ელიმება... ყველა ცნობს სოფელში — მოხუცი, დიდი, პატარა... ძაღლებიც ცნობენ და არ უყეფენ... მთელმა სოფელმა იცის, რომ კარგი ბიჭები არიან და უყვართ... დღევანდელი საქმის ხვალისთვის გადადება კი ურჩევნიათ, მაგრამ მაინც კარგი ბიჭები არიან... არ გიღალატებენ, ისეთს არაფერს ჩაიდენენ, სოფელი შეარცხვინონ... ცოტა ნუნუაც უყვართ, მაგრამ ამასაც თავისი გამართლება აქვს: აი, ამისთვის უყვართ — უფრო კარგი მეგობრობა რომ ჰქონდეთ ერთმანეთისა, მეზობლებისა, მოყვასისა... დარდის გასაქარვებლადაც... თუმცა რა — არც არავინ ეკითხება, რატომ გიყვართო: ჩვენ რა, მაგათმა ცოლ-შვილმა იკითხონო, იტყვიან. და ცოლ-შვილს მართლაც მეტი ჯაფა ადგათ... განა მუშაობა კი არ იციან — ხელოსნები არიან, ხელიდან ოქრო გამოსდით... და უყვარს სოფელს... ბუხრის ამოყვანაა თუ ყორის ამოშენება, ღმერთმა მოგცეთ... ხალისით მუშაობენ... რაც სოფელში კვამლი ამოდის, სულ ამათი ამოყვანილი ბუხრებია... ახლა მოყვრებისგან ბრუნდებიან და ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებიან... გულმხიარული ბიჭები არიან, ყველგან მხიარულება შეაქვთ. ასეთი ხალხიც სჭირდება სოფელს.

ათასწლეულების მიჯნაზე ვდგავართ... ცაში მომაღლოდ აჭრილებს, ზემოდან უთვალავი ვარსკვლავი დაგვცქერის და სამყაროს გრანდიოზულ დუმილს ვისმენთ... ორი ათასწლეულის მიჯნაზე ვდგავართ და თვალს ვადევნებთ განვლილ გზას.

გამარჯვებაც საკმაოდ იზეიმა ჩვენმა ხალხმა იმ ათას წელიწადში და ძალმომრეობის სიმწარეც ბლომად იგემა. ახლა არ ეაპირებთ გაიმეოროთ, რა სიხარული და სიმწარე შეხვედრია ჩვენს ქვეყანას იმ ათას წელიწადში... ამას უკვე მოვყევით, როგორც მოგვიხერხდა... ისღა გავიხსენოთ, რომ იმ ძნელბედობისა და შფოთიანი ცხოვრების მიუხედავად, როცა მშვიდობა ისე სანატრელი გამხდარიყო, რომ შეხვედრისა და გამოთხოვების დროს ჩვენი ადამიანები ერთმანეთს მშვიდობას უსურვებდნენ, როგორც ყველაზე სანატრელ რამეს,

ასეთ ვითარებაშიც კი, სწორედ იმ შფოთიან ათასწლეულში შექმნა ქართველმა ხალხმა დიდებული ჯვარის მონასტერი და ასევე დიდებული „შუშანიკის წამება“, ბოლნისი, შუამთა, ნეკრისი, ცხრაკარი, შიომღვიმე, მანგლისი, დრანდა, წრომი, მარტვილი, სამწვერისი, ბოჭორმა, ნინოწმინდა, წირქოლი, ვანთა, უჯარმა, გარეჯისა და ატენის ფრესკები, „აბო“, „ხანძთელის ცხოვრება“... რამდენი სიმღერა და საგალობელი, რამდენი ახალი ჯიშის ვაზი და ხორბალი... ახალი, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები...

და აქ კი ცოტა ხნით უნდა შეეჩერდეთ.

●

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით ამ დროს შეიქმნა გაუმჯობესებული გუთანი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის.

ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ წიგნში ას გვერდზე მეტს — ამ დიდი წიგნის თითქმის მესამედს — სახნავი იარაღების აღწერას, მათს მნიშვნელობასა და მეურნეობაში დანერგვის ამბავს უთმობს. მოგვითხრობს, რა ევოლუცია განუცდია სახნავ იარაღებს, კერძოდ დროის იმ მონაკვეთში, რასაც, ეს-არის, თვალი გავადევნეთ.

„სახვნელის თანდათანი გაუმჯობესების მიზანი იყო, რომ ეს იარაღი უფრო ღონიერ მანქანად ქცეულიყო და უმაგრესი ნიადაგის მოხვნაც შესძლებოდა, რადგან, მოსახლეობის თანდათანი ზრდის გამო, ისეთი მიწების გადახვნაც აუცილებელი შეიქმნა, რომელთა დამუშავებას მანამდე არ მისდევდნენ“, წერს მეცნიერი და იქვე: „საქართველოს ნიადაგის... მრავალგვარობამა და ბუნების მრავალფეროვნებამ სხვადასხვა სირთულისა და სიმძიმის სახნავი იარაღი მას შემდგომაც, რაც ახალი, გაუმჯობესებული სახეობა გაჩნდა, არამცთუ ზედმეტად არ აქცია, არამედ სათანადო პირობებში მაინც აუცილებელი გახადა. ამის წყალობით ერთსა და იმავე თემში, ზოგჯერ ერთისა და იმავე მეურნეობისთვის ორი და რამდენიმე განსხვავებული სახეობის სახვნელი იყო ხოლმე საჭირო... ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია“...

და აგერ, ჩვენს დრომდე მოაღწია ამ „საისტორიო მუზეუმმა“. უფროსი თაობის ადამიანებს ახლაც ახსოვთ: სანამ ჩვენს დროში, ჩვენს განახლებულ სოფელში ძირეული სოციალური გარდაქმნები მოხდებოდა და, შესაბამისად, ტექნიკის უახლესი მიღწევები დაინერგებოდა, ქართველი გლეხკაცის სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები მართლაც ისტორიულ მუზეუმსა ჰგავდა, ოღონდ არა ხმარებიდან გადაგდებული მკვდარი ექსპონატების გამოფენას, არამედ სისტემატური ჯაფითა და მუშაობით გაპრიალებული იარაღების ცოცხალ მუზეუმს.

ისევ ახალ გუთანს დავუბრუნდეთ. როგორც დასტურდება (ეს კარგად აქვს ნაჩვენები ივანე ჯავახიშვილს), ეს ახალი გუთანი საქართველოდან გავრცელებულა მთელს კავკასიასა და მახლობელ ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ოსური ლეგენდა; ციდან მოულოდნელად გუთნის სურათი ჩამოვარდა, რომელიც თურმე ქართველმა იპოვა. გააკეთა ამ სურათის მიხედვით გუთანი და ქართველისგან მერე სხვებმაც გადაიღესო...

ამ ახალი იარაღის აღწერას არ მოვყვებით. დაინტერესებული ადამიანი ამას სპეციალურ ლიტერატურაში გაეცნობა. და თუ ამ საგანზე მაინც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, ეს მხოლოდ იმიტომ, რათა ჩვენი ხალხის დამოკიდებულება ვნახოთ შრომის იარაღებისადმი, საერთოდ შრომისადმი!

„ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო“, ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს ეს გამოთქმა თავის ერთ წერილში. სამშობლოს დაცვაზე უფრო საპატიო აბა რა უნდა იყოს ჩვენი ხალხისთვის და, რაღა თქმა უნდა, სამშობლოს დამცველი გმირის პატივისცემა მას არ ესწავლება — ეს მრავალი ანდაზით, გამოთქმით, ხალხური ლექსით, ლეგენდით, თქმულებით თუ საისტორიო მოთხრობით ძალიან კარგად მტკიცდება. და თუ მაინც ასეთ ქებას უძღვნის ჩვენი ხალხი მშრომელს, ეს იმიტომ კი არა, თითქოს ქვეყნის დამცველ გულად ვაჟკაცს ამცირებდეს, არამედ იმიტომ, რომ შრომის ყადრი და ჯეროვანი დაფასება იცის.

სასიამოვნო გაკვირვება მოგიცავთ, როცა ამ თვალსაზრისით დააკვირდებით და ნახავთ, როგორ აპყავს ქართველ კაცს რელიგიური რიტუალის სიმკაცრემდე და სიფაქიზემდე შრომის ესა თუ ის პროცესი, როგორა ცდილობს, უმძიმესი შრომაც კი გაახალისოს, როგორ ეფერება და ეალერსება თავის სამუშაო იარაღს!..

კერძოდ, რამდენი რიტუალი შექმნა და ჩამოყალიბდა სწორედ

გუთანსა და იმ სამუშაო პროცესებთან დაკავშირებით, რაც გუთნით სრულდებოდა. დააკვირდით თუნდაც გუთნისდედისა და მეხრის საოცრად თავისებურსა და საინტერესო ურთიერთობას. ეს არის ოსტატისა და შეგირდის განთქმული სკოლის ერთი გამოხატულება. „გუთნისდედა თუ კარგია, მაშინ მეხრეს უხარია“, გვეუბნება ერთი ხალხური ლექსი; ან: „ღამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი, ნაბადში გახვეულია, გუთნის ხარ-კამეჩს ვდარაჯობ, უნდა ვხნა ანეულია“... „ხარმა თქვა, პირმა ნათელმა — გამოვათავე ალოო, ახლა შინისკენ მივდივარ, უნდა გავმართო კალოო“... „კაი გუთნისდედითა გუთანს არ გაუჭირდება“...

დააკვირდით, როგორ დაარქვა ჩვენმა ხალხმა თავისი სახელი გუთნის ყველა ნაწილს: სახნისი, საკვეთელი, ღირღიტა, ხელკუდი, ფამფალაკი, მანჭი, რვილი... ივანე ჯავახიშვილი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: გუთნის იმ ნაწილს, რასაც ჩვენმა ხალხმა თავისი საკუთარი სახელი — „საკვეთელი“ — შეარქვა, სხვა ენებში (რამდენიმე ევროპულ ენას ასახელებს) საზოგადო სახელით — „დანით“ — მოიხსენიებენ... ღირღიტა გაუმჯობესებული გუთნის გოგორაა და სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, აქაც შერჩენოდა ეს ზოგადი სახელი — ვთქვათ, გუთნის გოგორა (როგორც ერქვნისას ერქვა: „ერქვანთ თვალი საბრუნავიო“, ასე აქვს გოგორა განმარტებული სულხან-საბას) ან ფამფალაკის გოგორა (ფამფალაკი ღირღიტის ღერძი ყოფილა და ამასაც შეიძლებოდა ზოგადი სახელი შენარჩუნებოდა), მაგრამ თავისი საკუთარი სახელი შეარქვა ჩვენმა ხალხმა და ამით, შრომის იარაღებისადმი თავისი დამოკიდებულების გარდა, მაღალი ენობრივი კულტურაც გამოამჟღავნა... დაარქვა ღირღიტა და იქვე ლექსითაც მიმართა, „გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო“...

ერთ ძალიან საგულისხმო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას ივანე ჯავახიშვილი: რამდენჯერ გააუმჯობესა ჩვენმა ხალხმა სახნავი იარაღი, ძველი სახელი კი აღარ დაუტოვა (თუმცა ეს ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა), ახალი სახელწოდება გამოუგონა. ასე გაჩნდა აჩაჩა, ოქოქა, არონა, კავი, ორხელა, ჯილღა, ერქვანი...

აბა, სულხან-საბას ლექსიკონი გადაშალეთ, რა საინტერესო დეტალს წაწყდებით. სახნავი იარაღის სახელწოდება აქ იმის მიხედვით იცვლება, თუ რამდენი ხარია შებმული: „ორის ხარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა; ყევრის ხარისასა (ყევარი ორ უღელ ხარსა ჰქვიან) — არონა; ოთხსა და ხუთ უღელშებმულსა — ჯილღა;

და ხარ მრავალსა ბმულსა — ერქვანი“... თავისთავად იგულისხმება, რომ სტრუქტურა და აღნაგობა აქ დასახელებული სახნავი იარაღებისა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, რაკი ჩვენმა დიდმა ლექსიკოლოგმა მათი განსხვავების მისანიშნებლად მხოლოდ უღელში შებმული ხარები განსაზღვრა. მით უფრო ჩვეულებრივი იქნებოდა, სახელწოდება იგივე შერჩენოდა მცირედ გაუმჯობესებულ იარაღს. მაგრამ რაკი ახალი სახელი შეარქვა, ესეც იმ სიყვარულის და მეტად სერიოზული დამოკიდებულების გამოხატულებაა, რასაც ქართველი კაცი სამუშაო იარაღების მიმართ იჩენდა.

ახლა ისიც ნახეთ, როგორ გაუსულიერებია ხალხს ეს სახნავი იარაღები, როგორ კაი მოშაირეებივით კაფიაობენ ერთმანეთში: „აჩაჩამ უთხრა გუთანსა, გუთანო, პური მიტეხე! — მაშინ სად იყავ, აჩაჩავ, როცა ყამირი გავტეხე?!“ ან: „ორხელამ შემოგითვალა, გუთანო, პური მშიანო, თუ გქონდეს, გამომიგზავნე, გადახდა შემიძლიანო“... როგორ ცოცხალი ადამიანივით მიმართავს — „გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო“... ან, აგერ, თითქოს საყვარელ ადამიანს ეალერსებოდესო: „შენი ჭირიმე, გუთანო, გათლილო სუფთა ხისაო“... „შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა“... „შენი ჭირიმე, გუთანო, პური მაჭამე მუდამო“... „მადლიანია გუთანი, ფეხდაფეხ დასდევს უფალი“... — ამაზე ამაღლებულად რა უნდა ეთქვათ!.. „ახალსა გუთნისდედასა ხარი დაუდის ნებასა, ეგრე გავა და გამოვა, ერთხელ არ ეტყვის ზედასა“ — ამას უკვე ნახევრად ხუმრობით ეუბნებიან ახალბედა გუთნისდედას; კი არ დასცინიან, შთააგონებენ მხოლოდ, თუ რა სერიოზული და საპატიო საქმეა გუთნისდედობა.

ეს ხალხური ლექსები სულ სხვადასხვა დროს შექმნილა, სხვადასხვა ვითარებაში, საუკუნეების მანძილზე. არც მოძებნა მოგწყინდება ასეთი ლექსებისა და არც წაკითხვა, მაგრამ იმდენი ლექსი შეუქმნია ჩვენს ხალხს შრომაზე და კერძოდ გუთანზე, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ აღნუსხავ...

თუმცა ერთი ლექსი მაინც უნდა გავიხსენოთ.

„ასე ჰგონია დუშმანსა, არცა ხვნენ, არცა თესვენო, არცა უბიათ ხარები, არცა კალოსა ლეწვენო“... თითქოს მწარე და დამცინავი ღიმილით მიმართავს ვიღაც გადამთიელს: რაკი არა ვწუწუნებ, რაკი ხალისით ვშრომობ, რაკი შრომის სიმძიმით გულიდან დაძრულ კვნესას სიმღერად ამოვთქვამ, მართლა ხომ არა გგონია, რომ მზამზარეულად მომერთმევა ყველაფერი და ხელის განძრევა არა მჭირდებაო?!.

და შრომის ამავე პროცესთან დაკავშირებული კიდევ ერთი ბრო-

ლივით სუფთა ლექსი — ჰუმანური, ამამაღლებელი, განმასპეტაკებელი, გამამფაქიზებელი, ჩვენი გლეხკაცის ბუნებისა და ხასიათის ძალიან კარგად გამომხატველი, ლირიკული ლექსი, რასაც თითქოს თავისებური სევდაც დაჰკრავს: „ტოროლას მაინც არ მოეკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი, საწყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალი“. ლექსი შედარებით ახალი ჩანს, მას შემდეგ შეთხზული, რაც თოფი გამოიგონეს. მაგრამ არ გინდა დაიჯერო, რომ ეს მშვენიერი ლექსი თავიდანვე არ მოჰყვა გუთნის დაბადებას. უსათუოდ ძველი ვარიანტიც არსებობდა, რომელიც, ბუნებრივია, შემდეგ დავიწყებას მიეცა. ასეთი მაგალითი ბევრი ვიცით ფოლკლორში, როცა ძველს უფრო ახალი დროის დამახასიათებელი სიტყვა და ტერმინი შეცელის.

და კიდევ ერთი გამოხატულება შრომის იარაღებისადმი (და, ამდენად, შრომისადმი) ჩვენი ხალხის განსაკუთრებული სიყვარულისა. ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავთა პატარა კრებულს, რომელსაც გლეხკაცი მუდამ ღამე შეჰყურებდა და შესციცინებდა, ხან წვიმას შესთხოვდა, ხან კი მზიან დარს, ჩვენმა ხალხმა გუთანი შეარქვა...

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საგაზეთო სტატია, რომლის დასაწყისი დიდი შემოკლებით მოგვაქვს.

„ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო, — იძახის ხმალი... მითამ ეგრეა? არა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს... დავიწყებიათ, რომ ქვეყანაზე მაგათ გარდა არის კიდევ ერთი რაღაცა... მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიობს, არც არავის ერჩის... და საქმობს თავისთავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ, იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი... ეს ერთი რაღაცა გუთანია“.

შემდეგ ამ სტატიაში ნათქვამია, თუ ხალხს მშვიდობა და ბედნიერება სურს შეინარჩუნოს, ცალ ხელში ხმალი უნდა ეჭიროს და მეორეში — გუთანი... მაგრამ წერილის ავტორი აქვე ეშურება, განმარტოს: რასაკვირველია, ხმალი მაშინ არის კარგი, როცა იგი „ფარია და არა სატევარი“, ესე იგი, როცა თავს იცავს და თვითონ კი არავის მიუხდებაო. და შემდეგ ასე განაგრძობს:

„გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ... ქვეყანა იმისია, ვინც მიწაზედ ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ — რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა“.

მკითხველი ალბათ ხვდება, ვის ეკუთვნის ეს სტატია. 1881 წელს არის იგი დაწერილი, მაგრამ ასე გგონია, სამი-ოთხი ათასი წლის წინათ მოეწოდებინოს თავისი ხალხისთვის ილია ჭავჭავაძეს და მთელი ცხოვრება ქართველი ერისა ასე წარემართოს. ეს საიდუმლო ადვილი ასახსნელია; ერის ღირსეულმა შვილმა, ერისავე მაღალი იდეალების გამომხატველმა, ასე ლაკონიურად ჩამოაყალიბა თავისი ხალხის სიბრძნე და ცხოვრების წესი.

შრომა! გონივრული, პატიოსანი და თავაუღებელი შრომა! ესა ქმნის დოლათს, ესა ქმნის ერის სულიერ საგანძურს, ეს აყალიბებს ხასიათს, ეს ჰმატებს ადამიანურ ცხოვრებას ხალისს, ეს აქცევს ადამიანს ადამიანად, ეს უნდა იყოს მისი ცხოვრების მთავარი არსი. შრომა ახალი სამეურნეო ჯიშების გამოსაყვანად და შესაქმნელად; შრომა ლამაზ, მყარ და ადამიანის სულიერი ცხოვრების ამამაღლებელ შენობათა ასაგებად; შრომა ცხოვრების გამახალისებელი და განმასპეტაკებელი სიმღერის შესაქმნელად; შრომა ადამიანისთვის სწორი გზის მაჩვენებელი წიგნების შესაქმნელად...

ვარაუდობენ, რომ იმავე დროს, სწორედ ათასწლეულების მიჯნაზე, რაც სოციალური ცხოვრების თვალსაზრისით, ადრიანი ფეოდალიზმიდან განვითარებულ ფეოდალიზმში გადასვლის ხანასაც წარმოადგენს, — ჩვენში შემოუტანიათ და დაუმკვიდრებიათ ზოგი ისეთი მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურა, რასაც წინათ არ იცნობდა ჩვენი ხალხი. ამ დროს უნდა იყოს, მაგალითად, შემოტანილი ბრინჯი. ამასთან, საინტერესო ის არის, რომ თითქმის ერთდროულად ორი გზით შემოსულა საქართველოში ეს კულტურა: აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ბიზანტიიდან (ბრინჯის მეგრული სახელწოდება „ორვიზა“ აძლევს მეცნიერებს ასეთი ვარაუდის საფუძველს: ბერძნულადაც ბრინჯს „ორვიძა“ ჰქვია).

მარცვლეული კულტურის გავრცელებასა და, საერთოდ, სათესი ფართობების გაზრდასთან დაკავშირებით, ამავე პერიოდში კიდევ უფრო გაფართოებულა ხელოვნური რწყვის სისტემა. გასული საუკუნის მიწურულსა და ამ საუკუნის დასაწყისს, სამხრეთ საქართვე-

ლოში მოგზაურობის დროს, ჩვენი მეცნიერები, იმ უამრავ ძეგლთან ერთად, რომელთა აღწერილობანი მათ სასურველი სისრულით დაგვიტოვეს, წაწყდომიან ძალიან საინტერესო სარწყავ ქსელს.

მეევნახეობა ხომ უძველესი დროიდან ჩვენი ხალხის მეურნეობის მთავარი დარგი იყო. იგი სისტემატურად ეითარდებოდა და ფართოვდებოდა, მდიდრდებოდა სულ ახალი ჯიშებით. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეინიშნება მეევნახეობა-მეღვინეობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა.

და აქაც უნდა გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის საინტერესო დაკვირვება, რაც იმავე წიგნში — „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაშია" მოცემული. საყურადღებოა, წერს მეცნიერი, რომ მეათე საუკუნიდან მოყოლებული ძველ ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებაში ვაზ-ყურძნის სხვადასხვა ჯიშის ფოთლისა და მტევნის გამოხატულება ხშირდებაო...

ზემოთ შევნიშნეთ, როგორ ეალერსება ჩვენი გლეხკაცი სამუშაო იარაღებსა და შრომის ცალკეულ პროცესებს. სწორედ ასეთი ალერსითა და სიყვარულით არის ამოკვეთილი ვაზისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებანი ქვაში. ბანას ტაძრის ფოტორეპროდუქციებს რომ ვათვალიერებთ, უნებურად იქცევს ჩვენს ყურადღებას ვაზის დახვეული ლერწი და ყურძნის მტევნები. ჩვენ საშუალება გვაქვს ხშირად შევავლოთ თვალი სვეტიცხოველის ქვის კანკელზე გამოსახულ ვაზის ლერწებსა და ყურძნის მტევნებს, — და ამას ისე კი არ აღიქვამ, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტს, არამედ როგორც ჰიმნსა და სადიდებელს — შრომისადმი, სიცოცხლისადმი, მარადიული სილამაზისა და სიყვარულისადმი... და როცა შეჰყურებ ამ ქანდაკებას, თითქოს ყურშიაც ჩაგესმის ეს დიდი საგალობელი; თითქოს ხედავდე კიდეც შთაგონებულ სახესა და ჯადოსნურ ხელებს, რომლითაც ეს ამეტყველებული ხაზები გამოჰყავთ.

საინტერესო ისაა, რომ ქვაზე გამოსახული მტევნებისა და ფოთლების მიხედვით მეცნიერი ცდილობს ყურძნის ის ჯიშები შეიცნოს, რაც მაშინ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, და ამგვარად ამ ჯიშთა ხნოვანებაც დაადგინოს.

შრომის საგალობელს წარმოადგენს ის მაღალი გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებული მინიატურები, რითაც ძველი ხელნაწერებია შემკული.

აგერ, ახალშექმნილი ოჯახი: ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბაღში

ხეხილსა რგავს. კერძოდ, რასა რგავენ, ამისი გარჩევა, მგონი, გაძ-ნელდება, მაგრამ ნერგები კი იქვე უწყვია ახალგაზრდა გლეხკაცს, თვითონ ცალი მუხლით ჩაჩოქილა და პატარა ორმოში, რომელიც, ეს არის, ამოუთხრია ქალს, ხელით მიწას აფხვიერებს, მეორე ხელში ნერგი უჭირავს. თავზე გახუნებულ ხილაბანდწაკრულ ყმაწვილ ქალს ბარი მოუმარჯვებია და მეორე ორმოსა თხრის.

აი, ეს პატარა მინიატურაა მოხატული უძველეს ხელნაწერზე. ხატავდა ამას უცნობი ხელოვანი — წიგნსაც ამშვენებდა და, რაც მთა-ვარია, შრომას უმღერდა, ახალშექმნილ ოჯახს უმღერდა, იმ ახალი ოჯახის სადიდებელ ჰიმნსა თხზავდა, თან ფერად ხაზებს აელებდა და თან გულში ლოცავდა: დედაო ღვთისაო, შენს მფარველ კალთას ნუ მოაშორებ ამ ახალ ოჯახს, გაამრავლე, გაახარე, ადღეგრძელე...

აქვე სხვა მინიატურებიც არის – ასევე შრომის სხვადასხვა პროცესის გამომხატველი და შრომის სადიდებელი...

აგერ ჯრუჭის ცნობილი ოთხთავი — აქაც ხელნაწერის სამკაული მინიატურა იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ესეც შრომის სადიდებელია. მშრომელი ადამიანების სადიდებელი. ერთ ნახატზე ვენახის ბარვასა ვხედავთ, მეორეზე – ვაზის მყნობას... და აქაც საინტერესო დეტალი: პირველ მინიატურაზე ვენახს ახალგაზრდა კაცი ბარავს. მეორე სურათზე კი სამყნობი დანა ღრმა მოხუცებულს უჭირავს ხელში (ამას მეტი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება) და მყნის, ორი ყმაწვილი კაცი კი გაფაციცებით შეჰყურებს მოხუცს, მათი გულისყური მყნობელის ხელისკენაა მიპყრობილი...

ჩვენ უკვე რამდენჯერმე შევნიშნეთ, რომ შრომის ჰიმნსა და სადიდებელს ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და მუსიკალურ ფო-ლკლორში თემატიკურადაც განსაცვიფრებლად ფართო ადგილი უჭირავს და მხატვრული თვალსაზრისითაც კლასიკური სრულყო-ფილების დონემდე ადის.

შრომის სადიდებელს ჩვენ ვხვდებით ძველ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაშიაც.

როცა მერჩულეს მოთხრობაში ვკითხულობთ:

გრიგოლ ხანძთელს „შრომაი დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაი ოდენ, არამედ დღე და ღამე ხელითა თვისითა იქმოდა, ვითარცა იტყვის პავლე: რომელი არა შურებოდის ნუცაღა ჭამნ...

ან თუნდაც საცა ლაპარაკია, რა დიდი შრომით აშენებდნენ ხანძთის ეკლესიას, როცა „ფიცხელი კლდე“ ჯერ „ფრიადითა შრო-

მითა და ქვითა-კირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს“, მერე კი „ქვაი და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა“...

შემდეგ: „ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“...

ან არა-და, როცა ბასილ ზარზმელი გვაუწყებს, რა „კლდოანსა და უფალსა კაცთაგან“ ადგილსა ააშენეს ტაძარი,

ეს თავისთავად შრომის პიმნია, შრომის სადიდებელი...

●

სიტყვა გაგვიგრძელდა... ახლა, ათასწლეულთა მიჯნაზე მდგარნი, ცაში მომაღლოდ აჭრილნი, უფრო მწვავედ ვგრძნობთ დროის მსვლელობის ულმობელ რიტმს. ცისკარი მოახლოებულა. უკვე შემოიჭრა განთიადის გრილი ნიავი და ცა მტრედისფრად შეაფერადა. ტანში შეგვაჟრჟოლა და უნებურად დაბლა ჩავიხედეთ, მიწაზე. მიწის შვილები ვართ და მიწისგან ველით სითბოს და შველას. ჩავიხედეთ და ახლაღა გაგვახსენდა... ჩვენ აქ გულისშემძვრელი სურათის სანახავად ამოვედით და ლაპარაკში გადაგვავიწყდა. ვიჩქაროთ, მანამ განთიადის ნიავი დედამიწას ჩამოურბენდეს და წყვდიადს გარეკავდეს, ვიხილოთ ეს სურათი.

შეგახსენებთ, რომ ტაო-კლარჯეთის თავზედა ვდგავართ. ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეული ეს-არის დაწყებულა.

და ჩვენ მაღლიდან დავცქერით ამ სურათს, რომლის აღწერაც ძალიან ძნელია. დედამიწის ამ ნაფლეთზე, რომელსაც ჯერ ისევ ღამის წყვდიადი ბურავს, კელაპტრები ამოზიდულან. ჩვენ ახლახან ცას შევყურებდით და ამ კელაპტრებმა ვარსკვლავები გაგვახსენეს. მთელს ტერიტორიაზე მიმოფანტულან და სიბნელეში ვარსკვლავებივით ანათებენ. თითქოს საგანგებოდ გაუნაწილებიათო – ზოგან უფრო ხშირად, ზოგან მეჩხრად, მაგრამ ყველგან, ყველა კუთხეში. და ვარსკვლავების მსგავსადვე, ზოგი უფრო კაშკაშებს, ზოგი თითქოს საგანგებოდ გაუფერმკრთალებიათ, რათა მეზობლის ელვარება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადოს...

ვცნობთ კიდეც იმ ყველაზე მოკაშკაშე კელაპტარს — ეს ბანაა, ჩვენი ნაცნობი ბანა!..

დიახ, ამ კელაპტრებს ყველას თავისი სახელი აქვთ.

სხვებსაცა ვცნობთ:

ხახული, ფანასკერტი, ოშკი, ოლთისი, იშხანი, ექექი, ტაოსკარი, კალმახი... იქით, უფრო ჩრდილო-დასავლეთით — ოპიზა, ხანძთა, ანჩი, პარეხი, მიძნაძორი, მერე, დაბა, ჯმერკი, ფორთა, დოლისყანა, შატბერდი, ბარეთელთა, ბერთა... იქით — ტბეთი, სხალტბა, ზარზმა, ზანავი... ეგერ, ჩრდილო-აღმოსავლეთით — წუნდა, კუმურდო, წყაროსთავი, აწყური, საფარა, ნეძვი, კვირიკეთი...

ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ყველას ვერ ჩამოვთვლით...

უნებურად გაგონდება მემატიანის სიტყვები (ზემოთ ჩვენ გავიხსენეთ ეს სიტყვები): „ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო... გარეშე მცირედთა სოფელთასა... ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა... და შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“...

ანდა, კიდევ უფრო საგულისხმო სიტყვები მერჩულეს მოთხრობიდან: „...მას ჟამსა სხუაი მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა, თვინიერ ოპიზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაისა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა, მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“.

ეს იმ დროს შეეხება, როცა ჯერ გრიგოლ ხანძთელი და მერე მალევე აშოტ დიდი გადმოვიდნენ აქ ქართლიდან.

როგორ შეცვლილა მას შემდეგ, დროის არც თუ ისე დიდ მონაკვეთში, ყველაფერი!.. რას ნიშნავს მიზანსწრაფული მოქმედება!..

ერთი სიტყვით, ყველას ვერ ჩამოვთვლით. ჩვენ ხომ ათასი წლის წინანდელი სურათი გავაცოცხლეთ და ყველას სახელი, რასაც ამ სურათზე ვხედავთ, ისტორიას არ შემორჩენია.

ამათგან ბევრი — ქართული კულტურის კერაა.

კელაპტრებიც იმიტომ ვუწოდეთ...

იმიტომაც, რომ იმ კულტურის ტაძრებში ახლაც, როცა დედამიწას ღამის წყვდიადი მოუსხამს და განთიადი მაღალ გორაკებს ფეხაკრეფით უახლოვდება, სინათლე ისევ ციმციმებს... და სწორედ ესა ქმნის გულისშემძვრელ სურათს — წყვდიადში გაბნეული ცად შემართული კელაპტრები.

ამ თავისთავად ლამაზ სანახაობას გულისშემძვრელსა ხდის იმის შეგნება, რომ იქ არა სძინავთ, იქ ფხიზლობენ, ფიქრობენ, თხზავენ, შრომობენ, ქმნიან, ერის დიდ კულტურას აშენებენ... იქ ასეთი ღამისთევით იქმნება ქართული წიგნი (თქვენ ალბათ გაგახსენდებათ

გიორგი მთაწმინდელის სიტყვები: „...ყოველადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან“...) — ეს უპირველესი სიამაყე ჩვენი დიდი კულტურისა, იქ ყალიბდება ქართული ფილოსოფიური აზრი, იქმნება და მუშავდება ის ლამაზი სამკაულები, რომლებიც მერე წიგნებსა თუ შენობებს დაამშვენებენ და ქართულ კულტურას სახელს გაუთქვამენ... იქვე დაიბადა ახალი გუთნის იდეაც, რადგან იქ მშრომელი ხალხი ფუსფუსებს, გამრჯე, მადლიანი, დაუზარელი, მიწის ყადრის მცოდნე, მიწის ბარაქისა და დიდი ქართული კულტურის შემქმნელი ხალხი...

დასცქერი წყედიადში გაფანტულ სინათლეებს და თვალით ეძებ ხანძთას; მასთან არის დაკავშირებული სახელი ადამიანისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ მხარის სულიერ აღორძინებას, განათლებას, საერთოდ ქართული კულტურის აყვავებისა და შემდგომი განვითარების საქმეს, რაც შემდეგ ქვეყნის ცალკეული კუთხეების შეკავშირებისა და გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ოთხმოცი წელი იღვაწა გრიგოლ ხანძთელმა ტაო-კლარჯეთში, თითქმის მთელი საუკუნე, და თავისი შორსგამიზნული პრაქტიკული საქმიანობით მართლაც დიდად შეუწყო ხელი თავისი ხალხის კულტურის აღორძინებასა და ქვეყნის გაერთიანებისთვის საძირკვლის ჩაყრას. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, თითქმის საუკუნე ნახევარი (ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩვენმა საუკუნეთა მხილველმა მანქანამ მთელი ცხრა საუკუნით უკან გადაგვწია და ახლა, როცა ზემოდან დავცქერით ამაღლებელ სურათს, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისია!..)

...და ახლა აქვე სამუდამო ძილით სძინავს ამ ღვაწლმოსილ ადამიანს.

რამდენიმე ათეული წლის წინათ — მეათე საუკუნის მეორე ნახევარში — იქვე, იმ პატარა სავანეში დაიწერა წიგნი, რომელსაც თითქოს უფრო კონკრეტული მიზანდასახულობა ჰქონდა — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას აცნობდა შთამომავლობას. სინამდვილეში ეს წიგნი ჩვენი ლიტერატურის მარგალიტი და ეპოქის ცოცხალი მატიანე გამოდგა. უამწიგნოდ ძალიან მწირი იქნებოდა ჩვენი წარმოდგენა იმ მეტად რთულსა და მნიშვნელოვან დროზე...

სულ ათიოდე წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც ეგერ იქ, შატბერდის ლავრაში, საიდანც ახლაც სინათლე გამოკრთის, მიქაელ მოდრეკილმა საშვილიშვილო საქმე გაასრულა; ეროვნულ კულტურას ფასდაუდებელი საგანძური შემატა, შთამომავლობას დაუტოვა

ქართული ჰიმნებისა და საგალობლების დიდი კრებული, რასაც მოსე ჯანაშვილი „მეათე საუკუნის საუნჯეს“ უწოდებს.

ფაქტიურად იგი მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის საუნჯე და მარგალიტია. ამ კრებულში მიქაელ მოდრეკილს შეუტანია ყველა საგალობელი, რაც კი ქართულად არსებულა — საკუთარიც და სხვებისაც. თავის დროზე ათას ორას გვერდიანი ყოფილა ეს დიდებული კრებული, ჩვენამდე ხუთასიოდე გვერდმა ძლივს მოაღწია...

ჯადოსნური ძალა აქვთ ამ კრებულის ფურცლებს, ლამაზად ჩაწიკწიკებულ ფერად სტრიქონებში, რომლის უბრალო შეხედვაც კი ადამიანს დიდ სიამოვნებას ჰგვრის, უძველესი და მარად ახალი სიმღერა თვლემს, და ეს მღელვარე მელოდიები იქვე მინიშნებული ნოტების საბოლოო გახსნას ელოდებიან, რათა ასეული წლების შემდეგ შორეულ შთამომავლებს ძველი სიდიადითა და მომხიბლაობით მოეელინონ. როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვამ უკვე მიაგნო ამ ნოტების საიდუმლოს.

ძველად ხელნაწერის არშიაზე მიაწერდნენ ხოლმე ხან რას და ხან რას — ძირითადი ტექსტიდან საკსებით განსხვავებულს. ხშირად ძალიან საგულისხმოს და მრავალმხრივ საინტერესოს. ასეთ მინაწერებს მიქაელ მოდრეკილის კრებულშიაც ვხვდებით. მკითხველის ყურადღებას ერთი მინაწერი იპყრობს:

„უფალო, შეიწყალე ექვთიმე ცოდვილი მწარედ“.

ვინ უნდა იყოს ეს ექვთიმე? კრებულის ავტორსა და შემდგენელთან რა კავშირი აქვს? რა გასჭირვებია? რაღა მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერში ავედრებენ ღმერთს?

და თუმცა ღმერთისადმი ასეთი შევედრება ხელნაწერების არშიაზე თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა, უნებურად მოგინდება გაშალო და შეავსო ხელნაწერის არშიაზე მიწერილი ის ხუთად ხუთი სიტყვა. ამ მინაწერისადმი ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს ის იწვევს, რომ დიდი მოღვაწის — მიქაელ მოდრეკილის — თხზულებაში ვხვდებით... ალბათ ისიც, რომ სახელიც გვეცნაურა. იმ ექვთიმეს ვინაობასაც თუ გავარკვევთ, ასოციაციებით ბევრი რამ გვენიშნება...

მკვლევარები სხვადასხვანაირად ხსნიან ამ წარწერის შინაარსს. კორნელი კეკელიძის აზრით, წარწერაში მოხსენიებული ექვთიმე — მიქაელ მოდრეკილის უმცროსი ძმა, ჩვენთვის უკვე ცნობილი ექვთიმე მთაწმინდელია.

და თუ მართლა ასეა, უნებურად გახსენდება ერთი ვერსია,

რომლის მიხედვითაც ექვთიმე მთაწმინდელს ერთ დროს დეენა-შეეიწროება განუცდია.

უცხოეთში გადახვეწილი უნიჭიერესი ქართველი მწიგნობრისა და ფილოსოფოსის სახელი შორს გავარდნილა... და შურთ ალბათ, მტრობენ, ვერ მოუსვენიათ... ბოროტი ხალხის ნაკლებობას არასოდეს განიცდიდნენ... და წარწერის ავტორი ღმერთს აკედრებს მიქაელის უმცროს ძმას...

რაკი ასეთ მინაწერებზე ჩამოვარდა სიტყვა, სხვაც გაგვახსენდა. ესეც სამი ათეული წლის წინანდელი ამბავია.

„მე იოანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“, – ვკითხულობთ მინაწერს სახარების ერთ-ერთ ძველ ხელნაწერზე, რომელიც „პარხლის ოთხთაეის“ სახელით არის ცნობილი. ეს ოთხთაეი 973 წელს გადაუწერია შატბერდში მოღვაწე ცნობილ მწერალ-კალიგრაფს იოანე ბერას (ბერაის) და ახალ-აშენებული ეკლესიისთვის მიუძღვნია (ხედავთ, საიდან მოდის ეს კარგი ტრადიცია!). იქვე ვკითხულობთ: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას“...

პარხალი ტაოში მდებარეობს. თქვენ იგი სამხრეთით უნდა ეძიოთ. ადვილად მიაგნებთ — იქიდანაც გამოკრთის სინათლე, ისიც ქართული კულტურის ერთ-ერთი კერაა. მარტო მიძღვნილი ხელნაწერით არ დაკმაყოფილებულა „ახალი ეკლესია“. ახლა, ამ წუთებშიაც იქა სძინავთ — დიდ წიგნს ამზადებენ. ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერთა შორის ეს არის ყველაზე დიდი ნუსხა (658 ფურცელი), და რაკი პარხალშია გადაწერილი, „პარხლის მრავალთავს“ უწოდებენ. მეცნიერები სწორედ მეთერთმეტე საუკუნის დამდეგით ათარიღებენ ხელნაწერს.

ზის ახლა იქ გაბრიელ პატარაი და სანთლის მკრთალ შუქზე სასოებით გამოჰყავს ქართული ასოები... „...სული გაბრიელ პატარაისა მოიხსენეთ!“ – ვკითხულობთ იქვე მინაწერში. და ვალდებული ვართ, მართლაც არ დავივიწყოთ, მადლიერებით გავიხსენოთ ქართული კულტურის მოამაგე წინაპარი.

შატბერდშია გადაწერილი უძველესი (და უმნიშვნელოვანესი!) ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი“ და პავლე ინგოროყვა, რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, ამტკიცებს, — ხელწერა ერთია, „მოქცევაი ქართლისაიც“ მიქაელ მოდრეკილის გადაწერილიაო!..

აქვე, შატბერდშია გადაწერილი ადიშის ოთხთავი (897 წ.), ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.), სწორედ ამ ხელნაწერს ამკობს ზემოთ ნახსენები შრომის საგალობელი მინიატურები. უდაბნოს მრავალთავი (X საუკუნე)... ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე შატბერდის სავანეში ზემოთ ნახსენებმა იოანე ბერამ შეადგინა სამკურნალო ტრაქტატიც, რაც ე. წ. შატბერდის კრებულში შედის და თუმცა ხელნაწერის მინაწერებში იგი შენდობასა და მოხსენიებას არა გვთხოვს, მისმა შორეულმა შთამომაელებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ ქართული კულტურის ამ ჩუმი და ღვაწლმოსილი მოამაგის სახელი.

ყველა ხელნაწერს თავისი ბიოგრაფია აქვს – ზოგს შედარებით ბედნიერი, ზოგს – სევდიანი და გულდასაწყვეტი.

ასეთი სევდიანი ბედი ერგო ბერთას ერთ ხელნაწერს (ბერთაც კლარჯეთში უნდა ეძიოთ, დაახლოებით ხანძთასა და ოპიზას შორის). ეს ხელნაწერი „იძულებით ემიგრაციაში“ იმყოფება. ცხრაას ოთხმოციან წლებში ბერთას გადაწერილი ოთხთავი ჯერ ყარსში მოხვედრილა, იქიდან კი XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ამერიკელ მისიონერებს ამერიკაში წაულიათ და ახლა ენდოვერშია, თავისი სამშობლოდან შორს, სადღაც გადაკარგულში...

ასევე „ემიგრაციაში“ იმყოფება ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, ბიბლიის ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე უძველესი „ოშკის ბიბლია“.

„ოშკისას“ იმიტომ ეძახიან, რომ ოშკშია გადაწერილი („...დაიწერა წმიდაი ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშკს“... ეკითხულობთ მინაწერში), 978 წელს, და ამჟამად საბერძნეთში ინახება, ათონის მთაზე.

ოღონდ ამ ხელნაწერის ბედი ცოტა უფრო სხვაგვარია — „იძულებითი ემიგრაცია“ არ ეთქმის იმას, რაც მას მოუვიდა. ოშკიდან, ისევე როგორც ტაოს სხვა მონასტრებიდან, მეათე საუკუნის დასასრულს მწიგნობართა ერთი ჯგუფი საბერძნეთში, ათონის მთაზე გადავიდა. და ეს ბიბლიაც მაშინდელი წაღებულია.

საინტერესოა მეორე მინაწერიც ამავე ხელნაწერზე: „...მე იოანე თორნიკ ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისმან, მოვიგე წმიდაი ესე წიგნი“!.. ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ თორნიკეს — ცნობილ თორნიკე ერისთავს. იმიტომაც დაგვაინტერესა მინაწერმა.

ერთ უძველეს ქართულ ხელნაწერს, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის აზრით, ექვთიმე მთაწმინდელს ეკუთვნის, ხოლო მარი ბროსე ფიქრობს, წმ. იოანეს გადაწერილიაო (ეს არის „სჯულის კანონი წმ. იოანე მმარხველისა და მეექვსისა კრებისა“...), მეცხრამეტე საუკუნის

დასაწყისში რუსი არქეოლოგი სტროევი შემთხვევით წასწყდომია ვოლოგდის გუბერნიაში...

ოშკის ტაძარი ვახსენეთ.

იგი ტაოში მდებარეობს, განთქმული კულტურის კერაა და ბევრგან შეხვდებით ცნობებს მასზე: საფუძვლიანად არის შესწავლილი და აღწერილი. ზოგ აღწერილობაში წაიკითხავთ — თორთუმის ტბის მახლობლად მდებარეობსო. მაგრამ ჩვენ ახლა, მაღლიდან რომ დავცქერით, ტბას ვერა ვხედავთ. თუმცა უკვე ინათლა და ტაძარიცა და მისი შემოგარენიც კარგად ჩანს. ჩვენ ახლა მდინარე თორთომის წყალსა ვხედავთ. ვხედავთ აგრეთვე მდინარის მარცხენა, მაღალ ნაპირზე ყელმოღერებულ, გუმბათით ცაში აჭრილ გრანდიოზულ ტაძარს, რომლის ირგვლივ პატარა ეკლესიები და სხვა შენობები მოჩანს. მათ შორის სემინარია — სატრაპეზო და ბიბლიოთეკა! სწორედ აქ არის გადაწერილი ის ორტომიანი ცნობილი ბიბლია, ზემოთ რომ ვახსენეთ.

„ოშკის ტაძართან მდგარი ერთ-ერთი, აწ დანგრეული შენობა რომ სამონასტრო ბიბლიოთეკას წარმოადგენდა, ეს აზრი მე წამოვაყენე და, მგონია, საეჭვო არ უნდა იყოს, — მოგვითხრობს ექვთიმე თაყაიშვილი, — შენობის გეგმა გვეუბნება ამას: მთავარი ისაა, რომ შუაში გვირგვინი ჰქონია, გუმბათის მსგავსად ტრომპებზე დამაგრებული. ბაზილიკის დარბაზი სავსებით კარგად იყო შენახული ჩემ დროს, ისე რომ საკმარისი იქნებოდა იმ გვირგვინის ქვეშ მაგიდის დადგმა... ზედ ეტრატის გაშლა, საწერ-კალამის მომარჯვება და... თავისუფლად შეიძლებოდა მეათე საუკუნეში იქ ბერების მიერ წარმოებული მუშაობის გაგრძელება. სწორედ იმ შენობაშია გადაწერილი ქართული „დაბადების“ ის ხელნაწერი, რომელსაც „ოშკური ბიბლია“ ეწოდება“...

და ბევრი სხვა წიგნიც არის აქ გადაწერილი, მათ შორის ასევე ჩვენს მიერ ერთხელ უკვე ნახსენები „სამოთხე“... ის ტბა კი მერე გაჩნდა, მთელი შვიდი-რვა საუკუნის შემდეგ, როცა ოშკიცა და მთელი ტაოც უკვე მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს...

არა, ცრემლს არ გაუჩენია ეს ტბა, თუმცა საუკუნეთა განმავლობაში აქ ბევრი ცრემლი დაღვრილა. ასე მხოლოდ ლექსში იტყვიან. აქ უფრო პროზაული ამბავი მოხდა.

1791 წელს დიდმა მიწისძვრამ მდინარის თავზე წამომართულ მთას ვეება მწვერვალი მოგლიჯა და ხეობაში ჩააგდო — მდინარე დააგუბა. ასე გაჩნდა ჩვენი მრავალტანჯული ოშკის მახლობლად

კარგა მოზრდილი ხელოვნური ტბა, რომლის სიგრძე თოთხმეტამდე კილომეტრს შეადგენს, ხოლო სიგანე — ორნახევარს...

მაგრამ ჩვენ ახლა სხვა რამე გვაინტერესებს. ამ ტაძარს რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი წარწერა შემოუნახავს. ექვთიმე თაყაიშვილი წერს, ოშკის ტაძრის ისტორიული წარწერები ტაოელ ბაგრატიონთა მთელს მატიანეს წარმოადგენსო. მისივე აზრით, სუმბატ დავითის ძის ცნობილი ქრონიკა სწორედ ამ და ასეთი წარწერების საფუძველზე არის შედგენილი და მიტომაც მართალი და სარწმუნოა.

ჩვენ ამჟამად ეს წარწერები არ გვაინტერესებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წარწერა, რომელიც მშენებლობის კონკრეტულ საკითხებს შეეხება. მუშათა და ხელოსანთა რაოდენობას, ფასებს, გაწეულ ხარჯებს...

ძალიან პროზაულია, მაგრამ ლექსივით კი იკითხება.

„ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთაი, რომელ წელიწადსა წაეგების დრამაი 20. 000[1]; ღუინოი ფისოსი 5. 000; რკინაი ლიტრაი 50; ხუარბალი გრიეი 250[2]; გალატოზი და ხუროი და მჭედელი, რომელ მარადის შურებოდა — 70[3], ხარი, რომელ ქვასა კრებდა – 30; ჯორი და სხუაი აზავერი, რომელ გრიგოლწმიდით სპონდიკსა[4] კრებდა — 30; სხუაი აზავერი, რომელ... კრებდა — 60 და ყოველი ერი და მოქმედი – 80“.

ივანე ჯავახიშვილი ანალიზს უკეთებს ამ ცნობას და ასე აჯამებს: კალატოზი, ხურო და მჭედელი — 70; მუშა „მოქმედი“ — 80; ქვის მომტანი მეურმე – 30; სპონდიოს მომტანი მეაზავრე — 30; „მექუიშე“, აზავერის გამყოლი — 160; ესე იგი, სულ 370 კაცი. ეს — ადამიანები. ახლა პირუტყვს რამდენს უმუშავია: ქვის მომტანი ხარი — 30 უღელი; სპონდიოს მომტანი — 30 აზავერი; ქვიშის მომტანი — 160 აზავერი; სულ 30 უღელი ხარი და 190 აზავერი.

ამ წარწერითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა გაცხოველებული მუშაობა იქნებოდა გრანდიოზულ მშენებლობაზე. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს მთაში ხდებოდა, მიუვალ ხეობაში. გავითვალისწინოთ ზამთრისა და ადრეული გაზაფხულის სუსხი იმ მთა ადგილას...

1. კალატოზების, დამხმარე მუშებისა და ხარების წლიური საფასური 20.000 დრამას შეადგენდაო (ესე იგი, დაახლოებით 4.000 ეერცხლის მანეთს).

2. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ფისოსი სითხის საწყაულია; გრიეი და ლიტრი – წონის საწყაოა.

3. იგულისხმება მუდმივად მომუშავე ხელოსნები.

4. ქვა, წყლიდან ამოღებული.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩვენს დღეებში, ჩვენმა კინო-ხელოვანმა გიორგი ასათიანმა დეტალურად გადაიღო ეს ტაძარი და მისი შემოგარენი. კინო-კადრებში ნაჩვენებია ბარიდან მთისკენ (ე. ი. ტაძრისკენ) მიმავალი გზა: ბარში უკვე თბილი გაზაფხული დგას, გახურებული ხვნა-თესვაა.. ტაძრის მიდამოებში კი ისევ თოვლსა ეხედავთ და თითქოს ეკრანიდანაც გადმოდის გაჭიანურებული ზამთრის სუსხი... თოვლს აქ, ეტყობა, ადრე ჩამოყრის. ზამთარი ყაჩაღურად იჭრება შემოდგომისა და გაზაფხულის საზღვრებსა და საბრძანებელში. და იმ გრძელ ათ წელიწადს, იმ გრძელ ზამთრებში აქ გაცხოველებული მუშაობა ყოფილა! ხომ ხედავთ, რამდენი ხელოსანი ტრიალებს, რამდენი დამხმარე მუშა, რამდენი ურემი, რამდენი ჯორი და სხვა პირუტყვი („სხუაი აზაკერი“), ალბათ სახედრებიც — ანუ კარაულები, როგორც მაშინ ეძახდნენ – რადგან აქ ისეთი ადგილებიდან ეზიდებიან ქვას, ურემი ვერ მიუდგება... ზოგან პირუტყვსაც ვერ მიიყვან — ადამიანის ყოვლისშემძლე ხელმა უნდა ამოზიდოს (ჩვენ უნებურად გვაგონდება, როგორ შენდებოდა ხანძთის ტაძარი: „ხოლო ქვაი და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა, და ყოველი სასწორითა იწონებოდა“...).

ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ აბა გადახედეთ: იმ მიუვალ კლდეთა ვიწრო წიბოებზე რა ადვილად მოცურდება ფეხი და ქვემოთ რამხელა უფსკრული ჩანს!..

ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ის მუშა-ხელი და მუშა-საქონელი, რაც პირველად გვებევრა, იქნებ ცოტაც მოგვეჩვენოს.

ეს ასეც არის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს დამატებით დაქირაველული ხალხია, იმ ყმების გარდა, ვისაც აქ უსასყიდლოდ ამუშავებდნენ. უსასყიდლოდ მომუშავე ყმები კი ალბათ იქნებოდნენ, დაქირაველულებთან ერთად. აბა გაიხსენეთ: ადგილობრივმა აზნაურმა დაფანჩულმა როგორ ათხოვა გრიგოლ ხანძთელს საკუთარი ხალხი; „ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამა გრიგოლ და მოსცნა კირითხურონი!“.

მერჩულეს მოთხრობამ სხვა ქართული მოთხრობაც მოგვაგონა, ცოტა უფრო ადრე დაწერილი.

ზემოთ ჩვენ ეკლესიები ჩამოვთვალეთ და იქვე შევნიშნეთ, ეს სრული სია არ არის, ყველას ვერ ჩამოვთვლითო. ყველას მართლა ვერ ჩამოთვლი, ძალიანაც რომ მოინდომო. რადგან ბევრი მცირე ეკლესია დავიწყებას მისცემია — აღარც ნაშთები შემორჩენილა და ჩვენამდე მოღწეულ ძველ ისტორიულ წყაროებშიაც არ მოიხსენიება.

მაგრამ, რაც ცნობილია, იმისი სიაც გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა. ჩვენ უმთავრესად ის ტაძრები ვახსენეთ, რომლებთანაც ქართული კულტურის ძეგლები და საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაა დაკავშირებული.

თუ რა როლი შეასრულეს ამ კერებმა საერთო ქართული კულტურის განვითარების საქმეში, ამაზე კორნელი კეკელიძეს მოვუსმინოთ: „ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აქ დულდა ლიტერატურული შემოქმედება. უდიდესი ნაწილი, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ველარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა საზღვრები, გამოვიდა თავისი კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით“.

ჩვენ უკვე ვახსენეთ ათონის მონასტერი. ქვემოთ შევეცდებით, ცოტა უფრო ღრმად შევიხედოთ იმ კულტურის კერების ცხოვრებასა და საქმიანობაში. ახლა კი ისევ ტაო-კლარჯეთს დავუბრუნდეთ.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენ ერთი ნაწილი ვახსენეთ ტაო-კლარჯეთის კულტურის კერებისა. სიის გაზრდას მოვერიდეთ, თორემ შეგვეძლო სხვა უფრო მცირე ეკლესიებიც ჩამოგვეთვალა.

XIX საუკუნის მიწურულსა და გასული საუკუნის და საწყისში რუსი არქეოლოგის უვაროვის ქვრივის, ცნობილი მეცენატის პრასკოვია უვაროვას ინიციატივითა და რედაქტორობით გამოვიდა რამდენიმე ძალიან საინტერესო კრებული — Материалы по археологии Кавказа. კრებულების შედგენაში ქართველი მოღვაწეები მონაწილეობდნენ. ბევრი საინტერესო ცნობა შემოუნახავთ ამ კრებულებს, ბევრი ისტორიული ძეგლის აღწერილობა და გამოკვლევა. მარტო ამ კრებულებში წარმოდგენილი ეკლესიებიც რომ ჩამოგვეთვალა, რომლებიც ძველი ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე

ყოფილან განლაგებული, ზემოთ მოტანილი სია ძალიან გაიზრდებოდა და გაცილებით უფრო დიდი გამოვიდოდა.

გაკვირვებას იწვევს, როგორ აშენდა ამდენი რამ დროის იმ შედარებით მცირე მონაკვეთში. რა მასშტაბი ჰქონია იმ მშენებლობას, რა გაქანება...

როგორც ითქვა, ამ ტაძართაგან ზოგი კულტურის მნიშვნელოვანი კერა გახდა და გარკვეული როლი ითამაშა ქართული კულტურის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებაში.

მაგრამ მეორე მხარეც აქვს ამ საქმეს: ასე ფართოდ, საარაკო მასშტაბითა და ტემპით გაშლილი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა ვინმეს ხომ არ უპირისპირდება, ვინმეს ინტერესებს ხომ არ ლახავს?

რაღა თქმა უნდა, უპირისპირდება. ეს ყველგან ასე ყოფილა, ყველა ქვეყანაში, და, რასაკვირველია, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა.

გარკვეულ დრომდე და გარკვეული თვალსაზრისით ეკლესია ხელს უწყობს, ამაგრებს, იდეურ-პოლიტიკურ საფუძველს უქმნის ფეოდალურ წყობილებას, მაგრამ თანდათანობით მასვე უპირისპირდება, მეფის ხელისუფლებას უპირისპირდება. და ეს წინააღმდეგობა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იზრდება. თანდათანობით, ეკლესიის გავლენა და უფლებები გაიშლება, გაფართოვდება, განვრცობა, მეორე სახელმწიფოდ იქცევა ქვეყანაში. რაც დრო გადის, წინააღმდეგობა მათ შორის სულ უფრო და უფრო მწვავდება და კონფლიქტი გარდაუვალი ხდება. ჩვენ უკვე ვნახეთ, ამ სფეროს — სასულიერო წოდების დიდმა წარმომადგენელმა როგორ მოახრევინა ქედი ჯერ მეფეს და მერე თითქმის მეფის ტოლ მსხვილ ფეოდალს: სიკვდილი ანატრა, დააჩოქა, თავბედი აწყევლინა...

იმის მოწმეც გავხდებით, როგორ სულ უფრო და უფრო გაიზრდება ეს წინააღმდეგობა და როგორ გამწვავდება კონფლიქტი.

საქმე მარტო პოლიტიკური გავლენითა და პოლიტიკური უფლებებით არ იზღუდება. ამ წინააღმდეგობათა გაღრმავებასა და გამწვავებაში დიდ როლს თამაშობს ეკონომიკურ-მატერიალური მხარეც. საერთოდ ამ ორი ფაქტორის ერთმანეთისგან დაშორება და ცალ-ცალკე განხილვა არც შეიძლება. გაძლიერებული სასულიერო იერარქია სიმდიდრესა და დოვლათს საჭიროებს. ხრიოკ მიწაზე აგებული სენაკი როდი აკმაყოფილებთ ამ ბერებს! ნოყიერი მიწები უნდათ ვენახისთვის, მტილებისთვის, ბარაქიანი მოსავლის

მისაღებად...

მერჩულეს მოთხრობიდანვე ვიცით: ააშენეს თუ არა ხანძთაში ტაძარი, მაშინვე საჭირო გახდა აგარაკი — ანუ სახნავ-სათესი მიწები.

და აგარაკისთვის შატბერდი დაათმობინა გრიგოლ ხანძთელმა აშოტს.

მერე, შატბერდშიაც რომ მონასტერი აშენდა, ახალი მონასტრისთვისაც და იმ ძველისთვისაც უკვე ორჯერ უფრო დიდი აგარაკი — ანუ სახნავ-სათესი მიწები — იქნებოდა საჭირო!..

შემთხვევით არ მომხდარა, რომ აშოტის მემკვიდრეები – სამივე ძმა — დიდის ამბით ჩამოიელიან და დაათვალიერებენ გაჩაღებულ სამონასტრო მშენებლობებს; მოინახულებენ იმავე შატბერდს, ხანძთას, ჯმერკს, ბერთას, დოლისყანას, ოპიზას, მიძნაძორს, წყაროსთავს, ბარეთელთას...

ეს ჩვენ მერჩულეს მოთხრობიდან ვიცით.

მერჩულე დაწვრილებით არ გადმოგვცემს, თორემ აქ საქმიანი (და იქნებ ცხარეც!) საუბარი ექნებოდათ თითოეული ამ ეკლესიისთვის საჭირო აგარაკების თაობაზე...

ეს უკვე ორმაგი ექსპლოატაცია იყო მიწის უშუალო დამმუშავებლისთვის, იმათთვის, ვინც ნამდვილ დოვლათსა და ფასეულობას ქმნის – მშრომელებისთვის!

ახლა ბასილი ზარზმელის მოთხრობაც გავიხსენოთ..

დაწვრილებით არ მოვყვებით მოთხრობის შინაარსს. მხოლოდ ის გავიხსენოთ, რა წინააღმდეგობა შეხვდათ ბერებს, რომლებიც მონასტრის ადგილის შესარჩევად გაემგზავრნენ სამცხეში.

ჩავიდნენ ბერები სამცხეში...

ჯერ იყო და ერთ დაბაში სულ არ გაიკარეს ეს წმიდა ხალხი — „არა ინებეს კურთხევაი წმიდათა მათგან“, არც კი მოუსმინეს, მიესიენ („ზედამიეტევნეს“) და თავისი საზღვრებიდან გამორეკეს, მდინარემდე სდიეს, სული აღარ მოათქმევინეს.

რა მოხდა? ასე რამ გაამწარათ?

აშკარად იგრძნობა, რომ ამნაირ საქმეზე სტუმრობა ბერებისა მათთვის პირველი და უჩვეულო არ ყოფილა: კარგად მომზადებულები დახვდნენ, კურთხევის უგულებელყოფასა და „ზედამიტევნაში“ გაწაფულები; ეტყობა, ამის წინათაც ბევრჯერ მოუგერიებიათ, თორემ რაც უნდა „მხეცებრიეი“ და „უწირავი“ ხალხი ყოფილიყო, ასე არ შეხვდებოდნენ.

ამის შემდეგ, პირველი არასტუმართმოყვრული დახვედრით გაწ-

ბილებულ-შეცბუნებული ბერები, მთელს იმ კუთხეში განთქმულ მთავარს ჩორჩანელს მიადგნენ.

და აქაც საინტერესო დეტალი:

არც ჩორჩანელისთვის უნდა იყოს უცხო ასეთი სტუმრები და ამნაირი სტუმრობა; ეს აშკარად იგრძნობა, ისეთ სიფრთხილეს გამოიჩენს მთავარი ბერებთან შეხვედრამდე. გაიგებს თუ არა, საეჭვო (და არასასურველი) სტუმრები გამოჩნდნენო, ჯერ ერთ მზვერავს გაგზავნის — წინასწარ გაარკვევს ბერების მოსვლის კონკრეტულ მიზანს.

პირველი მზვერავი ამბავს მოიტანს, ეს ადგილი ღვთის შთაგონებითა და მინიშნებით აურჩევიათ ბერებსაო.

ამ ცნობამ წელი მოსწყვიტა მთავარს. ჩორჩანელს არ ეთმობა სამონასტროდ შერჩეული, ღვთის მინიშნებული ადგილი — ეს მისი საყვარელი სანადირო ტყე ყოფილა! აქვე სანადირო სახლიც კი ჰქონია აშენებული (ესეც საინტერესო დეტალია) — ღამის გასათევად, გადასაყუდრებლად, ალბათ სანადიმოდ და დროის გასატარებლადაც... ამ ადგილის დათმობა ძნელია... მაგრამ ბერებთან დაპირისპირებასა და ურთიერთობის გამწვავებასაც ერიდება მთავარი. ჭკვიანი კაცია და იცის, რომ ეს არაფერ ხეირს დააყრის. რა ქნას, რა ილონოს? ჭკუა იხმარა – გადაწყვიტა, ჯერ პირადად არ შეხვედროდა ბერებს — არც აქეთ იწვია და არც იქით მიეახლა. გადაწყვიტა, დრო გაეყვანა. მანამდე მოიფიქრებდა, აწონ-დაწონიდა. იქნებ ჩაურეველადაც მოეგვარებინა საქმე, მიგზავნილი კაცების მეშვეობით.

და ახლა უკვე ორ კაცს გაგზავნის შეწუხებული და შეფიქრიანებული მთავარი – იმ პირველ მზვერავზე უფრო ჭკვიანებსა და გამოცდილებს („გონებითაცა ფრთხილთა“).

მაინც არაფერი გამოვიდა. და რაკი ასეთი დიპლომატიით ვერაფერს გახდა, იკადრა, თვითონვე შეხვედროდა. პირდაპირ გამოუტყდა ბერებს, მიმძიმს ამ ადგილის დათმობაო, უთხრა, ოღონდ ამას ნუ მომთხოვთ და სხვაგან მოგცემთ მიწას, გაცილებით უფრო კარგსაო.

და ამას მოჰყვება უხერხული ეაჭრობა-მორიგება.

ბერები ვერ ელევიან არჩეულ ადგილს — ღვთის შთაგონებულსა და ღვთის მინიშნებულს, მთავარს მაინც არ ეთმობა... მაგრამ რაკი ვერაფერს გახდება, რაკილა გადაწყვეტს, რომ ამ ურჯულო ხალხის გატეხა შეუძლებელია, გულს მოიყვანს — კი, ბატონოო, ეტყვის (იცის, რომ უარი არ გამოვა), გქონდეთ ეს ადგილი... ოღონდ ჩემგან დახმარებასა და თანაგრძნობას ნუ მოელითო!..

ეს კარგი მოიგონა მთავარმა. ფაქტიურად ეგეც უარი იყო, მაგრამ

თანხმობას ჰგავდა – ვერ შეედავებოდი: აკი დათმო და მისცა!

მორალურ თანაგრძნობას ალბათ კი შეელეოდნენ ბერები, მაგრამ კონკრეტული დახმარების დათმობა ნამდვილად გაუძნელდებოდათ — თავის ხალხსა და მასალას თუ არ მიაშველებდა მთავარი, ბერები ისე რას ააშენებდნენ მონასტერს!

მაგრამ მოფიქრების დროც არ მისცა მთავარმა ბერებს, პასუხს აღარ დაუცადა, როგორც უკვე ვთქვით, გული მოიყვანა, ადგა, ზურგი შეაქცია და წავიდა... თავისთვის სასარგებლო ფსიქოლოგიური განწყობილება შექმნა...

წავიდა, მაგრამ გულმოსული კაცის აჩქარებული ნაბიჯით კი არ წასულა, მძიმედ წავიდა, ფეხათრევით, ყური უკან ჰქონდა — როდის დამიძახებენ და მომაბრუნებენო.

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო – არც ბერები შეხვდნენ მიამიტი და გამოუცდელი: არ დაუძახეს, არ მოაბრუნეს, კარგად იცოდნენ, რომ ასე ფეხათრევით დაძრული ჩორჩანელი შორს არ წავიდოდა, მალე მობრუნდებოდა.

და მართლაც არ წასულა შორს მთავარი — ცოტა რომ გაიარა, შედგა და იქვე ქვაზე ჩამოჯდა (თითქოს შეისვენა); მერე მსახური გაუგზავნა ბერებს, იქ მიიწვია.

და საინტერესო დიალოგიც ახლა იწყება.

ერთი ვარიანტი კიდევ ჰქონდა ბოლოსთვის შემონახული მთავარს.

ეგერ, იმ კეთილსა და ნაშენებითა ღონიერ ადგილებს მოგცემთო, გალმა გაიშვირა ხელი (თვითონ ახლა მდინარის პირას იჯდა), და ხვალე განთიადიდგან ვიდრე მწუხრამდე რაოდენი შემოწერით შემოვლოთ, მომიცემიესო.

ადრე დილიდან საღამომდე რასაც კი გაივლით, თქვენი იყოსო...

და უნდა ნახოთ, რა გამწარებით ივლიან მეორე დღეს ბერები! ან საჭმელი ვის გაახსენდა, ან სასმელი, ან დასვენება! ტანსაცმელიც სულ შემოეფლითათ ტყე-ღრეში ხეტიალით.

ერთ-ერთი „მოგზაური“ ბერი ყვება შემდეგ; ისეთ დღეში ვიყავით, რომ, ჩვენი საცოდაობით ხალხი ცრემლებსა ღვრიდაო: „ხოლო გვიხილნეს რაი ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოვლად არღარა იყო და ფერხნი ჩუენი დაჯეჯილ და დაბძარულ იყვნეს“... ფეხებიც სულ დახეთქილ-დასისხლიანებული ჰქონდათ.

საღამომდე სული ძლივს მიიტანეს...

ამავე მოთხრობაში ჩვენ იმასაც ვხედავთ, უცნაური „მოგზაურობის“ დროს როგორა ცდილობენ ბერებისთვის წინააღმდეგობის გაწევას ადგილობრივი მცხოვრებლები („იწყეს ყენებად... და ვითარცა ცოფნი, წინა რბიოდეს“).

თავად გაჭირვებულები იყვნენ, მიწა არა პქონდათ, საკმარისი სარჩო ვერ მოპყავდათ, და როცა იხილეს, რა დახარბებით იზომავდნენ მიწას ეს გადამთიელი ბერები, სულ გამწარდნენ და ცოფები ყარეს.

ასეთ წინააღმდეგობას აწყდებოდა სამონასტრო მშენებლობა. ასეთი რთული წინააღმდეგობის შემცველი იყო ცხოვრება.

საერთოდ, მიწის საკითხი მწვავედ დადგა. ხალხი მომრავლდა და მიწის სიმცირე უკვე მწვავედ იგრძნობა. ჩვენ რომ გაცხოველებულ სამონასტრო და საქალაქო მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, ეს თავისთავად გულისხმობს ხალხის სიმრავლეს. მას შემდეგ, რაც აშოტ დიდმა ქართლის სამთავროს ცენტრი მესხეთში გადმოიტანა, ხალხმაც აქეთკენ ქნა პირი, თანდათანობით იწყო დენა და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ემატებოდა; მურვან ყრუს შემოსევისა და ეპიდემიის გავრცელების შედეგად საქართველოს სხვა კუთხეებში გახიზნული მოსახლეობა თავის ძველ საცხოვრებელს უბრუნდებოდა; ამას გარდა, სამთავროს ცენტრის აქეთ გადმონაცელებამ ახალი ხალხიც მოიზიდა...

და უკვე მწვავედ დადგა მიწის პრობლემა, განსაკუთრებით ამ მთიან მხარეში. სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს ბასილ ზარზმელის მოთხრობილი ოჯახური ტრაგედიაც.

მოყვარე აზნაურები ერთმანეთს დაერიენენ. მიწისთვის კაცი მოკლეს. თავისივე ახლობელი, სიძე მოკლეს. ესეც ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელია.

გიორგი ჩორჩანელს შვილები არ დარჩა და მთელი თავისი ავლა-დიდება — მათ შორის მიწა-წყალიც — დასა და დისწულებს უანდერძა.

სამი დისწული ჰყოლია მთავარს. და როცა დრო დადგა, ერთი დისწული გათხოვდა.

მაგრამ, ეტყობა, კარგად ვერ გაუსტუმრებიათ შინიდან: სიძე აშკარად უკმაყოფილო ჩანს მზითვეით. და უკმაყოფილების გამომჟღავნებას არც ერიდება.

განსაკუთრებით იმითია უკმაყოფილო სიძე, რომ ცოლს ბიძის ნაანდერძევი მიწა არ არგუნეს. მოყვრობის რიდისა და თავშეკავების დაცვას ვერ ახერხებს და ხშირად შეახსენებს ხოლმე მოყვრებს:

თქვენს დასაც უდევს წილი მამულშიო — „ნაწილი უც მამულსა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაითგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს“...

უბრალო საყვედურებს კი აღარ დასჯერდა სიძე — „მძლავრებით ეტყოდაო“, მოთხრობის ავტორი გადმოგვცემს; რამდენს ღვინოს დალეევდა, ან რამეზე გაბრაზდებოდა, ჯავრს ცოლზე იყრიდა. მოყვრებსაც მიუხტებოდა და ეჩხუბებოდა.

ერთი ასეთი წალაპარაკების დროს, ეტყობა, ძალიან შესტოპეს მოყვრებმა — „განმრავლდეს სიტყვისა გებანი ურთიერთას“ — და იმდენი ქნა ყიამყრალმა სიძემ, რომ თავი შეაკლა.

ამით არ გათავებულა საქმე, „უწესო ამბოხი“ კვლავ გაგრძელდა. ხოლო როცა სამი წლის შემდეგ ახალმა მღვდელ-მოძღვარმა „დაიპყრა საყდარი აწყურისი“ (ესე იგი, როცა ახალი ეპისკოპოსი მოვიდა), იმით დააშოშმინა ყველა და წლობით გაგრძელებულ დავას იმით მოუღო ბოლო, რომ არც ერთს არგუნა წილი, არც მეორეს, საერთოდ არავის ჩორჩანელის მემკვიდრეთაგან, ჩამოართვა სადაო მიწები და ეკლესიას გადასცა!

მიწის ნამდვილი დამმუშავებელი კი, ის, ვინც დღენიადაგ მიწას ჩაპკირკიტებს, მიწას ესაუბრება, მას ანდობს გასაჭირსა და საწუხარს, თავის ოჯახს მას ავედრებს, ცის ნამსაც მისთვის შესთხოვს უფალს, თავისი ოფლით აპოხიერებს და გულს მუდამ სასოებით უხსნის; ის, ვინაც დიდი სიყვარულისა და მადლიერების დასამტკიცებლად დედა და მარჩენალი შეარქვა მიწას, კვლავ გაწბილებული და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს, იქნებ ახლა უფრო მეტადაც დაჩაგრული და გაწბილებული...

●

ლაპარაკს შევყევით და დრო გამოგვეპარა. ჩვენ იმ მომხიბლავი სურათის თვალშესავლებლად ამოვედით მაღლა და უნებურად მეორე უფრო დიდებული და ამაღელვებელი სურათის მხილველიც გავხდით.

ცოტა ხნის წინ რომ წყვდიადში მიმოფანტულ ვარსკვლავებს მივამსგავსეთ დაბლა გაშლილი სანახაობა, ახლა იმ ვარსკვლავების ადგილას ცაში მომაღლოდ ამოჭრილ, მზის სხივებით დაფერილ გუმბათებსა ვხედავთ და სურათი მართლაც დიდებულია. ერთი რამეც

გეცემათ თვალში; ძველებთან შედარებით, ახალი ტაძრების კედლებიც უფრო მაღლა ამოზიდულა და გუმბათებსაც უფრო მომაღლოდ მოუღერებიათ ყელი ცაში, თითქოს ამოსაფრენად გამზადებულანო. თითქოს ის ძველი შენობები ვეღარ იტევენ ადამიანის სულის მღელვარებას და მეტ სივრცეს ითხოვენ. და ახლა იმ მაღლა აზიდულ კედლებსა და მთაზე ასვლე მომაღლოდ შემდგარ გუმბათებში თითქოს გაქანებისა და აღმაფრენის მეტი საშუალება მიეცათ...

მაგრამ ჩვენ რომ ვთქვით, უფრო ამაღელვებელი სანახაობის მხილველი გავხდითო, ამას კი არ ვგულისხმობდით, ამ ყელმოღერებულ გუმბათებს.

რასაც ახლა დაბლა ეხედავთ, მარტო დიდებული და გრანდიოზული კი არ არის, გულისამაჩუყებელიცაა, ამაღელვებელი, მჩქეფარე სიხარულის მომგვრელი.

მიწის ის ნაწილი, რასაც ახლა მაღლიდან დავცქერით, თითქოს დაძრულა და სადღაც მიდისო, ისე ფეთქავს ყველაფერი. ყველგან მოძრაობაა, ყველგან ფუსფუსი... ყველა სამუშაოზე მიეშურება — ზოგი წყვილ-წყვილად, ზოგი გუნდად, ზოგი კენტად. ზოგს ურემი შეუბამს, ზედ მთელი ჯალაბი დაუსხამს და სამუშაოზე მიდის. ჩვენ ახლა დაშორებული ვართ იმ ადგილს, მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, იქნებ აკვანიც შენიშნოთ ურემზე, რომელშიაც ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი წევს – ფართოდ დაჭყეტილი, გაკვირვებული თვალები დილის მტრედისფერი ცისთვის მიუშტერებია. ურემზევე მოკალათებულა დიდი პაპა, რომელსაც უკვე უმძიმს სიარული, მაგრამ გულიც არ უთმენს, შინ დარჩეს... ცოტა მოშორებით კი ურემს ოჯახის ერთგული ოთხფეხი მცველი ასდევნებია – ბუთქუნა კუდი ოდნავ აუპრეხია, თვალები გზისთვის ჩაუშტერებია და ნელი ძუნძულით მიდის. თუ მოეჩვენა, ზომაზე მეტად დაეუახლოვდი ურემსო, შედგება და დაიცდის, ჩუმად გააპარებს მზერას წინ მძიმედ მოჯაჯაე ურმისკენ, და როცა კვლავ სასურველი მანძილი ჩადგება ურემსა და მას შორის, ისევ დაიძვრება. ეს პირუტყვი ოჯახის მცველიც არის და მეგობარიც — რაკილა მთელი ოჯახი აიკრიფა და მიდის, ესეც იქ უნდა იყოს; იცის, რომ საჭირო იქნება: ტყე ნადირითაა სავსე, განსაცდელს რა გამოლევს!.. მაგრამ ადამიანების უცნაური ხასიათიც იცის — რაც უნდა გააკეთო, მაინც უმადურები არიან... და რაკი უნებართვოდ წამოვიდა, რაკი მთლად დარწმუნებული ვერ არის — მოისურვებენ თუ არა ამის წაყვანას, ჯერჯერობით მოშორებით მისდევს ურემს, თვალში არ ეჩრება, ფეხებში არ ებლანდება, აუტკივარი თავი რატომ

აიტკიევოს!.. ცოტას კიდევ რომ გაიელიან და სოფელს გასცდებიან, მაშინ უფრო გულმოცემული მიუახლოვდება ურემს, ნაბიჯიც მყარი და მტკიცე გაუხდება, მერე პატარა ბიჭებშიაც გაერევა...

ხვნა-თესვისა და, განსაკუთრებით, მოსავლის აღების დროს მთელი ოჯახი გაიკრიფება ხოლმე სამუშაოდ — ღრმა მოხუციც, დიდიც, პატარაც, ჩვილბავშვიანიცა და ჩვილი ბავშვიც... პატარები დაბადებიდანვე ისისხლხორცებენ შრომის სიყვარულსა და შრომის ჩვევებს, შრომის ხალისიან ატმოსფეროში იზრდებიან. მოხუცები შრომის ამ განუმეორებელი სიხარულითა და სიტკბოებით იხალისებენ დარჩენილ დღეებს, სიცოცხლეს იხანგრძლივებენ.

ერთი გლეხკაცური ხუმრობაა, ოთარ ჩხეიძეს აქვს მოთხრობილი „სოფლის ეტიუდებში". ვინ იცის, რა დროიდან მოდის ეს ხუმრობისნაირად აგებული ბრძნული ამბავი, ესეც თავისებური საგალობელი შრომისა. პაპა დაუძლურებულა — აღარც ხელები ემორჩილება, ვერც დადის... გული კი ისევ ძველებურად ერჩის, და წუხს; გაღმა ვენახი გაუქერქავი დარჩა და ვერ მოუსვენია, ჯავრად მიმყვებაო, ამბობს: იმას რომ გაქერქილს ვნახავდე, დამშვიდებული წავალ იმქვეყნადაო. ახალგაზრდა რძლებმა იფიქრეს, თუკი ეს კაცი ვენახის გაქერქვას უკავშირებს თავის სიკვდილს, მოდი გავქერქოთო. თითქოს პაპის სიკვდილი ეჩქარებოდეთ... მაგრამ ეს იმიტომ არის მოგონილი, რომ ბოლოს კარგი ხუმრობა გამოვიდეს, ხუმრობის მარილიც სწორედ ეს არის. წავლენ ახალგაზრდა რძლები, თავს გადადებენ, მთელი დღე შეუსვენებლივ იმუშავებენ და ვენახს გაქერქავენ. საღამოზე დაბრუნდებიან დამაშვრალები და ხელებდაკაწრულები, პაპას ახარებენ: პაპავ, გაღმა ვენახი გავქერქეთო. პაპას სახე გაებადრება და თითქოს წელშიაც გაიმართება. თქვენ გაცოცხლათ, შვილებო, ღმერთმა, რაკიღა ეს დარდი მომაშორეთ, აწი რაღა მომკლავსო...

ტყეთა ნაპირ-ნაპირ გაკაფულ ფერდობებზე ნახირი შეფენილა — აქაც, იქაც, იქაც, ეგერ იქაც...

და რაც განსაკუთრებით გივსებთ სიხარულით გულს, ეს არის კვამლის უთვალავი სვეტი; თითქოს წყლის მოცისფრო სარკეში შეჰყურებდე, ისე ირხევიან კრიალა ჰაერში ეს სვეტები. სიცოცხლის ნიშანი და სიცოცხლის სიმბოლო, მთელს ამ დიდ სივრცეზე მიწიდან ოცნებასავით, იმედივით, მშვიდობის ლოცვასავით დაძრული სვეტი კვამლისა... ზოგი ზანტად, ზოგი უფრო სწრაფად — მოდის, მოემართება, თითქოს თან მოაქვს სიხარული, საწუხარი, ტკივილი, ნაღველი იმ სახლისა, საიდანაც დაძრულა... ჯერ შეკრულ სვეტად

მოდის, თანდათანობით იშლება, იფანტება და გამჭვირვალე ჰაერს ერთვის... სოფლებიდან დაძრული კვამლის სვეტები....

სოფლები, სოფლები, მთელს ამ დიდ სივრცეზე მიმოფანტული სოფლები... სოფლები ბარად, სოფლები მთაში, მიუვალი მთის უბეს მიხუტებული რამდენიმე სახლი.. ესეც სოფელია; ხეებში ჩადგმული თითო-ოროლა სახლი... ეგერ მეჩხერი ბუჩქნარით დაფარულ მწირ-მიწიან გორაკს ხუთიოდე ქოხის მეტი ვერ დაუტევია... და თქვენ ბევრგან ხედავთ, დაბურულ ტყეთა ნაპირ-ნაპირ როგორ გამოუ-კაფავთ თითო მტკაველი მიწა, პაწია სახლები ჩაუდგამთ — სამი-ოთხი სახლი, აქ, იქ, იქაც... ბევრგან, ძალიან ბევრგან.

ზოგჯერ ჩადგამდნენ სამ-ოთხ სახლს, სამი-ოთხი ოჯახი დაფუძნდებოდა და უკვე სოფელი იყო – თავისი დიდი ტრადიციებით, თავისი ავ-კარგით, ქორწილითა და დატირებით, სტუმრიანობით, ნათლიმამ-ნათლიდედობით, მისვლა-მოსვლით, თავისი ნამუს-სინდისით, თავისი კოლორიტით, თავისი ნახელავებით, — ზოგ-ჯერ თავისი კურიოზებითაც კი, — თავისი დასამახსოვრებელი ისტორიული ეპიზოდებით, თავისი გმირებითა თუ ოსტატებით... სასახელო შვილი მთელ სოფელს ესახელებოდა, შემარცხვენელი თუ გამოერეოდა, მთელი სოფლის სირცხვილი იყო... პაექრობდნენ ხოლმე ერთმანეთში ეს სოფლები, კაფიაობდნენ – და ისეთი დიდი იუმორით არის გამსჭვალული ეს კაფიები, გულს გაგიხარებს.

და საოცარია, რომ სოფლებს ყველას: დიდსაც, პატარასაც, იმ მთის უბეში სოკოებივით მიყუჟულ ხუთიოდე სახლსაც, ყველას თავისი ლამაზი სახელი აქვს — ლამაზი აზრის გამომხატველი, პოეტური, ლექსივით ანკარა და ოცნებასავით ტკბილი... ლომისი, უბისა, ტონთიო, საირმე, ქორისბუდე, მაჭახელა, ციეი, წყაროსთვალი, რუისპირი, კალოუბანი, ნაღუარევი, სხლობანი, ძაღლისხევი, მახაროვანი, კალმახი, ხეკრებულთა, გამდლისწყარო, წუნდა, კოხტა, ღართა, შინდისი, ვაშლოვანი, ხერთვისი, ობოლეთი, სარო, აზავრეთი, ვარდისციხე, გრიალა, თვალადი, მარნეული, შროშა...

საგანგებოდ არ მიძებნია, უცებ რაც მომაგონდა, ის ჩაეწერე, და არა მარტო სამხრეთი საქართველოსი... მოდიან ეს სახელები, მოპყვებიან ჩვენს დიდ ისტორიას, ისტორიის განუყოფელი ნაწილი ხდებიან... საუკუნეების განმავლობაში ათასნაირი თქმულებების სამკაულებით იხუნძლებიან – ხან წყვდიადში ელვის გაკვესებას მოგვაგონებენ, ხან მეხის გავარდნას, პირდაღებულ ჭრილობას, მოუშუშებელ იარას, უცხოობის სევდასა და შინ მოვარდნილი მტრის

ძალმომრეობას, ცის სისპეტაკეს, მდინარის სიანკარეს... ზოგჯერ მტრის მიერ შემუსვრილი სოფელი აღარც იყო და სახელი მაინც შემორჩა ხალხის ხსოვნას – როგორც უკვდავების, მარადისობის ნიშანი... ზოგჯერ ისე ამაყად და ხმამაღლა ჟღერს სოფლის სახელი, მარტო მის შვილებს კი არა, მთელ ქვეყანას ეამაყება, როცა მიხვალ და ნახავ, გაგიკვირდება — სულ რამდენიმე სახლი დგას მთის უბეს მოფარებული: სახლების რაოდენობით არ იზომება სოფლის სიდიადე, კარგი შვილებით იზომება, შრომითა და გმირობით განთქმული შვილებით იზომება.

ზემოთ ვთქვით, უფრო გულადი ხალხი ტყისკენ დაძრულაო. განა მართლა თავიანთი გულადობის დასამტკიცებლად გადახვეწილა ეს ხალხი იმ სიშორეზე. არა. რა ბრძანებაა! მიწისთვის გადახვეწილან, იმ თითო მტკაველი მიწისთვის... ფეოდალს უმძლავრია, შეუვიწროებია, გადმოუდენია, და ტყისკენ დაძრულან. მაგრამ, რა გგონიათ, აქაც დაუსრულებელი დავა აქვთ... დაუსრულებელი შიში, რომ არ წაართვან, არ აპყარონ, ულუკმაპუროდ არ დატოვონ.

მიწისთვის ასეთი ბრძოლა ჩვენ აღარ უნდა გვიკვირდეს მას შემდეგ, რაც ის ეპიზოდი გავიხსენეთ ბასილ ზარზმელის მოთხრობიდან, ერთმა აზნაურმა რომ სიძე მოკლა მიწის გამო – დის ქმარი, თავისი დისშვილების მამა!..

და სწორედ ის მშვენიერი მოთხრობები გვეხმარებიან, უფრო მკაფიოდ აღვიქვათ, თვალსაჩინოდაც კი დავინახოთ მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, რაც აქ ცხოვრებაში გაბატონებულა.

მაღალ გალავანშემოვლებულ ერცელ ეზოებში განმარტოებით მდგარ დიდრონ სასახლეებს რომ ხედავთ, ეს იმ კუთხეების მთავრებისა გახლავთ. სწორედ იმ ჩორჩანელებისა და დაფანჩულებისა... იმ სასახლეთა ირგვლივ გაჭიმული ერცელი მიწა-წყალიც მათია, სასახლის მოშორებით გაფანტული სოფლებიც, ველებსა და გაკაფულ ფერდობებზე გაფენილი ნახირიც, ველ-მინდვრებზე გათენებიდანვე მუხლჩაუხრელად მოფუსფუსე ადამიანებიც; ის დაბურული ტყეებიც, აქედან ჩამუქებულ მწვანე ლაქებად რომ მოჩანს, და იმ ტყეებში დაბუნაგებული მრავალფეროვანი ნადირიც კი... სულ მათია, მათი საკუთრებაა, იმ დიდებულებისა. უკვე ღრმად გაუდგამს ფესვები ახალ სოციალურ ურთიერთობას, უკვე კარგად მოღონიერებულა ახალი გაბატონებული კლასი...

უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს ორი სხვადასხვა განზომილების მოვლენა: ორი ათასწლეულის მიჯნა – ადრეული ფეოდალიზმიდან

კარგად განვითარებულ და ჩამოყალიბებულ ფეოდალიზმის ხანაზე გადასვლის მიჯნაც გამოდგა.

დიახ, ამიერიდან ისტორიული მოვლენები და ფაქტები, რასაც ჩვენ მოვყვებით და დავინახავთ, უკვე გამარჯვებულ, კარგად განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში ხდება.

●

გარდაიცვალა თუ არა დავით კურაპალატი, ბიზანტიის იმპერატორი ბასილ მეორე ტაოსკენ გამოემართა დიდი ლაშქრით: შეთანხმების თანახმად, ქართველი მეფის სამფლობელოს სამხრეთი ნაწილი ხომ ბიზანტიის იმპერატორს ეკუთვნოდა, და ახლა იგი ამ მიწა-წყლის დასაუფლებლად მოდიოდა.

აქედან ბაგრატ მესამე და მამამისი გურგენ მეფე წავიდნენ, რათა იმპერატორსაც შეხვედროდნენ და თან ოფიციალურად შემოემტკიცებინათ სამხრეთი ტაო, რაც ბაგრატს, როგორც დავით კურაპალატის შვილობილსა და ერთადერთ მემკვიდრეს, მემკვიდრეობის უფლებით ეკუთვნოდა. სწორედ ბიზანტიის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა ეს უფლება და იმიტომაც მიეშურებოდნენ იმპერატორის შესახვედრად.

ამრიგად, ორივე ქვეყნის გვირგვინოსნები — ბიზანტიის იმპერატორიცა და ქართველი მეფეებიც — ერთი და იგივე ტერიტორიის დასაუფლებლად მიეშურებოდნენ: ერთნი — მტკიცე გადაწყვეტილებით, მეორენი — გაურკვეველი წინაგრძნობითა და სუსტი იმედით...

ბიზანტიის იმპერატორს სწორედ ამ დროს გააფთრებული ომები ჰქონდა ბულგარელებთან, და ქართველი მეფეები გულში იმედს აღვივებდნენ — ასეთ გასაჭირსა და გაწამაწიაში მყოფმა, იქნება ჩვენი მიწები აღარ მოგვთხოვოსო. იმდენად სასურველი იმედი იყო, რომ ის ვეღარ გაითვალისწინეს, ბასილ მეორე სწორედ მიწებს იყო დახარბებული. ისტორიკოსები საგანგებოდ უსვამენ ხაზს ერთ დეტალს: როცა ვინმე სამხედრო თუ სახელმწიფო მოღვაწის დაჯილდოება გახდებოდა საჭირო, საერთოდ მომჭირნე და ყაირათიანი ბასილი ტიტულებს უბოძებდა, დააწინაურებდა, ფულს აჩუქებდა, მოძრავ ქონებას მისცემდა, მიწას კი — თითქმის არასოდეს, მამულით არავის დააჯილდოებდა. დაუწერელი კანონით მართავს ქვეყანასაო, მასზე ამბობდნენ.

ერთი სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორი მტკიცე გადაწყვეტილებით უახლოვდებოდა საქართველოს საზღვარს, ქართველი მეფეები კი სუსტი იმედით მიდიოდნენ მის შესახვედრად.

თქვენ ალბათ გრძნობთ, რომ მტკიცე გადაწყვეტილება გაიმარჯვებს სუსტ იმედზე: მით უმეტეს, როცა მტკიცე გადაწყვეტილებას ურიცხვი ლაშქარი ამაგრებს („მძიმედ შეიარაღებული" გამოემართაო, სომეხი მეისტორიე გადმოგვცემს), ხოლო სუსტი იმედის პატრონს ლაშქარიც მცირერიცხოვანი ახლავს.

მაგრამ ქართველ მეფეებს ადგილობრივმა ქართველმა აზნაურებმა დაასწრეს.

ვერც კი მოასწრო იმპერატორმა დავით კურაპალატის სამეფოს საზღვრებში შესვლა, რომ ტაოს აზნაურები გაეგებნენ და ქვეშევრდომობისა და მორჩილების ფიცი მისცეს („მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთაო", გვაუწყებს „მატიანე ქართლისა").

ტაოელი ფეოდალების მოქმედება ადვილი ასახსნელია: ქართველი მეფე უფრო მოიცლიდა მათ ასალაგმად, ბიზანტიის იმპერატორი კი შორს იყო და თავისუფალ პარპაშს იმდენად ვერ დაუშლიდა. გარდა ამისა, ეს აზნაურები იმპერატორის წყალობასაც ელოდნენ...

ერთი სიტყვით, სანამ ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორს შეხვდებოდნენ, ტაოელმა აზნაურებმა დაასწრეს და გადასცეს იმპერატორს დავით კურაპალატის მიწა-წყალი.

„და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა", გადმოგვცემს მემატიანე.

კაცმა არ იცის, რამდენ ხანს იტყუებდნენ ქართველი მეფეები თავს სუსტი იმედით. იმ ძუნწი ცნობებიდან, რასაც ჩვენამდე მოულწვია, მხოლოდ ის შეგვიძლია ვიეარაუდოთ, რომ გვირგვინოსანთა შეხვედრა გარეგნულად გულითადი და მხურვალეც იქნებოდა. წყენა და გაგულისება მერე ჩაისახებოდა და გაღვივდებოდა.

წყენა და გაგულისება!..

თუმცა იმპერატორის სურვილი იყო, მამასა და შვილს შორის, — ორ გვირგვინოსანს შორის, — წყენა და შური დაეთესა. ბასილ მეორემ გადაწყვიტა, გადაეკიდებინა ერთმანეთისთვის მამა და შვილი, ხოლო ამით ქვეყანა დაესუსტებინა და ხალხი მუდამ მორჩილი ჰყოლოდა. ამ განზრახვის შესასრულებლად ბერძენმა იმპერატორმა ნაცად ხერხს მიმართა — ნაცად ცბიერებას: მამასაც და შვილსაც მაღალი საკარისკაცო ტიტული უბოძა; ოღონდ შვილს — მამაზე უფრო მაღალი...

და შურისა და გაბოროტების თესლიც ეს იყო: ბაგრატს კურაპალატობა უბოძა იმპერატორმა, ხოლო გურგენს — მაგისტროსობა. ეს იმიტომო, პირდაპირ გვეუბნება მემატიანე „ვითა მტერ ყენა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუაო“ (ასე ივერაგაო, მამა-შვილს შორის მტრობის ჩამოგდება მოინდომაო. კიდევ შეგახსენებთ: კურაპალატობა მაგისტროსობაზე მაღალი წოდებაა). მაგრამ გურგენი პატიოსანი და წრფელი კაცი იყო და შვილის მიმართ შური არ აღეძრაო, იქვე დასძენს მემატიანე.

შვილის მიმართ იქნებ მართლაც არ აღძვრია შური, მაგრამ იმპერატორზე კი, ეტყობა, ნამდვილად გაგულისდა. სომეხ მეისტორიეს თუ ვერწმუნეთ, გურგენს მალე შეუკრებია ჯარი და იმპერატორის მიერ წართმეული კუთხეები დაულაშქრავს, აბორგებულა... ეს ალბათ იმ დროს მოხდა, როცა გურგენ მეფეს ბიზანტიის იმპერატორი ბულგარეთის ფრონტზე ეგულებოდა, მაგრამ ქართველ მეფეს მალევე უგრძვნია, რომ ასეთი ფახიფუხით ვერაფერს გახდებოდა, ძლიერსა და გამოცდილ იმპერატორს ვერაფერს დააკლებდა და დაშოშმინებულა, დაზავებია ბასილს.

კმაყოფილი, რაღა თქმა უნდა, არც ბაგრატი იქნებოდა: იმ მშვენიერი და მდიდარი ქვეყნის, ტაოს წილ — კურაპალატობა ვერაფერი ნუგეში იყო მისთვის, მაგრამ ჯერ კეისართან დასაპირისპირებლად არ ეცალა, ჯერ ის დიდი საქმე უნდა დაემთავრებინა — საქართველოს გაერთიანება.

ეს იყო ახლა მისი მთავარი საზრუნავი. ფეოდალები ჯერ კიდევ არ იყვნენ დათრგუნვილნი და ბედს დამორჩილებულნი, ხან აქ წამოყოფდნენ თავს და ხან იქ, ქართლშიაც, დასავლეთშიაც... დიდხანს იყვნენ თავაშვებულები და გაუჭირდათ მორჩილების უღელში თავის გაყოფა. საჭირო იყო მათი საბოლოო ალაგმვა. და ბაგრატიც მტკიცედ მოქმედებდა: „ურჩნი თვისნი შეცვალნა დიდებისაგან (ესე იგი, გადაუყენებია და დაუქვეითებია თანამდებობის ხალხი, ვისაც კი ორგულობა და ურჩობა შენიშნა) და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“. ლაშქარი გაამრაველა და გააძლიერა.

აქვე განსაკუთრებით უნდა შევნიშნოთ, რომ, თავისი მამობილის მსგავსად, ბაგრატიც უდიდეს მნიშვნელობას აძლევს კულტურის კერების დაფუძნებასა და შენებას.

თუმცა ის გრანდიოზული ტაძარი, რომელიც ახლა უნდა ვახსენოთ, მარტო კულტურის კერად კი არ შენდებოდა... იგი საქართ-

ველოს პოლიტიკური ძლიერების სიმბოლო იყო, ქვეყნის ერთიანობის, ჭირში გაუტეხაობისა და ქედმოუხრელობის, მრავალ ტანჯვასა და განსაცდელზე გამარჯვების სიმბოლო, ახალი წელთაღრიცხვის პირველი, მრავალჭირნახული ათასწლეულის ბედნიერად დასრულებისა და მეორე, იმედისმომცემ ათასწლეულში გადასვლის სიმბოლო. ეს ტაძარი ხომ სწორედ ათასწლეულების მიჯნაზე აშენდა. კედლის წარწერა გვაუწყებს, რომ 1003 წელს „განიმტკიცნა იატაკი"... რაკი იატაკი ახალი ათასწლეულის მესამე წელს დააგეს, თავისთავად იგულისხმება, რომ წინა ათასწლეულის მიწურულში დაუწყიათ ქუთაისის დიდებული ტაძრის შენება და ახალი ათასწლეულის დასაწყისში დაუმთავრებიათ.

ჩვენ მხოლოდ ნანგრევების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მთელი სიდიადე და გრანდიოზულობა ამ საოცარი ტაძრისა.

მაგრამ ნანგრევებიც არის და ნანგრევებიც. ნანგრევები შეიძლება იყოს გაქელილი, დამცირებული, მიწასთან გასწორებული...

ამ დიდებული ტაძრისთვის მტერს ვერ მოუხერხებია გაქელვა და დამცირება, მიუხედავად იმისა, რომ არ დაუზოგავს და მრავალი სასიკვდილო ჭრილობა მიუყენებია. შუა გაპობილი, ცად აზიდული კედლები თითქოს მხრებით შესდგომია სიერცეს და ცის სილაჟვარდე იმ გუმბათის ნაცვლად დაუდგამს, რომელიც მას ჩამოუქცევია. და დგას ამაყად ეს ქედმოუხრელი ნანგრევები, როგორც მაღალი კულტურისა და გაუტეხაობის ნიშანი.

ამ ნანგრევებს დღესაც ბაგრატის ტაძარს უწოდებს ხალხი და ამით გამოხატავს ღვაწლმოსილი წინაპრის მიმართ თავის მადლიერებას.

ამ ტაძარს რომ მართლაც ასეთი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, იმ ცნობითაც მტკიცდება, რაც „მატიანე ქართლისას" შემოუნახავს. მემატიანე აგვიწერს, როგორ აკურთხეს ტაძარი: ბაგრატმა „აკურთხა ეკლესია ქუთათისა, განგებითა დიდითა და მიუწდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი... და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი".

ჩვეულებრივი ტაძრის კურთხევა ასეთი მასშტაბით არ ხდება ხოლმე.

ბაგრატისაევე სახელს უკავშირდება სხვა მშენებლობანიც, რომელთაგან განსაკუთრებით ბედიის ტაძარი უნდა გამოვყოთ.

●

1008 წელს გარდაიცვალა მეფე გურგენი და ამჯერად უკვე ბაგრატი ტაო-კლარჯეთის სრულუფლებიანი მეფე შეიქნა — „ეუფლა ტაოს, მამულსა თვისსაო", სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს. კლარჯმა ფეოდალებმა, ეტყობა, ერთი პირობა, განდგომა მოინდომეს. ფეოდალის ბუნებას რა შეცელის — მოხდა თუ არა ქვეყანაში ცვლილება, გარდაიცვალა თუ არა მოხუცი მეფე, იფიქრეს, ახლა კი გვეშველაო; ბაგრატს, ეგერ, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო ეყოფა, ჩვენთვის, კაცმა რომ თქვას, ველარც მოიცლის; ურჩევნია, იმას მოუაროს კარგად, რაც ღმერთს მიუცია... და საკმაოდ უსამართლოდაცაო (ალბათ ასეც თქვეს), თორემაო!.. ასე კი არ არის საქმე, მაგას რომ ჰგონიაო (წაუტრაბახეს კიდეც ალბათ — გული მოიფხანეს, მსმენელი გაალიმეს, საკუთარ პატივმოყვარეობას მოუალერსეს)...

პირდაპირი მინიშნებაც რომ არა გექონდეს ამისი, მაინც შეგვიძლია ვიგულისხმოთ — ფეოდალური ურთიერთობა და ფეოდალური ხასიათი სწორედ ამას ნიშნავს და ამას გულისხმობს.

ეყოთ, ეყოთ, ბატონო, რაც იპარპაშესო! ომახიანად შესძახეს — ტაოელები იგულისხმეს. მაგას ის ხომ არა ჰგონიაო!.. ბოლოს და ბოლოს, ბასილ კეისარი ჩემი მეგობარია (კიდევ წაუტრაბახეს)... მასთან დაახლოებული კაცი მყავს, უიმკაცოდ კეისარი პურს არ გატეხს... ერთი იმასაც ვნახავ, კეისარი უფრო ძლიერია თუ ეს ჩვენი ბაგრატ მეფეო (ისევ გააცინეს მსმენელი)... იქნება კეისრის სადღეგრძელოც კი შეისვა, როგორც მათი შემწესი და მოკავშირისა.

კეისარზე ჩამოვარდა სიტყვა. ბიზანტიის იმპერატორს, რაღა თქმა უნდა, თავისი ჯაშუშები ჰყავდა მიჩენილი: უთანხმოების ღვარძლსა თესავდნენ, უკმაყოფილო და პატივმოყვარე ფეოდალებს შეაგულიანებდნენ...

იმპერატორს თავისი ანგარიშები ჰქონდა.

ყველაზე მეტად, ეტყობა, აქტიურობდა ორი კლარჯი დიდებული — ძმები სუმბატ კლარჯი არტანუჯელი (ეს უკვე ახალი თაობის სუმბატ არტანუჯელია, ძველში არ აგერიოთ) და გურგენ კლარჯი. ამათ, ეტყობა, ერთგვარი საფუძველიც გამოძებნეს: კაცი რომ უკანონობის გზას დაადგება, უფრო ადვილად გამოძებნის ხოლმე თავისი საქციელისა და მოქმედების გასამართლებელ საბუთებს და ამით საქმეს იიოლებს.

ეს ორი ძმა გურგენ მეფის დისწულები ყოფილან და ალბათ ამითაც იყვნენ გულმოცემულები — ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვინა ვართ ამ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენც ხომ მეფის სისხლი გვიდგას ძარღვებშიო!..

ასე იყო თუ ისე, ბაგრატ მესამემ ფანასკერტის ციხე-დარბაზში მიიპატიჟა თავისი მამიდაშვილები („...დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა, ფანასკერტისასა...“). მემატიანე აღარ ამბობს, გაუმასპინძლდა თუ არა მეფე თავის კლარჯ ნათესავებს, სანამ ფანასკერტიდან თმოგვის ციხის გზას გაუყენებდა.

ეს ჩვენთვის არც არის მაინცადამაინც საინტერესო. მთავარი ისაა, რომ მეფემ ურჩი ფეოდალები „პატიმარ ყენა“, თმოგვის ციხეში გაგზავნა და დილეგში ჩაყარა. არც გამოუშვია იქიდან, ერთიცა და მეორეც თმოგვის ციხეში დაიხოცნენ, ერთმანეთის მიყოლებით — ერთი 1011, მეორე კი 1012 წელს. ხოლო მათი შვილები — ბაგრატი (ძე სუმბატისი) და დემეტრე ბიზანტიაში გადაიხვეწნენ („წარვიდეს კონსტანტინეპოლედ... ბასილი მეფისა წინაშე“). იმ გადახვეწილი ბაგრატის ბედი არ ვიცით, დემეტრე კი ქვემოთ ერთხელ კიდევ შეგვხვდება.

აჯანყებასავით რომ იყო კლარჯეთში, მემატიანის სიტყვებითაც დასტურდება, რაც უშუალოდ მოსდევს ზემოთ მოყვანილ ცნობას: „...შვილნი კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა“. ესე იგი, სხვა შვილებიც ჰყოლიათ იმ უბედურ სუმბატსა და გურგენს, და ისინი, ისევე როგორც ალბათ სხვა შეთქმულები, ციხეში დაიხოცნენ.

აქვე უნდა გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილისეული დახასიათება ბაგრატ მესამისა: „ბაგრატი არაფრის წინაშე არ იხევდა უკან, ოღონდ კი გაერთიანებაში ხელისშემშლელი აღარავინ ჰყოლოდა და იმიტომაც გაჟლიტა თავისი სახლიკაცები, რომ სეპარატული მფლობელობის პრეტენდენტები აღარ ჰყოლოდა. ჩანს, ფეოდალური სამთავროების სხვანაირად გაერთიანება არც შეიძლებოდა; ბაგრატმა მშვენიერად გაიგო და გაითვალისწინა ესა და გამოიჩინა საკმაო ძალღონეცა და შეუპოვრობაც, დაუნდობლობა რომ აღარა ვთქვათ, რათა თავისი დიდი პოლიტიკური მიზნისათვის მიეღწია“.

მეცნიერს იქვე რუსული გამოთქმაც მოჰყავს, ბაგრატის უფრო მარჯვედ დასახასიათებლად: рьяный собиратель земель.

ერთი სიტყვით, ტაო-კლარჯეთის შემოერთების შემდეგ თითქმის მთელი საქართველო გაერთიანებული იყო, გარდა კახეთისა და თბილისის საამიროსი.

„ამის შემდეგ ჯერი კახეთსა და ჰერეთზედაც მიდგაო“, ივანე ჯავახიშვილი წერს.

მართლაც, გადმოვიდა თრიალეთში მეფე და მოციქული გაუგზავნა კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს.

როგორც ჩანს, ეს მოხდა 1010 წელს.

ქართლის ციხეები დამიბრუნეო, პირველად ეს შეუთვალა ბაგრატმა კახეთის ქორეპისკოპოსს.

ქორეპისკოპოსის პასუხი საკმაოდ მკვახე გამოდგა: მკლავმა და ომმა გადაწყვიტოს იმ ციხეების ბედი („იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი“) — გამობრძანდი და ქსანზე შეგეგებებიო. ქსნის სანაპიროზე ბრძოლა კახეთის მთავრების წინააღმდეგ ხომ რაღაც ტრადიციასავით გახდა (ეტყობა, იმას კი აღარ გაუწია ანგარიში, რომ სწორედ ქსნის სანაპიროზე გამართული ბრძოლა მთავრდებოდა მათთვის არასასიკეთოდ)!

პასუხი ისე მკვახე იქნებ არც მოეჩვენოს ადამიანს; გააჩნია, ვის უთვლი ამ პასუხს. ბაგრატს უკვე ძლევამოსილ მეფედ წარმოედგინა თავი, და კახეთის მთავრის სიტყვები იწყინა. „განუწყრა აფხაზთა და ქართველთა მეფეო“, მემატიანე გადმოგვცემს. თრიალეთში იდგა თურმე მაშინ, იქ „განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათაო“. მაშინვე აფრინა ხალხი და მიიხმო აფხაზეთისა და ქართლის ლაშქარი. ისე გაგულისებულა მეფე, რომ აღარც კი დაელოდა გამოთხოვილი ლაშქრის მოსვლას, მაშინვე დაიძრა „ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ხიდი მცხეთისა“... ამასობაში დაბარებული ჯარიც შემოუერთდა — აფხაზეთისა და ქართლის ლაშქარი...

რატომღაც ჩრდილოეთით გაემართა მეფე, თიანეთისკენ და იქიდან „იწყო შემუსრვად კახეთისა“...

ამ მარშრუტმა ალბათ გაგაკვირვათ, რადგან ბაგრატის ლაშქრის მსვლელობა, უნებურად იმ გზით წარმოიდგინეთ, რომელიც ახლა გადის ქართლისა და ბორჯომის ხეობაში. არა, ბაგრატი, — ისევე როგორც ბაგრატის წინ ორჯერ დავით კურაპალატი, — თრიალეთიდან პირდაპირ გადმოვიდა სამხრეთ ქართლზე, მტკვრის მარჯვნივ; ღღევანდელ ძეგვზე გადმოიარა და მცხეთაში ხიდს მარჯვენა სანაპიროდან მიადგა, გაიარა ხიდი და თიანეთისკენ გაემართა...

როგორც მოსალოდნელი იყო, კახეთის ქორეპისკოპოსი ვერ გაუმკლავდა ბაგრატის დიდ ლაშქარს („ვერ წინააღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხვი“), თუმცა დიდის რიხით კი შეუთვალა — მკლავმა გადაწყვიტოსო...

ბაგრატმა დაიპყრო ჰერეთიც, იქ თავისი ერთგული კაცი — აბუ ლალი — დასვა მთავრად და გამობრუნდა.

მაგრამ კახეთის ქორეპისკოპოსი დავითი მაინც ვერ შეურიგდა დამარცხებას, დიდგული კაცი გამოდგა, მკლავით იქადდა, მაგრამ გული უფრო ლონიერი აღმოაჩნდა: გაბრუნდა თუ არა ბაგრატი, დავითმა წააქეზა ჰერეთის აზნაურები, გადაუდგნენ ბაგრატის დანიშნულ მმართველს და დავითს დაემორჩილნენ. ამის შემდეგ დავითი მალევე გარდაიცვალა და მამის ტახტზე მისი შვილი კვირიკე ავიდა.

ასე რომ, ამჯერად კვირიკეს წინააღმდეგ მოუხდა ბაგრატს ომი, კვლავ გაილაშქრა, აიღო ჰერეთი, ორი წლის განმავლობაში „წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი", კვირიკე ბოჭორმის ციხეში მოიმწყვდია და ციხეს მცველები მიუჩინა, რათა არ გაპარულიყო. საბოლოოდ ბოჭორმაც აიღო და წამოვიდა, კვირიკე თან წამოიყვანა.

მეზობელი ქვეყნები, ეტყობა ვერც საქართველოს გაძლიერებას შეურიგდნენ და ვერც მისი ცალკეული კუთხეების ხელში ჩაგდების იმედს გამოეთხოვნენ. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ბაგრატმა საბოლოოდ შემოიმტკიცა კახეთ-ჰერეთი, რომ განძის ამირა ფადლონმა იწყო ყაჩაღური გამოლაშქრებანი ამ კუთხეებში: „მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითიჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად".

როგორც მოსალოდნელი იყო, გაერთიანებული საქართველოს მეფემ თავისი ქვეყნის ხელყოფა არ აპატია მტერს. მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ განძის ამირას წინააღმდეგ მარტო თავისი მხედრობით კი არ გაილაშქრა ბაგრატმა; სამხედრო კავშირი შეკრა სომეხთა მეფე გაგიკთან. და გინდა იფიქრო: ამ კავშირს უფრო პოლიტიკური და, თუ გნებავთ, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სამხედრო; ამით თითქოს აგრძნობინეს განძის ამირასაც და სხვასაც ყველას, რომ ორი მეზობელი ქვეყანა კვლავ მოკავშირე და მეგობარი იყო.

განძის ამირა ადვილად დაამარცხა სომეხ-ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა.

ამ ბრძოლების შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია ბაგრატ მესამეს. იგი გარდაიცვალა 1014 წლის 7 მაისს, პარასკევ დღეს, ფანასკერტში; ერთგულმა სარდალმა ზვიად ერისთავთ-ერისთავმა

ფანასკერტიდან მეფის ნეშტი ბედიის ტაძარში გადაასვენა და იქ მიაბარა მიწას.

ამრიგად, ბაგრატ მესამის სახელს უკავშირდება ისეთი დიდი მოვლენა ერის ცხოვრებასა და ისტორიაში, როგორიცაა ქვეყნის ცალკეული კუთხეების შეკავშირება, ერთიანი საქართველოს შექმნა. და მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ჯერ კიდეე არ იყო გაერთიანებული ქვეყანა, ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული ყველა კუთხე, და, რაც მთავარია, მისი გული თბილისი, ხალხის შეგნებასა და ფსიქიკაში უკვე მტკიცედ დამკვიდრდა ცნება ერთიანი ქვეყნისა — მთლიანი საქართველოსი. ეს კი თავისთავად უდიდესი მოვლენა იყო და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მტკიცე საძირკველს უმზადებდა ქვეყნის სრულ ფიზიკურ გაერთიანებას.

დამახასიათებელი და სიმბოლურია, რომ სწორედ ამ დროიდან — მეთერთმეტე საუკუნიდან — ერთიანი ქვეყნის ცნების აღსანიშნავად ახალი ტერმინი შემოდის — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ეს სიტყვა, რომელსაც, იქიდან მოკიდეული, ასე ამაყად წამოთქვამს მისი ყველა დროისა და თაობის შვილი, რომლის უბრალო ხსენებაც კი თავისთავად გმირობისა, ზნეობრივი სიწმინდისა, პატიოსნებისა და სამართლიანობისაკენ მოუწოდებს ქვეყნის შვილებს, სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა და ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ივანე ჯავახიშვილი წერს, ქვეყნის შემკრებელობითი ცნების გამოსახატავად ძველი ტერმინების „ყოველი ქართლისა“ ან „ერთობილი ქართლის“ ნაცვლად მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული საზოგადო ტერმინად „საქართველო“ ან კიდეე „ყოველი საქართველოი“ დაკანონდაო. და მეცნიერს იქვე მოჰყავს გიორგი მთაწმინდელის სიტყვები, როცა იგი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარზე ლაპარაკობს: ამ წინამძღვრის „სათნოებათა სახელი და ღირსებაი ყოველსა საქართუელოს განეფინა და არა ხოლო საქართუელოსა, არამედ საბერძნეთსაცა“.

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ „მატიანე ქართლისაშიც“ პირველად ახლა გამოჩნდება ეს სიტყვა, ბაგრატ მესამის შვილის საომარ ამბებთან დაკავშირებით — „სპანი საქართველოსანიო“.

ექვთიმე თაყაიშვილი რუსულად დაწერილ გამოკვლევაში ამბობს: «После Баграта III (они – грузинские цари) носили титул «царя Сакартвело», т. е. объединенной Грузии».

ეს იყო დიდი გამარჯვება, ხალხის საუკუნოვანი ოცნების ასრულება, ბედის უკუღმართობის გამო დაფლეთილი ქვეყნის

გამთლიანება, ასეული წლებით ერთმანეთს დაშორებული ძმების ერთ ოჯახად შეკავშირება, წინსვლისა და აღორძინების მტკიცე საფუძვლის ჩაყრა...

და, რაღა თქმა უნდა, უსამართლობა იქნება, ეს გამარჯვება მხოლოდ ერთი ადამიანის სახელს მიეწეროს. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ გამარჯვებას სჭედდნენ და ამზადებდნენ სულ სხვადასხვა დროს და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ერის საუკეთესო შვილები. მას სჭედდნენ ჩვენი დიდი მწიგნობრებიც, ხუროთმოძღვრებიც, მხატვრებიც, პოლიტიკური მოღვაწეებიც... ამ გამარჯვებაში თავისი წელილი უდევს იოანე საბანის ძის მოთხრობასაც, გრიგოლ ხანძთელის მთელ მოღვაწეობასაც და იმ დიდებულ წიგნსაც, რომელიც ამ დაუღალავ მოღვაწეს მიეძღვნა, ნერსეს კარზე არსებულ სკოლასაც, ქართული კულტურის იმ მცირესა თუ დიდ კერებსაც, რომლებიც განსაკუთრებით მეათე საუკუნიდან გახშირდა ჩვენშიაც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, იმ გაუმჯობესებულ გუთანსა თუ სხვა სამეურნეო იარაღებსაც, მეურნეობის ახალ, განვითარებულ კულტურებსაც, ხნულში და კალოზე ჩაღვრილ ოფლსაც; სამშობლოს დასაცავად დაღვრილ ყოველ წვეთ სისხლსა და ერის კეთილდღეობისთვის თეთრად გათენებულ ყოველ ღამეს...

„საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იყო. საერთო-ეკონომიკური აღმავლობა, კერძოდ, ცალკეული რაიონების დაწინაურება მეურნეობის სხვადასხვა დარგში, დღის წესრიგში აყენებდა ქვეყნის გაერთიანების საკითხს“, — წერს მარიამ ლორთქიფანიძე, — „საქართველოს გაერთიანებას, პირველ რიგში, აპირობებს ეკონომიკური აღმავლობა, ამის შემდეგ კი ძირითადი საზოგადოებრივი კლასების დარაზმვა ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლაში, რაც კლასობრივი და ეროვნული მომენტითაა შეპირობებული“... მკვლევარი იქვე ასახელებს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორსაც, რამაც დააჩქარა ქვეყნის გაერთიანების პროცესი — ეს არის „საგარეო საშიშროების საფრთხე“: „უაღრესად მძიმე საგარეო ვითარება საქართველოს წინაშე გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის საკითხს აყენებდა. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან მისი განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა“...

„გაერთიანება მომზადებული იყო წინა ევოლუციით — საქართველოს ცალკეულ ნაწილთა კულტურული და ენობრივი

ერთიანობით, მათი ეკონომიკური ურთიერთსწრაფვით, პოლიტიკური აუცილებლობით, — წერს ვახტანგ ბერიძე, — ...X ს-ის უკანასკნელი ათეული წლები და განსაკუთრებით XI საუკუნე — უკანასკნელი ეტაპი გაერთიანების წინ — დიდი ეროვნული აღტყინების ხანაა, ხანა დიდი შემოქმედებისა, ხანა, როდესაც ხალხის სულიერი ძალები დაძაბულია დიდი ეროვნული მშენებლობისათვის".

ერთი სიტყვით, დიდი ხნის მანძილზე, მრავალი ათეული წლის განმავლობაში მზადდებოდა ეს ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული აქტი და მას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა.

მეორეს მხრივ, უსამართლობა იქნება, იმ ადამიანის განსაკუთრებული როლიც არ აღინიშნოს, ვის სახელთანაც დააკავშირა ისტორიამ ერთიანი საქართველოს შექმნა; ბაგრატ მესამეს რომ ბრძნული და შორსგამიზნული პოლიტიკა არ გაეტარებინა, მას რომ საოცარი სიმტკიცე და შეუპოვრობა არ გამოეჩინა, ეს სანატრელი დღე ქვეყნის გაერთიანებისა და შეკავშირებისა იქნებ უფრო დაყოვნებულიყო და გაჭიანურებულიყო. ამიტომაც მიუძღვნის დიდ ხოტბას (იქნებ, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულსაცო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს) მემატიანე.

„ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი... და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა... და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის!.."

თავი VI

დიდმა მიწისძვრამ მეფეს... ბედნიერი გადაწყვეტილება მიიღებინა

გიორგი პირველი – დამოუკიდებლობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი ✦ ალორძინებისა და სწრაფი განვითარების გზაზე მდგარი ქვეყანა ✦ მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში აგებული შესანიშნავი ტაძრები. სვეტიცხოველთან დაკავშირებული სევდიანი და ამაღელვებელი ლეგენდა ✦ ბაგრატ მეფე და კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი ✦ „დიდი თურქობა“ ✦ უსახელო ახალქალაქელი გმირები ✦ საშინელი მიწისძვრა, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა ✦ 16 წლის უფლისწული

ბაგრატის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი. თორმეტი წლისა იყო, რაჟამს მეფე იქმნაო, ერთი ისტორიული წყარო გადმოგვცემს; სხვა ცნობის მიხედვით, თექვსმეტი წლისა ყოფილა, როცა მეფედ ეკურთხა.

იმისი შეხსენება, თუ როგორი ქვეყანა ჩაიბარა უფლისწულმა, იქნებ საჭირო არც იყოს. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რა სიმტკიცითა და შეუპოვრობით მიაღწია საქართველოს ბოლო მეფემ — ახალგაზრდა უფლისწულის მამამ — ქვეყნის გაერთიანებას, რა თანმიმდევრულად ატარებდა თავის პოლიტიკას, როგორ შემოიერთა ცალკეული კუთხეები, როგორ დაუნდობლად ებრძოდა ყველას, ვინც გზაზე გადაეღობებოდა და ამ დიდი საქმის შესრულებაში ხელს შეუშლიდა.

ერთი სიტყვით, ტახტის მცირეწლოვან მემკვიდრეს ბაგრატმა დიდი და ძლიერი ქვეყანა ჩააბარა. და თითქოს უზრუნველი მეფობა უნდა რგებოდა გიორგი პირველს: ქვეყანა მოღონიერებული იყო, გაერთიანებული, აყვავებული... მტრები და ორგულები — დათრგუნვილი... მეტი რაღა უნდოდა?! ახლა ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული. მამის პოლიტიკას თუ განუხრელად გაატარებდა,

თუ ძალად არ აშლიდა მამის დალაგებულ ქვეყანას, ყველაფერი სასურველად უნდა წარმართულიყო: თვითონაც მოსვენებული უნდა ყოფილიყო და ქვეყანაც, ხალხიც!..

თითქოს მართლაც სანატრელი ზეობა უნდა პქონოდა ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეს. მოვლენათა ლოგიკური განვითარება თითქოს მართლაც ასეთი უნდა ყოფილიყო!.. მაგრამ ასე არ მოხდა. ქვეყნის მართვასა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებას თავისი ლოგიკა აქვს და, როცა საშინაო მდგომარეობას განვიხილავთ, იქვე გარემოცვა და საერთაშორისო ვითარებაც თუ არ გავითვალისწინეთ, მსჯელობა ხშირად ცალმხრივი გამოგვიეა და მოვლენათა განვითარება ალოგიკური მოგვეჩვენება.

გიორგი პირველის მეფობა მეტად რთული და მძიმე გამოდგა.

მკითხველი ალბათ, ტრადიციის მიხედვით, ახალგაზრდა მეფის დახასიათებას მოელის. ჩვენ უნდა დავარღვიოთ ეს ტრადიცია და სულ სხვა ისტორიული პირის დახასიათება მოვიტანოთ.

იშვიათად რგებია ქვეყნის მბრძანებელს ისეთი ხანგრძლივი ზეობა, როგორც ბიზანტიის კეისარს ბასილ მეორეს არგუნა ბედმა: მას უმეფია 976-1025 წლებში. ლამის ნახევარი საუკუნე! ჩვენ ვიცნობთ ამ კეისარს. ჯერ ისევ უწლოვანი იყო, პირველად რომ შეეხვედით. ალბათ გაგონდებათ შიშით შეპყრობილი ბიზანტიის დედაქალაქი, როცა მას „გალალებული“ ბარდა სკლიაროსი განადგურებით ემუქრებოდა. ისიც გეხსომებათ, რომ იმ საშინელი განსაცდელის დროს, როცა დღე-დღეზე ელოდნენ კონსტანტინოპოლის ქუჩებში მტრის რაზმების გამოჩენას და მაშინდელი მსოფლიოს „ნებიერი ქალაქის“ დარბევას, სასახლეში გამოკეტილ დედოფალს წარუდგინეს ქართველი ბერი თორნიკე. სასახლის კარის იმედები ახლა ამ ბერზე იყო...

ჩვენ ამაზე დაწვრილებით ვისაუბრეთ და ახლა აღარ დავუბრუნდებით. იმასლა შეგახსენებთ, რომ დედოფალმა თავის შვილებს — ორ ობოლ ძმას — უბრძანა, უცხოელი ბერის წინაშე მუხლი მოედრიკათ. ერთ-ერთი ძმა სწორედ ბასილი გახლდათ...

მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იმ ქართველი ბერის მისია მაშინ ბიზანტიის ტახტის მცირეწლოვან მემკვიდრეთა სასიკეთოდ დამთავრდა... მერე ისიც ვნახეთ, რა პირობებში შეხვდნენ ერთმანეთს ბიზანტიელ ტახტის მემკვიდრეთა მაშინდელი მხსნელი ქართველი მეფე და ის ბასილი, ამჯერად უკვე სახელგანთქმული კეისარი, მტრის რისხვა ბასილ მეორე.

ქართველ მეფეს მაშინ ღალატი დასწამა კეისარმა, საშინელი

სასჯელი ელოდა და, ვინ იცის, სიკვდილისგან იქნებ სწორედ იმან იხსნა მოხუცი დავით კურაპალატი, რომ ბიზანტიის მბრძანებელს ბავშვობის მძიმე დღეები გაახსენდა. ზოგჯერ სასტიკი გვირგვინოსნებისთვისაც არ იყო უცხო მადლიერების კეთილშობილური გრძნობა, თუმცა გულჩვილობით არ გამოირჩეოდა ბიზანტიის კეისარი.

თავდაპირველად ბასილი ჩუმი, უფერული ფიგურა იყოო, ეკითხულობთ მის ბიოგრაფიებში... ეს მეფობის დასაწყისში. მალე შეიცვალა ყველაფერი. მალე გახდა ბასილ მეორე „კოლორიტული ფიგურა". სიტყვაძვირობა ბოლომდე შეინარჩუნა (ენაბრგვილიც ყოფილა), მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მეზობელი ქვეყნების რისხვად ქცეულიყო. ენერგიული და ჭკვიანი იყოო, გადმოგვცემენ: ძუნწი არა ყოფილა, ერთგულ ხალხს წარჩინებებსა და ჯილდოებს უხვად ურიგებდა, მაგრამ მიწის ხარბი იყო და ერთ გოჯ მიწას არ გაიმეტებდაო. ეს დამახასიათებელი დეტალია!.. დინჯი და თავშეკავებული ყოფილა, ადვილად ვერ გააგულისებდი, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა, მტრისას! — შებრალების იმედი არავის უნდა ჰქონოდაო. გულღრძო კაცი იყო, იმ მრისხანე საუკუნეებშიაც კი გაუგონარი გულქვაობით გამოირჩეოდაო. შემთხვევით არ იყო, რომ ბულგართმჭეტი შეარქვეს: გაუთავებელი ომები ჰქონდა ბულგარელებთან და მუსრი გაავლო ამ ქვეყანას, ქვა ქვაზე არ დაუტოვებია...

ბულგარელებთან ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, მან მოიგო, დაერია ტყვეებს და 15. 000 ტყვე ბულგარელს თვალები დათხარა. თხუთმეტი ათას ტყვეს! გამარჯვებულზე სავსებით მინდობილ უმწეო ადამიანებს! და ეს მოიმოქმედა გამარჯვებულმა მეფე-სარდალმა, რომელიც გულმოწყალებას უნდა იჩენდეს და წყალობას არიგებდეს! ეს მართლაც გაუგონარი გულქვაობაა.

და კიდევ ერთი შემაძრწუნებელი დეტალი.

ეს თხუთმეტი ათასი სინათლედაშრეტილი ტყვე რაზმებად დაჰყო მეფე-სარდალმა, და თითოეულ რაზმს, რომელშიაც ორივე თვალით დაბრმავებული ასი კაცი იყო, ცალ თვალგამოთხრილი თითო მეთაური თუ მეგზური მიუჩინა — ბულგარეთის მეფეს გაუგზავნა ეს შემაძრწუნებელი საჩუქარი...

ნუთუ მარტო შურისძიების საშინელი ჟინი იყო ეს?! შურისძიება გულქვა გვირგვინოსნისა, რომელიც მტერს მეტისმეტად გაუგულისებია?! არაიშვიათად ეხედებით ისტორიაში ამნაირ ფაქტებს,

თუმცა ასეთი დაუოკებელი შურისძიება სასიკეთოს ვერაფერს ამბობს დიდი ქვეყნის გვირგვინოსანზე.

მაგრამ ახლა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბიზანტიის კეისრის საშინელი სისასტიკე იქნებ მარტო ბნელი შურისძიებით კი არ ავხსნათ, არამედ სხვა რამითაც: ეს იქნება თვალსაჩინო გაკვეთილიც იყო არა მარტო დაუმორჩილებელი ბულგარელებისთვის, რომელთაც აგერ რამდენი ხანია ასე შეუპოვრად ებრძოდა ბიზანტია, არამედ სხვებისთვისაც, იმ ურჩი მოწინააღმდეგეებისთვისაც, რომლებიც ირგვლივ ერტყა იმპერიას და რომელთა წინააღმდეგ გასალაშქრებლადაც ბულგარეთის დამორჩილების შემდეგ „მოიცლიდა“ ბასილ კეისარი. აბა, რომელი მოწინააღმდეგე გაბედავდა ურჩობას ამ შემაძრწუნებელი გაკვეთილის შემდეგ (ეს გაუგონარი გულქვაობა 1014 წლის ზაფხულში მოხდა)?!

აი, როგორი პერსპექტიული მოწინააღმდეგე დახვდა მცირეწლოვან მეფე გიორგი პირველს, რომელიც საქართველოს სამეფო ტახტზე სწორედ 1014 წელს ავიდა, ანუ იმ დროს, როცა ბიზანტიის იმპერატორ ბასილს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდა ბულგარეთთან.

თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალ-ღონე გიორგი პირველმა ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალიარ, წერს იოანე ჯავახიშვილი.

მაგრამ ეს დიდი ბრძოლები გიორგის გამეფებისთანავე არ დაწყებულა. ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეს ჯერ შინა ბრძოლები ელოდა.

ზემოთ ითქვა, ბაგრატ მესამემ შინა მტრები და ორგულები დაიმორჩილა და დათრგუნაო. ეს მხოლოდ დროებითი და მოჩვენებითი გამოდგა. დიდი ფეოდალები თავისასროგორ მოიშლიდნენ, თავისუფალ პარპაშს იყენენ დაჩვეულები და უხმო მორჩილებას როგორ შეურიგდებოდნენ?! როგორც კი ნახეს, ტახტზე მცირეწლოვანი მეფე ავიდა, გადაწყვიტეს, ჩვენი დრო დამდგარაო, მორჩილების ნიღაბი მოიშორეს და გადაუდგნენ. დამახასიათებელია, რომ ეს მოხდა ქვეყნის განაპირა კუთხეში — ჰერეთ-კახეთის დიდგვაროვანმა აზნაურებმა წამოჰყვეს თავი, მეფის ერისთავები შეიპყრეს და ძველი მმართველები დასვეს, ისევ გამოეყვნენ გაერთიანებულ საქართველოს.

სამწუხაროდ, ასე ძუნწად გვაწვდის ამ ცნობას ქართველი მემატიანე და იმას კი აღარ გადმოგვცემს, ყრმა მეფე და სამეფო კარი როგორ შეხვდნენ ამ უსიამოვნო ფაქტს, რომელიც იმითაც იქნებოდა დამაფიქრებელი, რომ, სხვა კუთხეების დიდგვარიან აზნაურებსაც

აღუძრავდა ამნაირი „დამოუკიდებლობის“ სურვილს.

არას ამბობს ამ ფაქტზე უცხოური წყაროებიც. გიორგი პირველის მეფობაზე რამდენიმე უცხოური ცნობა არსებობს, მეტ-ნაკლებად სრული. ეს ცნობები ავსებენ ერთმანეთს, და ქართველი მემატიანეების მონათხრობთან ერთად, კარგად გვიხატავენ დროის იმ მონაკვეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.[1] ამრიგად, ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ შეხედა სამეფო კარი დიდგვარიან აზნაურთა თავნებობას, არ მოგვეპოვება. იქნებ დროებით უყურადღებოდაც კი დატოვეს ეს მოვლენა, რადგან სხვა საქმე მოითხოვდა მთელს გულისყურსა და ძალთა მობილიზებას, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე.

უკვე ითქვა, უცხოური წყაროები ავსებენ ერთმანეთსო. ქრონოლოგიური და ლოგიკური თანმიმდევრობით თუ ავკინძავთ ამ ცნობებს, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის, რომ ყრმა მეფისა და მისი მრჩეველების ყურადღება მაშინ მთლიანად სამხრეთისკენ ყოფილა მიპყრობილი.

ზემოთაც ითქვა, სახალიფოს ღღეები უკვე დათვლილი იყო და ასეთ ვითარებაში ქართველი მმართველების გულისყური იქითკენ იყო მიმართული, მათი მთავარი საზრუნავი ის გახდა, რომ ქართული მიწა-წყალი, რომელიც გარკვეულ პერიოდში მტერს დაეპყრა, ისევ შემოეერთებინათ, სხვას — ამ შემთხვევაში, ბიზანტიას — არ დაესწრო ამ ტერიტორიის დაპყრობა. ასეთი აზრი და გადაწყვეტილება მტკიცედ ჩამოყალიბდა ქართველთა შეგნებაში და იგი ეროვნულ მისწრაფებად იქცა, მთელი ხალხის სულისკვეთებას გამოხატადა. როგორც ვნახეთ, ამ პოლიტიკას ატარებდნენ დავით კურაპალატი, ბაგრატ მესამე... და, ბუნებრივია, ამავე პოლიტიკის გამგრძელებელი იქნებოდა მათი მემკვიდრეც, თუკი იგი თავისი სახელოვანი წინაპრების ღირსეულ მემკვიდრეობას გასწევდა.

დროის ამ მონაკვეთს რომ განიხილავს დიდი რუსი ბიზანტიოლოგი უსპენსკი და ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობის ამბავს გადმოგვცემს, იქვე ახსენებს ამ ქვეყნების მმართველებს და ქართველ მეფე გიორგი პირველს ასე ახასიათებს — наиболее горячий защитник независимости.[2]

---

1. ეს წყაროები ამჟამად ქართულადაც მოგვეპოვება. ისინი საფუძვლიანად შეისწავლეს, თარგმნეს და თავიანთ გამოკვლევებთან ერთად გამოსცეს ჩვენმა მეცნიერებმა სიმონ ყაუხჩიშვილმა, ვალერიან გაბაშვილმა, ელენე ცაგარეიშვილმა, ოთარ ცქიტიშვილმა და სხვებმა.

2. უსპენსკის შრომის ეს ნაწყვეტი გამოაქვეყნა ქართველმა მეცნიერმა ო. ცქიტიშვილმა.

ეს დახასიათება მარტო ახალგაზრდა მეფეზე კი არ გვიქმნის წარმოდგენას, არამედ სამეფო კარისა და მთელი ხალხის განწყობილებასა და სულისკვეთებას გადმოგვცემს.

ყრმა გიორგი რომ ავიდა სამეფო ტახტზე, ბიზანტიის იმპერატორ ბასილს მთელი სამხედრო ძალები ბულგარეთის ფრონტზე ჰყავდა თავმოყრილი. ძალიან დიდხანს გააწვალა ამ ქვეყანამ იმპერატორი, ეშურებოდა, ჩქარა დაეპყრო ბულგარეთი, რათა საიმედო ზურგი ჰქონოდა და მერე აღმოსავლეთში უფრო დამშვიდებულადა და გულდაჯერებით ებრძოლა. აღმოსავლეთში კი დიდი ოპერაციები ჰქონდა ჩასატარებელი. გამოცდილი პოლიტიკოსი, რაღა თქმა უნდა, ყველაზე კარგად გრძნობდა, რომ სახალიფოს დიდი დღე აღარ ეწერა და აღმოსავლეთში კვლავ მტკიცედ უნდა განეცხადებინა ბიზანტიის იმპერიას პრეტენზია თავის ჰეგემონობაზე.

ქართველმა მეფემ და მისმა მრჩეველებმა ხელსაყრელად გათვალეს მომენტი და რაკი ბასილი ბულგარელებთან გააფთრებულ ომში იყო ჩაბმული, მხედრობა დაძრეს, კვლავ დაიკავეს ის მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრეები, რაც რამდენიმე ხნის წინათ დავით კურაპალატმა დაიბრუნა და დავითის სიკვდილის შემდეგ კი ისევ წაიღო ბიზანტიამ. ამ ცნობას ზუსტად ასე გვაწვდის იაპია ანტიოქიელი, მეთერთმეტე საუკუნის არაბი ისტორიკოსი, რომელიც უშუალო მომსწრე იყო იმ ამბებისა.

ბიზანტიისთვის პირველხარისხოვანი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერიტორიას და, რაღა თქმა უნდა, ასე იოლად არც დათმობდა. უნდა ვიგულისხმოთ, ამისი იმედი არც ქართველებს ექნებოდათ, ეს მიწა-წყალი რომ დაიკავეს, განა სულ არა ჰქონიათ წინააღმდეგობის მოლოდინი! მაგრამ რაკი ბასილი ბულგარეთთან ომში იყო ჩაბმული და მთელი სამხედრო ძალა იქა ჰყავდა, ქართველები აქ სუსტ წინააღმდეგობას ელოდნენ. სუსტი წინააღმდეგობის დაძლევა კი, რაღა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა იმ დროისთვის საკმაოდ ძლიერ სამეფოსა და მის მხედრობას.

მართლაც, გაიგო თუ არა ბასილ მეორემ ყრმა ქართველი მეფის კადნიერების ამბავი, წერილი მისწერა (ამ ცნობას უკვე სომეხი მემატიანე გვაწვდის), კატეგორიულად მოითხოვა იმ ტერიტორიის უკანვე დაბრუნება, რაც ერთ დროს დავით კურაპალატს ეპყრა.

ასევე კატეგორიული იყო ახალგაზრდა ქართველი მეფის პასუხიც — ერთ სახლსაც კი არ დავთმობო, ბიზანტიის იმპერატორს უპასუხებდა.

ასეთი პასუხით გაგულისებული იმპერატორი ჯარს გზავნის ქართველი მეფის წინააღმდეგ, რათა ბრძოლით დაიბრუნოს „წართმეული“ ტერიტორია.

ქართველები მომზადებულნი დახვდნენ ბიზანტიის ჯარს („მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ტაოელი ვაჟკაცებიო“, სომეხი მემატიანე გადმოგვცემს), მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს და დაამარცხეს, უკანვე გააქციეს ბერძნები.

ეს იყო ყრმა მეფის პირველი ბრძოლა და პირველი გამარჯვება. თუმცა ქართველები ალბათ თვითონვე გრძნობდნენ, რომ ეს გამარჯვება საბოლოო არ ყოფილა და არც დიდად საამაყო იყო, დიდი სიხარულის საფუძველი არა ჰქონიათ, რადგან, თავისთავად იგულისხმება, მათ მცირერიცხოვანი ჯარი დაამარცხეს, იმპერატორი იმ დროს დიდ სამხედრო ძალას ვერ გამოგზავნიდა აღმოსავლეთით, გააფთრებული ბრძოლების ფრონტს ვერ დაასუსტებდა დასავლეთში.

ამ ფაქტებს რომ გადმოგვცემს სომეხი მემატიანე არისტაკეს ლასტივერტეცი, აშბავს ასე ამთავრებს: ასე მიეცა დასაბამი ტაოს ქვეყნის დაცემასაო.

იაპია ანტიოქიელი პირდაპირ წერს: გიორგი მეფე არც კი ცდილა თავისი შეცდომა გამოესწორებინა; იმის ნაცვლად, რომ მამა-ბიძასავით იმპერატორისთვის ერთგულება გამოეცხადებინა, გაჯიუტდა და ყოყლოჩინობა დაიწყო...

სხვა სხვის ომსა ბრძენიაო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მემატიანეები მას შემდეგ ჰყვებიან ამბავს, როცა უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო და დამარცხებული ქვეყნები დამპყრობლის უღელში გმინავდნენ. შეეძლო თუ არა, ყველაფერი გაეთვალისწინებინა ქართველ მეფეს? როცა მან მამა-ბიძისთვის ბიზანტიელთაგან წართმეული ტერიტორია დაიკავა, ბასილ კეისარი ჯერ ისევ ბულგარეთის წინააღმდეგ იბრძოდა და კაცმა არ იცოდა, ეს ომიც როგორ დამთავრდებოდა... გარდა ამისა, ვინ იყო იმის გარანტიის მომცემი, რომ ბულგარეთის წინააღმდეგ მრავალწლიან ომში გამარჯვებული იმპერატორი იმ ტერიტორიით დაკმაყოფილდებოდა და ახალი ტერიტორიების დასაპყრობად ქვეყნის სიღრმეებისკენ არ გაუწევდა გული?! მთელი წინა ისტორია ხომ ბიზანტიელ და მათ წინამორბედ რომაელ იმპერატორთა ასეთი სიხარბისა და სულწასულობის მწარე გაკვეთილს იძლეოდა?! ჩვენ ხომ ვიცით, რომ აღმოსავლეთში ისე ვერ გამაგრდებოდა ბიზანტია, აღმოსავლეთის ჰეგემონობას ისე ვერ მიაღწევდა, თუ მტკიცედ არ

მოიკიდებდა ფეხს საქართველოში! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბასილ მეორე, თუკი იგი დასავლეთში გაიმარჯვებდა, ადრე თუ გვიან უსათუოდ დაიძრებოდა საქართველოსა და სომხეთის დასაპყრობად. ახლა ისიც ვიკითხოთ, როდის უფრო ადვილად გაუმკლავდებოდნენ ქართველები ბიზანტიის მხედრობას — როცა იგი გამარჯვებით ფრთაშესხმული და გალაღებული იქნებოდა თუ მძიმე ბრძოლებში გაბმულსა და ძალადაქაქსულს? არ შეიძლებოდა, ეს ყველაფერი არ გაეთვალისწინებინათ ქართველ მოღვაწეებს.

არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც, წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათისა, რასაც აგრეთვე ანგარიში უნდა გაეწიოს.

მას შემდეგ, რაც ბაგრატმა ცალკეული კუთხეები გააერთიანა, საქართველო უკვე ძლიერი და გავლენიანი ქვეყანა გახდა. იმდენი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ბოლო ათეულ წლებში, ისეთი ცვლილებები განიცადა ცხოვრების სხვადასხვა სფერომ, რომ ამან ადამიანის ფსიქიკაზეც მოახდინა სასურველი გავლენა. ჯერ კიდევ ცოცხალ მოგონებად ჰქონდათ, როგორც გუშინ მომხდარი ამბავი, და ახალ თაობებს ამაყად უამბობდნენ, როგორ გაუჭირდა ძლიერი ბიზანტიის სამეფო კარს და ძლევამოსილმა ქართულმა მხედრობამ როგორ იხსნა განსაცდელისგან სწორედ ის იმპერატორი, რომელიც ახლა დასავლეთში თვითონ თესავდა შიშს და სისხლის გუბეებს აყენებდა; ქვეყანა მოღონიერდა, სული მოითქვა, გაძლიერდა, ისე ამაღლდა ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო და საერთო სულიერი კულტურის დონე, ისეთი რეზონანსი მიეცა მეზობელ ქვეყნებში და თვით ბიზანტიაში, რომ ეს ადამიანს — ამ ქვეყნის ქვეშევრდომს — საკუთარ თვალშივე ამაღლებდა, ღირსებასა და სიმხნეს ჰმატებდა; საკუთარი ძალის რწმენას უორკეცებდა, აამაყებდა... ის დრო უკვე დიდი ხნის წასული იყო, როცა ხალხს, და განსაკუთრებით კი მმართველ წრეებს თავი ბიზანტიის ვასალად წარმოედგინათ, როცა მთელს ქვეყანაში ეს მორჩილების ვასალური სულისკვეთება სუფევდა.

ახლა სულ სხვა სურათი იყო, ახლა ყველაფერი შეცვლილიყო, ქვეყანა მოღონიერდა, ეკონომიკურად გაძლიერდა, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია; ახლა ბიზანტიას ტოლს არ უდებდნენ — თითქმის ცხოვრების არც ერთ სფეროში — პოლიტიკაშიაც, სამხედრო საქმეშიაც, კულტურის სხვადასხვა სფეროში... ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რა ამაყად ეპაექრებიან ქართული კულტურის მოღვაწეები ბიზანტიელებს...

აი, ასეთი განწყობილება იყო ქვეყანაში, როცა „დამოუკიდე-

ბლობისთვის დაუცხრომელმა მებრძოლმა“ მეფემ თავისი მხედრობა დაძრა და ცოტა ხნის წინათ უსამართლოდ წართმეული ტერიტორია დაიკავა.

ეს საკითხები თუ არ გავითვალისწინეთ, ისე ძნელი იქნება შეფასება ახალგაზრდა მეფის და სამეფო კარის მოქმედებისა.

თუმცა ამისი შეფასება არც განგვიზრახავს: ჩვენ იმას ვცდილობდით, არსებული ისტორიული ცნობები ერთმანეთისთვის მიგვესადაგებინა და ფაქტიური მდგომარეობა დაგვეხატა, ამასობაში კი ცოტათი წინ გავიჭერით.

პირველი იოლი გამარჯვების შემდეგ გიორგი მეფე გულხელდაკრეფილი არა მჯდარა. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბასილ მეორის ბრძოლებს დასავლეთში და იმპერიის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციას ამზადებდა.

ბულგარეთის დასაპყრობად გააფთრებული ბრძოლები კი კვლავ გრძელდებოდა. ბულგართმჭლეტი კვლავ არაადამიანურად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეს.

როგორც ცნობილია, ეს ხანგრძლივი ომი 1018 წელს ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა. ბულგარეთის დამარცხება ლახვარი გამოდგა აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნებისთვისაც — საქართველოსა და სომხეთისთვისაც. ამიერიდან ბასილ მეორეს უკვე შეეძლო მთელი სამხედრო ძალები აღმოსავლეთში გადმოესროლა. ბერძნების შემოტევა გარდაუვალი იყო, ომს დღე-დღეზე მოელოდნენ. და ამ დროს, ეტყობა, უფრო გააქტიურდა, ქართველი მეფე, უფრო დააჩქარა ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა.

ზოგ გამოკვლევაში ჩამოთვლილნიც არიან ამ დიდი კოალიციის მონაწილენი. ესენი არიან მეზობელი ქვეყნების მმართველები — მეფეთა მეფე იოანე, სუმბატი, მისი ძმა აშოტი, ვასპურაკანის მეფე სენექერემი (სხვათა შორის, სენექერემი სიმამრი იყო მეფე გიორგისა), იბნ ადდაირანი ანუ დერენიკი. შეთქმულებს, როგორც ეტყობა, კავშირი ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიაში შემავალ მცირეაზიელ დიდებულებთან ნიკიფორე ქსიფესთან და ნიკიფორე ფოკასთან, რომლებიც თავად უკმაყოფილონი იყვნენ კეისრისა, თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ და აჯანყებას ამზადებდნენ. იქნებ უმნიშვნელო არ იყოს ის ფაქტი, რომ ნიკიფორე ფოკა, რომელსაც წარვიზს უწოდებდნენ (ასევე მოიხსენიებენ მას ქართველი მეისტორიენი) შვილი იყო ცნობილი ბარდა ფოკასი. თქვენ ალბათ ისიც გახსოვთ, რომ ბარდა ფოკა დავით კურაპალატთან მეგობრობდა, და ერთ დროს სწორედ ბასილ მეორის

წინააღმდეგ მოაწყვეს შეთქმულება. ამის გამო უყურებდა იმპერატორი მის შვილს — ახლანდელი შეთქმულების მონაწილე ნიკიფორე ფოკას — ეჭვის თვალით, დაჩაგრული ჰყავდა, მამის დანაშაულს ხშირად შეახსენებდა, ღირსეულად არ აფასებდა, შესაფერ თანამდებობას არ აძლევდა (ყოველ შემთხვევაში, თვით ნიკიფორეს ასე ეჩვენებოდა და ამიტომაც მოხერხდა შეთქმულებაში მისი ჩათრევა); არც ის უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტი, რომ მცირეაზიელ დიდებულთა შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ქართველი დიდგვაროვანი ფერსი ჯოჯიკის ძე და მისი სიძე ანდრონიკე. ჩვენ ვიცნობთ ამ ფერსი ჯოჯიკის ძეს, მამლანის წინააღმდეგ ომის მონაწილეს დავით კურაპალატის დროს. ადვილი შესაძლებელია, სწორედ ამ ქართველი დიდებულისა და განთქმული მხედართმთავრის საშუალებით დაუკავშირდა მეფე გიორგი ბერძენ დიდებულებს. უმნიშვნელო არ არის ის ფაქტი, რომ ფერსი ჯოჯიკის ძე სიძე იყო მეფისა — ბაგრატ მესამის ასული, ანუ გიორგის და ჰყავდა ცოლად.

იყო კიდევ ერთი მონაწილე ამ დიდი კოალიციისა და სწორედ მისი მონაწილეობაა ახლა ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებო, რადგან ამით მტკიცდება, რა სიფრთხილით მზადდებოდა ანტიბიზანტიური ბლოკი, რათა გამარჯვების სრული გარანტია ყოფილიყო. კოალიციის ეს მონაწილე გახლდათ ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმი. მასთან მიწერ-მოწერა ჰქონია ქართველ მეფეს.

იაჰია ანტიოქიელის ცნობით, გიორგი პირველი ეგვიპტის ხალიფას კონკრეტულ მითითებას აძლევდა — ერთობლივად დაეწყოთ ბრძოლა ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ: ქართველთა მხედობა ჩრდილოეთიდან შეუტევდა, და ერთდროულად ალ-ჰაქიმი სამხრეთიდან დასძრავდა თავის ლაშქარს; იმპერატორი ორ ცეცხლს შუა მოექცეოდა . ქართველებს სომეხი მმართველები მიეშველებოდნენ თავიანთი ჯარით... და ამ დროს ალბათ თვით ბერძენი დიდგვაროვანი შეთქმულებიც აჯანყდებოდნენ.

კოალიციის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ამას ძველი საისტორიო წყაროები ადასტურებენ, და ამ წყაროებზე დაყრდნობით ასეთ დასკვნამდე მიდიან დიდი მეცნიერი უსპენსკიცა და ჩვენი თანამედროვე მეცნიერებიც. ხოლო რაკი ანტიბიზანტიური კოალიცია არსებობდა, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს, მისი მოქმედების თანამიმდევრობა ისე ვიგულისხმოთ, როგორც ზემოთ ჩამოვაყალიბეთ.

როგორც ვხედავთ, შეთქმულება კარგად ყოფილა მოფიქრებული, ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონიათ, და ბასილი მართლაც ცუდ

ღღეში აღმოჩნდებოდა, თუ შეთქმულების მონაწილენი ერთსულოვნებას არ დაარღვევდნენ, საერთო საქმეს არ უღალატებდნენ და ყველაფერი ისე აეწყობოდა, როგორც თავიდან ჰქონდათ დაგეგმილი.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. იშვიათად მომხდარა, რომ ასეთი დიდი სამხედრო-პოლიტიკური შეთქმულებანი ზუსტად წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით განხორციელებულიყოს და ნაწილობრივ მაინც არ გამჟღავნებულიყოს.

პირველად გიორგი მეფისა და ალ-ჰაქიმის მოლაპარაკების ამბავი გაუგია იმპერატორს. რაღა თქმა უნდა, განრისხდებოდა იმპერატორი. ასევე წერს არაბი ისტორიკოსი, რისხვით აღივსოო.

მაგრამ პოლიტიკურ ინტრიგებსა და სამხედრო საქმეებში გამობრძმედილმა ბასილმა გარეგნულად არ შეიმჩნია ეს, არც არავისთვის გაუნდვია თავისი ზრახვები. სირიაში მიედივარ სალაშქროდაო, გამოაცხადა და ჯარის მომზადება ბრძანა.

ეს, რაღა თქმა უნდა, არავის გაჰკვირვებია და მაშინვე გაფაციცებით შეუდგნენ სამზადისს.

სინამდვილეში ეს სხვისთვის თვალის ახვევა იყო. მართლა სირიისკენ კი არ ემზადებოდა იმპერატორი, საქართველოსა და სომხეთზე გალაშქრება გადაეწყვიტა. კარგად რომ დაეფარა თავისი განზრახვა, ანტიოქიისკენ დაიძრა სურსათი, საჭურველი, დამხმარე მებრძოლი რაზმები. და უცებ ხმა გავრცელდა ბიზანტიაში — ეგვიპტის მბრძანებელი ალ-ჰაქიმი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. ეს მოხდა 1021 წლის თებერვალში. და ეს იყო არა მარტო უწყინარი პრელუდია იმ დიდი ომისა, რაც სომხეთ-საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო, არამედ პირველი ლახვარიც მეფე გიორგისთვის, რომელიც ამ უცნაური ცნობის გაგონებაზე ბევრ რამეს ინიშნებდა და მიხვდებოდა.

ამის შემდეგ ბევრი აღარ დაუხანებია ბიზანტიის იმპერატორს, დაძრა წინასწარ საგულდაგულოდ მომზადებული მრავალრიცხოვანი ბერძნებისა და უცხოელებისგან შემდგარი ლაშქარი და გაემართა არა სირიისკენ, როგორც წინასწარ ჰქონდა გამოცხადებული, არამედ კავკასიისკენ. ბასიანის მისადგომებთან დაიბანაკა.

იქვე მახლობლად დაბანაკდა ქართველთა ლაშქარიც.

„დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე, და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას“, გვაუწყებს მემატიანე.

ბრძოლას არ იწყებდნენ არც ბერძნები, რომლებიც საბრძოლვე-

ლად მოვიდნენ და არც ქართველები. ახლოს კი იყვნენ ერთმანეთთან, ხედავდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის ხმა ესმოდათ.

ახლა უკვე პირისპირ შეიყარნენ ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა, ბრძოლებსა და დიპლომატიაში გამოუცდელი ქართველი მეფე და მრავალრიცხოვან სამხედრო თუ პოლიტიკურ ბრძოლებში გამოწრთობილი, ბრძენი, ცბიერი და დაუნდობელი იმპერატორი ბიზანტიისა.

იგი ამ ახალგაზრდა ქართველი მეფის მამასაც იცნობდა, პაპასაც, სახელოვან მამობილსაც... სულ სხვადასხვა ვითარებაში შეხვედროდა მათ.

ახლა კი, აგერ, მათ მემკვიდრესთან, ჯერ ისევ საესებით ახალგაზრდა ქართველ მეფესთან საომრად გამოსულიყო.

ერთმანეთის მახლობლად დაბანაკებულიყვნენ და ელოდნენ.

რას ელოდნენ?

თუკი საბრძოლველად გამოემართა განრისხებული იმპერატორი, რაღას უცდიდა — ქართველთა ლაშქარი იქვე ცხვირწინ ჰყავდა. ერთი ნიშანი იყო საკმარისი, რომ კონსტანტინეპოლიდან საბრძოლველად წამოყვანილი ურიცხვი ლაშქარი მოწინააღმდეგეს მისეოდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდებოდა...

არა, იოლი არ იქნებოდა ეს ბრძოლა. მართალია, ბასილი მოვიდა „ყოველითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხვითაო", ქართველი მემატიანე გვამცნობს, მაგრამ მოუმზადებელი არც ქართველი მეფე დახვედრია: არაბი ისტორიკოსის ცნობით, გიორგის მთელს საქართველოში შეუკრებია ჯარი (ეს თავისთავად დიდი ძალა იყო) და ამასთან „დასახმარებლად მოუწვევია, ვინც კი შეეძლო უცხოელებიო". ზემოთ რომ სომეხი მმართველები ვახსენეთ, ანტიბიზანტიური კოალიციის მონაწილენი, იმათი ლაშქრები ახლა გიორგისთან იქნებოდნენ.

იმპერატორი, ეტყობა, მოერიდა შებმას, სცადა დაეზოგა ჯარი, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბრძოლები ბევრი ელოდა, და მოლაპარაკება დაიწყო ქართველ მეფესთან. ქართველი მემატიანე ამაზე არას გვეუბნება, იქნებ გამორჩა, იქნებ შემდეგი დროის გადამწერლებმა შემთხვევით გამოტოვეს... ზოგი უცხოური წყარო ასეთ მოლაპარაკებას მიგვანიშნებს. უსპენსკი პირდაპირ წერს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ შრომაში: император «пытался войти отсюда (იმ ადგილიდან, სადაც ბანაკი დასცა) в сношение с Георгием, чтобы убедить его в бесполезности сопротивления» (ამოდენა ლაშქარიც

იმიტომ ახლდა, უფრო შთამაგონებელი და დამაჯერებელი ყოფილიყო მისი შეგონება, და ბრძოლა კი მხოლოდ მაშინ დაეწყო, თუკი ასეთი „ფსიქოლოგიური შეტევით“ ვერ მოახერხებდა ქართველი მეფის დარწმუნებას). ჩემი ვასალი უნდა გახდე, მიწა-წყალი დამითმო და ბრძოლებში დამეხმაროო, ამას სთავაზობდა იმპერატორი. მაგრამ იმავე უსპენსკის დახასიათებით ჩვენ ხომ ვიცით, რომ ახალგაზრდა ქართველი მეფე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო. თავისუფლებას ასე ადვილად როგორ დათმობდა?! მით უმეტეს, რომ გული საგულეს ჰქონდა: ჯერ ერთი, მოკავშირეების დახმარებასაც ეყრდნობოდა (უსპენსკი იქვე წერს: «возлагал много надежд на свое войско и на обещание помощи со стороны соседей...»), დღე-დღეზე ელოდა აგრეთვე ცნობას ბერძენ დიდებულთა აჯანყების შესახებ, თან იქნებ ალ-ჰაქიმის უცნაური დაკარგვის ამბავი მას ჯერ არ გაეგო და იმის მოლოდინშიაც იყო, როდის შემოუტევდა ბიზანტიას სამხრეთიდან ეგვიპტის ხალიფა!

აი, ასე უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, ასეთი იქნებოდა მოვლენათა ვითარება, როცა ორივე ლაშქარი ბასიანის მახლობლად იყო დაბანაკებული „მრავალდღე და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას...“

მოლაპარაკება ფუჭი გამოდგა. ბასილი, ეტყობა, ვერც მოფერებითა და ვერც მუქარით ვერას გახდა, ახალგაზრდა მეფე ვერ გატეხა.

და ამ დროს მოხდა უცნაური რამ: საბრძოლველად გამზადებული ქართული მხედრობა ერთბაშად აიყარა და ეს ამოდენა ლაშქარი უკან გაბრუნდა. გიორგი მეფე ბრძოლას მოერიდაო, ქართველი მემატიანე გადმოგვცემს.

რა მოხდა? ასე ერთბაშად რამ შეაცელევინა გადაწყვეტილება მეფეს? ბერძენთა ლაშქრის სიმრავლე სულაც არ უნდა ყოფილიყო მისთვის მოულოდნელი, იმას თუ ვიფიქრებთ, რომ მოწინააღმდეგისა შეეშინდა და გაბრუნდაო. თანაც, მტრის ლაშქარი ხომ თავიდანვე იხილა და თუ მართლა შეშინდა, თავიდანვე გაბრუნდებოდა, აღარ დააყოვნებდა.

მაშ, რა მოხდა?

იქნებ აქამდე არ იცოდა და ახლაღა გაიგო გიორგიმ თავისი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირის ალ-ჰაქიმის უბედურების ამბავი?

სავსებით შესაძლებელი ვარაუდია.

შეგვიძლია ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც გავიხსენოთ. სომეხი მემატიანის გადმოცემით, ზემოთ ნახსენები მოკავშირეები გიორგისა

მეფეთამეფე იოანე-სუმბატი და ეასპურაკანის მბრძანებელი სენექერემი იმპერატორს შეუთანხმდნენ და თავიანთი სამფლობელოები ბიზანტიას გადასცეს. ეს მოხდა სწორედ იმ ხანებში, და ვინ იცის, როცა ბასილი მშვიდობიანი გზითა და ნებაყოფლობით ცდილობდა ქართველი მეფის დამორჩილებას, პარალელურად იქნებ ასეთივე მოლაპარაკება პქონდა მის მეზობლებთანაც, და ისინი დაარწმუნა, დაითანხმა. საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანი არგუმენტი ჰქონდა მასასეთი დარწმუნებისთვის. ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ესე იგი, მოკავშირეები იქნებ გაემიჯნენ გიორგის და, იგულისხმება, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლიდანაც გამოითიშნენ...

ასე იყო თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ქართველმა მეფემ ერთბაშად აპყარა თავისი ლაშქარი და უკანვე მიიქცა.

ლაშქარი, როგორც უკვე ითქვა, დიდი იყო და მეფე, ეტყობა, წინ მიუძღოდა მას. ძალიან გრძლად გაიჭიმა ეს ლაშქარი — წინმავალნი რომ მესამე სოფლიდან გადიოდნენ, უკანმავალთ ის იყო ფეხი შედგეს პირველ სოფელში. ასე რომ, მეფემ გვიან გაიგო, რა მოუვიდათ უკანმავლებს.

გამოცდილმა ბასილმა, ეტყობა, დააცადა მოწინააღმდეგეს და, როცა თვალს მიეფარნენ და გრძლად გაიწელნენ, მაშინლა წამოეწია და კაფვა დაუწყო არიერგარდს. ეს მოხდა სოფელ შირიმთან. „შეკრბეს უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი ბასილისნიო“, გვაუწყებს მემატიანე.

ქართველები გვიან მოეგნენ გონს და მეფესაც „გვიანად ეწია ხმა... ვითარმედ ომი არს უკანამავალთა ზედა“. ამ დროისათვის ქართველებს მძიმე დანაკლისი განეცადათ, მაგრამ, ეტყობა, ბერძნებიც საგრძნობლად დაზარალდნენ — „მოისრნეს ორკერძოვე მრავლად“.

მეფემ რომ გაიგო ბრძოლის ამბავი, სწრაფად მოატრიალა ცხენი და ბრძოლის ველისკენ გაქუსლა.

მემატიანე განსაკუთრებული გულისტკივილით გვამცნობს დიდებულების ხურსისა და ლიპარიტის ძის რატის მოკვლას. თქვენ ალბათ სახელების მიხედვით ხედებით, რომ ეს რატი ორბელიანების შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, ბაღვაში.

საინტერესოა, როგორ აგვიწერს ბრძოლას სომეხი მეისტორიე. ჯარები... საზარელი გრიალით ეკვეთნენ ერთმანეთს. მახვილებისა და მუზარადების ნაპერწკლები ირგვლივ მთებს ეფინებოდა. იმპერატორიც კი გაკვირვებული შეჰყურებდა ქართველი მეომრების

სიმამაცეს, რომლებიც ნიაღვარივით მიეხეთქნენ ბერძენთა ლაშქარს და უკუაქციეს.

ბრძოლა ჩილდირის ტბის მახლობლად გაჩაღდა. ტბას ირგვლივ ბალახით დაფარული ჭაობიანი ადგილები ერტყა და სწორედ ეს ჭაობი გახდა დიდი მთავარი რატისთვის საბედისწერო. ცხენი ჭაობში ჩაეფლო და მანამ მხედარი რამეს მოახერხებდა, ბერძნები მივარდნენ და მახვილით განგმირეს.

მეფე თვითონ აძლევდა მეომრებს გმირობისა და მამაცობის მაგალითს და თავიანთთვის უხერხული დასაწყისის მიუხედავად, ქართველებმა მაინც იმძლავრეს, დიდი ზარალი მიაყენეს ბერძენთა ლაშქარს, ნადავლიც ბევრი დარჩათ. ბრძოლის ბედი ქართველთა სასარგებლოდ შემოტრიალდა და ბასილსა და მის მხედრობას გასაქცევად წაუვიდათ საქმე. — „სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე", — გვაუწყებს მემატიანე.

მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი გაუგებრობა, რისი ახსნაც ახლა ძალიან ძნელია, ალბათ სამუდამოდ ბურავს იდუმალების წყვდიადი.

გასაქცევად გამზადებული მხარე კი არ გაიქცა, გამარჯვებულებმა დაჰკრეს ფეხი და გამოიქცნენ!

რა მოხდა?

ნუთუ ღალატი იყო?

სხვით აბა რითი უნდა აიხსნას ეს გაუგებრობა?! სხვას აბა რას უნდა შეეტრიალებინა ასე ბედის სასწორი?! ასეთი შეცდომა რატომ უნდა მოსვლოდა გამარჯვებულ ლაშქარს?!

სადაც ქართველების გამარჯვებისა და გასაქცევად გამზადებული ბერძნების ამბავს გვატყობინებს მემატიანე, იქვე, იმავე სიტყვების გაგრძელებად, იგივე მემატიანე გვაუწყებს: „ხოლო ვითარ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს".

სულმოკლეობა ადამიანური სისუსტეა და სულაც არ გვინდა დავიჟინოთ, ასეთი სისუსტე ქართველ მეომრებს არასდიდებით არ მოუვიდოდათო. მაგრამ აქ, ამ სიტუაციასა და ამ კონტექსტში ეს არ არის ის სიტყვა, რასაც შეუძლია საქმის ნამდვილი შინაარსი აგვიხსნას. იმიტომაც ვახსენეთ ის მეორე არანაკლებ უსიამოვნო და არანაკლები ადამიანური სისუსტის გამომხატველი სიტყვა, რომელიც იმ სიტუაციაში თითქოს უფრო დასაბუთებულად აგვიხსნიდა გამარჯვებული მხედრობის უცნაურსა და მეტად სამწუხარო — ეს კიდევ ცოტაა — სავალალო და საბედისწერო საქციელს...

ასე იყო თუ ისე, გამოქცეულ მხედრობას უკან დაედევნა ბერძნების დიდი ლაშქარი.

ქართველი მემატიანე ძალიან მოკლედ გადმოგვცემს, რა მოხდა შემდეგ. ქართველები რომ გამობრუნდნენ, „წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დახოცნეს ურიცხუნი პირითა მახვილისათა. მოუწია ლაშქარმან არტანს, ტყუე ყვეს და მოაოხრეს არტანი“.

მემატიანე არ ამბობს, მაგრამ, ეტყობა, ლაშქარი პანიკამ მოიცვა და დაიშალა.

მეფე თრიალეთისკენ გაეშურა, რათა დაშლილი ჯარი კვლავ შეეკრა და ახალი მაშველი ძალები გამოეთხოვა („მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“). ეს მან კარგად მოახერხა. მაგრამ ვიდრე მეფე კვლავ შეკრებდა ლაშქარს და საბრძოლველად მოეშზადებოდა, გამოდევნებულმა მოწინააღმდეგემ ჯავახეთი აოხრა და თრიალეთში გადავიდა („ასწყვიდა ქუეყანა ჯავახეთისა, და გარდავიდა თრიალეთს“).

ისევ პირისპირ აღმოჩნდა ორი ლაშქარი — მოულოდნელი გამარჯვებით ფრთაშესხმული ბასილის მხედრობა და გიორგის ახლადშეკრებილი ჯარი, მოძმეთა სისხლის აღებისა და შურისძიების რისხვით აგზნებული.

ახლა თრიალეთში უნდა გამართულიყო გადამწყვეტი ბრძოლა და ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა საბოლოოდ საქმე...

მაგრამ კვლავ რაღაც მოხდა. კვლავ გაუგებრობა თუ სხვა რამ... არ დაანებეს ბრძოლა მეფეს („გარნა დაუშალეს შებმა“).

იმპერატორი უკანვე გაბრუნდა — ისევ გადაქცელა ჯავახეთი და არტანი. „და კუალად უბოროტესადრე შურისგებით მოაოხრნა ქუეყანანი იგი“.

უცხოელი ავტორები უფრო კონკრეტულად წარმოგვიდგენენ იმ საშინელებათა სურათს, რაც ბიზანტიის კეისარმა საქართველოში დაატრიალა. არაბი ისტორიკოსის ცნობით, „კეისარმა გადაწვა (მოწინააღმდეგის) მიწა-წყალი, მიიტაცა სურსათი, დაატყვევა, მოკლა და დააბრმავა 200. 000 ადამიანი“...

ახლა სომეხ მემატიანე არისტაკეს ლასტივერტეცს მოვუსმინოთ: „...საწყალობელი და ცრემლისმომგვრელი სანახაობა იყო აქ, რადგანაც მაღალი სამეფო სასახლეები და ტაძრები, რომლებიც დიდი ხარჯითა და ხუროთმოძღვართა ოსტატობით იყო ნაშენი მხილველთა განსაცვიფრებლად და მცხოვრებთა სიხარულით დასატკბობად, გადაიწვა, დაინგრა და განადგურდა. ხოლო მათი პატრონები მათთან

ერთად მახვილით ამოწყდნენ... ძუძუმწოვარა ყრმებს ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით და დედის რძეს ყრმების სისხლს ურევდნენ, სხვებს გზაჯვარედინებზე ცხენების ჩლიქებშიაგდებდნენ და ხოცავდნენ. ვაი ღმერთო, შენ მოწყალეობას იმ დროს, ვაი მეფის შეუბრალებელ ბრძანებას. მაგრამ ამით არ დამცხრალა მისი რისხვა, მან კვლავ აღმართა ხელი, რათა ყველა ბოროტებისათვის გადაეჯარბებინა. ასე გაუკაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა. ზამთრის მოსვლამდე აოხრდა და დაცარიელდა ირგვლივ ყოველივე".

დაუწერელი კანონებით მართავდა ქვეყანასო, ერთი ისტორიკოსი წერს ბასილ მეორეზე. არც ომის კანონების დაცვა იცოდა ბიზანტიის იმპერატორმა.

ასე გაქელა და მოაოხრა მთელი მხარე, მაგრამ დაპყრობით მაინც ვერ დაიპყრო და დაიმორჩილა ქვეყანა. ამასობაში, ეტყობა, ზამთარი მოახლოვდა და იმპერატორმა სახიფათოდ მიიჩნია თოვლიან მთებში თარეში, საცა ყველა ბორცვისა ოუ გორაკის უკან ჩასაფრებული ეგულებოდა თავისი დამოუკიდებლობისთვის ასე დაუცხრომლად და თავგამეტებით მებრძოლი ხალხის რაზმები, გადაწყვეტა გაცლოდა ამ საშიშ მთებს და ბარში „დაეზამთრებინა", ტრაპიზონის მახლობლად.

ის ზამთარი უქმად არ გაუტარებია ტრაპიზონში ბიზანტიის იმპერატორს. იგი შეუდგა ფლოტის მომზადებას, რათა გაზაფხულის დადგომისთანავე ზღვიდან მისდგომოდა საქართველოს და ახლა ბარიც დაერბია, ასე დაემთავრებინა ამ ქვეყნის დაპყრობა. ამავე დროს სომხეთის მეფეებთან ჰქონდა მას დიდი მოლაპარაკება, ალბათ ადრევე დაწყებული. ბევრი მუქარისა თუ ჩიჩინისა და შეგონების შემდეგ კეისარმა, ეტყობა, გატეხა ისინი, დაძლია მათი წინააღმდეგობა. როცა რომელიმე ამათგანის დაყოლიება გაუძნელდებოდა, ცბიერი კეისარი ნაცად ხერხს მიმართავდა — იმით გაუადვილებდა გადაწყვეტილების მიღებას, რომ ახლავე კი არ წაართმევდა სამეფოს, ახლა წერილობით ვალდებულებას ჩამოართმევდა, ანდერძს დააწერინებდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი მიწა-წყალი ბიზანტიას გადაეცემოდა. ასე აიძულა, მაგალითად, ანისის მეფე, თავისი მიწა-წყალი ანდერძით ბიზანტიისთვის დაეტოვებინა. აქ დაიწერა სომხების დაღუპვის წერილიო, ნაღვლიანად შენიშნავს სომეხი მემატიანე. არისტაკეს ლასტივერტეცს არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ ამით ბიზანტიაც იღუპავდა თავს — მთელი ეს ლაშქრობა, სომხეთ-

საქართველოს წინააღმდეგ, მის დაღუპვას აჩქარებდა: სიხარბემ რა ქნა და, ყველა დაკარგაო...

მაგრამ წინ ნუ გავიჭრებით, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ანისით არ დაკმაყოფილებულა კეისარი: იაპია ანტიოქიელი გადმოგვცემს, რომ „ამ დროს (ესე იგი, იმ ზამთარს, 1021-22 წელს, კეისრის ტრაპიზონში ყოფნისას) ვასპურაკანის მეფე სენექერემმა გადასცა მას მთელი ვასპურაკანი, თავისი ციხე-სიმაგრეებით". ასევე მოიქცა მისი მეზობელი იბნ-ად-დაირანიც, მანაც ჩააბარა თავისი ციხე-სიმაგრეები ბიზანტიის კეისარს (40-ზე მეტი ციხე-სიმაგრეო, არაბი ისტორიკოსი გადმოგვცემს). ზემოთაც ითქვა, ასეთ შემთხვევებში ჯილდოებზე უხვი იყო ბასილ კეისარი. არც ახლა გამოუჩენია სიძუნწე — წყალობით აავსო დამორჩილებული ვასალები.

ქართველი მეფე, ეტყობა, შორიდან ადევნებდა თვალს კეისრის მოქმედებას. ხედავდა, რომ იქით ბიზანტიის დიდი ფლოტი მზადდებოდა მის სამეფოში შესაჭრელად, აქეთ კიდევ ასეთი ამბები ხდებოდა. იფიქრა ალბათ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო და, ეტყობა დაზავება არჩია. მოციქული მიუგზავნა იმპერატორსო, არაბი ისტორიკოსი გვატყობინებს, პატიება უთხოვია (ქართველი მემატიანე უფრო ზოგადად და რბილად გადმოგვცემს ამას — ვიდოდეს მათ შორის მოციქული ზავისა და სიყვარულისთვისო).

ბიზანტიის იმპერატორსაც მეტი რა უნდოდა — ქვეყანა ააოხრა, ხალხი გაჟლიტა, სურსათი და დოლათი გაზიდა. ახლა აქაურმა მეფეებმაც მორჩილება გამოუცხადეს! ერთი სიტყვით, თავისი გააკეთა, საწადელს მიაღწია. რაღა თქმა უნდა, მაშინვე მიიღო ქართველი მეფის შეთავაზება და იმავე მოციქულს თურმე თავისი დელეგაციაც გააყოლა — ბერძენი დიდებულები და მოხელეები.

სასიკეთო იყო ეს თუ სავალალო, თითქოს ყველაფერი დამთავრდა. დელეგაცია მეფესთან მოლაპარაკებას დააგვირგვინებდა, მორჩილების ფიცს ჩამოართმევდნენ ქართველებს და ამდენი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ქვეყანაც დამშვიდდებოდა (ამას თუ შეიძლება დამშვიდება და მოსვენება ეწოდოს!).

თითქოს ყველაფერი დამთავრდა... მაგრამ ახალგაზრდა ქართველ მეფეს აშკარად არა სწყალობდა ბედი.

ერთხელ ვთქვით და მერე აღარ გაგვიხსენებია, როგორ წარიმართა იმ შეთქმულების საქმე, რაც ბიზანტიაშივე, მცირეაზიელ დიდებულთაგან მზადდებოდა იმპერატორის წინააღმდეგ. როგორც

ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, შეთქმულები ვერ შეთანხმდნენ და შეთქმულება შეთქმულთათვისვე გამოდგა საბედისწერო. პირველი განწირული სწორედ ის აღმოჩნდა, ვინც ყველაზე გვიან და დიდი ჩიჩინითა და შეგონებით ჩაითრიეს შეთქმულებაში. ეს იყო ნიკიფორე ფოკა. საქმე ის არის, რომ შეთქმულების მოთაეენი, ორივე დიდებული — ქსიფეცა და ფოკაც — ერთმანეთს ატყუებდნენ (ასე გადმოგვცემს იაპია ანტიოქიელი), თავის გულში ორივე იმას ფიქრობდა, როცა საბოლოოდ გაეიმარჯვებთ და ბასილს დავამხობთ, იმპერატორი ხომ ერთი უნდა იყოს, გამარჯვების მონაწილე და მოზიარე რაღას მჭირდება, მთელი მოპოვებული სიკეთით მარტო მე ვისარგებლებ, იმპერატორიც მე გავხდები და სრული დიდებაც მე მექნება, სხვას რატომ უნდა გაეუყოო...

ერთიც ასე ამბობდა და მეორეც. თავის გულში, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს ხომ არ გაუმხელდნენ!

დღენიადაგ იმას ფიქრობდნენ, კონკრეტულად ზომავდნენ და წარმოიდგენდნენ ხოლმე, როგორ დატრიალდებოდა საქმე. როგორ უნდა ემოქმედათ გამარჯვების შემდეგ. ამაზე ალბათ უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე აჯანყების ორგანიზაციასა და მარჯვედ დამთავრებაზე და, რაკი შეთქმულება გაგრძელდა და გაჭიანურდა, ნაადრევად შეიძულეს ერთმანეთი. ქსიფეს მოეჩვენა, ნიკიფორე ფოკას მეტი მომხრე და მხარდამჭერი ჰყავსო. მართლაც დიდი სიყვარული და პოპულარობა ჰქონდა ხალხში... განსაკუთრებით კაპადოკიაში, სადაც ფოკას გვარს დიდი გავლენა ჰქონდა, ახლობლებიც ბევრი ჰყავდა იქა. აჯანყება კი უმთავრესად კაპადოკიელთა მხარდაჭერის იმედით მზადდებოდა. ეჭვით გულგავსებულმა ქსიფემ მოტყუებით დაიბარა ერთ დღეს ფოკა — სასწრაფოდ მოდი, აჯანყების თაობაზე უნდა მოგელაპარაკოო. ფოკა მაშინვე გამოცხადდა დანიშნულ ადგილას. ტკბილად მოიკითხეს ერთმანეთი, მოილაპარაკეს, ტკბილადვე დაშორდნენ ერთმანეთს, და როცა ფოკა გაბრუნდა (იგი ჯორზე იჯდა), მოსყიდული მსახური მიეპარა, თავში კომბალი ჩასცხო, ძირს ჩამოაგდო და მოკლა. მოსჭრა თავი და ქსიფეს მიართვა[1]

1. არისტაკეს ლასტიეერტეცი კონკრეტულად ასახელებს მკელელს — ფოკა მოკლა სენექერიმშაო. თავიდან სენექერიმი „აჯანყებულთა ერთგული თანამზრახველი იყოო", გადმოგვცემს სომეხი ისტორიკოსი. მერე მიხვდა, რომ აჯანყება ცუდი საქმე იყოო (ასე აფასებს ამ აჯანყებას ლასტიეერტეცი) „ახალგაღვიძებულსაეით ან ძლიერი ადამიანის მსგავსად, რომელიც გამოფხიზლდა სიმთვრალისაგან, დაინახა უხამსი საქმეები. არ იყო სხვა რაიმე საშუალება ბოროტი შეთქმულების ჩასაქრობად, (ამიტომ სენექერიმმა) ერთ დღეს ის, ვინც მეფედ იწოდებოდა, მოულოდნელად

ახლალა მიხვდა შეთქმულების მთავარი წამომწყები, რომ შეცდომა მოუვიდა, იჩქარა და ანგარიშში მოტყუვდა. ეს ყველაფერი მერე უნდა გაეკეთებინა, როცა ბასილს დაამხობდა. შურითა და სიხარბით გულგავსებულმა შეთქმულმა ის ველარ გაითვალისწინა, რომ ფოკას დაუხმარებლად აჯანყებასაც ვერ მოაწყობდა და საერთოდ ვერაფერს გახდებოდა. ახლა კი უკვე გვიანი იყო, გაფუჭებულ საქმეს ველარაფერი გამოასწორებდა. მაგრად დაფეთდა ქსიფე, ისე დაიბნა, რომ უკეთესი ველარაფერი მოიფიქრა — გადაწყვიტა, ახლავე იმპერატორს მიეახლები, ფოკას თავს მივართმევ და მოვახსენებ, თითქოს მე გავხსენი ეს შეთქმულებაო. მოეწონა თავისივე გადაწყვეტილება და მაშინვე იმპერატორთან გაიქცა, ფოკას თავი წაიღო, ბასილს მიართვა და ფეხებში ჩაუვარდა. შენი მონა-მორჩილი ვარო, უთხრა, ფოკას ღალატის ამბავი გავიგე, და ბოლომდე რომ მემხილებინა, მეც თანამოზიარედ მოვაჩვენე თავი. როგორც კი დრო ვიხელთე, მოვკალი და თავი აგერ შენ მოგართვიო. შიშით საქციელწამხდარ კაცს ზედვე ეტყობოდა, რომ ტყუოდა, ჭკვიან და გამოცდილ იმპერატორს რას მოატყუებდა! იმპერატორმა მაინც დაინდო, ბერად აღკვეცა და ანტიგონეს კუნძულზე გაგზავნა. შეთქმულების სხვა მონაწილეებს კი, მათ შორის ქართველ ფერსი ჯოჯიკის ძეს, თავები წააგდებინა (სასახლის საჭურისი, რომელიც აგრეთვე შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა, ცოცხლად მიუგდეს იმპერატორის სამხეცის ლომებს და დააგლეჯინეს, რადგან უფრო მძიმე ბრალდება ჰქონდა: მას იმპერატორი უნდა მოეწამლა).

მთელი ეს ამბავი, რაც ჩვენ ახლა მოვყვეთ, ქართველ მეფეს, ეტყობა, გადასხვაფერებულად მიუვიდა. მას ალბათ ამბავი მიუტანეს, რომ დიდი ხნის მომზადებული, ნანატრი აჯანყება უკვე დაიწყოო. იფიქრა, ბასილის საქმე წასულაო და რაღა გასაკვირია, რომ თავისივე შეთავაზებულ ზავის პირობებზე უარი განაცხადა. ის კი არადა, ეტყობა, ზავი რომ შესთავაზა გიორგიმ, ესეც თვალის ასახვევად იყო — დრო გაპყავდა, ცდილობდა, შეცდომაში შეეყვანა იმპერატორი, რადგან მას კავშირი ჰქონდა აჯანყებულებთან და იქიდან სასიხარულო ცნობას მოელოდა. ასე ხსნის გიორგის მოქმედებას უსპენსკი, როცა წერს: «Как оказалось, выраженные Георгием абхазским чувства преданности и подчинения имели целью лишь прикрыть его замысел напасть на Василия вместе с бунтовщиками».

ბანაკიდან გარეთ გამოიყვანა, თითქოს საიდუმლო საქმეების გამო. უეცრად მახვილი დასცა და მოკლა, თავი მოკვეთა"...

ბასილი ჭკვიანი და ცბიერი მმართველი გახლდათ, ყველაფერს მიხედა და იმიტომ იყო, რომ მოღალატე ფოკას თავი ქართველ მეფეს გაუგზავნა. შეთვლით არაფერი შეუთვლია, მაგრამ არც იყო საჭირო, სიტყვებზე უფრო მრავლისმეტყველად მოღალატის მოჭრილი თავი ამბობდა ყველაფერს.

ამის შემდეგ კეისარმა სასწრაფოდ გაგზავნა ხალხი შეთქმულების დანარჩენი მონაწილეების შესაპყრობად. აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე სწორედ ფერსი ჯოჯიკის ძე ჩანს, შეიპყრეს ფერსიცა და მისი სიძე ანდრონიკე, მიპგვარეს კეისარს ხალტოიარიჭის ციხეში და, როგორც უკვე ითქვა, იქ თავები მოჰკვეთეს.

„და კუალად შემოიქცა ბასილი მეფე და მოვიდა ბასიანს“, მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძე. ახლა უფრო მკაცრად მოსთხოვა ქართველ მეფეს მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრეები („ითხოედა... ციხე-ქუეყანათა“) და სამაგიეროდ ზავსა და მშვიდობას პპირდებოდა.

გიორგიმ სიფრთხილე იხმარა და თვითონ კი არ მიეახლა იმპერატორს, მოსალაპარაკებლად ზვიად ერისთავი გაგზავნა, დაავალა — რაც შეიძლება მეტ ხანს დააყოვნე კეისარიო. თვითონ კი ამასობაში ჯარის შევსებას შეუდგა და ცოტა ხანში დიდი ლაშქრით მიუახლოვდა. ასე ფიქრობდაო, მემატიანე გადმოგვცემს: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი, განვეშზადნეთ მისთვისცა“.

ზავი ისეთი პირობებით, რასაც იმპერატორი სთავაზობდა, ქართველებისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნებოდა.

უბრძოლველად მაინც ვერ დამთავრდა საქმე. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ბერძნებმა იმძლავრეს და ქართველი მეფის მხედრობა დამარცხდა.

ზოგიერთ უცხოურ წყაროზე დაყრდნობით, გამოთქვამენ ვარაუდს, რომ გიორგი მეფემ კეისართან მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, თვითონ კი ცოტა ხნის შემდეგ ლაშქრით მიპყვა, რათა შეეშინებინა და გაექცია, ან ადვილად დაემარცხებინა მტერი. ბიზანტიელებმა დაასწრეს, ქართველების ლაშქარი ალყაში მოაქციეს და დიდი ზარალი მიაყენეს მეფის მხედრობას.

იმპერატორს შინ მიეჩქარებოდა. აჯანყება კი ჩააქრეს, მაგრამ გულდამშვიდებული მაინც ვერ იყო ბასილი და ისევ შესთავაზა ზავი გიორგის. ქართველი მეფე იძულებული გახდა, მიეღო ზავის პირობები, რომლის მიხედვითაც გიორგიმ თავისი სამი წლის შვილი

ბაგრატი მძევლად გაატანა იმპერატორს, ჩააბარა ციხე-სიმაგრეები, მიწა-წყალი...

ისევ სუმბატ დავითის ძეს მოვუსმინოთ: „და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატ, სამისა წლისა ყრმა ჩვილი, და მისცა ციხე ათორმეტი, და ქუეყანა დავით კურაპალატისა ნაქონები ტაოს, ბასიანს, და ჯავახეთს, შავშეთს"... „მატიანე ქართლისას" მიხედვით, „რომელნიმე ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი (ბასილმა) დაულოცა გიორგი მეფესა"... ძალიან ცოტა რამ რგებია ქართველ მეფეს თავისივე მიწა-წყლიდან. მძიმე იყო ზავის პირობები.

უსპენსკის გამოანგარიშებით, ეს მოხდა 1022 წლის შემოდგომაზე. და უსპენსკისავე სიტყვებით, ბიზანტიის გავლენის სფერო ამ ლაშქრობის შემდეგ, «распространилась до долины Куры и даже до Тбилиси».

ასეთი მძიმე გამოდგა ბასილი კეისრის გამოლაშქრება საქართველოსა და სომხეთისთვის. ასე გაჟლიტა და ააოხრა ბიზანტიამ უკვე ჭრილობამოშუშებული და აყვავებული მეზობელი ქვეყანა.

შეთანხმების მიხედვით, სამი წლით წაიყვანა მძევლად ტახტის მემკვიდრე ბასილ მეორემ. მართლაც, შესრულდა თუ არა სამი წელი, პირობის თანახმად, იმპერატორმა უკანვე დაუბრუნა შვილი ქართველ მეფეს.

და აქ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს ქართველი მემატიანე.

ქართველი უფლისწული, რაღა თქმა უნდა, საგანგებო მცველს მოპყავდა — კატაბანსაო, მემატიანე გადმოგვცემს. საზღვრამდე ბერძენმა მცველმა მოაცილა და ქართველებს ჩააბარა, თვითონ კი უკანვე გაბრუნდა. ცოტა რომ გაიარა, კატაბანს იმპერატორის შიკრიკი შემოხვდა, გაჩქარებით მომავალი. ოღონდ ძველი იმპერატორის შიკრიკი კი არა: ბასილ მეორე უცებ მომკვდარიყო. შიკრიკი გამოეგზავნა ახალ იმპერატორს: ბასილი უშვილოდ გადაეგო და ტახტზე ავიდა იმპერატორის უმცროსი ძმა კონსტანტინე.

ახალ იმპერატორზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჟამად კი საინტერესოა იმ შიკრიკის მისია, რომელიც მას ასეთი ფაცხა-ფუცხით გამოუგზავნია.

შიკრიკს — ანუ მანდატურს, როგორც ჩვენი მემატიანე გადმოგვცემს, დავალებული ჰქონია, უკანვე გაებრუნებინა ქართველი უფლისწული ბაგრატი. მაგრამ ბაგრატი ხომ ქართველ მცველებს ჩააბარა კატაბანმა და ახლა ცხენზე ამხედრებული მხლებლებთან ერთად დედაქალაქისკენ მიეშურება, დედ-მამასთან. შეწუხდა კატაბანი, ცხენი მიატრიალა და მანდატურთან ერთად

საქართველოსკენ გაქუსლა, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ახალი იმპერატორის პირველი ბრძანება შეესრულებინა. მალე წამოეწიენ კიდეც უფლისწულს, მაგრამ ისეთი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ, რომ ცხენები ერთბაშად შეაყენეს და ერთმანეთს გადახედეს.

სანახაობა იყო არა მარტო გრანდიოზული, არამედ გულისშემძვრელიც. ზამთარი იდგა და თოვლიანი გზა, თოვლით დაფარული გზისპირა ბორცვები ხალხს დაეფარა. ლამის მთელი ქვეყანა გამოსულიყო უფლისწულის შესახვედრად... „ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი, ქართლელნი, რომელთა არა იყო რიცხვი სიმრავლისა მათისა“... მხლებლები გვერდზე მიმდგარიყვნენ და მაღალ ცხენზე ამხედრებული ბავშვი მის შესახვედრად მოსულ ხალხს გასცქეროდა. მარცხენა ხელით აღვირი მოეწია, ცხენი შეეყენებინა, ოდნავ ზეაწეული მარჯვენით კი ხალხს მიესალმებოდა. უფლისწულს კარგად შეეფერებინა თავისი მდგომარეობა, წყნარი, აუღელვებელი ღიმილით გასცქეროდა თავის მომავალ ქვეშევრდომებს; სიკეთესაც გამოხატავდა ეს ღიმილი, გულმოწყალებასაც, სიმტკიცესაც და თითქოს იმის ღრმა შეგნებასაც, რომ ეს ამოდენა ხალხი და მთელი ქვეყანა გაუბედავი იმედის თვალით შეჰყურებდა მას, შველას ითხოვდა...

სანახაობა იყო მართლაც ამაღელვებელი... და კატაბანმა ველარ გაბედა მიახლოება, მანდატურს უთხრა: „უკეთუ ძალ გიც შენ, აქციე (შენ თვითონ წამოიყვანე თუ შეგიძლიაო), ჩემგან კულა ესე აღარა ეგების“.

თავისთავად ლამაზი სურათია, და მარტო ამისთვისაც ღირდა ამისი გახსენება, მაგრამ ჩვენ სხვა რამე გვაინტერესებს.

მეტი საქმე აღარაფერი ჰქონდა ამოდენა იმპერიის ტახტზე ახლად ასულ მბრძანებელს? შვიდი წლის ბავშვს რას გამოედევნა, რა საქმე ჰქონდა, რა ინტერესი?

საქმე ის არის, რომ საქართველო მაინც არ ასვენებდა ბიზანტიის იმპერატორებს, ცალი თვალი მაინც აქეთ ეჭირათ... და იმ მომავალი ოპერაციების დროს, რაც მათ აღმოსავლეთში უნდა ჩაეტარებინათ, რა თქმა უნდა, სასურველი იყო ქართველი უფლისწული იქვე ჰყოლოდათ.

მაშ, ბასილმა რატომღა გამოუშვა?

ბასილი, ეტყობა, სასიკვდილო სარეცელზე იწვა, როცა ქართველი უფლისწულის სამშობლოში დაბრუნების აღთქმული ვადა დადგა. სიცილიისკენ სალაშქროდ გამზადებული იმპერატორი, როცა ჯარითა და იარაღ-საჭურველით დატვირთული ხომალდები მას ელოდებოდნენ, უეცრად ავად გახდა. სიკვდილის წინ ქრისტიან გვირ-

გვინოსანს, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლო ღმერთისთვის მიცემული ფიცი გაეტეხა.

ახალ იმპერატორს კი ჯერ არ ეშინოდა სიკვდილის ცელისა და მიტომაც დაადევნა მდევარი უფლისწულს.

ვერ შეხვდა იგი პატარა უფლისწულს.

ქვემოთ ვნახავთ, როგორ წარიმართება მათი ურთიერთობა.

●

სამიოდე წელს იმეფა ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე მერვემ, და გიკვირს, ამ მცირე ხანში როგორ მოასწრო ასეთი უკადრისი სახელის დამკვიდრება. ამ დაჩაჩანაკებულ უჯიათ და თვითრჯულ ბერიკაცს არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ იჯდა და ბულგართმჟღეტი ძმის მიერ დათესილი შიშის ნაყოფს იმკიდაო, ვკითხულობთ ბიზანტიის ისტორიებში. ლაჩარი კაცი ყოფილა, ეჭვიანი...

ლაჩრობა და გულქვაობა ძმები არიან: საკმარისი იყო, ვინმეზე ეჭვი აღძროდა, რომ მაშინვე თვალებს დათხრიდა, არც კი გამოიძიებდა, ჰქონდა თუ არა რაიმე საფუძველი ამ ეჭვს. ნიჭიერი და საქმიანი ხალხი, რომლებიც ბასილ მეორეს პყავდა შემოკრებილი სახელმწიფო აპარატში, თანამეინახე უნიჭო და უქნარა ლოთებით შეცვალა... თავისივე თანამემამულე და თანამედროვე მემატიანეც არ ერიდება ამ უბადრუკი მმართველის გულახდილ დახასიათებას: „კონსტანტინე რომ სამეფო ტახტზე ავიდა და უფლება მიიღო, რაც სურდა, ის გაეკეთებინა, ხელი მიჰყო მრუდე საქმეებს და სახელმწიფოს ბევრი უბედურება დაატეხა, — წერს გიორგი კედრენე, მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფოსი, — ...გართული იყო იპოდრომისა, მიმებისა და ტაკიმასხარების სანახაობით, ღამეებს ათევდა კამათლისა და კოტაბის თამაშში; სამოქალაქო და სამხედრო არქონტებად ნიშნავდა არა მას, ვინც საქმითა და სიტყვით დაამტკიცა თავისი უნარი, არამედ ლოთ დასაჭურისებულ მონებსა და ყოველგვარი სისაძაგლით სავსე არამზადებს აღაზევებდა ხოლმე უმაღლეს. თანამდებობებზე, ხოლო გვაროვნობით, ვაჟკაცობითა და გამოცდილებით გამოჩენილებს გვერდს უელიდა“. ბიზანტიელი ქრონოგრაფოსი იქვე ჩამოთვლის ზოგიერთს ამ უღირს ხალხთაგან, ვინც იმპერატორს დიდ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე დაუნიშნავს.

რამდენი უხეირო და ურჯუკი მმართველი ყოფილა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში, ამას ვინ ჩამოთვლის და ამჟამად ანკი რას გვაინტერესებს; თითქოს ეს ბედოვლათი იმპერატორიც რა საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის?! მაგრამ მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფოსის ზემოთნახსენებ ჩამოთვლაში ერთი ჩვენთვის საყურადღებო ფრაზაა: იმპერატორმა კონსტანტინემ „...ანტიოქიის დუკადაც ერთი საჭურისი დანიშნა სპონდილედ წოდებული, ხოლო იბერიის დუკად — ნიკიტა პისიდიელი; ორივენი სიბოროტით განთქმული ადამიანები იყვნენ, შფოთითა და მღელვარებით აავსეს ყველაფერი და კინაღამ დაღუპეს სახელმწიფო“...

აი, ეს ფრაზა იპყრობს ჩვენს ყურადღებას და იმიტომაც გაგვიგრძელდა სიტყვა ბიზანტიის ახალ იმპერატორ კონსტანტინე მერვეზე. სხვათა შორის, ჩვენ მას ვიცნობთ კიდეც. ეს ხომ ბასილ კეისრის ძმაა და ქართველ ბერ თორნიკეს, რომელიც წინა საუკუნის სამოცდაათიან წლებში მიიწვია სასახლეში ბიზანტიის დაქვრივებულმა დედოფალმა თეოფანომ, ესეც მუხლმოყრით შეეგება. ასე რომ, როგორც ეხედავთ, ამ დროისთვის — 1025 წლისთვის — იგი მართლაც კაი ხნის კაცი იქნებოდა.

ერთი სიტყვით, ბიზანტიელი მემატიანისავე თქმით, ახალ იმპერატორს ტახტზე ასვლის მეორე წელსავე საჭურისი ნიკიტა გაუგზავნია საქართველოში საგანგებო მისიით.

ეს „სიბოროტით განთქმული“ საჭურისი ნიკიტა პისიდიელი, ეტყობა, იმ დროს მოსულა საქართველოში, როცა გიორგი მეფე ახალი გარდაცვლილი იყო და ტახტზე მისი შვილი, ცხრა წლის ბაგრატ მეოთხე იჯდა.

გიორგი გარდაიცვალა 1027 წლის 16 აგვისტოს, „ჟამსა ოდენ სიყრმისასა“ — 25 წლისა.

●

ზემოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები მოვიტანეთ: გიორგი პირველმა მთელი თავისი ძალ-ღონე ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალიაო; უსპენსკიმაც ხომ დამოუკიდებლობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი უწოდა მას... და მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რა დაუცხრომლად იბრძოდა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, რა მოუსვენარი მოღვაწეობა შეხვდა, რამდენი ბრძოლა და ომი

გადაიხადა ახალგაზრდა ქართველმა მეფემ, რომელიც 25 წლისა გარდაიცვალა...

ასეთი მშფოთვარე დრო იყო! ერთბაშად ასეთი დაბრკოლებები გადაეღობა აღორძინებისა და სწრაფი განვითარების გზაზე მდგარ ქვეყანას, რომელსაც წინ დიდი პერსპექტივა ესახებოდა... და რა ძალა და ენერგია უნდა ჰქონოდა ხალხს, რა სულიერი სიმხნე და გაუტეხაობა, რა მაღალი ნიჭი, შემოქმედებითი პოტენცია და შრომისმოყვარეობა, რომ ისეთ პირობებში, სწორედ იმ საშინელი განსაცდელის წლებში ქვეყანა ხელოვნების მაღალი ქმნილებებით, შესანიშნავი ძეგლებით გაივსო!

გიკვირს და დაჯერებაც კი გიძნელდება, რამდენი შესანიშნავი ტაძარი აუგია ჩვენს ხალხს სწორედ იმ წლებში, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

ჩამოთვლაც კი ძნელია ამ ძეგლებისა... ნიკორწმინდა, სამთავისი, ალავერდი, ხცისი, სავანე, მანგლისის ტაძარი, მცხეთის სამთავრო...

და რაღა თქმა უნდა, დიდებული სვეტიცხოველი, თავისი სვედიანი და ამაღლებელი ლეგენდით...

ღრმად ფილოსოფიური და ლამაზი ლეგენდა... ლეგენდა, რომელიც შემოქმედის მარადიულ ტკივილსა და წუხილს გადმოგვცემს. სიკეთე და ბოროტება, ნიჭი და უნიჭობა, სულიერი სისპეტაკე და შებღალული სინდისი, ჭეშმარიტი შემოქმედის აღმაფრენა და შური, ქვენა გრძნობები უნიჭობის ღვარძლით დამძიმებული სხეულისა...

მარტო ეს სვედიანი ლეგენდაც კი, — ის ტაძარიც რომ არ ყოფილიყო, — დიდებულ სამკაულად დარჩებოდა ქართული შემოქმედებითი აზროვნების ისტორიაში.

სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ კედელს რომ ააყოლებ თვალს, მაღლა, სულ მაღლა, შუა დეკორატიული თაღის ქვეშ რელიეფურად გამოსახულ ხელს შენიშნავ, რომელსაც გონიო უჭირავს. დიდად მახვილი თვალი არ არის საჭირო, რომ ეს გაარჩიო, თუმცა, როგორც ითქვა, გამოსახულება ძალიან მაღლა არის. იმ წარწერის გარჩევა კი, რომელიც გამოსახულებას მოსდევს, მახვილ თვალსაც გაუძნელდება: „ხელი მონისა არსუკისძისაი. შეუნდვეთ“.

არსუკის ძე! ამ გვარს კიდევ შეხვდებით, ტაძარს თუ შემოუვლით და აღმოსავლეთის კედელზე სამშენებლო წარწერას წაიკითხავთ: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათა-

ლიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაით“...

არსუკის ძე ყოფილა ამ ტაძრის ხუროთმოძღვარი და აღმშენებელი და ისა გვთხოვდა შენდობას!

იმ მოკვეთილი ხელის საიდუმლოს კი ერთი ხალხური ლექსი აგვიხსნის: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“.

და უკვე შეიკრა ლეგენდა. უნიჭობის ღვარძლითა და შურით გულგაესებულმა ოსტატმა ვერ აპატია შეგირდს ასეთი აღმაფრენა, ადამიანურ სისუსტეს ვერ მოერია და ხელი მოკვეთა... როგორც ხედავთ, მარადიული თემაა, მაგრამ ალბათ ერთ-ერთი ულამაზესი, რაც კი ამ თემაზე შექმნილა.

აღარ გავაგრძელებ სიტყვას, ამ შესანიშნავი ახალგაზრდა ქართველი ხუროთმოძღვრის მღელვარე ცხოვრებას კონსტანტინე გამსახურდიამ მიუძღვნა ცნობილი რომანი, რომელიც წაკითხული გექნებათ.

●

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში აღმოჩნდებოდა ცხრა წლის მეფე, და მთელი ქვეყანა, როცა დამპყრობელი ქვეყნის ასეთი გაიძვერა მოხელე ეწვია. არც ამ სტუმრობის მისია იქნება ძნელი გამოსაცნობი, როცა ქართველი მემატიანის სიტყვებს წაეიკითხავთ: „და წელსა მეორესა (იგულისხმება თავისი გამეფების მეორე წელს) გამოგზავნა კოსტანტინე მეფემან პარკიმანოსი თვისი მიუწდომელისა ძალითა ლაშქრითა თვისისათა... ყოელად უძლიერესად ბასილი მეფისაცა. მოელო და მოაოხრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოხრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესცა“. ჯერ ის ჭრილობები არა ჰქონია მოშუშებული ხალხს, რაც სულ ხუთიოდე წლის წინათ ბასილ იმპერატორის მრისხანე ლაშქრობამ მიაყენა, და ეს ახალი რბევა და აოხრება ხომ სულ წელში გასწყვეტდა.

იაპია ანტიოქიელის ცნობით, ბასილმა 200.000 ადამიანი მოკლა და დააბრმავა და ძნელი წარმოსადგენი მართლაც აღარ არის, ამის შემდეგ ახალი რბევა, ისიც „მიუწდომელის ძალითა და ლაშქრით“ რა იქნებოდა! მტერს განზრახული ჰქონდა, ის ადგილებიც წაერთ-

მია საქართველოსთვის, რისი წაღებაც ბასილ მეორემ ვერ მოასწრო; „დაუცხრომლად ცდილობდა, თანდათანობით როგორმე გამოეგლიჯა საქართველოსათვის მონაპირე ქვეყნებიო“, ივანე ჯავახიშვილი წერს.

აქ დააარსა ამ გაიძვერა საჭურისმა საკატაპანო — ივერიის თემი, რომელშიაც ივანე ჯავახიშვილისაევ თქმით, ჯერ დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოები შედიოდა, მერე კი სხვა მიწებიც მიემატა.

იარაღით ხალხის გაჟლეტა და ქვეყნის მოოხრება ერთი მხარეა.

ბიზანტიელმა მოხელემ ხალხის ზნეობრივი გახრწნა მოინდომა. სომეხი მემატიანე წერს, ამ საჭურისმა მაცდური სიტყვებით ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და იმპერატორის კარზე გაგზავნაო.

ჩვენ ხომ ვიცით, როგორი უკმაყოფილონი იყვნენ ქართველი ფეოდალები ქვეყნის გაერთიანებით, როგორ ისწრაფეოდნენ ისინი კვლავ დაექუცმაცებინათ საქართველო... ასეთი ხალხის დაქრთამვა და გადაბირება ადვილი გამოდგა. ჯერ აქ მიიღეს მოღალატე აზნაურებმა ფული და საჩუქრები გაიძვერა მოხელისგან: კონსტანტინოპოლში რომ ჩავიდნენ, იმპერატორმა დიდად გაიხარა, დიდის ამბით მიიღო სამშობლოს მოღალატე აზნაურები და ათასნაირად დაასაჩუქრა — არც ძღვენი დაუკლია და არც ტიტულები; „უბოძა მათ ღირსებისამებრ სოფლები და დაბები ხელწერილითა და ბეჭდით სამარადისო სამემკვიდროდო“, იგივე მემატიანე გადმოგვცემს.[1] თავად ულირსი კაცისთვის ცრუ დაპირებებსა და ბეჭდების დასმაზე ადვილი რა უნდა იყოს.

ასე უადვილებდნენ მოღალატე ფეოდალები მტერს სამშობლოს დაპყრობას, ასე უსინდისოდ ჰყიდდნენ მშობელ ხალხს. და იმაზე არც კი ფიქრობდნენ, რომ მრავალი ასეული წლის შემდეგაც შთამომაელობა მათ გვარებს სამარცხვინო სიაში წაიკითხავდა. ქართველი მემატიანე ჩამოგვეთვლის ზოგიერთ ულირს „მამულიშვილს“: ვაჩე კარიჭისძეო, ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, შავშეთის ერისთავი, ჩანჩახი ფალელი,

1. საგულისხმოა დიმიტრი ბაქრაძისეული თარგმანი ამ ადგილისა, რამდენადაც იგი თითქოს მთარგმნელის კომენტარებსაც შეიცავს: ნიკიტამ „ბრავალი ქართველი კეთილშობილთაგანი დაითანხმა ბიზანტიის სამსახურში შესასველელად. წარდგნენ რა იგინი იმის წინაშე, იმპერატორმა, სიხარულით აღსავსემ, უძღვნა იმათ ძვირფასი საჩუქრები, მაღალი ხარისხები და საკუთრებად ოქრო-ბეჭდიანის სიგელებით სოფლები და დაბები, ნაცელად დატოებულის მამულებისა სამშობლოში“.

არჯევან ჰოლოლას ძე და „ამათ თანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს“...

ბიზანტიელები არაფერს თაკილობდნენ, ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ, რათა ხალხი აეღელვებინათ, ქვეყნის კანონიერი გამგებლისთვის საფუძველი შეერყიათ, ეჭვი და უნდობლობა დაეთესათ, წყალი აემღვრიათ და თვითონ უფრო მარჯვედ ემოქმედათ.

ერთ საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს მემატიანე.

ბიზანტიაში იმყოფებოდა ერთ-ერთი კლარჯი ერისთავის შთამომავალი დემეტრე. შეგახსენებთ, რომ ბაგრატ მესამემ შეიპყრა კლარჯი დიდებულნი სუმბატი და გურგენი. ისინი თმოგვის ციხეში დაიხოცნენ, ხოლო მათი მემკვიდრეები კონსტანტინოპოლში გაიქცნენ. ამ გაქცეულ კლარჯთაგან ერთ-ერთს დემეტრე ერქვა. გაიძვერა პარკიმანოზმა მაშინვე მოძებნა ბიზანტიის დედაქალაქში უკმაყოფილო ემიგრანტი დიდებული და საქართველოში წამოიყვანა, რათა ხალხი აეღელვებინა და მეფისთვის ეენო („შესატყუევნელად ქუეყანისა კაცთჳთვის“)... ვითომ ძველი უსამართლობით აღშფოთდნენ და სამართლიანობის აღდგენა მოინდომეს. ბიზანტიელებისთვის სასიკეთო შედეგი არაფერი მოჰყოლია ამას, მაგრამ თავისთავად ფაქტია საინტერესო — როგორ გამწარებით ცდილობენ ქვეყნის არევ-დარევას, რათა ადვილად განახორციელონ თავიანთი ზრახვანი.

„მოვლო და მოაოხრაო“, სუმბატ დავითის ძის სიტყვები მოვიტანეთ ზემოთ.

იმასვე იმეორებს მეორე ქართული ისტორიული წყარო „მატიანე ქართლისა“.

მაგრამ ამ წყაროში ერთი განსხვავებული დეტალია, ერთი საგულისხმო სიტყვა.

როცა კონსტანტინეს დროს ბიზანტიელთა ურიცხვი ლაშქრის შემოჭრისა და მთელი სამხრეთი საქართველოს აოხრების ამბავსა წერს, „მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს:

„...მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოხრნა იგივე ქუეყანანი“.

ჩ ა მ ო დ გ ა ო, მემატიანე გვეუბნება, კი არ მოაოხრა და წავიდა, საგულდაგულოდ დაიბუდა ავი საქმეების საკეთებლად, მერყევი და სულმოკლე ადამიანების გადასაბირებლად, ხალხის ზნეობრივად გასახრწნელად...

როცა იმ საშინელი ნგრევისა და აოხრების ამბებსა ეყვებით, რაც ბიზანტიამ ჯერ ბასილ მეორის, და შემდეგ, მალევე, მისი ძმის იმპერატორობის დროს დაატეხა საქართველოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავიხსენოთ; უამისოდ სრული წარმოდგენა არ შეგვექმნება ხალხის ტანჯვასა და გასაჭირზე. უნდა საგანგებოდ შევნიშნოთ, რომ ის წლები მთელს ევროპაში საშინელი უამინდობისა და მოუსავლიანობის წლები იყო. თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გამოთვლილია ორმოცზე მეტი მოუსავლიანი წელი მეთერთმეტე საუკუნეში. ესე იგი, თითქმის საუკუნის ნახევარი — ყოველი მეორე წელი მოუსავლიანი იყო. იმდროინდელი ევროპის ცალკეული ქვეყნების მატიანეებში ხშირად შეხვდებით ასეთ ფრაზებს: „საშინელი შიმშილი მძვინვარებდა. ხალხი ლეშსა ჭამდა... ვაზის ფოთოლსა ჭამდნენ“... „დიდი გვალვა დადგა, მიწა სულ გამოხმა — არც პურის მოსავალი, არც არავითარი ხილისა“... ხშირად ვერ თესავდნენ იმიტომაც, რომ სათესლე მარცვლეული არა ჰქონდათ.

სამწუხაროდ, ქართველი მემატიანეები დაწვრილებით არ გადმოგვცემენ ჩვენი ხალხის მდგომარეობას ამ მხრივ. მხოლოდ ერთგან არის აღნიშნული, როცა ერთ-ერთ წყაროში მომდევნო წლების ამბებს ვგებულობთ, შიმშილი იყოო. ჩვენ თვითონ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ საერთო მოუსავლიანობისა და შიმშილის დროს, უკვე რამდენჯერმე საშინლად აოხრებულ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი გადაწვეს და მოსპეს, მოსახლეობა გაჟლიტეს, რა მდგომარეობაში იქნებოდა ხალხი, რომელსაც, აგერ, კიდევ მოადგა მტრის ურიცხვი ლაშქარი — დამშეული ქვეყნიდან სამტროდ და მოსახლეობის ასაწიოკებლად მოსული ლაშქარი (ბიზანტიის ისტორიის ერთ-ერთ ბოლო გამოცემაში პირდაპირ ასე წერია: В последние два года правления Василия II и в начале царствования Константина VIII была страшная засуха, царил голод), რა დღეში ჩააგდებდა თავად დამშეული ქვეყნიდან მოსული ამოდენა ლაშქარი მათგანვე უკვე რამდენჯერმე განადგურებულ და დამწვარ სოფლებს, გაჟლეტილ ხალხს!..

ამ საშინელ გაჭირვებას ისიც ემატებოდა, რომ, როგორც ითქვა,

მტერი მაცდური ხრიკებით ხალხის ზნეობრივად გადაგვარებასა და გახრწნას ცდილობდა...

და ამჯერადაც აღმოაჩნდა ხალხს პოტენციური ზნეობრივი სიმტკიცე და სულიერი ენერგია, რათა წინააღდგომოდა მტრის გაიძვერულ ხრიკებს და მორალური სიწმინდე დაეცვა. იქვე, სადაც სულმდაბალ გვაროსნებს ჩამოთვლის, მემატიანე მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ღირსეულ მამულიშვილებს, რომელთაც ხალხი დარაზმეს შემოსეული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველადაც და ზნეობრივი ღირსების დასაცავადაც:

„რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის“.

„და, — ამას უკვე მეორე ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს, — შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი და შეეიდეს მას შინა“... იმ ციხეში შეკრიბაო, რომელსაც „სახელსდვა სუეტი“...

შემთხვევითი არ არის, რომ ციხეს მაშინვე თავისი საკუთარი სახელი — სვეტი — უწოდეს და ამით კიდევ უფრო აამაღლეს მისი არა მარტო როგორც თავდაცვითი, არამედ ზნეობრივი განწმენდის ადგილის მნიშვნელობა. სახელი უწოდეს არა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ როგორც სიწმინდისა და ამაღლებულობის სიმბოლო — „სვეტი“.

საერთოდ ისეთი პათოსით გადმოგვცემენ მემატიანეები ამ ციხის აგებისა და შიგ „ერის შეკრებისა“ და გამაგრების ამბავს, აშკარად ჩანს, საბა მტბევარმა დიდი როლი შეასრულა ხალხის პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებისა და მტრის წინააღმდეგ დარაზმვის საქმეში.

და კიდევ ერთი რამ არის საგულისხმო.

როცა ჩვენ არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ცალკეულ სასულიერო მოღვაწეთა როლის, აგრეთვე სარწმუნოებისთვის წამებული გმირების შესახებ ვლაპარაკობდით, ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გამოხატულება იყო; იმ დროს, იმ პირობებში სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ბუნებრივია, რომ ეს ბრძოლა საეკლესიო-სარწმუნეობრივ იდეოლოგიას ერწყმოდა, მისი სახელით ხდებოდა; ეს სასულიერო მოღვაწეები, უპირველეს

ყოველისა, ეროვნული მოღვაწეები იყვნენ, მაშინ ეს ორი ცნება ცალ-ცალკე თითქმის არც არსებობდა.

ეს დებულება მეცნიერებაში მიღებულია და სადავოდ არავის გაუხდია.

ის ისტორიული ფაქტი კი, რომელიც ზემოთ მოგიყვეით, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ დებულების სისწორეს. აქ ქრისტიანული ეკლესიის მღვდელმთავარი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სულისჩამდგმელადა და იდეოლოგად გეველინება, სარწმუნოება აქ მთლიანად გამორიცხულია, რამდენადაც მტერი, ვის წინააღმდეგ საბრძოლველადაც მოუწოდებს საბა მტბევარი თავის ხალხს, იმავე ქრისტიანულ სარწმუნოებას ეკუთვნის, იგივე მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია.

საბა მტბევარს მხარში ამოუდგა ეზრა ანჩელი... სხვებიც მრავალნი, რომელთა სახელებს აღარ ჩამოთვლის მემატიანე, იქნებ იმიტომაც, რომ ამით დიდი საქმის თაოსანთა და სულისჩამდგმელთა სახელები არ გაეფერმკრთალებინა. მარტო ავი საქმე კი არ არის გადამდები, კეთილი საქმეც გადამდებია ხოლმე — ამათ სხვებიც შეუერთდნენ და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს.

საბედნიეროდ, ასე იყო: დიდი გასაჭირის დროს, როცა განადგურება თითქოს გარდაუვალი იყო და ხსნა არსაიდან ჩანდა, მუდამ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ერის ღირსეული შვილები, რომლებიც მთელ ხალხს დარაზმავდნენ, სწორ მიმართულებას მისცემდნენ, პატრიოტული სულისკვეთებით აღაგზნებდნენ.

როგორც ითქვა, ბასილის მიერ აოხრებული ტერიტორიის ხელახალი აოხრება-განადგურებით არ დაკმაყოფილებულა ბიზანტიელი მოხელე: ეს თავისი ურიცხვი ლაშქარი კლდეკარის საერისთავოსაც მიაყენა.

და ეს არ მომხდარა შემთხვევით: მომავალი დიდი ბრძოლებისთვის, რაც იმპერიას უსათუოდ მოელოდა აღმოსავლეთში, კლდეკარის ციხე და მთელი საერისთავო პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა იყო. აქედან იხსნებოდა კარი საქართველოს დედაქალაქისკენ, აქვე გადიოდა მარჯვე გზა აღმოსავლეთისკენ. და რაკი არაბთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ახლა თითქოს კვლავ ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა აღმოსავლეთში ბიზანტიის

ჰეგემონობისთვის, იგი, რაღა თქმა უნდა, წინასწარვე ამზადებდა ნიადაგს.

არ გეგონოთ, კლდეკარის საერისთავო პატარა ყოფილიყოს, ერთი ჩვეულებრივი ფეოდალის სამფლობელო. არა, რა ბრძანებაა! ბაღვაშები დიდი ფეოდალები იყვნენ, როგორც ზემოთ ითქვა, მეფეს არ უდებდნენ ტოლს და მათი ქედმაღლობაც აქედან წარმოდგებოდა. მთელი თრიალეთი, ქართლში მტკვრის სამხრეთი ნაწილი, „მანგლისის ხევი და სკვირეთი" მათი იყო. ერთი დიდი ციხე რომ კლდეკარში ჰქონდათ, ატენის ციხეზეც ედავებოდნენ მეფეს და ხშირად თვითონვე ფლობდნენ, რაკი ეს ციხე მტკვრის სამხრეთ ნაწილში იყო.

კლდეკარის ერისთავი იმ დროს ლიპარიტ ორბელიანი იყო, ძმა იმ რატი ორბელიანისა, რომელიც ხუთი-ექვსი წლის წინათ ბრძოლის ველზე დაიღუპა, ბიზანტიელებისავე წინააღმდეგ ომში. მრავალმხრივ საინტერესო ვაჟკაცი იყო ეს ლიპარიტი — ღრმად განათლებული, მაღალნიჭიერი, მამაცი, უშიშარი, შეუპოვარი, მტრის რისხვა... ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რა სიმპათიებით მოიხსენიებენ მას სომეხი მემატიანეები. მაგრამ ის ბრძოლა, რომელშიც გმირობითა და მამაცობით ისახელა თავი ქართველმა მეომარმა და რისთვისაც სომეხი მწერლების ხოტბა დაიმსახურა, უფრო მოგვიანებით მოხდა, ახლა კი ლიპარიტი ბიზანტიის მრავალრიცხოვან ლაშქარს უნდა დახვედროდა, რომელსაც, როგორც ვიცით, ნიკიტა პისიდიელი მოუძღოდა.

მოადგა თუ არა მტრის დიდი ლაშქარი კლდეკარს, მაშინვე აშკარა გახდა, რომ ლიპარიტი მარტო ხმლის ქნევაში კი არ ყოფილა მარჯვე, საზრიანი და თადარიგიანი კაციც გამოდგა. უკვე მოესწრო მტრის დასახვედრად მომზადება, კარგად გაემაგრებინა ციხე. ლაშქარი შეეკრიბა და ყველა მისასვლელი საგულდაგულოდ შეეკრა. მტრის პირველივე შეტევა მარცხით დამთავრდა და, როგორც ეტყობა, დიდხანს არც გაგრძელებულა ბრძოლა: მტერი მალევე გაბრუნდა უკან — გაწბილებული და პირში ჩალაგამოვლებული.

ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე შეგვხვდა კლდეკარის ერისთავი და, ალბათ დააკვირდით, მუდამ გამოირჩეოდნენ ხოლმე შეუპოვრობით, სიმტკიცით... და კიდევ ერთი თვისებით, რაზედაც ცოტა უფრო ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

თქვენ გახსოვთ ამათი წინაპარი, პირველი ლიპარიტ ბაღვაში,

რომელიც თავისი საკუთარი მამულიდან — არგვეთიდან — გადმოვიდა და თრიალეთში დამკვიდრება მოისურვა. კი არ მოისურვა და დამკვიდრდა. ისიც გემახსოვრებათ, რა პირობებში მოხდა ეს: მაშინ იგი უძლიერეს პიროვნებას, ამ კუთხის მმართველს, აშოტ დიდი კურაპალატის შვილს გუარამ მამფალს დაუპირისპირდა. გადმოვიდა არგვეთიდან თრიალეთში, როგორც ჩანს, ამ მხარის მრისხანე გამგებელის დაუკითხავად და მისი სურვილის წინააღმდეგ, დამკვიდრდა. კლდეში კარი გასჭრა, დიდი ციხე ააგო და გამომწვევად განაცხადა — გუარამ მამფალის სამფლობელოში დავმკვიდრდი, მაგრამ ჩემი პატრონი გუარამი კი არ არის, სხვა არის. და აშოტის შთამომავლების მეორე შტო დაასახელა. იმდენი ქნა, რომ აშოტის შთამომავლები ერთმანეთს გადაკიდა და გვარში პირველი საშინელი ტრაგედია დაატრიალა.

ეს იყო პირველი ბაღვაში თუ ორბელიანი, რომელსაც ჩვენ შევხვდით, და მასაც ლიპარიტი ერქვა. მას შემდეგ, რამდენსაც შევხვდით იმ ჩვენი ნაცნობი ლიპარიტის შთამომავალს, უსაუთოდ ან ლიპარიტი ჰქვია, ან რატი. თითქოს საქართველოში მათი მოსაწონი სხვა სახელი აღარ არსებობდა. ესეც კი დამახასიათებელია, თითქოს რაღაცნაირად ესეც გამომწვევი ჟესტია. აგერ, ახლაც, ამ ერისთავსაც, რომელმაც ბიზანტიის დიდი ლაშქარი გაწბილებული გააბრუნა, ლიპარიტი ჰქვია; ძმას, როგორც ვნახეთ, რატი ერქვა, ამათ მამას — ლიპარიტი, პაპას — რატი...

სწორედ ეს რატი გახლდათ, ბაგრატ მესამეს რომ დაუპირისპირდა და ბაგრატსა და მის მამობილ დავით კურაპალატს შორის კინაღამ საშინელი საძმო ომის მიზეზი გახდა.

ზემოთ რომ ვამბობდით, კიდევ იმით გამოირჩეოდნენ ამ გვარის შთამომავლები, რომ ტახტის გვირგვინოსნებს არ ეპუებოდნენ, მუდამ კრიჭაში ედგნენ, მუდამ კონფლიქტი ჰქონდათ. მათი ურთიერთობა ფეოდალური ეპოქის ტიპიური ვასალ-სიუზერენის ურთიერთობაა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ასეთი ურთიერთობის ზოგადი სურათის დასახატავად განიხილავს მათ დამოკიდებულებას ნიკო ბერძენიშვილი თავის ერთ გამოკვლევაში. ბაღვაშებისა და ბაგრატიონების პატრონყმობის თავგადასავალი სპეციალური დამუშავების ღირსი საკითხია საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის

შესწავლისთვისო, წერს მეცნიერი, და თითქოს სხვას სთავაზობს დასამუშავებლად ამ თემას. ფაქტიურად, თვითონ ეს გამოკვლევაა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი, — ზოგიერთ საკითხს აქვე გავეცნობით, რამდენადაც ეს ჩვენი მოთხრობისთვის დაგეჭირდება.

ლიპარიტმა რომ ბიზანტიის ლაშქარი თავის საერისთავოში არ შეუშვა და უკანვე გააბრუნა, ეს ბაგრატ მეოთხისთვის მხარის დაჭერასაც ნიშნავდა. ამ შემთხვევაში იგი ქართველი მეფის მოკავშირედ მოგვეელინა.

ჯერ არ მომხდარა კონფლიქტი ბაგრატ მეფესა და ამ დიდ ერისთავს შორის. თუმცა ეს კონფლიქტი გარდაუვალია, იგი თანდათანობით მომზადდება.

სანამ ასეთი მოკავშირე ჰყავდა, ბაგრატის საქმეც გაადვილებული იყო.

ახალგაზრდა მეფის მოკავშირედ ვხედავთ ჩვენ ლიპარიტს განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. ძალიან გამომწვევად იქცეოდა ეს ფადლონი, თავი მედიდურად ეჭირა, რაკი საქართველოში მცირეწლოვანი მეფე ეგულებოდა, თავს გავიდა, „სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათაო“, მემატიანე გვაუწყებს, ესე იგი, ქართველი მეფე და ქვეყნის მესვეურები თვალში არ მოსდიოდა. რაკი ასე გავიდა თავს, ეტყობა, საზღვრების გაფართოებაც მოუნდა, სხვისი მიწა-წყლის ხარჯზე (ამას პირდაპირ არ ამბობს მემატიანე)... „დროსა ამას ფადლონ განძელი ავად ექცეოდა სამეფოსა ამას“ (ე. ი. საქართველოს), ვახუშტიც ასევე ზოგადი სიტყვებით გადმოგვცემს.

ასე იყო თუ ისე, გადაწყდა განძის ამირას წინააღმდეგ გალაშქრება. შეკრიბეს ლაშქარი, მოიწვიეს ჰერეთ-კახეთის მეფე დიდი კვირიკე, სომეხთა მეფე დავითი, თბილისის ამირა ჯაფარი... ლიპარიტი და ქართლის ერისთავი ივანე აბაზასძე სათავეში ჩაუდგნენ ლაშქარს და გაემართნენ.

რაც გული ჰქონდა, იმოდენა ძალა აღარ აღმოაჩნდა განძელ ამირას. ძალიან კი სწუნობდა „მოთაულებს ამა სამეფოსათა“, მაგრამ სწორედ მათ ვერ აღუდგა, გაანადგურეს განძელი ამირას ჯარი, თვითონ ამირა გააქციეს, წამოიღეს დიდი ნადავლი და გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

როგორც ყველა დიდი ფეოდალი, ლიპარიტიც თავისი სამფლობელოს გაშლასა და გაფართოებას ცდილობს, ახალი მიწა-წყლის

დაპყრობას, ახალი სამთავროების შემომტკიცებას.

მაინც საით აქვს გაფართოების პერსპექტივა კლდეკარის ერისთავს?

დასავლეთით და ჩრდილოეთით ვერ მოხერხდება ეს — მაშინ ბაგრატის ინტერესებს უნდა შეეჯახოს, რასაც ჯერჯერობით ერიდება კლდეკარის მბრძანებელი, ჯერ ამისი თავი არა აქვს.

აღმოსავლეთით კი ლიპარიტის საერისთავოს უშუალოდ ესაზღვრება თბილისის საამირო — ამ დროისთვის უკვე საგრძნობლად შეეიწროებული და დასუსტებული. თბილისის საამიროს ხარჯზე თუ მოახერხებს კლდეკარის ერისთავი თავისი სამფლობელოს გაზრდას, ეს ორნაირად სასურველი და ხელსაყრელი იქნება. ამითი მეფის გულსაც მოიგებს, მეფის მხარდაჭერის იმედიც ექნება.

იწყება ლიპარიტის დაუცხრომელი ბრძოლები თბილისის საამიროს წინააღმდეგ. როგორც ითქვა, ეს ობიექტურად სამეფო კარისა და ქვეყნის ინტერესებსაც ემთხვევა. ჩვენ რომ მანგლისის ხევი და სკვირეთი კლდეკარის საერისთავოში მოვიხსენიეთ, მემატიანის სიტყვებს ვეყრდნობოდით. ნიკო ბერძენიშვილის საყურადღებო ვარაუდით, ეს ტერიტორია ბაღვაშებმა ალბათ თბილისის ამირას წაართვეს. ეს უნდა მომხდარიყო მეათე საუკუნეშიო, მეცნიერი ვარაუდობს.

ახლა კი, მეთერთმეტე საუკუნის ოციანი წლების მიწურულს, ლიპარიტ ორბელიანი კვლავ ცდილობს წაგლიჯოს ტერიტორია თბილისის ამირას და გაფართოვდეს. და, აი, ლიპარიტი და ქართლის ერისთავი იოანე აბაზას ძე გამოიტყუებენ თბილისის ამირა ჯაფარს და დაატყვევებენ. თბილისის ამირის მოტაცება ჩვეულებასავით გაიხადეს თრიალეთის მფლობელებმა. თქვენ ალბათ გახსოვთ, როგორ მოიტაცა ერთ დროს თრიალეთის მბრძანებელმა გუარამ მამფალმა თბილისის მაშინდელი ამირა გაბულოცი. ახლაც ასევე მოუტაცნიათ ამირა ჯაფარი, მუხათგვერდში გამოუტყუებიათ, მცხეთის მახლობლად რომ სოფელია. სანამ ამირა ტყვედ ჰყავდათ, ლიპარიტი ამირას მნიშვნელოვან ციხეს — ბირთვისს — დაეუფლა.

ეტყობა, ეს იყო შესაფალი იმ დიდი ბრძოლისა, რასაც კლდეკარის ერისთავი აპირებდა თბილისის საამიროს შემოსაერთებლად.

ამას უსათუოდ უნდა გაეხარებინა სამეფო კარი და თვითონ ახალგაზრდა მეფე.

მაგრამ მოხდა უცნაური რამ: მეფემ, რომელსაც თავისი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მიზნის — საქართველოს გაერთიანების — განხორციელებაში სწორედ თბილისის ამირა უშლიდა ხელს, „შეიწყალა“ ამირა ჯაფარი და „გაუტევა ტფილისს ზედა ამირად“.

საქართველოს გაერთიანება და მისი გულის — თბილისის — გათავისუფლება კელავ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

რა მოხდა? რაღა ახლა წამოუარა გულმოწყალებამ? რატომ მოუვიდა ასეთი შეცდომა ქართველ მეფეს?

ეს ამბავი მოხდა „სიმცირესაევ შინა ბაგრატ მეფისასა“, ესე იგი, მეფის მცირეწლოვანების დროს (ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა 1032 წელს), და ეს გადაწყვეტილება, ეტყობა, სამეფო კარმა, დიდებულებმა მიიღეს.

ამის შემდეგ უკვე ადვილი გასათვალისწინებელია ყველაფერი. დიდებულები, რომლებიც მცირეწლოვან მეფეს ერტყნენ გარს, მარტო შურით კი არ შეპყურებდნენ კლდეკარის ერისთავის განდიდებას, არამედ შიშითაც და „ლიპარიტის გაძლიერება არაფრად ეჭაშნიკებოდათ“.

ამის შემდეგ „დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუაო“, მემატიანე გვაუწყებს.

ეს თავისთავად ცხადია, კიდევაც რომ არ დაეწერა მემატიანეს, ისედაც უნდა გვეგულისხმა. აქვე უნდა ვიგულისხმოთ სხვა რამეც, რაზეც მემატიანე არას ამბობს, სდუმს. ამის შემდეგ მტრობა უნდა ჩამოვარდნილიყო თვით მეფესა და კლდეკარის ერისთავს შორის. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, უნდა გამჟღავნებულიყო ის ფარული მტრობა, რაც მათ შორის მუდამ იყო.

ლიპარიტი შეუპოვარი კაცი იყო და ასე ადვილად არ დათმობდა თავის განზრახვას. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და („შემდგომად მცირედისა ჟამისა“) ლიპარიტი დაითანხმებს მეფეს, დიდ ლაშქრობას მოაწყობს თბილისის ასაღებად.

მათ ჰქონდათ საგულდაგულოდ დამუშავებული გეგმა. ერთი მხრიდან რომ ქართველი მეფის ლაშქარი მიადგა დედაქალაქს, მეორე მხრიდან, ისნიდან („ისნით კერძო“) „მოადგეს ლაშქარნი კახნი და ჰერნი“. მთელი ორი წელი ალყაში იყო მოქცეული დედაქალაქი. ამ ხნის განმავლობაში მეფის ლაშქარმა ამირას ორი უკანასკნელი

დიდი ციხე დაიპყრო ქვემო ქართლში — ორბეთი და ფარცხისი (მესამე დიდი ციხე ბირთვისი, როგორც ვიცით, ლიპარიტმა და იოანე აბაზასძემ ადრევე წაართვეს ამირას).

ბუნებრივია, მთელი ორი წელიწადი ალყაში მოქცეული ქალაქის მოსახლეობას ძალიან გაუჭირდებოდა. ლიტრა (ანუ გირვანქა) ვირის ხორცი ხუთასი დრამა ღირდაო, მემატიანე გადმოგვცემს. მეტი გაძლება აღარ შეიძლებოდა და ამირამ — ჯაფარ ალის ძემ — გადაწყვიტა, დაეტოვებინა ქალაქი; ნავები და ტიეები გააშზადა, რათა ღამით გაპარულიყო და განძას ჩასულიყო — განძელ ამირას შეკედლებოდა.

ბრძოლა მოგებული იყო. თბილისი ფაქტიურად ბაგრატ მეფისა იყო. თითქმის ოთხსაუკუნოვანი ტყვეობის შემდეგ საქართველოს დედაქალაქი კვლავ დიდ სამშობლოს უნდა დაბრუნებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა. კვლავ დიდებულებმა ჩაშალეს საქმე, ისევ შურმა და შიშმა იმძლავრა. „რომელთამე დიდებულთა“ მეფე დაარწმუნეს, ამირას გაძევება ახლა არ იქნება გონივრულიო და ისევ ზაეი დადეს თბილისის ამირასთან. ისევ არაბი მმართველის ხელში დარჩა თბილისი, ისევ განუსაზღვრელი დროით გადაიდო მისი დაბრუნება, ისევ დაბრკოლება გადაეღობა საქართველოს გაერთიანებას.

და ესეც მთელი ამ საქმის — თბილისის გათავისუფლებისთვის ბრძოლის — თაოსანისა და სულისჩამდგმელის დაუკითხავად და მისგან ფარულად მოხდა.

აქ კი ვეღარ მალავს მემატიანე სინამდვილეს და გვაუწყებს: „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავის პატრონისაგანო“ — მეფის მტრობა უკვე აშკარად ჩაუდვია გულში კლდეკარის ერისთავს.

ახლა ამ მტრობის გაგრძელებასა და შედეგს უნდა ველოდოთ.

მაგრამ მანამ ამ კუთხით გავაგრძელებდეთ ჩვენს ამბავს, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავიხსენოთ.

სულ სამ წელიწადს იმეფა კონსტანტინე იმპერატორმა და გარდაიცვალა. ქართველი მემატიანის ცნობით, სიკვდილის წინ რატომღაც უკანვე გაიწვია საქართველოდან თავისი წარმომადგენელი. სომეხი მემატიანე თითქმის აშკარად ამბობს: განზრახვის (იგულისხმება, საქართველოს დაპყრობის) „სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო (იმპერატორის წარმომადგენელმა — პარეკიმანოსმა), ვინაიდან

მოვიდა მეფის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. ეს რომ გაიგო, დაუყოვნებლივ ჯარით კვლავ კონსტანტინოპოლში წავიდა“ (ამაზე ამბობს ქართველი მემატიანე, ბაგრატს კუალადცა პატივ-სცა — ესე იგი, წყალობის თვალით გადმოხედა — ღმერთმაო).

საქმე ის არის, რომ, მიუხედავად მთელი იმ მხარის აოხრებისა, მიუხედავად დიდი სატანჯველისა და განსაცდელისა, რაც ბიზანტიელებმა იმხანად ჩვენს ხალხს დაატეხეს, ბიზანტიის საიმპერატორო კარი მაინც დარწმუნდა, რომ ამ დიდი ლაშქრობებით გამარჯვებას ვერ მიაღწიეს, საქართველო ვერ დაიმორჩილეს, ვასალად ვერ გაიხადეს... სხვას რომ ტანჯვა მიაყენო, ძნელი სულაც არ არის, მაგრამ ეს გამარჯვებას როდი ნიშნავს. მარცხი ფაქტიურად თვითონვე განიცადეს. რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურული აღორძინების დიდი გაქანება და ტემპი, რაც ჩვენს ქვეყანაში იმ დროს აშკარა იყო, რამდენადმე შეაფერხეს, მაგრამ შეჩერებით ვერ შეაჩერეს, ვერ ჩაკლეს. ქვეყანა მაინც აღორძინების გზას ადგა, ვითარდებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები და კულტურის კერები, რაც სწორედ იმხანად აშენდა საქართველოს სხვა კუთხეებში. მაგრამ საჭირო იყო მშვიდობის დამკვიდრება. საუკუნოებრივად ნანატრი მშვიდობა ახლაც მთავარი საზრუნავი გამხდარიყო. და ქართველ მეფეს საშუალება მიეცა მოესინჯა ნიადაგი.

სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო ბიზანტიის იმპერატორმა, თავისი შებერებული ქალი ერთ დიდებულს, სახელად რომანოზს მიათხოვა და ის რომანოზი აიყვანა საიმპერატორო ტახტზე.

რაკი საქართველოს მიმართ აშკარად მტრული პოლიტიკის გამტარებელი იმპერატორი მოკედა და ტახტზე ახალი იმპერატორი ავიდა, ეტყობა, ეს დრო უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს საქართველოს სამეფო კარზე და გადაწყვიტეს, მშვიდობიანი მოლაპარაკება წამოეწყოთ ბიზანტიასთან. ასეთ მოლაპარაკებას ახლა ნიადაგიც მომზადებული ჰქონდა. და აი, საბერძნეთს გაემგზავრა ახალგაზრდა მეფის დედა, დედოფალი მარიამი „ძიებად მშვიდობისა და ერთობისა“, ანუ როგორც უფრო გაშლილად გადმოგვცემს სუმბატ დავითის ძე: დედოფალი მარიამი... „წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთისათვის და

რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა".[1]

დედოფალს, რა თქმა უნდა, დიდებულებიც ახლდნენ. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიუღია, როგორც ჩანს, საქართველოს კათალიკოს მელქისედეკსაც.

ქართველი დედოფლის კონსტანტინოპოლში გამგზავრება, ეტყობა, წარმატებით დამთავრდა. ახალმა იმპერატორმა დიდი პატივით მიიღო დედოფალი, საქართველოსთან მშვიდობა და მეგობრობა, ჩანს, რომანოზსაც სასურველად და გონიერულად მოეჩვენა, „მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათვის, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთვის ელენე დედოფალი".

ელენე ძმისწული ყოფილა ახალი იმპერატორისა. ამ ქორწინებითაც ხაზი ესმება ბიზანტიის იმპერატორის სურვილს, ტაქტიკა შეცვალოს და ძალმომრეობის ნაცვლად, ახლა დათაფლული სიტყვითა და მოყვრობა-მეგობრობით მიაღწიოს თავის საწადელს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ტაქტიკა ახალი არ არის ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში.

სამშობლოში დაბრუნებულ დედოფალს საზღვარზევე დახვდა ახალგაზრდა ქართველი მეფე, კურაპალატობის ტიტული ჩაიბარა, თავის მეუღლესა და თანამეცხედრეს, საქართველოს ახალ დედოფალს გაეცნო ჯერ კიდევ ბავშვი-მეფე და ჯვარი დიდებულ ბანას ტაძარში დაიწერა.

დიდებული სანახაები კი იქნებოდა ამ გრანდიოზულ და მშვენიერ ტაძარში ქართველი მეფის ჯვრის წერის ცერემონია.[2]

ქორწინება ბედნიერი ვერ გამოდგა: დედოფალი ელენე მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბაგრატმა ოვსთა მეფის ასული ბორენა

1. სხეადა შორის, სწორედ აქა წყდება, ამ სიტყვებით მთავრდება ეს შესანიშნავი ისტორიული წყარო — სუმბატ დავითის ძის ქრონიკა.

2. გავიდა ამ ამბის შემდეგ თითქმის ათასი წელი და როცა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილმა დიდებული ტაძრის ნანგრევებიღა იხილა და, ამ ნანგრევების მიხედვით, თავის თანმხლებ რუს არქიტექტორთან ერთად ტაძრის პირვანდელი მშვენება წარმოიდგინა, უცებ ბაგრატის ჯვრისწერის ამბავი გაახსენდა და არქიტექტორ კალგინს მიმართა: „აი, ამ ტაძარში იკურთხენ ბაგრატ მეოთხე და მისი ცოლი ელენე". „რა დიდებული სანახაი იქნებოდა — დაუნგრეველი და გაჩირაღდნებული!" — უპასუხა რუსმა არქიტექტორმა.

შეირთო. ბიზანტია — საქართველოს ხელოვნურად შეკოწიწებულ მეგობრობასაც ბოლო მოეღო. ბიზანტია კვლავ აშკარა მტრობის გზას დაადგა.

და სწორედ ამ დროს გაღვივდა მტრობა ბაგრატ მეფესა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტს შორის. მდგომარეობა დაიძაბა. ბუნებრივია, მეფესთან ბრძოლის დროს ლიპარიტს მოკავშირეების ძებნა უნდა დაეწყო: რაგინდ ძლიერი ფეოდალი ყოფილიყო, მეფის მტრობა და გადაკიდება ადვილი საქმე როდი იყო.

მოკავშირის ძებნა არ დასჭირვებია ლიპარიტს. თანაც ისეთი ძლიერი მოკავშირე გაუჩნდა, როგორიც ბიზანტიის იმპერატორი და მთელი სამეფო კარი იყო. ქართველი ერისთავი ადვილად დაუკავშირდა ბიზანტიის სამეფო კარს და ბრძოლის კონკრეტული საბაბი და გზებიც ადვილად გამოიძებნა.

დაგვაეიწყდა გვეთქვა, რომ, მეფე გიორგის, ბაგრატს გარდა, სხვა შვილებიცა ჰყავდა — ერთი ვაჟი დემეტრე (ოვსთა მეფის ასულისაგან) და ასულები (სხვათა შორის, კედრენეს ცნობით, დემეტრეს დედას ალდე რქმევია). ეს დემეტრე, თავისი დედით, ანაკოფიაში დამკვიდრდა და იქ იყო; თითქოს საგანგებოდ იმისთვის, რომ მტრებს დროდადრო ბაგრატ მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინათ.

აზნაურებს მართლაც დაუპირისპირებიათ იგი მეფისთვის. შეუქმნიათ მითქმა-მოთქმა და კამათი, ტახტი დემეტრეს ეკუთვნისო. თავისთავად იგულისხმება, ესენი მეფის უკმაყოფილო აზნაურები იქნებოდნენ. მაგრამ მაშინ ვერ გაიტანეს თავისი. ეს კი ქნეს, რომ უტახტოდ დარჩენილ უფლისწულს სამეფო ტახტზე დაჯდომის სურვილი გაუღვივეს. ამის შემდეგ, ეტყობა, ბევრს ეცადნენ თვით ბაგრატიც, მისი დედაც, მეფის ერთგული დიდებულებიც, როგორმე გამოეყვანათ უკმაყოფილო უფლისწული ანაკოფიიდან და იქ მეფის წინააღმდეგ დაჯგუფების კერა მოესპოთ, მაგრამ ვერანაირად ვერ მოახერხეს.

ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას ბიზანტიის სამეფო კარი ხელიდან როგორ გაუშვებდა. ეტყობა, გაბეს საიდუმლო მოლაპარაკება ანაკოფიაში დემეტრესთან, გადაიბირეს, საჩუქრები ბლომად მიართვეს, უფრო მეტს შეპირდნენ, კონსტანტინოპოლში რომ ჩამოხვალ, იქ მოგართმევთო, და დაძრეს, წაიყვანეს, ბიზანტიაში

წაიყვანეს, სხვა დაქრთამულ აზნაურთა მსგავსად, რომელთა ამბავი ზემოთ მოგახსენეთ.

მაგრამ ხელცარიელი კი არ მისულა დემეტრე ბიზანტიის სამეფო კარზე; დიდებული ძღვენი მიართვა იმპერატორს, ანაკოფია მიუძღვნა, თქვენი იყოსო, უთხრა, ამდენი პატივისცემის სამაგიეროდო.

ალბათ გახსოვთ, რომ ანაკოფია დიდი ციხე-სიმაგრე იყო, დღევანდელი ახალი ათონის მიდამოებში (ისიც გეხსომებათ, რომ მურვან ყრუ სწორედ აქ დაამარცხა აფხაზ-ქართველთა შეერთებულმა მხედრობამ). ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე რომ გადმოგვცემს ამ ფაქტს, ქებით მოიხსენიებს ანაკოფიას: „მიემხრო (ბიზანტიის) იმპერატორს და გადასცა უმტკიცესი ციხე ანაკოფია“ (აქეე შევნიშნოთ, რომ ამ „უმტკიცესი“ ციხე-სიმაგრის სამაგიეროდ მოღალატე უფლისწულს, კედრენესავე ცნობით, მაგისტროსის ტიტული უბოძეს)... ამაზე დიდებულ სამსახურს რას გაუწევდა ბიზანტიას! სამხრეთით ხომ უშუალოდ ეკეროდა ბიზანტია საქართველოს, ახლა, ამ მოღალატე უფლისწულის წყალობით ჩრდილოეთშიაც გაიჩინა ბუდე და დასაყრდენი. ამით საქართველოს დამორჩილების საქმეც გაიადვილა და კავკასიის სხვა ხალხებისაც.

ამ ამბებს რომ გადმოგვცემს მემატიანე, იქეე გულისტკივილით შენიშნავს — დღემდე ბერძნების ხელშია ეს ქალაქიო. ანაკოფია საქართველომ 1074 წელს დაიბრუნა, „მატიანე ქართლისა“ კი, საიდანაც ეს ცნობა გვაქვს, ცოტათი უფრო ადრე იწერებოდა.[1]

ლიპარიტი ჭკვიანი კაცი იყო, გამოცდილი მეომარი, და დიდი სიფრთხილით შეუდგა საქმეს. სანამ ბიზანტიის იმპერატორისგან ჯარს გამოითხოვდა ქართველი მეფის წინააღმდეგ, ჯერ კახეთის დიდებულებთანაც გამართა მოლაპარაკება. კახეთის მეფე და მთავრები ვერა და ვერ ურიგდებოდნენ გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შესვლას, თავის ნებაზე ყოფნა ერჩიენათ, დამოუკიდებლად. და როგორც ხელსაყრელ შემთხვევას იპოვიდნენ, ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ გაერთიანებული საქართველოს მეფის ქვეშევრდომობისგან.

ახლაც, თბილისის ალყის შემდეგ, სადაც კახეთის მეფე ბაგრატის მოკავშირედ გამოდიოდა, ბაგრატმა კახეთს გალაშქრება

1. „ეს ფრაზა გვამცნევს, რომ ბაგრატის ცხოვრება დაწერილია თვით ბაგრატის დროს“; შენიშნავს დიმიტრი ბაქრაძე.

და დამორჩილება გადაწყვიტა და, ეტყობა, დიდი ძალით გაილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში მიქელ-გაბრიელის მთაზე გაიმარჯვა კიდეც. მემატიანე ჩამოგვითვლის, ვინ შეუპყრია მას ბრძოლის დროს; ესენი არიან დიდი ერისთავები — პანკისისა, ხორნაბუჯისა, შტორისა... სხვა კუთხეებიც რომ დაეშინებინა, თიანეთში გადასულა და ბოდოჯის დიდებული სასახლე („სახლი სახელოვანი") დაუწვავს. ამის შემდეგ დაშინებული ერისთავები თვითონვე ემუდარებოდნენ, ჩვენი ციხეები ჩაიბარეო... თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო, მაგრამ ამ დროს შეატყობინეს მეფეს, ლიპარიტი დიდ ღალატს ამზადებსო და ბოლომდე ვეღარ მიიყვანა ბაგრატმა საქმე, უკანვე „შემოიქცა".

ამის შემდეგ, ბუნებრივია, უფრო გაუადვილდებოდა ლიპარიტს განაწყენებული კახელი ერისთავების გადაბირება და ბაგრატის წინააღმდეგ გამოყვანა.

ლიპარიტი წამოუძღვა ბიზანტიის ლაშქარს, თან ბაგრატის ძმა დემეტრეც წამოიყვანა, „მიერთნეს (შეუერთდნენ) სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი" (უკმაყოფილო დიდებულებს რა გამოულევდა მეფეს), გადმოიარეს სამხრეთ საქართველო და ატენის ციხეს მოადგნენ.

ატენის ციხე საიმედოდ იყო გამაგრებული და მეფის ერთგული ხალხი იცავდა, ამიტომ მისი აღება ვერ მოახერხეს (ისე კი ციხის გარეთ, ქართლის სოფლები გადაუწვავთ), მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის ჯარისა და საკუთარი ლაშქრის გარდა, ლიპარიტს დახმარებას უწევდნენ კახელი მთავრები. რაკი ციხე ვერ აიღეს და, ამრიგად, მეფის წინააღმდეგობა ვერ გატეხეს, ლიპარიტი იძულებული გახდა, დაზავებოდა ბაგრატს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საზავო პირობები ლიპარიტისთვის საპატიოც იყო და ხელსაყრელიც: მეფემ მას ქართლის ერისთავობა უბოძა.

როგორც ვიცით, ქართლის ერისთავი იმ დრომდე იოანე აბაზას ძე იყო და გარკვეული არ არის, როგორ მოხდა, რომ მეფემ იგი გაწირა და ლიპარიტი გააერისმთავრა! ფაქტი ის არის, რომ მეფემ ამის შემდეგ მტრად მოიკიდა თვითონვე ივანე აბაზას ძეც და მთელი მისი დიდი საგვარეულოც. ეტყობა, სხვა გზა აღარ ჰქონდა მეფეს, ანგარიში უნად გაეწია ლიპარიტისა და მისი ძლიერი და გავლენიანი მოკავშირეებისათვის.

ბერძნები უკანვე გაბრუნდნენ ბიზანტიაში, და ის ჩვენი ბედუკულმართი უფლისწული დემეტრეც — გაწბილებული და პირში ჩალაგამოვლებული „წარიტანეს თან“.

ეს მოხდა ბაგრატის კახეთში ლაშქრობის „შემდგომად მცირედისა ჟამისაო“, მემატიანე წერს. როგორც ვარაუდობენ, ეს იყო 1042-1043 წლებში.

ამავე ხანებში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ანისის სამეფო ბიზანტიამ ადრეევე დაიბევა — იოანე-სუმბატს ანდერძი დააწერინა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ანისს ბიზანტიას ვუტოვებო. იოანე-სუმბატი რომ გარდაიცვალა, ანისის სამეფო ტახტზე მისი ძმისშვილი გაგიკი ავიდა. ბიზანტიის იმპერატორმა გადაწყვიტა, ბარემ დაუფლებოდა ამ დიდებულ ქალაქსა და სამეფოს. სომხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ბუნებრივია, სომეხი ხალხი არ ინდომებდა უცხოელი დამპყრობელის უღელს. იმპერატორმა მოატყუა ანისის ახალგაზრდა მეფე; შეუთვალა, ეს ქალაქი ხომ ანდერძით ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ, რაკი ვერ ელევი და არ გეთმობა, ჩამოდი, მოვილაპარაკოთ, კარგად ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და ფიქრი ნურაფრისა გექნება — შენს ქალაქსა და ქვეყანას სამარადისო მემკვიდრეობით შენვე დაგიმტკიცებო. ამას სომეხი მემატიანე არისტაკეს ლასტივერტეცი გადმოგვცემს და იქვე მწარე ირონიით დასძენს: „გონიერი ადამიანი ფიცსა სდებს და უგუნური იჯერებს... მატყუარათა სიტყვები მწყერის მსგავსად მსუქანია და უგონონი შთანთქავენ მას“. ანკესზე წამოეგო გაგიკი, იმპერატორს ეახლა. როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერატორმა უკან აღარ გაუშვა იგი... მაშინ სომხებმა (ქალაქის მთავრებმა) გადაწყვიტეს, ანისი ქართველი მეფისათვის გადაეცათ — ეს იმითაც ჩათვალეს გამართლებულად, რომ ბაგრატის დედა სომეხი მეფის სენაქერიმის ქალი იყო... მაგრამ დიდხანს არ შერჩენია ბაგრატს ეს ქალაქი. ბიზანტიის იმპერატორმა მალევე წაართვა იგი და თავის იმპერიას შეუერთა. ეს მოხდა 1045 წელს.

ანაკოფიის დაკარგვას ბაგრატი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა. და მართლაც, როგორც კი მოღონიერდა და გაძლიერდა („კუალად განძლიერდა და მოირჭუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა. და დააგო სუემან ბაგრატისამან ჟამი“ — ბედმა რომ გაუღიმა), გადაწყვიტა, უკანვე დაებრუნებინა ეს „უმტკიცესი“ ციხე-სიმაგრე.

გაზაფხული იყო (ეს უნდა მომხდარიყო 1046 წელსო, იანე ჯავახიშვილი აზუსტებს), როცა ბაგრატი „მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად“ — მეფის მეომრებს თითქმის გაეტეხათ მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა და ციხის აღებას ბევრი აღარაფერი უნდოდა.

და ამ დროს...

უცნაური ბედი დაჰყვა ბაგრატს — როცა ის-არის, საბოლოოდ უნდა გატეხოს მტრის წინააღმდეგობა, მუდამ რაღაც გადაეღობა ხოლმე!

ამ დროს თბილისელი ბერები მოადგნენ: ამირა ჯაფარა მოკედა და, არიქა, სასწრაფოდ წამოდი, დედაქალაქი ჩაიბარეო! და მეფეც მაშინვე გაემართა თბილისისაკენ.

თავისთავად ძალიან სასიხარულო ამბავი იყო — დედაქალაქის გათავისუფლება და ქვეყნისთვის შემოერთება უკვე საუკუნოვან ოცნებად ქცეულიყო. და, ბუნებრივია, ყველამ ძალიან გაიხარა. მაგრამ რატომ ასე სასწრაფოდ? ან ბერები რას ჩამოვიდნენ ასეთი ფაცხა-ფუცხით და ან მეფემ რატომ გამოიჩინა ასეთი სულსწრაფობა? თუკი „მისწურა წასაღებელად“, ბარემ აეღო ანაკოფია, იქიდან ბერძნები გაეძევებინა და ისე წასულიყო.

თითქოს მართლაც უცნაურია.

ნიკო ბერძენიშვილს საინტერესო მოსაზრება აქვს: თბილისელ ბერებს ეშინოდათ, დედაქალაქი ლიპარიტ ბაღვაშს არ ჩაეგდო ხელში! ეს, რა თქმა უნდა, არც თბილისელი მოქალაქეებისთვის იქნებოდა სასურველი. მათ მეფის ხელისუფლება ერჩიენათ.

საცა არ მიდგა, ყველგან კლდეკარის ერისთავი დახვდა მეფეს. ძლიერი, მამაცი, ცბიერი, ჭკვიანი, გავლენიანი... იგი აშკარად ხელს უშლიდა მეფეს, წინ ეღობებოდა, სახელსა და დიდებაში ეცილებოდა. ლამის ქვეყნის ფაქტიურ გამგებლად იქცა... მათ შორის შუღლი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა, ბრძოლა — ხან ჩუმი, ხან აშკარა და შეუპოვარი — გრძელდებოდა და სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ფაქტიურად ქვეყანაში ორი მეფე იყო და არავინ იცოდა, როდის მოეღებოდა ბოლო ამ ორმეფობას.

მეფემ ანაკოფიაში ბრძოლის დასასრულებლად ჯარის ნაწილი დატოვა და თბილისისაკენ გაეშურა.

თბილისელები დიდ საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ მეფეს. ისე აგვიწერს ამ შეხვედრის გრანდიოზულობას მემატიანე, რომ აშკარად ეტყობა, კარგად ჰქონდათ შეგნებული ამ მოვლენის დიდი ეროვნული მნიშვნელობა.

„...მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა, და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს. და იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძრეოდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე განსაკვირველი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაკკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად (სამეფო საქმეთა გადასაწყვეტად და გასარიგებლად)“...

ქალაქის ერთი ნაწილი, მტკვარგალმა რაიონი — ისანი — არ დაემორჩილა მეფეს. ისნელებმა ხიდი ჩაანგრიეს და მეფის მხედრობას გალმა გასვლის საშუალება მოუსპეს. ბრძოლით უნდა აეღო ბაგრატს ისანი. მეფემ ფილაკავანნიც, ანუ ქვის სასროლი მანქანებიც გამოიყენა და ქვემოდან უშენდა მტკვრის შემაღლებულ, კლდოვან ნაპირზე გამომწვევად გადმომზირალ უბანს. ამ ბრძოლის დროს ბაგრატს მოეახლნენ კახეთის იმდროინდელი მეფე გაგიკი და კახელი დიდებულები — „მშვიდობისა ძებნად“, მეფემაც „მისცა მშვიდობა და განუტევა“.

ამით თითქოს მეგობრობისა და კეთილი ურთიერთობის საფუძველი ჩაიყარა ბაგრატსა და კახეთის მეფეს შორის.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ მეგობრობას დიდი დღე არ ეწერა.

ადვილი არ გამოდგა ისნის აღება, თუმცა თავიდან ალბათ ბაგრატსაც და მის მომხრეებსაც იოლი საქმე ეგონათ, რადგან ქალაქის მთავარი ციხე-კოშკები მეფის ხელში იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ბაგრატი მოერიდა ზედმეტ სისხლის ღვრას. დიდი ძალით არ შეუტევია, ხელჩართულ ბრძოლამდე არ მისულა საქმე — „დაუდგნეს ფილაკავანნი... და ესროდეს ისარსაო“, დაუძაბავი ბრძოლა ყოფილა, ისრების კანტიკუნტი სროლა. ბოლოს და ბოლოს, ბრძოლა ხალხმრავალ ქალაქში იყო და ქვეყნის მმართველს მეტი სიფრთხილე მართებდა, რათა ისედაც მრავალტანჯულ ქალაქს ახალი სატანჯველი არ დამატებოდა, თანამემამულეებსა და თანამოქალაქეებს ერთმანე-

თის სისხლი არ ეღვარათ. დიდი მნიშვნელობა ალბათ არც მიუცია მეფეს — ადრე იქნებოდა თუ გვიან, მაინც აიღებდა ისანს, ამისი ეჭვი არცა ჰქონია, მხიარული განწყობილება სუფევდა, დამშვიდებით განაგებდა ქვეყნის საქმეებს — „იყო სიხარული და მშვიდობა და საურავი (საქვეყნო საზრუნავი) დღითი-დღე შემატებისაო“, სწორედ დროის ამ მონაკვეთზე გადმოგვცემს მემატიანე.

ამასობაში „გარდახდეს დღენი ზაფხულისანი“ — მიიწურა ზაფხული, დადგა თბილისური წყნარი და მშვიდი შემოდგომა... ისნისთვის ბრძოლა კი კვლავ გრძელდებოდა და ალბათ ზამთრის პირისთვის ფიქრობდა მეფე დამთავრებას, რადგან თავიდანვე ასე ჩამოყალიბდა — ადამიანი თავისი დიდი გეგმებისა და საქმეების დაწყებასა თუ დამთავრებას წელიწადის დროთა მონაცვლეობას უკავშირებს ხოლმე...

ერთი ანდაზისა არ იყოს, მეფე კი ასე ბჭობდა — ასეთი გეგმა და ვარაუდი ჰქონდა, მაგრამ ბედი სულ სხვა რამეს უმზადებდა. ჯავახეთიდან უსიამოვნო ამბავი მოუვიდა. იმდენად უსიამოვნო, რომ მეფეს ყველა საქმეზე ხელი ააღებინა — ისნისათვის ბრძოლაზეც კი — და აიძულა, ჯავახეთში გამგზავრებულიყო. ამ პირობებში ისნის დათმობა კი მთელი თბილისის დათმობასაც ნიშნავდა.

აი, რა უსიამოვნო ამბავი მოვიდა ჯავახეთიდან: მეფე რომ თბილისში დაყოვნდა, ლიპარიტმა თურმე დრო იხელთა და დიდებულები გადაიბირა, ახალი დაჯგუფება მოაწყო.

ისევ დაიძაბა მდგომარეობა. არც თვითონ ისვენებდა გაამაყებული ფეოდალი და არც მეფეს ასვენებდა. შინაგანი ჭიდილი და ბრძოლა გრძელდებოდა და მწვავდებოდა. კახელებიც ლიპარიტის მხარეზე აღმოჩნდნენ ამ ბრძოლაში. ხოლო, როცა ლიპარიტმა მაწყვერელის გადაბირებაც მოახერხა, რომელმაც ამ ბრძოლაში თავიდანვე აქტიურად დაუჭირა მეფეს მხარი და რომელიც ბაგრატს ერთგულ და სანდო ადამიანად ეგულებოდა, გული გაუტყდა მეფეს. უკვე საშიში მდგომარეობა შეიქნა...

მკაცრი ზამთარი იდგა და გაიგო თუ არა მაწყვერელის ღალატის ამბავი, მეფემ „ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“ — გაცლა ამჯობინა.

ეს ფაქტიურად ლიპარიტის გამარჯვებას ნიშნავდა.

მაგრამ ეს მაინც ნახევარი გამარჯვება იყო. მანამ ვერ

მოისვენებდა ლიპარიტი, ვიდრე სამეფო ტახტზე ისეთ ვინმეს არ იხილავდა, ვინც მისი მორჩილი იქნებოდა. ბაგრატის მოდრეკასა და დამორჩილებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, იგი თვითონვე ძლიერი ადამიანი იყო. დემეტრე კი ნამდვილად იქნებოდა მისი მორჩილი — ჯერ ერთი, უფერული პიროვნება ჩანს, სხვის სათამაშოდ ქცეული, სხვისი ინტერესების შემსრულებელი და მეორეც, თუკი ტახტზე მისი აყვანა მოხერხდებოდა, ეს უმთავრესად ლიპარიტის დამსახურებით; ამიტომაც მისგან დავალებული იქნებოდა და სამაგიეროსაც ათეკეც მოსთხოვდა.

ალბათ იკითხავთ, რატომ თვითონვე არა ცდილობდა ლიპარიტი სამეფო ტახტზე ასვლას — ის ხომ მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი ფეოდალი იყო და თავისი ლირსებებითა და ადამიანური თვისებებით ისეთივე ძლიერი, როგორც თვითონ ბაგრატი?! რაღა ის ბედუკულმართი დემეტრე აიჩემა, ბარემ საკუთარი თავისთვის ეზრუნა! ფაქტიურად ხომ მაინც მეორე მეფესავით იყო?! „ბიზანტიელები მას იმგვარსავე საპატიო სახელს უწოდებდნენ, რასაც საქართველოს მეფეს („არხაგოს"), ივანე ჯავახიშვილი წერს. თუკი ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ მეზობელი ქვეყნების გვირგვინოსნებსაც ადვილად მიიმხრობდა და დიდებულების გადაბირება არაფრად უღირდა, ბარემ დიდი შეთქმულება მოეწყო, და თვითონ ასულიყო ტახტზე!

ჯერ ერთი, უკვე ისეთი ავტორიტეტი და სახელი მოეპოვებინა ბაგრატიონთა გვარს ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც, რომ მის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერავინ გაბედავდა, და მეორეც, იგივე დიდებულები და თუნდაც მეზობელი ქვეყნების მეფეები ლიპარიტის ზედმეტ აღზევებას ვერ მოითმენდნენ და ამიტომ ხელსაც არ შეუწყობდნენ. მათთვის სულაც არ იქნებოდა სასურველი და ხელსაყრელი მეფედ ქცეული ლიპარიტი. ისინი გარკვეულ დრომდე უჭერდნენ მხარს ლიპარიტს. მეტისმეტ აღზევებას თუ შეატყობდნენ, მაშინვე გადაუდგებოდნენ და მეფეს ამოუდგებოდნენ მხარში. ასეთია ფეოდალური საზოგადოებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა დაუწერელი, მაგრამ მტკიცედ ჩამოყალიბებული კანონი. და ეს კლდეკარის ერისთავმაც კარგად იცოდა.

ერთი სიტყვით, ლიპარიტს ბოლომდე უნდა მიეყვანა საქმე, ასეთი ნახევარ გამარჯვებით ვერ დაკმაყოფილდებოდა. და აი, მას ისევ მოჰყავს საბერძნეთიდან უფლისწული დემეტრე. თავისთავად

იგულისხმება, რომ იმპერატორმა კვლავ დიდი ლაშქარი და ბლომად ფული გამოატანა. ახლა უფრო საგულდაგულოდ მოემზადა ერისთავი. მეტი სიფრთხილე გამოიჩინა. წინასწარ მოუმზადა ნიადაგი დემეტრეს მეფობას, შეეცადა, ავტორიტეტი შეექმნა მისთვის, ეტყობა, იმდენი დაპირებები დაარიგა, იმდენი რამე აღუთქვა ხალხს (საზოგადოების ყველა ფენას), თუკი დემეტრე გაიმარჯვებდა და ტახტზე ავიდოდა, რომ ამჯერად დიდებულებშიაც და „წვრილ ერშიაც“ ბევრი აღმოჩნდა ტახტის მაძიებელი უფლისწულის მხარდამჭერი: „განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულობასა შინა“. ამასთან, სომეხთა მეფეც მიიმხრო ლიპარიტმა, კახელებიც...

ასე საგულდაგულოდ მოემზადა, მაგრამ საქმე ვერც ამჯერად მიიყვანა ბოლომდე. ბედუკულმართ ტახტისმაძიებელ უფლისწულს სამეფო ტახტზე ასვლა მაინც არ ეწერა, ახლაც პირში ჩალაგამოვლებულს მოუხდა უკან გაბრუნება.

და ამის შემდეგ მალე მოკვდა კიდეც.

საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა ლიპარიტმა, მაგრამ მეფეს კი დიდად შეუშალა ხელი.

ბაგრატი სერიოზულად შეაფიქრიანა შექმნილმა მდგომარეობამ. ვერა და ვერ მოიშორა ეს გაამაყებული ერისთავი. ეტყობა, ისე შეფიქრიანდა, რომ ავტორიტეტის შელახვასაც არ მოერიდა და შესარიგებლად სახლში მიადგა ლიპარიტს, ხოვლეს („მცირედითა ცხენოსნითა“: ეს უკვე იმის ნიშანიც იყო, რომ კეთილი სურვილებით ესტუმრა ქვეშევრდომს; თან მეფის გაბედულება-სიმამაცესაც ადასტურებდა). ყმა ისე გაკადნიერდა, რომ არც კი გამოეგება მეფეს: „რა ცნა ლიპარიტ მისვლა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით“ — მეფის მოსვლა რომ გაიგო, წავიდა, გაეცალა. მეფესაც რაღა უნდა ექნა, გაწბილებული გაბრუნდა და აფხაზეთში გადავიდა.

რაკი ლიპარიტს ბიზანტიის იმპერატორი უმაგრებდა ზურგს და მისი მოკავშირე იყო, ქართველ მეფეს ფაქტიურად თავის ერისთავთან კი არა ჰქონია ეს გაუთავებელი ბრძოლა, რომლის დროსაც უფრო ხშირად თვითონ გამოდიოდა დამარცხებული, არამედ ბიზანტიის იმპერატორთან. ეს უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, როცა ბაგრატისა და ლიპარიტის ურთიერთობაზე გვაქვს ლაპარაკი.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი დრო და, თითქოს საგანგებოდ ეძებენ განხეთქილებისა და ბრძოლის საბაბსო, რამდენიმე დიდებულმა მეფეს ურჩია თუ სთხოვა, ერთხელაც ეცადა ბედი და გაელაშქრა ურჩი ერისთავის წინააღმდეგ. ეს დიდებულები, ეტყობა, შეაფიქრიანა კლდეკარის ერისთავის მეტისმეტმა აღზევებამ და გაამაყებამ. რაკი გავლენიანი დიდებულების (ესენი იყვნენ კალმახის ერისთავი სულა, არტანუჯის ერისთავი გრიგოლი, „და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი“) აქტიური მხარდაჭერა ჰქონდა, ბაგრატმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ შებრძოლებოდა კლდეკარის ერისთავს.

მეფე თავისი ლაშქრით დასავლეთ საქართველოდან წამოვიდა, გადმოიარა რკინის-ჯვარი (ეს არის უღელტეხილი, რომელიც მესხეთს აფხაზეთთან აკავშირებდა) და არყის ციხესთან შეთქმულ ერისთავებს შეხვდა.

თითქოს კარგად იყო მომზადებული შეთქმულება — საიდუმლოდ და საგულდაგულოდ. და რაკი მოულოდნელად დაესხმოდნენ თავს, გამარჯვებაც გარანტირებული უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ბაგრატს აშკარად არა სწყალობდა ბედი — მოხდა ისე, რომ სანამ შეთქმულები არყის ციხიდან დაიძრებოდნენ, მოულოდნელად სწორედ ლიპარიტი დაესხა მათ.

ან მეფე რას იფიქრებდა და ან შეთქმული დიდებულები, რომ ლიპარიტს საომრად გამზადებული ჰყავდა დიდი ლაშქარი — გარდა საკუთარი მხედრობისა, კახნი, სომეხნი, „ბერძენნიცა თანა ჰყვეს“ (ბიზანტიელი მეომრებიც იქა ყოლია). აშკარაა, ეს დიდი ლაშქარი შეკრებილი ჰყოლია დვინზე გასალაშქრებლად. ბიზანტიის იმპერატორმა დაავალა, თუ სთხოვა დვინზე გალაშქრება: ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედაო, მემატიანე გადმოგვცემს. აქედანვე ჩანს, კარგი სარდალი ყოფილა ლიპარიტი, ბიზანტიის იმპერატორსაც ერთგულ კაცად დაუსახავს, რაკი ლამის არაოფიციალურ სპასალარად აქცია...

მეფესა და შეთქმულ დიდებულებს მოულოდნელი თავდასხმის იმედი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ლიპარიტმა დაასწრო: გაიგო მათი მზადების ამბავი და, რაკი ჯარი შეკრებილი ჰყავდა სალაშქროდ, ამ შემთხვევით ისარგებლა და თვითონვე მოულოდნელად დაესხა. ისე კი ალბათ არც აპირებდა იმ დროს მეფეზე გალაშქრებას. რადგან უფრო შორეული და დიდი ლაშქრობისთვის ემზადებოდა.

ბრძოლის ბედიც მოულოდნელმა თავდასხმამ გადაწყვიტა: ლიპარიტმა ამჯერადაც სძლია და დიდ გამარჯვებასაც მიაღწია. მეფე გაიქცა, სულა და გრიგოლი კი ლიპარიტმა შეიპყრო.

ამ გაუთვალისწინებელი ბრძოლისა და გამარჯვების შემდეგ კლდეკარის ერისთავი კიდევ უფრო გაძლიერდა.

ზემოთ მოთხრობილი ამბავი 1047 წელს მოხდა.

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა ამის შემდეგ მოვლენათა მსვლელობა, რა ბოლო ექნებოდა მეფისა და ქედფიცხელი ფეოდალის მტრობას, რომ ლიპარიტი რამდენიმე წლით არ გასცლოდა არა მარტო თავის საერისთავოსა და სამშობლოს, არამედ მთელ იმ სამყაროსაც, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა.

●

რამდენიმე წლით გაეცალა თავის ქვეყანასაო, ლიპარიტზე ვთქვით, მაგრამ მთლად ზუსტი გამოთქმა არ არის ეს. კი არ გაეცალა, იძულებით მოაცილეს, მოაშორეს... ლამის სააქაო ცხოვრებას მოწყვიტეს. ბრძოლის ველზე შეიპყრეს მძვინვარე ომში.

ამ მამაც მეომარსა და გამოცდილ სარდალს ტყეეობის სიმწარე არგუნა ბედმა... და ამჯერადაც ბიზანტიის სახელით იბრძოდა, ახლაც ბერძენთა იმპერატორს „ულაშქრა“ ლიპარიტმა.

ოლონდ მტერი, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც ქართველი ერისთავი გაგზავნა იმპერატორმა, მარტო ბიზანტიის წინააღმდეგ როდი გამოდიოდა; იგი შორიდან მოსულიყო და ყველას ებრძოდა, ვინც კი გზაზე შეხვდებოდა — ბიზანტიასაც, არაბთა სახალიფოსაც, სომხეთსაც, საქართველოსაც... მთელს კავკასიას, მთელს მცირე აზიას... მოდიოდნენ ცოლებით, შვილებით, მოხუცებითა და ჩვილი ბალღებით, ჯოგებით, მთელი ჯალაბით... მოდიოდნენ გზებზე, მინდვრებზე, ტყე-ღრე... ყანებს, ზვრებსა და ბალ-ბოსტანს თავიანთი აქლემების, სპილოებისა და ღონიერი ცხენების ტორებით თელავდნენ... ქალები გზადაგზა მშობიარობდნენ, ურმებშივე, საცა მოუხდებოდათ; სნეულებსა და მოხუცებსაც ხან სად მოუსწრებდა სიკვდილი და ხან სად — გზადაგზა, ცხენებზეევ... თავიანთი გარეგნობითაც კი შიშის ზარსა სცემდნენ ხალხს: უცნაური ტანსაცმლით შემოსილებს, ფეხმარდ ცხენებზე ამხედრებულებს ქარი უფრიალებდა და უწეწავდა გრძლად ჩამოშვებულ თმას, ხელში

გრძელი შუბი მოემარჯვებინათ და ასევე ცხენდაცხენ გამეტებით იქნევდნენ ამ შუბს. ცხენებზე ამხედრებულიყვნენ, ცხენებზე აღამათენებდნენ, ფეხქვეშ მიწას ვერა გრძნობდნენ, მიწის ნაყოფს პატივს არა სცემდნენ, მიწის ყადრი და სიყვარული არ იცოდნენ და მაინც მიწისთვის იბრძოდნენ... მოდიოდნენ წივილ-კივილით, ყვირილით, ბღავილით... და ყველაფერს იკლებდნენ, ყველას ერჩოდნენ, ყველას განურჩევლად, ვინც კი გზად შეხვდებოდათ. რადგან მათ ბრძოლებს იმხანად არც რაიმე პოლიტიკური მისწრაფებანი ასულდგმულებდა, არც რელიგიური, არც ეროვნული... არავითარი იდეა არა აქონიათ, თუნდაც შენიღბულად და თვალისასახვევად მორგებული, როგორც ამას ხშირად აკეთებდნენ ხოლმე დამპყრობლები. ამ ბრძოლების აზრი ძალიან მარტივი იყო — მოდიოდნენ საჭმელისთვის, გაძღომისთვის, საძოვრებისთვის... „მოეფინნეს ყოელისა ქუეყანანი, ვითარცა მკალნი", შენიშნავს ქართველი მეისტორიე და აქ მტრის ურდოები მარტო მათი სიმრავლის შთაბეჭდილების შესაქმნელად კი არ არის კალიასთან შედარებული, არამედ როგორც მეურნეობის მომსპობთან და გამანადგურებელთან.

ეს იყო სავსებით განსხვავებული მტერი, ასეთი ჯერ არავინ ენახათ — არც არაბებსა ჰგავდნენ, არც ხაზარებს, არც ბიზანტიელებს...

და ამიტომაც ჭირდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მათი მოგერიება.

ესენი იყვნენ თურქ-სელჩუკები და მათი ლაშქრობანიც ისტორიაში ცნობილია თურქ-სელჩუკთა შემოსევების სახელით. ოღუზური მოდგმის თურქები ყოფილან, ხოლო სახელი „სელჩუკი" მიუღიათ თავიანთი წინაპრისგან, რომელსაც სელჩუკი რქმევია. სელჩუკი მეათე საუკუნეში ცხოვრობდა და როცა ტომის მეთაური გახდა, ისლამის რჯული მიიღო (მანამდე წარმართები იყვნენ), სელჩუკთა სახელმწიფოსაც მანვე ჩაუყარა საფუძველი.

თურქ-სელჩუკებზე დიდი ლიტერატურა არსებობს. გვაქვს ქართველ მეცნიერთა საფუძვლიანი გამოკვლევებიც და დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს დაწვრილებით გაეცნოს.

აქ მოკლედ შევნიშნავთ, რომ ეს ტომები თავდაპირველად ცენტრალური აზიის სტეპებში მომთაბარეობდნენ; არალის ტბასა და ურალს შორისო, ასე აზუსტებენ მათ სამყოფელს. მერე ახალი საძოვრებისთვის დაძრულან და ნელ-ნელა წამოსულან... როგორც უკვე ითქვა, მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებითა და უთვალავი ჯოგებით... გზადაგზა იპყრობდნენ ხალხებსა და სახელმწიფოებს;

ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ჟლეტდნენ, ვინც მოასწრებდა, მთებში იხიზნებოდა. თუ განვითარებული ხალხი შეხვდებოდა, მათ მეურნეობას სპობდნენ და მაღალი სამეურნეო კულტურებისთვის დამუშავებულ მიწებს ველურ საძოვრებად აქცევდნენ. ამრიგად, ისინი არა მარტო იპყრობდნენ ქვეყანას და მოსახლეობას ჟლეტდნენ, არამედ საერთო განვითარებას აფერხებდნენ, ცხოვრების წინსვლას უკან სწევდნენ, პირველყოფილ მდგომარეობას უბრუნებდნენ...

„მათ პრიმიტიულ მეურნეობას (მომთაბარე მეჯოგეობას) მიწის დიდი ფართობი სჭიროდა, — წერს ნიკო ბერძენიშვილი, დიდ მდინარეთა (არაზის, მტკვრის, ალაზნის, ივრის) ნოყიერი ჭალები და მაღალმთიანეთის ალპური საძოვრები თურქ მომთაბარეების ყიშლაღ-იალაღებად უნდა ქცეულიყვნენ. ადგილობრივ მკვიდრთა ინტენსიური სამიწათმოქმედო კულტურა იკვეცებოდა, ბაღ-ვენახი, სელი და პურეული ადგილს უთმობდა პირველყოფილ საძოვრებს“...

აი, ასეთი მტერი გამოუჩნდა კავკასიას და მთელს მცირე აზიას მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებში, ასეთი მტერი გამოუჩნდა ჩვენ ხალხს, მის კულტურას, მის ქებულ ზვრებსა და ბაღ-ვენახებს, მისი მაღალგანვითარებული მეურნეობის ყოველ დარგს.

უფრო ცოცხლად რომ წარმოვიდგინოთ, რა საშინელი უბედურების წინაშე იდგა ჩვენი ხალხი, ცოტათი წინ გავიჭრეთ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მოვუსმინოთ.

„...მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანასათა... არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცელად კაცთა, მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათასა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ (დასაჭურისებულ), ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცელად წყლისა ნაკადულთა“...

●

თურქ-სელჩუკები პირველად მეთერთმეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოჩენილან კავკასიაში. ეტყობა, ეს დაზვერვითი შემოსელა იყო შედარებით მცირე რაზმებისა და მთელი საშინელება, რასაც აღმოსავლეთიდან დაძრული დიდი წარღვნა მცირე აზიის ქვეყნებს უმზადებდა, მაშინ არ უგრძვნიათ და არ გაუთვალისწინებიათ.

პირიქით, იმის ნაცვლად, რომ მეზობელი ხალხები შეეკავშირებინათ და სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის შექმნას ცდილიყვნენ, ბიზანტიის იმპერიის მესვეურები, როგორც ვნახეთ, სულ იმის ცდაში იყვნენ, ეს მეზობელი ქვეყნები გაეთელათ, დაექუცმაცებინათ, ეკონომიკურად დაეუძლურებინათ, მათი სამხედრო ძლიერება დაესუსტებინათ, მათი ეროვნული ღირსება შეებღალათ... იმის ნაცვლად, რომ ამ განათლებულ და მამაც ხალხებს მეგობრად მოკიდებოდნენ და მეგობრული დულაბით შეეკავშირებინათ, ყოველნაირად ცდილობდნენ, მონებად ექციათ ისინი; მონური უნდობლობის თესლს აღვივებდნენ იქ, სადაც მეგობრობის ფესვებგამდგარი ხე უნდა ეხარებინათ. ბიზანტიის სამეფო კარი საგულდაგულოდ ჭრიდა იმ ტოტს, რომელსაც თვითონვე უნდა დაყრდნობოდა და რომელსაც იგი უნდა ეხსნა. მეზობელ ხალხთა ეროვნული ინტერესების არად ჩაგდებით, მათ აღმოსავლეთიდან დაძრული დიდი გამანადგურებელი ძალაც უგულებელყვეს და ამის გამო მალევე დაისაჯნენ, ეს უგულებელყოფა ძვირი დაუჯდათ. ბიზანტიის იმპერიის მესვეურებმა ვერ გაითვალიწინეს, რომ იმ პოლიტიკით, რომლის გატარებასაც ისინი სომხეთსა და საქართველოში ცდილობდნენ, თავისივე თავს მტრობდნენ, სომხეთისა და საქართველოს დაქუცმაცებითა და დასუსტებით იმ მტკიცე ჯაჭვირსა შლიდნენ, რასაც აღმოსავლეთიდან მოვარდნილი ნიაღვარი უნდა შეეჩერებინა და გზები გადაეკეტა.

არადა, მათ კარგი გაკვეთილი ჰქონდათ, და არ უნდა შემცდარიყვნენ. როცა არაბთა ბატონობის დროს ბიზანტია ცოტად თუ ბევრად თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა სომხეთისა და საქართველოს გაძლიერებას, რათა ამ ქვეყნებს უფრო აქტიური წინააღმდეგობის გაწევა შეძლებოდათ, ეს, ბიზანტიისავე ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, სწორი პოლიტიკა იყო. არაბთა დიდ შემოსევებს, რაც პერიოდულად ხდებოდა ხოლმე, ხშირად კავკასიის ქვეყნები იგერიებდნენ; ამ შემოსევათა გამანადგურებელი ტალღები პირველად სომხეთსა და საქართველოს ენარცხებოდა და ბიზანტიამდე

ტალღების ნამსხვრევებიღა აღწევდა. ასე მოხდა, მაგალითად, მურვან ყრუს დროს, როცა მტრის დიდი ლაშქარი კავკასიაშივე დაიქანცა, დაიფანტა, შეიმუსრა და ბიზანტიამდე აღარ გაჰყვა პირველი ძალა, დიდი ვნება ვეღარ მიაყენა იმპერიას.

არაბთა ხანგრძლივი ბატონობის დროს ბიზანტიამ შეიგნო ეს, მიხვდა, რომ საქართველოსა და სომხეთის გაძლიერებისთვის ერთგვარი ხელშეწყობა თავისივე სასარგებლო იყო.

როცა სახალიფო დასუსტდა და მისგან ვნებას აღარაფერს ელოდა იმპერია, ის-იყო კვლავ მტრად მოეკიდნენ პატარა ქვეყნებს და რბევა დაუწყეს. ამიტომაც უშლიდნენ ხელს საქართველოს გაერთიანებას, რაც ქვეყნის გაძლიერებისა და შემდგომი განვითარების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ამიტომ უწყობდნენ ხელს მსხვილ ფეოდალებს, რომლებიც ქვეყნის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

და სწორედ იმ დროს დაეძგერა მთელს მცირე აზიას აღმოსავლეთიდან უდიდესი ძალით დაძრული მტრის პირველი ტალღა, როცა ბიზანტიის მესვეურები არაფერს იშურებდნენ, არაფერს თაკილობდნენ, არაფერს ეპუებოდნენ, ოღონდ მეზობელი კავკასიის ქვეყნები დაექუცმაცებინათ და დასუსტებულები ადვილად დაემორჩილებინათ.

სომხეთში უკვე მიაღწიეს მიზანს. ხელი შეუშალეს ქვეყნის ცალკეული სამთავროების გაერთიანებას. წვრილი სამეფოები გააუქმეს. სომხური ლაშქარი გაიყვანეს. ადგილობრივი მოსახლეობა ტოვებდა სამშობლოს და მცირე აზიის სხვა ქალაქებსა და პროვინციებში სახლდებოდა. ბიზანტიელები დაეუფლნენ დაქუცმაცებული ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს. თქვენ გახსოვთ ანისის ისტორია... ქვემოთ ნახავთ, რა დღეში ჩავარდა ეს დიდებული ქალაქი, რაკიღა მას ნამდვილი პატრონი და ჭეშმარიტი გულშემატკივარი აღრევე წაართვეს.

ჩვენ რომ ზემოთ ვთქვით, ლიპარიტმა „ულაშქრა ბერძენთა მეფესა დეინელსა ზედაო“, ესეც სელჩუკების წინააღმდეგ ომი იყო.

და ერთი წელიც არ გასულიყო ამის შემდეგ, რომ ბიზანტიამ კვლავ გაიწვია ლიპარიტი, ამჯერად სელჩუკების კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ბიზანტიელი მემატიანე გადმოგვცემს, კეისარს წერილი მიუწერია ლიპარიტისთვის, თუ ნამდვილად ჩვენი მეგობარი და მოკავშირე ხარ, ახლა გამოჩნდება, სასწრაფოდ წამოიყვანე მთელი შენი ჯარი და ჩემს სარდლებს მიეშველეო.

სანამ ლიპარიტი ჯარს შეკრებდა და „მეგობრის“ მისაშველებლად წავიდოდა („წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოელითა ლაშქრითა“), მტერმა სულ აოხრა და გაანადგურა არზრუმისა და ტრაპიზონის მხარეები. ბიზანტიელი სარდლები ქართველი ერისთავის მაშველ ლაშქარს ელოდებოდნენ და პასიურობდნენ.

იმ ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ბიზანტიურ და სომხურ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავთ, ეს სარდლები ეტყობა, არც დიდი ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ, არც სამხედრო ნიჭით და არც თავიანთი ქვეყნის ერთგულებით. ვერ გაითვალისწინეს დიდი უბედურება, რაც მტერს მოჰქონდა, დააცალეს, ქალაქები და დაბები არბევინეს, მოსახლეობა აჟლეტინეს... თვითონ კი, თავიანთი დიდი ლაშქრით „თავი შეაფარეს ერთ ძნელმისასველელსა და ციცაბო ადგილს, რომელიც ყოველი მხრიდან გარემოცული იყო თხრილებით, და იქ დადგნენ, ხოლო ლიპარიტს მისწერეს, ჩქარა მოდი, ნუ იგვიანებო“ (ეს კედრენეს სიტყვებია), შორიდან შეპყურებდნენ თავიანთივე მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტას. თითქოს საგანგებოდ უწყობდნენ ხელს ხალხსა და ლაშქარში შიშისა და უიმედობა-სასოწარკვეთილების გაღვივებას, მტრის მხედრობას კი საშუალება მისცეს, იოლი გამარჯვებებით ფრთა შესხმოდა და გაძლიერებულიყო. ორი სარდალი ჰყოლია ბიზანტიის ლაშქარს: კეკავმენი რომ დაჟინებით მოითხოვდა, ბარემ შევებათ თურქებსო, აარონი ყოყმანობდა და ამჯობინებდა, ლიპარიტისთვის დაეცადათ. ამასობაში მტერი მოსახლეობას ჟლეტდა, ქალაქებსა და სოფლებს ცეცხლს უკიდებდა. იგივე მემატიანე გადმოგვცემს, როგორ გაანადგურეს თურქებმა თეოდოსიუპოლის (არზრუმის) მეზობელი ქალაქი არძე. მთელი ექვსი დღე ებრძოდნენ თურმე ადგილობრივ მოსახლეობას (ბიზანტიის დიდი ლაშქარი კი ამ დროს მოშორებით დგას და ელოდება...). მცხოვრებთა გააფთრებული წინააღმდეგობის გამო მტერს გაუჭირდა ამ პატარა ქალაქის აღება და მაშინ თურქმა სარდალმა ბრძანა, სახლებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. თურქებმა მუგუზლებს დაახვიეს ადვილად საწვავი მასალა და სახლებს დაუშინეს. ქალაქს ხანძარი მოედო. მარტო ამ პატარა ქალაქში 150.000 კაცი დაიღუპაო, ბიზანტიელი მემატიანე წერს: „ზოგი მახვილის მსხვერპლი გახდა, ზოგი — ცეცხლისა. როცა ამათ, დამარცხებულებმა, შეატყვეს, რომ ამოჟლეტილი იქნებოდნენ, თავიანთი ცოლები და შვილები თვითონვე ცეცხლში ჩაყარეს“.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა ლიპარიტი თავისი ჯარით

ბიზანტიელთა ლაშქარს შეუერთდა. გაიმართა დიდი ბრძოლა. შეერთებული ლაშქრის მარჯვენა და მარცხენა ფრთებს ბიზანტიელი სარდლები მიუძღოდნენ, ლიპარიტის ლაშქარი შუაში მოექცა. თურქების მთელი ყურადღება ლიპარიტისკენ იყო მიმართულიო, მემატიანეები გადმოგვცემენ.

ეს ბრძოლა დაწერილებით აქვთ აღწერილი სომეხ ისტორიკოსებს, სწორედ აქ მოიხსენიებენ ისინი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ქართველ სარდალს, ხოტბას ასხამენ მის მამაცობასა და შეუპოვრობას.

ბრძოლა გაჩაღდა საშინელი ზრიალით — მეხის გრიალი გეგონებოდათ... თვითონ ლიპარიტი ლერწამს მოდებული ცეცხლივით დატრიალდა და გაწყვიტა მტრის რაზმები. შევარდა მოწინააღმდეგის ლაშქარში და მარჯვნივ თუ მარცხნივ სისხლის მდინარეები დააყენა, კურდღლებივით გაფანტა მტრის ჯარი, — წერს ერთი სომეხი მემატიანე...

საინტერესოა მეორე სომეხი მემატიანის ცნობაც: ლიპარიტის ქართველი თანამებრძოლი და ახლობელი ჩორტვანელი გააფთრებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ, ლომივით ტრიალებდა და ერეკებოდა მტერს: და „ვიდრე მათ მიერეკებოდა, პირში ისარი მოხვდა, კეფასთან გამოვიდა. ასე დაიღუპა ჩორტვანელი, ეს მხნე და ძლიერი კაცი. ლიპარიტმა რომ გაიგო ჩორტვანელის სიკვდილი, როგორც მხეცი გააფთრდა... [დაერია მტერს] და მათი სისხლის გუბეები დააყენა. როდესაც ჰორომთა (ე. ი. ბიზანტიელთა) ჯარმა დაინახა ლიპარიტის სიმამაცე, მიატოვეს იგი და მახვილს მისცეს“...

ამ ცნობების მიხედვით, ბიზანტიელებს ვერც ერთგულება გამოუჩენიათ თავიანთი თანამებრძოლი ქართველი ერისთავის მიმართ და ვერც მადლიერების გრძნობა. მისმა შეუპოვარმა ბრძოლამ და ვაჟკაცობამ აღტაცების მაგივრად შური აღუძრა ბიზანტიელებს, რაღა ქართველებს ერგოთ გამარჯვების დიდებაო, და გადამწყვეტ მომენტში უკუიქცნენ, გააფთრებული ბრძოლის დროს ლიპარიტის ცხენს ფეხის ძარღვები გადაუჭრეს და გმირი სარდალი გაწირეს (ერთი წყაროს მიხედვით, მოღალატე თითქოს ლიპარიტისავე თანამემამულე იყო, მაგრამ სხვები არ იმეორებენ ამას. ასე რომ, ძნელია ვერწმუნოთ იმ ერთ წყაროს).

ქართველი მემატიანე, ჩვეულებრივ, ლაკონიურად გადმოგვცემს ამ ამბებს: „შეიბნენ ორდროსა და უკუმიასა ქუემოთ, და გააქციეს ყოველი სპა საბერძნეთისა და ლიპარიტისა თურქთა. იქმნა მოსრვა

დიდი, და შეუპყრეს ლიპარიტ და წარიყვანეს ხუარასანს სულტანსა თანა“.

სულთან თოღრულ ბეგს ადრევე ჰქონია გაგონილი ქართველი სარდლის გმირობის ამბავი და, როცა მისი ტყვედ ჩაგდება გაიგო, დიდად გაიხარა, თუ გინდა სიცოცხლე შეგინარჩუნო, ჩვენი რჯული მიიღეო, შეუთვალა. პირადად რომ გნახავ, მაშინ შევასრულებ შენს ბრძანებასო, იყო თურმე ლიპარიტის პასუხი. ხოლო როცა სულთანს მიჰგვარეს, ყველას გასაკვირად, ლიპარიტმა ასე მიმართა: რაკიღა გნახე, ახლა პირდაპირ გეტყვი — არ შევასრულებ შენს ბრძანებასაო. მაშ, რა გსურსო, ჰკითხა თურმე სულთანმა. ვაჭარი თუ ხარ, გამყიდე, ჯალათი თუ ხარ — მომკალი, და მეფე თუ ხარ, დამასაჩუქრე და გამათავისუფლე. ვაჭარი არა ვარ და არც გამოსასყიდსა გთხოვ, წადი, სადაც გინდოდესო, თითქოს ასე უპასუხა სულთანმა. ასე გადმოგვცემს სომეხი მემატიანე.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ამ ამბის პირველი ნაწილი, ბოლო ნაწილი კი ნამდვილად მოგონილია. სულთანს სულაც არ აჩვილებია გული. სინამდვილეში ქართველი სარდლის გამოსყიდვა კარგა ძვირი დასჯდომია ბიზანტიის იმპერატორს, და გამოსყიდვითაც იმიტომ გამოისყიდა, რომ მისთვის ძალიან საჭირო კაცი იყო ლიპარიტი.

მაგრამ ქართველი ერისთავი გამოისყიდეს 1051 წელს, ესე იგი, სამი წლის ტყვეობის შემდეგ (ზემოთნახსენები დიდი ბრძოლები 1048 წელს მოხდა). და ამ სამი წლის განმავლობაში თავისუფლად ამოისუნთქა ბაგრატმა.

რკინის ჯვართან სასტიკი დამარცხების შემდეგ ბაგრატი, ეტყობა, ქვეყნის დასავლეთში გადაიხვეწა და, სანამ ლიპარიტის ტყვეობის ამბავი არ მოვიდა, ქართლში აღარც გადასულა. ხოლო როცა ტყვეობის ამბავი გაიგეს, ლიპარიტისაენ შვილები დაფაცურდნენ, იგრძნეს მათი მამისგან შეეიწროებული მეფე კარგ დღეს არ დააყრიდა, ხელად მოელაპარაკნენ დიდებულებს, „იძებნეს უშიშობა და გამოიყვანეს მეფე მეფედ“ — კვლავ ძველი უფლებებით აღიჭურვა მეფე.

ახლა, რაკიღა ხელის შემშლელი ტყვეობაში იყო, ბაგრატმა სცადა, როგორმე განემტკიცებინა ურთიერთობა ბიზანტიის იმპერატორთან. იმპერატორმა გამოიყენა ქართველი მეფის კეთილგანწყობილება და თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლებშიაც დაიხმარა.

ბაგრატ მეფის საქმე თითქოს აეწყო. მემატიანისაენ ცნობით,

თბილისელ მოქალაქეებს ისევ მიუწვევიათ მეფე დედაქალაქში, და „იყო სიხარული და მშვიდობა დიდიო“, დასძენს მემატიანე; იმას კი აღარ ამბობს, მთელი ქალაქი გადასცეს ამჯერად ბაგრატს, თუ ისინი ისევ მაჰმადიან დიდებულებს ეპყრათ.

მაგრამ მოკლე გამოდგა ეს შვების პერიოდი: მიიწურა სამი წელი, და როგორც უკვე ითქვა, 1051 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა ლიპარიტი ტყვეობიდან გამოისყიდა.

ისევ მძიმე დღეები დაუდგა ბაგრატს.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ისე კი არ დაბრუნებულა ქართველი ერისთავი სამშობლოში, როგორც დამარცხებული, ტყვედქმნილი და პატივაყრილი ადამიანი.

რა ბრძანებაა!

კიდევ უფრო გაამაყებული დაბრუნდა. ეტყობა, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ მის ბრძოლებზე ლეგენდები შეითხზა და გავრცელდა (იქნებ სწორედ ეს ლეგენდები გახდა ზემოთნახსენებ მემატიანეთა წყაროდ), თვითონ იმპერატორი იყო მისი გამოხსნით დაინტერესებული და თავი მოიკლა, სანამ გამოიხსნიდა, ცალკე სულთანიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ტყვე სარდალს და დაიმეგობრა კიდეც — მემატიანე პირდაპირ ამბობს: „იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე“.

ორი ამისთანა მფარველი და მეგობარი გაიჩინა!..

ერთი სიტყვით, სამი წლის ტყვეობის შემდეგ ლიპარიტი კიდევ უფრო გაამაყებული დაბრუნდა. ბაგრატმა რომ გაიგო თავისი მოუშორებელი მეტოქის დაბრუნება, დაკრა ფეხი და ჯავახეთს გადავიდა, თბილისი ისევ მიატოვა — „ვერღარა დაუდგა ბაგრატ“, წერს მემატიანე.

და ამას მოჰყვა ისევ სამწლიანი გადახვეწა სამშობლოდან, ოღონდ ამჯერად არა ლიპარიტისა, არამედ ბაგრატისა.

მემატიანე პირდაპირ არ გადმოგვცემს ბიზანტიაში ბაგრატის სამწლიანი გამგზავრების მიზეზსა და მიზანს. მაგრამ ისე უკავშირდება ეს ფაქტი ლიპარიტის ტყვეობიდან დაბრუნებას, ისეთის ამბითაა მოთხრობილი ლიპარიტის აღზევება და განდიდება, რომ აშკარაა, ეს ორი მოვლენა — ლიპარიტის აღზევებით დაბრუნება და ბაგრატის გამგზავრება — ერთმანეთს ებმის.

ამას კი პირდაპირ ამბობს მემატიანე — ლიპარიტის ნებასურვილით მალე ეღარ დაბრუნდა ბაგრატი სამშობლოშიო.

ბაგრატს შვილი ჰყავა — პაპის სეხნია გიორგი, და საბერძნეთში

წასელის წინ უფლისწული დასვა ქუთაისს აფხაზეთის, ესე იგი, დასავლეთ საქართველოს მეფედ. ქართლში და სამხრეთ საქართველოში, ეტყობა, ლიპარიტი მბრძანებლობს. „როგორც ჩანს, ქართლი და მესხეთი ლიპარიტსა სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა“, წერს ივანე ჯავახიშვილი. გაამაყებული ფეოდალის შიშით, ბაგრატი, ეტყობა, ველარ გადმოდიოდა ქართლში.

ზემოთაც ითქვა, ლიპარიტი გონიერი კაცი იყო; მიხვდა, რომ მეტისმეტი აღზევება და განდიდება შურსა და ეჭვს აღუძრავდა ქართლის დიდებულებს, გადაუდგებოდნენ, აუმხედრდებოდნენ. ადგა და ბაგრატის აქ არყოფნაში უფლისწული გიორგი ქართლში გადმოიყვანა, რუისის საყდარში მეფედ აკურთხა — მთელი საქართველოს მეფედ. რაკი უფლისწული მცირეწლოვანი იყო, მისი „მზრდელობა“ თვითონ იკისრა.

ეს იყო ძალიან ეშმაკური ნაბიჯი. გარდა იმისა, რომ ქართლის დიდებულებს ეჭვისა და შურის საფუძველს უსპობდა, ლიპარიტი ამის შემდეგ ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს მბრძანებელიც ხდებოდა, რაკი მთელი საქართველოს მეფის „მზრდელი“ და პატრონი შეიქნა.

სამი წელი დაჰყო ბაგრატმა ბიზანტიაში. ზემოთაც ითქვა, ბიზანტიის დედაქალაქში მეფის ასეთი დაყოვნება ლიპარიტ ბაღვაშის სურვილის მიხედვით ყოფილა, იმპერატორისთვის ლიპარიტი უფრო საჭირო კაცი იყო და, ეტყობა, მეტ ანგარიშსაც უწევდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს ქართველი მემატიანის ერთი შენიშვნა გვაძლევს.

რითი „შეიქციეს“ ქართველი მეფე ამ სამ წელიწადს ბიზანტიაში, ჩვენთვის ცნობილი არ არის. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბაგრატი შეხვდა ბიზანტიაში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებს, მათი საქმიანობით დაინტერესდა, დახმარებაც აღმოუჩინა... ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და დედოფალ მარიამზე გიორგი მთაწმინდელმა, რომ მეფემ ჭყონდიდის საყდრის მღვდელ-მოძღვრობა შესთავაზა, მაგრამ გიორგი მთაწმინდელმა უარი უთხრა... ბაგრატი „ღონესა ეძიებდა, რათამცა თვისსა მამულსა წარიყვანნაო“, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერელი გადმოგვცემს.

●

გიორგი მთაწმინდელის საქართველოში წაყვანა მართლაც მოახერხა ბაგრატმა, მაგრამ ცოტა უფრო მოგვიანებით. ახლა კი ერთ რამეზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ზემოთ ითქვა, ბაგრატი ბიზანტიაში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებს შეხვდა და მათი საქმიანობით დაინტერესდაო. ბიზანტიაში იმხანად ბევრი ქართველი მოღვაწეობდა. ჩვენ რომ ვცადოთ იმ დროის კონსტანტინოპოლის ქუჩებში გავლა, ხშირად მოვკრავთ ყურს ქართულ მეტყველებას, ქართული აქცენტით ბერძნულ ლაპარაკს... ქართველებს შეეხვდებით სამეფო კარზეც, თუკი მოვახერხებთ იმპერატორის სასახლეში შესვლას... ესენი უმთავრესად პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე მოღვაწე ხალხი და მათი ოჯახის წევრები, მათი ახლობლები არიან. ბაგრატ მეფე, ბუნებრივია, შეხვდებოდა მათ, თავის რეზიდენციაში მიიღებდა, საუბარი ექნებოდა...

მაგრამ ჩვენ ამჟამად სხვა ასპარეზზე მოღვაწენი გვაინტერესებს, კულტურის სფეროში მოღვაწე ქართველები, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდი იყო ბიზანტიაში, მაგრამ დედაქალაქის ქუჩებში კი ძალიან იშვიათად შეეხვდებოდით. მით უმეტეს, სამეფო კარზე. მათი ნახვა ჩვენ შეგვეძლო იმ ქართულ მონასტრებში, რომლებიც ბიზანტიის მიწა-წყალზე აუშენებიათ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში.

იმ ქართული კულტურის კერების პარალელურად, რომლებიც საქართველოში დაფუძნდა და რომელთა შესახებ ჩვენ გაკვრით ვილაპარაკეთ კიდეც, ჩვენს წინაპრებს საჭიროდ ჩაუთვლიათ, ამგვარიე კულტურის კერები უცხოეთშიაც დაეარსებინათ. ეს ფაქტი, თავისთავად, ძალიან საგულისხმოა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორ არ ეგუება ჩვენი ხალხის ბუნებას კარჩაკეტილობა, კარდახშულობა, თუ ძველთაგანვე რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი მოღვაწეები სხვა ხალხებთან ურთიერთობას, მათი ენებისა და კულტურის საფუძვლიან შესწავლას, მათი წიგნების ქართულად გადმოთარგმნას, საკუთარი კულტურის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სულიერ ფასეულობათა გაცვლასა და ურთიერთ გამდიდრებას, გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას. და, როცა ჩვენი ხალხის ინტერნაციონალურ ბუნებაზე ელაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, ეს იგულისხმება.

უცხოეთის — კერძოდ, ბიზანტიის დიდი კულტურის მთავარ ცენტრებში ქართული კულტურის კერების დაარსება იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ჩვენს წინაპრებს უფრო კარგად შეეძლოთ ეფეენებინათ თვალი იმდროინდელი მსოფლიოს კულტურული პროცესებისთვის და გაეთვალისწინებინათ იგი თავიანთ საქმიანობაში.

როცა სულიერ ფასეულობათა გაცვლასა და ურთიერთ გამდიდრებაზე ელაპარაკობთ, ეგულისხმობთ არა ბრმა მიმბაძველობას, არამედ სასურველ ურთიერთ გავლენას ფართო და მაღალი მნიშვნელობით. კერძოდ, ჩვენმა ხალხმა შემოქმედებითად აითვისა ბიზანტიის კულტურის მიღწევები, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ქართული კულტურის განვითარებას, მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ბიზანტიასთან განსაკუთრებული დაახლოების დროსაც კი ფრთხილად ინახავდა თავის საკუთარს, საუკუნეებით გამომუშავებულ მხატვრულ ტრადიციებსო, წერს შალვა ამირანაშვილი. მეორეს მხრივ, სიმონ ყაუხჩიშვილი წერს: ცნობილი ბიზანტინისტების „კონდაკოვისა და სტრჟიგოვსკის შრომებით ნათელყოფილია ქართული და სომხური ხელოვნების მონაწილეობა ბიზანტიური ხელოვნების შექმნაში". ექვთიმე თაყაიშვილიც საგანგებოდ მიუთითებს, როგორ გამოასხვაა ნ. კონდაკოვმა ქართული არქიტექტურა ბიზანტიურისგან და როგორ დაამტკიცა ჩვენი ხელოვნების თავისთავადობა.

ქართველებს კულტურის კერები ძველთაგანვე ჰქონიათ უცხოეთში, ჯერ კიდევ მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში. ეს კულტურული ურთიერთობა არც მომდევნო საუკუნეებში შეწყვეტილა: თქვენ გახსოვთ გრიგოლ ხანძთელის გამგზავრება ბიზანტიაში იქაური კულტურის კერებისა და კულტურული საქმიანობის გასაცნობად.

განსაკუთრებით დიდი მასშტაბი უცხოეთში ქართული კულტურის ცენტრების დაარსებამ უფრო მოგვიანებით, მეცხრე-მეათე საუკუნეებიდან მიიღო. და ამას ხელი შეუწყო, ჯერ ერთი თვით საქართველოში კულტურის სწრაფმა განვითარებამ, და, მეორეც, მთელი საქრისტიანო ლიტერატურის ქართულად გადმოთარგმნის მწვავე საჭიროებამ.

ჩვენ უკვე გავიხსენეთ კორნელი კეკელიძის სიტყვები, თუ როგორ იკვებებოდა უცხოეთში დაარსებული ქართული კულტურის კერები ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით. მეცნიერები ასახელებენ ქართველთა ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს ამ დროისათვის უცხოეთში: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე; სვიმონ საკვირველმოქმედის სავანე შავ მთაზე, ანტიოქიის

მახლობლად; ჯვარის მონასტერი პალესტინაში და პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში.

არ იფიქროთ, თითქოს ამ მონასტრებში თითო-ოროლა კულტურის მოღვაწე ყოფილიყოს, კანტიკუნტად. არა, გარკვეულ პერიოდებში აქ ყოფილა ათეულობით მწერალი და მეცნიერი, ხელოვნების მოღვაწე. ამ მონასტრებში დიდი შემოქმედებითი მუშაობა დუღდა, იწერებოდა და ითარგმნებოდა წიგნები ქართულ ენაზე, სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და ღრმავდებოდა ფილოსოფიური აზროვნება... საფუძვლიანად მზადდებოდა ნიადაგი ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობისთვის, ჩვენი კულტურისა და ხელოვნების აყვავებისთვის. ამ კულტურის ცენტრებში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი მწიგნობრები და ფილოსოფოსები, როგორიც იყვნენ ექვთიმე მთაწმინდელი, იოანე პეტრიწონელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და სხვები, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში და თავიანთი საპატიო წელილი შეიტანეს საკაცობრიო კულტურაში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ კერებს მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან. საგულისხმოა ერთი ფაქტი: შემოქმედებითი ენერგია რომ ფუჭად არ დაებანდებინათ, ისინი სისტემატურად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ შემოქმედებით გეგმებს, იცოდნენ, ვინ რას აკეთებდა, ვინ რას წერდა და თარგმნიდა, რათა, ვთქვათ, ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა მონასტერში ორჯერ არ ეთარგმნათ და ფუჭად არ მოცდენილიყვნენ. ეს ფაქტი ბევრისმეტყველია. ამითაც დასტურდება, რომ მათი საქმიანობა მტკიცედ მიზანსწრაფული იყო და ერთ დიდ ამოცანას — ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ აღორძინება-განვითარებას ემსახურებოდა. გარდა ურთიერთ კონტაქტებისა, მათ სისტემატური და საქმიანი კავშირი ჰქონდათ დედა-სამშობლოსთან, საქართველოსთან. ამიტომ, როცა დავით კურაპალატს ახალი ნიჭიერი მწიგნობრის გამოჩენა მოახსენეს, შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. და არც ის იყო შემთხვევითი, რომ ქართველი მეფე ახალგაზრდა შემოქმედის საქმიანობით დაინტერესდა, ქება მიუძღვნა, კონკრეტული დავალებები მისცა...

სწორედ ამ სფეროში მოღვაწე ქართველებს ვგულისხმობდით, როცა ვთქვით, ბაგრატი ბიზანტიაში ყოფნის დროს შეხვდა და მათი საქმიანობით დაინტერესდაო.

ხშირად პრაქტიკული დახმარებისთვის მიმართავდნენ ხოლმე

ეს ბერები საქართველოს სამეფო კარს, როცა, ვთქვათ, მონასტერს სახურავის გამოცელა დასჭირდებოდა, ან შეკეთება, ან რეკონსტრუქცია, ახალი შენობის აგება. ასეთი ფაქტები ისტორიას შემოუნახავს, მაგრამ მათ ჩამოთვლას არ მოვყვებით, შორს წაგვიყვანს.

სხვა უფრო მწვავე საკითხიც წამოიჭრებოდა ხოლმე. უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს ხშირად ძალიან არასასურველ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მათ უპირისპირდებოდნენ ადგილობრივი ბერები და ხელს უშლიდნენ, დევნიდნენ, მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. ამათი წარმატება არ მოსწონდათ, ეჭვიანობდნენ, შურიანობდნენ... ცდილობდნენ, ყოველნაირად შეევიწროებინათ ქართველები მათივე მონასტრებში და იქ ბერძნები გაემრავლებინათ. ბერძნული ენა გაებატონებინათ.

ეს არ იყო მხოლოდ პროფესიული შური, ამ მტრობას უფრო სერიოზული საფუძველი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად განვითარდა და გაძლიერდა, მას შემდეგ, რაც არა მარტო საკუთარი ღირსების შეგნება ამაღლდა, არამედ ბიზანტიასთან დაპირისპირებისა და ჰეგემონობისთვის ბრძოლის მიდრეკილებაც გამოიკვეთა, მარტო სახელმწიფოებრივი ურთიერთობა კი არ გამწვავებულა, საერთოდ დაიძაბა მდგომარეობა, ბიზანტიაში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა პირობებიც დამძიმდა. დავით კურაპალატის პოლიტიკური ჰეგემონობის სერიოზულ პრეტენზიას, ეტყობა, წინ უსწრებდა კიდევ უფრო სერიოზული და დასაბუთებული განაცხადი კულტურის სფეროში საკუთარი ღირსების შეგნებისა.

ქართველი მწიგნობარი იოანე-ზოსიმე, რომელიც ჯერ პალესტინაში — საბა განწმენდილის ლავრაში და მერე ხინას მთის მონასტერში მოღვაწეობდა, დავით კურაპალატის თანამედროვეა (დავითზე ცოტა უფრო ადრე გარდაიცვალა, როგორც ვარაუდობენ — ცხრაას ოთხმოციან წლებში). და როცა მის საოცრად ორიგინალურ თხზულებას („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი") ვკითხულობთ, ეს „ნეიტრალური" ქება კი არ არის ენისა, ეს მწვავე პოლემიკაა. „დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა", ასე, ყოველგვარი შესაელის წაუმძღვარებლად, პირდაპირ და გამძაფრებით იწყებს მწერალი, თითქოს ცხარე პაექრობიდან ამოგლეჯილი ფრაზა იყოს, თითქოს ვიღაცას რისხვით უპასუხებდეს.

„...ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“... „და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“... ამ მცირე ზომის თხზულებაში ასეთ სტრიქონსაც ვკითხულობთ: „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“... აქ უკვე პირდაპირ გამოიკვეთა ავტორის სათქმელი და ტენდენცია — იგი დაუფარავად აცხადებს, რომ ეს ორი ენა, ორი კულტურა და ორი ხალხი თანაბარი უფლებით სარგებლობს და საბერძნეთსა და ბერძნულს არავითარი უპირატესობა არა აქვს საქართველოსა და ქართულის წინაშე...

დიახ, ქართველი მწერალი ცხარე კამათში იცავს და ადიდებს დედაენას.

ერთი სიტყვით, ბერძნები უკვე მტრობას ვეღარ მალავდნენ ბიზანტიაში მოღვაწე ქართველების მიმართ, და ეს იყო თვით ბიზანტიის სამეფო კარის დამოკიდებულების ანარეკლი; თითქოს ბერძენი ბერები საიმპერატორო კარის მითითებებით მოქმედებდნენ.

დამახასიათებელია ბასილ ბულგართმჟღლეტის ეპიტაფია, რომლის თარგმანი მოტანილი აქვს თავის შრომაში სიმონ ყაუხჩიშვილს: „... მის შემდეგ, როცა მე ღმერთმა მეფე მიწოდა, არავის უნახავს ჩემი ლახვარი დასვენებული, და ამას მოწმობენ სკვითები და სპარსელები, მათთან ერთად ისრაელი, აბაზგი, იბერი, არაბი“. ამ სტრიქონებით მთავრდება ეს ეპიტაფია.

დააკვირდით, ვისთან არიან გაიგივებული ერთმორწმუნე აფხაზები და იბერიელები! აქ უკვე იმისი ცდაც კი არ არის, რომ სიძულვილი (იქნებ შიშიც!) დაფარონ ერთ დროს თავიანთივე „მეგობარი“ და მოკავშირე, ერთმორწმუნე ხალხის მიმართ. „ამჟამად იბერიის სახელი იხსენება მტერთა საძულველ სახელებს შორის“, — ამას ამბობს თანამედროვე ფრანგი მეცნიერი ანრი გრეგუარი, და იქვე დასძენს: ლექსის „მეათე ტაეპი (ესე იგი, ის სტრიქონი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ) გვიხსნის იმის მიზეზს, თუ ექვთიმე იბერმა (მთაწმინდელმა), რომელიც ბასილ მეორის სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა, რატომ ვერ შეინარჩუნა პატივი, დარჩენილიყო ბიზანტიური ლიტერატურისთვის შედევრის, ვარლაამ და იოასაფის „სულისმარგებელი ისტორიის“ ავტორად...

ზოგი რამ ალბათ გენიშნათ: ერთგან აკი აღენიშნეთ, რომ დიდ ქართველ მწიგნობარსა და მოღვაწეს დევნა განუცდია. თქვენ უკვე ხვდებით ამ დევნის მიზეზს. ფრანგი მეცნიერი ამაზე პირდაპირ

მიუთითებს: რაკი ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა გამწვავდა, ამან სათანადო გამოძახილი ჰპოვა სხვა სფეროში. კერძოდ, ქართული კულტურის მოღვაწეებს დევნა დაუწყეს.

იმდენად დიდი გამოდგა სიძულვილი ყოველგვარი ქართულისადმი, რომ ბერძნებმა, ეტყობა, არასაკადრისი უმადურობა გამოიჩინეს და მოინდომეს მიეჩქმალათ „ბალავარის სიბრძნის" ბერძნული ვერსიის ავტორის ექვთიმე მთაწმინდელის სახელი, გადაწყვიტეს საერთოდ დავიწყებისთვის მიეცათ ეს დიდი მწიგნობარი, რომელსაც ქართული კულტურის წინაშე ხომ ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ, როგორც ვნახეთ, არანაკლები საქმე გაუკეთებია ბერძნული კულტურისთვისაც.

ეს განთქმული ბუდისტურ-ქრისტიანული რომანი, ევროპულ ენათგან ჯერ ბერძნულად დაიწერა და ბერძნულიდან მერე სხვა ევროპულ ენებზე გადაითარგმნა.

იმდენი მოახერხეს ბერძენმა ბერებმა, რომ მართლაც მიჩქმალეს ექვთიმე მთაწმინდელის ავტორობა და რომანის ბერძნული ვარიანტი სხვას მიაწერეს, იოანე დამასკელს.

დიდხანს მიაჩნდათ დამასკელი ამ რომანის ავტორად. ხოლო როცა ჩვენს დღეებში ქართული კულტურის სახელი ფართოდ გაითქვა, როცა აღმოჩნდა ექვთიმე მთაწმინდელის უმცროსი თანამედროვისა და მოწაფის გიორგი მთაწმინდელის თხზულება, მართალია, ძალიან დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღდგა სამართლიანობა და ექვთიმე მთაწმინდელის ავტორობა ახლა უკვე ეჭვს თითქმის აღარ იწვევს იმ სკეპტიკურად და არა კეთილად განწყობილ მკვლევართა შორისაც კი, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ იოანე დამასკელის ავტორობას.

ამრიგად, ბაგრატ მეოთხემ სამშობლოში მიიწვია უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწიგნობარი გიორგი მთაწმინდელი. როგორც ირკვევა, ბაგრატი ბიზანტიაში 1057 წლამდე უნდა დარჩენილიყო. თუ ქართველმა მეფემ გამომგზავრების წინ შესთავაზა მას სამშობლოში წამოსვლა და ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსობა, მაშინ ჯერ ისევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო რეზონანსი იმ პაექრობისა, რაც ქართველ ბერსა და ანტიოქიის ახალ პატრიარქს შორის გაიმართა.

რაკი ეს პაექრობა ცოცხალ წარმოდგენას გვიქმნის ბიზანტია — საქართველოს მაშინდელ ურთიერთობაზე და დიდი ქართველი მწიგნობრისა და მოღვაწის პორტრეტსაც მთელი სისრულით

გვიხატავს, თავს ნებას მიეცემ უფრო დაწვრილებით შევჩერდე მასზე.

ამ ისტორიულ ამბავს გადმოგვცემს მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწე გიორგი მცირე თავის თხზულებაში „ცხორებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაი“.

ანტიოქიის ახალ პატრიარქს თევდოსის შეუჩნდებიან საპატრიარქოს სამღვდლო პირები, რათა იგი ენერგიულად ჩაერიოს საქმეში და როგორმე მიაღწიოს საქართველოს ეკლესიის კვლავ ბიზანტიის ეკლესიისადმი დაქვემდებარებას. ეს მათ სამართლიანობის აღდგენად მიაჩნიათ და, ამდენად, ამ აქტის სამართლიანობის თეორიული დასაბუთება სულაც არ უჭირთ...

ძალიან მარტივია მათი „თეორია“.

საქართველოს ეკლესიები და მღვდელ-მოძღვრები არც ერთ პატრიარქს არ ემორჩილებიან და თვითონვე განაგებენ თავიანთ საქმეს („ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან“), თვითონვე ირჩევენ თავიანთ კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს („თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ებისკოპოსთა“) და ეს ყველაფერი შეუწყნარებელია („არა სამართალ არს ესე“), რადგან თორმეტ მოციქულთაგან არც ერთი არ მოსულა საქართველოში და არ მოუქცევია ქართველებიო („ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა“...).

ამ ძირითად მოტივს გარდა, კიდევ სამი „მნიშვნელოვანი“ საკითხია, რის გამოც ქართველებს დამოუკიდებელი ეკლესია არ უნდა ჰქონდეთ, სხვას უნდა დაემორჩილონ:

ერთი: პატარა ქვეყანა ყოფილა საქართველო.

მეორე: თურმე ბიზანტიის მეზობლად მდებარეობს (და ამიტომ, იგულისხმება, ბიზანტიას უნდა ემორჩილებოდეს).

და მესამეც: ქართველი ხალხი გაუნათლებელი და უმეცარი ყოფილა (უმეცარ ხალხს კი, იგულისხმება, არ შეიძლება დამოუკიდებელი საკათალიკოსო ჰქონდეს).

„რამეთუ ნათესავი არს უ მ ე ც ა რ ი, სამწყსოი მ ც ი რ ე, და ჩ უ ე ნ დ ა მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ა დ არიან“.

აი, ასეთი დაურღვეველი ბრალდებები წაუყენეს საქართველოს ეკლესიასა და მთელ ქართველ ხალხს. და ეს საგანგებოდ მომზადებული საბუთები ბერძენმა მღვდელ-მოძღვრებმა თავიანთ ახალ პატრიარქს მიართვეს.

ამ მღვდელ-მოძღვრებს, რაღა თქმა უნდა, კარგად ეცოდინებოდათ

თავიანთი ახალი პატრიარქის განწყობილება და შეხედულებანი, ეცოდინებოდათ, კერძოდ, რა აზრისა იყო იგი ბიზანტია — საქართველოს ეკლესიების ურთიერთობაზე, და იმედმოცემულებმა არ დააყოვნეს, პატრიარქს ეახლნენ, ფეხებში ჩაუვარდნენ („დაცვიეს წინაშე მისსა") და ამ საშინელი უსამართლობით ძალიან შეწუხებულებმა ეს საბუთები მიაწოდეს.

როგორც ითქვა, ეს მოხდა 1057 წელს. ამ წელს აირჩიეს ანტიოქიის ახალი პატრიარქი თეოდოსი.

ახალმა პატრიარქმა რატომღაც სურვილი გამოთქვა, სანამ საეკლესიო კრებაზე განსახილველად გაიტანდა საკითხს, ვინმე ქართველს გასცნობოდა და გამოლაპარაკებოდა. ალბათ იმისთვის, რომ თვითონვე დარწმუნებულიყო ამ ხალხის უმეცრებასა და ველურობაში. მაბეზღარებს მიმართა, თუ გეგულებათ ისეთი ქართველი, ბერძნულისაც რამე გაეგებოდეს, შემახვედრეთ, უნდა გამოველაპარაკოო.

გიორგი მთაწმინდელი იქვე ყოფილა და მაბეზღარებმა ვერ დაფარეს, უხალისოდ უპასუხეს („ხოლო მათ, უნდა თუ არა, აღიარეს"): ერთი ბერია აქ, ბერძნულიდან ქართულად თარგმნისო.

პატრიარქმა მოაყვანინა გიორგი მთაწმინდელი და გამოელაპარაკა.

სახტად დარჩა თეოდოსი. ლამის გაშეშდა. აღმოჩნდა, რომ ამ უმეცარი ხალხის შვილს ბერძნული ბრწყინვალედ სცოდნია.

ეს კიდევ არაფერი.

რაც არ ჰკითხა ბერს პატრიარქმა, ყველაფერზე დიდებული პასუხი მიიღო: მის წინაშე მრავალმხრივ განათლებული და მცოდნე ფილოსოფოსი იდგა. ხოლო რა ადამიანური ღირსებებით შემკული და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი იყო ბერი, ეს პატრიარქმა ცოტა უფრო მოგვიანებით გაიგო, საეკლესიო კრებაზე.

საინტერესო ისაა, რომ დამპყრობლის გაფუყულ ქედმაღლობას მაინც ვერ მოერია პატრიარქი და თითქოს წყალობას უბოძებსო, ისე მიმართა პატარა ერის შვილს: ბარაქალაო, უთხრა, ქართველი კი ხარ, მაგრამ ისეთი განათლებული ყოფილხარ, ნამდვილად ბერძენს ჰგავხარო („დაღაცათუ... ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოელითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ").

ასეა. ყველა დამპყრობელს ასე წარმოუდგენია პატარა ხალხის შვილი. ამიტომ, ეტყობა, არც ქართველ ბერს გაპკვირვებია ბერძენი პატრიარქის სიტყვები...

ერთი სიტყვით, პატრიარქი ვერ მოერია გულისწადილს. ახალი პატრიარქი იყო და ალბათ თავის გამოჩენაც უნდოდა რაიმე დიდი დამსახურებით. ყველაზე დიდი დამსახურება კი თავისი საპატრიარქოსა და თავისი ქვეყნის წინაშეც ის იქნებოდა, დაკარგული სამწყსო — საქართველოს ეკლესია და მრევლი — კვლავ ბიზანტიისთვის დაებრუნებინა. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული და მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ბერის გაცნობამ ალბათ შეურყია წინასწარ აკვიატებული რწმენა მეზობელი პატარა ხალხის უმეცრების შესახებ, უკან მაინც არ დაიხია (დიდი იყო ცთუნება საქართველოს ეკლესიის კვლავ შეერთებისა!) და საეკლესიო კრებაზე მაინც განიხილა საქართველოს ეკლესიის საკითხი.

კრებას გიორგი მთაწმინდელიც ესწრება.

ქართველი ავტორის თხზულება საშუალებას გვაძლევს, ცოცხლად წარმოვიდგინოთ ეს კრება.

რაკი პატრიარქმა წინდაწინვე გაიცნო ქართველი ბერი და გაიგო, რომ იგი დიდი სწავლული და განათლებული იყო, დაუტკბა, მოეფერა, მოლაქუცებაც იკადრა („ეტყოდა... ლიქნითა“)... ახლაც გაუმეორა: მართალია, ქართველი ხარ, მაგრამ სწავლულებითა და მეცნიერებით ჩვენივე სწორი ყოფილხარ... ამიტომ უფრო კარგად მიმიხვდები, რომ საეკლესიო წესდება და სამართლიანობა მოითხოვს, ჩვენ გვემორჩილებოდეთო...

გაიმეორა მღვდელ-მოძღვრების მიერ შედგენილი ყველა „ბრალდება“, რასაც ჩვენ უკვე ვიცნობთ, და განაგრძო: ეტყობა, შენ ავტორიტეტი გექნება შენს ქვეყანაში, დაგიჯერებენ... დაარწმუნე თქვენი მეფე, რომ ასე აჯობებს, ისევ ჩვენ შემოგვიერთდეს საქართველოს ეკლესია... არა და, — ხმას აუწია პატრიარქმა, — ოთხივე საპატრიარქოს მივწერ (გულისხმობდა კონსტანტინოპოლის, რომის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს) თქვენი სიჯიუტისა და ქედფიცხლობის ამბავს („ვაუწყო თვითრჩულობაი და ქედფიცხლობაი ნათესავისა თქუენისაი“)... აბა რას ჰგავს ესაო, — ისევ მოიყვანა გული პატრიარქმა, — სამოციქულოს კანონს არღვევენ, თვით იმწყსებიან, მაშინ, როდესაც მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა!..

ლაპარაკობდა და თან ხშირად გადახედავდა მღვდელ-მოძღვრებს, რომელთაც საბუთები მოუმზადეს; მათგან დასტურს ელოდა და მათი უხმო თავისკანტური რწმენას ჰმატებდა.

გიორგი მთაწმინდელი უხმოდ იჯდა. არც აღელვება ეტყობოდა,

არც შეწუხება... გეგონებოდა, ყველაფერში ეთანხმება პატრიარქსაო, და მთელ კრებასაც ალბათ ასე ეგონა.

პატრიარქმა დაამთავრა სიტყვა.

ქართველ ბერს არც ახლა დასტყობია აღელვება და გაცხარება. ძალიან მშვიდად და წყნარად უპასუხაო, თხზულების აეტორი გადმოგვცემს.

და საინტერესო ის არის სწორედ, როგორ მოახერხა მან გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნება, როცა ასეთ მკაცრ პასუხს აძლევდა გულმოსულ პატრიარქს.

ჰოი, წმიდაო, მეუფეო, ნეტა ვინ არიან შენი უგუნური მრჩეველები! — ასე დაიწყო ქართველმა ბერმა, — ასე ვინ წაგაქეზა?! ან ამ ალალი და პატიოსანი ხალხის ასეთი ლანძღვა რა საკადრისია („და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთაი, წრფელი და უმანკოი?")! აპა, აგერა ვარ ჩემი ხალხის ყველაზე ულირსი და უმდაბლესი შვილი და მე გიპასუხებ. აბა, ერთი მოატანინე წიგნი „მიმოსლვაი ანდრეა მოციქულისაი", და იქ იპოვით ჭეშმარიტებას.

პატრიარქმა მაშინვე მოატანინა წიგნი. ქართველმა ბერმა აიღო წიგნი და სანამ გადაშლიდა, ასე მიმართა პატრიარქს: წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი პეტრე მოციქულის საყდარსა ეზიო (ანტიოქიის ტაძარი პეტრე მოციქულის სახელობისა იყო)... მაშ, ესეც იცოდე: ჩვენ თვითონ პირველწოდებულისა (ანდრიასი) და ძმისა თვისისა მწოდებლისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი... ეს კიდეე არაფერი, ერთ-ერთი იმ წმიდა თორმეტ მოციქულთაგანი – სიმონ კანანელი — ჩვენს ქვეყანაშია დაკრძალულიო...

ესეც არ აკმარა გაკვირვებულ პატრიარქს და ვითომ ხუმრობით განაგრძო („და რეცა განცხრომით ჰრქუა პატრეაქსა"): ამის მიხედვით, წმიდაო მეუფეო, რაკი დამორჩილებაზე მიდგა საქმე და რაკი სამართლის დამკვიდრება გადაგიწვეტია, ნამდვილი სამართალი ის იქნება, თქვენ თვითონ დაგვემორჩილოთ, რადგან ჩვენ პირველ წოდებულის მოქცეულები ვართ, თქვენ კი მისი ძმის — წოდებულისა: განა უფრო უპრიანი არ იქნება, წოდებული პეტრე მწოდებელ ანდრიას დაემორჩილოს („შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!")?!

გიორგი მთაწმინდელი რომ დიდად განათლებული და ჭკვიანი კაცი იყო, თან კარგი ორატორიც, ამაში პირველი შეხვედრისთანავე დარწმუნდა ანტიოქიის პატრიარქი. ამიტომ წინასწარ მოელოდა, რომ ქართველი ბერი შეეცდებოდა, წინააღმდეგობა გაეწია... ალბათ ვარაუდობდა კიდეც, რა არგუმენტების წამოყენება შეეძლო და პასუხიც მზადა ჰქონდა იმ სავარაუდებელ არგუმენტებზე. მაგრამ ასე თუ დატრიალდებოდა საქმე, ამას ვერც ახალი პატრიარქი წარმოიდგენდა და ვერც ის მღვდელ-მოძღვრები, რომლებიც ერთბაშად მოიბუზნენ, თავი ჩაქინდრეს, შიშით პატრიარქსაც ველარ გაუსწორეს თვალი...

მაგრამ გიორგი მთაწმინდელს ჯერ არ დაემთავრებინა სათქმელი.

ერთიც უნდა მოგახსენოო, განაგრძო ქართველმა ბერმა, რაკილა ერთხელ ვეცანით ჩვენ ღმერთი, მერე აღარასოდეს გავდგომივართ და არც მწვალებლობისკენ გადაგვიხვევია, მართლმადიდებლობის მცნებას ვადგავართო (ნართაულად გადაკრა იმ ბრძოლებზე, რასაც თითქმის ერთი საუკუნე აწრიალებული ჰყავდა საბერძნეთი და მთელი აღმოსავლეთი. თქვენ ალბათ გახსოვთ ის დაუნდობელი ბრძოლები ხატისთაყვანისმცემელთა და ხატისმებრძოლთა შორის).

და მერე ესეც დასძინაო, თხზულების ავტორი გვაუწყებს: წმიდაო მეუფეო, ძალიან უმეცრად და მჩატედ კი გეჩვენებით, ხოლო „თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან", მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებთ: იყო დრო, როცა მთელი საბერძნეთიდან მართლმადიდებლობა განდევნეთ და გუთელი ეპისკოპოსი ჩვენთან წამოვიდა, მცხეთას ეკურთხაო („იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაი არა იპოებოდა, და იოანე, გუთელ ებისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ებისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა").

როგორც ხედავთ, რაც კი უთხრა, სულ წიგნებითა და ფაქტებით დაუსაბუთა ქართველმა ბერმა.

ადვილი წარმოსადგენია, რა უხერხული სიჩუმე ჩამოწვებოდა კრებაზე. გაოგნებულ პატრიარქს სახის კუნთები შეუთამაშდა, მღვდელ-მოძღვრებს გახედა, რომლებიც სულ მობუზულიყვნენ, ცხვირი ლამის იატაკში ჩაერგოთ. რაკი ამათი მზერა ვერ დაიჭირა, პატრიარქმა ნელა მოაბრუნა თავი და ქართველ ბერს შეხედა, რომელიც აუჩქარებლად მიბრუნდა თავისი სკამისკენ და დაჯდა. კელაე ისე მშვიდად და ღირსეულად ეჭირა თავი, როგორც მთელი ამ კრების განმავლობაში.

ერთ წუთს არც კი გაგრძელებულა ეს სიჩუმე, მაგრამ მღვდელ-მოძღვრებს საუკუნოდ მოეჩვენათ.

პატრიარქმა ჩაახველა და მღვდელ-მოძღვრები გაურკვეველ მოლოდინში გაინაბნენ. ახლა პატრიარქის რისხვა გადმოიფრქვეოდა... ოღონდ ვისი მისამართით იქნებოდა ეს რისხვა — ქართველი ბერისა თუ მათ მიმართ — ეს გაურკვეველი იყო.

ახალი პატრიარქი ჭკვიანი და ღირსეული კაცი გამოდგა. იუმორის გრძნობაც აღმოაჩნდა. სახეზე ერთბაშად ღიმილი გადაეშალა, თავის მღვდელ-მოძღვრებს გადახედა არც თუ უირონიოდ და სიცილით უთხრა: ხედავთ, ამ ერთმა კაცმა ამდენ ხალხს რა გვიყო („ხედავთა ბერსა ამას, ვითარ მარტოი ესოდენსა სიმრავლესა გუერეის?")?! მოვერიდოთ, თორემ, ვატყობ, აქეთ დაგვიპირებს დამორჩილებასა და ქვეშევრდომობას, თანაც არა სიტყვით, არამედ საქმით („ეეკრძალნეთ, ნუუკუე წინააღმდგომი შეგუემთხეიოს და არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებაი ჩუენი და დაგვიმრწემნეს და დაგვიმრემლნეს").

ეს ეპიზოდი ჩვენ იმიტომაც გავიხსენეთ, რომ დამპყრობელის ქედმაღლობა და თავგასულობა, მისი უცნაური ლოგიკა გვეჩვენებინა. თან კი ისიც გვენახა, თუ როგორ უმძიმდა საბერძნეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიის ჩამოშორება, როგორ უცნაურად ეჭვიანობდა, როგორ მწვავედ განიცდიდა, და მუდამ იმის ცდაში იყო, როგორმე კვლავ დაებრუნებინა და დაემორჩილებინა. ათეულობით წლები გავიდა, საუკუნეები ჩაილია და მაინც ვერ შეურიგდა იმ „უსიამოვნო" ფაქტს.

●

ამრიგად, მიიწურა სამი წელი და იმპერატორმა, ეტყობა, უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა, თავის ქვეყანაში გაეგზავნა ქართველი მეფე ბაგრატ მეოთხე. თურქ-სელჩუკთა შემოსევები სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა და საშიში ხდებოდა. ბიზანტიის იმპერატორი ალბათ მიხვდა, რომ მეზობელი ქვეყნების დაქუცმაცება და დასუსტება ამ პირობებში მისთვისვე არახელსაყრელი იქნებოდა. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, შეერიგებინა ქართველი მეფე და მისი ურჩი ერისთავი. მოილაპარაკეს, შეთანხმდნენ და ასეთი პირობით შერიგდნენ: „ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა

და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი ერთი ნაწილის — მესხეთის — მთავარი იქნება სიკვდილამდე და ბაგრატს სცნობს ბატონად და მეფედ", ამ ცნობას გადმოგვცემს გიორგი კედრენე.

ასეთი შეთანხმების შემდეგ იმპერატორმა დიდი პატივით გამოისტუმრა ქართველი მეფე. ასეთივე დიდის ამბით შეხვდნენ მას საშშობლოშიც: „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა, ხუფათს. და იყო სიხარული და ღმრთის მადლობა დიდი, ბრძანა და შემოვიდა სახლად თვისად ქუთათისს".

როგორც ვხედავთ, მეფე ზღვით წამოსულა, რადგან თურქი რაზმების განუწყვეტელი თარეშის გამო ხმელეთით მგზავრობა უკვე საშიში იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეთანხმება მეფესა და მის ურჩ ქვეშევრდომს შორის ადვილად დაირღვა. პირობის მიხედვით, ბაგრატი აბაზგიისა (ესე იგი, მთელი დასავლეთ საქართველოს) და იბერიის ბატონი და გამგებელი იყო, ხოლო ლიპარიტს მესხეთის ერისმთავრობა ხვდა. იგულისხმება, რომ ლიპარიტს მესხეთშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ბაგრატის პატრონობა და ხელისუფლება უნდა ეცნო. ასე გადმოგვცემს ამ შეთანხმებას ბერძენი მემატიანე. ასე უნდა ყოფილიყო, რაკი ლიპარიტმა ბაგრატის პატრონობა და ბატონობა აღიარა. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ბუნდოვნად ჩამოუყალიბებიათ საზავო პირობები.

ეს ასე არ მოხდა. შეთანხმება ლიტონ სიტყვებად დარჩა. ქართველი მემატიანე ძალიან გარკვევით ამბობს: „და ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებლად (ესე იგი, მთელი ქართლი და მესხეთი თავისად დაიგულა)... ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით"...

აშკარად ჩანს, ლიპარიტი მესხეთითაც არ დაკმაყოფილებულა და შიდა ქართლიც მოუსურვებია. ამასთან, ეტყობა, ლიხს აქეთ არც აჭაჭანებდა მეფეს...

და მოხდა ის, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო. გაამაყებული ფეოდალის მეტისმეტი ქედმაღლობა და თავგასულობა ბოლოს და ბოლოს ველარ მოითმინეს დიდებულებმა. ეტყობა, ისევ შეითქვნენ ლიპარიტის წინააღმდეგ.

და ამჯერადაც სულა კალმახელი ჩანს შეთქმულების მოთავედ.

რკინის ჯვარზე დამარცხების სიმწარეს სულა კალმახელს რა

დააკიწყებდა. მაშინ საშინლად აწამა იგი ლიპარიტმა, კალმახის ციხე მომეციო, მოსთხოვა დამარცხებულ დიდებულს. მაგრამ ისეთი გმირობა გამოიჩინა კალმახის ერისთავმა, რომ, წამების მიუხედავად, არ გატყდა, არ დაემორჩილა („მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არ მისცა“)... ამის შემდეგ ლიპარიტის მტრობას როგორღა მოიშლიდა შეურაცხყოფილი და დამცირებული დიდებული?!

და, აი, ისევ მოაწყვეს შეთქმულება. მარჯვე დრო შეარჩიეს, როცა ლიპარიტი და მისი შვილები შინიდან წასულები იყვნენ (კლდეკარში მათი შეპყრობა ძალიან ძნელი იქნებოდა, რადგან, როგორც ვიცით, ციხე-სიმაგრე თითქმის შეუვალი იყო — ხომ გახსოვთ, ამას წინათ ბიზანტიის დიდმა ლაშქარმა ვერ აიღო) და დღიეს დაესხნენ თავს მოულოდნელად. ლიპარიტი და ერთი ვაჟი — ივანე — იქვე შეიპყრეს, ხოლო მეორე ვაჟი — ნიანია — გაექცათ (როგორ მოხდა, რომ ამათ გვარში სხვა სახელი გაერიაო, გაიკვირვებთ ალბათ. საქმე ის არის, რომ ამათ ძმასა რქმეია რატი).

შეპყრობილები მაშინვე კალმახის ციხეში მიიყვანეს. და რადგან მთელი ყურადღება ლიპარიტისკენ ჰქონდათ, ნიანიასთვის ეტყობა, ველარ მოიცალეს. იგი სწრაფად გაემართა კლდეკარისკენ, მაგრამ მეციხოვნეებმა რატომღაც არ შეუშვეს. გაუგებარია, რატომ! მაშინ იგი სწრაფადვე გაბრუნდა და ანისში გაქუსლა, ბერძნებს შეეკედლა.

უნდა ვიფიქროთ, ბაგრატს წინასწარვე ეცოდინებოდა შეთქმულების ამბავი და სულმოუთქმელად ელოდა, როგორ წარიმართებოდა საქმე. როგორც კი გაიგო ლიპარიტისა და მისი შვილის შეპყრობის ამბავი, ხელად გაემართა და ჯავახეთში მიბრძანდა, სოფელ სულთას. ახლაც არის ეს ისტორიული სოფელი ჯავახეთში. იქ მიჰგვარა მეფეს სულა კალმახელმა ტყვედქმნილი ერისთავები, თან მოახსენა: ლიპარიტის ციხე-სიმაგრეები — არტანუჯი, ყველის ციხე, უფლისციხე და ბირთვისი ჩავიბარეთ, ხოლო კლდეკარი ვერ ავიღეთ, კლდეკარს მტკიცედ იცავს ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი ანამორიო.

მეფემ ასეთ ხერხს მიმართა. წამოიყვანა ტყვეები თრიალეთში და კლდეკარის ციხის გარეთ ძელები აღმართა, ძელზე გასვეს ტყვეები, სასიკვდილოდ გაწირეს.

პირველად მაინც არ გატყდნენ მეციხოვნეები, მაგრამ რა შეატყ-

ვეს, მეფე არა ხუმრობსო, გამოვიდნენ და მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართეს: სიცოცხლეს თუ უბოძებდა მეფე ტყვეებს, კლდეკარის ციხეს უბრძოლველად ჩააბარებდნენ.

მეფესაც ეს უნდოდა. ციხე ჩაიბარა. ლიპარიტი ბერად აღიკვეცა და ივანე მეფეს „შეპვედრა". ბაგრატმა მამაპაპისეული მამული მიუბოძა ივანეს, არგვეთს. ბერად აღკვეცილმა ლიპარიტმა ფიცი მისცა მეფეს, აღარაფერს შევცოდავო, და მანაც გაუშვა საბერძნეთს.

წლებს თავისი მიაქვს. დაიქანცა კლდეკარის მოუსვენარი ერისთავი. ბევრი სიხარული შეხვდა ცხოვრებაში, უფრო მეტი — სიმწარე, ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას, განათლებული კაცი იყო და წმინდა წიგნის სიტყვები გაახსენდა — „ამაოებაი ამაოთაი, ყოველივე ამაო"... გადაწყვიტა, შთენილი დღეები უფრო სასარგებლო საქმისთვის შეეწირა. და, მართლაც, ამის შემდეგ ჩვენ მას ქართველთა მონასტერში ვხედავთ, ლიტერატურულ მოღვაწეობას შესდგომია. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში" ავტორი ქებით მოიხსენიებს ბერად შემდგარ ლიპარიტს: „უფროის ყოველთაისა დიდად იღუაწა (აქ ლაპარაკია სწორედ ლიტერატურულ შრომაზე) სულითა კურთხეულმან ანტონი, ლიპარიტ ყოფილმან" (ბერობაში ლიპარიტმა ანტონი დაირქვა).

ახლა ივანეს ამბავიც. ჩვენ მას კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ქვემოთ და ამიტომ ჯობს, ახლავე ნუ დავკარგავთ მხედველობიდან.

ივანესაც მამის ხასიათი გამოჰყვა — არგვეთის მამული, ეტყობა, ეპატარავა და, როგორც კი მოახელთა, საბერძნეთს გაიპარა, იმპერატორთან. ალბათ ბაგრატის შიშიც ჰქონდა — როცა იქნება, აქაც მომწვდება და ძველ ორგულობას არ მაპატიებსო. რამდენიმე წლის შემდეგ, ლიპარიტისავე თხოვნით (ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, კეისარმაც უშუამდგომლაო), ბაგრატმა წამოიყვანა ივანე და არგვეთის მამულს გარდა, ქართლიც მიუბოძა. ისევ კლდეკარის ერისთავობა მიიღო ლიპარიტის მემკვიდრემ. ეს კიდევ არაფერი, მეფეს მისთვის უფრო დიდი ნდობაც გამოუცხადებია, სპასალარობაც უბოძებია... და მას შემდეგ ერთგულად ემსახურებოდა იგი ბაგრატს.

ლიპარიტი ბერად აღკვეცილა 1058 წელს. ივანე ბიზანტიიდან 1059 წელს მოსულა.

ლიპარიტი რომ გარდაიცვალა, ალბათ თავისივე ანდერძის მიხედვით, წამოასვენეს და კაცხში დაკრძალეს.

ქართველი მეფის საშინაო მდგომარეობა ახლა უკვე სასურველად წარიმართა — ამ ამბებს შემდეგ დიდი დრო აღარ გასულა, რომ ჰერეთი და კახეთიც შემოიერთა. რაკი ლიპარიტი კრიჭაში აღარ ედგა და ყოველგვარ საქმეში ხელს არ უშლიდა, ეტყობა, კახეთ-ჰერეთის შემოერთება დიდად აღარ გასძნელებია, მემატიანე უბრალოდ გადმოგვცემს ამ ფაქტს.

ზემოთ ერთგან ქართლის ერისთავი იოანე აბაზასძე ვახსენეთ: თუ გახსოვთ, ლიპარიტთან ერთად ამ ერისთავმა თბილისის ამირა ჯაფარი გამოიტყუა მუხათგვერდში... მერე, როცა ბაგრატ მეფე იძულებული გახდა, ქართლის ერისთავობა ლიპარიტისთვის მიებოძებინა, იოანე აბაზასძე, ეტყობა, მეფის უკმაყოფილო დარჩა (ქართლის ერისთავობა ხომ მას ეპყრა აქამდე და ახლა წაართვეს!) და ამის შემდეგ აშკარად მტრობდა მეფეს. თვითონაც და მისი დიდი ოჯახიც. ხუთნი ძმანი ყოფილან ეს აბაზასძეები, „კაცნი ძლიერნი და ახოანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი“ — ასე გვიხასიათებს მათ ძველი ქართველი მწერალი გიორგი მცირე — გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი. ისეთი მტრობა ჰქონიათ მეფისა, რომ მისი შეპყრობაც კი განუზრახავთ. მაგრამ ახლა, ლიპარიტის დამარცხების შემდეგ, მეფეს უკვე დიდი ძალა ჰქონდა და ეს წინააღმდეგობა ადვილად დასძლია — ხუთივე შეიპყრო, „ვითარცა უძლურნი რაიმე და ყრმანი ჩჩვილნიო“...

ამ თავაშვებულ დიდგვაროვნებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო აშკარად ბედავდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას, ზურგს უმაგრებდა ეკლესია. თუ პირველ ხანებში საქართველოს გაერთიანება სწორედ ეკლესიის ხელშეწყობით — დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანებით დაიწყო, ამ დროისათვის ეკლესია თვითონვე აბრკოლებდა ქვეყნის შეკავშირებას. იგი დიდგვაროვან აზნაურთა თავსაყუდელი, მათი ნება-სურვილის შემსრულებელი გახდა.

როგორც ვიცით, ბაგრატმა საქართველოში მოიწვია გიორგი მთაწმინდელი და ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსობა შესთავაზა. მთავარეპისკოპოსობაზე უარი თქვა მთაწმინდელმა, მაგრამ საქართველოში ჩამოვიდა და მთელი ხუთი წელი აქ გაატარა. როგორც ჩანს, მეფეს კონკრეტული მიზანი ჰქონდა, როცა დიდ მწიგნობარსა და მოღვაწეს იწვევდა. ქართველ მეფეს, ეტყობა, რჩევა სჭირდებოდა

გიორგი მთაწმინდელისა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით. ბევრი უმსგავსოება ნახა გიორგი მთაწმინდელმა ეკლესიის ცხოვრებაში... და მან მეფეს ურჩია, რეფორმები გაეტარებინა საეკლესიო ცხოვრებაში...

საგარეო მდგომარეობა დღითი დღე მწვავდებოდა და ბაგრატმა ეს ვერ მოახერხა.

აბაზასძეების დათრგუნვის შემდეგ მეფის საზრუნავი იმ ციხეების დაბრუნება იყო, რომლებიც ბიზანტიელებს მიეტაცებინათ.

მაგრამ ჯერ სხვა უფრო საშური საქმე გამოჩნდა.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ხშირად მოდიოდა ხმები თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი შემოსევების შესახებ მეზობელ ქვეყნებში. ეს ხმები შიშისმომგვრელი იყო. დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მტერი საქართველოსაც მოადგებოდა. საჭირო იყო მზადება მტრის დასახვედრად. ამგვარი სამზადისი საქართველოში უსათუოდ იქნებოდა. ეს თავისთავად იგულისხმება. ისევ და ისევ გულისტკივილით უნდა ვახსენოთ ფაქტების სიმწირე — ამაზეც ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. მაგრამ ცალკეულ ფაქტს თუ სათანადოდ განვაზოგადებთ, აშკარა გახდება, რომ თავდაცვითი სამზადისი ფართო და ორგანიზებული ყოფილა.

საინტერესოა ერთი პატარა წარწერა ქვაზე, რომელიც საუკუნეებს მიუვალ მთაში შემოუნახავს. ეს არის ჩვეულებრივი სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბზე. თავის დროზე, როცა ამ სიტ-ყვებს კვეთდნენ ქვაზე, რას იფიქრებდნენ, ასეთი ძვირფასი და მნიშ-ვნელოვანი თუ გამოდგებოდა იგი შორეული შთამომავლებისთვის. წარწერამ მკვლევარების ყურადღება ჯერ იმით მიიპყრო, რომ ლეონტი მროველია ნახსენები (წარწერას ნარკვევი მიუძღვნა გ. გაფრინდაშვილმა და დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს დაწვრილებით გაეცნოს საკითხს), უფრო ადვილი დასადგენი გახდა ამ შესანიშნავი მემატიანის ვინაობა, მოღვაწეობის დრო და ადგილი.

მაგრამ სხვა ძვირფასი ცნობაც შემოუნახავს წარწერას: „მე, ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატი-სათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნაესაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალფ-არსლან სულტანისაგან ოხრობისათა“.

თქვენ უკვე ხვდებით, რომ, მრისხანე მტრის მოლოდინში, ქართველ მოღვაწეს მთაში საგანგებოდ ქვაბი აუშენებია თავისი მრეველის გასახიზნად.

რამდენი ასეთი წარწერიანი ქვა მოისპო და გაქრა, რამდენს ჯერ ისევ ბურავს მიწისა და მტვრის სქელი ფენა და გამომზეურებას ელოდება... რამდენი ასეთი ქვაბი, მღვიმე და გამოქვაბული, რასაც ხშირად ვხვდებით ჩვენს მთებში, სწორედ იმ დროს მოუწყვიათ, უმწეო ბალღებისა და ქალების შესაფარებლად!..

წარწერას განიხილავს ზემოთნახსენები ნარკვევის ავტორი და შენიშნავს: „კარზედ მომდგარი საშიში მტრისაგან თავდაცვის მიზნით ლეონტი მროველი თრეხვის მიუდგომელ კლდეებში აშენებს ქვაბთა სახიზარს — საცხოვრებელი და სამეურნეო (მარანი, წყალსაცავები და სხვა) ნაგებობებით“.

აქედანაც კი აშკარად ჩანს ჩვენი ხალხის მაღალი ყოფითი კულტურა. იმ გაჭირვებისა და შიშიანობის დროსაც, როცა მეზობელი ქვეყნებიდან ზედიზედ მოდიოდა შიშისმომგვრელი ხმები მტრის ურდოების საშინელი მხეცობის შესახებ; იმ გაურკვეველი მომავლის მოლოდინში, როცა დაჩქარებით აშენებენ თავშესაფრებს და ცალი თვალი საზღვრისკენ უჭირავთ, მტერმა არ მოგვისწროსო, ჩვენი ხალხი არ ივიწყებს მაღალი ყოფითი კულტურისთვის დამახასიათებელ ნაგებობებს...

მაგრამ ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვით იმ ფაქტს, რომ ასეთი სამზადისი ადრევე დაუწყიათ (წარწერა 1066 წლით თარიღდება, ალფ-არსლანის ლაშქრობა ქვეყნის გულში კი 1068 წელს მოხდა).

ასევე ძუნწი და კანტიკუნტი ცნობებით ვგებულობთ, რომ შენდებოდა აგრეთვე თავდაცვითი ზღუდეები. ერთ ასეთ თავდაცვით ზღუდეს აგებდნენ, მაგალითად, ახალქალაქის მისადგომებთან.

ამ ზღუდეს აშენებდნენ 1064 წელს, მაგრამ ვერ მოასწრეს, მტერმა არ აცალა დამთავრება...

1064 წელს სულთანი ალფ-არსლანი დიდი ლაშქრით სომხეთს შეესია და ქვეყნის დიდი ნაწილი ააოხრა, დაიპყრო, მოსახლეობა გაწყვიტა. ვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა? ბიზანტიის ვერაგული მოქმედებით ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე გავლენიანი და მოქმედი ძალა ადრევე გადაიხვეწა საშშობლოდან, გაიყვანეს სომხური

მხედრობაც!.. ხოლო ბიზანტიას ძალა აღარ ჰყოფნიდა, ყველგან დახვედროდა მტერს. აი, რა დღეში ჩააგდო ბიზანტიამ „მეგობარი“ ქვეყნებიცა და საკუთარი თავიც. ამ გამანადგურებელი ლაშქრობის დროს დაუნგრევიათ სომხეთის ბევრი დიდი ქალაქი და მათ შორის „სახელგანთქმული“ ქალაქი ანისი.

ანისის აღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თურქებისთვის, რადგანაც იმ დროს იგი „სომხეთის მხარეს ბიზანტიის პირველი ქალაქი იყო“ (სირიელი მეისტორიის ბარ ჰებრაის ეს სიტყვები მოტანილი აქვს ნოდარ შენგელიას, რომელმაც ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა თურქ-სელჩუკთა შემოსევებს) — უკვე ბიზანტიურ ქალაქად მიაჩნდათ ანისი და მის აღებას, როგორც ეხედავთ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ანისის აღება მნიშვნელოვანი იყო სამხედრო თვალსაზრისითაც. ეს ადგილი ბიზანტიის ქალაქთაგან ყველაზე უფრო გამაგრებული იყოო, შენიშნავს არაბი მეისტორიე, ციხის კედლები მაღალი მთის მწვერვალებზე იყო ამოშენებული და თითო მწვერვალზე თითო ციხე იდგაო. ორი მდინარე გადიოდა ანისში — ერთი დიდი მდინარე არაქსი და მეორე უფრო მომცრო, სწრაფი მდინარე. მემატიანეები ზღაპრულ ციფრებს ასახელებენ, როცა ანისს აგვიწერენ, ეს ციფრები დაუჯერებელია, მაგრამ იმით არის მნიშვნელოვანი, თუ როგორი სახელი ჰქონია მაშინვე ამ დიდ ქალაქს. ერთი უცხოელი მემატიანის ცნობით, მაგალითად, ათასობით ეკლესია მდგარა ანისში! მოგვითხრობენ ქალაქისა და მისი მოსახლეობის საოცარ სიმდიდრეზე, რადგანაც მათ იმ დრომდე მტრის ლაშქარი არ ენახათო.

დიდხანს უტევდა მტერი ამ მტკიცედ გამაგრებულ ქალაქს, მაგრამ ცადაწვდილ ციხეებს ვერაფერი მოუხერხა, ქალაქის ირგვლივ აღმართული კედლები მიუვალი აღმოჩნდა. მხოლოდ ერთ მხარეს ყოფილა კედელი შედარებით დაბალი და მტერმა გადაწყვიტა, სწორედ აქედან შეჭრილიყო. რა არ სცადეს, რა არ იღონეს, ბრძოლა ერთი წუთითაც არ ცხრებოდა — ალფ-არსლანს კარგად ჰქონდა შეგნებული ამ ქალაქის მნიშვნელობა — ჭამა და ძილიც კი დაივიწყესო, მემატიანე გადმოგვცემს... ხოლო, როცა იმედი დაკარგეს ქალაქის აღებისა და ალფ-არსლანმა გაბრუნება გადაწყვიტა, მოხდა უცნაური და საბედისწერო ამბავი: ერთ მხარეს თავისით ჩაინგრა ქალაქის კედელი და მტერს საშუალება მიეცა თავისუფლად შესულიყო. რა

მოხდა? იქნებ მიწისძვრა იყო და მემატიანეს გამორჩა ამისი აღნიშვნა?! არისტაკეს ლასტივერტეცი ცოტა უფრო სხვაგვარად აგვიხსნის ქალაქის დაცემის მიზეზს: თითქოს ქალაქის დამცველთა შორის განხეთქილება და უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს, მიეტოვებინოთ ბრძოლის ველი და გაქცეულიყვნენ. ამით უსარგებლია უკვე გასაბრუნებლად გამზადებულ მტერს და... „მტრის ჯარებმა რა დაინახეს, მათი მოპირდაპირე ზღუდიდან გზა ხსნილი იყო, ზღვის ტალღებივით ქალაქში შეიჭრნენ, აამოქმედეს სპარსული მახვილი და არავინ დაინდვეს... დედებს მკერდიდან აგლეჯდნენ ყრმებს და შეუბრალებლად ქვებს ურტყამდნენ... ერთი მახვილი სპობდა მამასა და შვილს... გვამებით აივსო ქალაქი... გზა გვამებზე გადადიოდა... სისხლით შეიღება წყლის დიდი ნაკადი, რომელიც ქალაქის ახლოს მოედინებოდა“...

ეს მოხდა 1064 წელს, 16 აგვისტოს.

ანისის აღებამდე მტერმა სომხეთის სხვა ქალაქები და ციხე-სიმაგრეები აიღო, ააოხრეს მთელი მხარე, ყველაფერი მოსპეს, გადაქელეს, გადალახეს მდინარე არაქსი და საქართველოსკენ დაიძრნენ. მოდიოდნენ ფართოდ გაშლილი ფრონტით, ლაშქრის მთავარ ძალას თვითონ ალფ-არსლანი მეთაურობდა, ფლანგებს სარდლობდნენ მისი შვილი, შემდეგში სახელგანთქმული სულთანი მელიქ-შაპი და ნიზამ ალ-მულქი — ასე ფართოდ დაძრულს მეტი წამლეკავი ძალა ჰქონდა, მეტ შიშს თესავდა, დასაპყრობი ხალხების წინააღმდეგობას ასუსტებდა.

უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ნოდარ შენგელია დაასკვნის, რომ საქართველოსკენ მთელი ძალით დაძრულა სულთანი.

მტერი სამხრეთით მოადგა საქართველოს, ჯავახეთში შემოიჭრა. ეს მოხდა, როგორც ჩანს, მოულოდნელად, 1064 წლის ზაფხულის დასაწყისში. მოულოდნელადაო, როცა ვამბობთ, ამით ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზუსტად იმ დროს არ ელოდნენ მტერს. თორემ საერთო მოლოდინი, როგორც ითქვა, ჰქონდათ და ემზადებოდნენ კიდეც. ეტყობა ფარულად შემოსულან — გეზი სომხეთის გაელით ბიზანტიისკენ ჰქონდათ აღებული და ერთბაშად საქართველოში შემოიჭრნენ.

მოულოდნელად შემოსევაზე თვითონ ქართველი მემატიანე მიუთითებს: მტერი „უგრძნეულად (მოულოდნელად) მოვიდა და შემუსრა

კანგარი და თრიალეთი, — ეკითხულობთ „მატიანე ქართლისაში“, — და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს, ვიდრე ფანასკერტამდე. და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღვივისხევს“...

იმდენად მოულოდნელი ყოფილა მტრის შემოჭრა, რომ კინაღამ მეფე შეუპყრიათ. ტაოდან მომავალი ბაგრატი და მისი ოჯახი — დედა, დაი და შვილი გიორგი — ამ დროს თურმე ხეკრებულთას ისვენებდნენ. ქედზე რომ გადმოდგა მტრის მარბიელი რაზმი, მაშინღა შენიშნეს და ძლივს გამოასწრეს, ქართლისკენ გამოემართნენ.

ალფ-არსლანის ლაშქარი ახალქალაქისკენ დაიძრა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ თავდაცვითი ზღუდის აგება ქალაქის მისადგომებთან ქართველებმა ვერ მოასწრეს („არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი“). მაგრამ მოვიდა თუ არა ამბავი, მტერი ახალქალაქისკენ დაიძრაო, მცველებმა მოასწრეს და ქალაქის შესასველელთან დიდი ხიდი ჩაანგრიეს, მტერს ქალაქში შესვლა გაუძნელეს.

სულთანმა ბრძანა, იქვე, მდინარის პირას დაეცათ ბანაკი და ახალი ხიდის აგებას შესდგომოდნენ. მაგრამ, მანამ ხიდს ააგებდნენ, ქალაქის მცველებს ორი მეომარი გაუგზავნიათ სულთანთან — ჯარი გაგვატანე და ქალაქი ჩაიბარეო, უთხრეს თურმე.. ამას უცხოური წყაროები მოგვითხრობენ. სულთანმა მაშინვე გაატანა რაზმი. მაგრამ როგორც კი შეიტყუეს მტრის რაზმი ქალაქში, მას ალყა შემოარტყეს და ამოხოცესო.

ახალი ხიდის აგება მტერს ძვირი დაუჯდა. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლაო, ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, და ამ სამი დღის განმავლობაში ციხის კედლებიდან ქართველ მეომართა მიერ გამოტყორცნილი ისრები უქმად არ იკარგებოდნენ, ახალი ხიდის აგებაზე მომუშავე მტრის მეომრები კარგი სანიშნე იყო მათთვის.

როგორც ითქვა, სამ დღეს გაგრძელებულა გააფთრებული ბრძოლა. მაგრამ რაკი ქალაქს მტკიცე ზღუდე არ ეკრა, „ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა (ესე იგი, უზღუდო ქალაქში მტრისთვის ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდაო, ასე განმარტავს მემატიანის სიტყვებს ივანე ჯავახიშვილი), აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახვილისათა“.

მედგრად იცავდნენ თავს ქართველი მეომრები იმ სამ დღეს, შორიდან უშენდნენ ისრებს და ახლოს არ უშვებდნენ მტერს. სამი დღის შემდეგ კი, რა ნახეს, მტერი უკვე გატეხდა მათ წინააღმდეგობას და ქალაქში შეიჭრებოდა, ერთბაშად გახსნეს ქალაქის კარიბჭე და გარეთ გავარდნენ, პირდაპირ ეკვეთნენ მტერს, თუმცა აშკარად ხედავდნენ, რომ განწირულები იყვნენ. დანებება არ ინდომეს, თავი შეაკლეს მტერს, გმირულად დასდეს თავი მამულისა და თავისუფლებისთვის... ხოლო გარეთ ალბათ იმიტომ გავარდნენ და ხელჩართული ბრძოლა ქალაქის მისადგომებთან ალბათ იმიტომ გაუმართეს, რომ ეს საბედისწერო შეტაკება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქალაქის ქუჩებში არ გამართულიყო და მშვიდობიანი მოსახლეობა, ასე თუ ისე, არიდებოდა საშინელ ჟლეტას.

ბრძოლა კი მართლაც გააფთრებული ყოფილა, მდინარე, მემატიანის ცნობით, სისხლით შელებილა... ქართველების მცირერიცხოვანი ჯარი, რაღა თქმა უნდა, ვერ გაუმკლავდებოდა მტრის ურიცხვ ლაშქარს. შეიჭრა მტერი ქალაქში და დაატყვევეს „ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი“...

და აქვე ერთი ჩვენამდე მოღწეული ფაქტიც უნდა ვახსენოთ — უმადურობა იქნება ჩვენი მხრით, ის უსახელო ახალქალაქელი გმირები პატივისცემით არ გავიხსენოთ, რომელთაც მამაცურად გაწირეს თავი. არაბი ისტორიკოსის გადმოცემით, ციხის ერთ კოშკში რამდენიმე ქართველი გულადი მეომარი დარჩენილიყო. ეს ჭაბუკები სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოდნენ „გამბედაობითა და მამაცობით“; ეტყობა, დიდი უსიამოვნებაც მიაყენეს ქალაქის ქუჩებში შესულ მტრის რაზმებს: „ციხის კოშკს სულთანმა ცეცხლი წაუკიდა და ერთიანად გაანადგურა“ მამაცი მეომრები.

ახალქალაქის აღების ამბავს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერიც გადმოგვცემს (სწორედ იმ წელიწადს და იმ ხანებში, როცა მტერი ახალქალაქს მოადგა, გიორგი მთაწმინდელი, ხუთი წლით საქართველოში ყოფნის შემდეგ, ბიზანტიაში ბრუნდებოდა), ახალქალაქის ასეთი დარბევის გამო „მეფე ბაგრატი დიდსა მწუხარებასა შთავარდაო“, დასძენს ბოლოს გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი.

მეფე რომ დიდმა მწუხარებამ მოიცვა, ეს, რაღა თქმა უნდა, გასაკვირი სულაც არ არის. გასაკვირი შეიძლება სულ სხვა რამე

იყოს. მემატიანის გადმოცემით, ახალქალაქში შესვლისთანავე სულთანმა ალფ-არსლანმა ბაგრატ მეფეს მოციქული გაუგზავნა, შენი დისწული ცოლად მომათხოვეო.

დღეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად და უხერხულად ჟღერს — ხალხს ასეთი საშინელი უბედურება დაატეხო, ქალაქებსა და სოფლებში სისხლის გუბეები დაუყენო და მერე იმ ხალხის სიძობა მოინდომო... მაგრამ ასეთი რამე ხდებოდა ხოლმე. ჩვენ ხაზართა ხაკანის უცნაური გამიჯნურების ამბავიც გვახსოვს — ჯერ რომ მთელი ქვეყანა ააოხრა და მერე ამ ქვეყნის შვილი შორიდან შეიყვარა, მისი ცოლად შერთვა მოინდომა (აქვე უნდა შევნიშნოთ, თითქმის იმავე ხანებში ქართველი მეფე ბაგრატი მეორე დიდ გვირგვინოსანსაც დაუმოყვრდა: თავისი ასული მართა — გათხოვების შემდეგ მარიამი[1] — ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII-ს მიათხოვა).

ბაგრატსაც, ეტყობა, უხერხულად არ მოსჩვენებია სულთანის სიძობა, და მიუთხოვებია კიდეც დისწული.

მაგრამ ეს უცებ არ მომხდარა. მართალია, ის ქალი — საპატარძლო — დისწული იყო ბაგრატ მეფისა, მაგრამ თავისი საკუთარი დედ-მამა და პატრონი ჰყავდა. ბაგრატის დაი ცოლად ჰყოლია სომხეთის მეფის კვირიკეს ძმას. ახლა, როცა ქალის სულთანისთვის მითხოვებაზე მიდგა საქმე და ბაგრატმა კვირიკეს შეუთვალა თავისი აზრი, სომხეთის მეფე არ დაეთანხმა, არ ინდომა, „არა მოსცა სომეხთა მეფემან“... ქართველ მეფეს ხელმეორედ მიუგზავნია მოციქული, ამჯერად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი. ქართველი მეფის მოციქულს საიდუმლო მოლაპარაკება გაუმართავს სომეხ დიდებულებთან, გადაუბირებია კიდეც ისინი, და ერთ დღეს „სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა და აცნობეს ბაგრატს“...

---

1. ასეთი წესი ჰქონიათ ბიზანტიის სამეფო კარზე: უცხოელ დედოფალს სახელს შეუცვლიდნენ, ახალს დაარქმევდნენ. ქართულ წყაროებში ამის შემდეგ ორივე სახელით მოიხსენიება ბიზანტიელი დედოფალი: „...აღაპი არს დედოფლისა ჩვენისა მ ა რ ი ა მ მ ა რ თ ა ყ ო ფ ი ლ ი ს ა“...

საინტერესოა დ. ბაქრაძის სიტყვები: „გამოჩენილი ფრანციელი არხეოლოგი ჟიულიენ დიურანი უჩვენებს მიხაილ დუკას და მარიამს თვით ხახულის ღვთისმშობლის ხატზე, რომელიც გელათის მონასტერში ასვენია“. მარიამი მეუღლესთან ერთად გამოსახული ყოფილა აგრეთვე ბიზანტიურ მონეტაზე.

აქ სხვა რამეც არის მნიშვნელოვანი და იმიტომ უფრო შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

როგორც ვიცით, სამშვილდე უძველესი ქართული ციხესიმაგრე იყო. თქვენ გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის მამა მირდატი, თავისი უფლისწულობის დროს აქ იდგა, აქ იყო მისი სამყოფელი. რამდენიმე ხნის წინ სამშვილდე სომეხთა მეფემ დაიპყრო. ალბათ გახსოვთ, როგორ მოხდა ეს. ახლა კი ბაგრატს საბაბი და საშუალება მიეცა, უკანვე დაებრუნებინა ეს მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი და დიდებული ციხესიმაგრე. და, აი, შეიპყრეს სომეხთა მეფე და მისი ძმა, უხმეს ბაგრატს და ისიც „წარვიდა ქვეახურელთათ მსწრაფლ", იქ მიჰგვარეს შეპყრობილები. ქართველმა მეფემ პირდაპირ დაუყენა საკითხი, სამშვილდე უნდა დამიბრუნოო. მაგრამ უარი მიიღო, რადგან სომეხთა მეფის მეორე ძმა ადარნასე „შესრულ იყო სამშვილდეს". უკვე მოესწრო ციხეში შესვლა და გამაგრება. მაშინ ბაგრატმა წამოიყვანა იქიდან კვირიკე, სამშვილდეს კარიბჭესთან მიიყვანა, „ამართეს ძელი და გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამ დღე"...

ამან გასჭრა. კვირიკემ მშვიდობა ითხოვა და სამშვილდე ქართველ მეფეს დაუბრუნა.

მემატიანე იქვე მოგვითხრობს, რომ ბაგრატს თურმე ეახლა ორი სომეხი ერისთავი — ლუკიის ერისთავი და კაქვაქარისა. კვირიკეს ძმამ სუმბატმა სამი ციხე კიდევ შესთავაზა ბაგრატს. მაგრამ ბაგრატ მეფემ შეიცოდა და არ ინდომა, არ აიღოო, ქართველი მემატიანე დასძენს. სამშვილდის გარდა ყველა ციხე მათვე დაუტოვა, „არამედ სამშვილდე ოდენ იურვა სახლად თვისად". ეტყობა, აქვე გადაწყდა სულთანისთვის დისწულის მითხოვების საქმეც.

ერთი სიტყვით, მაშინვე ვერ მოხერხდა სულთანთან დამოყვრება. სულთანს, ეტყობა, მიეჩქარებოდა. გაემგზავრა კიდეც. კვლავ სამხრეთისაკენ მიიქცა და ის-იყო ამის შემდეგ მალე ანისი აიღო.

იმხანად მხოლოდ საქართველოს სამხრეთი მხარე დაარბია მტერმა, დანარჩენი მხარეები მაშინ გადაურჩა დარბევას. ალბათ სწორი არ იქნება, ეს სულთანის მოყვრული გულჩვილობით აეხსნათ. არა, მას იქით მიეჩქარებოდა, ბიზანტიის მიმართულებით. ის იყო მისი მთავარი მტერი — იმას თუ დაიმორჩილებდა, მერე გაადვილებული ექნებოდა საქმე და საქართველოსაც უფრო ადვილად მოერეოდა.

ქართველ მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ალფ-არსლანთან და ბიზანტიის კეისართან დამოყვრებით, როგორმე მშვიდობას დაამკვიდრებდა და თავის ქვეყანას დიდ რბევას ააცილებდა.

ასე არ მოხდა.

ჯერ ერთი, თურქ სულთანს ძალიან მალე გაუცივდა გული ქრისტიან პატარძალზე, გაშორდა მას და მიათხოვა თავის სარდალს ნიზამ ალ-მულქს.

სამხრეთ საქართველოში პირველი ლაშქრობის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ სულთანი ალფ-არსლანი უფრო დიდი ლაშქრითა და უფრო მტკიცე გადაწყვეტილებითაც — ამჟამად უკვე მთელი ქვეყანა დაეპყრო და აეოხრებინა — კვლავ შემოიჭრა საქართველოში. ოღონდ ამჯერად სამხრეთიდან კი აღარ შემოსულა, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთს მოადგა.

შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი და შევიდა ჰერეთადაო, მემატიანე გადმოგვცემს. სწორედ იმ დროს ბაგრატი კახეთში ლაშქრობდა — ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ამ კუთხის მტკიცედ შემოერთება და ქართველი მეფე ახლაც — უკვე მერამდენედ — ცდიდა ბედს. მეფეს ლაშქარი წინ გაეგზავნა, თვითონ, ეტყობა, მოშორებით მიჰყვებოდა. მეფის მხედრობას თავისი კონკრეტული დავალება ჰქონდა და აქ თუ უცხო ლაშქარს წააწყდებოდა, სულაც არ ეგონა. აქაც იმასვე შენიშნავს მემატიანე — მტერი მოულოდნელად (უგრძნეულად) შეიჭრა ჰერეთშიო. და როცა ქართველთა მცირერიცხოვანი მხედრობის მეწინავე რაზმმა თურქ-სელჩუკთა უზარმაზარ ლაშქარს მოჰკრა თვალი, უბრძოლველად შემოიქცა და სწრაფად მეფესთან მიიჭრა; მტრის ლაშქარს, ეტყობა, არც შეუნიშნავს. მეფემ რომ სულთანის შემოსევის ამბავი გაიგო, ხელადვე ქართლში გაბრუნდა და იქ გამაგრდა, საომარი მზადება დაიწყო.

არაბული წყაროები დაწვრილებით მოგვითხრობენ ამ შემოსევის ამბავს. შემოსულა თუ არა მტერი კახეთში, აქაური მდიდარი ტყეები არ მოსვლია თვალში. ტყის სიძულვილი ალბათ ისედაც ჰქონდათ სელჩუკებს, რაკი ტყე დიდი ჯოგების საძოვრად ვერაფერი გამოსადეგია. აქ კი ისიც დაემატა, რომ ტყეებში მათ თავიანთი სახლ-კარიდან გახიზნული მოსახლეობა შენიშნეს. კი არ შენიშნეს და, ტყეში გახიზნული მამაცი ხალხი დიდ უსიამოვნებას აყენებდა

მათ დასარბევად მოსულ ლაშქარს. ეს რასა ჰგავსო, სულთანს უბრძანებია. ამ ტყისთვის როგორ აცდენენ ამოდენა მიწებსო — ბრძანა თურმე და შემოდგომის წითელ-ყვითლად აბრიალებულ ტყეს ცეცხლი გაუჩინა — ნამდვილი ცეცხლის ალები მიუსია.

ჯერ უხალისოდ მოეკიდა ცეცხლი ნედლ ბუჩქნარს, მძიმედ ამოძრავდა, ცოცვით წამოვიდა, მერე კი, როცა წვიმებით დამბალი მიწა კარგად გამოშრა და გვიანი შემოდგომის ჭახჭახა ჰაერიც გახურდა, ერთბაშად იხუვლა, გაიზარდა, გაიბერა, ზღაპრის ურჩხულივით ათასი ენა გამოიბა და ყოველი მიმართულებით დაიძრა, ატკაცუნდა, აგრიალდა, არემარე გაბმულმა გრგვინვამ გააყრუა, ცაში აიჭრა ცეცხლის ენები, თითქოს შემოდგომის დამცხრალ მზეს იწვევს და ედავებაო...

სულ გადაიწვა და განადგურდა საუკუნოვანი მუხნარი და შერეული, დაბურული ტყეები. მთები გატიტველდა და განიძარცვა. მოპყვა მერე სულთანი და სათითაოდ აიღო ყველა ციხე, დაიპყრო მთელი მხარე, ყველაფერი გაანადგურა, „იმდენი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში, რომ მისი აღწერა შეუძლებელიაო“, არაბი ისტორიკოსი დასძენს.

კახეთის მეფე აღსართანი არც აქამდე გამოირჩეოდა დიდი რჯულიერი და მამულიშვილური სიმტკიცით. ახლა, ამოდენა ლაშქარი რომ ნახა, ხელად მოხიკა და მოაგროვა დიდი ძღვენი, სულთანს მიართვა და უთხრა — თქვენი ვარ, თქვენად მიგულე, რჯულსაც თქვენსას მივიღებ და ხარაჯასაც წესიერად გადაგიხდიო... თქვენმა რჯულმა მომიზიდა, თორემ რა ძალა მადგა მოესულიყავიო. აღუთქვა და წინადაიცვითა კიდეც — მაჰმადიანობა მიიღო.

სულთანმა, რაღა თქმა უნდა, მოუწონა. კაცი შენ ყოფილხარო, უთხრა. ციხეები, რისი აღებაც უკვე მოესწროთ, უკანვე დაუბრუნა, რაც ქართველმა მეფემ დატოვა, ის ციხეებიც მას ჩააბარა, ერთი სამი კვირა აქ გაატარა — ალბათ, ტკბილად იქეიფეს და ინადირეს დიდმა სულთანმა და მისმა ახალმა ქვეშევრდომმა. სულთანმა კახეთის მბრძანებელს თურმე საგანგებო მასწავლებელი მიუჩინა, რომელიც მაჰმადის რჯულს უნერგავდა.

კახეთიდან ქართლისკენ რომ გაემართა, სულთანმა თან იახლა თავისი ახალი მოკავშირეები — ახალგამაჰმადიანებული აღსართანი (ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამოიდებდა თავს ეს

გადაგვარებული კაცი, რათა თავისი ახალი ღმერთისა და ახალი პატრონის გული მოეგო), სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა. თქვენ გახსოვთ, რა გულმოსულები არიან ესენი ბაგრატ მეფეზე! ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რა საშინელ შურისძიებას დაატეხენ თავს არა ბაგრატ მეფეს, რომელსაც ვერ მისწვდებიან — მეფეს ფეხმარდი ცხენი ჰყავს — არამედ ათასობით და ათიათასობით მშვიდობიან მოსახლეობას — ბალღებს, ყმაწვილებს, მოხუცებს...

წინ მიიწევდა ალფ-არსლანის ხუთასათასიანი ლაშქარი და გზად ყველაფერს სპობდა და ანადგურებდა. მკვლევარებს მოპყავთ არაბული წყაროს ცნობა: „შემდეგ სულთანი გაემართა აფხაზთა მეფე ბაგრატის წინააღმდეგ და თავის ჯარებს სრული თავისუფლება მისცა, ეს ვილაიეთები გაენადგურებინათ“...

როცა უცხოელი მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს, სულთანმა თავის ჯარებს უფლება მისცა, სოფლები გაენადგურებინათო, უკვე ყველაფერი ნათელი ხდება. რაღა განსაკუთრებული უფლება უნდოდა, ისე კი არა სპობდნენ ყველაფერს?! ეს განსაკუთრებული უფლება იმას ნიშნავს, რომ სულთანს საგანგებოდ გაუფრთხილებია თავისი მეომრები, ქვა ქვაზე არ დატოვოთო. გული მოსდიოდათ, ასე დამუშავებულ ზვრებსა და ბაღებს რომ ხედავდნენ, მაშინვე იმას გაიფიქრებდნენ, რამდენი საძოვარი ცდებაო!..

და უკვე ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, რა დღეს დააყრიდნენ ამდენი ბრძოლებით გამკაცრებული სელჩუკი მეომრები საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას, რა დღე დაადგებოდა ლამაზ ქოჩორა მთებსა და ბორცვებს, გრძლად გაწოლილ ქედებზე თავმომწონედ მოშრიალე ტყეებს, რომელიც თითქოს ცალკე სამყარო იყო, თავისი ცხოვრება ჰქონდა, თავისი წესი და კანონი. ცალკე სამყარო იყო და მისი ცხოვრების წესი კარგად ეგუებოდა ადამიანთა დიდ სამყაროს, ადამიანთა ცხოვრების წესს...

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ თხოთის დაბურული ტყე, არაგვის სანა-პიროდან ქსნისკენ გაშლილი მუხნარი, საიდანაც მერე ქართლის დიდმა სოფელმა მიიღო სახელწოდება...

ახლა რომ მატარებლით მიდიხარ ქართლის გულში და ვაგონის სარკმლიდან გზის პირად გაწოლილ გატიტვლებულ ბორცვებს გასცქერი, სულ იმ ცეცხლის საქმეა — ცეცხლმა გადასძოვა ამ

ბორცვებიდან ამაყად გამომზირალი ხეები და ბუჩქები, ცეცხლმა გამოწვა და გამოაშრო ნიადაგი. გამომშრალი ნიადაგი მერე წვიმასა და წყალს ვერ დაუმაგრდა, ჩამოინგრა, ჩამოირეცხა...

გზა, რომელზეც მტერი მოძრაობდა, მაშინაც ამ ადგილებში გადიოდა. სწორედ ამ ადგილებს მოედო მტერი. დიმიტრი ბაქრაძე წერს: კახეთიდან დაძრულმა სელჩუკების ჯარმა იორი გადალახა და მცხეთის მახლობლად დაბანაკდა, აქედან კი ალფ-არსლანმა მარბიელი რაზმები დაგზავნა ქართლის მხარეებში, ყველა მიმართულებითო. და რასაც კი მისწვდნენ ეს რაზმები, მოსპეს, გაანადგურეს. სიღრმეებში შესვლას ვერა ბედავდნენ, ვერ ახერხებდნენ, გზის გასწვრივ, გზის ახლო-მახლო მოითარეშეს, აქ ივჯერეს გული.

ამის შემდეგ მართლაც აღარ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, რა დღე დაადგებოდა იმ ლამაზ ჩუქურთმიან სახლებს, მარნებს, ბეღლებს, შვილივით მოვლილ ზვრებსა და ბაღებს... იმ დიდებულ ტაძრებს, რომელთაც ასეთი აღფრთოვანებით აგვიწერდნენ ხოლმე უცხოელი თუ ჩვენი მემატიანეები.

ესენი ყველაფერი დაინთქა, მიწასთან გასწორდა, გაცამტვერდა, აოხრდა.

ჯერ თბილისი აიღეს, მერე მარბიელი რაზმები გაიშალნენ და ქართლს მოედვნენ.

„და იყო ქართლს შინა პური და ღვინო ფრიადი“...

კარგი მოსავალი აუღიათ იმ წელს. ეს ამბავი ზამთრის პირას ხდება — 1068 წლის დეკემბერია, მოსავალი უკვე დაბინავებული აქვთ და მტერს რომ ეცლია, ახლა ქორწილები იქნებოდა გაჩაღებული ქართლის სოფლებში.

წელიწადის ამ დროს გახშირდებოდა ხოლმე ქორწილები, ამ დროს ეყრებოდა საფუძველი ახალ კერას, ახალ სიცოცხლეს. მუდამ ასე იყო — ამის წინათაც, ამის შემდეგაც. ამ დროს მეტი თავისუფლება ჰქონდა გლეხკაცს, ამ დროს ვაზს სძინავს და ნაკლები პატრონობა სჭირდება, ბაღს სძინავს, მიწა თეთრ საბანში გახვეულა და მასაც სძინავს — ისიც ნაკლებ ყურადღებას მოითხოვს, ჭირნახული დაბინავებული აქვს გლეხს, აქამდე ღვინოც მოასწრებდა დადუღებასა და დაწმენდას, შეშაც მოიმზადა და მოიმარაგა. ახლა საქონლის გამოზამთრებაზეღა უნდა იზრუნოს; სამეურნეო იარაღები

გააახლოს, ტარები დაუცვალოს, მოპიროს, მოამზადოს; მტერ-მოყვარეს კაცურად დახვდეს, ახალი მოყვრები გაიჩინოს...

როგორც ვნახეთ, მტერმა არ დააცალა. მხიარული მაყრულისა და მრავალჟამიერის ნაცვლად, გაბმული გმინვა გაისმის. მთის ბილიკებსა და წავარნებზე, ყველგან, ყველგან თქვენ ხედავთ გახიზნულ მოსახლეობას. მიერეკებიან საქონელს და ჯალაბი მიპყავთ — მიპყავთ დაჩაჩანაკებულ ბერიკაცებს, ნაადრევად დაკაცებულ ბიჭებს, გაჭირვებისგან გაკაჟებულ დედაკაცებს... ცდილობენ, გაასწრონ აღმოსავლეთიდან დაძრულ ცეცხლის ნიაღვარს, რომლის ცხელი სუნთქვა ძალიან შორსა სწვდება... ცრემლგამშრალი, გათოშილი ბალღები ხელში აუტატებიათ და მიდიან.

ვისაც მოყვრები ეგულება მთაში, უფრო მტკიცე ნაბიჯით მიდის, უფრო სწრაფადაც; ალალბედზე წასულებს სიარულზე შეატყობ — უფრო მერყევი და სუსტი ნაბიჯი აქვთ, გაუბედავი; კეთილი ადამიანების იმედით მიდიან — ვინც შეიხიზნებს, ლუკმას გაუყოფს, კერიის სითბოს გაუზიარებს... იქ მაინც თუ შერჩათ ლუკმა და კერიის სითბო! მიდიან და, უკან რომ მოიხედავენ, მთის კალთებიდან ქართლის ველებზე მიმოფანტული სოფლები ჩანს, აქედანვე ხედავენ, როგორ იქცევა და იღუპება ეს სოფლები, როგორა ნთქავს ცეცხლი.

მიდიან ცალ-ცალკე ოჯახები, მიდიან ჯგუფ-ჯგუფად, მიდიან გმინვით და კვნესით. ზოგჯერ მტრის მარბიელი რაზმები მისწვდებიან ლტოლვილებს და შეუბრალებლად ჟლეტენ, მუსრს ავლებენ — „მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა“... ეკითხულობთ „მატიანე ქართლისაში“.

აბა, დააკვირდით: ეს დიდებული მატიანე ხომ საერთოდ ძალიან სიტყვაძუნწი და ლაკონურია. ზედმეტ სიტყვას, მაღალფარდოვან ლაპარაკს გაურბის, მხოლოდ ფაქტებს გადმოგვცემს, თითქოს მშრალად, მეცნიერული პირუთვნელობითა და ობიექტურობით მოგვითხრობს და კომენტარებს კი ერიდება... მაგრამ აქ ვეღარ შეუკავებია თავი მემატიანეს და ნახეთ, როგორ აგვიწერს ამ ამბებს:

„მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა... და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი; და ცოდვათა ჩუენთა მოსაგებელსა რისხვასა ღმრთისასა ზეცით ცაი წამებდა, და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა

ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი საშინელი და შესაძრწუნებელი, და არე-არე სისხლის წვიმა ეხილვა კაცთა. და იქმნა ზამთარი სასტიკი; რომელი გარდაეხუეწა და მიმართა მთათა, მოსწყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა"...

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო. ზამთარი აღრე დადგა იმ წელიწადს, — დიდი თოვლი ჩამოყარა და მკაცრი ყინვები დაიჭირა. როგორც ვნახეთ, მთებში გახიზნული ხალხი გაითოშა და გაწყდა („რომელი გარდაეხუეწა და მიმართა მთათა, მოსწყდა იგიცა სიფიხცისაგან ზამთრისა").

თვითონ სულთანი ალფ-არსლანი კარბს დამდგარა — ქართლის გულში — ქსანს რომ გასცდები, იქვე, დასავლეთით. მარბიელი რაზმები მტრისა არგვეთში გადასულა და სვერის ციხემდე სულ დაურბევიათ სოფლები. სვერის ციხე კარგად ჰქონია გამაგრებული ქართველ მეფეს და მისი აღება მტერს გასჭირვებია. საბოლოოდ, დიდი ბრძოლების შემდეგ, ეს ციხეც აუღიათ.

ბაგრატმა გადაწყვიტა, მოლაპარაკება გაემართა სულთანთან. თავისთავად იგულისხმება, ზავი ასეთ პირობებში მძიმე იქნებოდა ქართველებისთვის, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ბაგრატს ლიპარიტის შვილი ივანე მიუგზავნია მოციქულად. სულთანი თანახმა გახდა ზავისა, ოღონდ „სთხოვა ხარაჯა და უქადა მშვიდობა".

ყინვა სულ უფრო ძლიერდებოდა და მკაცრდებოდა. დიდი თოვლი იდო. გაჭიანურებულმა ზამთარმა დამპყრობელიც შეაწუხა („აჭირვა სიძნელემან ზამთრისამან და ბუქთა ძლიერთა"): შეთვლილ პირობებზე ბაგრატის პასუხსაც კი ველარ დაელოდა, აიყარა და გაბრუნდა. წასვლის წინ თბილისი და რუსთავი განძის ამირა ფადლონს ჩააბარა.

დარბეული, დამშეული, გაუბედურებული ხალხი სულის კაწკაწით მოელოდა გაზაფხულის მოსვლას. კაცი იმედით ცოცხლობს; საშინელი განწირულებისა და სასოწარკვეთილების დროსაც კი, როცა ხსნა და საშველი არსაიდან ჩანს, გულში მაინც იმედს ელოლიავება, თავს იტყუებს — ყველაფერი არ დაღუპულაო. იმედია წყარო და საფუძველი ოცნებისაც, რწმენისაც, სიმხნისაც, გამარჯვებისაც. იმედი დიდი ყავარჯენიაო, ჩვენში ამბობენ. გაზაფხულის იმედით იყო საბრალო ხალხი. სითბოსთან ერთად სიხარულიც მოაქვს გაზაფხულის

მზეს... და სწორედ გაზაფხულის მზე გამოდგა მათი დამაქცევარი. ერთბაშად დააჭირა სიცხემ, როგორც ჩვენში ხშირად იცის ხოლმე... თოვლი სწრაფად დადნა, გახშირდა ზვავი და მეწყერი, დიდი ძალით დაძრულმა ლანქერმა წალეკა და გადარეცხა ყველაფერი, მთის პატარა მდინარეები ადიდდა და წარღვნად წამოვიდა — „და ვითარცა მოიწია არე გაზაფხულისა, შეიქმნა სიმდიდრე წყალთა ძლიერი, და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინებსა თვისსა, მოეფინა ველთა და წარიღო მრავალი სული, რომელი დარჩომოდა სულტანსა“.

ბოლო ფრაზას დააკვირდით — „რომელი დარჩომოდა სულტანსა!“

სულთანმა რომ თბილისი და რუსთავი განძის ამირას დაუტოვა და არა თავის მოკავშირე თბილისის ამირას, ამან, ეტყობა, ძალიან გააყოყოჩა ფადლონი. თბილისის რბევა დაიწყო. ბაგრატ მეფე გადმოვიდა თავისი ლაშქრით და დიდგორში „ჩადგა“, მანგლისის მახლობლად. გათავხედებული ამირა სულაც არ შეეპუა მეფეს, დასძრა ოცდაცამეტათასიანი ლაშქარი და თბილისს მოადგა, ისანში დაბანაკდა. ესეც არ იკმარა: აქედან ქართლის სოფლების რბევას მიჰყო ხელი. ბაგრატმა იავნე ლიპარიტის ძე და კიდევ ორი დიდებული — ნიანია ქვაბულის ძე და ყველის ერისთავი მურვან ჯაყელი, „რჩეული ლაშქრით“, გაგზავნა ფადლონის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ მეფის ლაშქარი რომ ქართლს ჩავიდა, ფადლონს უკვე გული ეჯერებინა ამ მხარის რბევით და უკანვე შექცეულიყო.

მეფის ლაშქარი ფადლონის ჯარის არიერგარდს მისწვდა, შეება და „პირველსავე ხრმლისა მოკიდებასა“ გააქციეს, მისდიეს და მუსრი გაავლეს. ქართველი მემატიანის გადმოცემით, ნარეკვავის ხეობა მეომრებისა და ცხენების გვამებით ამოიევსო. ფადლონის გადარჩენილი მეომრები შეიპყრეს და ტყვედ წამოიყვანეს.

მეფის მეომრებმა ფადლონის წინგაჭრილ მხედრობას შემოუარეს და გზა გადაუღობეს. აქაც დაერივნენ უკვე მორალურად გატეხილ რაზმს. თვით ფადლონმა ძლივს გაასწრო თხუთმეტი ცხენოსნის თანხლებით. გავიდა მდინარე არაგვში და ერწოს გზას შეპყვა. ფადლონის კაცი ვარო, გზა-გზა ამბობდა, ბაგრატ მეფე დავამარცხეთ და ფადლონმა აღსართანთან გამგზავნა მახარობლადო. გამიშვით, თქვენი ჭირიმე, ნუ მაყოვნებთ, ლაპარაკის დრო სადა მაქვს, აღსართანთან მიმეჩქარებაო.

სხვა ველარაფერი მოიგონა დამარცხებული ჯარის ამირა-სარდალმა, იფიქრა, ამით დავიხსნი თავსო. მაგრამ შიშით ისე ხტოდა და ცმუკავდა, რომ უნებურად დაგაეჭვებდა. და ალბათ თვითონვე დაიღუპა თავი — იცნეს. ერთმა კაცმა იცნო, შენ ხომ ამირათ-ამირა ფადლონი ხარ, თავს რად იმცირებო, უთხრა. და შეიპყრეს. გატყდა ფადლონი — ხვეწნა დაუწყო ამ კაცს, ოქრო-ვერცხლით აგავსებ, რასაცა მთხოვ, მოგცემ, ოღონდ გამიშვი და შენც თან გამომყეეიო.

კარგი ვაჟკაცი და მამულიშვილი გამოდგა შემპყრობელი. არაო, უთხრა, მე ამ ქვეყნის შვილი ვარ და მაგ საქმეს ვერ ვიზამ, უნდა გამომყეეო. რაღას იზამდა შეპყრობილი ამირა, ერთბაშად მოიჩვართა და მოიწყინა. ცმუკვამაც გადაუარა. ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ, იძულებული გახდა, მიპყოლოდა თავის შემპყრობელს, რომელმაც იგი ჟალეთს ჩაიყვანა, მესხელ აზნაურ ისაკ ტოლობელის ძესთან. ტოლობელის ძემ ჯორზე შესვა ტყვე ამირა და წაიყვანა. მაგრამ შეცდომა მოუვიდა — ბაგრატ მეფეს კი არ მიპგვარა, აღსართანთან წაიყვანა, თელავში.

აღსართანმა სასწრაფოდ ხორნაბუჯში გააქანა ფადლონი — შეეშინდა, ბაგრატი აქ არ მომწვდესო. კახთა მეფეს თავისი ანგარიშები პქონდა: ხორნაბუჯში იმიტომ მიიყვანა განძის ამირა, რომ ეს ქალაქი, რომელიც იმჟამად ფადლონის ხელში იყო, წაერთმია და დაესაკუთრებინა. ასეც მოხდა: შეშინებულმა ფადლონმა მას დაუთმო ხორნაბუჯი. მერე არადეთში წაიყვანა და არადეთიც დაათმობინა.

ტოლობელის ძის შეცდომა თუ ღალატი ძვირად დაუჯდა ბაგრატს. მართალია, ფადლონის ლაშქარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ვერაგი ამირას გაშვება მაინც საშიში იყო. ამიტომ მოლაპარაკება გამართა კახეთის მეფესთან: ფადლონი წამოიყვანა და სამაგიეროდ ბოჭორმა და უჯარმა მისცა აღსართანს.

ასე ძვირად ნაყიდი ტყვე წამოიყვანა და თბილისს მიადგა. თბილისი ხომ ფადლონს მიუბოძა სულთანმა, ახლა ბაგრატს უნდოდა ასეთი ხერხით წაერთმია დედაქალაქი. ფადლონი „გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა“. შეეშინდა ძელზე გასმულ ამირას და დათმო ქალაქი. მაგრამ ბაგრატს მაინც იარაღით მოუხდა თბილისის აღება, რადგან ციხის უფროსი თურმე თვითონვე ცდილობდა გაამირებას და თავის ოცნებასა თუ იმედებს ასე ადვილად ვერ შეელია.

ასე იყო თუ ისე, ბაგრატმა აიღო დედაქალაქი, ოღონდ, „არა

დაიჭირა თავისად ტფილისი“ — დმანისიდან ვიღაც სითილ-არაბი გადმოიყვანა და მას ჩააბარა; სამაგიეროდ ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი გამოართვა სითილ-არაბს. თანაც, იგულისხმება, ეს ახალი ამირა ბაგრატის ქვეშევრდომი და მორჩილი გახდებოდა. ამრიგად, თბილისი სითილ-არაბს მისცა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის აზრით, თბილისის ძველი ამირების ჩამომავალი ყოფილა, „თავისად კი აღიხუნა ციხენი რუსთავი (რუსთაველი ხომ ფადლონისთვის ჰქონდა ნაბოძები ალფ-არსლანს), ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი“. მძევლებიც წამოიყვანა — სითილ-არაბისავე ძმისწული და სამი განძელი თავადი.

ფადლონს რა ბედი ეწია?

სულთანმა ალფ-არსლანმა რომ გაიგო განძის ამირის შეპყრობის ამბავი, ეტყობა, არ ესიამოვნა და მაშინვე კაცი გამოუგზავნა ბაგრატ მეფეს — ფადლონის გათავისუფლებასა სთხოვდა. უარის თქმა, ჩანს, აღარ შეიძლებოდა და ბაგრატმა განძას გაისტუმრა ფადლონი, სანაცვლოდ კი მიიღო გაგის ციხე.

მკითხველისთვის აშკარაა, სულთანს ამჟამად საქართველოსთვის არა სცალია და ასეთი მოლაპარაკება-დათმობანიც ამითია გამოწვეული.

„შემდგომად ეცრუა ფადლონ ფიცსაო“, ვახუშტი ბატონიშვილი წერს.

ფიცის გატეხა ფადლონისთანა კაცისთვის ძნელი არ იყო. ბაგრატ მეფე რომ დასავლეთში დაიგულა, მიადგა ქავაზინს და „მოიპარა“, ესე იგი, წაართვა ქართველ მეფეს. ცოტა დააცადა, აბა თუ შემრჩებაო. ეს რომ შერჩა, უფრო გათამამდა და ახლა სხვა ციხისკენ დაიძრა, „მოადგა აგარათა“. ციხის თავი, ეტყობა, შეშინდა, ციხე მტერს ჩააბარა.

ბაგრატი ამ დროს დასავლეთ საქართველოში იყო, ეს რომ გაიგო, სასწრაფოდ გამოემართა და აგარანი დაიბრუნა.

ბაგრატის მეორე ცოლი ხომ ოვსთა მეფის ასული იყო. მეფემ თავის ცოლისძმას, ოვსთა მეფე დორღოლელსა სთხოვა შველა. დორღოლელმა ორმოცი ათასი მეომარი გამოუგზავნა. ბაგრატმა თავისი შვილი, უფლისწული გიორგი დაუნიშნა სარდლად ქართველოსთა შეერთებულ მხედრობას. აიღეს განძა, გაიმარჯვეს და დიდი დავლით დაბრუნდნენ უკან.

გამარჯვებულ ქართველ მეფეს მეტი პატივისცემით ეკიდებოდა ალფ-არსლანი — ძღვენის გზავნა და სიყვარულით მოკითხვა გაახშირა. ამასთან, მოიარებით („ამოთა ენითა") იმასაც შეახსენებდა, ხარაჯას ნუ დამიგვიანებ, მიგზავნეო. უფრო იმიტომ აინტერესებდა ხარაჯა სულთანს, რომ ერთხელ დაპყრობილ და დარბეულ ხალხს მორჩილება არ დაევიწყებინა.

ქართველი მეფეც ასევე ტკბილად მოიკითხავდა ხოლმე სულთანს, თვითონაც, თავის მხრივ, ძღვენს მიართმევდა, ხარაჯას კი აღარ უგზავნიდა — „არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა" — მორჩილების ნიშანი იუკადრისა და საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ შეალახვინა. ისე კი იყო „მათ შორის სიტყვით სიყუარულიო", მემატიანე დასძენს არაორაზროვნად.

კიდევ ვიმეორებთ, სულთანს ჯერ არ ეცალა საქართველოსთვის — მისი მთავარი ამოცანა ახლა ეგვიპტის დაპყრობა და ბიზანტიის გატეხვა იყო. და რაკი ქართველებისგან, მიუხედავად მათი ქვეყნის ისეთი რბევისა და აოხრებისა, მაინც დიდ წინააღმდეგობასა და გაუტეხაობას შეხვდა, ცოტა ხნით დატკბა...

სამშვილდეში იყო ბაგრატ მეფე, როცა ავად გახდა — მუცლის სალმობა დაეცაო, მემატიანე გვაუწყებს. უკურნებელი გამოდგა სენი, მეფე სწრაფად ჩამოვიდა მარაბდას და, რაკი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა, ქართლში წამოიყვანეს. ტახტის მემკვიდრე გიორგი, ეტყობა, თანა ხლებია მეფეს. იგი დაწინაურდა და მეფეს ქართლში დახვდა, სწრაფად მოიწვიეს დიდებულები, დედა და ცოლი ბორენა, აგრეთვე ქალიშვილი მარიამი ქუთაისიდან გადმოვიდნენ...

საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა მეფეს. დაიბარა დიდებულები და გიორგი მეფედ გამოაცხადა. მერე დედას მიმართა: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინა და ეგრეთღა შენ მოჰკუდები" — ყველა შვილის სიკვდილს მოესწარი და მებრალებიო. ესა თქვა და გარდაიცვალა კიდეც, 1072 წლის 24 ნოემბერს.

ბაგრატ მეოთხის მოღვაწეობას როცა ვაფასებთ, არ უნდა დავივიწყოთ მთავარი: სწორედ მისი სიმტკიცისა და შეუპოვრობის, ქვეყნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის დაუცხრომელი ბრძოლის შედეგია, რომ, მიუხედავად ლიპარიტისა და სხვა დიდგვაროვანთა აქტიური ოპოზიციისა, ბიზანტიამ საქარ-

თეელოს ვერ მოუხერხა ის, რაც მეზობელ პატარა სამეფოებს დაატეხა. ბაგრატმა შესძლო დაერაზმა ხალხი და ამიერიდან საქართველო მთელს კავკასიაში ერთადერთი ძალაღა დარჩა, რომელიც თურქ-სელჩუკებს უნდა დაპირისპირებოდა.

●

იმავე ხანებში, ესე იგი, 1072 წლის მიწურულს მოკვდა სულთანი ალფ-არსლანიც. სულთანი მოკლეს, ვიღაც თურქმა ბერიკაცმა მოკლა. და მოხდა ისე, რომ „ვერღარა ცნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანერთისა სიკუდილი" — ბაგრატი რომ აქა კვდებოდა, ღალატის მსხვერპლი სულთანი იქ ღაფავდა სულს და ერთმანეთის ამბავი არ იცოდნენ.

ზემოთ ფადლონის საქართველოში გამოლაშქრების ამბავს რომ ვყვებოდით, შევნიშნეთ — ალფ-არსლანს ამ დროს საქართველოსთვის არ ეცალაო. ალფ-არსლანს ბიზანტიისკენ ჰქონდა დიდი ბრძოლები. მოდიოდნენ და მოდიოდნენ თურქ-სელჩუკთა სულ ახალ-ახალი ჯგუფები და ბიზანტიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე სახლდებოდნენ. ბიზანტიის წინააღმდეგობა მეტად სუსტი და არაეფექტური იყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალაქ მანასკერტისთვის ბრძოლა, რომელიც სულთან ალფ-არსლანის მოკვლის ერთი წლით ადრე მოხდა, 1071 წლის აგვისტოში.

მანამდე ბიზანტიამ სელჩუკთა წინააღმდეგ ცალკეულ ბრძოლებში მრავალი მარცხი იგემა და დიდი ტერიტორიაც დაკარგა. საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება და მდგომარეობის გამოსწორება. მანასკერტთან გამართულ ბრძოლას განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა მაშინდელი იმპერატორი რომან დიოგენი. მანასკერტი ოფიციალურად 1070 წელს აიღო ალფ-არსლანმა, მანამდე იგი ფორმალურად ბიზანტიას ეკუთვნოდა, სინამდვილეში კი თურქ-სელჩუკთა თარეშის რადიუსში იყო და როცა მოეგუნებებოდათ, მაშინ შევიდოდნენ და გამოვიდოდნენ თურქები. გამარჯვებას თუ მიაღწევდა რომან დიოგენი და ქალაქს აიღებდა, ეს იქნებოდა ერთგვარი შემობრუნების დასაწყისი,

იმპერიის მხედრობისა და ხალხისთვის იმედის წყარო, რწმენის დაბრუნება. ამიტომაც საგულდაგულოდ მოემზადა იმპერატორი ამ ლაშქრობისთვის. სხვადასხვა ისტორიული წყარო სხვადასხვა ციფრს ასახელებს, თუ რამდენი ჯარი გამოუყვანია. ფაქტი ის არის, რომ დიდი ლაშქარი შეკრიბა იმპერატორმა, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე მის შესახვედრად ალფ-არსლანმა გამოიყვანა. ეს ლაშქარი იმპერატორმა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოიყვანა. ქართველი მეომრებიც ჰყოლია, როგორც წყაროები იუწყებიან, სომხებიც... ისეთი მრისხანე ყოფილა იმპერატორის ლაშქარი, თან იმ დროისთვის ისეთი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი (უამრავი საალყო მანქანა ჰქონდაო, ისტორიკოსები გადმოგვცემენ), რომ სულთანი შეაკრთო კიდეც და ზავი შესთავაზა. იმპერატორი, ეტყობა, კიდევ უფრო გაამხნევა და გაათამამა ზავის შეთავაზებამ, იფიქრა, ალბათ უჭირს და იმიტომ მთხოვს დაზავებასაო, და უფრო დიდი რიხით შეუთვალა: ამდენი ლაშქარი იმიტომ კი არ შეეკრიბე, შენთვის მეჩვენებინა და უკანვე გაებრუნებულიყავი. შენთან ხმლით უნდა ვილაპარაკოო.

პირველ ბრძოლაში მიაღწია კიდეც გამარჯვებას რომანმა: სელჩუკთა გარნიზონის წინააღმდეგობა გატეხა და ქალაქი აიღო. მაგრამ მთავარია საბოლოო გამარჯვება, და ეს კი ბიზანტიის იმპერატორს ბედის წიგნში არ ეწერა. თუმცა ბედი რა შუაშია, როცა თავისიანებმა უღალატეს, შიგნით ჰქონდა განხეთქილება. ჯერ იყო და „შემთხვევით" კარავი ჩამოინგრა და კინაღამ იმპერატორი ქვეშ მოიქცია; მერე ასევე „შემთხვევით" ხანძარი გაუჩნდა იმ სახლს, სადაც იმპერატორს ეძინა, და აქედანაც ძლივს დააღწია თავი რომანმა.

გადამწყვეტი ბრძოლა 1071 წლის 19 აგვისტოს გაიმართა.

ამ ბრძოლის ისტორიას დაწერილებით აღარ მოგითხრობთ. ყველაფერი ძალიან მალე და ძალიან მარტივად დამთავრდა — მარტივი სამხედრო ეშმაკობა გამოიყენა სულთანმა. ჯერ საბრძოლველად გაიწვია სულთანის მეწინავე რაზმმა მოწინააღმდეგის მხედრობა, მერე ერთბაშად უკან დაიხია, ბიზანტიის ლაშქარი გაიტყუა და ალყა შემოარტყა. ამ საბედისწერო წუთებში იმპერატორს ზოგიერთმა მოკავშირემაც უღალატა და გასწირა; და ეს უჭკუობა იყო, რადგან საკუთარი თავისა და ქვეყნის გაწირვასაც ნიშნავდა. ერთი სიტყვით, ბიზანტიამ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მწარე დამარცხება იგემა. იმპერატორი ტყვედ ჩაიგდეს. ნოდარ შენგელია თავის წიგნში წერს: „მანასკერტთან

სელჩუკების გამარჯვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მათ ისტორიაში... მანასკერტთან გამარჯვებით საბოლოოდ ჩაეყარა საფუძველი ანატოლიაში სელჩუკთა დამკვიდრებას. თურქი ისტორიკოსები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მანასკერტის ბრძოლას, რომ ანატოლიაში თავიანთი სამშობლოს სათავედ 1071 წელს სდებენ და თურქთა ისტორიას ახალი ხანის დასაწყისად მიიჩნევენ".

თქვენ გახსოვთ ეს ქალაქი. გახსოვთ, რომ ერთხელ დავით კურაპალატს ჰქონდა დიდი ბრძოლა მანასკერტისთვის. დიახ, საქართველოს მოსაზღვრე ქალაქი იყო და მის დაცემას ჩვენი ქვეყნისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თურქ-სელჩუკებს ამიერიდან გზა გაეხსნათ ბიზანტიის დედაქალაქისკენ. ბუნებრივია, ამის შემდეგ ისინი საქართველოსთვისაც უფრო მოიცლიან.

●

სანამ გარეშე მტერი მოიცლიდა საქართველოსთვის, შიგნითვე ატყდა შფოთი და ურთიერთ ბრძოლა, სელჩუკთა საშინელი რბევისგან ძლივს მიყუჩებული ტკივილი კვლავ განახლდა, ქვეყანა შინა ბრძოლებისა და შუღლის ასპარეზი გახდა.

ბაგრატ მეოთხე ძლიერი პიროვნება იყო და მოახერხა ფეოდალების ალაგმვა. მართალია, გაუძნელდა და დიდხანს მოუნდა, მაგრამ საბოლოოდ ისეთი თავგასული ფეოდალიც კი ალაგმა, როგორიც იყო ლიპარიტ ბაღვაში — მასავით ძლიერი, გამოცდილი და ავტორიტეტიანი, არა მარტო საქართველოში, მეზობელ ხალხებშიაც ცნობილი და სახელგანთქმული; ბაგრატმავე ალაგმა ქართლის უძლიერესი ფეოდალები — ხუთი ძმა აბაზასძეები... ურჩობისა და განზე გადგომის, თავნებობის ხალასი დაუკარგა ყველა ფეოდალს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ფეოდალებს თავიანთი სოციალური ბუნება სულ დაეკარგოთ. რა სათქმელია! ანდაზისა არ იყოს — კუზიანს სამარე გაასწორებს.

გარდაიცვალა თუ არა ბაგრატ მეფე და ტახტზე ახალგაზრდა უფლისწული დაიგულეს, ქართველმა ფეოდალებმა არ დააყოვნეს,



გიორგი მერჩულე

გრიგოლ ხანძთელი

დავით კურაპალატი
(ოშკი. რელიეფი)



იოანე-ზოსიმეს „ქებაი და
დიდებაი ქართულისა ენისაი“

ნერსე ერისთავი



ბაგრატ III



გიორგი მთაწმინდელი



ექვთიმე მთაწმინდელი

ეფრემ მცირე

იოანე პეტრიწი

გრიგოლ ბაკურიანისძე (ირაკლი ონიაურის ნამუშევარი)

ბანა დღეს (VII საუკუნე)

ოშკი. X საუკუნე

სამწვერისი. VII საუკუნე

ოშკის ჩუქურთმა „ეაზი“



ნინოწმინდა. VI საუკუნე

უჯარმა. III-IV საუკუნეები

დავით გარეჯას (VI საუკუნე) ფრესკები

უბისას (XII საუკუნე) ფრესკები

ატენი სიონის (VII საუკუნე) ფრესკები

ტბეთი. X საუკუნე

შატბერდი. IX საუკუნე

პარხალი. X-XI საუკუნეები

იშხნის (XI საუკუნე) საკურთხეველი



ზარზმა. IX საუკუნე
(ეს ტაძარი აგებულია XIV საუკუნეში)

ბოლნისის სიონი. V საუკუნე

ივერიის ათონის მონასტერი. X საუკუნე

პეტრიწონის მონასტერი ბულგარ ეთში. XI საუკუნე

ჯვარის მონასტერი პალესტინაში. XI საუკუნე

ბედია. X საუკუნე

დრანდა. VI-VII საუკუნეები

მცხეთის საკთავრო. XI საუკუნე

მანგლისი. XI საუკუნე

ბაგრატი. X-XI საუკუნეები

წრომი. VII საუკუნე

ბოჭორმა. X საუკუნე

ნიკორწმინდა. XI საუკუნე

ალავერდი. XI საუკუნე

ნეკრესი. VIII-IX საუკუნეები

სამშვილდე. IX საუკუნე

სამთავისი. XI საუკუნე

მარტვილი. VII საუკუნე



ხცისი. XI საუკუნე (ჩუქურთმა)

პირი შეკრეს და ყრმა მეფეს ერთდროულად გაუდგნენ, აუმხედრდნენ. ბაგრატი ხომ 1072 წლის ნოემბერში გარდაიცვალა, ის ზამთარი და გაზაფხული აცალეს და შუა ზაფხულში აუჯანყდნენ მეფეს. სწორედ ასე გადმოგვცემს მემატიანე — „დაყო მშვიდობით ზამთარი ერთი და ზაფხულისა ნახევარიო“.

და როგორა გგონიათ, ვინ იქნებოდა მეფის მოსვენებისა და მშვიდობის დამრღვევი?

თქვენ უკვე ხვდებით. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ივანე ბაღვაში, ძე ლიპარიტისა. ჩვენ ვნახეთ, რა ერთგულად ემსახურა ბაგრატს, ღალატი და ორგულობა არც კი უფიქრია. ეშინოდა ბაგრატისა და იმიტომ. დაინახა თუ არა ტახტზე ახალგაზრდა უფლისწული, რომელიც ამასთან სუსტი ნებისყოფისა იყო (ივანე ბაღვაშზე უკეთ ვის ეცოდინებოდა გიორგი მეფის ბუნება!), ველარ მოითმინა და აბორგდა, მის არსებაში კვლავ გაიღვიძა ფეოდალის სულმა.

მარტო ივანე ბაღვაში არ გადასდგომია მეფეს. ეტყობა, დიდებულთა შეთქმულება იყო: გადაუდგა აგრეთვე ნიანია ქუაბულის ძე (თქვენ ეს დიდებულიც გახსოვთ, ესეც ერთგულად ემსახურებოდა ბაგრატ მეფეს) და ვარდან სვანთა ერისთავი. „ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარულო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვიდეს საეგრო“.

ხედავთ, რა ჭკვიანურად მოწყობილი შეთქმულებაა! „აუშალეს ქვეყანაო“, მემატიანე წერს, და მართლაც მთელი ქვეყანა არ აუშლიათ! მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო!

მხარდამჭერიც ბევრი ეყოლებოდა გიორგის. ეტყობა, ადვილად ჩაუქრია ეს აჯანყება, მტრები და ორგულები დაუმარცხებია.

და ამის შემდეგ დიდი შეცდომა მოსვლია. იმის ნაცვლად, რომ ორგულები და მოღალატეები, „ქვეყნის ამშლელები“, საკადრისად დაესაჯა, მომდგარა და უხვად დაუსაჩუქრებია: ივანეს სამშვილდე უბოძა; ივანეს შვილს ლიპარიტს (ისევ ლიპარიტი!) – ლოწობანი; ნიანიას – თმოგვი და „სხუანი საქონელნი რჩეულნი“; ვარდანს – ასკალანა და უთაღუბო – ჯაყელსა; ივანესავე რჩევით, სხვაც ბევრი საჩუქარი დაურიგებია – ერთგული და ორგული სულ წყალობით დაფარა, ასე „დაიწყნარა მეფობა თვისი გიორგი მეფემან“.

როცა დამნაშავეს ასე უხვად დაასაჩუქრებ, რაღა გასაკვირია, ისევ აგიჯანყდესო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს.

ისევ გაუდგა ივანე ბაღვაში. მეფე სასახლეში იყო, ეს რომ გაიგო, მაშინვე გამოემართა ქუთაისიდან, მივიდა სამცხეში, იქიდან მესხები გაიყოლია და სამშვილდისკენ გასწია. კახთა მეფე აღსართანი ამჯერად გიორგის მიეშველა, ისიც მიადგა სამშვილდეს. ივანეს შეეშინდა, გაიპარა ციხიდან და სამხრეთის მთებს შეაფარა თავი. აღსართანს ახლა მეფის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და ივანეს შვილს ლიპარიტს ამას წინათ მეფისგან ნაბოძები ლოწობანი წაართვა.

ახლაც მალე მოხდა შერიგება: ივანე ჯავახეთს მივიდა და მეფისგან კვლავ მიიღო კლდეკარი და სამშვილდე.

მეორედ შერჩა დანაშაული ივანე ბაღვაშს და მართლაც აღარ არის გასაკვირი, რომ მესამედ კიდევ უფრო აიგდო თავი. გამოსტყუა ციხესიმაგრე გაგი მეფის მეციხოვნეებს და განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა.

როგორც ვნახეთ, მოღალატე ერისთავების შერიგება-დასაჩუქრებას მოუნდა მეფე.

ამასობაში გარეშე მრისხანე მტერი დროს არა კარგავდა. მანასკერტის აღების შემდეგ თურქებმა კიდევ უფრო მოიცეს გული და კიდევ უფრო გაახშირეს მეზობელ მხარეებში თარეში. მთელ მცირე აზიას შეესიენ; სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ ბიზანტიის ტერიტორიაზე. მათთან ბრძოლებში ზედიზედ მარცხდებოდნენ ბიზანტიის ჯარები, ზედიზედ ტოვებდნენ ქალაქებს და უკან იხევდნენ. 1074 წლის საზავო პირობით იმპერიაში შემავალი აღმოსავლეთის ქვეყნები თურქებს მიეკუთვნათ. თუმცა ამას რაღა საზავო პირობები უნდოდა — თურქები დღითი დღე წინ მიიწევდნენ და სულ ახალ და ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ. დარბეულ მიწა-წყალზე თურქ-სელჩუკები სახლდებოდნენ და მკვიდრდებოდნენ. თითქმის მთელი ანატოლია უკვე სელჩუკებისა იყო. იმპერიის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა და იმის იმედიც არსაიდან ჩანდა, ოდესმე გამოსწორებულიყო საქმე. მომავალი უფრო შავად და პირქუშად ესახებოდათ. შინაგანი განხეთქილებანი და უთანხმოებანი იმპერიის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა და მტერს კი საქმეს უადვილებდა, მის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ბიზანტიის იმპერატორებისგან რა სიკეთე ახსოვდა საქართვე-

ლოს! შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს ხალხს ჯერ ისევ ცოცხალ სურათებად ედგა თვალწინ იმისწინანდელი – ოციოდე წლის წინანდელი – ამბები, როცა ბერძენთა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა რამდენჯერმე დაარბია ქვეყნის სამხრეთი და სისხლის რუები დააყენა!.. რამდენი ასეთი უბედურება დაუტეხიათ სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნისთვის! ბიზანტიის ცალკეულ იმპერატორთა და პოლიტიკოსთა რამდენი ვერაგობა და მზაკვრობა შეიძლება გავიხსენოთ!..

ერთი სიტყვით, იმ მტერ-მოყვარე მეზობლისგანაც ბევრი სიმწარე ეგემნა ჩვენს ხალხს, მაგრამ რა შედარებაა! უსამართლობა იქნება, იმ ავთან ერთად კარგიც არ გავიხსენოთ. ბიზანტიელებიც, ქართველებიცა და სომხებიც მაღალი კულტურის ხალხი იყო და მათი ურთიერთობა სასურველ გავლენას ახდენდა, ხელს უწყობდა ამ ხალხთა კულტურების შემდგომ განვითარებას. ახალ მეზობელთან ასეთი ურთიერთ გაელენისა და კულტურის სფეროში ურთიერთ გამდიდრების საფუძველი დიდი ხნით ისპობოდა. ახლა ჩვენი ქვეყნის სამხრეთით მრისხანე და საშიში მეზობელი სახლდებოდა: მეჯოგე ტომები, რომელთაც მეურნეობა ძალიან პრიმიტიული ჰქონდათ, სულიერი და ყოფითი კულტურის დონე — მეტად დაბალი... და სავალალოც სწორედ ის იყო, რომ ამ ახალ მეზობელთან, — რომელსაც ასეთი განსხვავებული ცხოვრების წესი ჰქონდა, — არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკური ურთიერთობაც ძალიან გაძნელდებოდა.

ჩვენმა ხალხმა უკვე მოასწრო ამ ახალი მეზობლის გაცნობა. ახლა — დღეს იქნებოდა თუ ხვალ — იგი კვლავ დაიძრებოდა და ამჯერად კიდევ უფრო დიდი ძალით შემოიჭრებოდა: საამისოდ ვითარდებოდა პოლიტიკური მოვლენები ჩვენს ირგვლივ.

ეს დღეც მალე დადგა.

სწორედ იმ ხანებში, როცა ივანე ბალვაშმა გაგის ციხე ფადლონს მიჰყიდა, საქართველოს კვლავ შემოესია სელჩუკთა ახალი დიდი ლაშქარი; ამჯერად ლაშქარს წინ მოუძღოდა სულთანი მელიქ-შაჰი, ალფ-არსლანის შვილი, მამაზე გულქვა და სასტიკი. ივანე ბალვაშს ალბათ ცოტა შიში მაინც ჰქონდა მეფისა — იმ წრესგადასული თავხედობისთვის არ დამსაჯოსო, და ახლა მტრის შემოჭრა, ეტყობა, გაუხარდა: სულთანს თავისი შვილი ლიპარიტი მიაგება. სულთანმა ჯერ კი შეიწყნარა ლიპარიტი, მაგრამ დიდხანს არ გაუელია და

რაღაც მოხდა მათ შორის — დაჰკრა ფეხი ლიპარიტმა და გამოიქცა, სულთანს გამოეპარა.

ბაღვაშები ქართველი მეფის გულმოწყალებას იყენენ დაჩვეულები. სულთანი უფრო სასტიკი გამოდგა. ეს პატარა ცოდვაც არ აპატია თავისივე შეწყნარებულ ერისთავს. გაგულისებულმა მაშინვე სამშვილდისკენ დაძრა ლაშქარი — ეს ქალაქი ხომ ქართველი მეფისგან ჰქონდა ნაბოძები ახალგაზრდა ლიპარიტის მამას!..

ახლაც რომ ნახოთ მტრისგან და დროის ულმობელი ბრუნვისგან მრავალჯერ გათელილი სამშვილდე — ეს ორ მდინარეს შორის მოქცეული, ცად აზიდული, ციცაბო კლდეებზე დაფუძნებული მიუვალი ზღუდე-კუნძული... ახლაც კი, როცა მიწიდან აქა-იქ ამოშვერილი ნაშთებიღა მიგვანიშნებენ უძველესი ქართული ციხე-ქალაქის განუმეორებელ სილამაზესა და სიდიადეზე... ამ ნაშთების მიხედვით ახლაც ადვილად მიხვდებით, რა ძნელი, თითქმის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მისი აღება.

ქართველი მემატიანე ძალიან მოკლედ გადმოგვცემს: „მოადგა სამშვილდესა და წარუღო სამშვილდე“.

ეტყობა, ივანე უბრძოლველად დამორჩილდა და პირდაპირ გაუღო ციხის კარები. სულთანი შეეიდა ამ დიდებულ ქალაქში, ლაშქრის ერთი ნაწილი იქვე მოათავსა, დანარჩენები — დაბლა შემოგარენში; ივანე, ცოლი მისი, შვილიშვილი და ამ ძლიერი ფეოდალის ვასალები თავიანთი „დედაწულით“ შეიპყრო... შვილს არ ახსენებს ტყვედ ჩაგდებულთა შორის მემატიანე, ეტყობა, ლიპარიტი იქ არ დახვდა.

სამშვილდის აღებით არ დაკმაყოფილებულა სულთანი. სანამ იქ იდგა, ქალაქიდან მარბიელ რაზმებს აგზავნიდა და ქართლს არბევდა. როცა სულ დაარბია და პირწმინდად გაძარცვა ქვეყანა, „წაიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი“ და წავიდა. ახლა განძისკენ ქნა პირი. განძაც აიღო, იქ დატოვა თავისი მოხელე, ორმოცდარვა ათასი მეომარიც დაუტოვა, რომელთაც პერიოდულად უნდა ერბიათ ქართლის სოფლები.

ბევრი არ დაუყოვნებია ამ მოხელეს — წამოიყვანა თავისი ლაშქარი, დვინისა და დმანისის ამირებიც იახლა, თავიანთი მეომრებით, და ისევ ქართველი მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა. სამშვილდის ბარს ჩამოდგაო, მემატიანე გადმოგვცემს. გიორგიმ სწრაფად შეკრიბა ჯარი, კახთა მეფე აღსართანიც მოიშველია და ფარცხისს ქვემოთ

გაიმართა დიდი ბრძოლა. საღამომდე გაგრძელებულა ბრძოლა. ქართველთა ლაშქარმა გაიმარჯვა — ღამის სიბნელემ გადაარჩინა მტერი მთლიანად გაჟლეტას.

●

ბიზანტიელთა მიერ მიტაცებული ანაკოფია და სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ციხესიმაგრე მოსვენებას უკარგავდა ყველა ქართველ გვირგვინოსანს და მათ შორის, რაღა თქმა უნდა, გიორგი მეორესაც. მეფემ ისარგებლა ბიზანტიის მძიმე მდგომარეობით და გადაწყვიტა, უკანვე დაებრუნებინა ეს მიწა-წყალი. როგორც ჩანს, ეს ადვილად მოუხერხებია, და არც არის გასაკვირი: ჩვენ ხომ ვიცით, რა მძიმე დღეში იყო ბიზანტია! ამრიგად, გიორგი მეფემ კვლავ დაიბრუნა ანაკოფია და „მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“...

ეს ციხესიმაგრეები უკვე თურქებს დაერბიათ და თვითონვე გამაგრებულიყვნენ შიგ. როგორღა მოახერხა გიორგიმ მათი დაბრუნება? იმ დროს მთავარი სამხედრო ძალა თურქებისა, ეტყობა, უფრო სამხრეთისკენ იყო მიმართული, ამ ციხეებში პატარა გარნიზონები ჰყავდათ, რომელთა დამარცხება ქართველმა მეფემ შედარებით ადვილად მოახერხა. და მათ დაბრუნებას ალბათ არც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ანუ თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ისევ წაართმევდნენ, რადგან თურქების დამარცხება ასეთი პატარა მასშტაბის ბრძოლებით წარმოუდგენელი იყო. ხოლო დიდი ბრძოლებისთვის ძალა არ შესწევდა მეფეს.

სხვათა შორის, ზოგი თურქი ისტორიკოსი მელიქ-შაჰის მომდევნო გამანადგურებელ ლაშქრობებს იმით ხსნის, თითქოს ქართველი მეფის მიერ რამდენიმე ციხის აღებას გაელიზიანებინოს სულთანი, ამ ქართული ციხეების საქართველოსთვისვე შემოერთება გამომწვევად მიელოს!.. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. როგორც ვნახეთ, თურქსელჩუკებს ასეთი გამაღიზიანებელი და გამომწვევი საბაბები არა სჭირდებოდათ, გაუღიზიანებლადაც კარგად ახერხებდნენ სხვათა მიწა-წყლის დარბევასა და აოხრებას. და მაშინაც კი, როცა ის დიდი რბევანი ჯერ ისევ წინ იყო, ყველასთვის აშკარა უნა ყოფილიყო, ეჭვი არავის უნდა შეპპარვოდა, რომ, ადრე იქნებოდა თუ გვიან,

თურქები უფრო საფუძვლიანად მოიცლიდნენ საქართველოსთვის, რადგან შეუძლებელი იყო, ეს კალიასავით მოვარდნილი ტომები ანატოლიაში დაფუძნებულიყვნენ და ამიერკავკასიაში დაფუძნებას კი არა ცდილიყვნენ...

როცა სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ციხის აღების ამბავს გვამცნობს მემატიანე, იქვე ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც გვაგებინებს. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანისძემ, რომლის სახელთანაც პეტრიწონის ცნობილი მონასტრის დაარსებაა დაკავშირებული და რომელიც აღმოსავლეთის ზორვარად ანუ მხედართმთავრად ითვლებოდა, გიორგი მეფეს გადასცა კარის ციხე-ქალაქი და „მისი მიმდგომი ქუეყანა" (ეს კარის ციხე რამდენიმე ხნის წინათ, თურქების შიშით, გაგიკ მეფემ გადასცა ბიზანტიას).

●

დიდი რბევაო, ზემოთ ვახსენეთ — ისტორიაში „დიდი თურქობის" სახელით არის ცნობილი ის გამანადგურებელი და ყოველისმომსპობი შემოსევები, რაც საქართველომ თურქ-სელჩუკთაგან განიცადა. „დიდი თურქობის" დაწყების თარიღად 1080 წელს მიიჩნევენ. გიორგი მეორე, როგორც ვიცით, 1072 წლის მიწურულში ავიდა ტახტზე, მომდევნო 1073 წელს მას გართულებული და გახშირებული შინაბრძოლები ჰქონდა თავისივე ფეოდალებთან. მელიქ-შაპის შეჭრა სამშვილდეში ამის შემდეგ მოხდა — ალბათ 1074 წელს. და მომდევნო ამბებიც 1074-1077 წლებში მოხდარა.

ხოლო დიდ თურქობას წინ უსწრებდა სელჩუკთა კიდევ ერთი „ადგილობრივი მნიშვნელობის" შემოსევა.

ეს ასე მოხდა.

რაკი თვითონ მოცლა არა ჰქონდა, სულთან მელიქ-შაპს ვინმე ამირა აპმედი გამოუგზავნია საქართველოში ლაშქრით და დაუვალებია, ის ციხე-ქალაქები წაერთმია ქართველი მეფისთვის, რაც მას გრიგოლ ბაკურიანისძემ მიუბოძა. კარგი მეომარი იყოო — „ძლიერი და მაგრად მოისარიო", ქართველი მემატიანე ასე გვაცნობს თურქ ამირას. სულთნის დავალების შესრულება არ გასჭირვებია აპმედს. დაუპყრია გრიგოლ ბაკურიანისძის სამფლობელოები — არზრუმი და ოლთისი, დაუპყრია აწ უკვე ქართველი მეფის სამფლობელო კარი...

და რაკი ასე გაუმართლა და მარჯვედ იომა, ცოტა აქეთაც წამოიწია, ქვეყნის სიღრმეში, თუმცა სულთნისგან ასეთი დავალება არა ჰქონია.

მეფე იმ დროს ყველის ციხეში მდგარა, და სწორედ ყველის ციხეს მოადგა თურქების ჯარი. ეს მოხდა „შინა-განცემითა ქრისტეანეთათაო", მემატიანე წერს. ეტყობა, მართლაც წარმოუძღვა ვინმე „შინაური" მეფის სადგომისკენ: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ამას გადმოგვცემს, თვითონ იყო მომსწრე მოხდარი ამბებისა და არ შეეშლებოდა.

აქაც იოლ გამარჯვებას მიაღწია თურქმა სარდალმა, მეფე და „სპა მისი ურიცხვი" ხელად გააქციეს. ბრძოლა, ეტყობა, არც გაუმართავთ — რაკი მეფე და მისი ჯარი უბრძოლველად გააქციეს, აღარ გამოუდგნენ თურქები, ნადავლს დააცხრენ, დიდი ქონება გაუტაცნიათ... და უკან რომ ბრუნდებოდნენ, ამ ალაფით დატვირთულებს, გზად შემოხვდათ სხვა ამირები — იასი და ბუჟღუში, რომელთაც თურქების ურიცხვი ლაშქარი მოპყავდათ, საბერძნეთისკენ მიემგზავრებოდნენ.

საგანგებოდ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება მემატიანის ამ ცნობაზე.

მას შემდეგ, რაც თურქები ანატოლიაში დასახლდნენ და „მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა", თარეში ასეთი მარბიელი ლაშქრებისა — ხან შედარებით მცირესი, ხან მრავალრიცხოვანისა — ჩვეულებრივი გახდა. მემატიანის ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს ცოცხლად წარმოვიდგინოთ ჩვენი საზღვრების გასწვრივ და ჩვენს საზღვრებში, ყველგან, მთელს სამხრეთში ალაფის საშოენელად გამოსული თურქთა მოთარეშე რაზმები. ზოგი საით მიდის, ზოგი საით... ხშირად კონკრეტული გეზი და მიზანი არც კი აქვთ — ისე დათარეშობენ, იქნებ რამეს წავაწყდეთო.

ახლაც, აგერ, იმ მრავალრიცხოვან ლაშქარს, რომელსაც საქართველოდან გაბრუნებული ნადავლით დატვირთული უფრო მცირერიცხოვანი ჯარი შემოეყარა, ხომ ხედავთ საბერძნეთისკენ ჰქონდა გეზი აღებული...

მაგრამ მათ დიალოგს მოვუსმინოთ:

— საით გაგიწევიათ? — ამას აპმედი ჰკითხავს დიდი ლაშქრის სარდლებს იასისა და ბუჟღუშს.

— საბერძნეთისკენ (რისთვის მიდიან, რა მიზნით, ამას კითხვაც არ უნდა)... თქვენ საიდან?

აპმედმა პასუხად საქართველოდან წაღებული ოქრო-ვერცხლი აჩვენა, და უამბო, რა იოლად ჩაიგდეს ხელთ ამდენი ნადავლი, მეფე როგორ გააქციეს, როგორ უპატრონოდ არის მიგდებული ამოდენა სიმდიდრე...

— ნეტა საბერძნეთში რა გინდათ?!. აგერ, ყურისძირში ასეთი ქვეყანაა, დოვლათითა და სიმდიდრით სავსე!..

დიდი შეგონება აღარ დასჭირვებიათ იასისა და ბუჟღუშს, მოატრიალეს ამოდენა ლაშქარი... „მოაქციენეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“.

მთელი საქართველო აიკლეს, ერთი კუთხე არ დაუტოვებიათ. მემატიანე კონკრეტულად ჩამოგვითვლის მათ მიერ აოხრებულ კუთხეებს: „...ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი“... ეს მომხდარა ივანობა დღეს. მთელი ზაფხული და შემოდგომა „დაჰყვეეს ქუეყანათა შინა თურქთა, ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანასათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა... ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა“.

ეს მოხდა 1080 წელს — ამით იწყება დიდი თურქობა საქართველოში.

ამის შემდეგ უკვე წესად გაიხადეს: გაზაფხულზე, როცა ცოტათი დათბება, მოვლენ — მთელი თავიანთი ჯოგებით, ჯალაბებით — ააოხრებენ, გადასძოვენ, გადათელავენ, გადასწვავენ და ზამთრის პირს, როცა სიცივეებს დაიჭერს, წავლენ...

და ასე გრძელდება.

ამას მოსდევს მემატიანის სიტყვები, რაც ჩვენ ადრეე მოვიტანეთ: ასე დაირღვა ქართველი კაცის ცხოვრების წესი — აღარც ხვნა, აღარც თესვა, ის მშვენიერი გუთანი და სხვა გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, საყვარელ ცოცხალ არსებასავით რომ ეფერებოდა და ეალერსებოდა გლეხი, ლექსებს უთხზავდა, თავისი ცხოვრების განუყრელ მონაწილედა და მოზიარედ თვლიდა, — უქმად გდებისგან დაჟანგებულა... გარეთ კაცს ვერ დალანდავ „...ნაცვლად კაცთა, მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს“... ვინც ცოცხალი

გადარჩა, სადღაც მიმალულა და გამოსვლას ვერ ბედავს. ამას დაემატა დიდებულთა შინა ბრძოლები, ღალატი, გამცემლობა... ქვეყნის თავზე მძიმე ღრუბლები ჩამოწოლილა, სუნთქვა ჭირს, ირგვლივ სისხლის სუნი ტრიალებს. ყველგან შიში გამეფებულა. მთელი ქვეყანა ცახცახებს. შარაგზებსა და ორღობეებში ათასთვალიანი შიში ჩასაფრებულა, ჰაერი შიშის ბაცილებით გავსებულა...

გასაჭირის დროს კაცს მეზობელი და მეგობარი ამოუდგება მხარში, ხელს გაუმართავს, ანუგეშებს, კიდეც რომ ვერაფერი უშველოს, გაამხნევებს, გულს გაუმაგრებს, იმედს ჩაუსახავს, რწმენას შემატებს...

ამ დიდი განსაცდელის დროს ქართველებს მეზობელი და მეგობარი აღარ აღმოაჩნდათ, „არსადათ იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა, არცა რა დამხსნელი ამათ ძვირთა“... დამოუკიდებელი სომხეთი უკვე კარგა ხანია აღარ არსებობდა — სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსაზღვრე ისტორიულად მეგობარი სახელმწიფო, ბიზანტიის არაგონივრული პოლიტიკის წყალობით, ადრევე გაუქმდა და მისი მიწა-წყალი ახლა თურქ ტომებს ეჭირათ; სომეხი ხალხი ქართველებზე უფრო დიდ განსაცდელში ჩავარდნილიყო... „ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა“...

მძიმე მეფობა შეხვდა გიორგი მეორეს...

მეფემ დიდებულები მოიხმო და რჩევა ჰკითხა. საბჭომ გადაწყვიტა, სულთანს ხლებოდა მეფე ისფაჰანს და სრული მორჩილება გამოეცხადებინა.

სულთანმა კარგად მიიღო ქართველი მეფე. ყოველგვარ სიკეთეს შეპპირდა, „ზედამარბეველობას“ მოვსპობო, აღუთქვა, შიში ნულარაფრის გექნებათ, იცხოვრეთ თქვენთვის, ოღონდ ხარაჯას ნუ დამიგვიანებთ, თავის დროზე მაძლიეთო.

მელიქ-შაჰი კარგი მეომარიც იყო და ცბიერი მმართველიც: ფაქტიურად ის შეიცვალა, რომ, რასაც აქამდე ძალმომრეობით ართმევდნენ ქართველ მოსახლეობას, ახლა თავისი ნებით და მშვიდობიანად უნდა ჩაებარებინათ.

მაგრამ ეგეც დიდი სიკეთე იყო, თუკი სიტყვას არ გატეხდნენ და მშვიდობიანი ხალხი ყოველდღიურ რბევას მაინც გადარჩებოდა, ქვეყნად ჩამოწოლილი შიში თუ ერთგვარად მაინც განელდებოდა; ამის გამო არ გვიხსენებია სულთანის ცბიერება. მისი ცბიერება სხვა რამეში გამოიხატა.

საქმე ის არის, რომ მელიქ-შაპმა გიორგი მეფეს „კახეთი და ჰერეთი მოსცა“, და გიორგიც მოტყუვდა — მიიღო ეს საჩუქარი. კახეთის შემოერთება ქართველი მეფეების საუკუნოვანი ოცნება გამხდარიყო და თუკი ყველაზე საშინელი მტერი ამ სიკეთეს გაუკეთებდა გიორგის, ამაზე სასურველი თითქოს რა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი „პატარა დეტალი“ უნდა ვახსენოთ, და მაშინ გასაგები გახდება, რომ ეს სიკეთე ფაქტიურად დიდი ბოროტება იყო: კახეთს თავისი გამგებელი ჰყავდა, თავისი პატრონი, თავისი მეფე, და მელიქ-შაპმა სწორედ ეს სხვისი სამეფო გამოიმეტა. კახეთ-ჰერეთის აღება მშვიდობიანად არ მოხერხდებოდა, ახალი ბრძოლა და სისხლისღვრა იყო საჭირო... თანაც ძმათა შორის სისხლისღვრა!..

ამიტომ იყო, რომ სულთანმა მაშველი ჯარიც გამოატანა გიორგის კახეთის დასალაშქრად! ხომ წარმოგიდგენიათ, რაც იქნებოდა სელჩუკების მაშველი ჯარი!

მოახერხებდა თუ ვერ მოახერხებდა გიორგი მეფე სულთანის მაშველი ჯარით კახეთის აღებას, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა: სულთანი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ მაინც გადაჰკიდებდა ფაქტიურად ერთი ქვეყნისა და ერთი ხალხის ორ კუთხესა და ორ მეფეს (რაც მოხდა კიდეც); ამიერიდან, როცა მოეგუნებებოდა, უფრო ადვილად გამოიყვანდა კახეთის მეფეს გიორგის წინააღმდეგ (რაც მალევე მოხდა); თან, ქართველიეე მეფის თანხმობითა და მონაწილეობით, სწორედ დაზავების შემდეგ საქართველოში ახალ დიდ ლაშქარს აგზავნიდა („წარმოაყოლნა სპანი დიდნი“) სარბევად და ალაფის ასაღებად... ყველაფერ ამით სულთანი სახელსაც უტეხდა ქართველ მეფეს (რაც აგრეთვე მოხდა)...

ამაზე მეტი ცბიერება რაღა უნდა იყოს!

ერთი სიტყვით, გიორგი მეფე კახეთის ასაღებად დამპყრობელის ჯარს შემოუძღვა და ეს მოხდა სწორედ რთველობის დროს. მტრისგან ნარბევ და განადგურებულ ქვეყანაში თუ რამე გადარჩა, ან ბოლო რბევის შემდეგ თუკი რამემ მოასწრო გახარება და აღორძინება, ახლა უნდა მოესპოთ და გაენადგურებინათ, თანაც სწორედ რთველობის დროს!

ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელებულა. ვეჟინის ციხის აღება, რომელსაც სულთნის ლაშქარი მოადგა, ადვილად ვერ მოხერხდა. უნდა ვიფიქროთ, ამ ლაშქარს არც ეჩქარებოდა. იგი იქვე დაბანაკდა და იქიდან დათარეშობდა მთელს კახეთში, ქვეყანას არბევდა და აოხრებდა.

შეცდომა ადამიანურია და მისგან არავინ არის დაზღვეული. მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. როცა საქმე მაღალ ადამიანურ ღირსებას ეხება, როცა საქმე შენიანი ქვეყნის ბედ-იღბალს ეხება და ხალხის სისხლის ფასად ჯდება, ასეთი შეცდომა ძნელი მისატევებელია...

როცა ლიპარიტ ბაღვაში მოუძღოდა ბერძნების ლაშქარს ბაგრატ მეოთხის წინააღმდეგ, ისიც კი მიუტევებელი იყო, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის სულ სხვა დროსა და ვითარებაში ხდებოდა. ახლა მეფეს მოსდის ასეთი შეცდომა და ისიც რა დროს, რა ვითარებაში!..

ამრიგად, ერთი დიდი შეცდომა რომ მოუვიდა გიორგი მეფეს, ეს უკვე ეჭვს არ იწვევს. იგი უნდა გამოძღოლოდა მტრის დიდ ლაშქარს საკუთარივე ხალხის დასარბევად. იმ დროს, იმ ვითარებაში ეს მიუტევებელი იყო, თუკი, რა თქმა უნდა, ამ მსხვერპლს სხვა უფრო დიდი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად არ მოითხოვდა გარემოება (ასეთი რამეც ხდება ხოლმე. ამის მაგალითებს ჩვენ ვნახავთ). მთელს ქვეყანაში ისეთი უბედურება ტრიალებდა, ხალხი ისე იყო ილაჯგაწყვეტილი და სისხლისგან დაცლილი, ქვეყანას ისეთი ვარამი დასწოლოდა, ისეთი მწუხარების ცეცხლი ტრიალებდა ყოველ ოჯახში და ყოველი ადამიანის გულში, რომ ახლა გატანჯულ-გაწამებული ხალხისთვის ქვეყნის გონიერი მმართველი ტკივილების დაყუჩებას, მათ ნუგეშსა და გამხნევებას, მათთვის რწმენის გაღვივებას, თითოეული ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას უნდა ცდილიყო. თვითონვე უნდა გაეზიარებინა საერთო ტანჯვა და ესეც კი გატანჯული ხალხისთვის ნუგეში იქნებოდა.

მაგრამ ჩვენი საყვედური ამ პირველ შეცდომას არ ეხება — მით უმეტეს, თუკი სამართლიანობას ბოლომდე მივყვებით, იქნებ ისიც ვიფიქროთ, რომ ქართველი მეფე იმ პირობებში ვერ მოახერხებდა სულთანისთვის უარის თქმას შემოთავაზებულ სამხედრო დახმარებაზე... თუკი ეს იდეა პირველად თურქთა მბრძანებელს გაუჩნდა და არა ქართველ მეფეს.

საბედისწერო შეცდომა ამის შემდეგ მოხდა.

ზამთარი რომ მოახლოვდა და თოვლი ჩამოყარა, მეფეს მოახსენეს...

ჯობს, მემატიანეს მოვუსმინოთ:

„მეფესა გიორგის მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა; არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი

და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თეით გარდაველო მთა ლიხთა და შთაეიდა აფხაზეთად".

კარგი სანადირო ამინდი დადგაო, და ეელარ მოისვენა, გულმა იქით გაუწია, ყველაფერი გადააეიწყა... სულწასულობა მოერია.

კიდევ ერთხელ წაეიკითხოთ ეს აბზაცი და დავაკვირდეთ ფრაზებს — „არღარას ზრუნვიდეს სხუასა... მისცა ნიჭად (ესე იგი აჩუქაო, მიუბოძაო) სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი... მოოხრდა მუნ დღეინდელად დღემდე"...

ამას გეიამბობს გიორგისაეე თანამედროვე ადამიანი, გიორგის შვილის — დავით აღმაშენებლის — ისტორიკოსი. სხვისთვის მძიმე ცოდვის დაბრალება თავისთავად დიდი ცოდვაა და ამნაირ ცოდვას ისეთი ადამიანი, როგორიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იყო, არ იკისრებდა... ეერც გაბედავდა.

ვთქვათ, მართლაც ვერ მოახერხა მეფემ სულთნის მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე უარის თქმა და იძულებული გახდა მტრის ჯარს საკუთარი ხალხის სარბევად შემოჰყოლოდა (რაც ახლა უკვე, ამ მეორე შეცდომისა თუ დანაშაულის შემდეგ ძალიან საეჭვო ჩანს!); ვთქვათ, სხვა გზა არა ჰქონდა და მტრის ჯართან ერთად მთელი სამი თვე იძულებით იდგა ხმალშემართული ვეჟინის ციხესთან... ეს სანადიროდ წასვლა და მტრის ურიცხვი ჯარის კახეთის მოსაოხრებლად დატოვება რაღა იყო! რა გარემოებაც არ უნდა შექმნილიყო, მტრის ჯარის ასე დატოვება და წასვლა, გაუმართლებელია. ძალიან მძიმეა ქვეყნის გამგებლობის ტვირთი და ეს ტვირთი ხალხისთვის თავგანწირვასაც გულისხმობს.

როგორც ფიქრობდა მელიქ-შაპი, სწორედ ისე მოხდა: დიდი ხანი არ გასულა, რომ ახლა კახეთის მეფე აღსართანი ეახლა და ახლა იმან სთხოვა სამხედრო დახმარება.

აღსართანს ჩვენ უკვე ვიცნობთ და მისი საქციელი არც გაგვიკვირდება. აქ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ სულთანთან მის სტუმრობას და მორჩილების ფიცის დადებას კვლავ ბლომად სისხლი შეეწირა!

ზემოთაც ვახსენეთ ჩვენი ანდაზა — უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო. ეს მოარული ანდაზაა და ყველა ხალხი თავისებურად გამოხატავს. რუსები იტყვიან ხოლმე: „უბედურება მოდის — კარი ფართოდ გახსენით"... ინგლისელები იტყვიან: „უბედურება ცალად არასოდეს არ მოდისო"...

მართლაც არ დარჩენილა ცალად ჩვენი ხალხისთვის თურქ-სელჩუკთაგან დატეხილი უბედურება — ბუნებამ ახალი განსაცდელი მოუვლინა. ზედ აღდგომა დღეს, როცა ქვეყანა ლხინსა და სიხარულს უნდა მისცემოდა („რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო“...), „უფალმან... შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს (დაინგრეს), და იქმნეს საფლაე მას შინა მკვიდრთა“...

ზოგი წყაროს მიხედვით, ეს საშინელი მიწისძვრა 1089 წელს მოხდა, ვახუშტის მიხედვით — 1088 წელს... მთავარი·ისაა, რომ მიწისძვრა მთელ წელიწადს გაგრძელებულა და სულმთლად აუოხრებია ქვეყანა. მტკიცედ ნაგები თმოგვის ციხეც კი დაიქცა თურმე და ქვეშ მოიყოლა „კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ“...

მემატიანე ამ საშინელ უბედურებას მძიმე ცოდვებს აბრალებს — ღმერთმა ცოდვების გამო მოგვიელინა ეს რისხვაო. დღეს ჩვენთვის, რა თქმა უნა, გულუბრყვილოა ასეთი მოსაზრება, და აქაც იმიტომ კი არ გაგვიხსენებია, მემატიანის გულუბრყვილობა დაგვემტკიცებინა, აქ სხვა რამ არის საინტერესო.

გიორგი მეორემ სამეფო ტახტი თავის 16 წლის ვაჟს გადაულოცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, და ამის შემდეგ კარგა ხანი იცოცხლა — ოც წელზე მეტი.

რატომ? რატომ დათმო მეფემ ტახტი და ჯერ ისევ ბავშვი უფლისწული რატომ გაამეფა?

გამოთქმულია ძალიან საყურადღებო მოსაზრება, რომ მეფე აიძულეს, დათმო ტახტი, გადამდგარიყო...

შეიძლებოდა უფრო გაგვეშალა და გაგვეეითარებინა ეს საგულისხმო ვარაუდი.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მეფემ საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ყოველად გაუმართლებელი უდარდელობა გამოიჩინა, მას ან პირდაპირ შეჰკადრეს, ან გადაკვრით ანიშნეს, რომ დათმო ტახტი.

აშკარად ჩანს, მეფეს ჭკვიანი ვეზირები ჰყავდა — კარგი მამულიშვილები, ბრძენი ხალხი... მაგრამ ვერ გატეხეს, ვერ დაიყოლიეს. დიდებას მიჩვეული კაცისთვის ძნელია პატივისა და დიდების დათმობა. რა არ უთხრეს, რა არ გააგონეს... მაგრამ მეფე არ ტყდებოდა...

მიწა რომ იძრა და ქვეყანა დაინგრა, ეს უკვე კიდევ ერთი და ძალიან შთამაგონებელი არგუმენტი გამოდგა მეფის გასატეხად და დასაყოლიებლად. მორწმუნე ხალხისთვის, მორწმუნე გვირგვინოსნისთვის ეს ბევრს ნიშნავდა.

ალბათ, ხმებიც კი გავრცელდა, რომ მავანსა და მავანს ღმერთი გამოეცხადა და პირდაპირ უთხრა, რა მძიმე ცოდვების გამო მოუვლინა მან ქვეყანას ეს მიწისძვრა... მავანმა და მავანმა ასეთი სიზმარი ნახა... ასეთი გამოსახულება იხილა ცაზე... ასეთი რამ იწინასწარმეტყველა...

ამგვარ ხმებს სწრაფი ფრთები აქვს და ხელად მოეფინება ხოლმე ქვეყანას, მით უმეტეს, როცა ჰაერი საშინელი შიშითა და განწირულებით არის მოწამლული... შიშს მარტო თვალები კი არა აქვს დიდი, ყურებიც ფართოდ აქვს გახსნილი... ხმა ღვთისა და ხმა ერისაო!.. ამჯერად ორივე ხმა შენიშვნოდა და იძულებული გახადა გიორგი მეფე, ტახტი დაეთმო. დიდი მიწისძვრა ის უკანასკნელი წვეთი გამოდგა, რამაც მეფეს უკვე შერყეული რწმენა საკუთარი თავისა საბოლოოდ დააკარგვინა და ბედნიერი გადაწყვეტილება მიაღებინა.

მეორე წიგნის დასასრული

შინაარსი

თავი I. ფასდაუდებელი ღვაწლი ნერსე დიდისა და გრიგოლ ხანძთელისა ანუ დასაწყისი გაერთიანებისა „სამი მხრით ხმლის ქნევა“ + ძველი შოტლანდიური ლეგენდა + ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამბები, ანუ რატომ გაემგზავრა ნერსე ხაზარეთს, ხოლო აშოტი — კლარჯეთს + ეგრის-აფხაზეთის სამთავრო +ქართული ეკლესიის ერთობა + კახეთი. პერეთი. 7

თავი II. დასაწყისი ბაგრატიონების დინასტიისა ტაო-კლარჯეთი + აშოტ დიდი კურაპალატი + ლაშქრობანი „ქართლსა ზედა“+ აშოტ კურაპალატი, ამირა სპაკი და გარეწარი დიაკონი. ერთი ხეველიანი ეპიზოდი აშოტის ცხოვრებიდან + აშოტ კურაპალატს ღალატით მოკლავენ 96

თავი III. რას მოგვითხრობს ხუმბატ დავითის ძის ქრონიკა ბულა თურქის შემოსევა + შეუპოვარი გუარამ მამფალი + ეკავახეთის კრება. ხიხლიანი ბრძოლები აშოტ კურაპალატის შთამომავალთა შორის + „ქართველთა მეფე“ ადარნასე, აშოტ კისკასი — ბრძოლა არტანუჯისთვის + ბანა და ტბეთი + არაბთა კიდევ ერთი შემოსევა 914 წელს და გობრონის გმირობა + ისევ შინა ბრძოლები + აფხაზთა მეფე გიორგი მეორე საკუთარ შვილსა კლავს + გაჭიანურებული ბრძოლები ეგრის-აფხაზეთის მეფეებისა და კახეთის მეფე კვირიკე მეორეს შორის. 136

თავი IV. დავით კურაპალატი — დასაწყისი ახალი ხანისა ტაო-კლარჯეთი + ივანე მარუშისძის გეგმა + დავით კურაპალატს ქართლში მიპყავს ჭაბუკი ბაგრატი + სამოქალაქო ომი ბიზანტიაში. თორნიკე ერისთავი ამარცხებს ბარდა სკლიაროსს + ბაგრატ მესამე სიმტკიცეს ამჟღავნებს + დავით კურაპალატს კვისარი შემოსწყრა 199

თავი V. ათასწლეულთა მიჯნაზე დავით კურაპალატის მოღვაწეობა + ბაგრატ მესამე + ქვეყნის ცალკეული კუთხეების შეკავშირება და ერთიანი საქართველოს შექმნა + მეთერთმეტე საუკუნიდან ერთიანი ქვეყნის ცნების აღსანიშნავად ახალი ტერმინი შემოდის — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. 240

თავი VI. დიდმა მიწისძვრამ მეფეს... ბედნიერი გადაწყვეტილება მიაღებინა
გიორგი პირველი – დამოუკიდებლობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი
✦ ალორძინებისა და სწრაფი განვითარების გზაზე მდგარი ქვეყანა ✦ მეთერთმეტე
საუკუნის პირველ ნახევარში აგებული შესანიშნავი ტაძრები. სვეტიცხოველთან
დაკავშირებული სვედიანი და ამაღლებელი ლეგენდა ✦ ბაგრატ მეფე და კლდეკარის
ერისთავი ლიპარიტი ✦ „დიდი თურქობა“ ✦ უსახელო ახალქალაქელი გმირები
✦ საშინელი მიწისძვრა, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა
✦ 16 წლის უფლისწული 288